780
1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპონგე

1-2

1996

სკენჯი

1996/1-2

იანვარი
აპრილი

(100)

შინაარსი

პროზა და პოეზია

ნიკოლოზ გოგოლი. მკვდარი სულები. წიგნი მეორე.
თარგმნა მანანა სანადირაძემ 3

გორის პასტერნაკი. ლექსები. თარგმნა ვახტანგ გოგოლაშვილმა 94

იოჰან ვოლფგანგ გოეთე. სულთა ნათესაობა. გერმანულიდან თარგმნა და
შენიშვნები დაურთო ლია თაკვარელიამ 106

ტომას სტერნზ ელიოტი. კორიოლანოს. ინგლისურიდან თარგმნა სოსო ჩოჩიამ 201

ჯაკომო კაზანოვა. ჩემი თავგადასავალი. (გაგრძელება) თარგმნა ნანა თარგამაძემ 206

წერილები

ლეონარდ კოტრელი. ცივილიზაციის საბჭედლო. (გაგრძელება) ინგლისურიდან
თარგმნა გოჩა კვირკელიშვილმა 262

ბხაგვან შრი რაჯნეში. არც ის, არც ის. (გაგრძელება) გერმანულიდან თარგმნა
ლაშა დადიანმა 280

სიუზენ ლეიტონი. რუსული ლიტერატურა საქართველოს შესახებ. ინგლისურიდან
თარგმნა ზურლან გემაზაშვილმა 310

14

საქართველოს მწერალთა კავშირი
ისტორიულ ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1996 № 1–2

მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე

გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

ნანა დარჩია (პგ. მდივანი

სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია გაქრაძე
ბარნა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნოდარ გურეშიძე
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რენე კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დალი ფანჯიკიძე
ნიკო უიასაშვილი
დავით ფერედიანი

ტექნიკური რედაქტორი
ნანა გართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4, **ტელეფონები:** მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22, განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 17.02.95 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 08. 01. 1996 წ., ქაღალდის ზომა 70X108 16
საღრ. თ. 25,51. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7. ტირ. 300. შეკვ. № 190.

ფასი 2 ლარი

გამომცემლობა „ხამშობლოს“ სტამბა,
თბილისი, მ. კოსტავას, 14.

ნიკოლოზ გოგოლი

მკვდარი სულები (წიგნი მეორე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

20624

თარგმნა **მანანა სანაძირაძემ**

პირველი თავი

რა საჭიროა მივარდნილი ადგილებიდან, სახელმწიფოს შორეული კუნჭულებიდან ადამიანების გამოჩხრეკა და ამით ჩვენი ცხოვრების სიღარიბისა და და ჩვენი სამწუხარო არასრულყოფილების წარმოჩენა? რას იზამთ, თუკი მწერალი ამ ხასიათისაა და თვითონაც უკვე დაავადებულია საკუთარი არასრულყოფილებით და უკვე ისეა მისი ნიჭი მოწყობილი, რომ მივარდნილი ადგილებიდან, სახელმწიფოს შორეულ კუნჭულებიდან ადამიანები გამოჩხრიკოს და ამით ჩვენი ცხოვრების სიღარიბე დაგვიხატოს! და აი, ისევ მოვხვდით მივარდნილ ადგილას, ისევ წავაწყდით შორეულ კუნჭულს.

თანაც რა მივარდნილი, მყუდრო ადგილი და რა შორეული კუნჭულია!

ათას ვერსზე მეტ მანძილზე გადაჭიმულა მთიანი მაღლობების კლაკნილი ზოლი, თითქოს რომელიღაც უსასრულო ციხე-სიმაგრის უზარმაზარი მიწაყრილიაო, ხან ვაკეზე, კედელივით, მოყვითალო გროვებად აღმართულა, ნაღვარევებითა და ღრანტეებით, ხან კი გადაჭრილი ხეების ძირებიდან ამოზრდილი ნორჩი ბუჩქნარითა ან ნაჯახს გადარჩენილი ტყით დაფარულ ბორცვებად. მდინარე ხან ერთგულად შეტყუპებული მიუყვება ნაპირს, ხანაც შორდება, მდელოებში იკარგება, რათა შემდეგ, განტოტვილი, მზის გულზე ცეცხლივით აბრწყინდეს, ისევ მიეფაროს არყის, ვერხვისა და მურყანის ხეთა კორომებს და საზეიმოდ გამოვარდეს იქიდან ჩიდების, წისქვილებისა და კაშხალების ამალით, ყოველ მოსახვევში, თითქოსდა თავქუდმოგლეჯილები რომ მოსდევენ.

ერთი ციცაბო კალთა სხვებზე ზევით აღმართულა და მჭიდროდ შეჯგუფული ხეებით თხემით ტერფამდე მოკაზმულა. ყველაფერია აქ: ნეკერჩხალიც და მსხალიც, დაბალი წნორნარიც და უძრახელაც, არყის ხეც, ნაძვიც და სვიაში გახლართული ცირცელიც; აქვე[1]... ბატონიანთ შენობების წითელი სახურავები და თვალსმოფარებული ქოხების კუშტულები, ბატონიანთ სახლის მეზონინი გამოკრთიან, ამ ხეებისა და სახურავების თავზე უძველეს ეკლესიას აღუმართავს ხუთი მოელვარე გუმბათი, რომლებზეც ოქროს მოჩუქურთმებული, მსუბუქი ჯაჭვებით დაკიდული ოქროსვე მოჩუქურთმებული, მსუბუქი ჯვრები შორიდან ისე ბრწყინავენ, თითქოს პირდაპირ ციდან ჩამოშვებულანო. და მთელი ხეები, სახუ-

1. ხელნაწერში ორი სიტყვა წაშლილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავები, ეკლესიასთან ერთად, მდინარეში თავდაყირა ირეკლება; მოხდენილი და ამავე დროს უშნო, ბებერი ტირიფები, ზოგი ნაპირზე მდგარი, ზოგიც ტოტებითა და ფოთლებით წყალში ჩაშვებული, ისე ათვალიერებენ ამ ანარეკლს, თითქოსდა თავიანთი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მისი ცქერით ველარ დამტკბარანო.

ხელი მშვენიერი იყო ოღონდ ზევიდან ქვევით, სახლის მეზობლიდან, კიდევ უფრო თვალწარმტაცი სივრცეები იშლებოდა, აივნიდან ამ სილამაზის შემხედვარე ვერც ერთი სტუმარი გულგრილი ვერ დარჩებოდა. სული შეუგუბდებოდა და ამასღა წამოიძახებდა: „ღმერთო, რა სივრცე!" სივრცეები კი, მართლაც, დაუსრულებლად იშლებოდნენ. კორომებითა და წყლის წისქვილებით მოფენილ მდელობებს იქით მწვანედ ხასხასებდა ზღვასავით მოლივლივე ულრანი, ხოლო ტყის იქით, ბურუსიან ჰაერში, ყვითლად ანათებდა ქვიშა. ქვიშრობს იქით, ცისკიდურზე, თითქოსდა მუდმივი მზით განათებული, უამინდობის დროსაც თვალისმომჭრელი სითეთრით მბრწყინავი ცარცის მთები გაწოლილიყვნენ. აქა-იქ ნისლისფერ-მონაცრისფრო კვამლი მოჩანდა. ეს ადამიანის მზერამიუწვდომელი სოფლები იყო. აქა-იქ ნაპერწკალივით გაელვებული ეკლესიის ოქროს გუმბათი კი დიდ დასახლებაზე მიანიშნებდა. მიდამო უშფოთველ სიჩუმეში გახვეულიყო, რომელსაც ციური მომღერლების ჰაერში გაბნეული დაუსრულებელი გალობაც ვერ არღვევდა. ერთი სიტყვით, აივანზე გულგრილი ვერ დარჩებოდა ვერც ერთი სტუმარი და ასე, ორსაათიანი გარინდების შემდეგ, პირველ წუთებში წამოძახებულს გაიმეორებდა: „ციურნო ძალნო, რა სივრცე!"

ვინ იყო ამ ციხე-სიმაგრესავით მიუვალი სოფლის მცხოვრები, სადაც აქედან ვერც მიხვიდოდით, მეორე მხრიდან — მინდვრებით, ყანებით და, ბოლოს, თითქმის ქოხმახებსა და ბატონიანთ სახლამდე მობიბინე ბალახზე გაშლილი მუხნარით — უნდა მოგევლოთ. ვინ იყო ამ სოფლის ბატონ-პატრონი? რომელ ბედნიერს ეკუთვნოდა ეს მიუვალი ადგილი?

ვის და, ტრემალახანსკის მაზრის მემამულეს, ახალგაზრდა, ოცდაცამეტი წლის უცოლო ბატონს, კოლეჟსკი სეკრეტარს — ანდრეი ივანოვიჩ ტენტეტნიკოვს.

რა ზნე-ჩვეულების, რა თვისების, რა ხასიათის ადამიანი იყო ანდრეი ივანოვიჩ ტენტეტნიკოვი?

რა თქმა უნდა, მეზობლებს ეცოდინებათ. მეზობელი, გადამდგარ შტაბს-ოფიცერთა, ბრანდერთა,[1] გვარიდან, ასე ამკობდა: „ნამდვილი პირუტყვი!" ათ ვერსზე მცხოვრები გენერალი ამბობდა: „არც მთლად უჭკუო ახალგაზრდა, რომელმაც თავი რაღაც სისულელეებით გამოიტენა. შემეძლო, დავხმარებოდი, მე ხომ პეტერბურგში, თანაც..." — გენერალს სიტყვა უგრძელდებოდა. სამაზრო პოლიციის უფროსი კაპიტანი შენიშნავდა: „ჩინი კი, მართლაც, უბადრუკი აქვს. აი, ხვალვე ვეახლები დარჩენილი გადასახადისათვის!" იმ სოფლის გლეხკაცს თუ ჰკითხავდნენ, როგორი ბატონი გყავსო, პასუხსაც არ იძლეოდა. ერთი სიტყვით, უფრო ცუდად იხსენიებდნენ, ვიდრე კარგად.

უნდა ითქვას, თავისი არსებით ანდრეი ივანოვიჩი არც კეთილი, არც მოსულელი, უბრალოდ, ზედმეტი ბარგი იყო. ამქვეყნად ხომ ბევრნი არიან მასეთები და ტენტეტნიკოვი რაღა გამონაკლისია, ბარემ ისიც ზედმეტ ბარგად დააწვეს

1. ბრანდერი — ხომალდი, რომელზედაც მტრის ხომალდების ასაფეთქებელი საწვავი ნივთიერებაა მოთავსებული; აქ გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი: შარიანი, ჩხუბისთავი.

ამ დედამიწას. აი, მთელი მისი ცხოვრების მცირე სურათი და მკითხველმა თავად განსაჯოს ანდრეი ივანოვიჩის ბუნება.

დილაობით გვიან იღვიძებდა და საწოლზე წამომჯდარი კიდევ დიდხანს ისრესდა თვალებს. თვალები კი, მისდა საუბედუროდ, ერთობ პატარა ჰქონდა, ამიტომაც მათ სრესვას საკმაო დროს ანდომებდა. მთელი ამხნის მანძილზე კარებთან მიხაილო იდგა — ხელსაბანითა და პირსახოცით. იდგა ეს საწყალი მიხაილო ერთი საათი, ორი, სამზარეულოში გაეიდოდა, უკან მობრუნდებოდა, — ბატონი ისევ თვალებს ისრესდა და საწოლზე იჯდა. ბოლოს და ბოლოს, ლოგინიდან წამოდგებოდა, ხელ-პირს დაიბანდა, ხალათს ჩაიცმევდა და სასტუმრო ოთახში გამოდიოდა — ჩაის, ყავის, კაკაოს, გნებავთ, ახალმოწველილი რძის დასალევად. ყველაფერ ამას ცოტ-ცოტას მოხვრეპდა, პურს უმოწყალოდ დაფხვნიდა და ჩიბუხის ფერფლს უსინდისოდ მიმოაბნევდა. ჩაის ორი საათი უჯდა. ეს კიდევ არაფერი: გაციებულ ჭიქას აიღებდა და ეზოში გამავალ ფანჯარასთან მიჩოჩდებოდა. ფანჯარასთან კი ყოველ დღე ერთი და იგივე სცენა იმართებოდა.

უწინარეს ყოვლისა, მებუფეტე გრიგორი ღრიალებდა და მეკუჭნავე პერფილიევნას ასე ამკობდა:

— შე სულწაწყმედილო, არარაობავ! სახიზღარო დედაკაცო, ენა მაინც ჩაიწყეიტე-

— როგორ არა, დაგიჯერე, შე მუცელამოუყორავო! — ყვიროდა არარაობა, ანუ პერფილიევნა.

— შენ ვინ შეგეგუება, მოურავსაც პირში შეებმები, შე წუწურაქო! — ღრიალებდა გრიგორი.

— მოურავიც შენნაირი ქურდია! — მთელი სოფლის გასაგონად წოოდა არარაობა, — ორიეენი ლოთები ხართ, ბატონის გამძარცველები, ღორმუცელები. გგონია, ბატონი არ გიცნობთ? ის ხომ აქ არის და გისმენთ.

— აბა, სადა?

— აი, ფანჯარასთან ზის და ყველაფერს ხედავს.

მართლაც, ბატონი ფანჯარასთან იჯდა და ყველაფერს ხედავდა.

ამას ზედ ერთოდა დედის გასილაქებული ბავშვის გაუთავებელი ბღავილი, მიწაზე უკანალით ჩამჯდარი ხვადი მწევარის წკმუტუნი, სამზარეულოდან თაეგამოყოფილმა მზარეულმა რომ მწარედ დაფუფქა.

ერთი სიტყვით, ირგვლივ ყველაფერი აუტანლად ღრიალებდა და წიოკობდა. ბატონი კი ყველაფერს ხედავდა და ესმოდა. და მხოლოდ მაშინ, როცა ხმაური იმდენად აუტანელი ხდებოდა, რომ ბატონს უსაქმურობაშიც ხელი ეშლებოდა, შეუოვლიდა, ჩუმად იხმაურეთო.

სადილობამდე ორი საათით ადრე ანდრეი ივანოვიჩი თავისი კაბინეტისკენ მიემართებოდა ნამდვილად სერიოზულად სამუშაოდ. საქმე კი მართლაც სერიოზული იყო — დიდი ხანია გაუთავებლად ფიქრობდა ერთ თხზულებაზე, რომელსაც მთელი რუსეთი ყველა — მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური — კუთხიდან უნდა აესახა, დროისაგან დასმულ რთულ ამოცანებსა და კითხვებზე პასუხი გაეცა და მისი დიდებული მომავალი ნათლად განესაზღვრა — მოკლედ, თხზულება ბევრისმომცველი უნდა ყოფილიყო. ჯერჯეროობით კი ყველაფერი გონებაში რჩებოდა; კალამი იღრღნებოდა, ფურცელზე ნახატები ჩნდებოდა, შემდეგ ამათ გვერდზე გასწევდა, წიგნს აიღებდა და სადილობამდე ხელს აღარ გაუშვებდა. ამ წიგნს ჩაჰკირკიტებდა სუპის, სოუსის, შემწვარმოხრაკულის და, წარმოიდგინეთ, ნამცხვრის ჭამის დროსაც, რის გამოც ზოგი კერძი ცივდებოდა, ზოგიც ხელუხლებელი რჩებოდა. ამას მოჰყვებოდა ყავის

ხვრეპა, ჩიბუხთან ერთად, შემდეგ — საკუთარ თავთან ჭადრაკის თამაში. რაღას აკეთებდა მერე, ვახშმობამდე, ძნელი სათქმელია, მგონი, სულაც არაფერს.

და ამქვეყნად ასე მარტოდმარტოს, უმოძრაოდ, ხალათში, უჭალსტუხოდ, გაჰყავდა დრო ახალგაზრდა, ოცდაცამეტი წლის კაცს. არც სეირნობა, არც სიარული, ბუნების მშვენიერებით დასატკბობად ზევით ასვლაც არ უნდოდა, ჰაერის გასაწმენდად ფანჯრებსაც არ აღებდა, და სოფლის ულამაზესი ხედი, რომელიც საოცრად ატკბობდა ყველა მნახველს, თითქოს არც არსებობდა თვითონ მეპატრონისათვის.

ამ შესავლიდან მკითხველს შეუძლია დაინახოს, რომ ანდრეი ივანოვიჩ ტენტეტნიკოვი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც რუსეთში მრავლად არიან და რომელთაც დონდლოებს, ნაცარქექიებს, უქნარებს და ამათ მსგავს სახელებს უწოდებენ.

იბადებიან ასეთი ხასიათისანი, თუ შემდეგ ჩამოყალიბდებიან, ვერ გეტყვით. ვგონებ, აჯობებს, პასუხის ნაცვლად ანდრეი ივანოვიჩის ბავშვობისა და აღზრდის ისტორია გიამბოთ.

ბავშვობაში გონიერი, ნიჭიერი ბიჭი იყო, ცელქიც და ფიქრიანიც. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ ისეთ სასწავლებელში მოხვდა, რომელსაც სათავეში, მიუხედავად ზოგიერთი ახირებულობისა, არაჩვეულებრივი კაცი ედგა. ალექსანდრ პეტროვიჩს რუსი ადამიანის ბუნებაში ჩაწვდომის ნიჭი ჰქონდა და მასთან სალაპარაკო ენა იცოდა. არც ერთი ბავშვი ჯერ მისგან ცხვირჩამოშვებული არ წასულა, პირიქით, უმკაცრესი საყვედურის მიღების შემდეგაც სიმხნევესა და დანაშაულის გამოსყიდვის სურვილს გრძნობდნენ. მისი აღსაზრდელები ერთი შეხედვით ისე ცელქები და თავაწყვეტილები ჩანდნენ, ვიღაცა უწესრიგო „თავისუფალთა საძმოდ" მიიჩნევდა, მაგრამ მოტყუვდებოდა: ერთი ბატონი ჰყავდა ამ „საძმოს". ონავრები თავის ფეხით მიდიოდნენ მასთან და აღსარებას ეუბნებოდნენ, თითოეული მათი ჩანაფიქრი წინასწარ იცოდა. ყოველთვის არაჩვეულებრივად იქცეოდა. ამბობდა, ადამიანში, პირველ რიგში, პატივმოყვარეობა უნდა გავაღვივოთო, — პატივმოყვარეობას იმ ძალას ეძახდა, წინსვლისაკენ რომ უბიძგებს ადამიანს, — ურომლისოდაც ხელსაც არავინ გაანძრევს. ზოგჯერ სიანცეს არც უშლიდა: პირველ სიცელქეში ის სულიერი თვისებების განვითარებას ხედავდა და მასზე დაკვირვებით ბავშვის სულიერ სამყაროს სწავლობდა. ჭკვიანი ექიმი ასევე მოთმინებით უყურებს პერიოდულ შეტევებსა და გამონაყარს სხეულზე, კი არ აქრობს, ყურადღებით აკვირდება, სწავლობს, რათა შეუმცდარად დაადგინოს, რა ხდება ადამიანის ორგანიზმში.

მასწავლებლები ცოტა ჰყავდა: საგნების უმეტესობას თვითონ კითხულობდა. და სიმართლე უნდა ითქვას, ბუნდოვანი ტერმინების, გაუგებარი შეხედულებებისა და აზრების გარეშე, რომლითაც ახალგაზრდა პროფესორები თავს იწონებენ. რამდენიმე სიტყვით მეცნიერების არსს ისე გადმოსცემდა, მცირეწლოვანიც მიხვდებოდა, ეს მეცნიერება დასჭირდებოდა თუ არა. ამტკიცებდა, ადამიანს ყველაზე მეტად ცხოვრების სიბრძნის ცოდნა სჭირდება, შეისწავლის თუ არა ამ სიბრძნეს, მიხვდება, რას მოკიდოს ხელი.

ეს ცხოვრების სიბრძნე აღზრდის ცალკე კურსად გამოყო, რომელშიც მხოლოდ ძლიერები შედიოდნენ. ნაკლებნიჭიერებს პირველი კურსის შემდეგ უშვებდა სამსახურში, ამტკიცებდა რა, რომ მათი წვალება არ ღირს, საკმარისია, თუკი მომთმენი, შრომისმოყვარე შემსრულებელნი დადგებიან, არ გაყოყოჩდებიან და ბევრს არ მოითხოვენ. „მაგრამ გონიერებსა და ნიჭიერებს თან უნდა გადავ-

ყვე", — ამბობდა ჩვეულებრივ. და ამ კურსზე ალექსანდრ პეტროვიჩი სრულიად იცვლებოდა და თავიდანვე ამცნობდა, რომ, თუკი აქამდე მათგან მხოლოდ გონებას ითხოვდა, ახლა უმაღლეს გონებას მოითხოვდა. იმ გონებას კი არა, სულელებს რომ ამასხარავებს და დასცინის, არამედ თვითონვე რომ აიტანს ყველა შეურაცხყოფას, სულელს შეუნდობს — თანაც არ გაღიზიანდება. სწორედ აქ დაიწყო იმის მოთხოვნა, რასაც ზოგიერთი ბავშვებისაგან თხოულობენ. ამას გონიერების უმაღლეს საფეხურს ეძახდა. რაგინდარა იმედგაცრუების შემდეგ ადამიანმა შეინარჩუნოს უმაღლესი სიმშვიდე და მუდამ ამ სიმშვიდეში იმყოფებოდეს — აი, რას ეძახდა იგი გონიერებას! ამ კურსს კი ალექსანდრ პეტროვიჩმა დაუმტკიცა, რომ ცხოვრების სიბრძნე ნამდვილად იცის. მხოლოდ ის მეცნიერება ისწავლებოდა, რომელიც ადამიანისგან მშობლიური მიწის ჭეშმარიტ მოქალაქეს ჩამოაყალიბებდა. ლექციების უმეტესი ნაწილი იმის მოყოლას ეძღვნებოდა, თუ რა ელის ადამიანს კერძო საქმიანობისას და სახელმწიფოებრივი სამსახურის ყველა ასპარეზსა და საფეხურზე. გზაზე გადაღობებულ ყველა იმედგაცრუებასა და წინააღმდეგობას, მოსალოდნელ ცდუნებას მათ წინ უყრიდა თავს და დაუფარავად აშიშვლებდა. თითოეული წვრილმანი ისე იცოდა, თითქოს ყველა ჩინი და თანამდებობა გამოეცადა. ერთი სიტყვით, არც მთლად წარმტაც მომავალს უხატავდა მოსწავლეებს. უცნაურია! იქნებ იმის გამო, რომ პატივმოყვარეობა მათში ძალუმად იყო გაღვივებული, ანდა იმის გამო, რომ არა ჩვეულებრივი მოძღვრის თვალებში იყო რაღაც ისეთი, რაც ყმაწვილს ეუბნებოდა:—წინ!—სიტყვა, რომელიც რუს კაცს სასწაულებს აკეთებინებს, — იქნებ, სხვა რამის გამოც, ახალგაზრდა თავიდანვე სიძნელეებისკენ მიილტვოდა, იქ, სადაც დიდი სულიერი სიძლიერის გამოჩენა იყო საჭირო, თავგანწირვით მოქმედება. საოცრად ფხიზელი სიცოცხლე ჰქონდა. ალექსანდრ პეტროვიჩი ყოველმხრივ აწრთობდა თავის რჩეულებს, ხან თვითონ, ხან ამხანაგების მეშვეობით სულიერ შეურაცხყოფას აყენებდა მათ, მაგრამ, მიუხვდნენ რა, უფრო გაფრთხილდნენ. ამ კურსიდან ცოტამ დაამთავრა, მაგრამ ეს ცოტანი ძლიერები, გამობრძმედილები იყვნენ, სამსახურებში ისეთ მერყეე ადგილებს გაუძლეს, საიდანაც მათზე უფრო ჭკვიანები წვრილმანი უსიამოვნებების გამო სულ წამოვიდნენ, ანდა, თვითონაც ვერ გაიგეს როგორ, მექრთამეებისა და თაღლითების ხელში მოხვდნენ. ალექსანდრ პეტროვიჩის აღზრდილებს ბეწვიც არ ჩამოვარდნიათ, ადამიანისა და მისი სულის შეცნობით დამოძღვრილებმა მექრთამეებსა და გაიძვერებზე დიდი ზნეობრივი გავლენა იქონიეს.

საბრალო ანდრეი ივანოვიჩს ეს აღზრდა არ რგებია წილად. როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, ის-ის იყო, იმ უმაღლეს კურსზე უნდა გადასულიყო — უბედურება დატრიალდა: არაჩვეულებრივი მოძღვარი, რომლის ერთი გამამხნევებელი სიტყვაც კი მას ტკბილ ერეოლას გვრიდა, მოულოდნელად გარდაიცვალა. ალექსანდრ პეტროვიჩის ნაცვლად, მოვიდა ვინმე ფიოდორ ივანოვიჩი, კაცი კეთილი და მუყაითი, მაგრამ სრულიად სხვა შეხედულებებისა. პირველკურსელთა სითაბამეში თავაშვებულება დაინახა. მათ შორის რაღაც ნაძალადევი წესრიგი დაამყარა, ჭაბუკებს სამარისებურ სიჩუმეში ჯდომას, წყვილ-წყვილად სიარულს სთხოვდა, წყვილებს შორის მანძილს არშინით ზომავდა. გარეგნული სილამაზის დასაცავად, მაგიდასთან გონიერების კი არა, სიმაღლის მიხედვით აჯენდა, ისე, რომ ვირებს საუკეთესო ნაჭრები ხვდებოდათ, ჭკვიანებს — ნარჩენები. ყველაფერმა ამან უკმაყოფილება განსაკუთრებით მაშინ გამოიწვია, როცა ახალმა უფროსმა, ზუსტად წინამორბედის საწინააღმდეგოდ, გამოაცხადა, ჩემთვის ჭკუა და წარ-

მატებები სწავლაში არაფერს ნიშნავს, მხოლოდ ყოფაქცევას აქვს მნიშვნელობა და თუკი მოსწავლე ცუდად სწავლობს, მაგრამ კარგად იქცევა, ჭკვიანს ვამჯობინებო. ფიოდორ ივანოვიჩმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია. ფარულად ყირაზე გადადიოდნენ, ეს კი, როგორც ცნობილია, დაუფარავზე უარესია. დღისით ყველაფერი აწყობილი იყო, დამდამობით კი ღრეობები იმართებოდა.

სწავლების საქმე ხომ სულ თავდაყირა დააყენა. რასაკვირველია, კეთილშობილური მიზნებით, ახალი წესები შემოიღო — ისევ უადგილოდ. ახალი აღმზრდელები გამოიწვერა, ახალი შეხედულებებითა და ახლებური აზროვნებით. ახლებურად ასწავლიდნენ, ახალ ტერმინთა და სიტყვათა კორიანტელი დააყენეს. ლოგიკური კავშირიც იგრძნობოდა და ახალ აღმოჩენათა ცოდნაც — მაგრამ ამაოდ! ამ მეცნიერებაში სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ იყო. მსმენელებს, რომლებიც, ის-ისაა, ნაოქვამის შეცნობას იწყებდნენ, ყველაფერი მძორად ეჩვენებოდათ. ბედის ჩარხი უკულმა დატრიალდა. განსაკუთრებით ცუდი ის იყო, რომ უფროსობისა და ხელისუფალთადმი პატივისცემა დაიკარგა: დასცინოდნენ აღმზრდელებსაც და მასწავლებლებსაც, დირექტორს ფედკას, ფუნთუშას და სხვა დამამცირებელ მეტსახელებს ეძახდნენ; ისეთი საქმეებიც დატრიალდა, ბევრი სასწავლებელს უნდა გამოთხოვებოდა.

ანდრეი ივანოვიჩი ზნეკეთილი ადამიანი იყო. ამხანაგებთან ერთად დამის ორგიებში არ მონაწილეობდა, რომლებმაც, მიუხედავად უმკაცრესი მეთვალყურეობისა, გვერდზე საყვარელი გაიჩინეს — ერთი შვიდზე. სხვა ოინებშიც არ ერეოდა, — რელიგიასაც ბილწავდნენ და დასცინოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ დირექტორი ეკლესიაში ხშირად სიარულს ითხოვდა, მღვდელი კი ცუდი შეხედათ. ანდრეი ივანოვიჩმა ცხვირი ჩამოუშვა. პატივმოყვარეობა ძლიერად იყო გაღვივებული, მაგრამ მოქმედების სარბიელი კი არ ჰქონდა. უკეთესი იყო, სულ არ გაღვივებინათ! კათედრაზე გაცხარებულ პროფესორებს უსმენდა და ძველ მოძღვარს იხსენებდა, რომელმაც აუღელვებლად, გასაგებად იცოდა ლაპარაკი. უსმენდა ქიმიასაც, სამართლის ფილოსოფიასაც, უსმენდა, როგორ ულრმავდებოდა პროფესორი პოლიტიკურ მეცნიერებათა ყველა წვრილმანს, კაცობრიობის საერთო ისტორიასაც, ისეთი ფართო სახით, რომ სამ წელიწადში მხოლოდ შესავლისა და გერმანული ქალაქების თემების განვითარების წაკითხვა მოასწრო; მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ გონებას უმღვრევდა. თანდაყოლილი გონიერების წყალობით გრძნობდა, რომ ასე სწავლება არ შეიძლებოდა, მაგრამ როგორ — არ იცოდა. ალექსანდრ პეტროვიჩს ხშირად ეგონებდა, სევდა იპყრობდა და არ იცოდა, ამ სევდისგან თავი როგორ დაეღწია.

ახალგაზრდობას კი თავისი მოძავალი აქვს. დამთავრების მოახლოებასთან ერთად, გულის ძგერა ემატებოდა. „ეს ხომ ჯერ ცხოვრება არ არის, მხოლოდ სამზადისია: ნამდვილი ცხოვრება სამსახურშია. აი, იქ იქნება საგმირო საქმეები“, — არწმუნებდა თავს. არც იმ მშვენიერი კუთხისთვის დაუხედია, სტუმარს ასე **რომ** აჯადოებს, მშობლების საფლავებსაც არ გამომშვიდობებია, ყველა პატივმოყვარის მსგავსად, ისე მიაშურა პეტერბურგს, საითკენაც, როგორც ცნობილია, რუსეთის ყველა კუთხიდან მიისწრაფის ჩვენი მშფოთვარე ახალგაზრდობა — იმსახურის, იბრწყინოს, ნდობა მოიპოვოს ანდა, უბრალოდ, საზოგადოების უფერულ, ყინულივით ცივ მწვერვალებს დაეუფლოს. ანდრეი ივანოვიჩის პატივმოყვარე მისწრაფებას იმთავითვე ცივი წყალი გადაასხა ბიძამისმა, ნამდვილმა სახელმწიფო პრჩეველმა ონოფრე ივანოვიჩმა. მან განუცხადა: მთავარია ლამაზი

ხელწერა და არა სხვა რამ, ამის გარეშე ვერც გამინისტრდები და ვერც სახელმწიფო მრჩეველი გახდებიო. ტენტეტნიკოვი კი ზუსტად ბატიფეხურად წერდა.

დიდი წვალებითა და ბიძის პროტექციით, კალიგრაფიის ორთვიანი გაკვეთილების გავლის შემდეგ, როგორც იქნა, რომელიღაც დეპარტამენტში ქაღალდების გადამწერის ადგილი იშოვა. როცა განათებულ დარბაზში შეიყვანდა, სადაც გალაქულ საწერ მაგიდებთან წერაში გართული ბატონები იხრიდნენ თავებს, ყველა დღე რომ გადაეხარათ და კალმებს აწრიპინებდნენ, როდესაც თვითონაც დასვეს და მაშინვე რაღაც ქაღალდის გადაწერა შესთავაზეს, — უცნაური გრძნობა დაეუფლა. ჯერ მოეჩვენა, თითქოსდა ანბანის ხელახლა სასწავლებლად დაწყებით სკოლაში მოხვდა, თითქოსდა რაღაც დანაშაულის გამო, მაღალი კლასიდან დაბალში გადაიყვანეს. გარშემო მსხდომი ბატონები ძალიან გავდნენ მოსწავლეებს. ზოგი, მათ შორის, გასარჩევი საქმის დიდ ფურცლებში შემალულ რომანს კითხულობდა. ვითომდა საქმეში გართულები, უფროსის ყოველ შემოსვლაზე კრთებოდნენ. უცებ, სკოლის წლები დაუბრუნებელ სამოთხედ წარმოუდგა. როგორ ამაღლდა სწავლა ამ უმნიშვნელო წერასთან შედარებით. სწავლა და სამსახურისთვის სამზადისი თვით სამსახურზე ამაღლებულად მოეჩვენა. და ცოცხალივით გამოეცხადა შეუდარებელი, საუცხოო აღმზრდელი, შეუცვლელი ალექსანდრ პეტროვიჩი — ცრემლები ღაპაღუპით წამოსცვივდა თვალთაგან, ოთახი დატრიალდა, მაგიდები ამოძრავდნენ, მოხელეები ერთმანეთში აირივნენ და ლამის გულშელოსნებული არ გაიშხლართა. „არა, — უთხრა გონსმოსულმა თავის თავს, — რაც არ უნდა უმნიშვნელოდ მეჩვენებოდეს, საქმეს მაინც მოვკიდებ ხელს!“ ნებისყოფა მოიკრიფა და გადაწყვიტა სხვებივით ემსახურა.

ტკბობა შეიძლება ყველგან — მკაცრ და მოღუშულ პეტერბურგშიც. ქუჩებში ბრაზიანი, ოცდაათგრადუსიანი ყინვა თარეშობს, შეუპოვარი ბახით გრიალებს კუდიანი ქარბუქი, თავს ქურქებისა და ფარაჯის საყელოებს რომ აფხატავს, ადამიანებს ულვაშებს და ცხოველებს დრუნჩებს რომ უთრთვილავს, მაგრამ, აი, სადღაც. მაღლა, მეოთხე სართულზეც კი, ალერსიანად ანათებს ფანჯარა. მყუდრო ოთახში, სტეარინის საწოლებზე, სამოვრის შიშინში, გულითადად საუბრობენ, ღვთითკურთხეული რუსი პოეტის ნათელ სტრიქონებს კითხულობენ, — ასეთებით ხომ უხვად დაჯილდოვა ღმერთმა რუსეთი, და ჭაბუკის ახალგაზრდა გული ისე ამაღლებულად და მგზნებარედ თრთის, როგორც არსად სხვაგან, თვით შუადღის დიდებულ ცისქვეშაც.

ტენტეტნიკოვი სამსახურს მალე შეეგუა, მაგრამ, როგორც თავიდანვე ეგონა, მთავარ მიზნად კი არა, მეორეხარისხოვან საქმედ ექცა. მხოლოდ დროის განაწილებისთვის სჭირდებოდა, რომ დარჩენილი წუთები დაეფასებინა. ბიძამისს, ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს, უკვე ეგონა, ძმისწული ხეირს მომიტანსო, მან კი მოულოდნელად მშრალზე დასვა. უნდა აღინიშნოს, ანდრეი ივანოვიჩის მეგობართა შორის ორი ისეთი პიროვნება მოხვდა, რომლებიც, როგორც მათ უწოდებენ, „განაწყენებულნი“ იყვნენ, ეს მოუსვენარი, უცნაური ხასიათის ადამიანები, არა მარტო უსამართლობას, არამედ ყველაფერ იმასაც, რასაც უსამართლობად მიიჩნევენ, გულგრილად გვერდს ვერ აუვლიან. კეთილნი, მაგრამ პირად საქციელში მოუწესრიგებელნი, სხვების მიმართ მოუთმენელნი არიან. მათმა მგზნებარე სიტყვებმა და აღშფოთების კეთილშობილურმა გამოხატულებამ ანდრეი ივანოვიჩზე ძლიერი გავლენა იქონია. ნერვები და სული გამოუფხიზლეს და გაუღიზიანეს, აიძულეს, ისეთ წვრილმანებს დაჰკვირვებოდა, რომლებსაც ადრე ყურადღებასაც არ მიაქცევდა. ფიოდორ ფიოდოროვიჩ ლენიცინი, თავისი

განყოფილების უფროსი, ყოვლად სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი, უცებ ვერ სატანა, აუარება კილი გამოუსახა და მხოლოდ იმისთვის შეიძულა, უფროსებს დაშაქრული ელაპარაკება, ხელქვეითებთან ძმარი ჩამოსდის ცხვირ-პირიდანო. „ვაპატიებდი, — ამბობდა ტენტეტნიკოვი, — სახეს ასე მალიმალ რომ არ იცვლიდეს, როგორ იქნება, ჩემს თვალწინ, ერთდროულად — დაშაქრულიც და დაძმარებულიც!“ ამის შემდეგ უფროსის ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდა, ეჩვენებოდა, რომ ფიოდორ ფიოდოროვიჩი მეტისმეტად მედიდურობდა, წვრილი უფროსობისთვის დამახასიათებელი ყველა ჩვევა ჰქონდა, ასე და ამგვარად: ვინც დღესასწაულს არ ულოცავდა, აღხუსხული ჰყავდა, სამაგიეროს უხდიდა მათ, რომელთა სახელები შვეიცარის ფურცელში[1] არ იყო მოხსენიებული, და მრავალი სხვა ცოდვა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ბოროტი და, თუნდაც, კეთილი ადამიანი. უფროსისადმი შინაგანი ზიზღი იგრძნო. ბოროტი სული უბიძგებდა, რაიმე დაეშავებინა ფიოდორ ფიოდოროვიჩისათვის. ამას განსაკუთრებული სიამოვნებით ესწრაფოდა და წარმატებასაც მიაღწია. ერთხელ ისეთი შეკამათება მოუვიდა, რომ უფროსობამ განუცხადა — ან ბოდიში მოუხადე, ან სამსახურიდან გადადექითო. გადადგა. ბიძა, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, მასთან შეშინებული მოვარდა და შეეკედრა:

— ქრისტეს გულისთვის! როგორ გეკადრება, ანდრეი ივანოვიჩ, რას აკეთებ? ასე ხელსაყრელად დაწყებული კარიერის მიტოვება მხოლოდ იმისთვის, რომ უფროსი არ შეგხვდა მთლად ისეთი... ეს რა არის? ამას რომ უყურონ, სამსახურში არავინ დარჩება. გონს მოდი, გონს მოდი. ჯერ კიდევ დრო გაქვს! სიამაყე და თავმოყვარეობა უკუაგდე, მიდი, მოუბოდიშე.

— მაგაში არ არის საქმე, ბიძაჩემო, — უპასუხა ძმისშვილმა, — ბოდიშის ნოხდა არ მიჭირს, მით უმეტეს, რომ ნამდვილად დამნაშავე ვარ. ჩემი უფროსია და ასე არ უნდა დავლაპარაკებოდი. მაგრამ, აი, რაშია საქმე: თქვენ დაგავიწყდათ, რომ მე სხვა სამსახურიც მაქვს; სამასი სული გლეხი მყავს, მამული აწეწილია, მოურავი — სულელი, სახელმწიფო ცოტას დაკარგავს, კანცელარიაში ქაღალდების გადამწერად ჩემს მაგივრად სხვა თუ დაჯდება, მაგრამ ბევრს დაკარგავს, თუ სამასი სული ხარკს არ გადაიხდის. მემამულეობა არ გახლავთ პატარა საქმე. თუკი ჩემზე მონდობილი ადამიანების ხვედრის გასაუმჯობესებლად ვიბრძოლებ, დავიცავ, შევინარჩუნებ მათ და სახელმწიფოს სამას უწესიერეს, ფხიზელ მშრომელ ქვეშევრდომს წარვუდგენ — რით იქნება ჩემი სამსახური რომელიმე განყოფილების გამგე ლენიცინის სამსახურზე ნაკლები?

ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი პირშიჩალაგამოვლებული დარჩა. სიტყვების ასეთ კორიანტელს ნამდვილად არ ელოდა. ცოტა ხანს ჩაფიქრებული იყო და მერე ასე დაიწყო:

— მაგრამ, მაინც... მაინც, როგორ... სოფელში როგორ უნდა გადაიკარგო? რა საეროს ნახავ გლეხებთან? აქ ქუჩაში მაინც შეგხვდება გენერალი ან თავადი. მოგინდება და — რომელიმე ლამაზი საჯარო შენობის წინ ჩაივლი. ნევას გადახედავ, იქ კი, საითაც გაიხედავ, გლეხკაცი ან დედაკაცი უნდა დაინახო. სამუდამო მარტოობისათვის რატომ სწირავ საკუთარ თავს?

ასე ეუბნებოდა ბიძა, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი. თვითონ კი, მთელი ცხოვრების მანძილზე, არსად არ გაუვლია, გარდა მისი სამსახურისკენ მიმავა-

1. სახელები შვეიცარის ფურცელში — დაბალი ჩინის ჩინოვნიკები პირადი მილოცვის ნაცვლად დღესასწაულებზე, უფროსის სახლში, შვეიცართან განსაკუთრებულ ფურცლებზე აწერდნენ ხელს.

ლი ქუჩისა, სადაც ლამაზი საჯარო შენობები არც იყო; შემხვედრ გენერალსა და თავადს ვერც ამჩნევდა; დედაქალაქელებისთვის დამახასიათებელი ახირებულობა — თავშეუკავებლობა — თვალითაც არ ენახა, წარმოიდგინეს, თვის დღეში თეატრშიც არ ყოფილა. ყველაფერ ამას მხოლოდ იმიტომ უჩიოდნენდა, რომ ახალგაზრდა კაცის პატივმოყვარეობა გაელიზიანებინა და [illegible] გავლენა მოეხდინა. მაინც არაფერი გაუვიდა: ტენტეტნიკოვ[illegible] თავის ნათქვამზე. დეპარტამენტები და დედაქალაქი თავს აბეზრებდა. სოფელი წინარ თავშესაფრად, ფიქრებისა და ზრახვების აკვნად, სასარგებლო საქმიანობის ერთადერთ ასპარეზად ეჩვენებოდა. ამ ლაბარაკიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ უკვე ბავშვობისდროინდელ მიდამოებში იყო. გარდასული წლები გაახსენდა და როცა იგრძნო, მამისეულ სოფელს მიახლოვებოდა, გული აუჩქროლდა! ბევრი ადგილი გადავიწყებოდა კიდეც და, ახალბედასავით, ულამაზეს ხედებს ინტერესით აკვირდებოდა. როდესაც გზა უზარმაზარი, მიყრუებული ტყის ტევრში ხრამივით შევიდა, მაღლა, დაბლა, თავზემოთ, თავქვემოთ სამასწლოვანი მუხები დაინახა, სამი კაცი ხელს რომ ვერ შემოაწვდენდა, მათ ალეის ხეებზე უმაღლესი, სოჭი, თელა, იფანი ენაცვლებოდნენ. და როცა კითხვაზე: „ვისი ტყეა?" უპასუხეს: „ტენტეტნიკოვისა"; როცა ტყიდან გამოსული გზა მდელობს გაუყვა, ვერხვთა კორომების, ნორჩი და ბებერი ტირიფების და ვაზების გასწვრივ, შორეული მაღლილების ფონზე, ერთი და იგივე მდინარე ხიდებით სხვადასხვა ადგილას გადაკვეთა, წყლის მოელვარე ზედაპირი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ჩამოიტოვა და როდესაც კითხვაზე: „ვისი მდელობები და ჭალებია?" — მიუგებდნენ: „ ტენტეტნიკოვისა"; როდესაც მერე გზა მთას აუყვა და მაღლობს შეუდგა ერთი მხრივ ხორბლის, ჭვავისა და ქერის მოუმკელი ყანების, ხოლო მეორე მხრივ ადრე გავლილი ადგილების გასწვრივ, ყველაფერი ეს წარმტაც სანახაობად გადაიშალა თვალწინ, მერე, როცა ბინდბუნდში, გზა ტოტებგაფარჩხული ხეების ჩრდილში შევიდა, რომლებითაც მიწის მწვანე ხალიჩა თვით სოფლამდე იყო გადაფენილი, და გლეხების შეთეთრებული ქოხები და წითელი სახურავებით გადახურული ბატონიანთ შენობები აციმციმდნენ; როდესაც მგზნებარედ აჩქროლებულმა გულმა ისედაც იგრძნო, სად მივიდა, — წვეთწვეთობით ნაგროვები განცდები, ბოლოს და ბოლოს ასე გადმოიღვარა: „სულელი არ ვიყავი აქამდე? ბედისწერამ მიწიერი სამოთხის პატრონობა, პრინცობა მარგუნა, მე კი ჩემს თავს კანცელარიის მწერლობა მივუსაჯე! ადამიანმა ისწავლოს, აღიზარდოს, განათლდეს, ცოდნის ის მარაგი დააგროვოს, რომელიც გლეხების მართვას, მთელი ამ დარგის გაუმჯობესებას, მემამულის—რომელიც მოსამართლეც არის და განმკარგულებელიც, წესრიგის დამცველიც — მრავალმხრივი მოვალეობის შესრულებას სჭირდება, ანდოს ეს ბრიყვ მოურავს! და ამის ნაცვლად რა აირჩიოს? — ქაღალდების გადაწერა, რომელსაც არაფრისმცოდნე კანტორის მუშაკი უკეთ გაართმევს თავს!" ტენტეტნიკოვმა თავის თავს კიდევ ერთხელ უწოდა სულელი.

სხვა სანახაობაც ელოდა. გაიგეს რა ბატონის ჩამოსვლა, მთელი სოფელი პარმალთან მოგროვდა. ჭყეტელა თავსაფრებმა, თავსაკრავებმა, თავშლებმა, ზუბუნებმა, ყველა ჯურის წვერმა: ოვალურმა, ფართოდ გაშლილმა, წაწვეტებულმა, წითურმა, ქერამ, ჭალარა-შეკერცხლილმა, მთელი მოედანი დაფარეს. გლეხებმა დაიქუხეს: „მარჩენალო, ველირსეთ შენს ხილვას!" დედაკაცებმა მოთქმით გააბეს: „ჩვენი გულების საუნჯევ!" მოშორებით მდგომებმა იჩხუბეს კიდეც, წინ გაძრომა უნდოდათ, ჩირივით გამხმარი, მიხრწნილი დედაბერი სხვებს ფე-

ხებქვეშ გაუძვრა, მიუახლოვდა, ხელი ხელს შემოჰკრა და დაიწივლა: „ჩვენი პატარა ცინგლიანო, როგორი სუსტი ხარ! წყეულ სნეულებას არაქათი გამოუცლია!“ „გაეთრიე, დედაკაცო! — მაშინვე დაუყვირეს ოვალურ, ფართო, წაწვეტებულ წვეროსნებმა, — უყურე სად გაძვრა ეს მათხოჯი!“ ვიღაცამ ისეთი სიტყვა მიაყოლა, რომელზეც მხოლოდ რუს გლეხკაცს არ გაეცინება. ბატონმა თავი ვერ შეიკავა და გადაიხარხარა. მიუხედავად ამისა, სულის სიღრმეში შეძრული იყო: „ამდენი სიყვარული! ნეტა რისთვის? — ფიქრობდა, — თვალიც არასდროს მომიკრავს მათთვის, ყურადღებაც არ მიმიქცევია! დღეიდან, პირობას გაძლევთ, თქვენს ჯაფას გავიყოფ, ყველაფერს გაგიკეთებთ! რას არ ვიღონებ, მთელი ჩემი არსებით დაგეხმარებით, ისეთები გახდეთ, როგორებიც უნდა იყოთ — როგორც განგიმწესათ თქვენმა კეთილმა, თქვენშივე დაბუდებულმა ბუნებამ, რომ თქვენი ჩემდამი სიყვარული ამაო არ იყოს, რომ მართლაც თქვენი მარჩენალი ვიყო!“

დიახაც, ხუმრობა იქით დარჩეს, ტენტეტნიკო

ტონისთვის კი წვეთსაც არ იმეტებდა. დედაკაცებთან საქმის მოგვარება კიდევ უფრო უჭირდა. საბატონო გადასახადისგან განთავისუფლებას სთხოვდნენ, გვიჭირსო. უცნაური კია! ტილოს, კენკრის, სოკოსა და თხილის მოტანა აკრძალა, სხვა სამუშაოებიც გაუნახევრა, ფიქრობდა, ოჯახში იფუსფუსებენ, თავიანთ კაცებს შეუკერავენ, ჩააცმევენ, ბოსტნებს გაადიდებენო. მოგცლია ერთი! მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა შორის ისეთი უსაქმურობა, ჩხუბი, ჭორაობა და ათასი დავიდარაბა გავრცელდა, ქმრები ემუდარებოდნენ: „ბატონო, დააცხრე ალქაჯი დედაკაცი! თითქოს ეშმაკი შეუძვრა სულშიო! სიცოცხლე შემაძულა!" რამდენჯერმე გული გაიმაგრა და სიმკაცრე მოინდომა. მაგრამ როგორ იქნები მკაცრი? დედაკაცი ისეთი მოდიოდა, ისე ფლიკვინებდა, ისეთი საპყარი და ავადმყოფი იყო, ისეთ საძაგელ, საზიზღარ ძონძებს იხვევდა ტანზე, მაინც სად შოულობდა, ღმერთმა უწყის. „მომშორდი, მომშორდი, ოღონდ ჩემა თვალმა აღარ დაგინახოს და რაც გინდა, ის ქენი!" — ეუბნებოდა საწყალი ტენტეტნიკოვი. და ამის შემდეგ, ბედნიერება ჰქონდა, დაენახა, ეს საპყარი, ჭიშკარს გასცდებოდა თუ არა, თუნდაც თალგამისათვის, მეზობლის დედაკაცს როგორ შეებმებოდა და გვერდებში ისე უზაპუნებდა, ზორბა მამაკაცს შეშურდებოდა. გადაწყვიტა, მათთვის ესწავლებინა კიდეც, მაგრამ აქედან ისეთი სისულელე გამოვიდა, ცხვირიც კი ჩამოუშვა, — გაფიქრებადაც არ ღირდა. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეუნელა მეურნეობისა, სასამართლოს განსახილველი საქმეებისა და მოქმედებისაკენ სწრაფვა. სამუშაოებს უკვე უყურადღებოდ ესწრებოდა: ფიქრი შორს ფრენდა, თვალები აცაბაცა გაურბოდა. თიბვის დროს ვერც ამჩნევდა, როგორ თანაბრად მოძრაობდა ცელი და როგორ ეფინებოდა მიწაზე ბალახი; ამის ნაცვლად სადღაც, გვერდზე მდინარეს გასცქეროდა, რომლის ნაპირებზეც წითელცხვირა, წითელფეხება მარტინი[1] დადიოდა — რასაკვირველია, ჩიტი და არა ადამიანი; იმ მარტინივით იცქირებოდა, ნისკარტში თევზი სიგანეზე რომ უჭირავს და ფიქრობს, გადავყლაპო თუ არაო, თან მდინარეს მიშტერებია, სადაც, მოშორებით, მეორე მარტინი მოჩანს, რომელსაც თევზი ჯერ არ დაუჭერია და თევზდაჭერილ მარტინის თვალმოუშორებლივ მიჩერებია. პურის აღებისას არც ინტერესებდა, როგორ აგებდნენ ძნას — ბულულებად, ჯვრისებურად, თუ ზოგჯერ უბრალოდ, როგორც მოხვდებოდათ, არაფერი ესაქმებოდა. ზანტად თუ სხარტად დგამდნენ თივის ზვინებს თუ საპალნეებს. თვალმოჭუტული, ცისკენ თავაღერებული, ცხვირს მინდვრებიდან მონაბერ სურნელს მიუშვერდა, ხოლო ყურს — ჰაერში გაბნეულ დამატკბობელ ჰანგებს, ეს ჰანგები კი, ყოველი მხრიდან, ციდან თუ მიწიდან, ერთ ხმაშეწყობილ გუნდად იღვრება, ერთმანეთს სრულებითაც არ უშლიან ხელს. მწყერი კუტკუტებს, ღალღა ბალახში ჭყივის, გადამფრენი მეკანაფიები ყივყივებენ და ჭიკჭიკებენ, უხილავი ციური კიბიდან მოისმის ტოროლების გალობა და წეროების მწკრივიდან მონაბერი ღაღანი — თითქოსდა ვერცხლის მილებში გამოვლილი, — წკრიალით რომ ავსებენ უკაცრიელ ლაჟვარდს. თუ ახლოს მუშაობდნენ, ის, თავისი არსებით, შორს იყო, თუ მოშორებით მუშაობდნენ, თვალებს ახლო აცეცებდა. და იმ დაბნეულ მოწაფეს ჰგავდა, წიგნშიც რომ იყურება და ამხანაგის ნაჩვენებ ბრანწსაც ხედავს. ბოლოს სამუშაოებზე სიარულს სულაც თავი დაანება, სასამართლოსაც და ყოველგვარ განხილვებსაც მოეშვა, დაჯდა შინ და მოურავსაც აღარ იღებდა.

მეზობლებიდან მასთან შეუხვევდა ხოლმე ჩიბუხის კვამლით გაჟღენთილი

---

1. მარტინი — წყლის ჩიტი, თევზით იკვებება.

ჰუსარ-პორუჩიკი ანდა ბრანდერ-პოლკოვნიკი, ყველა თემაზე საუბრის ოსტატი და მოყვარული, ესეც მოსწყინდა. მათი საუბრები რაღაც ზერელე მოეჩვენა; ცოცხალი, მახვილი მიმართვები, მუხლებზე ხელის დატყაპუნება და სხვა მოურიდებლობანი უკვე ზედმეტ პირდაპირობად და უბოდიშობად მიაჩნდა. გადაწყვიტა, მათ დაშორებოდა და ეს საკმაოდ უკმეხადაც გააკეთა. კერძოდ, [illegible] ყველა ზერელე საუბარში უსასიამოვნოესი, ყველა ბრანდერ-პოლკოვნიკს [illegible] გენელი, ვარვარ ნიკოლაევიჩ ვიშნეპოკრომოვი სწორედ იმისთვის მივიდა, რომ საუბრით გული ეჯერებინა, შეხებოდა პოლიტიკასაც, მორალსაც, ინგლისში ფინანსურ მდგომარეობასაც კი, მან შეუთვალა, რომ სახლში არ არის, და, ამავე დროს, ფანჯრიდან მოურიდებლად დაენახა. სტუმრისა და მასპინძლის მზერა ერთმანეთს შეეფეთა. ერთმა, რასაკვირველია, კბილებში გამოსცრა: „პირუტყვი!", მეორემაც რაღაც ღორის მსგავსი მიაძახა და ნაცნობობა ასე დამთავრდა. ამ შემთხვევის შემდეგ მასთან აღარავის შეუვლია. შინ სრული მარტოობა გამეფდა. ბატონი სამუდამოდ შეძვრა ხალათში, სხეული უმოქმედობას მიანდო, გონება კი რუსეთის შესახებ დიდ თხზულებაზე ფიქრს, როგორაც ფიქრობდა ამ თხზულებაზე, მკითხველს უკვე მოეხსენება. მოდიოდნენ და მიდიოდნენ ერთფეროვანი, მოსაწყენი დღეები. შეიძლება ითქვას, ისეთი წუთებიც დგებოდა, როცა, თითქოსდა, ამ ძილქუშიდან ფხიზლდებოდა. როდესაც ფოსტას ახალი გაზეთები, წიგნები და ჟურნალები მოჰქონდა და პრესაში რომელიმე ძველი ამხანაგის ნაცნობი გვარი შეხვდებოდა, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში წარმატებისთვის მიეღწია, ანდა მეცნიერებასა და მსოფლიო განათლებას ხარკს უხდიდა, გულს იდუმალი, ყრუ სევდა შემოაწკებოდა ხოლმე და თავის უმოქმედობაზე მწუხარე, მდუმარე-ნაღელიანი, ყრუ საყვედური უნებლიეთ იფეთქებდა. მაშინ საზიზღრად და საძაგლად ეჩვენებოდა თავისი ცხოვრება. მის თვალწინ არაჩვეულებრივი ძალით ცოცხლდებოდა განვლილი სკოლის დრო და უცებ, როგორც ცოცხალი, ალექსანდრ პეტროვიჩი წარმოუდგებოდა. თვალთაგან ლაპალუპით ცვიოდა ცრემლი და მთელი დღე ქვითინებდა.

რას ნიშნავდა ეს ქვითინი? ამით აკვნესებული სული ამჟღავნებდა თუ არა თავისი ავადმყოფობის საიდუმლოს — რომ მასში ჩამოყალიბება და განმტკიცება ვერ მოასწრო სულით მაღალმა ადამიანმა; რომ ახალგაზრდობისას წინააღმდეგობებთან ბრძოლაში ვერ გამოიწრთო და წინააღმდეგობებისა და დაბრკოლებებისგან გამაგრებასა და ამაღლებას ვერ მიაღწია; რომ გადამდნარი, გახურებული ლითონის მსგავსად, დიადი განცდების მდიდარი მარაგი საბოლოოდ ვერ გამოიწრთო, და ამჟამად, მოუქნელობის გამო, უძლურია მისი ნებისყოფა; რომ მისთვის არაჩვეულებრივი აღმზრდელი ძალიან ადრე მოკვდა და არავინ იყო მთელ ქვეყანაზე, ვისაც შეეძლო, მუდმივად მერყეები ძალა და მოქნილობას მოკლებული, ძალადაკარგული ნებისყოფა აღედგინა და აელორძინებინა, — ვინ დაუყვირებდა ცოცხალი, გამომაფხიზლებელი ხმით, დაუყვირებდა სულის გამომაფხიზლებელ სიტყვას: წინ! — რომელიც სჭირდება ყველგან, რომელ საფეხურზედაც ვნებავთ, მდგარ, ყველა წოდების, ღირსებისა და შემოსავლის რუს ადამიანს?

სად არის იგი, ვისაც მშობლიურ რუსულ ენაზე შეუძლია გვითხრას ყოველისშემძლე სიტყვა: წინ? ვისაც, იცის რა ყველა ძალა თვისება და ჩვენ ბუნების სიღრმე, ერთ გრძნეულ წამში რუსი ადამიანის მაღალი ცხოვრებისაკენ დაძვრა შეუძლია? როგორი სიტყვებით, როგორი სიყვარულით გადაუხდიდა მადლიერი რუსი კაცი. მაგრამ საუკუნეები ერთმანეთს სცელიან; ნახევარი მილიონი

კუტი, დონდლო და უქნარა გამოუფხიზლებლად თვლემს. და იშვიათად იბადება რუსეთში მამაკაცი, რომელსაც ამ ყოვლისშემძლე სიტყვის წარმოთქმა შეუძლია.

ერთმა გარემოებამ კი, ლამის გამოალვიძა ტენტეტნიკოვი და მის ხასიათში ლამის გადატრიალება მოახდინა.

მოხდა რაღაც სიყვარულის მაგვარი, ოღონდ აქედანაც არაფერი გამოვიდა. მეზობლად, მისი სოფლიდან ათ ვერსზე, გენერალი ცხოვრობდა, რომელიც, როგორც ვიცით, ტენტეტნიკოვზე მთლად კარგი აზრისა არ იყო. გენერალი გენერლურად ცხოვრობდა, ქეიფობდა, უყვარდა, როცა მეზობლები მასთან პატივისცემის გამოსახატავად მოდიოდნენ, თვითონ, რასაკვირველია, საპასუხო ვიზიტებს არ აკეთებდა. ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობდა, წიგნებს კითხულობდა და ჰყავდა ქალიშვილი, არაამქვეყნიური არსება, საოცარი, რომელიც ზღაპრულ ფერიას უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალს. ზოგჯერ ხდება, ადამიანს მისი მსგავსი ესიზმრება, შემდეგ, მთელი ცხოვრება ამ სიზმარზე ოცნებობს, რეალურს სამუდამოდ ეთიშება და, მართლაც, აღარაფრად ეარგა. ქალიშვილს ულინგა ერქვა. იგი რაღაც უცნაურად იზრდებოდა. ინგლისელი გუვერნანტკა ჰყავდა, რომელმაც სიტყვაც არ იცოდა რუსული. დედა ადრე გარდაცვლოდა. მამას შვილისთვის არ ეცალა. ერთი სიტყვით, ქალიშვილი სიგიჟემდე უყვარდა და მხოლოდ განებივრება შეეძლო. საოცრად ძნელია მისი პორტრეტის აღწერა. თვით სიცოცხლესავით მშვენიერი იყო, უფრო სანდომიანი, ვიდრე ულამაზესი; უკეთესი, ვიდრე ჭკვიანი; ჰაეროვან, კლასიკურ ქალზე ტანადი. ძნელი იყო მიხვედრა, რომელმა ქვეყანამ დააჩნია თავისი კვალი, მსგავს პროფილსა და სახის ნაკვთებს ვერსად მოძებნიდით, მხოლოდ ანტიკურ კამეებზე თუ შეგხვდებოდათ. როგორც ყველა თავისუფლად გაზრდილი ბავშვი, თავნება იყო. ეინმეს რომ დაენახა, მშვენიერი შუბლი სიბრაზისაგან როგორ ეჭმუხნებოდა და როგორ ეკამათებოდა მამას, უსათუოდ გაიფიქრებდა, ქვეყნად ყველაზე ჭირვეული არსებაა. რისხვა მხოლოდ მაშინ იპყრობდა, როდესაც, სულ ერთია ვის, უსამართლოდ ან მკაცრად ეპყრობოდნენ. მაგრამ როგორ ქრებოდა ეს რისხვა, როგორც კი იმ ადამიანს გაჭირვებაში დაინახავდა, ვისაც ცოტა ხნის წინ ურისხდებოდა, როგორ მაშინვე გადაუგდებდა საფულეს, არც დაფიქრდებოდა, ჭკვიანურად იქცეოდა თუ არა, დაჭრილისათვის საკუთარ კაბასაც დაანაკუწებდა, ჭრილობების შესახვევად! დაუოკებელი იყო. როდესაც ლაპარაკობდა, ყველაფერი აზრს მიჰყვებოდა: გამომეტყველება, საუბრის ტონი, ხელების მოძრაობა, კაბის ნაოჭებიც თითქოს იქით მიისწრაფოდნენ და მოგეჩვენებოდათ, თავის სიტყვებთან ერთად თვითონაც გაფრინდებაო. არაფერს ფარავდა. არავის წინაშე არ რცხვენოდა საკუთარი აზრების გამომჟღავნებისა, და ვერავითარი ძალა ვერ გააჩუმებდა, თუკი ლაპარაკი უნდოდა. ისე მომაჯადოებელი, თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მტკიცე, თავისუფალი სიარული იცოდა, რომ თავისდაუნებურად ყველა გზას უთმობდა. მის წინაშე ბოროტი ადამიანი თავს უხერხულად გრძნობდა და მუნჯდებოდა, კეთილი კი, ძალიან მორცხვიც, ენად გაიკრიფებოდა, როგორც არავისთან ცხოვრებაში — საუბრის პირველივე წუთებიდან ეჩვენებოდა, რომ სადღაც და როდესღაც უკვე გაიცნო იგი, რომ ეს უხსოვარ ბავშვობაში მოხდა, რომელიღაც მშობლიურ სახლში, მხიარულ საღამოს, ბავშვებთან ხალისიანი თამაშისას, და ამის შემდეგ ადამიანის გონიერი ასაკი რაღაც მოსაწყენად ეჩვენებოდა.

ანდრეი ივანოვიჩ ტენტეტნიკოვი ვერაფრით ვერ მოგიყვებოდათ, როგორ

მოხდა, რომ პირველივე დღიდან მასთან ისე იყო, თითქოს მთელი ცხოვრება იცნობდა. სულში ამოუხსნელი, ახალი გრძნობა შეეჭრა. მოსაწყენი ცხოვრება წუთით განათდა. ხალათი დროებით გვერდზე გადადო, ისე დიდხანს უკვე აღარ გორავდა ლოგინში, მიხაილო, პირსაბანით ხელში ზღურბლთან ისე დიდხანს აღარ იდგა. ოთახებში ფანჯრები იღებოდა და ხშირად [illegible] მამულის მფლობელი დიდხანს დადიოდა თავისი ბაღის ბნელი [illegible] [illegible] ფანჯარამტაც შორეულ ხეღებს საათობით მიჰჩერებოდა.

გენერალი თავდაპირველად ტენტეტნიკოვს საკმაოდ კარგად და გულთბილად ხვდებოდა მაგრამ მაინც ვერ დამეგობრდნენ. მათი საუბარი ყოველთვის კამათით და ორივე მხრიდან არასასიამოვნო შეგრძნებით მთავრდებოდა. გენერალს შეპასუხება არ უყვარდა, თანაც, ამავე დროს, იმაზე გააბამდა კამათს, რაზეც წარმოდგენაც არ ჰქონდა. თავის მხრივ ტენტეტნიკოვიც ფიცხი კაცი ბრძანდებოდა. თუმცა ქალიშვილის ხათრით მამას ბევრს პატიობდა. მათ შორის მშვიდობა მანამდე სუფევდა, სანამ გენერალთან სტუმრად ნათესავები არ ჩამოვიდნენ, გრაფინია ბოლდირევა და კნიაჟნა იუზიაკინა: ერთი ქვრივი, მეორე — შინაბერა, ორივე ძველი დროის ფრეილინა, ორივე ლაქლაქა, ორივე ჭორიკანა. თავაზიანობითაც ვერ დაიკვეხნიდნენ, ერთი კია, პეტერბურგში საკმაოდ დიდი ნაცნობობა ჰყავდათ, ამიტომ გენერალი მათ ცოტათი ეპირფერებოდა კიდეც. ტენტეტნიკოვს მოეჩვენა, რომ მათი ჩამოსვლის დღიდანვე გენერალი მისადმი გულგრილი გახდა, თითქოს არც ამჩნევდა და ისე მიმართავდა, როგორც უუფლებოსა და საბუთების გადამწერ ყველაზე უმნიშვნელო ჩინოვნიკს. ხან „ძმაო" უწოდა, ხან „უძვირფასესო", ერთხელ „შენობითაც" მიმართა. ანდრეი ივანოვიჩი აღშფოთდა; სისხლი თავში აუვარდა. გული ვაიმაგრა, ბოლმა გულში ჩაიხშო, კბილი კბილს დააჭირა, და თუმცა სახე ლაქებით ჰქონდა დაფარული და შიგნით ყველაფერი უდუღდა, ნებისყოფა ეყო, არაჩვეულებრივად თავაზიანი და რბილი ხმით ეთქვა: „მადლობას მოგახსენებთ, გენერალო, თქვენი ჩემდამი კეთილგანწყობისათვის. „შენობით" მომაროვით ახლო მეგობრობისკენ მიბიძგებთ და მოვალედ მხდით, მეც „შენობით" მოგმართოთ. მაგრამ, ნება მიბოძეთ, აღვნიშნო, რომ კარგად მახსოვს ჩვენს შორის ასაკობრივი სხვაობა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ჩვენს შორის ასეთ ფამილარულ დამოკიდებულებას". გენერალი შეცბა. სიტყვები და აზრი მოიკრიფა, ლაპარაკი დაიწყო, თუმცა რამდენადმე არეულად, რომ „შენ" ცუდი მნიშვნელობით არ უთქვამს, რომ მოხუცს, ზოგჯერ, უფლება აქვს, ახალგაზრდა კაცს „შენობით" მიმართოს (თავისი ჩინი არც უხსენებია).

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ მათი ნაცნობობა შეწყდა: და სიყვარულიც ჩანასახშივე ჩაკვდა. წამით მის თვალწინ აკიაფებული სინათლე ჩაქრა და ჩამოწოლილი ბინდბუნდი კიდევ უფრო დაბინდდა. ნაცარქექია ისევ თავის ხალათში შეძვრა, ისევ წოლამ და უმოქმედობამ მოიცვა. სახლში ჭუჭყი და უწესრიგობა გამეფდა. ცოცხი, ნაგავთან ერთად, მთელი დღეობით შუაგულ ოთახში იდო. შარვალს სასტუმრო ოთახშიც იხილავდით. კოხტა მაგიდაზე, დივანის წინ, სტუმრისთვის მისარომევი ნუგბარივით, გაზინთული აჭიმი ეგდო, და იქამდე უმაქნისი და მთვლემარე გახდა მისი ცხოვრება, რომ, არა მარტო მოსამსახურეებმა დაჰკარგეს ბატონისადმი პატივისცემა, ქათმებიც კი უნისკარტებდნენ ხოლმე. საათობით უსასოოდ ხაზავდა ქაღალდზე ორკაპებს, სახლებს, ქოხებს, საზიდრებს, სამცხენა ეტლებს, ანდა წერდა: „მოწყალეო ხელმწიფევ!" ძახილის ნიშანი მთელის დიდებულებითა და ლირსებით გამოჰყავდა. ზოგჯერ კი,

გარემოსგან მოწყვეტილი პატრონის დაუკითხავად, კალამი თავისთავად ხატავდა კოხტა თავს ფაქიზი, მკვეთრი ნაკვთებით, ზემოთ აწეული თმით, სავარცხლიდან გრძელ წვრილ კულულებად რომ ეშვებოდა, ნორჩი, შიშველი მკლავებით, თითქოს მიფრინავსო — და გაოცებული ბატონი ხედავდა, როგორ გამოკვეთებოდა იმის პორტრეტი, რომელსაც ვერც ერთი შემოქმედი ვერ შექმნიდა. უფრო და უფრო ეძალებოდა სევდა და, დარწმუნებული, დედამიწაზე ბედნიერება არ არსებობსო, მთელი დღე მოწყენით, მდუმარედ იჯდა.

ასეთ განწყობაზე იყო ანდრეი ივანოვიჩ ტენტეტნიკოვი იმ დღესაც, ჩვეულებისამებრ, ჩიბუხითა და ფინჯნით ხელში, ფანჯარას რომ მიუახლოვდა, ეზოში მოძრაობა და ფუსფუსი შეამჩნია. მზარეულის შეგირდი და იატაკის მრეცხავი ქალი ჭიშკრის გასალებად გარბოდნენ, ჭიშკარში ცხენები ისე გამოჩნდნენ, როგორც აქანდაკებენ ან ხატავენ მათ ტრიუმფალურ თაღთან: დრუნჩი მარჯვნივ, დრუნჩი მარცხნივ, დრუნჩი შუაში. მაღლა, კოფიზე კი — მეეტლე და ფარითხერთუკიანი ლაქია, რომელსაც წელზე ცხვირსახოცი ჰქონდა შემორტყმული. მათ უკან ბატონი — კარტუზსა და შინელში, თან ჭრელყვავილებიან თაიმალში შეფუთული. როდესაც ეკიპაჟი შეჩერდა, მხოლოდ და მხოლოდ რესორიანი ბრიჩკა აღმოჩნდა, არაჩვეულებრივად სახიამოვნო გარეგნობის მამაკაცი, ჯარისკაცური სისჩარტითა და სიმარდით, პარმაღს მოაწყდა.

ანდრეი ივანოვიჩს შეეშინდა. სტუმარი მთავრობის მოხელედ მიიჩნია. უნდა იოქვას, რომ ახალგაზრდობისას ის ერთ უსიამოვნო საქმეში იყო ჩათრეული. მოფილოსოფოსო ჰუსარებმა, სწავლადაუმთავრებელმა სტუდენტებმა და გაკოტრებულმა მოთამაშეებმა ბებერი თაღლითისა და მასხინის, ბანქოს მოთამაშის, ლოთისა და ენაწყლიანი კაცის უზენაესი განმგებლობის ქვეშ ფილანთროპიული საზოგადოება ჩამოაყალიბეს. ამ საზოგადოების მიზანი იყო — მთელი კაცობრიობისათვის, ტემზის ნაპირებიდან კამჩატკამდე, ურყევი ბედნიერების მოტანა. დიდი თანხა დასჭირდათ, უზომო შეწირულებანი გროვდებოდა სულგრძელი წევრებისაგან. რა გზას გაუყენეს ეს თანხა — მხოლოდ უზენაესმა განმკარგულებელმა უწყოდა. ამ საზოგადოებაში ის ორმა ძმაკაცმა ჩაითრია, რომლებიც იმედგაცრუებული, კეთილი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებოდნენ და მეცნიერების, განთლებისა და პროგრესის სახელით ხშირი სადღეგრძელოების შემდეგ ნაძღვილ ლოთებად იქცნენ. ტენტეტნიკოვი მალე მოეგო გონს და ამ წრეს გამოეთიშა. მაგრამ საზოგადოებამ, ამასობაში, რაღაც სხვა, მაღალი წოდებისთვის შეუფერებელ, საქმეებში გახვევა მოასწრო. შემდეგ პოლიციაც ჩერია... ამიტომაც საკვირველი არაა, რომ თუმცა კაცობრიობის კეთილისმყოფელთან ფიველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა, ტენტეტნიკოვი მაინც ვერ მშვიდდებოდა. სინდისი მოლად სუფთა არ ჰქონდა. გაჭრიალებულ კარს არც ისე უშიშრად აკურადებდა.

შიში მაშინვე გაუქრა, როცა სტუმარმა, მისალმების ნიშნად, თავი მუხლებამდე დაუკრა და, ამავე დროს, გვერდზე მოკრძალებით გადახარა, მოკლედ და გასაგებად აუხსნა, რომ უკვე კარგა ხანია, საჭიროებისა და ცოდნის გაღრმავებისათვის, რუსეთში მოგზაურობს; რომ ჩვენი სახელმწიფო არაჩვეულებრივი საგნებითაა მდიდარი, თუ არაფერს ვიტყვით ბუნების სილამაზესა, სარეწების სიუხვესა და მრავალფეროვან ნიადაგზე; რომ ამ სოფლის სილამაზემ მიიზიდა; რომ, ამ სილამაზის მიუხედავად, თავისი უადგილო სტუმრობით არ შეაწუხებდა, მაგრამ ბრიჩკა დაუზიანდა და მჭედლებისა და ხელოსნების ხელი სჭირდება; თუმცა, არაფერიც რომ არ მომხდარიყო, თავს მისი პირადად გაცნობის საამოვნებას ვერ მოაკლებდა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკი რომ დაამთავრა, ქუსლი ქუსლს მოხდენილად შემოჰკრა და, სიმსუქნის მიუხედავად, ელვის უსწრაფესად უკან გადახტა.

ანდრეი ივანოვიჩმა გაიფიქრა, ცოდნისმოყვარული ვისმე სწავლული პროფესორი იქნება, რომელიც, ალბათ, რუსეთში იმიტომ მოგზაურობს, მცენარეები და იქნებ წიაღისეულიც შეაგროვოსო. ყოველგვარი დახმარება [illegible] ბრიჩკის შესაკეთებლად ხელოსნები, მებორბლეები, მჭედლები [illegible] საკუთარ სახლში, ისე მოისვენეთო, უთხრა, თავაზიანი სტუმარი ვოლტერის საგარძელში[1] დააბრძანა და მისი საუბრის, უდავოდ, სამეცნიერო და საბუნებისმეტყველო საკითხებზე, მოსასმენად მოემზადა.

სტუმარი კი უმეტესად შინაგან სამყაროს შეეხო. საუბარი ბედის უკეთურობაზე ჩამოაგდო; თავისი ცხოვრება ზღვის ტალღებში მოქანავე ნავს შეადარა; ისიც აღნიშნა, რომ ბევრი ადგილი და თანამდებობა გამოიცვალა, რომ სიმართლისათვის ბევრი დამცირება გადაიტანა, რომ მის სიცოცხლესაც კი საფრთხე არაერთხელ დაემუქრა. და კიდევ ბევრი ისეთი რამ მოჰყვა, რომლის მიხედვითაც ტენტეტნიკოვმა დასკვნა: სტუმარი უფრო პრაქტიკული ადამიანი იყო, ვიდრე მას ეგონა. ბოლოს, თეთრ, ბატისტის ცხვირსახოცში ცხვირი ისე ხმამაღლა მოიხოცა, ანდრეი ივანოვიჩს მსგავსი არაფერი მოესმინა. ზოგჯერ ორკესტრში ეშმაკი — საყვირი გამოჰტენა და უდროოდ დროს, ორკესტრისაგან მოწყვეტით, დაიყვირებს. ზუსტად ასეთი ხმა გაისმა მიყუჩებული სახლის გამოღვიძებულ სავანეებში, და ამას მაშინვე ოდეკოლონის შეუმჩნევლად გავრცელებული სურნელი მოჰყვა, პეწიანად აფრიალებული ცხვირსახოციდან რომ იფრქვეოდა.

მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა, რომ სტუმარი სხვა არავინ იყო, თუ არა ჩვენი პატივცემული, ჩვენგან დიდი ხნის მიტოვებული პაველ ივანოვიჩ ჩიჩიკოვი. ცოტათი კიდეც დაბერებული: ეტყობა, არცთუ მშვიდად ჩაუვლია მისთვის ამ დროს. ფრაკიც მობერებულა, ბრიჩკაც, მეეტლეც, მსახურიც, ცხენებიც და აკაზმულობაც კი გაქექილა და გაცვეთილა. ჩანდა, ფინანსური მდგომარეობაც არ ჰქონდა სახარბიელო. მაგრამ სახის გამომეტყველება, ზრდილობა, თავაზიანი მოქცევა ისევ ისე ამშვენებდა. საქციელი და მიმოხვრა უფრო სახიამოვნოც კი გაუხდა, საგარძელში ჩაჯდომისას ფეხი მკვირცხლად შეიკეცა; მეტყველებას მეტი სილბო მიეცა სიტყვებსა და გამოთქმებს — ფრთხილი თავშეკავება, თავდაჭერილობა და ტაქტი. საყელოები და გულისპირი თოელივით უქათქათებდა, და, მიუხედავად იმისა, რომ გზიდან იყო, ახალმოსულის ფრაკს მტვრის ბუსუსიც არ აჩნდა — გინდაც, გაშლილ სუფრასთან მიგეწვეოთ. ლოყები და ნიკაპი ისე პირწმინდად გაეპარსა, მზოლიდ ბრმა ვერ მოახერხებდა მათი სახიამოვნო სიმრგვალით დატკბობას.

სახლი გახალისდა. აქამდე ჩაბნელებულ, ჩაშვდილდარაბებიან ხახვარს თვალი აეხილა. დაიწყეს პრიჩკიდან ტვირთის გადმოზიდვა. ყველაფერს გაჩირაღდნებულ ოთახებში ანაწილებდნენ, და მალე ასე განალაგეს: საძინებლად განკუთვნილ ოთახში ღამის ტუალეტისთვის საჭირო ნივთები დაიწყვეს; კაბინეტისთვის განსაზღვრულ ოთახში... ჯერ უნდა ვიცოდეთ, რომ აქ სამი მაგიდა იდგა: ერთი — საწერი, მეორე — ლომბერისა, კედელთან, ფანჯრებს შორის, მესამე — კუთხისა, საძინებლის კარსა და უკაცრიელ, ინვალიდი ავეჯით გაწყობილ ოთახს შორის. ამ კუთხის მაგიდაზე ჩემოდნიდან ამოღებული ტანსაცმელი მოთავსდა, კი-

1. ვოლტერის საგარძელი — ესმა, ჰაღალზურგიანი საგარძელი (როგორიც ვოლტერს, XVIII საუკუნის ფრანგ მოაზროვნესა და მწერალს, ჰქონდა).

რძოდ: შარვალი — ფრაკის ქვეშ ჩასაცმელი, შარვალი — სერთუკის ქვეშ ჩასაცმელი, შარვალი — ნაცრისფერი, ორი — ხავერდის ჟილეტი, ორიც — ატლასისა, სერთუკი და ორი ფრაკი (თეთრი პიკეს ჟილეტები და საზაფხულო შარვლები, საცვლებთან ერთად კომოდში ჩააწყვეს). ყველაფერი ეს ერთმანეთზე, პირამიდისებურად დალაგდა და ზემოდან აბრეშუმის ცხვირსახოცი გადაეფარა. მეორე კუთხეში, კარსა და ფანჯარას შორის, ჩექმები გამწკრივდნენ: ჩექმები — არც მთლად ახლები, ჩექმები — მთლად ახლები, ჩექმები — ახალპირიანები და ლაქის — დაბალყელიანები. მათაც აბრეშუმის ცხვირსახოცისთვის მორცხვად შეეფარებინათ თავი — თითქოს იქ არც იყვნენ. ორი ფანჯრის წინ მდგარ მაგიდაზე ზარდახშა მოთავსდა. დივანის წინ, მაგიდაზე — პორტფელი, ოდეკოლონის ქილა, ლუქი, კბილის ჯაგრისები, ახალი კალენდარი და ორი რომანი, ორივე — მეორე ტომი. სუფთა საცვლები კომოდში ჩალაგდა, რომელიც უკვე იდგა საძინებელში; გასარეცხი საცვლების ფუთა კი საწოლქვეშ შეაგდეს. ხმალიც საძინებელ ოთახში, საწოლთან ახლოს, ლურსმანზე ჩამოკიდეს. ორივე ოთახმა უჩვეულოდ სუფთა და საამო იერი მიიღო — არც ქაღალდის ნახევი, არც ბუმბული, არც ნაგვის ნასახი... ჰაერიც კი გაკეთილშობილდა, ჯანმრთელი, სუფთა მამაკაცის სუნით გაიჟღინთა, საცვლებს რომ დროულად იცვლის, აბანოში დადის და კვირაობით ტანს სველი ღრუბლით იწმენდს. შემოსასვლელში მოსამსახურე პეტრუშკას სუნის დამკვიდრების საშიშროება იმუქრებოდა, მაგრამ პეტრუშკა, როგორც ღირსი იყო, მალე სამზარეულოში გააბრძანეს.

პირველ დღეებში ანდრეი ივანოვიჩს დამოუკიდებლობის დაკარგვისა ეშინოდა, ეგონა, სტუმარი შეზღუდავდა, მისი ცხოვრების წესში რაიმე ცვლილებების შეტანით შეავიწროვებდა და ასე მარჯვედ შემუშავებულ დღის განრიგს დაარღვეევინებდა, — მაგრამ შიში ამაო გამოდგა. ჩვენმა პაველ ივანოვიჩმა შემგუებლობის არაჩვეულებრივი უნარი გამოიჩინა. მასპინძლის ფილოსოფიური უშფოთველობა მოიწონა: ასწლიანი ცხოვრების საწინდარიაო, აღნიშნა, განმარტოებაც აღმაფრთოვანებელი სიტყვებით შეამკო — ადამიანში დიად აზრებს ბადებსო. ბიბლიოთეკაში წიგნებს ხოტბა შეასხა — ადამიანს უსაქმურობისგან იცავენო. ერთი სიტყვით, ცოტა, მაგრამ ღრმააზროვნად ილაპარაკა მოქმედებაშიც შეუდარებელი იყო. დროზე ცხადდებოდა, დროზე გადიოდა; პასპინძელს, გარინდებისას, ზედმეტი კითხვებით თავს არ აბეზრებდა; ჭადრაკს სიამოვნებით ეთამაშებოდა, სიამოვნებით დუმდა. მაშინ, როცა ერთი ჩიბუხის კვამლს პირიდან რგოლებად უშვებდა, მეორე ჩიბუხს არ ეწეოდა. მაგრამ შესაფერის გასართობს იგონებდა: მაგალითად, ჯიბიდან ვერცხლით მოსილვადებულ საბურნუთეს ამოიღებდა, მარცხენა ხელის ორ თითში დაიჭერდა და მარჯვენა ხელის თითით ისე აბრიალებდა, როგორც ლედამიწა ტრიალებს თავისი ღერძის გარშემო, ანდა, უბრალოდ, უაზრო ღიღინით, თითებს საბურნუთეს ურახუნებდა. ერთი სიტყვით, მასპინძელს ხელს არ უშლიდა. „პირველად ეს ადამიანს, რომელთანაც ცხოვრება შეიძლება, — ამბობდა თავისთვის ტენტეტნიკოვი. — ეს ხელოვნება ჩვენ საერთოდ გვაკლია. ჩვენს შორის ბევრია ჭკვიანიც, განათლებულიც, კეთილიც, მაგრამ მუდამ სასიამოვნო, თანაბარზომიერი ხასიათისა, რომელთანაც შეიძლება საუკუნე იცხოვრო და არ იჩხუბო — არა მგონია, ბევრი მოიძებნოს! აი, პირველი, ერთადერთი, რომელიც შემხვდა!“ ასეთი აზრისა იყო ტენტეტნიკოვი თავის სტუმარზე.

ჩიჩიკოვიც, თავის მხრით, ერთობ გახარებული იყო, რომ ასეთ მშვიდსა და ოვინიერ მასპინძელთან სტუმრობდა. მოხეტიალე ცხოვრება მოსწყინდა. მშვე-

ნიერ სოფელში, თუნდაც ერთი თვით დასვენება, მინდერებისა და ადრიანი გაზაფხულის ფონზე, ჰემორროიდული ოვალსაზრისითაც სასარგებლო იყო. დასასვენებლად ამაზე უკეთეს ადგილს ვერავინ გამოძებნიდა. გაზაფხულმა ეს კუთხე ზღაპრული ფერებით მორთო. რა ხასხასა მოლი! რა სუფთა ჰაერი! ბალში ჩიტების რა ჭიკჭიკი! ირგვლივ სამოთხე, სიხარული და ზეიმი! სოფელი ახალშობილივით ხმაურობდა და მღეროდა.

ჩიჩიკოვი ბევრს დადიოდა. ხან მაღლობების ბრტყელი თხემებისკენ მისეირნობდა, საიდანაც გადაშლილი ველი და აქა-იქ გამდნარი ყინულისაგან დარჩენილი ტბები მოჩანდნენ; ანდა ღრანტეებში ჩადიოდა, სადაც ახლადაკვირტებული ხეები დამძიმებული იყო ჩიტის ბუდეებით, ყვავების გამაყრუებელი ყრანტალით, ჭკების ჭივჭივით, ჭილყვავების ჩხავილით, ცას ფრენით რომ აბნელებენ; ანდა ძირს ჩადიოდა, ჭალებისა და გახეოქილი კაშხალებისაკენ — შეეხედა, როგორი გამაყრუებელი დგაფუნით მოთქრიალებდა წყალი წისქვილის ქვისკენ; ანდა ნავმისადგომამდე გააღწევდა, საიდანაც, დინებას მინდობილნი, მუხუდოთი, შვრიით, ქერითა და ხორბლით დატვირთული პირველი გემები მიცურავდნენ; ანდა მინდვრებს მიაშურებდა, ახალდაწყებული საგაზაფხულო სამუშაოების საცქერლად — მოლზე შავ ზოლად როგორ გადიოდა ახალი ხნული, ანდა მარჯვე მთესველი როგორ ზუსტად, სხარტად ისროდა თესლს მუჭიდან ისე, რომ არც ერთი მარცვალი არ იკარგებოდა, ესაუბრებოდა და ეკამათებოდა მოურავსაც, გლეხკაცსაც, მეწისქვილესაც — რა, როგორ, მოსავალი როგორი იქნება, როგორ მიდის ხვნა, პური რამდენად იყიდება, რა ჰქვია თითოეულ გლეხს, ვინ ვისი ნათესავია, სად იყიდა ძროხა, რას აჭმევს ღორს, ერთი სიტყვით — ყველაფერზე. ისიც გაიგო, რამდენი გლეხი მოკვდა, გამოირკვა — არცთუ ისე ბევრი. როგორც გონიერმა კაცმა, შეამჩნია, რომ ანდრეი ივანოვიჩის მეურნეობის საქმე მთლად კარგად ვერ მიდის, ყველგან დაუდევრობა და უსულგულობა, ქურდობა და ლოთობაა. თავისთვის, ფიქრში, ამბობდა: „მაინც, რა პირუტყვია ტენტეტნიკოვი! ასე როგორ მიუშვა მამული, რომელსაც, სულ ცოტა, ორმოცდაათი ათასი წლიური შემოსავლის მოცემა შეუძლია!“ თავს ვერ ერეოდა და სამართლიან აღშფოთებას ხშირად გამოთქვამდა: „ნამდვილად პირუტყვია!“ ასეთი სეირნობის დროს არაერთხელ მოსვლია აზრად, ოვითონაც გამხდარიყო — უფრო სწორად, ახლა კი არა, შემდეგ, როდესაც მთავარ საქმეს მოაგვარებდა და საშუალებაც ექნებოდა — მსგავსი მამულის მშვიდობიანი მფლობელი. აქ, ჩვეულებისამებრ, ახალგაზრდა დიასახლისი წარმოუდგებოდა, ქორფა, თეთრი პირისახისა, შეიძლება, ეაჭართა წრიდანაც, ოღონდ, უეჭველად განათლებული და თავადის ქალივით აღზრდილი — მუსიკაც უნდა სცოდნოდა, თუმცა, მუსიკა არ არის მთავარი, არა, რატომაც არა, თუკი ასეა მიღებული, რა საჭიროა საერთო აზრის წინააღმდეგ წასვლა? წარმოუდგებოდა მომავალი თაობაც, რომელსაც ჩიჩიკოვების გვარი უნდა უკედავეყო: ანცი ბიჭუნა და ულამაზესი გოგონა, ანდა ორი ბიჭუნა და ორი ან სამი გოგონა, რომ ყველას გაეგო — მართლაც, იცხოვრა და იარსება. დედამიწის ზურგზე აჩრდილივით კი არ ჩაუვლია. სამშობლოს წინაშეც ვალი პირნათლად მოიხადა. ისიც წარმოუდგებოდა, რომ ჩინის მომატებაც არ აწყენდა. სახელმწიფო მრჩეველი, მაგალითად, საპატიო და პატივსაცემი ჩინი... და ბევრი ისეთი ოცნება მოსდიოდა თავში, რომელიც ადამიანს მოსაწყენი დღევანდელობიდან ხშირად შორს მიაფრენს, აფორიაქებს, აღიზიანებს, გულში იმედს უღვიძებს და მაშინაც ეფონება გულს, როცა დარწმუნებულია, რომ მის ოცნებას ახდენა არ უწერია.

პაველ ივანოვიჩის შინაყმებსაც სოფელი ძალიან მოეწონათ. ისინიც, თავიანთი ბატონივით, აქაურობას შეეთვისნენ. პეტრუშკა ძალიან მალე დაუმეგობრდა მებუფეტე გრიგორის, თუმცა თავიდან ერთმანეთს აუტანლად ეჩხუბებოდნენ და ებუტებოდნენ კიდეც. პეტრუშკამ თვალში ნაცარი შეაფარა — ლიტრომანია, იაროსლავლსა, ნიჟნსა და მოსკოვშიც ვყოფილვარო, გრიგორიმ კი უცბად პეტერბურგით მოაკეტინა, რომელშიც პეტრუშკა არ იყო ნამყოფი. ამ უკანასკნელს ნაცნობ, შორეულ მხარეებში უნდოდა გამგზავრება, მაგრამ გრიგორიმ ისეთი ადგილი დაუსახელა, რომელსაც ვერც ერთ რუკაზე ვერ იპოვიდით და ოცდათი ათას ვერსზე მეტი დათვალა, ასე, რომ პეტრუშკამ პირი დააღო და აქ მოელმა სახლობამ მასხრად აიგდო. მოკლედ, საქმე საოცრად მტკიცე მეგობრობით დამთავრდა: მელიტ ბიძია პიმენს სოფლის ბოლოს სახელგანოქმული დუქანი ჰქონდა, რომელსაც „აკულკა" ერქვა; მათ მთელი დღეობით, აქ ხედავდნენ. აქ დამეგობრდნენ და, როგორც ხალხი ამბობს, — დუქნის მუდმივი მუშტრები გახდნენ.

სელიფანს სხვა რამ იზიდავდა. სოფელში შებინდებისას მღეროდნენ, ყველა ფერხულში იყო ჩაბმული. ჯიშიანი, ტანკენარი გოგონები, რომელთა მსგავსსაც სხვა კუთხეში ძნელად თუ შეხვდებოდით, საათობით ფერხულში დგომას აიძულებდნენ. ვერ გამოარჩევდით, რომელი სჯობდა: ყველა — თეთრგულა, თეთრყირმიზა, საცრისოდენა, ჟუჟუნა თვალებით, კი არ დადიან, დანარნარებენ, ნაწნავი წელამდე სცემთ. რიდესაც ხელებს იმათ თეთრ მტევნებს ჩასჭიდებდა და ფერხულში ჩაბმული ნელ-ნელა ირხეოდა, ანდა სხვა ყმაწვილებთან ერთად მწკრივეში მათკენ მიემართებოდა, თან ცხელი, წითლად მოლაჟლაჟე სალამო იღეოდა და არემარეს ჩუმად ჯანღი ეპარებოდა. შორიდან, მდინარის გაღმა ნაპირიდან კი ნიადაგ სეედიანი ჰანგის გამოძახილი ისმოდა — თვითონაც ვერ გაეგო, რა ემართებოდა. შემდეგ დიდხანს, ძილშიაც და ცხადშიაც, დილასაც და სალამოსაც, ეჩვენებოდა, რომ ისევ, თეთრ ხელებს ჩაჭიდებული ფერხულშია ჩაბმული. ხელის ჩაქნევით ამბობდა: „შეჩვენებული გოგოები!"

ჩიჩიკოვის ცხენებსაც მოეწონათ ახალი საცხოვრებელი. ხელნის ცხენსაც, გვერდითა ჩალისფერსაც, „ზასედატელს" რომ ეძახდნენ, და ყველაზე აბრაშასაც, სელიფანი ასე რომ ამკობდა: „ცულლუტი ცხენი", ტენტეტნიკოვთან ძალიანაც მოეწონათ, შვრია ძშვენიერი იყო, საჯინიბო კი საოცრად მოსახერხებელი. თითოეულის ბაგა, მართალია, სხვებისგან გადაეტიხრათ, მაგრამ ტიხრებს იქით სხვა ცხენების დანახვა შეიძლებოდა, ისე, რომ, რომელიმეს, ყველაზე შორს მყოფსაც კი, ჭიხვინი თუ მოესურვებოდა, მაშინვე გამოეპასუხებოდნენ.

ერთი სიტყვით, ისე მოეწყვნენ, როგორც საკუთარ სახლში. მკითხველს, ალბათ, უკვირს, რომ ჩიჩიკოვს მკვდარ სულებზე აქამდე კრინტიც არ დაუძრავს. ვერ მოგართვით! პაველ ივანოვიჩი ძალიან გაფრთხილდა. ნამდვილ სულელებთანაც რომ ჰქონოდა საქმე, ასე სწრაფად მაშინაც არ დაიწყებდა. ტენტეტნიკოვი კი, როგორც არ უნდა იყოს, წიგნებს კითხულობს, ფილოსოფოსობს, ცდილობს, ახსნას — საიდან, რატომ... „არა, ეშმაკმა დალახვროს, სხვა მხრიდან უნდა დაეიწყო!" — ფიქრობდა ჩიჩიკოვი. შინაყმებთან ხშირი საუბრებით, სხვათა შორის, ისიც გაიგო, რომ ბატონი უწინ, არცთუ იშვიათად, მეზობელ გენერალთან დადიოდა, რომ გენერალს ქალიშვილი ჰყავს, რომ ბატონი ამ ქალიშვილს ეტრფოდა და ქალიშვილიც... მაგრამ მერე რალაცაზე ვერ მორიგდნენ და დაშორდნენ. თვითონაც შეამჩნია, რომ ანდრეი ივანოვიჩი ფანქრითა და კალმით სულ ერთმანე-

თის მსგავს თაეებს ხატავდა. ერთხელ, სადილის შემდეგ, ჩეეულებისამებრ სათუთუნეს თითით რომ ატრიალებდა, ასე დაიწყო:

— ყველაფერი გაქვთ, ანდრეი ივანოვიჩ, მხოლოდ ერთი რამ გაკლიათ.

— რა? — ჩაეკითხა ტენტეტნიკოვი, თან ბოლქვა-ბოლქვა კვამლს უშვებდა.

— ცხოვრების მეგობარი, — თქვა ჩიჩიკოვმა.

ანდრეი ივანოვიჩს პასუხი არ გაუცია. ამით საუბარი შეწყდა.

ჩიჩიკოვმა უკან არ დაიხია, სხვა დრო შეარჩია. უკვე ვახშმის წინ, ლაპარაკით ღობე-ყორეს რომ ედებოდნენ, უცებ ჩაურთო:

— მართლაც, ანდრეი ივანოვიჩ, ქორწინება თქვენთვის მისწრება იქნებოდა.

ტენტეტნიკოვს სიტყვა მაინც წამოსცდენოდა, თითქოსდა ამ თემაზე საუბარიც არ სიამოვნებდა.

ჩიჩიკოვმა ფარ-ხმალი ისევ არ დაყარა. მესამედაც შეარჩია დრო, უკვე ნავახშმევს, და უთხრა:

— მაინც, როგორც არ უნდა ეატრიალოთ თქვენი მდგომარეობა, ვატყობ, უნდა იქორწინოთ, თორემ იპოქონდრიაში ჩავარდებით.

იქნებ ამჯერად ჩიჩიკოვის სიტყვები იყო დამარწმუნებელი, ანდა ანდრეი ივანოვიჩი იყო გულახდილობისათვის განწყობილი — ამოიოხრა, თამბაქოს კვამლი მაღლა აუშვა და თქვა: „ყველაფერს ბედი უნდა, პაველ ივანოვიჩ", და თავიდან ბოლომდე მოუყვა გენერალთან ნაცნობობისა და დაშორების ისტორია.

როდესაც ჩიჩიკოვმა ეს სიტყვასიტყვით მოისმინა და დაინახა, რომ „შენობით" მიმართვის გულისათვის ასეთი ამბავი დატრიალდა, გაოგნდა, რამდენიმე წუთი ტენტეტნიკოვს თვალებში შესცქეროდა და დაასკვნა: „ეს სულ მთლად სულელი ყოფილა!"

— ანდრეი ივანოვიჩ, მომიტევეთ, — ორივე ხელი ხელებში ჩასჭიდა და ასე მიმართა: — რა შეურაცხყოფა? რა არის შეურაცხმყოფელი „შენობით" მიმართვაში?

— თვითონ სიტყვა არც არის შეურაცხმყოფელი, — უპასუხა ტენტეტნიკოვმა, — მაგრამ მნიშვნელობა, ტონი, რომლითაც წარმოთქვა — აი, რაშია შეურაცხყოფა. „შენ" — ნიშნავს: „გახსოვდეს, რომ ნაგავი ხარ; მხოლოდ იმიტომ გმასპინძლობ, რომ უკეთესი არავინაა, ჩამოვიდა თუ არა რომელიმე კნიაჟნა ოუზიაკინა— შენი ადგილი მონახე, პარმალთან დადექ". აი, რას ნიშნავს!

ამას რომ ამბობდა, მშვიდმა და უწყინარმა ანდრეი ივანოვიჩმა თვალები დაეკვესა; შეურაცხყოფისაგან გალიზიანებული კაცის ხმა ჰქონდა.

— თუნდაც ამას ნიშნავდეს, მერედა, რა მოხდა ასეთი? — წარმოთქვა ჩიჩიკოვმა.

— როგორ? — ტენტეტნიკოვმა თვალი თვალში გაუყარა თანამოსაუბრეს, — თქვენ გსურთ ასეთი საქციელის შემდეგაც ვიარო მათთან?

— რა საქციელია? საქციელიც არ ეთქმის! — უთხრა ჩიჩიკოვმა.

„რა უცნაურია ეს ჩიჩიკოვი!" — გაიფიქრა ტენტეტნიკოვმა.

„რა უცნაურია ეს ტენტეტნიკოვი!" — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა.

— ეს საქციელი არ არის, ანდრეი ივანოვიჩ. ეს უბრალოდ გენერლის ჩვევაა: ისინი ყველას „შენობით" მიმართავენ. რატომ არ შეიძლება, ამის ნება დამსახურებულ, საპატიო ადამიანს დავროთ?

— ეს სხვა საქმეა, — თქვა ტენტეტნიკოვმა, — მოხუცი რომ ყოფილიყო, ღარიბი, და არა — ამაყი, ბლენძია გენერალი, მაშინ „შენობით" მომართვის ნებას დავრთავდი და პატივისცემადაც მივიღებდი.

„მთლად სულელია! — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა, — გამოღლეტილს ნება დართო, გენერალს — არა!“ და ასეთი განსჯის შემდეგ ხმამაღლა შეეპასუხა:

— კარგით, ჩვთვალოთ შეურაცხყოფა მოგაყენათ, სამაგიერო ხომ გადაუხადეთ, ხურდა ხომ დაუბრუნეთ; ვალში არ დარჩენილხართ. მაგრამ უბრალო რამის გულისთვის სამუდამოდ დაშორება, — მომიტევეთ, რას ჰგავს ეს? როგორ ტოვებთ ახალდაწყებულ საქმეს? თუკი მიზანი არჩეულია, მისკენ ... უნდა მიისწრაფოდეთ. რას აქცევთ ყურადღებას, თუკი იფურთხებიან! ადამიანი ყოველთვის იფურთხება; მთელ დუნიაზე ვერ იპოვით ისეთს, ვინც არ იფურთხებოდეს.

ამ სიტყვებმა ტენტეტნიკოვი ჩააფიქრა, დაბნია, პაველ ივანოვიჩს თვალებში შეაცქერდა და გაიფიქრა: „რა უცნაური კაცია მაინც ეს ჩიჩიკოვი!“

„მაინც რა უცნაურია ეს ტენტეტნიკოვი!“ — ფიქრობდა თავის მხრივ ჩიჩიკოვი.

— ნება მომეცით, ეს საქმე როგორმე მოვაგვარო, — თქვა ხმამაღლა, — მის ადმატებულობას შემიძლია ვესტუმრო და ავუხსნა, რომ თქვენი მხრიდან უსიამოვნება გაუგებრობის, ახალგაზრდობის, ადამიანებისა და მაღალი საზოგადოების არცოდნის წყალობით მოხდა.

— მის წინაშე პირმოთნეობას არ ვაპირებ! — მკაცრად მიუგო ტენტეტნიკოვმა.

— ღმერთმა დაგვიფაროს პირმოთნეობისაგან! — წამოიძახა ჩიჩიკოვმა და პირჯვარი გადაიწერა. — დამარწმუნებელი სიტყვით, როგორც კეთილგონიერი შუამავლით, ზეგავლენის მოხდენა, მაგრამ პირმოთნეობა... მაპატიეთ, ანდრეი ივანოვიჩ, კეთილი სურვილებისა და ერთგულების საპასუხოდ, არც ველოდი, ჩემს სიტყვებს ასე საწყენად თუ მიიღებდით?

— მაპატიეთ, პაველ ივანოვიჩ, დამნაშავე ვარ! — უთხრა გულაჩვილებულმა ტენტეტნიკოვმა და მადლობის ნიშნად მისი ორივე ხელი ჩაბღუჯა, — თქვენი კეთილი თანაგრძნობა ძვირად მიღირს, გეფიცებით! მოდით, შევეშვათ ამ ლაპარაკს და არც არასოდეს მივუბრუნდეთ.

— ასეთ შემთხვევაში, გენერალთან უმიზეზოდ გავემგზავრები, — მიუგო ჩიჩიკოვმა.

— რატომ? — ჩაეკითხა ტენტეტნიკოვი და ჩიჩიკოვს გაოცებული მიაჩერდა.

— პატივისცემის გამოსაცხადებლად, — მიუგო ჩიჩიკოვმა.

„ რა უცნაურია ეს ჩიჩიკოვი!“ — გაიფიქრა ტენტეტნიკოვმა.

„ რა უცნაურია ეს ტენტეტნიკოვი!“ — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა.

— რადგანაც ჩემი ბრიჩკა, — დაიწყო ჩიჩიკოვმა, — ჯერ გამართული არ არის, უფლება მომეცით, თქვენი ეტლით ვისარგებლო. ხვალვე, ასე ათი საათისათვის, გაუემგზავრები.

— რას ბრძანებთ, რა თხოვნაა! თქვენ ხომ სრული ბატონ-პატრონი ხართ, რომელი ეკიპაჟიც გნებავთ, ამოირჩიეთ: ყველაფერი თქვენს განკარგულებაშია.

დაემშვიდობნენ ერთმანეთს და წავიდ-წამოვიდნენ, თან ერთიმეორის უცნაურობაზე ფიქრობდნენ.

საოცარი რამ კი მოხდა: მეორე დღეს, როცა ჩიჩიკოვს ცხენები მიჰგვარეს, და ეტლში ლამის მხედრული ჰიმსუბუქით ახტა, ახალ ფრაკში, ჰალსტუხსა და ჟილეტში გამოწკეპილი, და გენერლისათვის პატივისცემის გამოსაცხადებლად გასრიალდა, ტენტეტნიკოვი ძალიან აღელდა, ასეთი რამ კარგა ხანია არ განეცადა. მისი ჩაფანგული, მთვლემარე აზრები მოუსვენრად ამოძრავდნენ. აქამდე მთე-

ლი გრძნობებით უდარდელ სიზარმაცეში ჩავლული უქნარა მღელვარებამ მოიცვა. ხან დივანზე ჩამოჯდებოდა, ხან ფანჯარასთან მივიდოდა, ხან წიგნს აიღებდა ხელში, ხან უნდოდა ეაზრიანა — უშედეგოდ! — ფიქრი თავში არ მოსდგებოდა. ზოგჯერ ფიქრის თავიდან მოცილება ეწადა, — უშედეგოდ! მაინც უძვრებოდნენ და გონებას ყოველი მხრიდან უკორტნიდნენ. „უცნაური [illegible] ვარ!" — ჩაილაპარაკა და გზაზე საცქერლად ფანჯარასთან მიჩოჩდა. [illegible] შუაზე კვეთდა და მის ბოლოში ჩავლილი ეტლისაგან დატოვებული მტვრის ბუდი ჯერ კიდევ იდგა. მაგრამ დაეტოვოთ ტენტეტნაკოვი და ჩიჩიკოვს გავყვეთ.

მეორე თავი

ნახევარ საათზე მეტ ხანში ცხენებმა ათი ვერსი დაფარეს — ჯერ მუხნარი, შემდეგ პურის ყანა, რომელიც ნახნავში მწვანედ ბიბინებდა, შემდეგ მთის ძირი, საიდანაც შორეული სოვრცეები ყოველ წუთს იშლებოდა, ტოტებგაფარჩხული ცაცხვების ხეივანი გენერლის სოფელში შეუძღვა. ცაცხვების ხეივანი ალვის ხეების ხეივნებად იქცა, თითოეულ ხეს ძირში მოწნული ყუთები ედგა. დაბოლოს, თუჯის გამჭოლ ჭიშკარს მიადგა, რომლიდანაც მოჩანდა გენერლის სახლის დიდებული ჩახუჭუჭებულ-მოჩუქურთმებული ფრონტონი, კორინთულ კაპიტელებიან[1] რეა სვეტზე დაყრდნობილი. გარშემო ზეთის საღებავის სუნი იდგა, რომლითაც მუდამ ახლდებოდა ყველაფერი და დაძველების საშუალებას არ იძლეოდა. ეზო პარკეტივით მოკრიალებული იყო. შემოსასვლელს რომ მოადგა, ჩიჩიკოვი მოწიწებით ჩამოხტა და უბრძანა, მისი მოსვლა მოეხსენებინათ, პირდაპირ გენერლის კაბინეტში შეიყვანეს.

გენერლის დიდებულმა გარეგნობამ გააოცა. მას ატლასის ყოლოსფერი ხალათი ეცვა. ნათელი გამოხედვა, ვაჟკაცური სახე, შეჭადარავებული ქილვაშები და დიდი ულვაში, შეკრეჭილი თმა, კეფაზე ბიბილოებქვეშაც, სქელი, ფართო კისერი, ეგრეთ წოდებული, სამსართულიანი, გრძელავთ, განივი ნაოჭით, ხმა—ბანი, ოდნავ ჩახლეჩილი, მოძრაობები გენერლური. გენერალი ბეტრიშჩევი, როგორც ჩვენ, ყველა ცოდვილნი, ბევრი ღირსებითა და ნაკლით დაეჯილდოებინა ღმერთს. ესეც და ისიც, როგორც რუს კაცში ხდება, უწესრიგოდ იყო მიმოფანტული. თავგანწირვა, გადამწყვეტ წუთებში სულგრძელობა, სიმამაცე, ჭკუა-გონება — და ამასთან ერთად — გვარიანი თაკკერძობა, პატიოსმოყვარეობა, თავმოყვარეობა, გადაჭარბებული, წვრილმანობამდე დასული წესიერება და ბევრი ისეთი თვისება, რომელთა გარეშეც უკვე ჯელარ სძლებს ადამიანი. სამსახურში მასზე წინწასულები არ უყვარდა, გესლიანი, ღვარძლიანი ეპიგრამებით ამკობდა. განსაკუთრებით ერთ ძველ ამხანაგს ხედებოდა, რომელსაც ჭკუითაც და გონებითაც თავის თავზე დაბლა აყენებდა და რომელმაც, მიუხედავად ამისა, გაუსწრო და უკვე ორი გუბერნიის გენერალ-გუბერნატორი გახდა, და თითქოს განგებო, სწორედ იქ, სადაც მისი მამულები იყო, თითქოს რაღაცით მასზე დამოკიდებულიც კი აღმოჩნდა. შემთხვევას არ გაუშვებდა, ჯავრის ამოსაყრელად, გესლიანად არ დაეცინა, ყოველ განკარგულებას უკრიტიკებდა და ყოველ ღონისძიებასა და მოქმედებაში ზეუგუნურებას ხედავდა. მიუხედავად კეთილი გულისა, გენერალი დამცინავი იყო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გენერალს პირველობა უყვარდა, გუნდ-

1. კორინთული კაპიტელები — სვეტების თავების სკულპტურული მოკაზმულობა, შესრულებული კორინთულ სტილში (ძველბერძნული ქალაქის კორინთოს სახელიდან), აკანთოს (წაოლახოვანი და ბუჩქოვანი ქცენარე) სტილიზებული ფოთლების ფორმით.

რუკს რომ უკმევდნენ, უყვარდა, ბრწყინვა და ჭკუა-გონებით ტრაბახი უყვარდა, უნდოდა ის სცოდნოდა, რაც სხვებმა არ იცოდნენ, და ის ადამიანები არ უყვარდა, რომელთაც მასზე მეტი იცოდნენ. ნახევრად უცხოურად აზროვნებს. ამავე დროს, რუსი ბატონის როლის შესრულება ეწადა. ასეთი არაზომიერი ხასიათის, ასეთი დიდი, მკვეთრი წინააღმდეგობების წყალობით სამსახურიდან [illegible] შეხვდებოდა ბევრი უსიამოვნება, ამიტომ გადადგა კიდეც. [illegible] განწყობილ ჯგუფს ადანაშაულებდა და სულგრძელობა არ ყოფნიდა, საკუთარი თავი დაედანაშაულებინა. სამსახურიდან გადადგომის შემდეგაც შეინარჩუნა მოხდენილი, დიდებული ტანადობა, სერთუკშიც, ფრაკშიც, ხალათშიც — ერთი და იგივე იყო. ხმიდან დაწყებული, სხეულის ოდნავი მოძრაობით დამთავრებული, ყველაფერი მბრძანებლური, ბატონკაცური ჰქონდა. ეს კი დაბალ ჩინებში, პატივისცემას თუ არა, მოკრძალებას მაინც იწვევდა.

ჩიჩიკოვმა ორივე იგრძნო: პატივისცემაც და მოკრძალებაც. თავი გვერდზე მოწიწებით გადახარა და დაიწყო:

— საკუთარი თავი მოვალედ ჩავთვალე, თქვენს აღმატებულებას წარვდგომოდი. პატივისცემით ავსებული ბრძოლის ველზე სამშობლოს დამცველი მამაკაცი ვაჟკაცებისადმი, თავს მოვალედ ვრაცხ, თქვენო აღმატებულებავ, პირადად წარმოვიდგეთ.

გენერალი, როგორც ეტყობა, არცთუ განაწყენებული დარჩა ასეთი დასაწყისით. მოწყალედ დაუქნია თავი და მიუგო:

— მოხარული ვარ გაცნობისა. გთხოვთ, დაბრძანდეთ. სად მსახურობდით?

— ჩემი სამსახურებრივი სარბიელი, — მიუგო ჩიჩიკოვმა, თან საკარძლის შუაში კი არა, კიდეზე ჩამოჯდა და ხელები სახელურებს ჩასჭიდა, — თქვენო აღმატებულებავ, სახაზინო პალატაში დაიწყო; შემდეგ სხვადასხვა ადგილას გადავინაცვლე: ეიყავი საგუბერნიო სასამართლოში, მშენებლობის კომისიაში, საბჭოში. ჩემი ცხოვრება ტალღებში მოქცეულ გემსა ჰგავს, თქვენო აღმატებულებავ. შეიძლება ითქვას, მოთმინებით აღეიზარდე, მოთმინება იავნანას მაგივრობას მიწევდა, მოთმინებაში მახვევდნენ და თვითონაც, როგორც იტყვიან, სხვა არაფერი, მთლად მოთმინებად ქცეული ვარ. მტრებისგან რამდენი მოეითმინე, ვერც სიტყვებით, ვერც ფერებით ვერ გადმოვცემ. ახლა კი, როგორც იტყვიან, ჩემი ცხოვრების მიმწუხრზე, ისეთ კუთხეს ვეძებ, სადაც დარჩენილ დღეებს გავატარებ. ჯერჯერობით თქვენი აღმატებულების ახლო მეზობელთან შევჩერდი...

— ვისთან?

— ტენტეტნიკოვთან, თქვენო აღმატებულებავ.

გენერალმა შუბლი შეიკრა.

— ის, თქვენო აღმატებულებავ, დიდად ნანობს, რომ ჯეროვანი პატივისცემა ვერ მოგაგოთ...

— რისთვის?

— თქვენი აღმატებულების დამსახურებისათვის. სიტყვებსაც ვერ პოულობს. ამბობს: „ნეტა, რამე მაინც შემეძლოს... იმიტომ, რომ ამბობს, ჯეროვნად ვაფასებ სამშობლოს დამცველ ვაჟკაცებს", — ამბობს.

— რას ბრძანებთ, ის რა?.. მე ხომ არც ვბრაზობ! — თქვა გულმომბალმა გენერალმა, — გულწრფელად შევიყვარე და მჯერა, რომ დროთა განმავლობაში საჭირო კაცი გახდება.

— სრულიად სამართლიანად ინებეთ აზრის გამოხატვა, თქვენო აღმატებულებავ, საოცრად საჭირო კაცია, სიტყვასაც და კალამსაც ფლობს.

— მაგრამ წერს, ალბათ, სისულელეებს, რაღაც ლექსებს?

— არა, თქვენო აღმატებულებავ, სისულელეებს არა...

— აბა, რას?

— ისტორიას... თქვენო აღმატებულებავ.

— ისტორიას! რის ისტორიას?

— ისტორიას... — აქ ჩიჩიკოვი შეჩერდა, და შეიძლება ეფიქრა, რომ მის წინ გენერალი იჯდა, თუ იმიტომ, რომ საუბრის თემისთვის მეტი მნიშვნელობა მიენიჭებინა, დაუმატა, — ისტორიას გენერლებზე, თქვენო აღმატებულებავ.

— როგორ, გენერლებზე? რომელ გენერლებზე?

— საერთოდ, გენერლებზე, თქვენო აღმატებულებავ, მთლიანად, თუმცა, კაცმა რომ თქვას, სამამულო გენერლებზე — უთხრა ჩიჩიკოვმა, გაფიქრებით კი გაიფიქრა: „რა სისულელეებს ვერეკები!“

— მაპატიეთ, კარგად არ მესმის... რა გამოდის, რომელიმე დროის ისტორიას თუ ცალკეულ ბიოგრაფიებს, თანაც ყველასი თუ მხოლოდ თორმეტ წელში მონაწილეებისას?

— ზუსტად ასეა, თქვენო აღმატებულებავ, თორმეტ წელში მონაწილეებისას! — წარმოთქვა თუ არა, მაშინვე გაიფიქრა: „თუნდაც მომკალით, არაფერი მესმის“.

— მერე ჩემთან რატომ არ მოდის? ბევრი საინტერესო მასალის მიწოდება შემეძლო.

— ვერ ბედავს, თქვენო აღმატებულებავ.

— რა სისულელეა! უბრალო სიტყვის გულისთვის... მე სულაც არა ვარ ასეთი კაცი. შემიძლია, თვითონვე ვესტუმრო.

— ამას არ დაუშვებს, თავად გეახლებათ, — მიუგო ჩიჩიკოვმა და ამავე დროს გაიფიქრა: „გენერალი შევკერეთ; ისე, მთლად ენად გავიკრიფე, რამდენი სისულელე წამოვროშე“.

კაბინეტში ჭრიალი გაისმა. კაკლის ხის მოჩუქურთმებული კარადის კარი თავისით გაიღო. გაღებული კარის მეორე მხარეს ცოცხალი არსება გამოჩნდა, რომელსაც მშვენიერი ხელი კარის სახელურისათვის ჩაეჭიდა. ჩაბნელებულ ოთახში გამჭირვალე სურათი, უკნიდან ლამპის მინათებით მოულოდნელად რომ გაბრწყინებულიყო, ისე არ გახაცვიფრებდა ადამიანს, როგორც ეს სიცოცხლით სავსე ფიგურა, რომელიც თითქოსდა ოთახის გასანათებლად გამოჩნდა. ასე გეგონებოდათ, მასთან ერთად ოთახში მზის სხივი შემოიჭრა და ჭერი, კარნიზი და ჩაბნელებული კუთხე-კუნჭულები გაანათა. იხემით ტერფამდე ნათელს აფრქვევდა. ნამდვილად არაამქვეყნიური არსება იყო; საოცრად ტანკენარი და, თმის ძირებიდან ფეხის ფრჩხილებამდე, ჰარმონიული სხეული ჰქონდა. სადა კაბა ისე გემოვნებით შემოტმასნოდა, თითქოს დედაქალაქის მთელ მკერავ ქალებს მის მოსართავად ერთმანეთში უთანხმირიათო. აი, სიცრუე! თვითონ ჩაიცვა, როგორც მოახერხა; ორ-სამ ადგილას დაამაგრა გაუჭრელი ნაჭერი, რომელიც მერე ტანზე ისე შემოეხვია და გარშემო ისეთი ნაკეცებით განლაგდა, მოქანდაკე მაშინვე მარმარილოში გადაიტანდა ამ ხატებას და მოდას აყოლილი ქალიშვილები მის გვერდით ჭრელა-ჭრულებად გამოჩნდებოდნენ. მართალია, ჩიჩიკოვი ანდრეი ივანოვიჩის ნახატებიდან თითქმის იცნობდა ამ სახეს, მაინც გაოგნებული დარჩა, და მერე, როცა გონს მოეგო, შენიშნა, რომ ქალიშვილს არსებითი ნაკლიც ჰქონდა — ძალიან გამხდარი იყო.

— გაიცანით ჩემი ნებიერა! — თქვა გენერალმა და ჩიჩიკოვს მიუბრუნდა, — თუმცა, ჯერ თქვენი სახელი და მამის სახელიც არ ვიცი.

— ნუთუ საჭიროა იმ კაცის სახელისა და მამის სახელის გაგება, რომელსაც სახელოვანი საქმეებით თავი არ გამოუჩენია? — მიუგო ჩიჩიკოვმა.

— მაინც, მიუხედავად ამისა, საჭიროა ვიცოდეთ...

— პაველ ივანოვიჩი, თქვენო აღმატებულებავ, — წარმოთქვა ჩიჩიკოვმა და თავი ოდნავ გადახარა გვერდზე.

— ულინკა! პაველ ივანოვიჩმა ახლა ძალიან საინტერესო ახალი ამბავი მი გ-ვიტანა. ჩვენი მეზობელი ტენტეტნიკოვი სრულიადაც არ ყოფილა ისეთი სულ-ელი, რომ გვეგონა. ხელი საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმისათვის მოუკიდია: ათას-რვაას თორმეტი წლის გენერლების ისტორიას წერს.

ულინკა, უცბად, თითქოს აენთო და გამოცოცხლდა.

— მაინც ვის ეგონა, რომ სულელია? — წამოიძახა სწრაფად, — ანდ მხო-ლოდ ვიშნეპოკრომოვი იფიქრებდა, რომლისაც შენ გჯერა, მამა, და რომელიც თავქარიანი, სულმდაბალი ადამიანია!

— რატომ სულმდაბალი? თავქარიანი, მართლაც, არის, — თქვა გენერალმა.

— ის არა მარტო თავქარიანი, უნამუსო და საზიზღარიცაა, — მხარი აუბა ულინკამ ცოცხლად, — ვინც ასე გააბრაზებს საკუთარ ძმებს და ღვიძლ დას სახ-ლიდან გააგდებს, უნამუსო ადამიანია...

— ეს ხომ, მხოლოდ და მხოლოდ ჭორია.

— ტყუილა არ იჭორავებენ. შენ, მამა, კეთილი სული და იშვიათი გული გაქვს, მაგრამ ისე იქცევი, ვინც არ გიცნობს, სულ სხვანაირად იფიქრებს. ისეთ ადამიანს მიიღებ, რომელიც, თვითონვე იცი, სულელია, მხოლოდ იმიტომ, რომ ენაწყლიანია და შენს წინაშე ოსტატურად პირფერობს.

— ძვირფასო ჩემო კარგო! ხომ ვერ გავაგდებ, — უთხრა გენერალმა.

— არც გაგდებაა საჭირო და არც სიყვარული!

— აი, რა, თქვენო აღმატებულებავ, — ჩიჩიკოვი ულინკას მიუბრუნდა, თან თავი გვერდზე მსუბუქად გადაეხარა და პირზე სანდომიანი ღიმილი ეფინა, — ქრისტიანული წესით, ზუსტად ასეთები უნდა გვიყვარდეს.

და აქვე გენერალს ეშმაკური ღიმილით მიმართა:

— თქვენო აღმატებულებავ, მოგისმენიათ როდისმე, რას ნიშნავს — „შეგვი-ყვარე, როგორებიც ვართ, კარგებს ხომ ყველა შეგვიყვარებს?"

— არა, არ გამიგონია.

— ეს უკაზუსურესი ანეკდოტია, — მიუგო ჩიჩიკოვმა ეშმაკური ღიმილით, — თქვენო აღმატებულებავ, თავად გუკზოვსკის მამულში, რომელსაც, უეჭველია, თქვენი აღმატებულება იცნობს...

— არ ვიცნობ.

— მოურავი, თქვენო აღმატებულებავ, ახალგაზრდა გერმანელი კაცი იყო. მას რეკრუტების გადაცემისა და სხვა საქმეებისათვის ქალაქში ჩამოსელა და, რა თქმა უნდა, მოსამართლეების მოქრთამვა უწევდა. — აქ ჩიჩიკოვმა თვალების მოჭუტვით აჩვენა, როგორ უნდა მოსამართლეების მოქრთამვა, — ერთი სიტყ-ვით, მათაც შეიყვარეს, უმასპინძლდებოდნენ. აი, ერთხელ, სადილზე გერმანე-ლი ეუბნება: „ასე, ბატონებო, როდისმე ჩემთანაც უნდა მობრძანდეთ, თავადის მამულში". ეუბნებიან: „მოვალთ". მალე, ამის შემდეგ, სასამართლო გრაფ ტრეხ-მეტიევის მამულებში მომხდარი საქმის გამოსაძიებლად გაემგზავრა, რომელსაც თქვენი აღმატებულება, უეჭველია, იცნობს.

— არ ვიცნობ.

— გამოძიებით არაფერი გამოუძიებიათ, მთელი სასამართლოთ კი გრაფის მოხუც ეკონომთან შეუხვიეს, სამი დღე და ღამე გადაბრულად — ბანქო. საშოვარი და პუნში, რა თქმა უნდა, მაგიდიდან არ ჩამოსულა. ასე, რომ მოხუცს ისინი მიბეზრდა კიდეც. როგორმე თავიდან რომ მოიცილოს, ეუბნებოდა, ბატონებო, იქნებ შეგეძლოთ თავადის გერმანელ მოურავთან, აქედან არაფერ-ისე-ზორბ ცხოვრობს და გელით". „დიახ, დიახ!" — თქვეს და ნახევრად მთვრალები, გაუპარსავები, თვალებდასიებულნი ეტლებში ჩასხდნენ და გერმანელისკენ გასწიეს... გერმანელი კი, თქვენო აღმატებულებავ, უნდა იცოდეთ, სწორედ მაშინ დაქორწინებულა. ცოლად ინსტიტუტელი ქალი უთხოვია, ახალგაზრდა, ნატიფი (ჩიჩიკოს სახეზე სინატიფე გამოეხატა). სხედან და ჩაის მიირთმევენ, ჩიტი უფრინავთ გულში. უცებ კარი გაიღო და — მთელი ეს ხროვა შევარდა.

— წარმომიდგენია, რა სანახავები იქნებოდნენ! — სიცილით თქვა გენერალმა.

— მოურავი ეგრევე გაქვავდა, ეუბნება: „რა გნებავთ?" „აი, შენ როგორ!.." — ამის წარმოთქმისთანავე სახე და ფიზიოგნომია შეეცვალათ. „აბა, საქმე! რამდენი ღვინის დაყენება შეიძლება მამულში? გვაჩვენეთ დავთრები!" აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ. „აბა, მოწმეები!" აიღეს და შეკრეს, ქალაქში ჩაბრძანეს და წელიწადნახევრით ვირის აბანოში ჩააყუდეს.

— უყურე შენ! — წამოიძახა გენერალმა.

ულინკამ ხელები გაასავსავა.

— ცოლი დაფიცურდა, — განაგრძნო ჩიჩიკოვმა. — მაგრამ რა შეუძლია გამოუცდელ ახალგაზრდა ქალს? მადლობელი უნდა იყოს, რომ კეთილმა ადამიანებმა შეთანხმება ურჩიეს, ორი ათასითა და წვეულებით გადარჩა. სადილზე, როცა უკვე ყველა, და თვითონაც, გამჩიარულდა, ეუბნებიან: „არ გრცხვენია, ასე რომ მოგვექეცი? გინდოდა, გამოწკეპილები, გაპარსულები, ფრაკებში მოვსულიყავით, არა, შეგვიყვარე, როგორებიც ვართ, კარგებს ხომ ყველა შეგვიყვარებს".

გენერალმა გადაიხარხარა, ულინკამ კი ავადმყოფურად ამოიკვნესა.

— ვერ გაძიგია, მამა, რა გაცინებს! — სხარტად თქვა ქალიშვილმა, თან მშვენიერი შუბლი რისხვამ დაუჭრდილა... — უსინდისობაა, მეტი არაფერი ამის გამო, არ ვიცი, სად ეკუთვნით გადასახლება...

— ჩემო მეგობარო, მათ ოდნავადაც არ ვამართლებ, — მიუგო გენერალმა, — მაგრამ რა ვქნა, რომ სასაცილოა? როგორაო: „შეგვიყვარე კარგები..."?

— როგორებიც ვართ, თქვენო აღმატებულებავ, — აიტაცა ჩიჩიკოვმა.

— შეგვიყვარე როგორებიც ვართ, კარგებს ხომ ყველა შეგვიყვარებს. ხა, ხა, ხა, ხა!

გენერალს სიცილისაგან მთელი სხეული უთახთახებდა. მხრები, რომლებიც ერთ დროს სქელ ეპოლეტებს ატარებდნენ, ისე ცახცახებდნენ, თითქოს ახლაც სქელ ეპოლეტებს ატარებენო.

ჩიჩიკოვმა თავს ნება დართო, სიცილის ნაცვლად შორისდებულები წამოესროლა, ოღონდ გენერლის პატივისცემის ნიშნად „ა" „ე"-დ შეცვალა: ხე, ხე, ხე, ხე! სხეულიც ისევე უთახთახებდა სიცილისაგან, ოღონდ მხრები არ აცახცახებია, ეპოლეტებს რომ არ ატარებდა, იმიტომ.

— წარმომიდგენია, როგორი იქნებოდა გაუპარსავი სასამართლო! — ამბობდა გენერალი და თან სიცილს განაგრძობდა.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, როგორც არ უნდა იყოს... შეუწყვეტლად...

ბამდღიანი სიფხიზლე — ერთი და იგივე — დაძაბუნდნენ, დაძაბუნდნენ! — ამბობდა ჩიჩიკოვი და თან სიცილს განაგრძობდა.

ულინკა სავარძელში ჩაეშვა და ხელები სახეზე აიფარა; თითქოს, გული სწყდება, თავის გულისწყრომას ვერავის რომ ვერ უზიარებსო, ისე თქვა:

— არ ვიცი, მე მხოლოდ გული მწყდება!

მართლაც, უცნაურად ურთიერთსაწინააღმდეგო იყო ის გრძნობები, აქესაძი მოსაუბრე ადამიანის გულში რომ დაიბადა. ერთს გერმანელის მოუქნელობა, მოუხერხებლობა აცინებდა. მეორეს — მოსამართლეების მოხერხება. მესამე დანაღვლიანებული იყო, რომ უსამართლობა დაუსჯელი დარჩა. არ ჩანდა მხოლოდ მეოთხე, რომელიც ზუსტად იმ სიტყვებზე დაფიქრდებოდა, ერთში — სიცილს. მეორეში ნაღველს რომ იწვევდა. აი, რას ნიშნავს, რომ მომაკვდავი, ჭუჭყიანი ადამიანიც კი დაცემისას სიყვარულს მოითხოვს?! ნუთუ ესეც ცხოველური ინსტინქტია? თუ სულის სუსტი კვალი, საზიზღარ ვნებათა უღელქვეშ ჩახშობილი, რომელიც ჯერ კიდევ იკაფავს გზას სისაძაგლეებისგან გახევებული ქერქის შიგნიდან, ჯერ კიდევ აკივლებული: „ძმაო, მიშველე!" არ იყო მეოთხე, რომელსაც ყველაზე მეტად დაამძიმებდა თანამოძმის მომაკვდავი სული.

— არ ვიცი, — ჩურჩულებდა ულინკა, — მე მხოლოდ გული მწყდება.

— ოღონდ, გეოყვა, ნუ განგვრისხდები, — უთხრა გენერალმა, — ჩვენ არაფერ შუაში ვართ. მაკოცე და წადი შენს ოთახში, სადილისათვის უნდა ჩავიცვა. — უცბად გენერალი ჩიჩიკოვს მიუბრუნდა. — შენ ხომ ისადილებ ჩემთან?

— თუკი თქვენი ალმატებულება...

— უცერემონიოდ, შენ გეაქვს!

ჩიჩიკოვმა თავაზიანად დახარა თავი და როდესაც აიხედა, ულინკა აღარ ჩანდა, გაქრა. მის ნაცვლად სქელულვაშიანი და ქილვაშებიანი ბუმბერაზი კამერდინერი შერჩა, ვერცხლის რიფიათა და ხელსაბანით.

— შენს წინაშე ჩაცმის უფლებას მაძლევ? — ჰკითხა გენერალმა, თან ხალათს იხდიდა და ჰერანგის სახელოებში გოლიათ ხელებს უყრიდა.

— რას ბრძანებთ, არამც თუ ჩაცმა, ჩემს წინაშე შეგიძლიათ აკეთოთ, რასაც თქვენი ალმატებულება მოისურვებს, — უპასუხა ჩიჩიკოვმა.

გენერელმა დაბანა დაიწყო, თან იხვივით წყალს აშხეფებდა, ფრუტუნებდა. ჯარშემო საპნიანი წყალი იღვრებოდა.

— როგორ? — წამოიძახა თან სქელ კისერს იწმენდდა, — „შეგვიყვარე კარგები..."?

როგორებიც ვართ, თქვენი ალმატებულებავ!

— შეგვიყვარე, როგორებიც ვარო, კარგებს ხომ ყველა შეგვიყვარებს. ძალიან, ძალიან კარგია!

ჩიჩიკოვი არაჩვეულებრივ ხასიათზე იყო, სულიერ ალმაფრენას განიცდიდა.

— თქვენო ალმატებულებავ! — დაიწყო მან.

— რა იყო? — ჩაეკითხა გენერალი.

— აი, კიდევ ერთი ისტორია.

— რომელი?

— სასაცილო ისტორიაა, ოღონდ მე არ მეცინება. ისე კი, თუ თქვენი ალმატებულება...

— როგორ — ისე?

— აი, თქვენო ალმატებულებავ, როგორ!.. — აქ ჩიჩიკოვმა მიმოიხედა და როცა დარწმუნდა, ტაშტიანი კამერდინერი გავიდა, განაგრძო: — ბიძაჩემი მიხ-

რწნილი მოხუცია. სამასი სული ჰყავს და ჩემს გარდა მემკვიდრე არ გააჩნია. თვითონ მამულის მართვა აღარ შეუძლია, არც მე მანებებს. თანაც რა უცნაური მოსაზრებით: „მე, ამბობს, ძმიშვილს არ ვიცნობ, იქნებ ბედოვლათია, ვერ თვითონ შეიძინოს სამასი სული, მაშინ მეც ჩემს სამასს დავუმატებ“.

— რა სულელი ყოფილა!

— სამართლიანად აღნიშნეთ, თქვენო აღმატებულებავ. მაგრამ ახლა ჩემი მდგომარეობა წარმოიდგინეთ... — აქ ჩიჩიკოვმა ხმას დაუწია, თითქოს საიდუმლოს ეუბნებაო: — შინ შვილებიანი მეკუჭნაქე ქალი ჰყავს. ერთიც ვნახოთ, ყველაფერი იმათ დარჩეთ.

— სულელი ბებერი, გამოჩერჩეტებულა და ეს არის, — თქვა გენერალმა, — ოღონდ ვერ ვხვდები, რით შემიძლია დაგეხმარო.

— აი, რა მოვიფიქრე. სანამ ახალი სარევიზიო აღწერა არ დაწყებულა, დიდი მამულების მფლობელებს, ცოცხლებთან ერთად, განთესილი და მკვდარი სულები ეყოლებათ... ასე, თქვენო აღმატებულებავ, თუკი მათ, როგორც ცოცხლებს, ნასყიდობის ფურცლით გადმომცემთ, მე ამ ფურცელს ბებერს წარვუდგენ და იგიც, რაც არ უნდა იყოს, მემკვიდრეობას დამიტოვებს.

აქ გენერალი ისე ახარხარდა, იშეიათად რომ იცინის ადამიანი: როგორც იყო, ისე ჩავარდა სავარძელში, თავი უკან გადაკიდა... და ლამის დაიხრჩო. მთელი სახლი აზანზარდა. კამერდინერიც შემოვიდა, ქალიშვილიც შეშინებული მოვარდა.

— მამა, რა მოგივიდა?

— არაფერი, ჩემო კარგო. ხა, ხა, ხა! ჩვენ ეხლაქე მოვალთ სადილზე. ხა, ხა, ხა!

და რამდენჯერმე სულის შეხუთვის შემდეგ, ახალი ძალით ამოხეთქა გენერლის ხარხარმა, რომელიც შემოსასვლელიდან ბოლო ოთახამდე ისმოდა გენერლის მაღალ, აზრიალებულ საკანში.

ჩიჩიკოვი გულისფანცქალით ელოდა ამ არაჩვეულებრივი სიცილის დასასრულს.

— ოი, ძმაო, მაპატიე: თვითონ ეშმაკმა გიბიძგა ასეთ საქციელზე. ხა, ხა, ხა! გაუმასპინძლდე ბებერს, მკვდრები შეატენო! ხა, ხა, ხა. ხა! ბიძა, აი, ბიძა! გაბრიყვებული ბიძა! ხა, ხა, ხა, ხა!

ჩიჩიკოვი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: აქვე თვალებგადმოკარკლული კამერდინერი იდგა.

— თქვენო აღმატებულებავ, ეს სიცილი ხომ ცრემლის ნაყოფია, — წამოიყვირა მან.

— მაპატიე, ძმაო! ოი, სიცილით მოვკალი. ხუთასი ათასს მხოლოდ იმაში მივცემდი, ოღონდ ბიძაშენისთვის მაშინ შემახედა. მკვდარი სულების ნასყიდობის ფურცელს რომ მიაროვებ. როგორ, ძალიან ბებერია? რამდენი წლისაა?

— ოთხმოცისა, თქვენო აღმატებულებავ... მაგრამ ეს საიდუმლოა. მე გთხოვთ... რომ... — ჩიჩიკოვმა გენერალს მრავალმნიშვნელოვნად შეხედა და თან კამერდინერზე ანიშნა.

— გადი აქედან ძმაო. მერე მოხვალ, — უთხრა კამერდინერს გენერალმა. ულვაშა თვალს მიეფარა.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ... ეს, თქვენო აღმატებულებავ, ისეთი საქმეა, გთხოვთ, საიდუმლოდ შეინახოთ...

— რასაკვირველია, მესმის, ძალიან კარგად მესმის. აი, სულელი ბებერი!

აი, ოთხმოცი წლისას როგორ მოუვა თავში ასეთი სისულელე! მაინც როგორ გამოიყურება, მხნედაა? ფეხზე დგას?

— დგას, ოღონდ ძლივს-ძლივს.

— ოჰ, რა სულელია! კბილები აქვს?

— სულ ორი, თქვენო აღმატებულებავ. თუმცა ჩემი ნათესავი ... აღიარება ძნელია, მაგრამ ნამდვილი ვირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ, როგორც მკითხველი თვითონვე მიხვდება, ჩიჩიკოვს არ გასჭირვებია ამის აღიარება, მით უმეტეს, რომ საეჭვოა, როდესმე ბიძა ჰყოლოდეს.

— ასე, რომ, თქვენო აღმატებულებავ, მოიღეთ მოწყალება...

— და მოგეცე მკვდარი სულები? ასეთი გამონაგონისთვის — მიწით, საცხოვრებლით! მთელი სასაფლაო წაიღე, ხა, ხა, ხა, ხა! ოი, ბებერი! ხა, ხა, ხა, ხა! ასეთი გამოსულელება! ხა, ხა, ხა, ხა!

და გენერლის სიცილი ისევ მოედო მის სავანეს[1].

მესამე თავი

„არა, მე ასე არ მოვიქცევი, არა და არა, — ამბობდა გაშლილ მინდვრებსა და სივრცეებში ხელახლა მოხვედრილი ჩიჩიკოვი, — როგორც კი ღმერთი მიბიძებს, ყველაფერს კეთილად აღვასრულებ და მართლაც შეძლებული, მდიდარი კაცი რომ გავხდები, სულ სხვანაირად ვიცხოვრებ: ფუფუნებას არ მოვიკლებ — მზარეულიც მეყოლება და სახლიც მექნება, მაგრამ სამეურნეო საქმესაც მივხედავ. თავსაც გავიტანთ და ყოველ წლიურად მომავალი თაობისათვის თანხასაც გადავინახავ. თუკი ღმერთი, რასაკვირველია, ცოლს შთამომავლობას აჩუქებს...“ — ეჰ, შე რეკვენო!

კოფიზე შემომსხდარი სელიფანი და პეტრუშკა შემობრუნდნენ.

— საით მიერეკები, საით?

— ასე არ გვიბრძანეო, პაველ ივანოვიჩ. — პოლკოვნიკ კოშკარევთან, — უპასუხა სელიფანმა.

— მერე, გზა თუ გაიკითხე?

— მე, პაველ ივანოვიჩ, თვითონვე ხედავდით, სულ ეტლს ვუტრიალებდი, ასე, რომ, ბატონო ჩემო... გენერლის მეჯინიბის მეტი არავინ მინახია... პეტრუშკა კი მეეტლეს ეკითხებოდა რაღაცას.

— აი, სულელი! რამდენჯერ გითხარი: პეტრუშკას არ ენდო: ერთი უტვინო ვინმეა-მეოქი.

— რა გამოკითხვა და რა დიდი ფილოსოფია უნდა, — ალმაცერად გადმოხედა პეტრუშკამ მოსაუბრეებს, — მთიდან დავეშვებით და პირდაპირ ვიელით.

— რახის გარდა, უთუოდ, პირში არაფერს ჩაუშვებდი, ახლაც გადაკრულში ხარ?

პეტრუშკა მიხვდა, ცუდადაა საქმე, ცხვირით საშინლად დაიქსუტუნა, ლაშის წამოსცდა, არც გამისინჯავსო, მერე თვითონვე შერცხვა და ხმა გაკმინდა.

---

1. თავი დაუმთავრებელია. „მკვდარი სულების“ II ტომის პირველ გამოცემაში (1855) ასის შენიშვნა: „აქ გამოტოვებულია გენერალ ბეტრიშჩევის შეხვედრა ტანტალოვთან; სადილი გენერალთან და საუბარი თორმეტ წელზე. ულინკას ტანტალოვზე დანიშვნა. მისი ლოცვა და ტირილი დედის საფლავზე; ბალში დანიშნულების ბალი. ჩიჩიკოვი გენერალ ბეტრიშჩევის დავალებით მის ნათესავებთან მიემგზავრება, რათა ქალიშვილის დანიშვნა აცნობოს, და ერთ-ერთ ნათესავს — პოლკოვნიკ კოშკარევს ეახლება.

— ეტლით მგზავრობას რა სჯობია, ჩემო ბატონო, — თქვა შემობრუნებულმა სელიფანმა.

—რათ?

— პაველ ივანოვიჩ, თქვენი მოწყალებისათვის ბრიჭკით ხრეგინს ეტლით მგზავრობა სჯობს-მეთქი, ჩემო ბატონო, — არ დაინჯღრევიო.

— გარეკე გარეკე! ამას შენ არავინ გკითხავს.

სელიფანმა ცხენებს მსუბუქად გადაუტყლაშუნა შოლტი ფერდებზე და პეტრუშკას მიმართა:

— გაიგე, კოშკარევმა გლეხს თურმე გერმანელივით ჩააცვა, ცნობაც გაგიძნელდება — გერმანელივით ლაპარაკობს, დედაკაცსაც, თავსაფარი კი არ ახურავს, როგორც წესია, ანდა კოკოშნიკი კი არ ადევს თავზე, არამედ კაპორი, გერმანული დედაკაცივით, გესმის, კაპორი, გერმანული კაპორი.

— შენ ხომ გაგერმანელება და კაპორიღა გაკლია, აი! — დაცინვით უთხრა სელიფანს პეტრუშკამ, თან რა სიფათი მიიღო — სურდოშეყრილს დაცემინება რომ უნდა, ეერ ახერხებს და რომ გაშეშდება დაცემინებადაწყებულის პოზაში.

ჩიჩიკოვმა ქვემოდან ამოხედა, მის სიფათს დააკვირდა და წამოიძახა:

— იფ, რა მშვენიერი ვინმეა! ულამაზესად კი მოაქვს თავი!

უნდა ითქვას, რომ პაველ ივანოვიჩს მართლაც სჯეროდა, პეტრუშკა საკუთარ თავში და სილამაზეში უზომოდ შეყვარებულიაო, როცა თვითონ ზოგჯერ საკუთარი სიფათიც ავიწყდებოდა.

— აი, პაველ ივანოვიჩ, — უთხრა სელიფანმა, თან კოფოზე შემობრუნდა. — რომ მახვედრილიყავით და ანდრეი ივანოვიჩისათვის ამ აბრაშას ნაცვლად სხვა ცხენი გამოგერთმიათ, კარგი იქნებოდა; თქვენდამი კეთილგანწყობის გამო, უარს არ გეტყოდათ, ეს ცხენი კი, მარჯვნივ ნამდვილი სალაბანაა, ხელის შეშლის შეტს არაფერს აკეთებს.

— გარეკე-მეთქი, გარეკე, ენა ნუ წაგიგდია! — მიაძახა ჩიჩიკოვმა, თავისთვის კი გაიფიქრა: „მართლაც, ნეტა მომგონებოდა, რატომ ვერ მიეხედა“.

ეტლი მსუბუქად მიჰქროდა. მსუბუქად ადიოდა მაღლა, ამ ოღროჩოღრო გზებზე და მსუბუქადვე ეშვებოდა სოფლის თემშარების თავბრუდამხვევ დალმართებში. მთიდან ჩამოვიდნენ. გზა მდელობებზე, მდინარეს მიუყვებოდა, წისქვილების გასწვრივ. შორს ქვიშრობიც გამოკრთოდა. ერთი-მეორეზე მშვენიერი ვერხვის კოროძები მოჩანდნენ; სწრაფად მიქროდნენ ვაზის ნერგები, ტანწვრილი მურყანები და ვერცხლისფერი იფნები, თავიანთ ტოტებს კოფოზე წამოსკუპებულ სელიფანსა და პეტრუშკას რომ უტყლაშუნებდნენ და ამ უკანასკნელს ყოველ წუთს კარტუზს აძრობდნენ. გაბრაზებული მსახური სულ ჩამოხტომა-ახტომაში იყო, სულელ ხესა და ბატონს ლანძღავდა, აქ რომ შემოასკუპა, მაგრამ კარტუზის მიმაგრება ან ხელით დაჭერა ვერ მოეფიქრებინა, სულ იმის იმედი ჰქონდა, იქნებ და, აღარ გადმოვარდესო. ხეები გაბშირდა: ვერხვებსა და მურყანებს არყნარიც შეემატა და მალე ტყის ტევრში აღმოჩნდნენ. მზის სხივი თვალს მოეფარა. უსასრულო ტყეს უკუნი სიბნელე დაეუფლა, თითქოს ღამდებაო. და უცებ, ხეებში, ტოტებსა და ყლორტებს შორის, სინათლე ვერცხლისფრად, სარკესავით აკიაფდა. ტყე განათდა, ხეები გამეჩხერდა, შეძახილებიც გაისმა და თვალწინ ტბა გადაეშალათ, ოთხი ვერსის სიგანისა, ხეებით გარშემორტყმული, რომელთა უკან ჩარიგებულ ქოხმახებსაც გაარჩევდით. წელამდე, მხრებამდე და კისრამდე წყალში შესული ოცოდე კაცი ნაპირისაკენ ბადეს ეწეოდა. შუაში მარდად ცურავდა, ყვიროდა და ყველას მაგივრად ფაციფუცობდა ერთ-

ნაირი სიგრძე-სიგანის, გოგრასავით ჩაძრგვალებული კაცი. რაც არ უნდა მოეწადინებინა, ვერ ჩაყურყუმელავდებოდა: იმსისქე იყო, მაინც ამოტივტივდებოდა; ორი ადამიანიც რომ შეესვა ზურგზე, კოლოქვინთივით ისევ წყლის ზედაპირზე იტივტივებდა, ოღონდ ხვნეშასა და ცხვირ-პირიდან ბუშტების გამოშვებას მოუმატებდა, ეგ იქნებოდა მხოლოდ.

— პაველ ივანოვიჩ, — მიმართა სელიფანმა ჩიჩიკოვს, — ეს, ალბათ, ბატონია, პოლკოვნიკი კოშკარევი.

— რაზე ატყობ?

— აი, ხომ ხედავთ, ტანი, სხვებთან შედარებით, თეთრი და სისქეც ნამდვილად ბატონის შესაფერი აქვს.

ამასობაში ხმები თანდათან გამოიკვეთა. გოგრა-ბატონი სხაპასხუპით და ხმამაღლა ყვიროდა: „გადაეცი, გადაეცი, დენის, კოზმას! კოზმა, გამოიროვი დენისს! თომა-უფროსო, იქით მიაწექი, საითაც თომა-უმცროსი! მარჯვნიდან მოუარე, მარჯვნიდან! გაჩერდით, გაჩერდით, ეშმაკმა დაგლახვროთ! მე თვითონ გამაბით ბადეში! წამომედო, გესმით, ჭიაზე წამომედო, ღმერთმა დაგწყევლოთ!“

მეთევზეები, ბადეს მარჯვენა მხრიდან რომ ეწეოდნენ, შეხერდნენ, დაინახეს, ბატონი, მართლაც, ბადეში გახლართულიყო.

— უყურე შენ, — უთხრა სელიფანმა პეტრუშკას, — ბატონი თევზივით არ დაითრიეს?!

ბატონი ფართხალებდა, თავის გამოხსნა ეწადა, ზურგზე გადაბრუნდა, მუცლით ზევით, და კიდევ უფრო გაიხლართა. ბადის გაგლეჯვისა ეშინოდა და დაჭერილ თევზთან ერთად ცურავდა. ბრძანა, თოკი გარდიგარდმო შემომიჭირეთო, თოკით რომ შეკრეს, ბოლო ნაპირზე ისროლეს, რომელსაც ოცეიდ მეთევზე ჩაეჭიდა და ფრთხილად დაუწყეს გამოთრევა. დაბალ წყალში რომ გამოვიდა, ასე, ბადეში გახლართული ბატონი ფეხზე დადგა, გამჭირვალე ხელოთამანში გახვეული ქალის მშვენიერი ხელივით. მაღლა რომ აიხედა, კაშხალზე ეტლით შემოსული სტუმარი დაინახა და თავი დაუქნია. ჩიჩიკოვმა კარტუზი მოიხადა და თავაზიანად მიესალმა.

— ნასადილევი ხართ? — დაუყვირა ბატონმა, დაჭერილი თევზით ნაპირს რომ უახლოვდებოდა, თან ცალი ხელი შუბლზე მიედო, მზის მოსაჩრდილად, მეორე კი უფრო ქვევით — მედიჩისეული აბანოდან გამომავალი ვენერას[1] დარად.

— არა, — მიუგო ჩიჩიკოვმა.

— მაშინ, ღმერთს მადლობა შესწირეთ!

— რაშია საქმე? — იკითხა ჩიჩიკოვმა ცნობისმოყვარედ, კარტუზიანი ხელი ისევ ისე თავზემოთ ეჭირა.

— აი, რაშია, — თქვა ბატონმა, ფეხებთან მოფართხალე კობრებითა და კარჩხანებით გარშემორტყმული, უკვე ნაპირზე რომ გამოსულიყო, — ეგ არაფერი. ამას ნუ უყურებთ; აი, ამას შეხედეთ!.. აბა, თომა-უფროსო, ერთი ეს ზუთხი გვაჩვენე.

ორმა ხორბა გლეხმა კასრიდან ურჩხული ამოათრია.

— ხომ მაგარი თავადიშვილია? მდინარიდან შემოეხეტა!

— თავადიშვილი კი არა, ნალდი თავადია! — დაიძახა ჩიჩიკოვმა.

— აბა, აბა! თქვენ ახლა წინ წადით, მე უკან მოგყვებით. მეეტლევ, მძაო,

---

1. ვენერას, რომაულ მითოლოგიაში სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთის, ქანდაკება, რომელიც ფლორენციელ ბერკოვებს — მედიჩებს — ეკუთვნოდათ.

გეზი ცოტა დაბლა, ბოსტანზე აიღე. დოყლაპია თომა-უმცროსი, გაიქე, შენ ტიხარი აიღე. მეც თვალისდახამხამებაში გეახლებით.

„პოლკოვნიკი, ცოტა არ იყოს, ახირებული კაცი ჩანს“, — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა, რიცა, ბოლოს და ბოლოს, უსასრულო კაშხალი გაიარეს და ქოხებს მიუახლოვდნენ, რომელთა ერთი ნაწილი, ცხვრის ფარასავით, ყურძნებზე შეფენილიყო, მეორე კი ხიმინჯებზე წამომართულიყო ყახჩებივით. ყველგან ეკიდა ბადეები, სათხეველები, ხოლოხები. თომა-უმცროსმა ტიხარი აიღო, ეტლი ბოსტანზე გასრიალდა და მოედანზე, მოძველებულ ეკლესიასთან აღმოჩნდა. ეკლესიის უკან, მოშორებით, ბატონიანთ სახლის სახურავი მოჩანდა.

— აი, მეც აქა ვარ! — ხმა გვერდიდან მოისმა. ჩიჩიკოვმა მოიხედა. ბატონი იქვე იყო, ოთხთვალაში, ჩაცმული — მწვანე ბალახისფერი ნაშურის სერთუკი ყვითელი შარვალი და უჰალსტუხო კისერი, კუპიდონის[1] მსგავსად. ოთხთვალაში გვერდულად იჯდა და მთელი ოთხთვალა ეჭირა. ჩიჩიკოვს უნდოდა მისთვის რაღაც ეთქვა. მაგრამ მსუქანი გაუჩინარებულიყო. ოთხთვალა მეორე მხარეს გამოჩნდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა: „ქარიყლაპია და შვიდი კარჩხანა დაბდურა მზარეულს მიუტანეთ, ზუთხი კი აქეთ მოიტა: მე თეთრონ წამოვიღებ“. ისევ მოისმა: „თომა-უფროსი და თომა-უმცროსი, კოზმა და დენის!“ რიცა სახლის პარმაღს მიუახლოვდნენ, მისდა გასაოცრად, კოკრა-ბატონი უკვე იქ დახვდათ და ხვევნა-კოცნით შეეგებათ. გაოცდნენ, ასე ელვისუსწრაფესად როგორ გადმოფრინდაო. სამჯერ ჯვარედინად გადაკოცნეს ერთმანეთი.

— მისმა აღმატებულებამ თქვენთან მოკითხვა დამაბარა, — უთხრა ჩიჩიკოვმა.

— რომელმა აღმატებულებამ?

— თქვენმა ნათესავმა, გენერალმა ალექსანდრ დმიტრიევიჩმა.

— ალექსანდრ დმიტრიევიჩი ვინ არის?

— გენერალი ბეტრიშჩევი. — მიუგო გაკვირვებულმა ჩიჩიკოვმა.

— არ ვიცი, არ ვიცნობ.

ჩიჩიკოვი კიდევ უფრო გაოცდა.

— ეს როგორ?.. ვიმედოვნებ, სიამოვნება მაქვს პოლკოვნიკ კოშკარევთან საუბრისა?

— მე გახლავართ პიოტრ პეტროვიჩ პეტუხი, პეტუხი პიოტრ პეტროვიჩი! — სიტყვა ჩამოართვა მასპინძელმა.

ჩიჩიკოვი გაქვავდა.

— ესღა გვაკლდა! როგორ მოახერხეთ, ბრიყვებო, — მიუბრუნდა სელიფანსა და პეტრუშკას, რომლებსაც პირები დაეღოთ და თვალები გადმოცვენაზე ჰქონდათ, ერთი ისევ კოფოზე იჯდა, მეორე ეტლის კართან დაყუდებულიყო, — როგორ მოახერხეთ, ბრიყვებო? ხომ გითხრეს — პოლკოვნიკ კოშკარევთან... ეს კი პიოტრ პეტროვიჩ პეტუხია...

— ყოჩაღ, კარგადაც მოახერხეს! — დაიძახა პიოტრ პეტროვიჩმა, — აბა, თითო სირჩა არაყი და ზედ კულებიაკა ამათ! გამოხსენით ცხენები და ახლავე გასწით სამოახლოში!

— ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, — ბოდიშის ნიშნად, თავდახრით ამბობდა ჩიჩიკოვი, — ეს როგორ შეგვეშალა...

---

1. კუპიტონი — სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; გამოისახებოდა ტიტველ, ფრთებიან ბიჭად, ხელში მშვილდ-ისრით.

— არ შეგშლიათ, არა, — სწრაფადვე უპასუხა პიოტრ პეტროვიჩ პეტუხმა. — არ შეგშლიათ. ჯერ სადილი იგემეთ, და აი, მერედა თქვით, მართლა შეგეშალათ თუ არა. უმორჩილესად გთხოვთ... — ჩიჩიკოვს ხელი გამოსდო და შიდა საკანეებისაკენ გასწია.

ჩიჩიკოვი თავმდაბლობდა, ცდილობდა, კარში გვერდულად [illegible] მასპინძლისთვის არ გაესწრო, მაგრამ ამაოდ ირჯებოდა. პიოტრ პეტროვიჩ [illegible] ერთად მაინც ვერ გაეტეოდა და, რაც მთავარია, უკვე აღარც იყო იქ. ეზოდან კი ისმოდა: „ამ ოთა-უფროსს რა მოუვიდა? აქამდე სად დაიკარგა? დოყლაპია ემელიან. დაბღურა მზარეულთან გავარდი, უთხარი, ზეთხი დროულად გამოშიგნოს, ხვაში, ქვირითი, შიგნეული — უხაში, კარჩხანა — ხოესში. კიბოები, ჰო, კიბოები! დოყლაპია ოთა-უფროსო, სად არის კიბოები? კიბოები-მეოქი, კიბოები?!“

— ო, მასპინძელი დიდ ამბავშია, — თქვა ჩიჩიკოვმა, სავარძელში ჩაეშვა და კუთხე-კუნჭულის ყურადღებით თვალიერება დაიწყო.

— აი, მეც მოვედი — დაიძახა შემოსულმა მასპინძელმა, რომელსაც საზაფხულო ხერთუკში გამოწყობილი ორი ჭაბუკი შემოჰყვა. შოლტივით ბიჭებს მთელი არშინით გაესწროთ სიმაღლეში პიოტრ პეტროვიჩისათვის.

— ჩემი ეაჟიშვილები გახლავთ, გიმნაზიელები. სადღესასწაულოდ ჩამომივიდნენ. შენ, ნიკოლაშა, სტუმართან დარჩი. შენ კი, ალექსაშა, მე წამომყევი.

და პიოტრ პეტროვიჩ პეტუხი ისევ გაუჩინარდა.

ჩიჩიკოვი ნიკოლაშას მიუბრუნდა. ენაწყლიანი ჭაბუკი აღმოჩნდა, ხალისით ჰყვებოდა: ჩვენთან, გიმნაზიაში არც ისე კარგად ასწავლიან, იმათ უფრო სწყალობენ, რომელთა დედიკოები ძვირფას-ძვირფას საჩუქრებს გზავნიანთ, ქალაქში ინგერმანლანდიური ჰუსარია პოლკი დგას, როტმისტრ ვეტვიცკის უკეთესი ცხენი ჰყავს, ვიდრე თვით პოლკოვნიკს, თუმცა პორუჩიკი ვზემცევი უფრო კარგად დააჭენებსო.

— აბა, ერთი ეს მითხარით, გეთაყვა, რა დღეშია თქვენი მამილის მამული? — ჰკითხა ჩიჩიკოვმა.

— დაგირავებულია! — თვითონ მამილომ უპასუხა, უცებ რომ გამოჩნდა სასტუმრო ოთახში, — დაგირავებულია.

ჩიჩიკოვს ისღა დარჩა, სიხტადდარჩენილი კაცის ეერი მიელო.

— მერედა რატომ დააგირავეთ?

— ისე. ყველამ დააგირავა და სხვებს ხომ არ ჩამოვრჩებოდი? ამბობენ, ხელსაყრელიაო. თანაც სულ აქ ხომ არ ვიქნები, მოდი, მოსკოვში ცხოვრებასაც მოვსინჯავ.

„სულელი, სულელი! — გაიფიქრა პაველ ივანოვიჩმა, — მთელ ქონებას გაფლანგავს და შვილებსაც მფლანგველებად აქცევს. დარჩენილიყო თავისთვის კულებიაკა სოფელში“.

— მე ვიცი, რაც გაიფიქრეთ, — თქვა პეტუხმა.

— რა? — ჰკითხა შეცბუნებულმა ჩიჩიკოვმა.

— თქვენ გაიფიქრეთ: რა სულელია ეს პეტუხი! სადილზე მთიწვია, საჭმელ-სასმელი კი მზად არა აქვსო. თქვენ არხეინად იყავით, ახლავე ყველაფერს მოვაგვარებთ, უპატიეცემულესო. თვალის დახამხამებაში გაიწყობა სუფრა.

— მამილო, პლატონ მიხალიჩი მოდის! — დაიძახა ფანჯარაში მაცქერალმა ალექსაშამ.

— წაბლა ცხენზე ამხედრებული! — გამოეპასუხა ნიკოლაშა — ალექსაშა, შენ როგორ გგონია, ჩვენი ქურანა არა სჯობია?

— სჯობია თუ არა, მუხლი ისეთი მაინც არა აქვს.

წაბლასა და ქურანაზე კამათი გააბეს. ამასობაში ოთახში ულამაზესი მამაკაცი შემოვიდა — ტანადი, ქერა კულულებითა და მუქი თვალებით. დიუნჩიანი ქოფაკი, ნამდვილი ურჩხული, შემოჰყვა, სპილენძის საყელოს ელარუნით.

— ნასადილევი ხართ? — შეაგება პიოტრ პეტროვიჩ პეტუხმა.

— დიახ, — მიუგო სტუმარმა.

— თქვენ რა, მასხარად მიგდებთ? — მიუგო გაბრაზებულმა პეტუხმა, — აბა, ახლა რა ჭკუა უნდა მოგთხოვოთ?

— პიოტრ პეტროვიჩ, — ჩაიცინა სტუმარმა, — შემიძლია დაგამშვიდოთ: სადილზე არაფერი მიჭამია, მადა არა მაქვს.

— ერთი განახათ, რა თევზი დავიჭირეთ! თავად ზუთხმა იკადრა მობრძანება! კარჩხანას ხომ თვლა არ ჰქონდა.

— რომ გისმენთ, მშურს კიდეც, — უთხრა სტუმარმა, — მასწავლეთ, თქვენსავით მხიარული ვიყო.

— ღმერთო, შემიწყალე! რაა მოსაწყენი? — თქვა მასპინძელმა.

— რაა მოსაწყენი? — თვითონ მოწყენილობა.

— ცოტას მიირთმევთ, და მეტი არაფერი. მოსინჯეთ. მაძღრისად ისადილოთ. ეს მოწყენილობა ხომ ბოლო დროს მოიგონეს. აბა, წინათ ვის იწყენდა?

— მორჩით ტრაბახს! ნუთუ არასდროს მოგიწყენიათ?

— არასდროს! არც გამომიცდია და მოწყენილობისათვის არცა მცალია. დილას გავიღვიძებ — ჩაი ხომ უნდა დალიო. მერე — მოურავი, მერე — თევზაობა, მერე სადილი. ნასადილევს ჩათვლემასაც ვერ მოასწრებ, რომ ვახშმის დროა. ნავახშმევს მზარეულს მეორე დღის სადილი ხომ უნდა შეუკვეთო. ჰოდა ასე, აბა, სადღაა მოწყენის დრო?

მთელი ამ საუბრისას ჩიჩიკოვი სტუმარს ათვალიერებდა.

პლატონ მიხალიჩ პლატონოვი აქალევსსა და პარისს ერთად განასახიერებდა, მოხდენილ აღნაგობას, მშვენიერ სიმაღლესა და სინორჩეს ამ კაცში მოეყარა თავი. სასიამოვნო, ოდნავ ირონიული ღიმილი ხიბლს უფრო ჰმატებდა. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ჩამკვდარი და მთვლემარე მოგეჩვენებოდათ. მისი ბავშვური, ქორფა სახისთვის ვნებას, ნალველსა და ელდას კვალიც არ დაეჩნია, თუმცა უსიცოცხლო ელფერი მაინც გადაჰკრავდა.

— გამოგიტყდებით — წარმოთქვა ჩიჩიკოვმა, — მეც ვერ გამიგია, ასეთი გარეგნობის ადამიანმა როგორ შეიძლება მოიწყინოს. გამოინახება, რა თქმა უნდა, მიზეზებიც: უფულობა, ბოროტგანმზრახველთაგან შევიწროება, დიახ, ასეთებიც მოიძებნებიან, სიცოცხლეს რომ ხელყოფენ.

— სწორედ მაგაშია საქმე, მსგავსი რომ არაფერია, — მიუგო პლატონოვმა, — მერწმუნეთ, ზოგჯერ ვოცნებობ კიდეც: რამემ შემაშინოს, ამაღელვოს, თუნდაც ვინმემ გამაბრაზოს. მაგრამ — არა! ერთთავად მხოლოდ მოწყენილობაა.

—არ მესმის, არაფერი არ მესმის, იქნებ პატარა მამული გაქვთ, ან სულადობა არ გყოფნით?

— სულაც არა, მე და ჩემს ძმას ათი ათასი დესეტინა მიწა გაგვაჩნია და, ამასთან, ათასი სული გლეხი.

— და მაინც მოწყენილი ხართ! არ მესმის, არაფერი არ მესმის! არა, იქნებ

მამული არეულ-დარეულია? მოუსავლიანობაზე რას იტყვით ან სიკვდილიანობა როგორია?..

— ყველაფერი რიგზეა. ჩემი ძმაც საუკეთესო მემამულეა.

— არ მესმის! — ჩაილაპარაკა ჩიჩიკოვმა და მხრები აიწურა.

— ახლავე გავფანტავთ თქვენს მოწყენილობას, — წამოიძახა მასპინძელმა, — ალექსაშა, აბა, მარდად, გაიქეცი სამზარეულოში და მზარეულს ბრძანე, თაეჩენილი ღვეზელები ახლავე გამოგვიგზავნოს. მოიცა, დოყლაპია ემელიანი და ქურდი ანტოშკა სადღა არიან? საუზმეული რატომ არ მოიქვთ?

ამ დროს კარიც გაიღო, დოყლაპია ემელიანი და ქურდი ანტოშკა ხელსახოცებით გამოჩნდნენ: მაგიდას გადააფარეს, დადგეს ლანგარი, სხვადასხვა ფერის ნაყენით სავსე ექვსი გრაფინით. მალე ლანგრისა და გრაფინების გარშემო ყელსაბამივით ჩამოალაგეს ოეფშები — ხაზილალა, ნაირნაირი ყველი, დამწნილებული სოკო, მანჭკვალა და სამზარეულოდან შემოტანილი თაედახურული თეფშები, შიგნიდან ზეთის შიშხინი რომ მოისმოდა. დოყლაპია ემელიანი და ქურდი ანტოშკა კარგი და მარჯვე ბიჭები აღმოჩდნენ. ეს მეტსახელები ბატონმა იმიტომ შეარქვა, რომ სხვანაირად არ შეეძლო, უმეტსახელოდ ყველაფერი უფერული ეჩვენებოდა, კეთილი კი იყო, მაგრამ სიტყვა ცხარე უყვარდა და არც არავის სწყინდა.

საუზმეულს სადილი მოჰყვა. აქ კი გულმოწყალე მასპინძელი ნამდვილ ყაჩაღად იქცა. როგორც კი რომელიმეს ერთ ნაჭერს დაუნახავდა, იქვე მეორეს მიუდებდა, თან დაატანდა: „ცალადმყოფი არც ადამიანი, არც ფრინველი ვარგა". სტუმარი ორივეს შეჭამდა — მესამესაც დაუმატებდა და ისევ დაატანდა: „რას ჰქვია ორი? ღმერთი სამობითაა". სტუმარი სამივეს მიირთმევდა — ისევ: „სად გინახავთ სამბორბლიანი საზიდავი? ვინ აშენებს სამკუთხა ქოხს?" ოთხზე ისევ ჰქონდა ანდაზა, ხუთზეც. ჩიჩიკოვმა ლამის თორმეტი ნაჭერი შეჭამა, თან ფიქრობდა: „აბა, კიდევ რას მოახერხებს მასპინძელი?!" საქმეში ხარ, მასპინძელმა თეფშზე შამფურზე შემწვარი ხბოს სუკის ნაჭერი დაუდო, შამფურზე შემწვარისა, საუკეთესო ნაჭერი, თირკმელებით, თანაც რა ხბოსი!

— ორი წელი რძით ნაზარდი, — განაცხადა პეტუხმა, — შვილივით თავს ვევლებოდი!

— აღარ შემიძლია! — წამოიკნავლა ჩიჩიკოვმა.

— აბა, ჯერ გასინჯეთ, მერე იუარეთ!

— არ ჩამივა, ადგილი აღარ დამრჩა.

— აი ეკლესიაშიც ტევა აღარ იყო, მაინც შევიდა გოროდნიჩი — ადგილი მოინახა. არადა, ისეთ ჭეჭყვაში თითქოს ნემსის ჩაგდებასაც ვერავინ მოახერხებდა. თქვენ მხოლოდ მოსინჯეთ: ეს ნაჭერი — ის გოროდნიჩია.

ჩიჩიკოვმა მოსინჯა — მართლაც, გოროდნიჩივით ნაჭერი აღმოჩნდა, მისთვისაც მოიძებნა ადგილი, არადა, თითქოს აღარ ჩაეტეოდა.

ღვინოებზეც იგივე ისტორია განმეორდა. ლომბარდიდან ფული როგორც კი გამოიტანა, პიოტრ პეტროვიჩმა ათი წლის მარაგი შეიძინა. წამდაუწუმ ასხამდა და ასხამდა; სტუმრები რასაც ველარ სვამდნენ, ალექსაშას და ნიკოლაშას აყლურწვინებდა, ისინიც სირჩას სირჩაზე ცლიდნენ, სუფრიდან კი ისე წამოდგნენ, თითქოს არაფერი, მხოლოდ თითო ჭიქა წყალი გადაუკრავთო. სტუმრებს კი, აი, რა დაემართათ: ძლივძლივობით გადაბარგდნენ აივანზე და ძლივძლივობით ჩაებლექვნენ სავარძლებში. მასპინძელი კი, როგორც კი მოთავსდა თავის, ასე ვთქვათ, ოთხადგილიანში, ეგრევე ძილად იქცა. მისი ვეება სხეული სამჭედლოს

საბერველს დაემსგავსა. დაფხენილი პირიდან და ნესტოებიდან ისეთი ხმები ამოსდიოდა, ახალ მუსიკაშიც რომ ვერ გაიგონებთ. ყველაფერი ისმოდა — დოლიც ფლეიტაც, და ძაღლის ყეფის მსგავსი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღაღადიც.

— აუ, რას უბერავს! — თქვა პლატონოვმა.

ჩიჩიკოვს გაეცინა.

— აბა რა, თუ ასე ისადილებ,—წამოიწყო პლატონოვმა,— მარტო კი არა, ძალი წაგიღებს, ძალი.

— დიახ, — მიუგო ჩიჩიკოვმა, თან თვალები ეხუჭებოდა, — არა, მაპატიეთ, მაინც ვერ გამიგია, რას მიქვია მოწყენილობა? მოწყენილობის საწინააღმდეგო ათასი საშუალება არსებობს.

— მაინც რა?

— რაღა რა — ათასი გასართობია ახალგაზრდა კაცისთვის! იცეკვეთ, რომელიმე ინსტრუმენტზე დაუკარით... უკიდურეს შემთხვევაში — იქორწინეთ.

— ვისზე? მითხარით ერთი, ვისზე?

— რათ, ვითომ, ამ ახლომახლო კარგი და მდიდარი საცოლე არ მოიძებნება?

— წარმოიდგინეთ, რომ — არა.

— მაშინ სხეაგან ეძიეთ, ქვეყანა მოიარეთ, — აქ ჩიჩიკოვს დიდებულმა აზრმა გაუელვა: თვალები გაუფართოვდა, — არის კიდევ ერთი მშვენიერი გასართობი! — წარმოთქვა და თან პლატონოვს თვალებში შესცინებდა.

— რა?

— მოგზაურობა.

„კარგი კი იქნებოდა: დანახარჯს შუაზე გავიყოფდით, ეტლის შეკეთებას კი მთლიანად მას დავაკისრებდი“.

— საით მიემგზავრებით?

— აბა, როგორ გითხრათ — საით? მივემგზავრები საკუთარი კი არა, უფრო სხვისი თხოვნით. გენერალმა ბეტრიშჩევმა, ჩემმა ახლობელმა და, შეიძლება ითქვას, კეთილისმყოფელმა, მისი ნათესავების მინახულება მთხოვა... თუმცა ნათესავები ნათესავებად, მაგრამ, ნაწილობრივ, ასე ვოქვათ, საკუთარი სურვილითაც; ვინაიდან ქვეყნის, ადამიანთა ფაცაფუცის ნახვაც ხომ ცოცხალი წიგნი და მეორე მეცნიერებაა.

პლატონოვი ჩაფიქრდა.

ამასობაში აი, რა უტრიალებდა თავში ჩიჩიკოვს: „მართლაც, კარგი იქნება! ასეც შეიძლება, ყველა დანახარჯი ამან იკისროს. იქნებ, მისი ცხენებით გავემგზავროთ, ჩემები კი დავასვენო. რა მოხდება, ჩემი ეტლი მის სოფელში რომ დაეტოვო, გზაში კი მისი ეტლი გამოვიყენოთ?“

„ეგრე იყოს! მოდი, მოგზაურობასაც მოვსინჯავ! — თავის მხრივ ფიქრობდა პლატონოვი, — ხომ შეიძლება, მართლაც გაემხიარულდე. სახლში საქმეც არაფერი მაქვს, მეურნეობა ხომ, ისედაც ჩემი ძმის ხელშია. ჩემი წასვლით არც არაფერი დაშავდება. მართლაც, რატომ არ უნდა გავემგზავრო?“

— გთხოვთ, — თქვა ხმამაღლა, — ერთი-ორი დღით ჩემს ძმას ესტუმროთ, ისე არ გამომიშვებს.

— დიდი სიამოვნებით. გნებავთ, სამი დღით იყოს.

— აბა, თუ ასეა, დაჰკარით ხელი! მივდივართ! — გამოცოცხლდა პლატონოვი.

— ვაშა! — წამოიძახა ჩიჩიკოვმა და გაშოწვდილ ხელს თავისი შეაგება, — მივდივართ!

— საით, საით? — იყვირა გამოლვიძებულმა მასპინძელმა და თვალები დაჭყიტა, — არა, ბატონებო, ნაბრძანებია, თქვენი ეტლისათვის ბორბლები დაეძროთ. თქვენი ულაყი კი, პლატონ მიხალიჩ, აქედან უკვე თხუთმეტი ვერსიაა დაშორებული. არა, ჩემთან ღამე უნდა გაათენოთ, ხვალ კი, ადრიანი ხადილის შემდეგ, საითაც გნებავთ, გაემგზავრეთ — გზა დაძილოცნია.

„ესეც ახალი ამბავი" — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა.

პლატონოვს ხმაც არ ამოუღია, იცოდა, თავის ჩვეულებებს პეტუხი რა ძტკიცედ იცავდა. მეტი რა ჩარა იყო, უნდა დარჩენილიყვნენ.

სამაგიეროდ, გაზაფხულის ამშვიათი დაისით დატკბნენ. მასპინძელმა მდინარეზე სეირნობა მოაწყო. თორმეტმა მენიჩბემ, სიმღერით, ოცდათოხი ნიჩბით, მათი კატერი მოკრიალებული ტბის შუაგულისაკენ გაასრიალა. ტბიდან უკიდეგანო მდინარეში გავიდნენ, ორივე მხრიდან ღიმრეცა ნაპირები რომ მიუყვებოდა. ერთი ჭავლი მაინც გამოჩენილიყო, მოსეირნენი ჩაის სვამდნენ და კალაჩებს აყოლებდნენ. თევზის დასაჭერად გაჭიმულ ბადეებს თავს ძლიეს აღწევდნენ. ჩაიმდე მასპინძელმა ტანთ გაიძრო და წყალში მოადინა ტყაპანი. მთელი ნახევარი საათი დგაფუნობდა, უყვიროდა მეთევზეებს, თომა-უყრონსა და კუზმას ეძახდა და ყეარილისაგან დაღლილი, ნაფაციფუცები, გათოშილი, კატერზე მადააღძრული ამობობღდა და ნადვილად შეგშურდებოდათ, ჩაის ისე ხვრეპდა. ამასობაში მზეც ჩავიდა. მხოლოდ ცის ტატნობლა ანათებდა. ხმაური გაძლიერდა. მეთევზეების ადგილი მობანავე ბავშვებმა დაიკავეს. წყლის დგაფუნი და ყიჟინა შორს გაისმოდა. მენიჩბეები, ერთდოულად ოცდათხ ნიჩაბს რომ უსვამდნენ, უცებ ჩერდებოდნენ, ნიჩბებს მაღლა სწევდნენ და კატერი წყლის უძრავ კრიალა ზედაპირზე თვითონ მისრიალებდა. ზორბა ვაჟი, ქალიშვილის სინორჩე რომ დაჭკრაედა, საჭედან მესამე, მჭექარე ხმით აწყებდა სიმღერას, ხუთნი მხარს უბამდნენ. დანარჩენი ექვსიც უერთდებოდა — და რუსეთივით უსასრულო სიმღერა იღერებოდა; და ყურზე ხელმიდებულნი თვითონვე იკარგებოდნენ მის უსასრულობაში. ამაში იყო რაღაც შეკბისმომგვრელი და ჩიჩიკოვი ფიქრობდა: „ეჰ, რომელიმე სოფელს, მართლაც, შევიძენ!" „აბა, ამ ნაღვლიან სიმღერაში რა არის კარგი? — ფიქრობდა პლატონოვი, — სულს სევდა უფრო ეძალება".

უკან თითქმის ბინდბუნდში დაბრუნდნენ. ნიჩბებს ჩაბნელებულ წყალში უსვამდნენ, რომელიც უკვე ცას აღარ ირეკლავდა. ტბის გარშემო კოცონები ოდნავ მოჩანდნენ. ნაპირს რომ მიადგნენ, მთვარე ამოდიოდა. ირგვლივ, სამფეხებზე, მეთევზეები უხას ხარშავდნენ, სულ ჩიქვისა და მოფართხალე თევზებისაგან. ყველაფერი დაბინავებული იყო. ბატები ძროხები, თხები უკვე დიდი ხანია მორეკეს. მათგან აყენებული მტვერიც უკვე დაიწმინდა. მწყემსები კი ჭიშკართან იდგნენ, კოჭობი რძისა და უხაზე მიწვეის მოლოდინში. აქა-იქ ლაპარაკი, ჟრიამული და საკუთარი თუ სხვისი სოფლების ძაღლების ხმამაღალი და შორეული ყეფა ისმოდა. მთვარე სულ ზევით და ზევით იწევდა, თანდათან განათდა. დაბოლოს ყველაფერს — ტბასაც, ქოხებსაც ნათელი მოეფინა... კოცონები გაფერმკრთალდა; მილებიდან მოვერცხლისფრო კვამლიც გამოჩნდა. ორ მარდ ულაყზე ამხედრებულმა ნიკოლაშამ და ალექსაშამ ჩამოიქროლეს. თან ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: ისეთი ბუღი დადგა, თითქოს ცხერის ფარამ ჩაიქროლაო. „ეჰ, ნეტა, როდესმე სოფელს შევიძენ?!" — ფიქრობდა ჩიჩიკოვი. დედაკაცი და პატარა ჩიჩიკოვები ისევ წარმოუდგნენ. აბა, ვის არ გაულღობდა გულს ასეთი საღამო.

ვახშამი კი ისევ ძღომაზე მიირთვეს. პაველ ივანოვიჩი მასთეის საძინებლად განკუთვნილ ოთახში რომ შევიდა, დაწოლის წინ, მუცელი ხელით მოისინ-

ჯა: «დოლიევითაა, — ჩაილაპარაკა, — ვერავითარი გოროდნიჩი ვერ შეეტევა!» მეტის ატანა არ შეიძლებოდა: თხელი კედლის იქით, მახპინძლის კაბინეტი იყო და ყველაფერი ისმოდა, რაც იქ ითქმებოდა. მახპინძელი მზარეულს, ადრიანი საუზმის სახით, ხვალისთვის ნამდვილ სადილს უკვეთავდა. მერე როგორ უკვეთავდა. მკვდარსაც კი მადა გაეხსნებოდა. ტუჩებს აწკლაბუნებდა და დაუსრულებლად გაისმოდა: „კარგად მოხრაკე, კარგად მოშუშე!" მზარეული კი წვრილი ფალცეტით აყოლებდა: „მესმის, ბატონო, კი, ბატონო, ეგრე იყოს, ბატონო".

— კულებიაკა ოთხკუთხა გააკეთე, ერთ კუთხეში ზუთხის თავის ნაჭრები და „ეიაზიგა" ჩამიდეო, მეორეში წიწიბურას ბურღულის ფაფა, ხახვში მოხრაკული სოკო, და ხვაში, და ტვინი, და კიდევ, რაც იცი...

— კეთილი, მესმის, ბატონო.

— და კიდევ, ცალ მხარეს კარგად შეიბრაწოს, გესმის, მეორეზე ნაკლებად, ქვევიდან კი, ქვევიდან, ისე გამოაშუშე, რომ იფშვნებოდეს, წვენით ისე უნდა გაიჟღინთოს, გესმის, რომ პირში თოვლივით დნებოდეს.

„ეშმაკმა დალახვრის! — ფიქრობდა ლოგინში აწრიალებული ჩიჩიკოვი, — არ დაგაძინებს!"

— ღორის ფარშით დატენილი კუჭი მომიმზადე. შუაგულში ყიხული ჩაუდე, კარგად რომ გაფუშფუშდეს. ზუთხს გარნირი, აი, გარნირი რომ მდიდრული ჰქონდეს! კიბოები და წვრილი თევზი შემოულაგე, ცქმურას ფარში ჩაუფინე, და დაუმატე წმინდა რიში, პირშუშხა, არყა სოკო, თალგამი სტაფილო, ლობიო, ნეტა არის კიდევ რამე ბალახბულახი?

— იქნებ, ვარსკვლავებად დაჭრილი მიწამხალა ან ჭარხალი დაკუმატოთ... — მიაშველა მზარეულმა.

— მიწამხალაც და ჭარხალიც იყოს.

— შემწვარ ხორცს კი, აი, როგორი გარნირი მოუხდება...

— სულ გამიფრთხა ძილი, — ჩაილაპარაკა ჩიჩიკოვმა, თან გვერდი მოიბრუნა, თავი ბალიშში ჩარგო, საბანში გაეხვია, რომ სმენა დაეხშო, მაგრამ მაინც ესმოდა:

„უყურო შებრაწე, გამოცხობა არ დააკლო, კარგად მოშუშე". ბოლოს, ინდაურზე... ჩაეძინა.

მეორე დღეს ისე გამოძღენ, რომ პლატონოვი ცხენით ველარ იმგზავრებდა; ულაყი პეტუხის მეჯინიბეს გაატანეს. თვითონ ეტლში ჩასხდნენ. დრუნჩიანი ქოფაკი ეტლს ზანტად გამოჰყვა, ისიც მაძღრისად იყო ნაჭამი.

— არა, ეს უკვე მეტისმეტია, — თქვა ჩიჩიკოვმა, ეზოდან რომ გამოვიდნენ, — ეს ღორობაა. ხომ არაფერი გაწუხებთ, პლატონ მიხალიჩ? საოცრად მოხერხებული ეტლია, ახლა რა მოუვიდა? პეტრუშკა, შენი სისულელის წყალობით რამე ხომ არ გადააწყვ-გადმოაწყვე? გარშემო სულ ყუთებია ჩახერგილი!

პლატონოვს ჩაეცინა.

— ახლავე მოგახსენებთ, — მიუგო მან, — პეტრ პეტროვიჩმა საგზალი ჩაგვილაგა.

— დიახ, ასეა, — დაუდასტურა პეტრუშკამ და ბატონს მოხედა, — ბრძანეს, ყველაფერი ეტლში ჩააწყეთო — პაშკეტებიც და ღვეზელებიც.

— ნამდვილად, ბატონო, პაველ იეანოვიჩ, — წამოიწყო სელიფანმა და, გამხიარულებული, კოფოზე შემობრუნდა, — დიდად პატივცემული ბატონია. პურმარილიანი! თითო სორჩა შამპანური გამოგვიგზავნა. დიახ, ბატონო, სასტუმრო

კერძებიც შემოგვთავაზა — ერთობ გემრიელი კერძები, დელიკატესები. ასეთი პატივცემული ბატონი არც მინახავს.

— ხომ ხედავთ, ყველას გვასიამოვნა, — მიმართა ჩიჩიკოვს პლატონოვმა, — გთხოვთ, პირდაპირ მითხრათ, გცალიათ, სხვა სოფელში რომ გავიარეთ, აქედან ერთი ვერსის მანძილზე? დასა და სიძეს მინდა გამოვემშვიდობე.

— დიდი სიამოვნებით, — უპასუხა პაველ ივანოვიჩმა.

— არაფერს იზარალებთ, ჩემი სიძე არაჩვეულებრივი ადამიანია.

— რაში გამოიხატება მისი არაჩვეულებრივობა?

— რუსეთში უპირველესი მებატონეა. დასალუპად განწირული მამული შეისყიდა, ოცი ათასს ძლივს რომ იძლეოდა და ათ წელზე ცოტა მეტ დროში ისე ამოქაჩა, ახლა ორასი ათასს იღებს.

— აი, პატივსაცემი კაცი! მისი ცხოვრება მომავალი თაობების მაგალითად უნდა იქცეს! ძალიან, ძალიან მესიამოვნება, თუ გამაცნობთ, რა გვარია?

— კოსტანჟოგლო.

— სახელი და მამის სახელი?

— კონსტანტინ ფიოდოროვიჩი.

— კონსტანტინ ფიოდოროვიჩ კოსტანჟოგლო. ძალიან სასიამოვნოა მისი გაცნობა. სასარგებლოა ასეთ ადამიანთან დაახლოება. — და ჩიჩიკოვმა კოსტანჟოგლოზე გამოკითხვა დაუწყო, და მართლაც, საოცარი ამბები მოისმინა.

— შეხედეთ, აქედან მისი მიწები იწყება, — ამბობდა პლატონოვი და მინდვრებზე მიუთითებდა, — სხვებისგან მაშინვე განასხვავებთ. შეეტლევ, აქ მარცხნივ შეუხვიე. ამ ნორჩ ტყეს ხედავთ? წარმოიდგინეთ, დათესილია. სხვასთან ასე თხუთმეტ წელიწადშიც არ გაიზრდებოდა, აქ კი რვაში აიშოლტა. აი, ტყე გათავდა, პური დაიწყო. ორმოცდაათი დესეტინის შემდეგაც ტყე იქნება, ისიც დათესილი, მერე ისევ პური. ხედავთ, სხვებთან შედარებით რამდენად ხშირია?

— ეხედავ, მაგრამ როგორ ახერხებს?

— აი, გაესაუბრეთ და ნახავთ, რომ[1]... ყოვლისმცოდნეა, ისეთი ყოვლისმცოდნე, მსგავსს ვერსად შეხვდებით. გარდა იმისა, რომ შესანიშნავად ერკვევა, რომელ მცენარეს როგორი ნიადაგი უყვარს, ისიც იცის, რომელი მცენარეები ვერ იტანენ ერთმანეთის მეზობლობას, რომელი ტყის ახლოს რომელი პური უნდა დაითესოს. გვალვისაგან ყველას მიწა გვისკდება, მას კი — არა. გამოითვლის, როგორი ტენიანობაა საჭირო, და იმდენ ხეს გაახარებს; მასთან ყველაფერს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ტყე ტყედ, მინდორს კი ფოთლებისა და ტენისაგან — გაპატივება. აი, სულ ასეა.

— გასაოცარი ადამიანი ყოფილა! — წამოიძახა ჩიჩიკოვმა, თან მინდვრებს ინტერესით ათვალიერებდა.

არაჩვეულებრივი წესრიგი სუფევდა. ტყეები შემოღობილი იყო; ხშირად მოჩანდა საქონლის ფარეხები, ჭკვიანურად აგებული, შესაშური შიგთავსით, უზარმაზარი ძნები. ხვავი და ბარაქა იღვრებოდა გარშემო. მაშინვე იგრძნობდა, რომ თადარიგიანი, შეძლებული მებატონე ცხოვრობდა. მაღლობზე რომ აკიდნენ, მოპირდაპირე მხარეს სამ გორაკს შორის მოქცეული დიდი სოფელი დაინახეს. ყველაფერი მდიდრული გახლდათ: მოკირწყლული გზები, მყარად ნაშენი ქოხები; თუ სადმე ნაზიდავი იდგა — ახალი და მაგარი იყო; ცხენი შეგხვდებოდათ —

1. ხელნაწერში ოთხი სიტყვა გაურკვეველია.

კარგად ნაკვები და ნაუქი; რქოსანი პირუტყვი — სულ ნარჩევი. გლეხკაცის ღორიც კი მებატონეს მიაგავდა. ეტყობოდა, აქაურები, როგორც სიმღერაშია ნათქვამი, ვერცხლის ნიჩბით ხვეტავდნენ. ვერ დაინახავდით ვერც ინგლისურ ბალებსა და ფანჩატურებს, ვერც ნაირ-ნაირად შემკულ სკვერებსა და სახლის წინ გადაჭიმულ ხეივნებს. ქოხებიდან ბატონიანთ ეზომდე მუშათა დასახლება გადაჭიმულიყო. სახურავებზე დიდი ფარნები ეკიდა, სამკაულად კი არა, არამედ თვალყურის სადევნებლად — სად, რა ადგილას და როგორ მიდიოდა მუშაობა.

სახლს მიუახლოვდნენ. მასპინძელი შინ არ დახვდათ; მისმა მეუღლემ, პლატონოვის ალალმა დამ შეიპატიჟა. ქერა ქალი გახლდათ, თეთრი პირისახისა, საოცრად რუსული გამომეტყველებით. ულამაზესი, მაგრამ ძმასავით მთვლემარე. თითქოსდა ნაკლებ აწუხებდა ის, რაზეც სხვები წუხან, ანდა მისი მეუღლის ყოვლისმომცველმა საქმიანობამ ადარაფერი დაუტოვა საზრუნავით, შეიძლება. თავისი არსებით ის იმ ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებსაც გრძნობაც, აზრიც, ჭკუაც საკმაო აქვთ, მაგრამ რაღაც სანახევროდ ცხოვრობენ, ამ ქვეყანას თვალმოჭუტულნი შესცქერიან და, აღელვების მაგივრად, ამბობენ: „აბა, რა, გიჟი თავისუფალია!“

— გამარჯობა, დამ! — მიესალმა პლატონოვი, — კონსტანტინი სად არის?

— არ ვიცი. კარგა ხანია, უნდა დაბრუნებულიყო. საქმეს თუ გადაჭყვა.

ჩიჩიკოვს დიასახლისისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. მას აინტერესებდა, როგორ ცხოვრობდა ეს არაჩვეულებრივი კაცი. სახლის მორთულობასა და პატრონის ხასიათს შორის მსგავსებას ეძებდა ისევე, როგორც ნიჭარით ადგენენ, რა ჯიშის ხამანწკა ან ლოკოკინა ზის შიგ. ვერაფერს გახდა. ოთახებით პატრონის ხასიათს ვერ გამოიცნობდით — ფართო იყო და მორჩა. კედლებზე არც ფრესკები, არც სურათები, არც ბრინჯაო, არც ეტაჟერი — ფაიფურით ან ფინჯნებით, არც ლარნაკები, არც ყვავილები, არც სტატუეტები — ერთი სიტყვით, საცარიელე და მხოლოდ საცარიელე... უბრალო აქეჯი და კუთხეში მიდგმული მტვრით დაფარული როიალი: ეტყობოდა, დიასახლისი იშვიათადღა მიუჯდებოდა ხელმე; სასტუმრო ოთახიდან (კარი მასპინძლის კაბინეტში)[1] იღებოდა, მაგრამ იქაც იგივე სისადავე და საცარიელე მეფობდა. ჩანდა, პატრონი სახლში საცხოვრებლად კი არა, მხოლოდ დასასვენებლად მოდიოდა; თავისი გეგმების გასააზრებლად ზამბარებიანი სავარძლებითა და ათასნაირი ზიზილ-პიპილოებით მორთული კაბინეტი არ სჭირდებოდა. მისი ცხოვრების არსი აგიზგიზებულ ბუხართან ოცნება კი არა, საქმე იყო. ჩანაფიქრი მაშინვე, ჩაუწერლად ხორციელდებოდა.

— აი, ისიც! მოდის, მოდის! — დაიძახა პლატონოვმა.

ჩიჩიკოვიც ფანჯარას მიაჩერდა. სახლს ორმოცდაათ წლის, მკვირცხლი, შაკგვრემანი მამაკაცი უახლოვდებოდა. შალის ხავერდის კარტუზი ეხურა. აქეთ-იქიდან ორი, ქუდმოხდილი, დაბალი წოდების კაცი მოჰყვებოდა, — მოდიოდნენ და რაღაცაზე კამათობდნენ. ერთი, ეტყობა, უბრალო გლეხი იყო; მეორე, ლურჯ ციმბირულაში გამოწყობილი — ჩამოსული კულაკი, ნამდვილი გაიძვერა.

— მაშ, მამაკ-ბატონო, იქნებ მაინც მიიღოთ! — ეხვეწებოდა გლეხი.

— არა, არა, ძმაო, უკვე ოცჯერ გაგიმეორეთ: მეტი აღარ მოიტანოთ. იმდენი მასალა დამიგროვდა, სად შევტენო, არ ვიცი.

---

1. ფრაზა დაუმთავრებელია. ფრჩხილებში მოთავსებული ფრაზა მიაწერა კულიშმა 1857 წლის გამოცემაში „ნ. ვ. გოგოლის თხზულებანი და წერილები“, 1857.

— თქვენ, მამავ-ბატონო, კონსტანტინ ფიოდოროვიჩ, მაინც გამოიყენებთ. მთელ დუნიაზე არ მოიძებნება თქვენებრ ჭკვიანი კაცი. ყველაფრის ყადრი იცით, ყველაფერს თავის გზას მოუნახავთ. გთხოვთ, მიიღოთ.

— მე, ძმაო, მუშახელი მჭირდება; მუშახელი მოიყვანე. მასალა რად მინდა.

— არც მუშახელის ნაკლებობა გექნებათ. მთელი ჩვენი სოფლები წამოვა სამუშაოდ: ისეთი მოუსავლიანობაა, არასდროს რომ არ ყოფილა. ეს ამბავი ჩვენი აყვანა არ გინდათ. არადა ვიმსახურებდით, გეფიცებით, ღმერთმანი, ვიმსახურებდით. აქ ჭკვიანურს თუ ისწავლი კაცი, კონსტანტინ ფიოდოროვიჩ, ამ ერთხელაც მიიღეთ, გთხოვთ.

— აი, მაშინაც ამბობდი: საბოლოოდ, ისევ კი მოიტანე.

— მართლა, საბოლოოდაა, კონსტანტინ ფიოდოროვიჩ. თქვენ თუ არა, მაშ, ვინ აიღებს. იქნებ მიღება ინებოთ, მამავ-ბატონო.

— კარგი, ამ ერთხელაც ავიღებ, მეცოდება და იმიტომ, შრომა წყალში რომ არ ჩაგეყაროს. კიდევ ერთხელაც თუ მოიტან, თუნდაც მთელი კვირა მეჯღანო, ხელს არ ვახლებ, იცოდე.

— მესმის, ბატონო, კონსტანტინ ფიოდოროვიჩ. მშვიდად ბრძანდებოდეთ, მეტად აღარ განმეორდება. უმორჩილესად გმადლობთ.

კმაყოფილი გლეხი ჩამოშორდა. ცრუობს, მაინც მოიტანს. დადებული სიტყვაა — „იქნებ...“

— კონსტანტინ ფიოდოროვიჩ, მოიღეთ მოწყალება... დაუკვლით, — ამბობდა მეორე მხარეს მომავალი, ლურჯ ციმბირულაში გამოწყობილი კულაკი.

— ხომ განგიცხადე თავიდანვე, ვაჭრობის მოყვარული არა ვარ-მეთქი. ხომ არაფერი გეშლება, ის მემამულე არ გეგონო, ლომბარდის გადასახადის ვადის მიწურულს თავზე რომ დაადგები. მშვენივრად გიცნობთ. მისხალ-მისხალ გაქვთ ჩამოწერილი, ვინ რიდის უნდა გადაიხადოს. ამას რა ფილოსოფია უნდა? კაცს ცეცხლი ეკიდება, ნახევარ ფასად მოგცემს, აბა რა იქნება?! მე კი ფული არაფრად მიღირს. საქონელი, თუნდაც, სამი წელი მედოს! ლომბარდებში კი არ ვარიგებ...

— ნაღდი საქმეა, კონსტანტინ ფიოდოროვიჩ, და იმიტომ... მხოლოდ იმიტომ ვიღებ, რომ თქვენთან ურთიერთობის საშუალება ისევ მქონდეს, და არა — ანგარების გამო. სამი ათასის წინასწარ მიღება ინებეთ.

კულაკმა უბიდან გაქონილი ასიგნაციების შეკვრა ამოაძვრინა. კოსტანჟოგლომ გულგრილად ჩამოართვა და დაუთვლელად ჩაიტენა სერთუკის უკანა ჯიბეში.

„ჰმ, — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა, — თითქოს ცხვირსახოცია!“

კოსტანჟოგლო მაშინვე სასტუმრო ოთახის კარში გამოჩნდა.

— ო, ძმაო, შენ აქა ხარ! — თქვა მან, პლატონოვი რომ დაინახა.

ერთმანეთი დიდის ამბით გადაკოცნეს. პლატონოვმა ჩიჩიკოვი წარუდგინა. ჩიჩიკოვი მოწიწებით მიუახლოვდა მასპინძელს, ლოყაზე ეამბორა და მისგანაც პასუხის მსგავსი მიიღო.

კოსტანჟოგლოს შთამბეჭდავი სახე ჰქონდა. სამხრეთული წარმომავლობა აშკარად იგრძნობოდა. თმა და წარბი მუქი და ხშირი ჰქონდა, მეტყველი, სხივიანი თვალი. გონიერება სახეზე ეხატა, თვლემა ახლოსაც არ ეკარებოდა. ოღონდ, ღვარძლი და სიავე კი ემჩნეოდა. მაინც რომელი ეროვნებისა იყო? რუსეთში ბევრი არარუსული წარმომავლობის რუსია, სულით რომ რუსები არიან, ისეთი. კოსტანჟოგლოს არც აინტერესებდა თავისი წარმომავლობა. თვლიდა, რომ ეს

არავის სჭირდება და მეურნეობისთვისაც ზედმეტი ბარგია. თანაც, რუსულის გარდა არც იცოდა სხვა ენა.

— იცი, კონსტანტინ, რა მოვიფიქრე? — მიმართა პლატონოვმა.

— რა?

— სხვადასხვა გუბერნიებში გავისეირნებ, ეგებ, ეს მოწყენილობაც ჩამოვიშორო.

ბიბლიოთეკა

— მართლაც, კარგი იქნება!

— აი, პაველ ივანოვიჩთან ერთად.

— მშვენიერია! რომელ ადგილებში აპირებთ მოგზაურობას? — იკითხა კოსტანეოგლომ და ჩიჩიკოვს მიუბრუნდა.

— გამოგიტყდებით, — მიუგო ჩიჩიკოვმა, თან თავი გვერდზე გადახარა და ხელები საკარძლის სახელურებს ჩამოაყრდნო, — ჯერჯერობით, მივემგზავრები არა საკუთარი, არამედ სხვისი ნებით. გენერალმა ბეტრიშჩევმა, ჩემმა ახლობელმა და, შეიძლება ითქვას, კეთილისმყოფელმა, მისი ნათესავების მონახულება მთხოვა. ნათესავები, რასაკვირველია, ნათესავებად, ნაწილობრივ, ასე ვთქვათ, საკუთარი თავისთვისაც; მართლაც, თუ არაფერს ვიტყვით იმ სარგებლობაზე, რაც ჰემოროიდალური თვალსაზრისით მოაქვს, მარტო ქვეყნისა და ადამიანთა ფაციფუცის ნახვა რად ღირს... რაც არ უნდა იყოს, ცოცხალი წიგნი და მეცნიერებაა.

— დიახ, სხვადასხვა კუთხეებში შეხედვა არავის აწყენს.

— მშვენივრად ბრძანეთ, — მიმართა ჩიჩიკოვმა, — ნამდვილად არავის აწყენს. ნახავ, რაც არ გინახავს, გაიცნობ ადამიანებს, რომელთაც ვერასდროს შეხვდებოდი, ოქროს ფასი აქვს მათთან საუბარს. მასწავლეთ, უპატივცემულესო კონსტანტინ ფიოდოროვიჩ, მასწავლეთ, თხოვნით მოგმართავთ. ცოურ მანანასავით ველოდები თქვენს ბრძნულ სიტყვას.

კოსტანეოგლო შეცბუნდა.

— კი, მაგრამ, რა?.. რა გასწავლოთ? მე თვითონ სპილენძის ფულზე ვსწავლობდი.

— სიბრძნე, უპატივცემულესო, სიბრძნე! მეურნეობის მართვის სიბრძნე, ნადდი შემოსავლის მიღება, სათცნები კი არა ნამდვილი ქონების შეძენა, ამით მოქალაქის ვალის აღსრულება და თანამემამულეთა პატივისცემის მოპოვება.

— იცით რა? — თქვა კოსტანეოგლომ: — დარჩით ერთი დღე. მთელ მეურნეობას გაჩვენებთ და ყველაფერს გიამბობთ. თავად დარწმუნდებით, სიბრძნე აქ არაფერ შუაშია.

— ძმაო, დარჩი დღეს, — დიასახლისი პლატონოვს მიუბრუნდა.

— კი, ბატონო, ჩემთვის სულერთია, — წარმოთქვა მან გულგრილად, — თქვენ რას იტყოდით, პაველ ივანოვიჩ?

— მეც, დიდი სიამოვნებით... მაგრამ, აი, ასეთი მდგომარეობაა — გენერალ ბეტრიშჩევის ნათესავი უნდა მოვინახულო — პოლკოვნიკი კოშკარევი.

— ის ხომ... იცით? ის ხომ ნამდვილი დარტყმულია.

— დიახ, ეს უკვე გაიგე. მასთან არც არაფერი მესაქმება. მაგრამ, რადგანაც გენერალმა ბეტრიშჩევმა — ჩემმა ახლობელმა და კეთილისმყოფელმა... ამიტომ რაღაც უხერხულია.

— მაშინ, იცით რა, — თქვა კოსტანეოგლომ, — მასთან ახლავე გაემგზავრეთ. ღია ეტლს შემოგთავაზებთ. კოშკარევის სახლამდე ათი ვერსიც არ იქნება.

მისვლისთანავე გამოიქცევით, საკუთარ ჩრდილს გამოასწრებთ. ვახშმობამდე დაბრუნდებით.

ჩიჩიკოვი სიხარულით დეთანხმა. ღია ეტლი მოართვეს და მაშინვე გაემართა პოლკოვნიკასაკენ, რომელმაც ისე გააოცა პაველ ივანოვიჩი, როგორც არავინ — არასდროს. გარშემო ყველაფერი არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა. მთელი სოფელი აყრილ-დაყრილი იყო: მშენებლობები, ქუჩებში კირის — ავურისა და ხის მორების გროვები. დაწესებულებების მსგავსი რაღაც სახლები მოჩანდა. ერთზე ოქროს ასოებით ეწერა: „სამიწათმოქმედო იარაღების დეპო", მეორეზე — „მთავარი დამთვლელი ექსპედიცია", — მესამეზე — „სასოფლო საქმეთა კომიტეტი", „სკოლა მოსახლეობის ნორმალური განათლებისათვის", ერთი სიტყვით, ეშმაკმა უწყის, რა აღარ მოეჩმახათ! ჩიჩიკოვმა ისიც კი გაიფიქრა, საგუბერნიო ქალაქში ხომ არ მოეხედნა. პოლკოვნიკს ზედმეტად თაედაჭერილად ეჭირა თავი, მშვიდი, სამკუთხა სახე ჰქონდა. ლოყებზე ქილვაშები ჩამოგრძელებოდა, თმა, ვარცხნილობა, ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი თითქოსდა პრესის ქვეშ გაუტარებიათო. ლაპარაკი საქმიანი კაცივით დაიწყო. ჯერ წუწუნებდა, გარშემო გაუნათლებელი მემამულეები მახვევია და დიდი შრომა მომიწევს მათ გონზე მოსაყვანადო. ჩიჩიკოვი განსაკუთრებული ალერსითა და გულითადობით მიიღო, მისი ნდობა მოიპოვა და დიდი სიამოვნებით მოუყვა, რა სისხლის ფასად დაუჯდა მამულის ახლანდელ კეთილდღეობამდე მოტანა. რა ძნელია, უბრალო გლეხს გააგებინო, რომ არსებობენ ამაღლებული გრძნობები, რომელთაც შეგნებული ფუფუნება, ხელოვნება და მხატვრობა ანიჭებს ადამიანს; რამდენი ბრძოლა დასჭირდა რუსი გლეხკაცის უმეცრების დასაძლევად, რათა მისთვის გერმანული შარვალი ჩაეცმევინებინა და ეიძულებინა, ოდნავ მაინც ეგრძნო უმაღლესი ადამიანური ღირსება; რომ დედაკაცებს, რამდენი არ ეცადა, კორსეტი დღემდე ვერ ჩაცვა, როცა გერმანიაში, თვითონ თითხმეტ წელში იდგა იქ პოლკთან ერთად, მეწისქვილის ასულიც კი ფორტეპიანოზე უკრავს, ფრანგულად ლაპარაკობს და კნიქსენს აკეთებს. თანაგრძნობით მოუყვა, რა უმეცარნი არიან მეზობელი მემამულეები; თავიანთ ქვეშევრდომებზე რა ცოტას ფიქრობენ; როგორ დასცინოდნენ, როცა ცდილობდა, აეხსნა, მეურნეობისათვის რა აუცილებელია სამწერლო კანტორის მოწყობა, კომისიებისა და კომიტეტების კანტორის შექმნა, ამით თავიდან აიცილებდნენ ქურდობას; რომ ყველაფერი აღრიცხული უნდა ჰქონოდათ; რომ მწერლად, მმართველად და ბუღალტრად არა შემთხვევითი ადამიანები, არამედ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები უნდა ჰყოლოდათ. მტკიცე არგუმენტების მიუხედავად, მემამულეები მაინც ვერ დაარწმუნა, თუ რა მომგებიანი იქნებოდა მათთვის, სახნავად წასული გლეხი წიგნსაც თუ წაიღებდა და მუშაობისას მეხსარიდებზეც წაიკითხავდა ორიოდე სიტყვას.

ამაზე ჩიჩიკოვმა გაიფიქრა: „ვის ცალია მაგისთვის. მე ნასწავლი ვარ, მაგრამ „გრაფინია ლავალერი" დღემდე არ წამიკითხავს".

— საშინელი უმეცრებაა! — დაასკვნა ბოლოს პოლკოვნიკმა კოშკარევმა, — და ვერც უშველი... დამიჯერეთ, ვერ უშველი! მე კი შემეძლო შველა, ერთი საშუალება. ნაღდი საშუალება ვიცი.

— რომელი?

— რუსეთში ყველას ისე ჩავაცვათ, როგორც გერმანიაში. სხვა არაფერია საჭირო, როგორც კი ეს მოხერხდება, საქმე საათივით აეწყობა: ამაღლდება მეცნიერება, გაძლიერდება ვაჭრობა, რუსეთში ოქროს ხანა დაიწყება.

ჩიჩიკოვი თვალს არ აცილებდა და ფიქრობდა: „ამასთან, ეტყობა, თაეპატი-

ეი არა ღირს". საქმე აღარ გადადო და პოლკოვნიკს იქვე აუწყა — რა და როგორ: საჭიროა, აი, ასეთი სულები ასეთი და ასეთი ნასყიდობის ქაღალდითო.

— როგორც თქვენი სიტყვებიდან ჩანს, — მიმართა, ცოტა არ ფეთ, შეცბუნებულმა პოლკოვნიკმა, — ეს თხოვნაა, ხომ?

— დიახ!

— მაშინ წერილობით უნდა წარმოადგინოთ. ყოველგვარ მოთხოვნათა კომისიაში შეიტანთ. ყოველგვარ მოთხოვნათა კომისია აღრიცხავს და მე წარმომადგენს, ჩემს შემდეგ სასოფლო საქმეთა კომიტეტში მიხედება. იქ ყველანაირად გააშალაშინებენ. მთავარი მმართველი, კანტორასთან ერთად რეზოლუციას უმოკლეს დროში დაგიდებთ და საქმეც მოგვარდება.

ჩიჩიკოვი გაოგნებული იყო.

— მოითმინეთ, — უთხრა მან, — ასე ხომ საქმე უსასრულოდ გაიწელება.

— აი, — წამოიძახა ღიმილით პოლკოვნიკმა, — ზუსტად ამაშია საქაღალდო წარმოების მომგებიანობა! მართალია, საქმე ცოტათი გაიწელება, სამაგიეროდ, არაფერი, თითოეული წვრილმანიც კი არ გამოგვეპარება.

— მაგრამ, მოითმინეთ... წერილობით როგორ გადმოგცეთ? ეს ხომ ისეთი საქმეა... სულები ხომ, ერთგვარად... მკვდარია.

— მით უკეთესი, ასეც დაწერეთ, სულები, ერთგვარად, მკვდარია-თქო.

— ეს როგორ — მკვდარია? ამის აღნიშვნა ხომ არ შეიძლება. ისინი, მართალია, მკვდრები არიან, მაგრამ ჩვენ ხომ, როგორც ცოცხლები, ისე გვჭირდება.

— ჰოდა, ასეც დაწერეთ: „მაგრამ საჭიროა..." ანდა „ცოცხლებად უნდა ჩაითვალოს".

როგორ უნდა შემოეელო პოლკოვნიკისათვის? ჩიჩიკოვმა გადაწყვიტა, წასულიყო და თავისი თვალით ენახა ეს კომისიები და კომიტეტები. და რაც მან ნახა, არათუ გასაოცარი იყო, მართლაც, ყოველგვარ მოლოდინს აღემატებოდა. მოთხოვნათა კომისია მხოლოდ აბრაზე არსებობდა. მისი თავმჯდომარე, ყოფილი კამერდინერი, ხელახლა ჩამოყალიბებულ სასოფლო მშენებლობათა კომიტეტში გადაეყვანათ. მისი ადგილი კანტორის მოსამსახურე ტიმოშკას ეკავა, ლოთი მოურავისა და გაიძვერა გაქნილი მამასახლისის საქმის გასარჩევად რომ იყო მივლინებული. მოხელე არსად ჩანდა.

— კი მაგრამ, როგორ?.. ვის რა ჭკუა მოვთხოვო? — მიმართა ჩიჩიკოვმა თანმხლებს, განსაკუთრებულ საქმეთა მოხელეს, პოლკოვნიკმა მეგზურად რომ გამოაყოლა.

— ვერაფერსაც ვერ გახდებით, — მიუგო მეგზურმა, — ჩვენთან სრული უთავბოლობაა, აქ ყველაფერს, ნახვას თუ ინებებთ, მშენებლობის კომისია განაგებს. ხალხს საქმეს აცდენს და საითაც უნდა, იქით გზავნის. მხოლოდ ის არის მომგებიანი, რაც მშენებლობის კომისიაში შედის, — როგორც ეტყობოდა, იგი მშენებლობის კომისიის უკმაყოფილი იყო, — ჩვენთან ასეა მიღებული — ბატონი ყველამ უნდა გააცუცურაკოს. მას ჰგონია, საქმე აწყობილი აქვს, სინამდვილეში ამ კომისიისაგან სახელიღაა დარჩენილი.

„არა, ამას მაინც ვეტყვი", — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა და პოლკოვნიკს რომ მიუახლოვდა, მაშინვე განუცხადა: თქვენთან ნამდვილი დიმხალია, კაცი ვერაფერს გაარკვევს. მშენებლობის კომისია კი თავგადადებული ქურდობსო.

პოლკოვნიკმა კეთილშობილი აღშფოთებით იფეთქა. ქაღალდსა და კალამს მაშინვე ხელი დასტაცა და რვა უმკაცრესი შეკითხვა შეთხზა: მშენებლობის კომისია არადაქვემდებარებულ ჩინოვნიკებზე ოვითნებურად რის საფუძველზე

მბრძანებლობს? მთავარმა მმართველმა როგორ დაუშვა, რომ თავმჯდომარე, რომელსაც პოსტი არაეისთვის არ გადაუბარებია, გამოძიებაზე გაემგზავრა? სასოფლო საქმეთა კომიტეტი როგორ ურიგდება, რომ მოთხოვნათა კომპლექსი სულაც არ არსებობს?..

„აი, ატყდება ახლა აურზაური", — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა და გამოსამშვიდობებლად წამოდგა.

— არა, არ გაგიშვებთ. არა უგვიანეს ორი საათისა, საუსებით დაკმაყოფილებული იქნებით. თქვენს საქმეს მივანდობ ერთ განსაკუთრებულ ადამიანს, რომელმაც საუნივერსიტეტო კურსი ახლახანს დაამთავრა. გთხოვთ, ჩემს ბიბლიოთეკაში დაბრძანდეთ. თუ რამე დაგჭირდებათ — წიგნები, ქაღალდები, კალმები, ფანქრები — შეგიძლიათ, ისარგებლოთ, ინებეთ ყველაფერი — თავი ბატონ-პატრონად იგულვეთ.

ამ ლაპარაკით კოშკარევი წიგნთსაცავში შეუძღვა. ეს გახლდათ უზარმაზარი, ჭერამდე წიგნებით გამოტენილი დარბაზი. აქა-იქ ცხოველების ფიტულები მოჩანდა. წიგნები — რა დარგისა არ გნებავთ — მეტყველებასა თუ მებაღეობაზე, მესაქონლეობასა თუ მელღვრეობაზე. უამრავი სხვადასხვა სახელმძღვანელო თუ ჟურნალი — როგორც პოპულარული, ასევე მეცხენეობასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებისა და სრულყოფის უახლესი ცნობების შემცველი. შეგხვდებოდათ ასეთი დასახელებაც — „მელღვრეობა, როგორც მეცნიერება". ამას რომ ავყვე, კარგს არაფერს მომიტანსო, გაიფიქრა და ისევ მეორე კარადას მიადგა. იქნებ აქ მაინც რამე სახეირო ვნახოო. ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო. აქ ფილოსოფიური წიგნები იყო თავმოყრილი. ერთს სათაურად ეწერა: „ფილოსოფია მეცნიერების მნიშვნელობით", ერთმანეთის გვერდით ეწყო ექვსი ტომი: „აზროვნების თეორიის წინასწარმოსამზადებელი შესავალი მის ერთიანობასა, ეროვნულობასა, რაობასა და გამოყენებაში ჩასაწყლომად საზოგადოებრივი მწარმოებლურობის ორგანული საწყისების ორმხრივი გაორებისას". ჩიჩიკოვი წიგნს ფურცლავდა და ყოველ გვერდზე — გამოვლენა, განვითარება, აბსტრაქტი, კარჩაკეტილობა და შემჭიდროება — და, ეშმაკმა უწყის, რას აღარ შეხვდებოდით. „არა, მე აქ არაფერი მესაქმება", — ჩაილაპარაკა თავისთვის ჩიჩიკოვმა და მესამე კარადას მიადგა, რომელშიც ელაგა წიგნები ხელოვნებაზე. უზარმაზარი ტომი გამოაძვრინა, საჩოთირო ძითოლოგიური ნახატებით, და თვალიერება დაუწყო. აი, ეს კი შეეფერებოდა მის გემოვნებას. ასეთი ნახატები ხომ საშუალო ასაკის ბერბიჭებს ძალიან მოსწონთ. ამბობენ, ბოლო ხანებში, ბალეტზე გემოვნებადახვეწილ მოხუცებსაც მოსწონთო. რას იზამთ, ჩვენი საუკუნის კაცობრიობას ტკბილი სანელებლები უყვარს. როცა დაათვალიერა და ის იყო, ახალი უნდა გამოელო, გაბრწყინებული სახით და ხელში ქაღალდით პოლკოვნიკი კოშკარევი გამოჩნდა.

— ყველაფერი შევასრულე და ჩინებულადაც. ეს ერთი კაცი ნამდვილად, ასს უდრის. უნდა ავამაღლო: განსაკუთრებულ უმაღლეს სამმართველოს შევქმნი და პრეზიდენტად დავსვამ. აი, როგორ აყალიბებს...

„ოჰ, მადლობა ღმერთს!" — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა და მოსასმენად მოემზადა.

„შევუდექი რა თქვენი მადალშობილების მიერ ჩემზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, მაქვს პატივი, ამა საქმეზე მოგახსენოთ: 1. კოლეგიის მრჩეველისა და კავალერის ბატონ პაველ ივანოვიჩ ჩიჩიკოვის ოხოვნაში უკვე არის ზოგიერთი გაუგებრობა: მაგალითად, ითხოვს სარეევიზიო სულებს, რომელთაც ყოველგვარი მოულოდნელობანი შეემთხვათ, სიებში არიან აღნიშნულნი

და დაიბოცნენ. ზემონათქვამის ქვეშ მათ ალბათ ინებეს ეგულისხმათ — მომაკ-ვდავნი და არა მკვდარნი. მკვდრების გაყიდვა ეის გაუგონია, ისინი ხომ არ არ-სებობენ? სად არის აქ ლოლიკა? სიტყვიერ მეცნიერებებშიც, როგორც იტყვიან, ვარსკვლავებს არ წყვეტენ...“ აქ კოშკარევი წამით შეჩერდა და ალნიშნა: — იმ ცოლლუტმა, ხედავთ... გაგკვენწლათ. მაგრამ, აბა, განსაჯეთ, [illegible] კალამი აქვს — სახელმწიფო მდივნის სტილია; უნივერსიტეტში [illegible] ამი წე-ლი დაჰყო, სრული კურსიც კი ვერ დაამთავრა, — კოშკარევმა განაგრძო: — „სიტ-ყვიერ მეცნიერებებშიც, როგორც იტყვიან, ვარსკვლავებს არ წყვეტენ... რამეთუ სულებზე, „მკვდარია“, უწერიათ, და ეს მაშინ, როცა ყველამ, ვინც ადამიანის შემეცნების კურსი შეისწავლა, ერთი ჭეშმარიტება იცის: სული უკვდავია 2. მათ მიერ მოხსენიებული სარევიზიო სულები, როგორც მათ ინებეს, არასწორად გა-მოიხატათ — მკვდარი, — დაუგირავებელნი არცა გვყავს, ვინაიდან ყველა ერთად არა მარტო დაგირავებულია გამოუსყიდველად, არამედ ხელახლა გადაგირავებუ-ლიც, სულზე ას ნახევარი მანეთის მომატებით, პატარა სოფელ გურმალიოვკის გარდა, რომელსაც მემამულე პრედიშჩევი გვედავება, ამიტომაც ვერც გაიყიდება და ვერც დაგირავდება“.

— თავიდანვე ასე გეთქვათ, ტყუილუბრალოდ რას მალოდინეთ? — მიმართა გაბრაზებულმა ჩიჩიკოვმა.

— აბა, თავიდანვე საიდან მეცოდინებოდა? სწორედ ამაშია საქალალდო წარ-მოების მოშგებიანობა, რომ ახლა ყველაფერი დღესაცაა ნათელია.

„სულელი! პირუტყვი! — თავისთვის ფიქრობდა ჩიჩიკოვი. — წიგნებში ქექ-ვით, ნეტა, რა ასწავლა?“ გადაავიწყდა ყოველგვარი თავაზიანობა და ზრდილობა. ქუდს ხელი დასტაცა და კუდამოძუებული გავარდა. მეეტლე ელოდა, ღია ეტლი მზად იყო, ცხენებიც არ გაუშვია: საკვებზეც წერილობითი განცხადება უნდა და-ეწერა, რეზოლუციაც — „გაეცით ცხენებისათვის შვრია“ — მხოლოდ მეორე დღისათვის იქნებოდა. ჩიჩიკოვის უხეშობასა და უზრდელობას კოშკარევი არა-ბუნებრივ თავაზიანობასა და დელიკატურობას უპირისპირებდა. ძალით ჩამოარ-თვა ხელი, გულში ჩაიხუტა და მადლობა შესწირა, რომ მისი წყალობით საშუა-ლება მიეცა, საქმეზე დაენახა წარმოების მსვლელობა, რომ შეფუცხუნება და გამოფხიზლება აუცილებელია, რათა ყველას თვლემა არ მოერიოს, სასოფლო მმართველობის ზამბარები არ დაიჟანგოს და მოდუნდეს; რომ ამ ღირსშესანიშნა-ვი ფაქტის შემდეგ ბედნიერი აზრი დაებადა: შექმნას ახალი — მშენებლობის კო-მისიაზე თვალყურისმდევნებელი კომისია, აი, მაშინ კი ნაღდად ბოლო მოელება ქურდობას.

„ვირი, სულელი!“ — მთელ გზაზე შურმურებდა გაბრაზებული და უკმაყოფი-ლო ჩიჩიკოვი. უკანდაბრუნებული გზას ვარსკვლავების შუქზე იკვლევდა, ცაზე ღამე ჩამოწოლილიყო. სოფლებში აქა-იქ სინათლე ბჟუტავდა. როცა პარმაღს მიუახლოვდა, ფანჯრებში დაინახა, მაგიდაზე ვახშამი გაეწყოთ.

— ასე რატომ დაგაგვიანდათ? — დაიძახა კოსტანჟოგლომ, როცა კარში გამოჩნდა.

— ამდენი ხანი რაზე საუბრობდით? — იკითხა პლატონოვმაც.

— შემიკლა! — თქვა ჩიჩიკოვმა, — ასეთი სულელი ჩემს ღლეში არ შემხვედ-რია.

— ეს კიდევ არაფერი! — უპასუხა კოსტანჟოგლომ, — კოშკარევი — ნუგეშის-მომგვრელი მოვლენაა, სწორედ იმის დასანახადაა საჭირო, რომ მასში ჭკვიანი ადამიანების სიბრიყვე კარიკატურულად და ნათლად მოჩანს. შემოიღეს კანტო-

რები და დაწესებულებები, მანუფაქტურები და ფაბრიკები, სკოლები და კომისიები, და ეშმაკმა უწყის, კიდევ რა. თითქოსდა ცალკე სახელმწიფო ჰქონდეთ! არა, როგორ მოგწონთ? გეკითხებით — მემამულე, რომელსაც სათესი მიწა აქვს და გლეხკაცი არ ყოფნის მის დასამუშავებლად, სანთლის ქარხანას აშენებს, ლონდონიდან სანთლის ოსტატებს იწერს, ვაჭარი ხდება! აი, უფრო [illegible] — აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის შენებას იწყებს!

— კი, მაგრამ ფაბრიკები ხომ შენცა გაქვს, — შენიშნა პლატონოვმა.

— მე არ წამომიწყია. ყველაფერი თავისით მოხდა: მატყლი დამიგროვდა, ვერსად გაეახლე და მუდის ქსოვა დავიწყე, მუდი სქელია, უბრალო; იაფად ვყიდი და და ბაზარზე მაშინვე ხელიდან მტაცებენ. ზედიზედ ექვსი წელი, მაგალითად, ჩემს ნაპირზე თევზის ქერცლს ჰყრიდნენ; აბა, სად წაიღო? წებოს მოხარშვა დავიწყე: ორმოცი ათასი კი ავიღე. ჩემი საქმე ასე ავწყო.

„ღვთის პირისგან გავარდნილია, — ფიქრობდა მასპინძელს მიშტერებული ჩიჩიკოვი, — რას ხვეტავს, ბიჭო!"

— ამისათვის არაფერს ვაშენებ; არც კოლონებიანი და ფრონტონებიანი სახლი მაქვს, საზღვარგარეთიდან ოსტატებსაც არ ვიწერ. გლეხებსაც ხვნა-თესვას არ მოვაცდენ. ჩემთან, ფაბრიკაში, მხოლოდ უმოსაელო წელიწადს ლუკმა-პურის საშოვნელად მოსულები მუშაობენ. ბევრი ფაბრიკის გახსნა შეიძლება, საკუთარ მეურნეობას თუკი ყურადღებით დაათვალიერებ, დაინახავ — თითოეული ძონძი საქმეში გამოდგება; ყოველი ხარახურა ისეთ შემოსავალს მოგცემს, იქნებ მერე ხელიც ჰკრა და დაიძახო: ადარ მჭირდებაო!

— რა საოცრებაა! უფრო მეტად გასაოცარი ის არის, რომ ყოველი ხარახურა შემოსავალს იძლევა! — წარმოთქვა ჩიჩიკოვმა.

— ჰმ! და არა მარტო ეს! — კოსტანჟოგლომ ველარ დაამთავრა: ბოლმა შემოაწვა და მეზობელი მემამულეების ლანძღვა-გინება მოუნდა, — აი, კიდევ ერთმა ჭკვიანმა — როგორ ფიქრობთ, რა წამოიწყო?! საქველმოქმედო დაწესებულება — სოფელში ქვის ნაგებობა ააგო! ქრისტიანული საქმეა!.. დახმარება გინდა, დაეხმარე, ქრისტიანული მოვალეობისაგან კი ნუ გაანთავისუფლებ. შვილს ავადმყოფი მამის შეკედლებაში დაეხმარე, მოცილების საშუალებას კი ნუ მისცემ. სახსარი მიეცი, თავის სახლში ახლობელი და ძმა შეივრდომოს. ფული მიეცი, რაც შეგიძლია, დაეხმარე, ოღონდ ნუ გაანთავისუფლებ: ქრისტიანულ მოვალეობას სულ ზურგს შეაქცევს, დონ კიშოტები[1] — ეშმაკსაც წაუღია!.. ამ სამადლო დაწესებულებაში კაცზე ორასი მანეთი მოდის! ამ ფულით სოფელში ათ ადამიანს შევინახავ! — კოსტანჟოგლო გაბრაზდა და გადააფურთხა.

ჩიჩიკოვს საქველმოქმედო დაწესებულება არ აინტერესებდა: მისთვის მთავარი იყო, გაეგო, ყოველგვარი ხარახურა შემოსავალს როგორ იძლევა და საუბარიც იქითკენ უნდოდა წარემართა. მაგრამ გაბრაზებულმა კოსტანჟოგლომ ბოლმა ნიალვარივით ამოანთხია:

— აი, კიდევ ერთი დონ კიშოტი: სკოლები წამოიწყო! აბა, რა არის ადამიანისათვის ცოდნაზე სასარგებლო? მაგრამ, როგორ განაგებს? ჩემთან იმ სოფლიდან გლეხები მოდიან. „მამაკ-ბატონო, ეს რა არის? ჩვენი შვილები მთლად ხელიდან წავიდნენ, მუშაობაში არ გვეხმარებიან. ყველას კანცელარიის მწერლობა სურს, მწერალი კი მხოლოდ ერთია საჭირო". აი, ხედავთ, რა გამოვიდა!

ჩიჩიკოვს სკოლებთანაც არა ესაქმებოდა რა, მაგრამ პლატონოვმა აიტაცა:

1. დონ კიშოტი — დონ კიხოტი.

— მწერალი კი ერთია საჭირო, მაგრამ მხოლოდ ამ მიზეზით ხომ არ გავ-ჩერდებით. ახლა თუ არა, მერე ხომ იქნებიან საჭირონი. შთამომავლობისათვის უნდა ვიზრუნოთ.

— ჭკუას მოუხმე, ძმაო! ამ შთამომავლობას რას ჩააცვდით? ხომ არ გგონია, რომელიმე მათგანი პეტრე პირველი დადგება. საკუთარ თავს მიხედე, მომავალ თაობას რას უყურებ, იზრუნე, რომ გლეხი შეძლებული და მფლობელი გავ-დეს, თავისი ნებით რომ ისწავლოს, ჯოხით ხომ არ უნდა დაადგე თავზე — გინდა თუ არა ისწავლეო! არც იციან, საიდან დაიწყონ!.. აბა, მიმისმინეთ: აი, განსა-ჯეთ... — აქ კოსტანჟოგლო ჩიჩიკოვს მიუჩოჩდა, და თავისი აზრი რომ უფრო კარგად გაეგებინებინა, აბორდაჟზე აიყანა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — მი-სი ფრაკის საღილეში თითი შეუყარა, — ამაზე ნათელი რა უნდა იყოს? გლეხები შენთვის ღმერთს იმისთვის მოუცია, რომ ყოფა-ცხოვრება შეუმსუბუქო. რა არის მისი ყოფა-ცხოვრება? რა არის გლეხის საქმე? — ხვნა-თესვა?! მაშ, ეცა-დე, რომ კარგი მხვნელ-მთესველი იყოს, გასაგებია? არა, ახლა გენიოსები გაჩნ-დნენ, ისინი ამბობენ: „ამ მდგომარეობიდან გლეხის გამოხსნაა საჭირო — ძალზე უხეშად და უბრალოდ ცხოვრობს: ფუფუნების საგნებს უნდა მეაჩვეოთ". ადა-მიანობა დაკარგეს და ჩვრებად იქცნენ, ავადმყოფობაც, ეშმაკმა უწყის, რამდენი დაგროვდა, და თვრამეტი წლის ჭაბუკსაც ყველაფერი გამოუცდია. კბილებიც არა აქვს, უკვე გამელოტებულია, ახლა ამათაც უნდა გადასდონ. მადლობა ღმერთს, რომ ერთი ჯანმრთელი წოდება მაინც შემოგვრჩა, ისიც თუ არ გავაუბედურეთ! ღმერთს მადლი უნდა შევწიროთ. მიწის მუშა ჩემთვის ყველაზე საპატიოა. ღმე-რთმა გვიმრავლოს მიწის მუშები!

— და თქვენ მიგაჩნიათ, რომ მიწის დამუშავება ყველაზე ხელსაყრელი საქ-მეა? — ჰკითხა ჩიჩიკოვმა.

— კანონიერია, არათუ ხელსაყრელი. ღმერთმა გვიქადაგა: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა..." ეს ტყუილა კი არ არის ნათქვამი. საუკუნეებ-მა დაამტკიცეს, რომ მიწის მუშა ზნეობრივად ყველაზე სუფთაა. სადაც ხვნა-თესვა საზოგადოებრივი ყოფის საფუძველია, იქ სიუხვე და კმაყოფილებაა. „ოფ-ლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა..." — უთხრეს ადამიანს, იშრომეო... რა არის აქ გაუგებარი! გლეხს ეუბნები: „ვისთვისაც გინდა იშრომე: ჩემთვის, საკუთარი თავისთვის, მეზობლისათვის, ოღონდ იშრომე. საქმეში პირ-ველ დამხმარედ მიგულვე. პირუტყვი არა გყავს? — აი, შენი ცხენი, აი, ძროხა, აი, საზიდარი. ყველაფრით მოგამარაგებ, ოღონდ იშრომე. შენი მოუწყობელი, უწესრიგო და ღარიბი მეურნეობა ჩემთვის სიკვდილს უდრის, იმიტომაც გმფა-რველობ, რომ იშრომო". ჰმ! დაწესებულებებითა და ფაბრიკებით შემოსავლის გაზრდას ფიქრობენ. ჯერ იმაზე უნდა იზრუნო, თითოეული გლეხი შეძლებული გყავდეს, მაშინ შენც მდიდარი იქნები — უფაბრიკოდ, უქარხნებოდ და ყოველგვა-რი სულელური წამოწყების გარეშეც.

— რაც მეტს გისმენთ, უპატივცემულესო კონსტანტინ ფიოდოროვიჩ, — მიმართა ჩიჩიკოვმა, — უფრო მეტი და მეტი სურვილი მაქვს, დაუსრულებლად გისმინოთ. მითხარით, უპატივცემულესო: თუკი, დავუშვათ, ამ გუბერნიის მემა-მულედ გახდომას მოვინდომებ, უპირატესად ყურადღება რას მივაქციო? რა ვი-ღონო, რომ მოკლე დროში გავმდიდრდე, და ამით, ასე ვთქვათ... მოქალაქის არ-სებითი მოვალეობა შევასრულო?

— როგორ მოიქცეთ, რომ გამდიდრდეთ? აი, ასე... — უპასუხა კოსტანჟოგ-ლომ.

— წავიდეთ, ვივახშმოთ! — თქვა ღიასახლისმა, დივანიდან წამოდგა და შუა ოთახში შეჩერდა, თან შალს გულმოდგინედ იხვევდა თავის ახალგაზრდა სხეულზე.

ჩიჩიკოვი სავარძლიდან ჯარისკაცული სისწრაფით წამოხტა და როგორც დელიკატურ სამოქალაქო პირს შეშვენის, თავაზიანი ღიმილით მიეჭრა ღიასახლისს, მკლავი შესთავაზა და ორი ოთახის გავლით სასადილოში გაიყვანა, თან მთელი ამ ხნის განმავლობაში თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა გადახრილი. მსახურმა საწვნეს თაესახური მოხადა; სკამები ყველამ მაგიდისკენ მისწია და წვნიანის ხვრეპას შეუდგნენ.

წვნიანი რომ მოამთავრეს და ზედ თითო სირჩა ტკბილი ნაყენიც დააყოლეს (მშვენიერი ნაყენი იყო), ჩიჩიკოვმა კოსტანჟოგლოს, აი, რა უთხრა:

— ნება მიბოძეთ, უპატივცემულესო, თქვენი ყურადღება შეწყვეტილ საუბარს დავუბრუნო. გეკითხებოდით, როგორ მოვიქცე, რა ვიღონო, როგორ მივყო საქმეს ხელი[1]...

. . . . . .

— მამული, რომელშიც ორმოცი ათასსაც მაშინვე მივცემდი.

— ჰმ! — ჩიჩიკოვი ჩაფიქრდა, — მაშინ რატომ არ ყიდულობთ? — ჩაილაპარაკა გაუბედავად.

— ხომ უნდა იცოდე, ბოლოს და ბოლოს, საზღვარი. ისედაც ბევრი საზრუნავი მაქვს. თანაც თავადაზნაურობაც ამიხირდა, თითქოს მათი გაჭირვებითა და გაკოტრებით ვსარგებლობდე და მათ მიწებს ჩალის ფასად ვყიდულობდე. მომბეზრდა მათთან ბრძოლა.

— თავადაზნაურობას ავსიტყვაობა თავს ურჩევნია! — თქვა ჩიჩიკოვმა.

— თანაც ჩვენთან, ჩვენს გუბერნიაში... ვერც წარმოიდგენთ, რადას არ ამბობენ ჩემზე. სხვანაირად არც მახსენებენ, თუ არა — პირველი ხარისხის კრიჟანგი და წუწურაქი. თავს იმართლებენ: „მართალია, ყველაფერი გავფლანგე, მაგრამ იმიტომ, რომ უმაღლესი მოთხოვნილებები დამეკმაყოფილებინა. წიგნები მჭირდება, ფუფუნებაში უნდა ვიცხოვრო. ითრევს მრეწველობას ვინ წაახალისებს! მაგრამ, შეიძლება, არც გაკოტრდე, თუკი კოსტანჟოგლოსავით ღორულად იცხოვრებ". აი, ხედავთ!

— თქვენნაირ ღორულ ცხოვრებას არ დავიწუნებდი, — ჩაილაპარაკა ჩიჩიკოვმა.

— იმიტომ ამითვალწუნეს, სადილებს რომ არ ვუმართავ და მათთვის ფულის სესხებაც არ მიყვარს. სადილების გამართვა ტვირთად დამაწვება, შეუჩვეველი ვარ. თუკი მესტუმრებით და იმას მიირთმევთ, რაცა მაქვს—დიდი სიამოვნებით, ინებეთ! ფულის გასესხება არ უყვარსო — სიცრუეა! აბა, მოვიდეს ჩემთან ნამდვილად გაჭირვებული და გულახდილად მიამბოს, ნასესხებ ფულს როგორ გამოიყენებს, თუ დავინახავ, რომ ჭკვიანურად მოიხმარს და მოგებასაც ნახავს — არც უარს ვეტყვი და პროცენტსაც არ გამოვართმევ. მაგრამ ფულს ქარს ვერ გავატან. აი, ეს კი, ბოდიში, ვერ მივართვი! მაგათ საყვარლებისთვის სადილები გამართონ, გახარბებულებმა სახლები ავეჯით გატენონ, შენ კი, ადექი და ფული ასესხე!..

---

1. ხელნაწერს აკლია ორი მომდევნო ფურცელი. „მკვდარი სულების" მეორე ტომის პირველ გამოცემაში (1855) ასეთი შენიშვნაა: „აქ კოსტანჟოგლოსა და ჩიჩიკოვის საუბარი გაწყვეტილია. უნდა ვივარაუდოთ, რომ კოსტანჟოგლომ ჩიჩიკოვს თავისი მეზობლის, შემაწუხებელ ხლობუევის მამულის ყიდვა შესთავაზა.

აქ კოსტანჟოგლომ გადააფურთხა და, ლამის იყო, მეუღლის თანდასწრებით რამდენიმე უხამსი და სალანძღავი სიტყვა წამოისროლა. სახეზე ეპოქონდრიის პირქუშმა ჩრდილმა გადაურბინა. შუბლი ნაოჭებმა დაულარა, რაც აღშფოთებული სულის მღელვარებაზე მიუთითებდა.

ჩიჩიკოვმა ერთი სირჩა ჟოლოს ნაყენი მოსვა და ასე დაიწყო:

— ნება მიბოძეთ, ფრიად პატივცემულო, თქვენი ყურადღებისაკენ შეწყვეტილ საუბარს დავუბრუნო. თუკი, დაუშვათ, თქვენი შემოთავაზებული მამული შევისყიდე, მაშინ რამდენ ხანში შეიძლება ისე გამდიდრება...

— თუკი ისა გსურთ, — მკაცრად და სვენებ-სვენებით შეეპასუხა ჯერ კიდევ განრისხებული კოსტანჟოგლო, — რომ ჩქარა გამდიდრდეთ, მაშინ ვერასდროს გამდიდრდებით, მაგრამ თუკი ისე მოინდომებთ გამდიდრებას, რომ წუთებს არ დაითვლით, მაშინ ოცნება მალე აგიხდებათ.

— აი, თურმე რა ყოფილა! — თქვა ჩიჩიკოვმა.

— დიახ. — კოსტანჟოგლო მკაფიოდ, დინჯად ლაპარაკობდა, მაგრამ ხმაში სიბრაზე მაინც ეტყობოდა, — მთავარია შრომისმოყვარეობა, უმაგისოდ ვერაფერს გახდებით. მეურნეობა უნდა შეიყვარეთ, დიახ! მერწმუნეთ, მშვენიერი საქმეა. გამოიგონეს რაღაც... სოფლებში მოწყენილობაა... მოწყენილობა, აი, მაშინ მოიძიებდა ბოლოს, ერთი დღეც კი მათსავით ქალაქში რომ მაცხოვრა! მემამულეს სადა სცალია მოწყენილობისათვის, წუთიც არა აქვს თავისუფალი. აბა, ერთი თვალი შეავლეთ მთელი წლის საქმიანობის მრავალფეროვან წრეს — თანაც როგორი საქმიანობისა! საქმიანობისა, რომელიც სულის ჭეშმარიტ ამაღლებას ემსახურება, აღარაფერი რომ ვთქვათ მის მრავალფეროვნებაზე. ადამიანი ბუნებას, წელიწადის დროების ცვალებადობას ფეხდაფეხ მიჰყვება, ყველაფრის თანამონაწილე და თანამოსაუბრეა, რაც სამყაროში ხდება. ჯერ გაზაფხული არ დამდგარა და უკვე იწყება შეშისა და ათასი რამის მიზიდვა საგაზაფხულო უგზოობის დაწყებამდე, თესლის მომზადება; ბელლებში ხორბლის გადარჩევა, ხელახალი გამოწყვა და გამოშრობა; საბეგრეების ხელახლა დადგენა. დიდთოვლობა და ნიაღვრები რომ ჩაივლის, სამუშაოებიც გაჩაღდება: იქ გემების დატვირთვა, აქ ტყეებში ხეების გამოხშირვა, ბაღებში ხეების გადარგვა, და იწყება მიწის გადაბრუნება, ბოსტანში — ბარით, მინდვრებში — კავითა და ფარცხით. ამას თესვა მოჰყვება. ეს არაფერი! მომავალი მოსავალი ითესება! ზაფხულში ოიბვა იწყება. მიწის მუშის პირველი დღესასწაული. არც ეს არის ძნელი! გაჩაღდება მკა: ჭვავს ხორბალი მოსდევს, ქერს — შვრია, მერე კახაფს იღებენ. ზვინებს დგამენ, საპალნეებს ამზადებენ. ამასობაში აგვისტოს ნახევარიც ილევა — მოსავალი კალოზე მიაქვთ. შემდეგ შემოდგომა — მიწას გადახვნა უნდა. საშემოდგომო ხორბალი ითესება, ბელლები, კარაპნები და პირუტყვის საფეხრები შესაკეთებელია. პირველი მარცვლეული ხვავდება, პირველი ბარაქა. დგება ზამთარი — მუშაობა მაშინაც დუღს: ქალაქში მოსავლის შეზიდვა, მარცვლეულის კარაპნებიდან ბელლებში გადატანა, ტყეებში შეშის ჭრა და ხერხვა, საგაზაფხულო მშენებლობებისათვის აგურისა და სხვა მასალების მოგროვება. დიახ, ყველაფერს ვერც ვასწრებ! სამუშაოს რა გამოლევს! ათასი თვალი და ყური უნდა გვებას: წისქვილშიც უნდა შეიხედო, საჯალაბოშიც, ფაბრიკებშიც, კარაპნებშიც! გლეხიც უნდა შეამოწმო, თავისთვის როგორ შრომობს. არც ეს მეძნელება! დიახ, ჩემთვის დღესასწაულია, თუკი ხური ნაჯახს მოხერხებულად ხმარობს. მზიდავარ, ორი საათი ვიდგე მის წინ, ისეთ სიამოვნებას მანიჭებს შრომის ცქერა! და თუკი მიზანსაც ხედავ — როგორ იზრდება ხვავი და ბარაქა, ვერც კი გადმოგცემთ, როგორ მსიამოვნებს. იმიტომ კი არა, რომ ვმდიდრდები, — ფული ფუ-

ლად, — არამედ იმიტომ, რომ ჩემი შრომის ნაყოფს ეხედავ; მე მიზეზი და შემქმნელი ვარ და ჩემგან, როგორც რომელიმე ჯადოქრისაგან, გარშემო დოვლათი იღვრება. აბა, რა შეედრება ამ სიამოვნებას? — კოსტანჟოგლომ თავი მაღლა ასწია, სახიდან ნაოჭები გაუქრა, ისეთი გაბრწყინებული იყო, როგორც შეფე — გეორგეინის დადგმის დღეს. — მსოფლიოში არ არსებობს მსგავსი სიამოვნება! აქ, სწორედ აქ ემსგავსება ღმერთს ადამიანი: ღმერთმა თავისი თავი სამყაროს შექმნით, უმაღლესი ნეტარებით დაასაჩუქრა, ადამიანისაგანაც იგივეს ითხოვს — იყოს შემოქმედი — შემოქმედი კეთილდღეობისა და ცხოვრების, სწორად წარმმართველი... და ამას მოსაწყენ საქმეს ეძახიან!

ედემის ჩიტის გალობასავით ჩაესმოდა ჩიჩიკოვს კოსტანჟოგლოს ნაუბარი. ნერწყვს ყლაპავდა. თვალებიდან სიტკბოება და ნეტარება გამოუკრთა. ნება რომ მიგეცათ, გაუთავებლად მოუსმენდა.

— კონსტანტინ! ადგომის დროა, — დაიძახა დიასახლისმა და სკამიდან წამოდგა.

პლატონოვი წამოიმართა, კოსტანჟოგლო წამოიმართა, ჩიჩიკოვიც წამოიმართა, თუმცა ისევ ჯდომა და მოსმენა ერჩია. დიასახლისს კვლავ ხელკავი გამოსდო და ოთახიდან გაიყვანა. ოღონდ თავი აღარ ჰქონდა ალერსიანად გვერდზე გადახრილი, მიხრა-მოხრასაც მოქნილობა აკლდა, ეს იმიტომ, რომ მისი გონება მნიშვნელოვანი ფიქრებით იყო გართული.

— რაც არ უნდა თქვა, მაინც მოწყენილობაა, — ამბობდა მათ უკან მიმავალი პლატონოვი.

„სტუმარი, ეტყობა, ჭკვიანი კაცია, — მსჯელობდა თავისთვის მასპინძელი, — დინჯად საუბრობს, სიხულელეებს არ როშავს". ამ აზრმა კიდევ უფრო გაამხიარულა, თავისივე ნათქვამმა ააღელვა. თითქოსდა ზეიმობდა, მისი ჭკვიანური შეგონებების გამზიარებელი რომ იპოვა. მერე, როდესაც სანთლებით განათებულ პატარა, მყუდრო ოთახში მოიკალათეს აივანზე გამავალი შუშის კარის პირდაპირ, ჩიჩიკოვი ისეთ ნეტარებას მიეცა, რომლის მსგავსი კარგა ხანია არ განეცადა. თითქოს კიდით კიდემდე ხეტიალის შემდეგ მშობლიურმა ჭერმა შეიფარა, ოცნებაახდენილმა მოხეტიალის ჯოხიც გადააგდო: „კმარა!" მასპინძლის ჭკვიანურმა საუბარმა მოხიბლა მისი სული. ყოველ ადამიანს აქვს სულისთვის განსაკუთრებით მახლობელი და მშობლიური თემები. და ხშირად, მოულოდნელად, მიყრუებულ, მივიწყებულ, უკაცრიელზე უკაცრიელ ადგილას შეხვდები ადამიანს, რომლის თბილი საუბარი გაიძულებს დაივიწყო უგზოობაც, მოუხერხებელი ღამისგასათევიც, ადამიანთა მაცდუნებელი, სიცრუით და სიხულელით აღსავსე თანამედროვე მაღალი საზოგადოებაც. ასე გატარებული საღამო სამუდამოდ გამახსოვრდება: ვინ ესწრებოდა, ვინ სად იდგა, რა ეჭირა. გამახსოვრდება კედლები, კუთხეები, სამშვენისები.

ჩიჩიკოვის მეხსიერებამაც ასევე შემოინახა ის საღამო: პატარა, სადად გაწყობილი ოთახი, მასპინძლის სახეზე აღბეჭდილი გულთბილი გამომეტყველება და პლატონოვისათვის მირთმეული ქარვისტარიანი ჩიბუხი, კვამლი, ჩასუქებულ იარბს რომ აბოლებდა იგი, იარბის ფრუტუნი და სანდომიანი დიასახლისის სიცილი — გეყოფა, ნუ აწვალებო. მხიარული სანთლებიც, კუთხეში შეყუჟული ჭრიჭინაც, შუშის კარიც, გაზაფხულის ღამეც, ზემოდან რომ დასცქეროდათ ხის კენწეროებს დანდობილი, რომელთა ტევრშიც გაზაფხულის ბულბულები გალობდნენ.

— ო, რა ტკბილია თქვენი სიტყვები, პატივცემულო კონსტანტინ ფიოდო-

როვიჩ, — მიმართა ჩიჩიკოვმა, — შემიძლია თამამად ვოქვა, რომ თქვენნაირ ჭკვიან ადამიანს მთელ რუსეთში არ შევხვედრივარ.

კოსტანჟოგლოს ჩაეცინა:

— არა, პაველ ივანოვიჩ, — უპასუხა მან, — თუ ნამდვილად ჭკვიანი ადამიანი გაინტერესებთ, მართლაც, გვყავს ერთი, ვისზეც თამამად შეგიძლია ითქვას: ჭკვიანი ადამიანია. მის ფრჩხილადაც არ ვლირვარ

— ვინ არის? — გაიცინა ჩიჩიკოვი.

— ჩვენი მოიჯარე-შემსყიდველი — მურაზოვი.

— უკვე მეორედ მესმის მისი სახელი! — წამოიყვირა ჩიჩიკოვმა.

— ამ კაცს არა მარტო მამულის, ძველი სახელმწიფოს მართვა შეუძლია. სახელმწიფოს სათავეში რომ ეჯდეს, ფინანსთა მინისტრად დაენიშნაედი.

— მსმენია, ამბობენ, ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, ათი მილიონი დააგროვა.

— რა ათი! ორმოცზე მეტი. მალე ნახევარი რუსეთი მის ხელთ იქნება.

— რას ბრძანებთ! — წამოიძახა გაოგნებულმა ჩიჩიკოვმა.

— დიახ, მისი კაპიტალი არაჩვეულებრივი ხისწრაფით იზრდება. ეს ცხადია. ნელა მხოლოდ ის მდიდრდება, ვისაც რაღაც ასეული ათასები მოეპოვება, მილიონების პატრონს კი დიდი რადიუსი აქვს: რასაც ხელში ჩაიგდებს, ორმაგ და სამმაგ შემოსავალს აძლევს. ასპარეზი კი, სარბიელი, მეტად ფართოა და მიწიანაღმდეგეებიც არსად ჩანან! ვერავინ შეეჭიდება. რა ფასსაც დაადებს, უცვლელად დარჩება, აბა, ვინ შეეცილება!

თვალგადმოკარკლული და პირდაღებული ჩიჩიკოვი კოსტანჟოგლოს მიშტერებოდა. სული შეეხუთა.

— ყოვლად წარმოუდგენელია! — თქვა ბოლოს, ცოტა გონს რომ მოეგო, — შიშისაგან აზრი მეკარგება. აბა, ქინქლა ამ სიბრძნეს როგორ ჩასწვდება! უფრო ის მაოცებს, მოკვდავის ხელში ამდენი ფული რომ ტრიალებს! ნება მიბოძეთ, ერთი გარემოება გავარკვიო: მითხარით, ეს სიმდიდრე ხომ თავიდან არც მთლად პატიოსანი გზით იქნება მოპოვებული?!

— ყველაზე უმწიკვლო გზითა და ყველაზე სამართლიანი საშუალებებით.

— ვერ დაგიჯერებთ, უპატივცემულესო, მაპატიეთ, მაგრამ ვერ დაგიჯერებთ. ათასები რომ იყოს, კიდევ არაფერი, მაგრამ მილიონები... მაპატიეთ, ვერ დაგიჯერებთ.

— პირიქით, უცოდველად ათასების მოპოვებაა ძნელი, მილიონები კი ადვილად იყრის თავს. მილიონერს მრუდე გზით სიარული არა სჭირდება. მიდის და, რაც გზაზე ხვდება, სულმოუთქმელად იხვეჭს! სხვა ვერაფერს გახდება.

— დაუჯერებელია! და რაც მთავარია, ალბათ ეს ყველაფერი კაპიკებიდან დაიწყო...

— დიახ, სხვანაირად არც შეიძლება. ეს მოვლენათა კანონიერი განვითარებაა, — თქვა კოსტანჟოგლომ, — ვინც ათასებით დაიბადა, ათასებზე გაიზარდა, ალარაფერს იხვეჭს. თავიდან უნდა დაიწყო და არა შუიდან, ქვეშიდან, ქვევიდანაა დაწყება საჭირო. აქ, მხოლოდ აქ გაიცნობ კარგად იმ ადამიანებსა და მათ ყოფაცხოვრებას, რომელთა შორისაც მერე უნდა იტრიალო. როცა ყველაფერს გამოსცდი, როცა მიხვდები, რა ძვირად უჯდება ადამიანს ოითოეული კაპიკის შოვნა, როცა ყველა ტანჯვა-წვალებას გაივლი, ისე დაბრძენდები და გამოიწვრთნები, რომ არც ერთ საქმეში არ შეცდები და მიზანსაც ალარ ააცდენ. დამიჯერეთ, სიმართლეს ვამბობ. თავიდან უნდა დაიწყოთ და არა შუიდან. ვინც მეუბნება: მომე-

ცით ასი ათასი, გავმდიდრდებით, მე მისი არ მჯერა: ჰაერში ისვრის და არა — მიზანში. კაცმა კაპიკებიდან უნდა დაიწყოთ!

— მაგ შემოხვევაში, იმედი მაქვს, გავმდიდრდები, — წამოიძახა ჩიჩიკოვმა, — რადგანაც, ასე ვთქვათ, არაფრისაგან ვიწყებ.

პაველ ივანოვიჩი მკვდარ სულებს გულისხმობდა.

— კონსტანტინ, დრეა სტუმარი მოვასვენოთ, — მიმართა მეუღლეს დიასახლისმა, — შენ კი გაუთავებლად ლაპარაკობ.

— აუცილებლად გამდიდრდებით, — კოსტანჟოგლომ დიასახლისს ყური არ უგდო, — ოქროში ჩაეფლობით. შემოსავალს გზას ველარ უნახავთ.

მოჯადოებული იჯდა პაველ ივანოვიჩი, ოქროს ზმანებებსა და ოცნებებში ცურავდა.

— კონსტანტინ, პაველ ივანოვიჩის ძილის დროა.

— რა მოგვიდა? შენ წადი, თუ გინდა! — მიმართა მასპინძელმა ცოლს და შეჩერდა: მთელ ოთახში პლატონოვის ხმამაღალი ხვრინვა გაისმა, იარბმა უფრო ხმამაღლა მისცა ბანი.

უკვე დიდი ხანი იყო, თუჯის ფირფიტებზე შორეული კაკუნი ისმოდა. ნაშუალამევი იყო. კონსტანჟოგლო მიხვდა, მარილა მეტი მომივიდაო. დაიშალნენ, ერთმანეთს ძილი ნებისა უსურვეს და არც დაუყოვნებიათ, ამით ესარგებლათ.

მხოლოდ ჩიჩიკოვს არ ეძინებოდა. ფხიზლობდა, ფიქრობდა, ნეტა, კოსტანჟოგლოსთანა მემამულე რიდესმე თუ გავხდებიო. მასპინძელთან საუბარი იმედით ავსებდა: გამდიდრება ცხადად ესახებოდა. მეურნეობის რთული საქმე ახლა ისე იოლი და გასაგები გამხდარიყო, ისეთი მახლობელი მისი ბუნებისათვის, რომ სერიოზულად ჩაფიქრდა არა ოცნებით წარმოსახული, არამედ ნამდვილად არსებული მამულის ყიდვაზე. მან მაშინვე განსაზღვრა, რომ იმ ფულით, რომელსაც არარსებული სულების საფასურად ლომბარდში მისცემდნენ, სინამდვილეში არსებულ მამულს იყიდდა. თავისი თავი უკვე წარმოიდგინა კიდეც ისეთი მემამულის როლში, როგორსაც კონსტანჟოგლო უხატავდა — მარჯვე იქნება, წინდახედული, ახალს არაფერს წამოიწყებს, თუ ძველი არ განჭვრიტა, ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა დაათვალიეროს, მთელი გლეხობა გაიცნოს, რაც ზედმეტად მიაჩნია, ჩამოიცილოს, მხოლოდ შრომასა და მეურნეობას შესწიროს საცოცხლე. ო, რა სიამოვნებას იგრძნობს, სრულ წესრიგს რომ დაამყარებს, და მეურნეობის ზამბარები, ერთმანეთის მიყოლებით, მტკიცედ დაიძრებიან. შრომა გაჩაღდება და, როგორც წისქვილი მარცვლისაგან ფქვილსა ფქვავს, ყოველი ხარახურისა და ნაყარნუყარისაგან დაიფქვება ნაღდი ფული... ნაღდი ფული... არაჩვეულებრივი მასპინძელი თვალთაგან არ სცილდებოდა. მთელ რუსეთში ჯერჯერობით ეს ერთადერთი ადამიანი იყო, ვის მიმართაც ჩიჩიკოვმა პატივისცემა იგრძნო. აქამდე ის ადამიანს ან მაღალი წოდებისა ან დიდი შეძლებისათვის აფასებდა. გონიერი კაცისთვის ჯერ პატივი არ უცია. კოსტანჟოგლო პირველი იყო. პაველ ივანოვიჩი მიხვდა, რომ ახლა მკვდარ სულებს ვერ ახსენებდა, ამის ადგილი არ იყო. სულ სხვა პროექტი აინტერესებდა — ხლობუევის მამულის შესყიდვა. ათი ათასი ჰქონდა, მეორე ათი ათასს, იმედოვნებდა, კოსტანჟოგლო ასესხებდა, განა თვითონვე არ განაცხადა, ეისაც გამდიდრება და მეურნეობისათვის ხელის მოკიდება სურს, მზადა ვარ, დავეხმაროთ. დანარჩენ ათი ათასს შემდეგაც იშოვიდა — სულების დაგირავებით. ყველა ნაყიდი სულის დაგირავება ჯერ არ შეიძლებოდა, აბა, მიწა ჯერ არ ჰქონდა და სად „დაასახლებდა"?!. თუმცა გულმოდგინედ ამტკიცებდა, ჩემი მიწები ხერსონის გუბერნიაშიაო, მაგ-

რამ ეს უფრო ოცნების ნაყოფი იყო. ჩიჩიკოვი მართლაც აპირებდა ხერსონის გუბერნიაში მიწების ჩალის ფასად შესყიდვას, უფასოდაც იძლეოდნენ, თუკი ვინმე დასახლდებოდა. იმასაც ფიქრობდა, განთესილი ან მკვდარი სულები რაც შეიძლება ჩქარა უნდა შეეტყიდა, ეს მემამულეები ერთმანეთის მიყოლებით აგირავებენ მამულებს და ალბ მთელ რუსეთში ერთი გოჯი მიწაც არ დარჩება ხაზინაში დაუგირავებელი. ასეთი აზრები ძილს უფრთხობდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ძილმა, უკვე ოთხი საათი რომ იყო, რაც სახლში გამეფებულიყო, ჩიჩიკოვსაც ხელი დარია. მან ფშვინვა ამოუშვა.

მეოთხე თავი

მეორე დღეს, რიგორც იტყვიან, ყველაფერი მშვენიერად აეწყო. კოსტანტინეგლომ სიამოვნებით მისცა ათი ათასი მანეთი უპროცენტოდ — უოავდებოდ, მხოლოდ ხელწერილით. შეძენის დიად გზაზე დამდგარო ასე უმარტივდა ხელს. თანაც გადაწყვიტა, ჩიჩიკოვს ხლობუევთან მეგზურად გაჰყოლოდა და მამული მასთან ერთად დაეთვალიერებინა. მსუყე საუზმის შემდეგ საძივე პაველ ივანოვიჩის ეტლში ჩაჯდა და ხლობუევისაკენ გაემართნენ. მასპინძლის ღია ეტლი ცარიელი მისდევდათ უკან. იარბი წინ გარბოდა, თან გზაზე ჩიტებს აფრთხობდა. საათნახევარზე ცოტა მეტ ხანში თვრამეტი ვერსი დაფარეს და პატარა სოფელი დაინახეს, სადაც ორი სახლი იდგა. ერთი — დიდი და ახალი, რამდენიმე წლის წინ დაწყებული, მაგრამ ჯერაც მოუმთავრებელი, მეორე — პატარა და ძველი, თმაგაჩეჩილ, ახალგამოღვიძებულ მასპინძელს დაკერებული სერთუკი მოეხურა, ფეხთ ძირგახეულეტილი ჩექმა ეცვა.

სტუმრების მოსვლა ისე გაეხარდა, თითქოს კარგა ხნის უნახავ ძმებს შეეყარაო.

— კონსტანტინ ფიოდოროვიჩ! პლატონ მიხაილოვიჩ! — წამოიძახა, — ღმერთო ჩემო! თქვენი მობრძანებით როგორ გამაბედნიერეთ! ჩხირი კედელს! მე კი ძვლისა, აღარავინ შემომივლის-მეთქი. ყველანი გამირბიან, თითქოს ჭირიანი ვიყო: ეშინიათ — ფული არ გვესესხოსო. ოჰ, ძნელია, ძნელი, კონსტანტინ ფიოდოროვიჩ! განა არა ვგრძნობ — თავად ვარ დამნაშავე! რა ვქნა? ღორმა ღორობა ვერ მოიშალაო. მაპატიეთ, ბატონებო, შესაფერისად ჩაცმული ვერ დაგხვდით. ჩექმებიც, როგორც ხედავთ, დაცხრილულია. რით შემიძლია გემსახუროთ, მიბრძანეთ, მზადა ვარ!

— მოდი, შევეშვათ წილადობილას. ჩვენ საქმეზე გეწვიეთ. — მიმართა კოსტანტინეგლომ, — აი, თქვენ მყიდველი — პაველ ივანოვიჩ ჩიჩიკოვი.

— გულწრფელად მიხარია თქვენი გაცნობა. მოდით, ხელი ჩამოგართვათ.

ჩიჩიკოვმა ორივე ხელი გაუწოდა.

— უპატივცემულესო პაველ ივანოვიჩ, ნამდვილად ყურადღების ღირსი მამული მინდა გაჩვენოთ... ჰო, მართლა, ბატონებო, ნება მიბოძეთ, გკითხოთ: ნასადილევი ხართ?

— დიახ, ვისადილეთ, — სასწრაფოდ თქვა კოსტანტინეგლომ, იქნებ თავი დაგვანებოსო, — ნუ დაყოვნდებით, ახლავე წავიდეთ.

— კარგით, წავიდეთ.

ხლობუევმა კარტუზი ხელში დაიჭირა, სტუმრებმა კი დაიხურეს და სოფლის დასათვალიერებლად ფეხით გაემართნენ.

— მოდით, დაათვალიერეთ ჩემი უთავბოლობისა და ქარაფშუტობის ნაკო-

ფი, — ამბობდა ხლობუევი, — მართლაც, კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, ნასადილევი რომ ხართ. დამიჯერეთ, კონსტანტინ ფიოდორიჩ, შინ ერთი ქათამიც არ მიმეძევება — ამასაც მოვესწარი. ღორივით ვიქეცეი, ღორივით!

ღრმად ამოიოხრა და თითქოს იგრძნო, კონსტანტინ ფიოდორიჩს მკაცრი გული აქვს, თანაგრძნობას არ გამიწევსო, ხელი პლატონოვს [illegible] მკლავში და მასთან ერთად გასწია წინ, თან მის მკლავს გულში ეხუტებდა. [illegible] ოვლო და ჩიჩიკოვი, ისინიც ხელახელგაყრილნი, შორიახლოს მიჰყვებოდნენ.

— ძნელია, პლატონ მიხაილიჩ, ძნელია! — ეუბნებოდა ხლობუევი პლატონოვს, — ვერც კი წარმოიდგენთ, რარიგ ძნელია. უფულობა, უპურობა, უჩექმობა! ყველაფერს ფეხებზე დავიკიდებდი, ახალგაზრდა და მარტოხელა რომ ვიყო. მაგრამ, როცა გაჭირვება სიბერეში წამოგეწევა, თანაც ცოლი და ხუთი შვილი შემოგეურებს — ნაღველი შემოგაწვება, შენდა უნებურად შემოგაწვება...

პლატონოვს შეეცოდა.

— სოფლის გაყიდვა რაიმეში შეგეშველებათ?

— არა! — ხელი ჩაიქნია ხლობუევმა, — აუცილებელზე აუცილებელ ვალებს გადავიხდი, საკუთარი თავისთვის ათასიც აღარ დამრჩება.

— აბა, რას აპირებთ?

— ღმერთმა უწყის, — მხრები აიწურა ხლობუევმა.

პლატონოვი გაოცდა.

— ნუთუ არაფერს იღონებთ?

— რა ვიღონო?

— სხვა გზა არ არის?

— არავითარი.

— მაშინ, რაიმე თანამდებობა მოძებნეთ, საშსახური დაიწყეთ.

— მე ხომ გუბერნიის მდივანი ვარ. ვინ მოიცემს სარფიან ადგილს? მათხოვრული ხელფასი მექნება, ცოლი და ხუთი შვილი კი სარჩენი მყავს.

— იქნებ რაიმე კერძო თანამდებობა გეშოვათ, მაგალითად, მოურავისა.

— აბა, მამულს ვინ მანდობს, როცა საკუთარი გავანიავე.

— თუკი შიშშილი და სიკვდილი გემუქრება, რამე ხომ უნდა იღონო კაცმა. აბა, ჩემს ძმას ვკითხავ, იქნებ ქალაქში მოგიხერხოთ რაიმე თანამდებობა.

— არა, პლატონ მიხაილოვიჩ, — ამოიოხრა ხლობუევმა და პლატონოვის ხელი კიდევ უფრო მაგრად ჩაიხუტა, — აღარაფრად ვვარგივარ. ნაადრევად დავუძლურდი. ძველი ცოდვებისაგან წელიც გაშეშებული მაქვს, რევმატიზმიც მომერია. აბა, სადღა გამოვდგები! ხაზინას ვინ გამაკოტრებინებს! შემოსავლიან ადგილებზე ისედაც წყვეტაა. ღმერთმა ნუ ჰქნას, ჩემი გულისთვის, ჩემი ხელფასისათვის ღარიბებს კიდევ უფრო გაუდიდონ გადასახადი, ისედაც იმდენი სისხლისმწოველი ჰყავთ. არა, პლატონ მიხაილოვიჩ, ამაზე აღარც ვფიქრობ.

„რა საშინელებაა! — გაიფიქრა პლატონოვმა, — ამას ჩემი ძალქუში სჯობს“.

კოსტანჟოგლო და ჩიჩიკოვი კი, მათ კარგა მოშორებით რომ მისდევდნენ, აი, რაზე საუბრობდნენ:

— ხედავთ, როგორ მიუშვა მამული! — ამბობდა კოსტანჟოგლო, თან თითს იშვერდა, — გლეხკაცი გაალატაკა! როცა პირუტყვი წყდება, რა დროს ქონებაზე ზრუნვაა, ყველაფერი გაყიდე და გლეხკაცი პირუტყვით მოამარაგე, რომ სამუშაოს ერთი დღეც არ მოსცდეს. ახლა ამის გამოსწორებას წლები დასჭირდება: გლეხკაცი გაზარმაცდა, უსაქმურობას მიეჩვია, გალოთდა.

— იქნებ ასეთი მამულის ყიდვა არახელსაყრელია? — ჰკითხა ჩიჩიკოვმა.

აქ კოსტანჟოგლომ ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა: „შენ ვინ ყოფილხარ! ანბანადან უნდა დამეწყო?"

— რას ბრძანებთ! სამი წლის შემდეგ ეს მამული წელიწადში ოცი ათასს სარგებელს მოგცემთ. თქვენ კი ამბობთ — არახელსაყრელია! ხელსაყრელია და თანაც როგორი! ახლა მიწას არ იკითხავთ როგორია? აბა, [illegible] ბოლამდეთ! სულ ჭალა ადგილებია. ველს დავთესდი — ხუთი ათასისას მარტო ველს გავყიდდი; თალგამს დავთესდი — ოთხი ათასს თალგამიდან ამოვიღებდი. აბა, შეხედეთ — ფერდობზე ჭვავი ამოსულა; ეს ხომ ნაგერალია. ჩამდეილად ვიცი — პური არ დაუთესავს. დიახ, ეს მამული ას ორმოცდაათი ათასი ღირს, ორმოცი ათასი კი არა.

ჩიჩიკოვს შეეშინდა, ხლობუევმა არ გაიგონოსო და წინ მიმავლებს კიდევ უფრო ჩამორჩა.

— ხედავთ, რამდენი მიწა დაუტოვებია გამოუყენებელი! — კოსტანჟოგლოს თანდასთან სიბრაზე ერეოდა, — წინასწარ მაინც ეთქვა, მსურველები გამოჩდებოდნენ. თუკი მოხვნის საშუალება არა გაქვს, საბოსტნედ დაბარე, ბატონო! ბოსტანი გექნება. შეიძლება, მთელი ოთხი წელი გლეხკაცს უსაქმურობით სული ამოხადო? ხომ გარეკენი და სამუდამოდ დალუპე. კინკებსა და მაწანწალობას მიაჩვევ! აი, ესეც მისი ცხოვრება! — ამ სიტყვებზე კოსტანჟოგლომ გადააფურთხა, ბოლმამ შუბლი შეუჭმუხნა... — აქ ველარ მოვიცდი, ჩემთვის სიკვდილია ამ უწესრიგობისა და გაპარტახების ყურება! საქმეს უჩემოდაც მოათავებთ. ამ სულელს, რაც შეგიძლიათ, მალე ჩამოართვით განმი. არაფრად აგდებს ღვთის წყალობას! — თქვა კოსტანჟოგლომ და ჩიჩიკოვს გამოეთხოვა, მერე მასპინძელს დაეწია, რომ იმასაც გამომშვიდობებოდა.

— როგორ გეკადრებათ, კონსტანტინ ფიოდორეიჩ, — მიუგო გაოცებულმა მასპინძელმა, — ახლახანს არ მობრძანდით?!.

— არა მცალია. შინ უნდა დავბრუნდე, — თქვა კოსტანჟოგლომ, დაეშვიდობა და თავისი ღია ეტლით გაემგზავრა.

ხლობუევი თითქოს წასვლის მიზეზს მიუხვდაო:

— კონსტანტინ ფიოდორეიჩმა ველარ გაძლო აქ, ვგრძნობ, მისნაირ კაცს როგორ უჭირს ამ დანგრეული მამულის ყურება. გაგერათ, პაველ ივანოვიჩ, რომ ვერ შევძელი, ვერ შევძელი... წელს პურიც არ დამითესავს! პატიოსნებას გეფიცებით. თესლი არ მქონდა, ვერც მოხვნა მოვახერხე. თქვენი ძმა, პლატონ მიხაილიჩ, არაჩვეულებრივი მემამულეა, გაძიგოთია. კონსტანტინ ფიოდორეიჩზე კი, აბა, რა უნდა ითქვას — თავისებური ნაპოლეონია, მე და ჩემმა ღმერთმა, სიმართლე გითხრათ, ხშირად მიფიქრია: „ნეტა, რად აძლევს ღმერთი ხოგს ამდენ ჭკუას? რა იქნებოდა, ერთი ბეწო ჭკუა მეც მრგებოდა, ოღახს მაინც შევიახახედი! მე კი არაფერი ვიცი, არაფერი შემიძლია — ყოვლად უმაქნისი ვარ". აბ, პაველ ივანოვიჩ, უპატრონეთ მამულს, ღარიბი გლეხობა ძალიან მეცოდება. ვხვდები, რომ ვერ შევძელი, ვყოფილიყავი...[1] რა ექნა, მომთხოვნი და მკაცრი ვერ ვიქნები, თვითონ ასეთი უწესრიგო, იმათ წესრიგს როგორლა მივაჩვევდი?! ახლაც გავანთავისუფლებდი ყველას, მაგრამ, რაღაც უცნაურია რუსი კაცი, სულ ვიღაცამ უნდა მწყემსოს, უჩიჩინოს, თორემ ეგრეკვე ჩათვლემს, ობი მოეკიდება.

— მართლაც, საოცარია, — მიუგო პლატონოვმა, — ჩვენთან უბრალო კაცი,

1. ხელნაწერში ერთი სიტყვა არ იკითხება.

თუ ცოტა ხნით თვალი მოაცილე, უსათუოდ გალოთდება და არამზადად იქცევა.

— ეს გაუნათლებლობითაა გამოწვეული, — შენიშნა ჩიჩიკოვმა.

— ღმერთმა უწყის! ჩვენ ხომ გავნათლდით კიდეც, მაგრამ როგორ ვცხოვრობთ? მე უნივერსიტეტშიც ვსწავლობდი და ლექციებიც ბლომად მოსმენია, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ცხოვრების ხელოვნება და წესი მესწავლა, უფრო სამშვენისებისა და ფუფუნების საგნებისათვის ფულის ხარჯვაში გავწაფე, ძვირფასი ნივთები შემიყვარდა. ნეტა, იმის გამო ხომ არა, უთავბოლოდ რომ ვსწავლობდი?! მაგრამ არა: სხვებსაც ასე დაემართათ. იქნებ ერთი-ორმა კი გამოიყენა განათლება, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ უამისოდაც ჭკვიანები იყვნენ, დანარჩენებმა კი მხოლოდ ის ისწავლეს, როგორ მოისპონ ჯანმრთელობა და როგორ გამოიფხიკონ ჯიბე! ღმერთმანი! სასწავლებელში პროფესორებისათვის ტაშის დასაკრავად და ჯილდოების დასარიგებლად მიდიან და არა მათგან ცოდნის მისაღებად. განათლებიდანაც ყველაზე უარესს ვარჩევთ; გარეგანს ეტანებით, არსს კი (ვერ) ვწვდებით. არა, პაველ ივანოვიჩ, ნორმალურ ცხოვრებაში რაღაც ხელს გვიშლის, რაღაც გვამუხრუჭებს და რა, ვერ მივმხვდარვარ, ღმერთმანი.

— უმიზეზოდ არაფერი ხდება, — თქვა ჩიჩიკოვმა.

საბრალო ხლობუევმა ღრმად ამოიოხრა და მიუგო:

— ზოგჯერ მართლაც მეჩვენება — განწირულია რუსი კაცი. არავითარი ნებისყოფა, არავითარი შემართება... გინდა ყველაფერი გააკეთო და არაფერი შეგიძლია. სულ ფიქრობ — აი, ხვალ დავიწყებ ახალ ცხოვრებას, ხვალ საქმეს მთელი ძალით შევეჭიდები, ხვალიდან დიეტას დავიცავ. არაფერი გამოგივა: იმავე საღამოს ისე გამოძღები, თვალებს ძლივს ახამხამებ, ენა არ გიბრუნდება, ბუსავით ხიხარ და გარშემომყოფებს უაზროდ ამტერდები — ამით თავდება ყველაფერი.

— კეთილგონიერება უნდა მოიშველიოთ, — მიუგო ჩიჩიკოვმა, — მუდამ კეთილგონიერებას უნდა დაეკითხოთ, მასთან მეგობრულად იბაასოთ.

— რას ამბობთ! — წამოიყვირა ხლობუევმა. — ზოგჯერ მეჩვენება, კეთილგონიერებისათვის სულაც არა ვართ გაჩენილნი. არცა მჯერა ჩვენს შორის კეთილგონიერი ადამიანის არსებობისა. რომც დავინახო — ვინმე ნორმალურად ცხოვრობს, ფულს აგროვებს და ინახავს, — მაინც არ დავიჯერებ! არ გამოვა, არა, სიბერეში მაინც აცდუნებს ეშმაკი — მთელ ქონებას უცებ გაანიავებს! ასეა ჩვენთან ყველა: კეთილშობილიც და გლეხიც, განათლებულიც და გაუნათლებელიც. იცით, ერთმა რა სიჭკვიანე ჩაიდინა? ასი ათასი ადვილად მოაგროვა და, როგორც კი ხელში მოიგდო, შამპანურით სავსე აბაზანაში ბანაობა მოუნდა. აი, დათვალიერებასაც მოვრჩით, მეტი აღარაფერია სანახავი. გინდათ, წისქვილიც გიჩვენოთ? თუმცა ქვა არა აქვს და თვითონაც წაქცეულაზეა.

— მაშ, ნახეა რაღა საჭიროა! — წამოიძახა ჩიჩიკოვმა.

— აბა, ახლა შინ წავიდეთ.

ყველანი სახლისკენ გაემართნენ.

დაბრუნებისასაც იგივე სურათებს ხედავდნენ. ირგვლივ საშინელი უწესრიგობა გამეფებულიყო. მხოლოდ ახალი გუბე დამდგარიყო შუა ქუჩაში. გაქონიანებულ ჯვალოში გახვეული გაბრაზებული დედაკაცი უწყალოდ სცემდა საწყალ გოგოს და სწყევლიდა. მოშორებით ორი გლეხკაცი მთვრალი დედაკაცის რისხვას გულგრილად შესცქეროდა. ერთი ზურგს იფხანდა, მეორე ამთქნარებდა. მთქნარებას მოეცვა ყველაფერი. სახურავებიც ამთქნარებდნენ. ამის შემხედვარე პლატონოვმაც დაამთქნარა. „ჩემი მომავალი ქონება — გლეხკაცია, — გაიფი-

ქრა ჩიჩიკოვმა, — ნახვრეტი-ნახვრეტზე, საკერებელი-საკერებელზე!" და მართლაც, ერთ ქოხზე სახურავის ნაცვლად ჭიშკარი იდო; ჩამოცვენილი ფანჯრებისათვის ბატონის ბელლიდან მოპარული ლატნები შეეყენებინათ. ერთი სიტყვით, მეურნეობაში, ვგონებ, ტრიშკინის ხიფთანის სისტემა დაემკვიდრებინათ; იდაყვების საკერებლებისთვის იჭრებოდა ყოშები და ფრაკების ზურგის ვალთები.

ისინი სახლში შევიდნენ. ჩიჩიკოვი განაცვიფრა სიღუხჭირისა და გარდასული ფუფუნების ბრწყინვალე სამშვენისების ერთგვარმა შერწყმამ. დანგრეულ ავეჯეულობას შორის ბრინჯაო ბრწყინაედა. რომელიღაც შექსპირი სამელნეზე იჯდა; მაგიდაზე სპილოს ძვლის კოპწია ზურგის საფხანი იდო. ხლობუევმა მეულლე — დიასახლისი წარუდგინა. მშვენიერი ქალი იყო! მოსკოვშიც არ შეირცხვენდა თავს. გემოვნებით შეკერილი, მოდური კაბა ეცვა. ქალაქზე და იქაურ თეატრზე საუბრობდა. აშკარა იყო, სოფელი მეუღლეზე მეტად ეჯავრებოდა და პლატონოვზე ხშირად ამთქნარებდა, როცა მარტო რჩებოდა. მალე ოთახი ბავშვებით — გოგონებითა და ბიჭუნებით — გაიავსო. სულ ხუთნი იყვნენ. მეექვსე ხელით შემოიყვანეს. ისე მშვენივრები გახლდნენ, თვალს ვერ მოსწყვეტდით. სასიამოვნოდ და გემოვნებით ჩაცმულებს მკვირცხლი, მხიარული სახეები ჰქონდათ და ამით უფრო მეტ სვედას ჰგვრიდნენ ადამიანს. სჯობდა, უბრალო ხამის ქვედა ბოლოები და პერანგები სცმოდათ და გლეხის ბავშვებივით ეზოში ერბინათ! დიასახლისს სტუმარი ეწვია. ქალები განცალკევდნენ. ბავშვები მათ გაეკიდნენ. მამაკაცები მარტო დარჩნენ.

ჩიჩიკოვი შესყიდვას შეუდგა. ყველა მყიდველის მსგავსად, ჯერ შესასყიდი მამული გააბიაბრუა და, ყოველმხრივი გაბიაბრუების შემდეგ წარმოთქვა:

— თქვენ რას ფასს ადებთ?

— იცით, რა? — უპასუხა ხლობუევმა, — ძვირს არ მოგთხოვთ, არ შემიძლია: ეს, ჩემი მხრიდან, უსინდისობა იქნება. იმასაც არ დაგიმალავთ, რომ სოფელში, კომისიის მიერ აღრიცხული ასი სულიდან, სახეზე ორმოცდაათიც არ იქნება: დანარჩენი ან ეპიდემიამ იმსხვერპლა ან სადღაც გადაიკარგა, ასე რომ, შეგიძლიათ, ისინიც მკვდრებად ჩათვალოთ. ამიტომ მხოლოდ ოცდაათი ათასს გამოგართმევთ.

— როგორ არა — ოცდაათი ათასი! მამული მიშვებულია, ხალხი — ნახევარი უფალმა მიიღო და ოცდაათი ათასს ითხოვთ?! ოცდახუთი ათასს უნდა დასჯერდეთ.

— პაველ ივანოვიჩ! ოცდახუთი ათასად ხომ ლიმბარდშიც დავაგირავებდი! ოცდახუთი ათასსაც ავიღებდი და მამულიც დამრჩებოდა. ახლავე რომ მჭირდება ფული, ამიტომაც ვყიდი. დაგირავებისას კი გამიჯანჯლდება, უწყების მოხელეებსაც უნდა გადავუხადო, ამის საშუალება კი არ გამაჩნია.

— მე მაინც გირჩევდით, ოცდახუთი ათასს დასჯერებოდით.

პლატონოვი, ჩიჩიკოვის ნაცვლად, სინდისმა შეაწუხა.

— იყიდეთ, პაველ ივანოვიჩ, — თქვა მან, — ამ მამულში ღირს ამდენის გადახდა. თუკი თქვენ ოცდაათი ათასს არ გაიმეტებდით, მე და ჩემი ძმა ზიარად შევიძენდით.

ჩიჩიკოვი შეშინდა...

— კარგით! თანახმა ვარ. ოცდაათი ათასს ვიძლევი. ორი ათასს ახლავე დაგიტოვებთ ბედ, რვა ათასს ერთი კვირის შემდეგ მოგართმევთ, დანარჩენ ოცი ათასს — ერთი თვის შემდეგ.

— არა, პაველ ივანოვიჩ, მხოლოდ ერთი პირობით მოგყიდით — ფული,

რაც შეიძლება, მალე უნდა გამოიმეტოთ. ახლა თხუთმეტი ათასი მაინც მომეცით, დანარჩენი — არაუგვიანეს ორი კვირისა.

— თხუთმეტი ათასი არა მაქვს! თან მხოლოდ ათი ათასი მაქვს. მაცალეთ, მოვაგროვო.

ჩიჩიკოვი აშკარად ცრუობდა: ოცი ათასი ჰქონდა.

— არა, პაველ ივანოვიჩ, გთხოვთ! გეუბნებით, თხუთმეტი ათასი საუფლოდ მჭირდება.

— მერწმუნეთ, ხუთი ათასი მაკლია. არ ვიცი, საიდან მოვიტანო.

— მე გასესხებთ, — მიაშველა პლატონოვმა.

—თუკი ასეა! — მიმართა ჩიჩიკოვმა და გაიფიქრა: „რა დროულად მაძლევს სესხს: ხვალვე მოვუტან ხლობუევს“.

ეტლიდან ზარდახშა გადმოიტანეს და ათი ათასი ხლობუევს მაშინვე ჩაუთვალეს, დანარჩენ ხუთი ათასს სახვალიოდ დაპირდნენ, დაპირებით კი დაპირდნენ, მაგრამ ჯერ სამი ათასის მიცემას ფიქრობდა ჩიჩიკოვი; დარჩენილ თანხას — ორი-სამი დღის შემდეგ მოუტანდა, ანდა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ცოტა უფრო გვიანაც. პაველ ივანოვიჩს რაღაც განსაკუთრებულად არ უყვარდა ფულის ხელიდან გაშვება. თუკი გარდაუვალი აუცილებლობა შეიქნებოდა, ერჩივნა, დღეს კი არა, ხვალ მიეცა ფული. უფრო სწორად, ისე იქცეოდა, როგორც თითოეული ჩვენთაგანი! ო, როგორ გვსიამოვნებს, მთხოვნელი ფეხებში რომ გვეგება და არაფრად ვაგდებთ. დაე, შემოსასელელში ზურგი გაიქექოს! მოცდა არ შეუძლია თუ რა?! რაში გვეკითხება, მისთვის ყოველი საათი თუ ძვირფასია და დაგვიანებით საქმე უფუჭდება! „ძმაო, ხვალ მოდი, დღეს არა მცალია“.

— სად უნდა იცხოვროთ? — ჰკითხა პლატონოვმა ხლობუევს. — სხვა სოფელი გაქვთ?

— სოფელი, აბა, სადა მაქვს, ქალაქში გადავსახლდები. ასეც უნდა მექნა, ჩემი თუ არა, შვილების გულისთვის მაინც. მასწავლებლები დასჭირდებათ საღვთო სჯულში, მუსიკაში, ცეკვაში... სოფელში ვის იშოვი?

„ლუკმაპური არ მოეპოვება, ბავშვებს კი ცეკვა უნდა ასწავლოს!“ — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა.

„ რა საოცარია!“ — გაიფიქრა პლატონოვმა.

— რა გაეწყობა, მოდით, ჩვენი გარიგება დავასველოთ, — წამოიძახა ხლობუევმა, — ეი, კირიუშა, მოიტანე, ძმაო, შამპანური.

„ ლუკმაპური არ მოეპოვება, შამპანურს კი მიირთმევს!“ — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა.

პლატონოვმა არც იცოდა, რა ეფიქრა.

შამპანური მოართვეს. სამ-სამი ბოკალი დაცალეს და გამხიარულდნენ. ხლობუევი ალაპარაკდა, უფრო ჭკვიანი და სასიამოვნო გახდა. მოსწრებული სიტყვებისა და ანეკდოტების კორიანტელი დააყენა. ო, რა კარგად იცნობდა ადამიანებსა და საზოგადოებას! როგორ კარგად და მართლად ხედავდა ბევრ მოვლენას. რამდენიმე სიტყვით როგორ ზუსტად და მარჯვედ ხატავდა მეზობელ მემამულეებს, ისე ნათლად ხედავდა ყველას ნაკლსა და შეცდომას, ისე კარგად იცოდა გაკოტრებული ბატონების ამბავი — რატომ, როგორ და რისგან გაკოტრდნენ, ისე ორიგინალურად და მომხიბლავად გადმოსცემდა მათ უმნიშვნელო ჩვეულებებსაც კი, რომ ორივე თანამეინახე მოჯადოებული შესცქეროდა და მზად იყვნენ, უჭკვიანეს კაცად ელიარებინათ.

— მიმისმინეთ, — მიმართა პლატონოვმა, თან ხელი წაავლო, — თქვენ, ასე-

თი გონებით, ცხოვრებისეული გამოცდილებით და შეცნობის უნარით დაჯილდოებულმა კაცმა, ამ მძიმე მდგომარეობას თავი როგორ ვერ დააღწია?

— კი შეიძლებოდა თავის დაღწევა, — მიუგო ხლობუევმა და პროექტების მთელი გროვა დაახვავა. უაზრო, უცნაური პროექტებისა, ადამიანებისა და საზოგადოების ცოდნისა რომ არაფერი ეტყობოდათ. ისღა რჩებოდა, ოხრები აგენჩეჩათ და გეთქვათ: „ღმერთო! ერთმანეთისაგან რა შორ-შორს ყოფან ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენება!“ თითქმის ყველა პროექტი ასი ან ორასი ათასის შოვნას ეყრდნობოდა. მისი აზრით, მ.შინ ყველაფერი აეწყობოდა, მეურნეობაც წინ წავიდოდა, ყველა ხარვეზი გამოსწორდებოდა, შემოსავალი ერთიოთხად გაიზრდებოდა და ვალებს უეჭველად გადაიხდიდა. თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: — აბა, რის გაკვეთებას მიბრძანებთ? დამანახეთ ის კეთილისმყოფელი, ორასი, თუნდაც ასი ათასის ხესხებას რომ გაბედავს! ეჰ, რას ვიზამ, ყველაფერი ღვთის ნებაა.

„სხვა რაღა გინდა, — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა, — შენნაირ სულელს ღმერთი სწორედ ორასი ათასს გამოუგზავნის!“

— თუმცა, მყავს ერთი სამშილიანი დეიდა, — განაგრძო ხლობუევმა, — ღვთისმოსავი დედაბერი: ეკლესიებსა და მონასტრებს სწირავს, ახლობელს კი არ დაეხმარება. ოშვიათი დედაბერია, ძველი ყაიდისა. მისი ნახვა ნამდვილად ღირს. მარტო ოთხასი კანარის ჩიტი ჰყავს. ფინიებს, სამაღლოდ სარჩენებსა და მსახურებს ხომ ნუღარ იკითხავთ. მსახურთაგან უმცროსი სამოცი წლისა იქნება, თუმცა თვითონ მაინც ასე მიმართავს: „ეი, ყმაწვილო!“ თუკი სტუმრის საქცელი არ მოეწონა, ბრძანებს, სადილზე, კერძის ნამოტარებისას, გვერდი აუარეთო. მართლაც, აუკლიან.

პლატონოვს ჩაეცინა.

— რა გვარია და სად ცხოვრობს? — ჰკითხა ჩიჩიკოვმა.

— ჩვენივე ქალაქში — ალექსანდრა ივანოვნა ხანასაროვა.

— მერე, მას რატომ არ მიმართეთ? — თანავრძნობით ჰკითხა პლატონოვმა. — ვფიქრობ, თუკი თქვენი ოჯახის მდგომარეობას დაწვრილებით შეიტყობს, უარის თქმას ვერ შეძლებს, რაც არ უნდა ძუნწი იყოს.

— ცდებით, ძალიანაც შეძლებს! დეიდა ისეთი კერკეტია, კაჟივითაა, კაჟივით, პლატონ მიხაილიჩ! თანაც ჩემ გარდა, ბევრი მაამებელი ჰყავს, თავს გამუდმებით დასტრიალებენ. ერთ-ერთი მათგანი გუბერნატორობასაც უმიზნებს. ახლობელიეთ მიეტმასნა, ღმერთმა ხელი მოუმართოს! იქნებ, მოახერხოს კიდეც! ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს! ქედი არც ადრე მომიხრია და ახლა — მით უმეტეს, ვერ მოვიხრი.

„სულელი, — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა, — ასეთ დეიდას ქედს მოვუხრიდი კი არა, მინად გავუხდებოდი!“

— ამდენი ლაპარაკისაგან ყელი გამიშრა. — თქვა ხლობუევმა, — ეი, კირიუშკა! მოიტანე კიდევ ერთი ბოთლი შამპანური.

— არა, არა, მეტს არ დავლევ, — მიუგო პლატონოვმა.

— არც მე, — გამოეპასუხა ჩიჩიკოვი. ორივემ გადაჭრით თქვა უარი.

— მაშინ პირობა მაინც მომეცით, რომ ქალაქში მესტუმრებით: რვა ივნისს ქალაქელ წარჩინებულთათვის წვეულებას ვმართავ.

— რას ბრძანებთ? — წამოიყვირა პლატონოვმა, — ასეთ მდგომარეობაში, სრულიად გაკოტრებული — და თანაც წვეულება?

— მაშ, რა ვქნა? მეტი გზა არა მაქვს, ეს ჩემი მოვალეობაა, — უპასუხა ხლობუევმა, — ისინიც მიწვევდნენ.

„ღმერთო, რა ეშველება?“ — გაიფიქრა პლატონოვმა.

მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ რუსეთში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში, ისეთი ჭკუის კოლოფებიც არსებობენ, რომელთა ცხოვრებაც [illegible] ამოცანაა. თითქოს ცხოვრება შორეა, დამთავრდა... ყველამდე [illegible] ჩაფენილი, ხანა კი არსაიდან ჩანს, და გამართული წვეულებაც, თითქოს უკანასკნელია, წვეულნიც ფიქრობენ, მასპინძელს ხვალვე ციხეში უკრავენ თავსო. მას შემდეგ კი ათი წელი გადის — ჭკუის კოლოფი ისევ მაღალ საზოგადოებაში ტრიალებს. წინანდელზე მეტი ვალი აქვს, ისევ მართავს წვეულებებს — და ისევ ფიქრობენ, უკანასკნელი წვეულებაა, ყველა დარწმუნებულია, მასპინძელს ხვალვე ციხეში უკრავენ თავსო. ასეთი ჭკუის კოლოფი იყო ხლობუევიც. მხოლოდ რუსეთში შეიძლება ასე იარსებო. არაფრის მქონე კაცი მასპინძლობდა და პურმარილიანობდა. მფარველობდა კიდეც ხეებს, ეხმარებოდა ქალაქში ჩამოსულ მსახიობებს, თავშესაფარსა და ბინას სთავაზობდა. ვინც მის ოჯახში მოხვდებოდა, ვერ გაარკვევდა, ვის იყო ოჯახის პატრონი. დღეს მღვდელი იხდიდა აქ პარაკლისს, მეორე დღეს ფრანგი მსახიობები რეპეტიციას გადიოდნენ. სხვა დროს, თითქმის ყველასთვის უცნობი კაცი პირდაპირ სასტუმროში იბუღებდა, ქალალდებში ეფლობოდა და კაბინეტს იწყობდა. ეს შინ არავის აღელვებდა, არავის აწუხებდა, თითქოსდა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ხან სამცეცეც არ მოეძებებოდათ, ხან კი ისეთ სადილებს მართავდნენ, უნატიფესი გემოვნების გასტრონომსაც რომ დააკმაყოფილებდა. მასპინძელი კამობრძანდებოდა საზეიმოდ მორთული, მხიარული, უზრუნველი ბატონის იერით, იმ კაცივით მიმოდიოდა, უშფოთველად და მდიდრულად რომ ცხოვრობს. სამაგიეროდ, ისეთი მძიმე წუთებიც დასდგომია, სხვა, მის ადგილას, დიდი ხანია თავს ჩამოიარხჩობდა ან შუბლში ტყვიას დაიხლიდა. მაგრამ ღვთის რწმენა შეელოდა, რელიგიურობა უცხაურად თავსდებოდა მის თავქარიან სიცოცხლესთან. ამ მწარე, მძიმე წუთებში შლიდა წიგნს და მთელი მონდომებით კითხულობდა მოწამეთა და დამაშვრალთა ცხოვრებას, რომელთაც თავიანთი სული ასე გამოიწრთეს, შესძლეს ტანჯვა-წამებასა და უბედურებაზე მაღლა დამდგარიყვნენ. ამ დროს გული მოულბებოდა, აუჩუყდებოდა, თვალები ცრემლით აევსებოდა. და — ჰოი, საოცრებავ! მოულოდნელად შველაც მოევლინებოდა ხოლმე. ან რომელიმე ძველი მეგობარი გაიხსენებდა და ფულს გამოუგზავნიდა, ან სრულიად უცნობი ქალი შემთხვევით მოისმენდა მის ამბავს და დიდი ქალური სულგრძელობით მდიდარ შეწირულებას უგზავნიდა. ანდა რომელიღაც საქმე, რომელზედაც არაფერი სმენოდა, მის სასარგებლოდ დასრულდებოდა. მოწიწებით, უსაზღვრო მადლიერებით აღიარებდა მაშინ განგების განუსაზღვრელ გულმოწყალებას, სამადლობელ პარაკლისს იხდიდა და ისევ თავიდან იწყებდა თავქარიან ცხოვრებას.

— მეცოდება, მართლაც მეცოდება! — უთხრა პლატონოვმა ჩიჩიკოს, მასპინძელს რომ დაემშვიდობნენ და წამოვიდნენ.

— უძღები შვილი! — თქვა ჩიჩიკოვმა, — ასეთი ხალხი არ უნდა შეიცოდო.

და მალე ხლობუევზე აღარც ერთი ფიქრობდა: პლატონოვი — ამიტომ, ზარმაცი იყო და მთელმარე უცქერდა ადამიანის მდგომარეობას, ისევე როგორც ყველაფერს ამქვეყნად. ეგი თანაუგრძნობდა ყველა გაჭირვებულს და გული ეკუმშებოდა სხვისი ტანჯვის დანახვისას, მაგრამ მის სულში ღრმა კვალს მაინც არ სტოვებდა. არც ხლობუევი აღელვებდა, არც საკუთარი თავი. ჩიჩიკოვი კი

ამიტომ არ ფიქრობდა ხლობუევზე, რომ მთელი მისი გონება ახალი შენაძენით იყო დაკავებული. ის ანგარიშობდა, ითვლიდა, წონიდა ახლად შეძენილი მამულიდან მოსალოდნელ მოგებას. და როგორც არ უკვირდებოდა, რომელი მხრიდანაც არ უტრიალებდა, ხედავდა, რომ ყველა შემთხვევაში ხელსაყრელი იყო. მამულის ლომბარდში დაგირავებაც შეიძლებოდა. ისიც შეიძლებოდა, მხოლოდ მკვდრები და გადახვეწილები რომ დაეგირავებინა. ისიც შეიძლებოდა, საუკეთესო მიწები ჯერ ნაწილ-ნაწილ დაეყიდა და მამული შემდეგლა დაეგირავებინა. შეიძლებოდა, მეურნეობისათვის თვითონვე მოეკიდა ხელი და მემამულედ ქცეულიყო კოსტანჟოგლოს მსგავსად, თანაც მისი, როგორც მეზობლისა და კეთილისმსურველის, რჩევებით ესარგებლა. ისიც შეიძლებოდა, მამული კერძო პირისათვის მიეყიდა (რასაკვირველია, თუკი თვითონ არ მოინდომებდა მეურნეობის გაძღოლას), გადახვეწილები და მკვდრები კი თავისთვის დაეტოვებინა. მაშინ ერთ ხეირსაც ნახავდა: აქედან გაპარვას მოახერხებდა და კოსტანჟოგლოს ნასესხებ ფულს არ დაუბრუნებდა. მოკლედ, საიდანაც არ შეხედა ამ საქმეს, ნათელი იყო, რომ მსუყე ლუკმა მოეგდო ხელი. ერთობ ნასიამოვნები დარჩა, ნასიამოვნები იმით, რომ უკვე მემამულე გახდა, არა ოცნებაში, არამედ რეალურად, რომელსაც მიწებიც აქეს. საკარგულებიც და ხალხიც ჰყავს — ხალხი არა ოცნებაში, წარმოსახვაში არსებული, არამედ ცოცხალი... შეხტა კიდეც, ხელები მოიფშვნიტა, წაუმღერა, ჩაიბურტყუნა, პირთან მიტანილ მუჭში, როგორც საყვირში, რომელიღაც მარში ჩაბერა, თავისი მისაბართით რამდენიმე წამახალისებელი სიტყვაც წამოისროლა ხმამაღლა, შე ძველო, თუ რაღაც ამდაგვარი. შემდეგ გაახსენდა, რომ მარტო არ იყო და უცებ ჩაჩუმდა. შეეცადა, თავისი უსაზღვრო აღფრთოვანება როგორმე დაეფარა და, როცა პლატონოვი, რომელსაც ეგონა, მე მომმართავენო, შეეკითხა: „რა?“ მან უპასუხა: „არაფერი“.

მხოლოდ მაშინ მიმოიხედა და შეამჩნია, რომ მშვენიერ წარაფში მიდიოდნენ. ორივე მხრიდან ულამაზესი არყის ხეები ჩამწკრივებულიყო. ხეებს შორის თეთრი ეკლესია გამოკრთოდა. გზის ბოლოს ბატონი გამოჩნდა. მათ შესახვედრად მოემართებოდა, თავზე კარტუზი ეხურა, ხელში ნუჟრიანი ჯოხი ეკავა. მაღალფეხება, ალოკილბეწვიანი ინგლისური ქოფაკი წინ-წინ მორბოდა.

— გააჩერე! — დაუძახა პლატონოვმა მეეტლეს და ეტლიდან გადმოხტა.

ჩიჩიკოვიც გადმოჰყვა და ფეხით განაგრძეს გზა. იარბმა უკვე მოასწრო ინგლისური ქოფაკის დასუნება, ეტყობა, ერთმანეთს დიდი ხანია იცნობდნენ, ისე გულგრილად მიიღო აზორის (ასე ერქვა ინგლისურ ქოფაკს) გულთბილი ალერსი. მარდი ქოფაკი, სახელად აზორი, რომელმაც იარბს მიუალერსა, პლატონოვს მივარდა და ხელები აულოკა, ჩიჩიკოვს აეტოტა, ეტყობა, ტუჩები უნდოდა აელოკა, მაგრამ ვერ შესწვდა, და როცა ჩიჩიკოვმა ხელი ჰკრა, ისევ პლატონოვისაკენ გაიქცა, ეგებ ამას ყური მაინც ავულოკოთ.

პლატონოვმა და მათთან მოახლოებულმა ბატონმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

— არ გეკადრება, ძმაო პლატონ! რას მერჩი? — შეაგება შემხვედურმა.

— რას უნდა გერჩოდე? — გულგრილად ჰკითხა პლატონოვმა.

— აბა, როგორ იქნება: სამი დღეა, ცამ ჩაგყლაპა თუ მიწამ, არ ვიცი! პეტუხის მეჯინიბემ შენი ულაყი მოიყვანა, შენზე მითხრა, ვიღაც ბატონთან ერთად გაემგზავრაო. ერთი სიტყვა მაინც დაგებარებინა: საით წახვედი, რატომ, რა ხნით? მოიმიტევე, ძმაო, ასე მოქცევა როგორ შეიძლება? ღმერთმა უწყის, ამ დღეებში რაღა არ ვიფიქრე!

— რა ვქნა, გადამავიწყდა, — მიუგო პლატონოვმა, — კონსტანტინ ფიოდო-

როვიჩსაც შევუარეთ... ისიც და ჩვენი დაც მოკითხვას გითვლიან. გაიცანი პაველ ივანოვიჩ ჩიჩიკოვი. პაველ ივანოვიჩ — ჩემი ძმა ვასილი, გოხოეთ, ისევე შეიყვაროთ, როგორც მე.

ვასილიმ და ჩიჩიკოვმა კარტუზები მოიხადეს და ერთმანეთი გადაკოცნეს.

„ნეტა ვინ არის ეს ჩიჩიკოვი? — გაიფიქრა ვასილიმ, — პლატონი განურჩევლად უმეგობრდება ყველას, ალბათ არც იცის, რას წარმოადგენს ეს კაცი". რამდენადაც ზრდილობა უფლებას აძლევდა, ჩიჩიკოვს დააკვირდა და დაინახა, რომ ის ოდნავ გვერდზე თავგადახრილი იდგა და სახეზე სასიამოვნო ღიმილი გადაჰფენოდა.

თავისი მხრით ჩიჩიკოვმაც შეათვალიერა ვასილი, რამდენადაც ზრდილობა ამის უფლებას აძლევდა. ძმა პლატონზე დაბალი იყო, თმა უფრო მუქი ჰქონდა და არც სილამაზით გამოირჩეოდა; მაგრამ ცოცხალი და შთაგონებული სახე ჰქონდა. ეტყობოდა, თვლემა და ძილი უცხო იყო მისთვის.

— იცი, ვასილი, რა მოვიფიქრე? — მიმართა პლატონოვმა.

— რა? — ჩაეკითხა ვასილი.

— რუსეთის წმინდა მიწაზე ვიმოგზაურო, სწორედ პაველ ივანოვიჩთან ერთად. იქნებ ჩემი ნალველი ამან მაინც გააქარწყლოს.

— ასე უცებ როგორ გადაწყვიტე?.. — დაიწყო ამ გადაწყვეტილებით სერიოზულად შეფიქრიანებულმა ვასილიმ და ლამის დაუმატა: „თანაც იმ ადამიანთან ერთად მიემგზავრები, რომელსაც პირველად ხედავ, და ეშმაკმა უწყის, ვინ არის!" უნდობლობით აღსავსემ ჩიჩიკოვს ალმაცერად დაუწყო ცქერა: იგი საოცრად მოკრძალებული ჩანდა, ისევ გვერდზე სასიამოვნოდ გადაეხარა თავი და ისევ მოწიწებულ-ალერსიანი გამომეტყველება აღბეჭდვოდა სახეზე, ასე რომ, ვერაფრით გაიგებდით, რით სუნთქავდა, რა ჯურისა იყო ჩიჩიკოვი.

სამივენი ჩუმად გაუყვნენ გზას, რომლის მარცხნივ, ხეებს შორის, თეთრი ქვის ეკლესია მოჩანდა, მარჯვენა მხარეს კი, ასევე ხეებს შორის, ბატონიანთ ეზო-კარი გამოკრთოდა. ბოლოს და ბოლოს, ჭიშკარსაც მიადგნენ. ეზოში შეიდგნენ, სადაც მაღალ სახურავქვეშ ბატონიანთ ძველი სახლი იდგა. ირი ასეთი უზარმაზარი ცაცხვი წამომართულიყო, მათი ჩრდილი თითქმის მთელ შენობებს ფარავდა. ძირს დაშვებულ გაშლილ ტოტებში ძლივს გაარჩევდით სახლის კედლებს. ცაცხვების ძირში რამდენიმე ძელსკამი იდგა. ვასილიმ ჩიჩიკოვს დაჯდომა შესთავაზა. ჩიჩიკოვი დაჯდა, პლატონოვიც. გარშემო იასამნის და შოთხვის სურნელი იფრქვეოდა, ბაღებიდან ეზოში ხის მესერს ყოველი მხრიდან რომ გადმოფენოდნენ, თითქოს ამ მშვენიერებას აყვავებული ძეწკვი ან ყელსაბამი აგვირგვინებსო.

ლამაზ ვარდისფერ კსანდრეიკის[1] პერანგში გამოწყობილმა ჩვიდმეტოთხმეტ წლის ბრგე, მარჯვე ბიჭმა გრაფინებით წყალი და ლიმონათივით შუშხუნა სხვადასხვა ფერის ბურახი მოიტანა. გრაფინები მათ წინ დაუდგა, მერე ხეს მიუახლოვდა, მიყუდებული ბარი აიღო და ბაღისკენ გაემართა. ძმები პლატონოვების მთელი შინაყმები ბაღში მუშაობდნენ. ყველა ხელზე მოსამსახურე მებაღე იყო, ანდა, უფრო სწორად, მოსამსახურეები არც ჰყავდათ, მათ მოვალეობას ზოგჯერ მებაღეები ასრულებდნენ. ვასილი პლატონოვი სულ ამტკიცებდა, უმოსამსახურეებოდაც შეიძლება არსებობაო. მისი აზრით, მორთმევას ყველა მოახერხებდა და ამისთვის განსაკუთრებული წოდების შემოღება საჭიროდ არ მიაჩნდა. მას მიაჩ-

1. „კსანდრეიკა" („ალექსანდრეიკა") — ბამბის ქსოვილი.

ნდა, რომ რუსი ადამიანი მანამდეა კარგიც, მარჯვეც, ლამაზიც, თამამიც და შრომისმოყვარეც, სანამ პერანგსა და ზუბუნს იცვამს, როგორც ეს გერმანულ სერთუკში შეძვრება, პერანგსაც არ გამოიცვლის, აბანოშიც არ წავა, სეროუკში ძინავს, სერთუკის ქვეშ გაუჩნდება ბაღლინჯოც, რწყილიც, და კიდევ, ეშმაკმა უწყის, რა, ამაში იქნებ მართალიც იყო. სოფელში მათ ხელს განსაკუთრებით კოხტად და სასიამოვნოდ ეცვა. ასეთ ლამაზ პერანგებსა და ზუბუნებს სხვაგან ვერც შეხვდებოდით.

— გაგრილება ხომ არ გნებავთ? — მიმართა ვასილიმ ჩიჩიკოვს და გრაფინზე მიუთითა, — ეს ჩვენი ფაბრიკის ბურახია, რომლითაც ძველი დროიდანვე განთქმულია ჩვენი ოჯახი.

ჩიჩიკოვმა პირველი გრაფინიდან დაისხა ჭიქაში — ცაცხვის თაფლისაგან დამზადებულ სასმელს ჰგავდა, ოღესღაც პოლონეთში რომ დაელია. შამპანურივით შუშხუნამ ცხვირში სასიამოვნოდ შეუღიტინა.

— ნექტარია! — წარმოთქვა ჩიჩიკოვმა, მეორე გრაფინიდანაც დალია — კიდევ უკეთესი იყო.

— რომელ მხარესა და ადგილებში მიეძგზავრებით? — ჰკითხა ვასილიმ.

— მივეძგზავრები, — დაიწყო ჩიჩიკოვმა, თან ხელით შუხლს ისრესდა, მთელი სხეულით მსუბუქად ირხეოდა და თავი გვერდზე გადაეხარა, — არა იმდენად საკუთარი, რამდენადაც სხვისი საჭიროებისათვის. გენერალმა ბეტრიშჩევმა, ახლო მეგობარმა და, შეიძლება ითქვას, კეთილისმყოფელმა, მთხოვა მისი ნათესაეების მონახულება. ნათესავები, რასაკვირველია, ნათესავებად, მაგრამ, ნაწილობრივ, ასე ვთქვათ, საკუთარი თავისთვისაც მივეძგზავრები, ვინაიდან — ჰემოროიდალურ სარგებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ქვეყნიერებისა და ადამიანთა ოლიმტრიალის ნახვაც თავისთავად, ასე ვთქვათ, ცოცხალი წიგნი და მეორე მეცნიერებაა.

ვასილი ჩაფიქრდა: „ეს კაცი ცოტა მალალფარდოვნად კი ლაპარაკობს, მაგრამ მის სიტყვებში სიმართლე გამოსჭვივის. ჩემი ძმა ადამიანებს, საზოგადოებასა და ცხოვრებას ნამდვილად არ იცნობს“. მცირე ხნის დუმილის შემდეგ კი თქვა:

— პლატონ, მოგზაურობამ იქნებ გამოგაფხიზლოს კიდეც. შენ სულიერი ძილქუში გჭირს, შენ, უბრალოდ, გძინავს, და გძინავს არა სიმაძღრისა ან დაღლილობისაგან, არამედ ცოცხალი შთაბეჭდილებებისა და განცდების უკმარისობისაგან. მე კი პირიქით, სულაც არ მინდა ასე მძაფრად შეეგრძნობდე და გულთან მიმქონდეს ყველაფერი, რაც ხდება.

— განა შენი ნება არ არის, მიიტან თუ არა ახლოს გულთან?! — მიუგო პლატონოვმა, — სანერვიულოს თვითონვე ეძებ და იგონებ.

— აბა, როგორ ვიგონებ, როცა ისედაც, ყოველ ნაბიჯზე უსიამოვნებები ეხვდება? — უპასუხა ვასილიმ, — გაიგე, რა ოინი მოგვიწყო ლენიცინმა? ის ადგილები მიიტაცა, სადაც ჩვენები კვირაცხოვლობას დღესასწაულობენ.

— არ იცის და იმიტომაც მიიტაცა, — თქვა პლატონოვმა, — ახალი კაცია, პეტერბურგიდან ახალჩამოსული. უნდა აუხსნა, გააგებინო.

— იცის, მშვენიერად იცის, შეკუთვალე კიდეც, მაგრამ უხეშობით გვიპასუხა.

— შენ თვითონ უნდა მისულიყავი, აგეხსნა, მოლაპარაკებოდი.

— ო, არა. მეტისმეტად გაყოყოჩებულია. იქით როგორ ვეახლები! შენ წადი, თუ გინდა.

— კი მივიღოდი, მაგრამ, ხომ იცი, მაგ საქმეებში არ ვერევი, ადვილად მომატყუებს და გამაცუცურაკებს.

— თუ ნებას დამრთავთ, მე ვეახლები, — ჩაერია ჩიჩიკოვი.

ვასილიმ შეხედა და გაიფიქრა: „უყურეთ ერთი, რა მოგზაურობის მოყვარული ყოფილა!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოღონდ კარგად გამაგებინეთ, რა ადამიანია, ან რა ხდება.

— მერიდება, ასეთი არასასიამოვნო კომისია დაგაკისროთ, ასეთ კაცთან დალაპარაკებაც კი ჩემთვის არასასიამოვნო კომისიაა. უნდა გითხრათ, რომ ლენიცინი ჩვენი გუბერნიის წვრილი აზნაურობიდანაა, პეტერბურგში მუშაობდა, ხალხში ძლივ-ძლივს გამოვიდა. იქ ვილაცის უკანონო ქალიშვილზე იქორწინა და საოცრად გაყოყოჩდა. აქაურების ტონის მიმცემად ითვლება. ჩვენთან, გუბერნიაში, მაღლობა ღმერთს, არც მთლად სულელი ხალხი ცხოვრობს. მოდა ჩვენთვის ბრძანება არ არის, არც პეტერბურგი გახლავთ ეკლესია.

— რა თქმა უნდა, — მიუგო ჩიჩიკოვმა, — ახლა ამიხსენით, რა ხდება?

— ისეთი არაფერი, ლენიცინს მიწა არ ჰყოფნის — და აი, სხვისი უკაცრიელი ადგილი მიიტაცა, უფრო სწორად, მას ეგონა უკაცრიელი, პატრონებისაგან დავიწყებული, იქ კი, თითქოს განგებ, უხსოვარი დროიდან ვლეხები კვირაცხოვლობას ღვესასწაულობენ. მზადა ვარ, უკეთესი მიწები დაუთმო, იმას კი ვერ მივცემ — წეს-ჩვეულება ჩემთვის წმიდათაწმიდაა.

— მაშასადამე, თანახმა ხართ, სხვა მიწები დაუთმოთ?

— უფრო სწორად, ასეც მოვიქცეოდი, მაგრამ, როგორც ვხედავ, სასამართლოს უმიზნებს. აბა, ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს. შეიძლება, გეგმა ცოტა გაურკვეველია, მაგრამ მიწმეები — მოხუცები ხომ ცოცხლები არიან და ახსოვთ.

„ჰმ, — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა, — ორივეს გეტყობათ, რა ხვითოებიც ბრძანდებით". ხმამაღლა კი თქვა:

— ასე მგონია, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდება, შუაკაცზე ბევრია დამოკიდებული. წერილ[1] . . . . . .

. . . . . .

რაც თქვენთვისაც მომგებიანი იქნება, მაგალითად, მკვდარი სულების ჩემს სახელზე გადმოწერა, რომლებიც ბოლო რევიზიის სიებით თქვენს სახელზე ირიცხებიან, ისე, რომ მათზე გამოსაღები გადაეხადო. ხოლო, რაიმე გაუგებრობა რომ არ მოხდეს, ამ გადმოწერას ნასყიდობის ქაღალდით მოახდენთ, თითქოსდა ის სულები ცოცხლები არიან.

„ესეც ახალი ამბავი! — გაიფიქრა ლენიცინმა, — რა უცნაურობაა!" სკამიანად უკან დაიწია, ისე გაოცდა.

— ეჭვიც არ მეპარება, რომ დამეთანხმებით, — თქვა ჩიჩიკოვმა, — რადგანაც ამ საქმეს წყალი არ გაუვა, მაგრამ ორ სოლიდურ ადამიანს შორის საიდუმლოდ უნდა დარჩეს, ამით არაფერი დაშავდება.

რა ექნა? ლენიცინი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვერ წარმოედგინა, ცოტა ხნის წინ წამოჭრილი აზრი ასე სწრაფად საქმედ თუ იქცეოდა. შემოთავაზებული წინადადება ნამდვილად მოულოდნელი იყო. ეს ნასყიდობა არავის დააზარალებდა: თვითონ მემამულეებსაც შეეძლოთ ამ სულების ცოცხლებთან ერთად დაგირავება. ამით ხაზინას ალბათ არც არაფერი დააკლდებოდა; განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, ახლა ერთის ხელში იქნებოდნენ, მაშინ კი სხვადა-

1. ხელნაწერის ორი გვერდი დაკარგულია.

სხვის. და, მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების ძიღება მაინც უჭირდა. ის კანონების დამცველიც გახლდათ და საქმოსანიც, საქმოსანი კარგი გაგებით. არანაირი ქრთამის გულისთვის უკანონობას არ ჩაიდენდა. აქ კი შეფიქრიანდა. ვერ გაეგო, ეს გარიგება კანონიერი იყო თუ უკანონო. სხვა ვინმეს რომ შეეთავაზებინა, უსათუოდ ეტყოდა: „რა მონაჩმახია, რა სისულელეა ბეჭედშიდ ან საპამპულიდ სადა მცალია“. მაგრამ სტუმარი უკვე ისე მოეწონა [illegible] ერთი აზრი აღმოაჩნდათ განათლებასა და მეცნიერების ძიღწევებზე — უარი როგორღა ეთქვა? ლენიცინი საგონებელში ჩავარდა.

სწორედ ამ დროს, გეგონება, ქმარი გასაჭირიდან უნდა დაიხსნასო, ოთახში შემოეიდა ახალგაზრდა, ცხვირპაჭუა დიასახლისი, ლენიცინის მეუღლე, ფერმკრთალიც, გამხდარიც, დაბალიც, გემოვნებით ჩაცმულიც, როგორც ყველა პეტერბურგელი ქალი. მას გადია შემოჰყვა, ხელში ახლად ჯვარდაწერილი მშობლების ნაზი სიყვარულის ნაყოფი, მათი სიყრმისშვილი ეკაჟა. ჩიჩიკოვი, რა თქმა უნდა, ქალბატონს მაშინვე მიეახლა, და ზრდილობიან მისალმებაზე რომ არაფერი ვთქვათ, თავი ისე სასიამოვნოდ ჰქონდა გვერდზე გადახრილი, დიასახლისი მისდამი კეთილად განეწყო. შემდეგ ბავშვთან მიირბინა, ლამის ააჭყავლა კიდეც, მაგრამ იმდენი უძახა: ალუ, ალუ, სულიკო!“, თითები და საათის სარდიონის ბუდე იმდენი უტკაცუნა, სანამ ხელში არ აიყვანა, ზევით ასწია და ბალღი კულიანად გააცინა. მშობლები მოხიბლულნი დარჩნენ.

სიამოვნებისაგან, თუ, ღმერთმა უწყის, რა მიზეზით, ბავშვმა თავი შეირცხვინა... ლენიცინის მეუღლემ შესძახა:

— ოჰ, ღმერთო ჩემო! მთელი ფრაკი გაგიფუჭათ!

ჩიჩიკოვმა დაიხედა: ახალთახალი ფრაკის სახელო სულ დახეულებოდა. „ეშმაკსაც წაუღიხარ, წყეულო ლაწირაკო!“ — ჩაიბურტყუნა თავისთვის დაბოღმილმა.

მასპინძელიც, დიასახლისიც, გადიაც — ყველა ოდეკოლონის მოსატანად გაიქცა. აქედან-იქიდან წმენდა დაუწყეს.

— არაფერია, არაფერი, სულ არაფერი, — ამბობდა ჩიჩიკოვი, — აბა, რა ესმის უცოდველ ბალღს? — თან ფიქრობდა: „მაინც რა გამამშვენიერა ამ მამაძაღლმა!“

— იქროს ასაკია! — წარმოთქვა, როცა საგულდაგულოდ გაასუფთავეს და მის პირისახესაც სასიამოვნო იერი დაუბრუნდა.

— მართლაც, — მიუგო მასპინძელმა, მასაც სასიამოვნო ღიმილი გადაჰყენოდა, — ბავშვობას რა შეედრება: არავითარი საზრუნაკი, არავითარი ფიქრი მომავალზე...

— ყველაფერს დავთმობ, ოღონდაც ბავშვობა დამიბრუნდებოდეს, — გაეპასუხა ჩიჩიკოვი.

— თვალდახუჭული! — კვერი დაუკრა ლენიცინმა.

მაგრამ, ეტყობა, ორივე ტყუოდა: რომელიმესთვის ასეთი გაცვლა რომ შეეთავაზებინათ, სიტყვას მაშინვე უკან წაიღებდნენ, აბა, რა სიამოვნებაა, გადიას ხელში ეკავო და ფრაკებს ბილწავდე!

ახალგაზრდა დიასახლისი და მისი სიყრმისშვილი გადიასთან ერთად გავიდნენ. ბავშვიც წესრიგში იყო მოსაყვანი: ჩიჩიკოვი თუ დაასაჩუქრა, არც საკუთარი თავი დავიწყნია.

ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო გარემოებამ მასპინძელს გადააწყვეტინა, ჩიჩიკოვის თხოვნა მთლიანად დაეკმაყოფილებინა. აბა, ასეთ სტუმარს უარს ვინ

შეჰკადრებდა? მან ხომ ამდენი სითბო გამოამეღავნა მისი ნამცეცასადმი და ამას სულგრძელად შესწირა საკუთარი ფრაკი? ლენიცინი ასე ფიქრობდა: „მართლაც, თუკი მთხოვს, რატომაც არ უნდა შევუსრულო?.[1] . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ერთ-ერთი ბოლო თავი)[2]

მაშინ, როცა ჩიჩიკოვი ოქრომკედით ნაქარგ ახალ სპარსულ ხალათში გახვეული დივანზე გაშხლართულიყო და ურია კონტრაბანდისტს ევაჭრებოდა, რომელსაც გერმანული გამოთქმა ჰქონდა, ხოლო მის წინ უკვე იდო საუკეთესო ჰოლანდიური ტილოს ნაჭერი პერანგებისათვის და ქალალდის ორი კოლოფი ჩინებული პირველხარისხოვანი თვისებების საპნით (ეს სწორედ ის საპონი იყო, რომელსაც რაძივილოვის საბაჟოში ყიდულობდა და რომელიც ლოყებს ნამდვილად ანაჭებდა სინაზესა და სითეთრეს), — იმ დროს, როცა კარგად აღზრდილი კაცისათვის საჭირო ნივთებს დიდი მცოდნესავით ყიდულობდა, მოახლოებული ეტლის გრუხუნი მოისმა, რომელსაც ბანს აძლევდა ფანჯრის შუშებისა და კედლების ძაგძაგი. კარი გაიღო და მისი აღმატებულება ალექსეი ივანოვიჩ ლენიცინი შემოვიდა.

— თქვენი აღმატებულების სამსჯავროს უნდა წარეუდგინო: როგორი ტილოა, როგორი საპონია და როგორია გუშინ ნაყიდი ეს ნივთი! — ამ სიტყვებით ჩიჩიკოვმა ოქრომკედითა და მძიმეებით მოქარგული არახჩინი ჩამოიცვა და სპარსეთის შაჰს დამსგავსებული, მთელი ღირსებითა და დიდებულებით წარსდგა სტუმრის წინაშე.

მაგრამ მისმა აღმატებულებამ კითხვაზე არ უპასუხა და შეწუხებულმა მიმართა:

— საქმეზე უნდა მოგელაპარაკოთ, — უსიამოვნება აშკარად ეხატებოდა სახეზე.

საპატიო ვაჭარი, გერმანული გამოთქმა რომ ჰქონდა, ჩიჩიკოვმა მაშინვე დაითხოვა. ოთახში ორნი დარჩნენ.

— იცით, რა უსიამოვნებაა? დედაბრის სხვა ანდერძი მოინახა, ხუთი წლის წინ დაწერილი. მამულის ნახევარი მონასტერს ეძლევა, მეორე ნახევარი კი ორივე აღზრდილს თანაბრად უნაწილდება და მეტი არავის არაფერი.

ჩიჩიკოვი გაოგნდა.

— მაგრამ ის ანდერძი სისულელეა, არაფერს ნიშნავს, მას მეორე აუქმებს.

— ნათქვამი რომ არ არის იმ ანდერძში, პირველი უქმდებაო?!

— ეს თავისთავად იგულისხმება: წინას უკანასკნელი აუქმებს. პირველი ანდერძი გაბათილებულია. გარდაცვლილის ნება-სურვილი ხომ მე კარგად ვიცი, იქ გახლდით. ხელი ვინ მოაწერა? მოწმეები ვინ იყვნენ?

— დამოწმებულია, როგორც წესი, სასამართლოში. მოწმედ იყვნენ ყოფილი მოსამართლე და მსაჯული, ყოვლად პატიოსანი ბურმილოვი და ხავანოვი.

„ცუდადაა საქმე, — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა, — ამბობენ, ხავანოვი პატიოსანიაო, ბურმილოვი კი — ბებერი ფარისეველი, დღესასწაულებზე ეკლესიებში სამოციქულო წიგნს კითხულობს“.

---

1. „მკვდარი სულების“ მეორე წიგნის პირველი ოთხი თავის ხელნაწერი აქ წყდება.

2. ეს თავი იბეჭდება უფრო ადრეული რედაქციით განსხვავებით სხვა თავებისაგან.

— სისულელეა, სისულელე, — თქვა ხმამაღლა და თითქოს გამბედაობა მოემატა, — მე უკეთ ვიცი, გარდაცვლილის სიკვდილისწინა წუთებში იქ ვიყავი, ყველაფერი კარგად ვიცი. მზად ვარ, დავიფიცო.

ამ სიტყვებმა და მისმა გამბედაობამ ლენიცინი ოდნავ დაამშვიდა. ის ერთიბ აღელვებული იყო და ეჭვიც ეპარებოდა, ანდერძი ჩიჩიკოვმა ხომ არ შეთითხნაო. ახლა კი ეჭვიანობისათვის თავს კიცხავდა. ფიციც ჩიჩიკოვის [illegible]ულობას ამტკიცებდა. არავინ იცის, წმინდა წიგნზე დასაფიცებლად პაველ ივანოვიჩს ძალა ეყოფოდა თუ არა, მაგრამ ამის სათქმელად კი ეყო.

— დამშვიდდით, ნუ ღელავთ, ამის თაობაზე მე ზოგიერთ იურისკონსულტს მოველაპარაკები. თქვენი მხრიდან არაფერია საჭირო; განზე იდექით. ახლა მაინც შემიძლია, რამდენ ხანსაც მინდა, ქალაქში ვიცხოვრო.

ჩიჩიკოვმა მაშინვე ეკიპაჟის მორომევა ბრძანა და იურისკონსულტისაკენ გასწია. იურისკონსულტი დიდი გაქნილი ვინმე ბრძანდებოდა. ოხუთმეტი წელი იყო, რაც პასუხისგებაში გახლდათ მიცემული, მაგრამ ვერავინ შეძლო თანამდებობიდან მისი გადაყენება. ყველა იცნობდა, ჩადენილი „გმირობების“ გამო უკვე ექვსჯერ ეკუთვნოდა გადასახლება. გარშემო მყოფნი ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაგრამ აშკარა და დამამტკიცებელი საბუთი ვერავინ წარუდგინა. აქ რაღაც საიდუმლო იმალებოდა და ეს ამბავი, რომელსაც აღვწერთ, უმეცრების ხანაში რომ მომხდარიყო, თამამად შეიძლებოდა მისი ჯადოქრად მონათვლა.

იურისკონსულტმა გააღო თავისი გულგრილი გარეგნობითა და გაქონილი ხალათით, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა წითელი ხის საუკეთესო ავეჯს, მინისხუფიან ოქროს საათს, ჭაღს, მარმარის შალითიდან რომ გამოკრთოდა, საერთოდ, ყველაფერს, რაც გარშემო მოჩანდა და ბრწყინვალე ევროპული განათლების აშკარა ნიშანს ატარებდა.

ჩიჩიკოვს იურისკონსულტის სკეპტიკური გარეგნობისათვის ყურადღება არც მიუქცევია, ისე აუხსნა საქმის საჩოთირო პუნქტები და მიახვედრა, რომ კეთილი რჩევისა და გაწეული სამსახურისათვის ვალში არ დარჩებოდა. მაცდუნებელი პერსპექტივა გახლდათ.

ამაზე იურისკონსულტმა მთელი სამყაროსადმი უნდობლობის გამოხატვით უპასუხა და ოსტატურად მიანიშნა, ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო.

ვერაფერს გააწყობდა: კვერცხი უნდა მიეცა. ფილოსოფოსის სკეპტიკური გულგრილობა უცებ გაქრა. იგი უგულითადესი, ლაპარაკის უმოყვარულესი ადამიანი და უსასიამოვნესი თანამოსაუბრე აღმოჩნდა, თანაც მოხერხებულობით თვით ჩიჩიკოვსაც არ ჩამოუვარდებოდა.

— ნება მიბოძეთ, საქმის გაჭიანურების ნაცვლად... თქვენ, ალბათ, კარგად ვერ დაათვალიერეთ ანდერძი. იქ ალბათ არის რაიმე მინაწერი. იქნებ რამდენიმე ხნით შინ წაიღოთ. თუმცა, რასაკვირველია, ასეთი რამეების შინ წაღება აკრძალულია, მაგრამ ზოგიერთ მოხელეს თუკი კარგად შევეხვეწებით... მე, ჩემი მხრით, არაფერს დავიშურებ, ყოველ ღონეს ვიხმარ.

„გასაგებია“, — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა და მიუგო:

— მართლაც, კარგად არც მახსოვს, რაიმე მინაწერი არის თუ არა, — ვითომ ეს ანდერძი თვითონ არც დაეწეროს.

— უმჯობესია, ნახოთ. თუმცა, ყოველ შემთხვევაში, — განაგრძო იურისკონსულტმა საკმაოდ გულობალად, — დამშვიდდით და ნურაფერზე იდარდებთ, უარესიც რომ მოხდეს. არასდროს და არაფერზე სასო არ წარიკვეთოთ: ყველა-

ფერს ეშველება. მე შემხედეო: მუდამ მშვიდად ვარ, რაც არ უნდა კაბუსები წამოიყენონ, ჩემი სიმშვიდე შეურყეველია.

იურისკონსულტ-ფილოსოფოსის სახეს მართლაც უჩვეულო სიმშვიდე გადაჰფენოდა, ასე რომ, ჩიჩიკოვს ბევრი...[1]

— რა თქმა უნდა, ეს მთავარია, — თქვა მან, — მაგრამ დამეთანხმეთ, მაინც შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევები, ისეთი რამ ჩაიდინოს ან ... — ტერმა, ისეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდე, რომ ყოველგვარ სიმშვიდეს დაკარგავ კაცი.

— დამერწმუნეთ, ეს სულმოკლეობაა, — ძალიან წყნარად და გულთბილად პასუხობდა ფილოსოფოს-იურისტი, — მხოლოდ იმას ეცადეთ, საქმის მსვლელობა მთლიანად საბუთებზე იყოს დაფუძნებული, სიტყვიერი ახსნა-განმარტება არ გავიგონო. როგორც კი დაინახავთ, რომ საქმე თქვენთვის ხელსაყრელად მთავრდება, ეცადეთ — არა, არც თავი გაიმართლოთ და არც დაიცვათ, არა, — უფრო დახლართოთ ახალი პარაგრაფებითა და მუხლებით.

— უფრო სწორად...

— დახლართოთ, დახლართოთ — და მეტი არაფერი, — მთააგონებდა ფილოსოფოსი, — ამ საქმეში სხვა, გარეშე გარემოებები შეიტანოთ, რომლებიც სხვებსაც ჩაითრევენ, საქმეს უფრო გაართულებენ — და მეტი არაფერი. აქ ჩამოსულმა პეტერბურგელმა მოხელემ, კეთილ ინებოს და მართალი და მტყუანი გაარკვიოს. კეთილ ინებოს და გაარკვიოს! — გაიმეორა და ისეთი სიამოვნებით შეხედა თვალებში ჩიჩიკოს, როგორც მასწავლებელი შესცქერის მოსწავლეს, რუსული გრამატიკიდან ჩახლართულ ადგილს როცა უხსნის.

— დიახ, მშვენიერია, ისეთ გარემოებებს თუკი შეარჩევ, რომლებსაც თვალში ნაცრის შეყრა შეუძლიათ, — მიუგო ჩიჩიკოვმა, თან ისიც ფილოსოფოსს სიამოვნებით შესცქეროდა თვალებში, იმ მოწაფესავით, რომელმაც მასწავლებლის ახსნილი ჩახლართული ადგილი უცებ გაიგო.

— შეირჩევა გარემოებები, შეირჩევა! დამერწმუნეთ: ხშირი ვარჯიშისაგან გონება უფრო მოქნილი ხდება. უპირველეს ყოვლისა, გახსოვდეთ, რომ თქვენ დაგეხმარებიან. საქმის გართულებით ბევრი მოიგებს: მოხელეებიც მეტია საჭირო, მათ ხელფასიც მეტი სჭირდებათ... ერთი სიტყვით, რაც შეიძლება, ბევრი ხალხი ჩაითრიეთ. რა ბედნაა, თუკი ზოგიერთები ტყუილა გაებმებიან, ისინი თავს ადვილად გაიმართლებენ, საბუთებზე პასუხს აგებენ, დანაშაულს გამოიხყიდიან... დიახაც... დამერწმუნეთ, როგორც კი გარემოება კრიტიკული ხდება, უპირველეს ყოვლისა, საქმის ახლარი-ჩახლართვაა საჭირო, ისე შეიძლება აიხლართოს, ისე ჩაიხლართოს, თავი და ბოლო ველარავინ გაუგოს. რატომ ვარ მშვიდად? იმიტომ, რომ ვიცი: აბა, ერთი საქმე ცუდად წამივიდეს, ყველას გავხლართავ — გუბერნატორსაც, ვიცე-გუბერნატორსაც, პოლიცმეისტერსაც, მოლარესაც, — ყველას გავჩლართავ. სულ ვიცი: ვინ ვისზეა გაბრაზებული, ვინ ვის ემდურის, ვის ვისი დალუპვა სურს. კეთილი ინებონ და თავი დააღწიონ ამ ხლართებს, მაგრამ, სანამ ისინი თავს დააღწევენ, სხვები გამდიდრდებიან კიდეც, თევზის ამღვრეულ წყალში დაჭერა ადვილია. ყველანი ელიან, როდის აიმღვრევა წყალი, — აქ იურისტ-ფილოსოფოსმა ჩიჩიკოვს ისევ ისეთი სიამოვნებით შეხედა თვალებში, როგორითაც მასწავლებელი მოსწავლეს რუსული ენის გრამატიკიდან კიდევ უფრო ჩახლართულ ადგილს უხსნის.

---

1. ფრაზა დაუმთავრებელია.

„არა, ეს კაცი ნამდვილად ბრძენია“, — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა და იურისკონსულტს ძალზე სასიამოვნო და კარგი განწყობით დასცილდა.

სრულიად დაწყნარებული და მოცოცხლებული, დაუდევარი მარქნილობით დაეშვა ეტლის დამყოლ ბალიშებზე, სელიფანს უბრძანა, ეტლს სახურავი გადახადეო (იურისკონსულტთან კი გადმოხურული ეტლით გაემგზავრა) და ზუსტად გადამდგარ ჭუსართა პოლკოვნიკივით ანდა თვით ვიშნეველრომელივით მოიკალათა — ერთი ფეხი მეორის ქვეშ მოხერხებულად ამოიკეცა და სიამოვნებით მიაპყრო შემჩვდურთ სახე, ცალი ყურისკენ ოდნავ დაწეული აბრეშუმის შლაპის ქვეშ რომ უბრწყინავდა, სელიფანს უბრძანა, ფუნდუკისაკენ წადით. დუქნებთან მდგარი ჩამოსული და ადგილობრივი ვაჭრები შლაპებს მოწიწებით უხდიდნენ და ჩიჩიკოვიც, არანაკლები ღირსებით, შლაპის ოდნავ აწევით ესალმებოდა. ბევრ მათგანს იცნობდა, სხვები, მართალია, ჩამოსულები იყვნენ, მაგრამ, თავაზიანი, სასიამოვნო გარეგნობის ბატონით მოხიბლულები, ნაცნობიეთ ესალმებოდნენ. ბაზრობა ქალაქ ტფუსლავლში გრძელდებოდა: ცხენებისა და სამეწარმოქმედო დასრულდა, სამაგიეროდ დაიწყო უგანათლებულეს ბატონთათვის ფართლეულით ვაჭრობა. ეტლით ჩამოსულ ვაჭრებს, ეტყობა, მარხილებით მოუწევდათ შინ დაბრუნება.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! — თავაზიანად ამბობდა ერთი მათგანი მაუდის დუქანთან — თაემოშიშვლებული, მოსკოვური შეკერილობის გერმანულ სერთუკში გამოწყობილი, გაწვდილ ხელში შლაპით, ორი თითით რომ ეჭირა, მრგვალი გაპარსული ნიკაპითა და სახეზე ნატიფი გამომეტყველებით.

ჩიჩიკოვი დუქანში შეეიდა.

— მაჩვენეთ, გეთაყვა, მაუდი.

თავაზიანმა ვაჭარმა მაშინვე ასწია დახლის ფიცარი და შიგ შეეიდა, ზურგით საქონლისაკენ დადგა, ხოლო პირით მყიდველისაკენ.

ზურგით საქონლისაკენ და პირით მყიდველისაკენ მდგარი ვაჭარი, მოშიშვლებული თავითა და გაწვდილ ხელში ქუდით, ჩიჩიკოვს კიდევ ერთხელ მიესალმა, შემდეგ შლაპა დაიხურა, სასიამოვნოდ მოიხარა, ორივე ხელით დაეყრდნო დახლს და თქვა:

— რა სახის მაუდი გნებავთ, ბატონო? ინგლისური მანუფაქტურისა თუ სამამულო ფაბრიკაციისას ამჯობინებთ?

— სამამულო ფაბრიკაციისას, — მიუგო ჩიჩიკოვმა, — ოღონდ საუკეთესო ხარისხისას, ინგლისურს რომ ეძახიან.

— რა ფერისა გნებავთ? — ჩაეკითხა ვაჭარი, ისევ ისე სასიამოვნოდ რომ ირხეოდა დახლზე დაყრდნობილ ხელებზე.

— მუქი ფერისა, წენგოსფერი ან მუქი მწვანე, წინწკლებით, მოცვს რომ წააგავს, — უპასუხა ჩიჩიკოვმა.

— შემიძლია პირობა მოგცეთ, რომ საუკეთესო ხარისხისას მიიღებთ, რომლის უმჯობესი არც ერთ დედაქალაქში არ მოიძებნება, — ამბობდა ვაჭარი, თან ზემოდან მთელი თოფი ჩამოათრია; მოხერხებულად დააგდო დახლზე, გაშალა, სინათლეს მიუშვირა და ხელი გადაუსვა, — რა ბზინვარება აქვს! ყველაზე მოდურია, უკანასკნელი გემოვნებისა!

მაუდი აბრეშუმივით ლაპლაპებდა. ვაჭარმა ალღოთი იგრძნო, ჩემს წინ მაუდის კარგი მცოდნე დგასო, და არ უნდოდა იაფფასიანით — ათმანეთიანით დაეწყო.

— არა უშავს, — მიმართა ჩიჩიკოვმა, მაუდს მსუბუქად გადაუსვა ხელი, —

მაგრამ, იცით რა, უპატივცემულესო? ერთბაშად ის მაჩვენეთ, სულ ბოლოს რომ უნდა გეჩვენებინათ და უფრო სხეულანი რომ იყოს, სხეულანი...

— მესმის, ბატონო: თქვენ ნამდვილად იმ ფერისა გნებავთ, პეტერბურგში ახლა რომ შეშლილის მოდაშია. საუკეთესო ჩარასხის მაუდი მაქვს. წინასწარ გაუწყებთ — ძვირად ღირებულია, მაგრამ — მალალი ღირსებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, მაჩვენეთ!

ფასზე — არც ერთი სიტყვა.

ოთხი ზემოდან ჩამოგორდა. ვაჭარმა ის უფრო მეტი ხელოვნებით გაშალა; ცალ ბოლოს ხელი სტაცა და, თითქოს აბრეშუმის ქსოვილი ყოფილიყოს, ისე გაშალა, ჩიჩიკოვს ცხვირთან მიუტანა და ამით არა მარტო დათვალიერების, დასუნვის შესაძლებლობაც მისცა, თან მხოლოდ ეს წამოიძახა:

— აი, მაუდი, ბატონო! — ბოლშერეულალისფერი!

ფასზე შეთანხმდნენ, ჯადოქრის კვერთხის მსგავსმა რკინის არშინმა მაშინვე გადაუზომა ჩიჩიკოვს ფრაკისა და შარვლისათვის. ვაჭარმა ჯერ ოდნავ გაგრძა მაკრატლით, შემდეგ მაუდი მოელ სიგრძეზე მოხერხებულად გახია და დასასრულ, ჩიჩიკოვს უდიდესი თავაზიანობით დაუკრა თავი. მაუდი მაშინვე დაკეცა და ქაღალდშიც მარჯვედ გაახვია. შეკვრა წვრილ ოკში დატრიალდა. ის იყო, ჩიჩიკოვს ჯიბეში უნდა ჩაეყო ხელი, რომ წელზე ვიღაცის დელიკატური ხელისმოხვევა იგრძნო და გაიგონა კიდეც:

— აქ რას ყიდულობთ, უპატივცემულესო?

— ო, რა სასიამოვნო და მოულოდნელი შეხვედრაა! — გამოეპასუხა ჩიჩიკოვი.

— სასიამოვნოდ შევეყარეთ ერთმანეთს, — მიუგო ისევ იმისმა ხმამ, მისი წელისთვის ხელი რომ შემოეხვია. ეს ვიშნეპოკრომოვი გახლდათ, — დუქნისთვის გვერდის ავლა მინდოდა: უცებ ვხედავ, ნაცნობი სახეა — აბა, უარი როგორ მეთქვა ამ იშვიათ სიამოვნებაზე! ვერაფერს იტყვი, მაუდი წელს შეუდარებლად უკეთესია. ეს ხომ სირცხვილი და თაეის მოჭრაა! ვერსად ეშოულობდი... მზად ვიყავი, ოცდაათი მანეთი, ორმოცი მანეთი მიმეცა... აიღე ორმოცდაათიც, ოღონდ კარგი მომეცი. ჩემი აზრით, ცუდის ქონას, სჯობს, სულ არ გქონდეს. ასე არაა?

— ნამდვილად ასეა! — დაეთანხმა ჩიჩიკოვი, — თუ იწვალებ, კარგი მაინც უნდა იყოს.

— საშუალო ფასის მაუდი მაჩვენეთ, — მოესმა უკნიდან, ნაცნობი ხმა იყო.

შემობრუნდა: ხლობუევი შერჩა ხელთ. ჩანდა, მაუდს რაღაც ახირების გამო კი არ ყიდულობდა, არამედ საჭიროებისათვის — კარგა მაგრად შელანძღული სერთუკი ეცვა.

— ოჰ, პაველ ივანოვიჩ! ნება მიბოძეთ, ბოლოს და ბოლოს, გელაპარაკოთ. ველარსად შეგხვდით. რამდენჯერმე ვიყავი — სულ არა ხართ და არა.

— უპატივცემულესო, ისე დაკავებული ვიყავი, დრო სულ არ მქონდა, — ჩიჩიკოვმა მიმოიხედა, თითქოს ახსნა-განმარტებისთვის თავის არიდება უნდოდა, და ამ დროს დუქანში შემოსული მურაზოვიც დაინახა. — აფანასი ვასილევიჩ! ოჰ! ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ჩიჩიკოვმა, — აი, სასიამოვნო შეხვედრა!

ვიშნეპოკრომოვიც აჰყვა:

— აფანასი ვასილევიჩ!

ხლობუევმაც გაიმეორა:

— აფანასი ვასილევიჩ!

დაბოლოს, კარგად აღზრდილმა ვაჭარმაც, ქუდი იმსიმაღლეზე რომ ასწია, სადამდეც ხელი აუწვდებოდა, და რაც შეიძლება წინ რომ გადმოიხარა, წარმოთქვა:

— აფანასი ვასილევიჩს ჩვენი მდაბალი სალამი!

სახეზე ყველას ის ძაღლური თავაზიანობა გამოეხატა, ბატონებს მიმართ ადამიანთა ძაღლური მოდგმა რომ იჩენს.

მოხუცი გარშემომყოფთ მიესალმა და პირდაპირ ხლობუევს მიმართა:

— მაპატიეთ: მე შორიდან დავინახეთ, დუქანში რომ შეხვედით და თავს უფლება მივეცი, შემეწუხებინეთ. როცა განთავისუფლდებით, თუ ჩემი სახლისკენ გექნებათ გზა, მოიღეთ მოწყალება და ცოტა ხნით შემომიარეთ. უნდა მოგელაპარაკოთ.

ხლობუევმა უპასუხა:

— დიდი სიამოვნებით, აფანასი ვასილევიჩ!

— რა მშვენიერი ამინდი დაგვიდგა, აფანასი ვასილევიჩ, — თქვა ჩიჩიკოვმა.

— მართლაც, აფანასი ვასილევიჩ, — აიტაცა ეიშნეპოკრომოვმა, — რა არაჩვეულებრივი ამინდია.

— დიახ, ბატონო, ღვთის წყალობით, კარგია, მაგრამ ნათესებისთვის წვიმა სჯობს.

— დიახ, ნამდვილად სჯობს, — მხარი აუბა ეიშნეპოკრომოვმა, — ნადირობისთვისაც კარგია.

— დიახ, წვიმა ურიგო არ იქნებოდა, — დეთანხმა ჩიჩიკოვიც. მას სულაც არ სჭირდებოდა წვიმა, მაგრამ რა სასიამოვნოა მილიონერს კვერი დაუკრა.

მოხუცი ყველას გამოეთხოვა და გაეიდა.

— პირდაპირ თავბრუ მესხმის, — დაიწყო ჩიჩიკოვმა, — როცა გავიფიქრებ, რომ ამ კაცს ათი მილიონი აქვს. ნამდვილად დაუჯერებელია.

— თუმცა, არაკანონიერია, — აღნიშნა ეიშნეპოკრომოვმა, — კაპიტალი ერთის ხელში არ უნდა იყოს. ახლა მთელ ევროპაში ამაზე ტრაქტატები იწერება. ფული გაქვს — სხვებსაც უწილადე: გაუმასპინძლდი, მეჯლისები გამართე, აწარმოე მადლიანი ფუფუნების საგნები, რომ ოსტატებსა და ხელოსნებს საარსებო წყარო გამოულევლად ჰქონდეთ.

— მაინც ვერ გამიგია, — განაგრძო ჩიჩიკოვმა, — ათი მილიონი კაცს ჰქონდეს და უბრალო გლეხივით ცხოვრობდეს! ათი მილიონით ხომ, ეშმაკმა უწყის, რისი გაკეთება აღარ შეიძლება. ცხოვრებას ისე მოიწყობ, გენერლებისა და თავადების გარდა გვერდით არავის გაიკარებ.

— დიახ, ბატონებო, — დაამატა ვაჭარმა, — აფანასი ვასილევიჩს ბევრი საპატიო თვისება აქვს, მაგრამ ის ბრწყინვალება აკლია, მაღალი წოდებისთვის რომაა დამახასიათებელი. თუ ვაჭარი პატივდებულია, ის უკვე ვაჭარი აღარ არის, ერთგვარად, ნეგოციანტია. მაშინ ლოჟა უნდა ავიღო თეატრში, და ქალიშვილსაც უბრალო პოლკოვნიკზე არაფრით არ გავათხოვებ: მხოლოდ გენერალზე, თუ არადა, სულაც შინ იჯდეს. რაში მარგია პოლკოვნიკი? სადილიც კონდიტერმა უნდა მომართვას და არა მზარეულმა...

— რა არის სალაპარაკო! მომიტევეთ, — თქვა ეიშნეპოკრომოვმა, — ათი მილიონით რას აღარ გავაკეთებ?! მომეცით ათი მილიონი და დაგანახვებთ, რასაც ვიზამ!

„არა, — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა, — ათი მილიონით შენ სარფიანს ვერაფერს გააკეთებ, აი, მე რომ მომცა ათი მილიონი, მართლაც, ჭკვიანურად გამოვიყენებ".

„არა, აი, იმ საშინელი განსაცდელის მერე რომ ათი მილიონი მომცა! — გაიფიქრა ხლობუევმა, — ო, ახლა ისე აღარ მოვიქცეოდი: გაჭირვებამ ყოველი კაპიკის ფასი მასწავლა“. და მერე წუთით ჩაფიქრების შემდეგ თავის თავს ჩაეკითხა: „მართლაც, უფრო ჭკვიანურად გამოვიყენებდი?“ ხელის ჩაქნევით დაამატა: „მეტი არ არის ჩემი მტერი, ისევე გავფლანგავდი, როგორც აქამდე“. — დუქნიდან რომ გამოვიდა, ცნობისმოყვარეობას შეეპყრო, რას განუცხადებდა მურაზოვი.

— გელოდით, პიოტრ პეტროვიჩ! — წამოიძახა მურაზოვმა, როცა ხლობუევი დაინახა, — მობრძანდით ჩემთან, ოთახში.

და მან ხლობუევი მკითხველისათვის უკვე ნაცნობ ოთახში შეიყვანა, რომლის მსგავსსაც იმ მოხელესაც ვერ უნახავდით, წელიწადში შვიდასი მანეთი ხელფასი რომ აქვს.

— მითხარით, ასე მგონია, თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესდა. დეიდის შემდეგ რაღაც ხომ მაინც დაგრჩათ?

— აბა, როგორ გითხრათ, აფანასი ვასილევიჩ? არც ვიცი, გაუმჯობესდა თუ არა. სულ ორმოცდაათი სული გლეხი და ოცდაათი ათასი ფული მერგო, რომლითაც ვალების ნაწილი გადავიხადე და ისევ ცარიელ-ტარიელი ვარ. მთავარი კი ის არის, რომ ანდერძის საქმე საოცრად ბინძური აღმოჩნდა. აქ, აფანასი ვასილევიჩ, ისეთი ოაღლითობა დაიწყეს! ახლავე მოგახსენებთ და გაოცდებით, რა ხდება. ამ ჩიჩიკოვმა...

— მომიტევეთ, პიოტრ პეტროვიჩ, სანამ ჩიჩიკოვზე ვისაუბრებდეთ, ნება მიბოძეთ, პირადად თქვენზე ვილაპარაკოთ. მითხარით: თქვენი აზრით, რამდენი გეყოფათ ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად?

— ჩემი მდგომარეობა რთულია, — უპასუხა ხლობუევმა, — აქედან თავი რომ დავაღწიო, ვალები სულ გადაეიხადო და ზომიერად ვიცხოვრო, სულ ცოტა ასი ათასი მაინც მჭირდება, თუ მეტი არა. ერთი სიტყვით, მე ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია.

— აი, მაგდენი რომ ღმერთმა მოგცეთ, თქვენს ცხოვრებას როგორ წაიყვანდით?

— ვიქირავებდი პატარა ბინას და ბავშვების აღზრდას მოვკიდებდი ხელს, იმიტომ, რომ მე ვერ ვიმსახურებ: აღარსად გამოვდგები.

— რატომ აღარ გამოდგებით?

— აბა, სად, თვითონ განსაჯეთ! კანცელარიის გადამწერიდან ვერ დავიწყებ. ხომ არ გავიწყდებათ, რომ ოჯახი მაქვს. თან ორმოცისა ვარ, უკვე წელი მტკივა, გავზარმაცდი, უფრო მნიშვნელოვან თანამდებობას კი არ მომცემენ; მე ხომ ცუდი სახელი მაქვს. გამოგიტყდებით: სარფიან ადგილზე თვითონვე ვიტყვი უარს. თუმც საძაგელი კაცი ვარ, ბანქოს მოთამაშე და, რაც გნებავთ, ის მიწოდეთ, მაგრამ ქრთამს ვერ ავიღებ. კრასნონოსოვსა და სამოსვისტოვს ვერ შევეგუები.

— მაგრამ, მაპატიეთ, არ მესმის, ასე უგზო-უკვლოდ როგორ იმოგზაურებთ; როგორ წახვალთ, თუ გზა არ მოჩანს, თუ ფეხქვეშ მიწას არა გრძნობთ; უნავოდ მდინარეს როგორ გადალახავთ? ცხოვრება ხომ მოგზაურობაა. მაპატიეთ, პიოტრ პეტროვიჩ, ის ბატონები, რომლებზედაც თქვენ ბრძანებთ, რაღაც გზას ადგანან, შრომობენ მაინც. დავუშვათ, გზას გადაუხვიეს, მაგრამ ეს ხომ ნებისმიერ ცოდვილს შეიძლება მოუვიდეს; მაინც არის იმედი, რომ სწორ გზას დაადგებიან. ვინც წინ მიიწევს, მიზანს აუცილებლად მიაღწევს; სწორ გზას უსათუოდ დაად-

გება. მაგრამ ის როგორღა დააღგება რომელიმე გზას, ვინმ ხელ-ფეხს არ გაანძრევს? გზა ხომ არ მივა მასთან?

— მერწმუნეთ, აფანასი ვასილევიჩ, მესმის, რომ მართალი ბრძანდებით, მაგრამ გეუბნებით, მოქმედების უნარი საბოლოოდ ჩამიკვდა; ამქვეყნად სარგებლობას ვერაფის მოვუტანო. ვგრძნობ, სრულიად უსარგებლო ვარ. ადრე, ახალგაზრდობისას, მეჩვენებოდა, რომ ფულია ყველაფერი ამქვეყნიერებაში, ასი ათასობით რომ მომცა, ბევრს გავაბედნიერებ-მეოქი: მივეხმარებოდი ღარიბ მხატვრებს, შევქმნიდი ბიბლიოთეკებს, სასარგებლო დაწესებულებებს, შევაგროვებდი კოლექციებს. უგემოვნო კაცი არა ვარ და ეიცი, თქვენს მდიდრებზე ბევრად უკეთ მოვიხმარდი, ისინი ხომ ყველაფერს უთავბოლოდ აკეთებენ. ახლა კი ვხედავ, ესეც ამაოებაა, და ამაშიც არაფერია სახეირო. არა, აფანასი ვასილევიჩ, აღარსად გამოვდგები, აღარსად, გეუბნებით. სულ უმნიშვნელო საქმეც არ ძალმიძს.

— ყური მიგდეთ, პიოტრ პეტროვიჩ! თქვენ ხომ ლოცულობთ, ეკლესიაში დადიხართ, დილის და საღამოს წირვას არ აცდენთ. თუმცა ადრე ადგომა არ გიყვართ, მაინც ხომ დგებით და მიდიხართ — მიდიხართ დილის ოთხ საათზე — როცა ჯერ კიდევ სძინავთ.

— ეს სხვა საქმეა, აფანასი ვასილევიჩ. ამას სულის საოხად ვაკეთებ, იმიტომ, რომ შეჯერა, რამდენადმე მაინც გამოვისყიდი დანაშაულს ჩემი ფუჭი ცხოვრების გამო; რომ, თუმც ცუდი ვარ, ჩემი ლოცვა მაინც რაღაცას ნიშნავს ღმერთისთვის. გამოგიტყდებით, ვლოცულობ რწმენის გარეშეც, მაგრამ მაინც ვლოცულობ. ვგრძნობ, რომ არსებობს არსთა განმრიგე, რომელზედაც ყველაფერია დამოკიდებული, ვგრძნობ ისევე, როგორც მუშა საქონელი ცნობს ალღოთი ულელში შემბმელს.

— მაშ, იმიტომ ლოცულობთ, რომ იმას აამოთ, ვისზეც ლოცულობთ, რომ იხსნათ სული, ეს გაძლევთ ძალას და ლოგინიდან ადრე ადგომას გაიძულებთ. დაბერწმუნეთ, სამსახურს ასევე რომ მოკიდოთ ხელი, იმ რწმენით, თითქოს, ვისზეც ლოცულობთ, იმას ემსახურებით, თქვენ ძალა მოგემატებათ და ამქვეყნად ველარავინ შეგაჩერებთ.

— აფანასი ვასილევიჩ! ისევ გეტყვით — ეს სხვაა. პირველ შემთხვევაში ვხედავ, რომ რაღაცას მაინც ვაკეთებ. მერწმუნეთ, მზად ვარ, მონასტერში წავიდე, და იქ, რასაც დამავალებენ, ყველაზე მძიმე სამუშაოც რომ იყოს, შევასრულო და გმირობა ჩავიდინო. დარწმუნებული ვარ, არავინ მეკითხება, ჩემს დამსაქმებლებს როგორ მიეზღვება; იქ მე ვიცი, ღმერთს ვემორჩილები.

— ამქვეყნიურ საქმეებზეც ასევე რატომ არ მსჯელობთ? აქაც ხომ ღმერთს უნდა ვმსახურებდეთ და არა სხვას. თუკი ვინმეს ვემსახურებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთი ასე გვიბრძანებს, უამისოდ ხელსაც არ გავანძრევდით. განა სხვა რა არის ყველა ის ნიჭი და უნარი, რაც თითოეულისთვის უფალს მეტ-ნაკლებად უბოძებია, თუ არა ჩვენი ლოცვის იარაღი: ვინ — სიტყვით, ვინ კი — საქმით. თქვენ ხომ მონასტერში ვერ წახვალთ: ცხოვრებასა ხართ მიჯაჭვული, ოჯახი გაქვთ.

აქ მურაზოვი დადუმდა. ხლობუევიც გაჩუმდა.

— თქვენ ასე მიგაჩნიათ, რომ, თუკი, მაგალითად, ორასი ათასი გექნებათ, მდგომარეობას განიმტკიცებთ და მომავალშიც უფრო ანგარიშიანად წარმართავთ ცხოვრებას?

— უფრო სწორად, იმას მაინც მოვკიდებ ხელს, რის გაკეთებაც შემიძლია — ბავშვების აღზრდას. კარგი მასწავლებლების აყვანის საშუალება მაინც მექნება.

— აბა, პირში გეტყვით, პიოტრ პეტროვიჩ, რომ ორი წლის შემდეგ ისევ ველამდე ვალებში ჩაეფლობით.

ხლობუევი ერთხანს შეჩერდა და აუჩქარებლად დაიწყო:

— არა, არა, ასეთი გამოცდილების შემდეგ...

— რა შუაშია გამოცდილება, — უპასუხა ჟურაზოვმა, — კარგად გიცნობთ. კეთილი კაცი ხართ: ნაცნობი ფულს გთხოვთ — მისცემთ; ღარიბს დაინახავთ — დაეხმარებით; სასიამოვნო სტუმარი მოგივათ — შეეცდებით, რაც შეიძლება უკეთ გაუმასპინძლდეთ. პირველივე კეთილგანზრახვას აჭყეებით და ანგარიში სულ გადაგავიწყდებათ. დაბოლოს, ნება მიბოძეთ, გულწრფელად გითხრათ: თქვენ არც შვილების აღზრდა ძალგიძთ. შვილების აღზრდას მხოლოდ ის მამა შეძლებს, რომელმაც თავისი მოვალეობა მოიხადა. თქვენი მეუღლეც... უდავოდ მოწყალეა... თუმცა სულაც არ არის ისე აღზრდილი, შვილები აღზარდოს. მაპატიეთ, პიოტრ პეტროვიჩ, მაგრამ ბავშვებისათვის თქვენთან ყოფნა იქნებ საზიანოც კი აღმოჩნდეს.

ხლობუევი ჩაფიქრდა; თავის თავს ყველა მხრიდან დააკვირდა და ბოლოს იგრძნო, ჟურაზოვი ნაწილობრივ მართალი იყო.

— იცით რა, პიოტრ პეტროვიჩ? გადმომეცით თქვენი ბავშვები, თქვენი საქმეები, დატოვეთ ოჯახიც და ბავშვებიც: მე შევინახავ. მდგომარეობაც ისეთი გაქვთ, მაინც ჩემს ხელში მოხვდებით; მაინც შიმშილით სიკვდილი გიწერიათ. აქ უკვე უკანდასახევი გზა აღარა გაქვთ. იცნობთ ივან პოტაპიჩს?

— ძალიან ვაფასებ კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ციმბირულას იცვამს.

— ივან პოტაპიჩი მილიონერი იყო, ქალიშვილები მოხელეებს მიათხოვა, ხელმწიფესავით ცხოვრობდა; მაგრამ როგორც კი გაკოტრდა — რა ექნა? —ნოქრად წავიდა. ვერცხლის სინიდან უბრალო ჯამზე გადავიდა. ეჩვენებოდა, გულს ველარაფერს დავუდებო. ახლა ივან პოტაპიჩს შეუძლია, ისევ ვერცხლის სინიდან ხვრიპოს, მაგრამ არ უნდა. ისევ მოუგროვდებოდა, მაგრამ ამბობს: „არა, აფანასი ივანოვიჩ,[1] არა ჩემს თავს და არა ჩემი თავისთვის ვმსახურებ ახლა, არამედ იმიტომ, რომ ღმერთმა ასე მარგუნა. ჩემი ნებით არაფერს გაეკეთებ. იმიტომ გიჯერებთ, რომ ღმერთს მინდა დავუჯერო და არა ადამიანს, ღმერთი კი რჩეულთა პირით ლაღადებს. ჩემზე ჭკვიანი ბრძანდებით, ამიტომაც მე კი არა, თქვენ ხართ ღვთის წინაშე პასუხისმგებელი". აი, რას ამბობს ივან პოტაპიჩი, ის კი, თუ სიმართლე გინდათ. ჩემზე ბევრად ჭკვიანია.

—აფანასი ვასილეიჩ! თქვენს ძალაუფლებას მეც ვაღიარებ, თქვენი მორჩილი ვარ და როგორც გნებავთ, ისე მიმსახურეთ. ოღონდ ისეთ სამუშაოს ნუ მომცემთ, ჩემს ძალებს რომ აღემატებოდეს: მე პოტაპიჩი არა ვარ და სასიკეთო საქმისთვის არ გამოვდგები.

— მე არა, ბატონო, პიოტრ პეტროვიჩ, მე კი არ გაკალებთ, ბატონო, მაგრამ რადგანაც თქვენ შრომა გწადიათ, როგორც თვითონ ბრძანეთ, აი, ღვთის სასურველი საქმეც! ერთ ადგილას ღვთისმოსავი ადამიანების ნებაყოფლობითი შეწირულებანით ეკლესია შენდება. ფული არ ჰყოფნით, შეგროვებაა საჭირო, უბრალო ციმბირულა გადაიცვით... ახლა ხომ უბრალო მოკვდავი ხართ, გაკოტრებული აზნაური და ჩვეულებრივი ლატაკი: ნუ იუკადრისებთ — დავთრით ხელ-

1. ვასილეიჩ.

ში, უბრალო ურმით ქალაქებსა და სოფლებში გაემგზავრეთ. არქიელისაგან ლოცვა-კურთხევასა და ზონარით შეკრულ დავთარს მიიღებთ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

პიოტრ პეტროვიჩი საოცრად გააოცა ამ ახალმა თანამდებობამ. იგი, ასე თუ ისე, ძველი გვარის აზნაური, დავთრით ხელში ეკლესიისათვის ფულის სათხოვნელად გაემგზავრის, თანაც ურმით! ამასთანავე, გამოძრომა და თავის ირიდება არ შეიძლება: საღვთო სამსახურია.

— დაფიქრდით? — უთხრა მურაზოვმა, — ორ კურდღელს დაიჭერთ — ღმერთსაც სამსახურს გაუწევთ და მეც.

— თქვენ — რას?

— აი, რას. რადგანაც ისეთ ადგილებში გაემგზავრებით, სადაც მე ჯერ არ ვყოფილვარ, თქვენ, ბატონო, ყველაფერს ადგილზეე შეიტყობთ: გლეხები იქ როგორ ცხოვრობენ, სად შეძლებულად არიან, სად — უჭირთ. და საერთოდ, რა მდგომარეობაა. გამოგიტყდებით, გლეხები იმიტომ მიყვარს, რომ მეც გლეხობიდან გახლავართ. საქმე ის გახლავთ, რომ მათ შორის ბევრი საზიზღრობა გავრცელდა. განხეთქილების ჩამომგდებნი და სხვადასხვა ჯურის მაწანწალები გლეხობას აშფოთებენ, ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებენ, ხელისუფლებისა და წესწყობილების წინააღმდეგ. თანაც, თუ ადამიანი შევიწროვებულია, ის ადვილად აჯანყდება. განა ძნელია, გაჭირვებაში მყოფი კაცის წაქეზება? საქმე ისაა, რომ ანგარიშსწორება ქვევიდან არ უნდა დაიწყოს. მაშინაა ცუდად საქმე, როცა მუშტებს ატრიალებენ! აქედან არაფერი გამოვა — მარტო ქურდები ნახულობენ გამორჩენას. თქვენ ჭკვიანი ხართ, ოვალი გადააცლეთ იქაურობას, გაიგეთ, სად სხვა ავიწროებს ადამიანს და სად თავისი მოუსვენარი ხასიათისაგან არის შევიწროებული. შემდეგ კი დაწვრილებით მომიყევით. ყოველი შემოხვევისათვის, მცირეოდენ თანხასაც მოგცემთ იმათთვის, ვინც მართლა უდანაშაულოდ იტანჯება. თქვენი მხრიდან სასარგებლო იქნება, სიტყვით თუ დაამშვიდებთ და კარგად აუხსნით, რომ ღმერთი გასაჭირის უდრტვინველად გადატანას ითხოვს და ლოცვას, როცა კაცი უბედურია, და არა შფოთსა და სამაგიეროს მიზღვას. მოკლედ, ისე ილაპარაკეთ, რომ არავინ არავის წინააღმდეგ არ გააღიზიანოთ, პირიქით, შეარიგოთ. თუკი ვინმეს სიძულვილს შეამჩნევთ, არა აქვს მნიშვნელობა, ვის მიმართ, ყველა ღონე იხმარეთ, რომ დააშოშმინოთ.

—აფანასი ვასილევიჩ! საქმე, რომელსაც მანდობთ, — მიუგო ხლობუევმა, — წმიდა საქმეა, მაგრამ, აბა, გაიხსენეთ, ვის ანდობთ. ეს შეიძლება ანდოთ ადამიანს, რომელიც თითქმის წმინდანივით ცხოვრობს, რომელსაც ოვითონ ექნება შენდობის უნარი.

— მე არც გთხოვთ, ყველაფერი შეასრულოთ, არა. — როგორც შეგეძლებათ, როგორც შესძლებთ. მთავარი ისაა, რომ იმ ადგილებს მაინც გაეცნობით და წარმოდგენა გექნებათ, ის მხარე რა მდგომარეობაშია. მოხელე არასოდეს შეეყრება პირისპირ და გლეხიც არასოდეს იქნება მასთან გულახდილი. თქვენ კი, ეკლესიის სახელით, ყველასთან შეიხვდავთ — შეშჩანთანაც, ვაჭართანაც და თითოეულთან გასაუბრების საშუალება გექნებათ. ამას იმიტომ გეუბნებით, ჩემო ბატონო, რომ გენერალ-გუბერნატორს, განსაკუთრებით ახლა, ასეთი ხალხი სჭირდება და თქვენ, ყოველგვარი კანცელარიული დაწინაურების გარეშე, ისეთ ადგილს მიიღებთ, სადაც თქვენი სიცოცხლე ფუჭად არ ჩაივლის.

— შევეცდები, მთელ ძალ-ღონეს მოვახმარ, — თქვა ხლობუევმა. ხმაში სიმხნევე შემატებოდა, იმედმოცემულივით გასწორდა და თავი ასწია, — ვხედავ,

ღმერთს გონიერებით დაუჯილდოებიხართ, ჩვენზე, ბევრ ადამიანებზე, რამდენად მეტი იცით.

— ახლა, ნება მიბოძეთ, გკითხოთ, — მიმართა მურაზოვმა, — რა საქმე გაქვთ ჩიჩიკოვთან?

— ჩიჩიკოვზე კი ენით უოქმელ ამბებს მოგიყვებით. ისეთ საქმეებს აწყობს... იცით, აფანასი ვასილევიჩ, ანდერძი რომ ყალბია? ნამდვილ ანდერძზე, რომლის მიხედვითაც მთელი მამული აღზრდილებს ეკუთვნით.

— რას ბრძანებთ? ყალბი ანდერძი ვინ შეთხზა?

— საქმეც ეგაა, რომ უსაზიზღრესი საქმეა! ამბობენ, რომ თვით ჩიჩიკოვმა, და რომ ანდერძი სიკვდილის მერეა ხელმოწერილი. გარდაცვლილის ნაცვლად ვიღაც დედაკაცი მორთეს და ხელიც მოაწერინეს. ერთი სიტყვით, უმაცდურესი საქმეა. ამბობენ, სხვადასხვა კუთხიდან ათასი თხოვნა მოვიდაო. მარია ერემეევნას ახლა საქმროებიც გამოეცხადნენ; ორი მოხელე მისი გულისათვის ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევესო. აი, როგორი საქმეა, აფანასი ვასილევიჩ!

— არაფერი გამიგია, საქმეს კი, მართლაც, კარგი სუნი არ უდის. პაველ ივანოვიჩ ჩიჩიკოვი, გამოგიტყდებით, ჩემთვის გამოუცნობია, — თქვა მურაზოვმა.

— მეც ჩემი მხრიდან თხოვნა წარვადგინე, რომ შემეხსენებინა, უახლოესი მემკვიდრე არსებობს-მეოქი.

„სულაც დაუხოცავთ ერთმანეთი, — ფიქრობდა გამოსვლისას ხლობუევი, — აფანასი ვასილევიჩი ბრიყვი ხომ არ არის. ეს დავალება, ეტყობა, წინასწარგანზრახვით მომცა. უნდა შეეასრულო — მორჩა და გათავდა“.

იგი უკვე მომავალი მოგზაურობის გეგმებს აწყობდა. მაშინ, როცა მურაზოვი თავისთვის ისევ იმეორებდა: „ჩემთვის საოცრად გამოუცნობი კაცია პაველ ივანოვიჩ ჩიჩიკოვი! აი, ასეთი ნებისყოფითა და მისწრაფებით კეთილ საქმეს რომ მოჰკიდებდეს ხელს!“

ამასობაში, სასამართლოებში, მართლაც, თხოვნა თხოვნაზე მოდიოდა. ნათესავებიც განიჩდნენ, რომელთა შესახებ აქამდე არავის არაფერი სმენოდა. როგორც ყვავ-ყორანი აცხრება მძორს, ასე დააცხრნენ დედაბრის დატოვებულ უთვალავ ქონებას. იყო საჩივრები ჩიჩიკოვზე, ბოლო ანდერძის სიყალბეზე, საჩივრები პირველი ანდერძის სიყალბეზე, თანხის მოპარვისა და მითვისების სამხილი. გამოჩნდა სამხილები ჩიჩიკოვზე — მკვდარი სულების შეძენის შესახებ, მისი საბაჟოში სამსახურისას კონტრაბანდის გადატანის შესახებ. თითოეული წერილმანი გამოჩხრიკეს. მისი უწინდელი ამბებიც არ დაიმალა. ღმერთმა უწყის, ყველაფერი ეს საიდან იყნოსეს და გაიგეს. იმ საქმეების სამხილებიც დაგროვდა, რომელთა შესახებაც, ჩიჩიკოვის აზრით, მისი და ოთხი კედლის გარდა, არავინ იცოდა. ჯერჯერობით ეს ყოველივე სასამართლო საიდუმლო იყო და მის ყურამდე არ მიეღწია, მაგრამ იურისკონსულტის უტყუარმა ბარათმა, მალევე რომ მიიღო, მიანიშნა, საქმე აირ-დაირევაო. ბარათი მოკლე იყო: „ვჩქარობ, გაუწყოთ, რომ საქმე გართულდება, მაგრამ გახსოვდეთ, არ უნდა აღელდეთ. მთავარია — სიმშვიდე. ყველაფერს მოვაგვარებთ“. ამ ბარათმა სრულიად დაამშვიდა. „ეს კაცი ნამდვილად გენიოსია“, — შენიშნა ჩიჩიკოვმა.

ამ დროს მკერავმაც მოუტანა ტანსაცმელი. ჩიჩიკოვს ძალზე მოუნდა, საკუთარი თავისთვის შეეხედა ახალ, ბოლშერეულალისფერ ფრაკში. შარვალი ამოიცვა, რომელიც ისე მშვენივრად შემოეტმასნა, დაჩატვა მოგინდებოდათ. ბარძაყებზე ისე გადაეჭიმა, წვივებზეც, მაუდი მთლიანად ისე მოადგა, სიმკვრივე შემატა სხეულს. უკან ბალთა რომ შეიკრა, მუცელი დოლივით გამოებერა. ჯაგრი-

სი მუცელზე დაიტყაპუნა და თან დაუმატა: „ო, შე ბედოვლათო, მაინც კარგი ბიჭი ხარ!“ ფრაკი შარვალზე უკეთესი შეკერილი იყო. ნაოჭიც არ აჩნდა, გვერდებზე შემოეტკიცა, ტანზე მოადგა და გამოჩნდა, რა მშვენიერად იყო წელში გამოყვანილი. მარჯვენა იღლიის ქვეშ ოდნავ უჭერდა, ამის გამო წელში უფრო გამოყვანილი ჩანდა. მკერავი, რომელსაც საზეიმო გამოძეტყველება ჰქონდა, მხოლოდ ამას ამბობდა:

— მშვიდად ბრძანდებოდეთ, ასე მხოლოდ პეტერბურგში კერავენ.

მკერავი პეტერბურგიდან იყო, აბრაზე კი წაეწერა: „ლონდონელი და პარიზელი უცხოელი“. ხუმრობა არ უყვარდა და ორი ქალაქით უნდოდა, დანარჩენი მკერავებისათვის ერთბაშად ჩაეჩარა ბურთი პირში, რომ ამ ქალაქებიდან მეტი არავინ გამოჩენილიყო, და თუ ნებავთ, დააწერონ „კარლსერუელი“ ანდა „კოპენგარელი“.[1]

ჩიჩიკოვი გულუხვად გაუსწორდა მკერავს და მარტო დარჩენილმა თავისი თაეი დაკვირვებით შეათვალიერა სარკეში, როგორც მსახიობმა — ესთეტიკური გრძნობითა და con amore.[2]

აღმოჩნდა რომ წინანდელზე უკეთ გამოიყურებოდა: ლოყები უფრო გალამაზებოდა, ნიკაპიც უფრო მიმზიდველი მოუჩანდა, თეთრი საყელო ლოყებს აძლევდა ელფერს, ლურჯი ატლასის ჰალსტუხი — საყელოს, გულისპირის ახალმოდური ნაკეცები — ჰალსტუხს, მდიდრული ხავერდის ჟილეტი — გულისპირს, ხოლო ბოლშერეულალისფერი ფრაკი, აბრეშუმივით რომ ბრწყინავდა, მთელ ჩაცმულობას. მარჯვნივ შემობრუნდა — კარგია! მარცხნივ შემობრუნდა — უფრო უკეთესი! ისე ადგას ტანზე, როგორც კამერჰერს ანდა რომელიმე ბატონს, რომელიც ფრანგულს ისე მიერეკება, თვით ფრანგსაც კი ჩრდილავს; სიბრაზის ჟამსაც რუსულად სიტყვას არ დააგდებს. გინებაც არ იცის რუსულად, დატუქსვითაც ფრანგული აქცენტით ტუქსავს. რა დელიკატურობაა! იგი შეეცადა, თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა და ისეთი პოზა მიეღო, თითქოს საშუალო ასაკის, მაღალი საზოგადოების ქალს მიმართავდა. მშვენიერად გამოუვიდა. მხატვარო, ფუნჯი აიღე და დახატე! სიამოვნებისაგან მსუბუქად შეკუნტრუშდა, ასე გეგონებოდათ, ანტრაშას აკეთებსო. კამოდი შეირყა და ოდეკოლონის შუშა გადმოვარდა, მაგრამ ჩიჩიკოვი არ აღელვებულა. მან, როგორც მოსალოდნელი იყო, სულელ შუშას ჩერჩეტი უწოდა და გაიფიქრა: „პირველად ვის ვეახლო? უმჯობესია...“

უცებ წინკარში დეზებიანი ჩექმების ჟღარუნი გაისმა და თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ჟანდარმი გამოჩნდა, მთელ ჯარს რომ განასახიერებდა.

— გებრძანათ, დაუყოვნებლივ გენერალ-გუბერნატორთან გამოცხადდეთ!

ჩიჩიკოვი ადგილზე გაშეშდა. მის წინ ულვაშიანი საფრთხობელა იდგა — ერთ მხარზე აშურმა, მეორეზეც აშურმა, გვერდზე უზარმაზარი მახვილი. მოეჩვენა, რომ მეორე გვერდზე თოფი და, ეშმაკმა უწყის, კიდევ რა ეკიდა: მთელი ჯარი — ერთ კაცში! შეპასუხება უნდოდა, მაგრამ საფრთხობელამ უხეშად მიმართა:

— ნაბრძანებია, დაუყოვნებლივ, ახლავე!

ღია კარიდან დაინახა, რომ დერეფანში მეორე საფრთხობელა იდგა, ფანჯარაში გაიხედა — ეკიპაჟიც ელოდა. რა ექნა? ისევე, როგორც იყო, ბოლშერეუ-

1. კარლსერუ — კარლსრუე, ქალაქი გერმანიაში, კოპენგარი — კოპენჰაგენი.
2. სიყვარულით (იტალ.).

ლალისფერ ფრაკში გამოწყობილი, უნდა ჩამჯდარიყო და სულ მთლად აკანკალებული გენერალ-გუბერნატორთან გამოცხადებულიყო, ჟანდარმის თანხლებით.

წინკარში გონს მოსვლაც არ აცალეს.

— მიბრძანდით, თავადი უკვე გელოდებათ, — უთხრა მორიგე მოხელემ.

მის წინ, როგორც ნისლიდან, ისე გამოკრთა კურიერებით სავსე წინკარი, სადაც ისინი პაკეტებს იღებდნენ; შემდეგ დარბაზიც, რომელიც კაბინეტ, თან ფიქრობდა: „ხედავ, როგორ ჩაგიგდეს ხელთ, არც სასამართლო, არც არაფერი, პირდაპირ ციმბირი!“ გული უჭვიანეს საყვარლის გულზე მეტად აუძგერდა. ბოლოს და ბოლოს, კარი გაიხსნა: თვალწინ კაბინეტი გადაეშალა, პორტფელებით, კარადებითა და წიგნებით, და განრისხებული, როგორც თვით რისხვა, თავადი.

— ჩემი დამლუპველი, დამლუპველი! — თქვა ჩიჩიკოვმა, — ჩემს სულს ისე დალუპავს, მოახრჩობს, თვალსაც არ დაახამხამებს!

— მე თქვენ დაგინდეთ, ქალაქში დარჩენის ნება დაგრთეთ, ეს მაშინ, როცა საპყრობილე გეკუთვნოდათ; და აი, ამაზრზენი გაიძვერობით ისევ დაისხით თავს ლაფი, თანაც ისე, ადამიანი იშვიათად რომ მოახერხებს.

თავადს სიბრაზისაგან ტუჩები უცახცახებდა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, რომელი ამაზრზენი გაიძვერობით? — ჰკითხა ერთიანად აკანკალებულმა ჩიჩიკოვმა.

— ქალი, — მიმართა თავადმა, მიუახლოვდა და ჩიჩიკოვს თვალებში შეაშტერდა, — ქალი, რომელმაც თქვენი კარნახით ანდერძს ხელი მოაწერა, დაკავებულია და პირში წაგადგებათ.

ჩიჩიკოვი ქაღალდივით გათეთრდა.

— თქვენო ბრწყინვალებავ! სიმართლეს მოგახსენებთ. ნამდვილად დამნაშავე ვარ, მაგრამ არც მასე დამნაშავე — მტრების გავლენის ქვეშ მოვექეცი.

— ვერავინ მოგაქცევთ გავლენის ქვეშ, იმიტომ, რომ თქვენ ყველა ცრუპენტელაზე მეტად საზიზღარი ხართ. მთელი თქვენი სიცოცხლე ერთი პატიოსანი საქმეც არ ჩაგიდენიათ. ყოველი თქვენი მოპოვებული კაპიკი მოპოვებულია უპატიოსნო გზით, ქურდობითა და უნამუსობით, ამისთვის მხოლოდ მათრახი და ციმბირი გეკუთვნით! არა, უკვე საკმარისია! ახლავე ციხეში წაგათრევენ და გაიძვერებსა და ყაჩაღებთან ერთად საკუთარ ხვედრს დაელოდები. შენთვის ესეც დიდი მოწყალებაა, იმათზე ბევრად უარესი ხარ. მათ ხომ არმიაკი და ტყაპუჭი აცვიათ, შენ კი... — მან ბოლშერეულალისფერ ფრაკს შეხედა და ზონარს ჩამოჰკრა, ზარი დარეკა.

— თქვენო ბრწყინვალებავ! — წამოიყვირა ჩიჩიკოვმა, — შემიწყალეთ! ოჯახის მამა ხართ. მე კი არა — მოხუცი დედაჩემი შეიბრალეთ!

— ცრუობ! — წამოიძახა განრისხებულმა თავადმა, — ახლავე მაგედრებდი მაშინ შვილებსა და ოჯახს, არასდროს რომ არ გყოლია, ახლა დედა გამოიგონე!

— თქვენო ბრწყინვალებავ, მე ნამდვილი არამზადა ვარ, — დაიწყო ჩიჩიკოვმა...[1] — არ უარვყოფ, მართლაც, ეცრუობდი, არც შვილები, არც ოჯახი არ მყოლია, მაგრამ, ღმერთია მოწამე, ყოველთვის მსურდა, მეუღლე მყოლოდა, რომ ადამიანისა და მოქალაქის ვალი აღმესრულებინა, რომ მერე ჭეშმარიტად მომეპოვებინა მოქალაქეთა და უფროსობის პატივისცემა... რა უბედურად წარიმართა ჩემი ცხოვრება! სისხლით, თქვენო ბრწყინვალებავ, სისხლით უნდა მომეპოვები-

1. ხელნაწერში დაუმთავრებელია.

ნა არსებობის წყარო. ყოველ ნაბიჯზე ცდუნებები... მტრები და დამღუპველები, ყაჩაღები. მთელი ჩემი ცხოვრება მძაფრ გრიგალს ანდა ტალღებზე ქარის ნებაზე მიშვებულ გემს ჰგავდა. მეც ადამიანი ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ!

თვალებიდან ცრემლი ნიაღვარივით წასკდა და თავადს ფეხებში ჩაუკარდა, ეგრევე როგორც იყო — ბოლშერეულალისფერ ფრაკში, ხავერდის ჟილეტში, ატლასის ჰალსტუხსა და ახალ შარვალში გამოწყობილი. [illegible] თმიდან ოდეკოლონის სურნელს აფრქვევდა.

— აქედან დამეკარგე! დაუძახეთ ჯარისკაცებს, წაიყვანონ! — მიმართა შემოსულებს თავადმა.

— თქვენო ბრწყინვალებავ! — ბღაოდა ჩიჩიკოვი, თან თავადის ჩექმებს ეხვეოდა.

თავადს მთელ სხეულში შეაჟრჟოლა.

— აქედან დამეკარგეთ, გეუბნებით! — უყვიროდა და თან ფეხის გამოგლეჯას ლამობდა.

— თქვენო ბრწყინვალებავ! ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ შეწყალებას არ მივიღებ, — ამბობდა ჩიჩიკოვი, ჩექმას არ უშვებდა ხელს და ასე, ფეხთან ერთად, იატაკზე ხოხავდა ბოლშერეულალისფერი ფრაკით.

— მომწყდით, გეუბნებით! — ისეთი ზიზღით უყვიროდა თავადი, თითქოს გულისამრევი მწერი დაენახოს, რომლისთვისაც ფეხიც კი ვერ დაუდგამს. უცებ ფეხი ისე დაიქნია, ჩიჩიკოვს ჩექმა მოხედა ცხვირში, ტუჩებში და მომრგვალებულ ნიკაპში, მაგრამ ხელს მაინც არ უშვებდა და უფრო მაგრად იხუტებდა, ორმა ზორბა ჟანდარმმა ძალით გააორია, ხელები მკლავებში გაუყარეს და ასე გაატარეს ოთახებში. გაფითრებული, განადგურებული, იმ უგრძნობელ, საშინელ მდგომარეობაში იყო, რომელშიც არის ადამიანი, როცა წინ შავ, შემზარავ, უცილობელ საკვდილს ხედავს, ასე მიუღებელს ჩვენი ბუნებისათვის...

კართან, კიბეზე, მურაზოვი შემოხვდათ. უცებ იმედის შუქი აუკიაფდა. წამში ძალა მოიკრიბა, ორივე ჟანდარმს დაუსხლტა და გაოცებულ მოხუცს ფეხებში ჩაუკარდა.

— ღმერთო ჩემო, პაველ ივანოვიჩ, რა დაგემართათ?

— მიშველეთ! ციხეში მივყავარ, სასიკვდილოდ...

ჟანდარმებმა ხელი დაავლეს და გაათრიეს, პასუხის მოსმენაც არ აღირსეს.

აშმორებული, ნესტიანი საკუჭნაო, გარნიზონის ჯარისკაცების ჩექმებისა და ფეხსახვევების სუნით გაჟღენთილი, შეუღებავი მაგიდა, ორი საძაგელი სკამი, რკინის გისოსიანი ფანჯარა, ძველი ღუმელი, რომლის ჭუჭრუტანებიდანაც კვამლი ხრჩოლავდა და სითბოს ვერ ინარჩუნებდა — აი, სად მოათავსეს ჩვენი კმაური, ეს-ესაა ცხოვრების სიტკბოება რომ უნდა ეგემა და თანამემამულეთა ყურადღება მიეპყრო ახალთახალ ბოლშერეულალისფერ ფრაკში გამოწყობილს. აუცილებელი ნივთების წამოღების უფლებაც კი არ მისცეს, არც ზარდახშისა, სადაც ფულს ინახავდა. საბუთები, მკვდარი სულების ნასყიდობის სიგელები — ყველაფერი ჩინოვნიკების ხელთ იყო. ის ძირს განერთხა, გულს უიმედობისა და საშინელი სევდის შხამიანი ჭია შემოეხვია. ამ ჭიამ საოცარი სიჩქარით დაუწყო ღრღნა მის სათუთ გულს. კიდევ ერთი დღე, კიდევ ერთი ასეთი ნაღვლიანი დღე და ჩიჩიკოვის კვალიც აღარ იქნებოდა ამქვეყნად. მაგრამ ჩიჩიკოვის ყოვლისშემძლე ვარსკვლავს არ ეძინა. ერთი საათის შემდეგ ციხის კარი გაიღო: მოხუცი მურაზოვი შემოვიდა.

მწველი წყურვილით გატანჯულისთვის ვინმეს გამშრალ ყელში წყარის

წყალი რომ ჩაესხა, ისე არ გამოცოცხლდებოდა, როგორც საცოდავი ჩიჩიკოვი გამოცოცხლდა.

— ჩემო მხსნელო! — ჩიჩიკოვმა მისი ხელი ჩაბღუჯა, სწრაფად ეთხოვა და გულში ჩაიხუტა, — განწირული კაცის მონახულებისათვის დმერთო სიკეთით გადაგიხდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლად დაიღვარა.

მოხუცი მწუხარებითა და გულისტკივილით უცქერდა და მხოლოდ ამას ეუბნებოდა:

— ოჰ, პაველ, პაველ ივანოვიჩ! პაველ ივანოვიჩ, ეს რა ჰქენით?

— მე არამზადა ვარ... დამნაშავე ვარ... გადავაჭარბე... მაგრამ თავად განსაჯეთ, ასე მოქცევა შეიძლება? მე აზნაური ვარ. გაუსამართლებლად, გამოუძიებლად ციხეში ჩაგდება, ყველაფრის წართმევა: ნივთებისა, ზარდახშისა... იქ ფული მაქვს, იქ მთელი ქონება მაქვს, მთელი ჩემი ავლადიდება, აფანასი ვასილევიჩ, — ქონება, სისხლში შერეული ოფლით მოპოვებული...

გულზე მოწოლილი ბოლმა ველარ შეიკავა, ისე ხმამაღლა აქვითინდა, რომ ზლუქუნმა საკნის სქელი კედელი გაარღვია და განყოფილებაში ყრუდ გაისმა, ატლასის ჰალსტუხი ჩამოიგლიჯა, ხელი საყელოს ჩაავლო და ბოლშერეულ-ალისფერი ფრაკი ტანზე შემოიხია.

— პაველ ივანოვიჩ, სულერთია, ქონებასაც და ბევრ სხვა რამესაც უნდა გამოეშვედობოთ. თქვენ ულმობელმა კანონმა დაგადგათ ფეხი და არა ადამიანმა.

— ოვითონ დავიღუპე თავი, ოვითონვე ვიცი — დროულად ვერ შევჩერდი. მაგრამ ნუთუ ასეთი სასჯელი მეკუთვნის, აფანასი ვასილევიჩ? ყაჩაღი ხომ არა ვარ? არც არავინ დამიზარალებია, არც გამიუბედურებია. შრომითა და ოფლით, სისხლში შერეული ოფლით მოვიპოვე თითოეული კაპიკი. კაპიკებს რისთვის ვაგროვებდი? რომ სიამეში გამეტარებინა დარჩენილი დღეები, ცოტაოდენი შვილებისთვის დამეტოვებინა, შვილებისთვის, რომლებიც სამშობლოს საკეთილდღეოდ და სამსახურისათვის უნდა შემძენოდა. გადავუხვიე, არ გედავებით, გადავუხვიე... რა მექნა? მაგრამ მხოლოდ მაშინ გადავუხვიე, როცა დავრწმუნდი, სწორი გზით ვერაფერს მივაღწევდი, მრუდე გზით კი უფრო ჩქარა ამიხდებოდა ოცნება. ვშრომობდი და თანდათან ვიწაფებოდი. ეს არამზადები კი, ხაზინიდან რომ იღებენ ათასებს, ანდა ღარიბებს ქურდავენ, არაფრისმქონეთ ტყავს აძრობენ!.. აფანასი ვასილევიჩ! რამდენი შრომა, ოობის მოთმინება დამჭირდა! მე ხომ, შეიძლება ითქვას, თითოეული კაპიკი ტანჯვა-წამებით მოვიპოვე, ტანჯვა-წამებით! აბა, ვინმემ იწვალოს ამდენი! რა არის მთელი ჩემი ცხოვრება: ულმობელი ბრძოლა, ტალღებში ჩაკარგული გემი, და ყველაფერი, ასეთი ბრძოლით მოპოვებული, დაიღუპა...

ველარ დაამთავრა, ისე ეტკინა გული, რომ ხმამაღლა აქვითინდა, სკამზე დაეხეთქა და ფრაკის ჩამოხეული კალთა ჩამოიგლიჯა, შორს მოისროლა, ორივე ხელი ომაზე წაივლო, ადრე მის გამაგრებას რომ ცდილობდა, ახლა უმოწყალოდ იპუტაედა, ტკივილი სიამოვნებდა კიდეც, გაუნელებელ გულისტკივილს ცოტაოი მაინც უხშობდა.

— ოჰ, პაველ ივანოვიჩ, პაველ ივანოვიჩ! — ამბობდა მურაზოვი, თან ნაღვლიანად შესცქეროდა და თავს აქნევდა, — სულ იმაზე ვფიქრობ, რა ადამიანი გამოვიდოდა თქვენგან, ასეთივე ძალითა და მოთმინებით კეთილი საქმისა და უკეთესი მიზნისათვის რომ გეღვაწათ! ნეტა ვინმეს ამდენი ძალ-ღონე კეთილ ზრახვათა აღსრულებისათვის გამოეყენებინა, რამდენიც თქვენ — კაპიკის მოპო-

ვებისათვის!.. შეეძლოთ მაინც სიკეთისათვის ასეთი მსხვერპლის გაღება — საკუთარი თავმოყვარეობისა და პატივმოყვარეობისა, და თავგანწირეა, ისევე როგორც თქვენ წირავთ თავს თითოეული კაპიკისათვის!..

— აფანასი ვასილევიჩ! — დაიძახა საცოდავმა ჩიჩიკოვმა და ხელებზე წაეტანა, — ო, რომ გამათავისუფლებდნენ და ჩემს ავლადიდებას დამიბრუნებდნენ! გეფიცებით, სულ სხვანაირად ვიცხოვრებდი! მიშველეთ, ჩემო მხსნელო, მიშველეთ!

— მე რა შემიძლია? კანონს უნდა შევებრძოლო. ვთქვათ, მოვინდომე კიდეც, თავადი ხომ სამართლიანია — არ დათანხმდება.

— ჩემო მხსნელო! თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ. მე კანონისა კი არ მეშინია — კანონის წინააღმდეგ გამოვნახავ საშუალებებს, — ის ვერ მომინელებია, უდანაშაულოდ რომ ჩამაგდეს ციხეში, აქ ძაღლივით რომ უნდა ჩავკვდე, რომ ჩემი ქონება, ქალალდები, ზარდახშა... მიშველეთ!

მუხუცს ფეხებზე შემოეხვია და ცრემლით დაულბო.

— ოჰ, პაველ ივანოვიჩ, პაველ ივანოვიჩ! — ამბობდა მოხუცი მურაზოვი, თან თავს აქნევდა, — როგორ დაგაბრმავათ ამ ქონებამ! სულიც ეშმაკს მიჰყიდეთ!

— სულსაც მივხედავ, ოღონდ გადამარჩინეთ!

— პაველ ივანოვიჩ! — მიმართა მოხუცმა მურაზოვმა და შეჩერდა, — თქვენი შველა მე არ შემიძლია — თვითონვე ხედავთ. მაგრამ ვეცდები, ხელრი შეგიმსუბუქოთ და გაგათავისუფლოთ. არ ვიცი, შევძლებ თუ არა, მაგრამ ვეცდები. ოუკი მაინც მოვახერხე, პაველ ივანოვიჩ, მაშინ შრომის საფასურს მოგთხოვთ: შეძენის წადილი უნდა დაიოკოთ. სინდისს გეფიცებით, ქონება რომ დამეკარგა, — როგორმე თქვენზე მეტი მაქვს, — არ ვიტირებდი. ო, მთავარი ქონება კი არ არის — ის შეიძლება ჩამომართვან კიდეც, — არამედ ის, რასაც ვერც ვერავინ მომპარავს და ვერც წამართმევს! ამქვეყნად უკვე საკმაოდ იცოცხლეთ. ტალლებზე მოქანავე ნავს ეძახით თქვენს ცხოვრებას. უკვე დარჩენილ დღეებზეც უნდა იზრუნოთ. რომელიმე წყნარ ადგილას დასახლდით, ეკლესიასთან და უბრალო, კეთილ ადამიანებთან ახლოს; ანდა, თუკი შთამომავლობის დატოვების სურვილით იწვით, ღარიბი, კეთილი ქალიშვილი ითხოვეთ, ზომიერებასა და შრომას მიჩვეული, ხმაურიანი სამყარო და მისი ცდუნებები დაივიწყეთ; დე, მანაც დაგივიწყოთ — სიმშვიდეს მაინც არ მოგიტანთ. ისეც ხედავთ: აქ ყველა ერთმანეთს მტრობს, აცდუნებს და ღალატობს.

ჩიჩიკოვი ჩაფიქრდა. რაღაც უცნაური, მანამდე უცნობი, ამოუხსნელი გრძნობები დაეუფლა: თითქოსდა მის სულში რაღაც შეირხა, რაღაცას გამოღვიძება ეწადა, ბაშვობაშივე ჩაკლულს დამთრგუნველი ქადაგებით, მოსაწყენი, უალერსო ბავშვობით, მშობლიური სახლის სიცარიელით, უოჯახობითა და მარტოობით, თავდაპირველ შთაბეჭდილებათა სიმწარით, ბედის ულმობლობით, რომელმაც თითქოსდა ზამთარში დაჭირხლული ფანჯრიდან სევდიანად შემოხედა.

— ოღონდ მიხსენით, აფანასი ვასილევიჩ! — წამოიყვირა მან, — სულ სხვა ცხოვრებას დავიწყებ, თქვენს რჩევას გავყვები! პატიოსან სიტყვას გაძლევთ!

— იცოდე, პაველ ივანოვიჩ, სიტყვას არ გადახვიდეთ, — მიუგო მურაზოვმა, თან მისი ხელი ეჭირა.

— იქნებ ფიცისთვის შეღალატა კიდეც, ასეთი საშინელი გაკვეთილი რომ არა, — ამოოხრა საბრალო ჩიჩიკოვმა და დაუმატა: — გაკვეთილი კი მწარეა; მწარე, მწარე გაკვეთილია, აფანასი ვასილევიჩ!

— კარგია, მწარე რია. მადლი შესწირეთ ღმერთს, ილოცეთ. წავალ, ვეცდები, იქნებ დაგეხმაროთ.

ეს თქვა და მოხუცი გავიდა.

ჩიჩიკოვი აღარ ბლაოდა, ტანზეც არ იხევდა და არც თმას იგლეჯდა: დაწყნარდა.

— არა, კმარა! — დაასკვნა ბოლოს, — ახალი, მხოლოდ ახალი ცხოვრება! დროა, მართლაც, წესიერ ცხოვრებას ვეზიარო. ო, როგორმე თავი დამაღწევინა და მცირე კაპიტალით მაინც გამაცილა აქაურობას, დავსახლდები მოშორებით... კი, მაგრამ ნასყიდობის ქაღალდები? — გაიფიქრა: „რატომ დავაგდო ეს საქმე. ასეთი წამებითა და დაგვით მოპოვებული?.. მეტს აღარ შევისყიდი, დაგირავებია კი უეჭველად დავაგირავებ. რამდენი შრომა შევალიე! ამათ დავაგირავებ, იმიტომ დავაგირავებ, რომ იმ ფულით მამული ვიყიდო. მემამულე გავხდები და ბევრ საკეთეს მოვუტან ხალხს". ის გრძნობები გაელვიძა, კოსტანჟოგლოსთან ყოფნისას რომ დაებადა, და გაახსენდა სადამოს სასიამოვნო შუქზე მასპინძლის საამო, ჭკვიანური საუბარი, რა ნაყოფიერი და სასარგებლოა მამულში შრომა. სოფელი უცებ ისე მომხიბლავად წარმოუდგა, თითქოსდა მის ყველა მშვენიერებას მთლიანად შეიგრძნობსო.

— რა სულელები ვართ! ამაოებას ვეპოტინებით! — თქვა ბოლოს, — მერწმუნეთ, უსაქმობისაგან! ყველაფერი ახლოა, ერთი ხელის გაწვდენაზე, ცხრა მთას იქით კი ვეძებთ. რითია მოსაწყენი ცხოვრება, თუკი საქმეს მოკიდებ ხელს, თუნდაც მიყრუებულ ალაგას. სიამოვნება ხომ მართლაც შრომაშია. და არაფერია საკუთარი შრომის ნაყოფზე ტკბილი. არა, ვიშრომებ, სოფელში დავსახლდები და პატიოსნად ვიშრომებ, იქნებ კეთილი გავლენა სხვებზეც ვიქონიო. რა, ვითომ უმაქნისი ვარ? მეურნეობის გაძღოლის ნიჭითა ვარ დაჯილდოებული, მომჭირნეობითაც, სიმკვირცხლითა და კეთილგონიერებითაც. ერთგულებასაც მოვახერხებ. თუ მოვინდომე, ნამდვილად მოვახერხებ. ჭეშმარიტად და ნათლად მხოლოდ ახლა ვგრძნობ: არსებობს მოვალეობა, ადამიანმა ამქვეყნად რომ უნდა აღასრულოს ისე, ღვთისგან მიკუთვნებულ ადგილს არ მოსცილდეს.

და მუყაითი ცხოვრება, დაშორებული ქალაქების ხმაურსა და იმ ცდუნებათაგან, შრომადაეიწყებულმა ადამიანმა უსაქმობისაგან რომ მოიგონა, ისე ნათლად დაუდგა თვალწინ, რომ თავისი უსიამოვნო მდგომარეობა სრულიად გადააეიწყდა და მზად იყო, ამ მძიმე გაკვეთილისთვის მადლი შეეწირა, თუკი აქედან გაათავისუფლებდნენ და თავისი ქონების ნაწილს მაინც მისცემდნენ. მაგრამ... მისი ბინძური დილეგის ცალსაგდულიანი კარი გაიღო და შემოვიდა ჩინოსანი პირი — სამოსვისტოვი, ეპიკურელი, თავზეხელაღებული კაცი, ჩინებული ამხანაგი, მოქეიფე და დიდი გაქნილი ვინმე, როგორც ამხანაგები ამბობდნენ. ომიანობის დროს ეს კაცი საოცრებებს ჩაიდენდა. საცა არ უნდა გაეგზავნათ, რა გაუკალი და სახიფათო ადგილიც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან დაძვრებოდა, მტერს ცხვირწინ აცლიდა ზარბაზანს—ეს მისი ხელობა იყო. მაგრამ საომარი ასპარეზის გარეშე, სადაც იქნებ პატიოსნება გამოეჩინა, სისაძაგლეებს სჩადიოდა. გაუგებარია! ამხანაგებთან კარგი იყო, არავის ღალატობდა და მიცემულ პირობას აუცილებლად ასრულებდა, მაგრამ მასზე მაღლა მდგომ უფროსობას მტრის ბატარეად მიიჩნევდა, რომელიც უნდა გაერღვია და ამისთვის ყველა სუსტ ადგილს, დაუდევრობასა თუ ხვრელს იყენებდა...

— ვიცით თქვენი მდგომარეობა, ყველაფერი გაიგეთ! — მიმართა ჩიჩიკოვს, როცა დაინახა, რომ კარი მჭიდროდ მიიხურა, — არაფერია, არაფერი! ნუ გეში-

ნიათ, ყველაფერი გამოსწორდება. ყველანი თქვენთვის ვეცდებით — მსახურებად გეგულეთ! ოცდაათი ათასი საკმარისია.

— ვითომ? — წამოიყვირა ჩიჩიკოვმა, — სრულიად გავმართლდები?

— სრულიად! და ზარალსაც ავინაზღაურებენ.

— მაღარიჩი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოცდაათი ათასი. სულ მთლიანად — ჩვენებსაც, გენერალ-გუბერნატორის ხალხსაც და მდივანსაც.

— კი მაგრამ, რანაირად? ჩემი ნივთები ხომ... ზარდახშა, ყველაფერი დალუქულია, დაცულია...

— ერთ საათში ყველაფერს მიიღებთ. აბა, შეეთანხმდით?

ჩიჩიკოვმა ხელი ხელზე დაარტყა. გული უძგერდა და არც სჯეროდა, რომ ეს შესაძლებელი იყო.

— ჯერჯერობით ნახვამდის! ჩვენმა საერთო ნაცნობმა დამავალა, გადმოგცეთ, მთავარია — სულის სიმშვიდე და მხნეობა.

„ჰმ, — გაიფიქრა ჩიჩიკოვმა, — მესმის — იურისკონსულტი!"

სამოსვისტოვი თვალს მიეფარა. მარტო დარჩენილს მაინც არ სჯეროდა მისი სიტყვებისა, მაგრამ საათსაც არ გაევლო, ზარდახშა მოუტანეს; ქალალდები, ფული და ყველაფერი სრულ წესრიგში იყო. სამოსვისტოვი განმკარგულებლის სახით მოევლინათ. დაყენებული გუშაგები გამოლანძღა, ფხიზლად არ დარაჯობთო, დატუქსა, თვალყურისდევნების გასაძლიერებლად ჯარისკაცები დაუმატეთო, ბრძანა. არა მარტო ზარდახშა წაიღო, მთელი ქალალდებიც, რომლებსაც ჩიჩიკოვის კომპრომეტირება შეეძლოთ; ყველაფერი ერთად შეკრა, დალუქა და თვითონ ჯარისკაცს უბრძანა, ჩიჩიკოვისათვის დაუყოვნებლივ მიეტანა, როგორც აუცილებელი პირადი ნივთები, ასე რომ, ჩიჩიკოვმა, ქალალდებთან ერთად, მიიღო თბილი ტანსაცმელიც, მისი მოკედავი სხეულის შესამოსად რომ იყო საჭირო. ასე სწრაფად ნივთების მოტანამ უზომოდ გაახარა. იმედი მოეცა და ისევ მოქალა ცდუნებანი: საღამოს თეატრი, მოცეკვავე ქალი, რომელსაც დასდევდა... სოფელი და სიმყუდროვე გაფერმკრთალდა, ქალაქი და ხმაური — ისევ გამოიკვეთა და ნათელი გახდა. ოი, ცხოვრებავ!

ამასობაში უზარმაზარი საქმე გაიბა სასამართლოებსა და პალატებში. მწერლები კალმებს აწრიპინებდნენ, ბურნუთს ყნოსავდნენ, მუშაობდნენ კაზუსური თავები, რომლებიც მხატვრებივით, მოკაუჭებული სტრიქონებით ტკბებოდნენ. იურისკონსულტი, ფარული ჯადოქარივით, მთელ მექანიზმს შეუმჩნევლად ატრიალებდა; სანამ გონს მოსვლას მოასწრებდნენ, ყველა ბადეში გახლართა. სულ აირ-დაირია საქმეები. სამოსვისტოვმა გაუგონარი სიმამაცითა და თავხედობით საკუთარ თავსაც გადააჭარბა. გაიგო, სად ჰყავდათ დაჭერილი ქალი და ისე ყოჩაღად და უფროსული მანერით შეეყდა, გუშაგმა სამხედრო სალამი მისცა და ხიშტივით გაეჭიმა.

— დიდი ხანია აქ დგახარ?

— დილიდან, თქვენო კეთილშობილებავ!

— ცვლის ბოლომდე რამდენი დარჩა?

— სამი საათი, თქვენო კეთილშობილებავ!

— მე დამჭირდები, ოფიცერს ვეტყვი, შენს ადგილას სხვა გამოუშვას.

— მესმის, თქვენო კეთილშობილებავ!

წამი არ დაუყოვნებია, შინ წავიდა, და რომ არავინ ჩაერია საქმეში და კვალი დაეფარა, თავად გამოეწყო ჟანდარმად, ულვაში და ქილვაშები დაიმშვენა —

ასე რომ, ეშმაკიც ვერ იცნობდა. იმ სახლში მივიდა, სადაც ჩიჩიკოვი იყო, პირველივე შემხვედრ დედაკაცს ხელი სტაცა, ორ ყოჩად, საქმის მცოდნე მოხელეს ჩააბარა და თვითონ პირდაპირ გუშაგს მიეახლა, ულვაშიანი და აარაღებული, როგორც ჯერ არს:

— გასწი, მეთაურმა გამომგზავნა, შენს ნაცვლად ცვლას მოგიყვანო.

გუშაგი გაუშვა და თვითონ გამოიჭიმა აარაღით.

ესღა იყო საჭირო. წინანდელი დედაკაცის ნაცვლად, სხვა დედაკაცი გაჩნდა, რომელმაც არც არაფერი იცოდა და არც არაფერი გაეგებოდა. წინანდელი ისე გააქრეს, მის ასავალ-დასავალსაც ვერავინ მიაგნო. მაშინ როცა სამოსვისტოვი მებრძოლის როლში მოღვაწეობდა, იურისკონსულტი სამოქალაქო ასპარეზზე სასწაულებს სჩადიოდა: გუბერნატორს ცალკე მიანიშნა, პროკურორი თქვენზე დაბეზღების წერილს აცხობსო, ჟანდარმერიის მოხელეს მიანიშნა, საიდუმლოდ მცხოვრები მოხელე თქვენზე დაბეზღების წერილს წერსო, საიდუმლოდ მცხოვრები მოხელე კი დაარწმუნა, კიდევ უფრო საიდუმლო მოხელე გაბეზღებსო — და ისეთი მდგომარეობა შექმნა, მისთვის რჩევა უნდა ეკითხათ. თავი და ბოლო აღარ მოჩანდა: დაბეზღების წერილი დაბეზღების წერილს დაედო ზევიდან, ისეთი საქმეები იხსნებოდა, დღის სინათლე რომ არ ღირსებიათ, ისეთებიც კი, რომ არც არსებობდნენ. ყველაფერი ჯარასავით დატრიალდა; ვინ უკანონო შვილია, ვის როგორი და რა წოდების საფეხელი ჰყავს, ვისი ცოლი ვის დასდევს. სკანდალები, ცდუნებები... და ეს ისე აირ-დაირია და გადაეხლართა ჩიჩიკოვის ამბავს, მკვდარ სულებს, ეელარ გაარკვევდით, ძაღლის თავი სად იყო დამარხული, ჩიჩიკოვის საქმე იყო მთავარი თუ სხვა საქმეები, ორივე თანაბარი მნიშვნელობისა ჩანდა. როცა, ბოლოს და ბოლოს, ქალალდებმა გენერალ-გუბერნატორამდე მიაღწია, საბრალო თავადმა თავი ეელარ გაართვა. კარგა ჭკვიანი და მარჯვე მოხელე, რომელსაც ექსტრაქტის გაკეთება ეეალებოდა, ლამის შეიშალა: გორგალს თავი ვერ მოუნახა. თავადს ამ დროს მრავალი სხვა ერთი-ერთმანეთზე უსიამოვნო საქმე გამოუჩნდა. გუბერნიის ერთი ნაწილი შიმშილობდა. მოხელეები, პურის გასანაწილებლად რომ გაგზავნეს, შეუფერებლად მოიქცნენ. გუბერნიის მეორე ნაწილში სტაროვერები გამოცოცხლდნენ. მათ შორის ვიღაცამ ხმა გაავრცელა, ანტიქრისტე დაიბადა, მკვდრებსაც არ აყენებს და მკვდარ სულებს ყიდულობსო. ინანიებდნენ და სცოდავდნენ, ანტიქრისტეს შეპყრობის მიზეზით არაანტიქრისტეებს სული გააფრთხობინეს. სხვა ადგილას მემამულეებისა და კაპიტან-პოლიციელების წინააღმდეგ აჯანყდნენ. მაწანწალებმა ჭორი გაავრცელეს: ისეთი დრო დადგება, გლეხები მემამულეები გახდებიან და ფრაკებში გამოეწყობიან, მემამულეები კი არმიაკებს ჩაიცმევენ და გლეხებად იქცევიანო, მთელმა ვოლოსტმა გამოსალებზე უარი თქვა, ის კი ვერ მოიფიქრეს, ამდენი მემამულისა და კაპიტან-პოლიციელისათვის რა უნდა ექნათ. მეტი გზა არ იყო, იძულებითი ზომები უნდა მიეღოთ. საბრალო თავადი საოცრად შეწუხებული გახლდათ. ამ დროს მოახსენეს, მოიჯარე-შემსყიდველი მოვიდაო.

— შემოვიდეს, — თქვა თავადმა.

მოხუცი ეახლა...

— აი, თქვენი ჩიჩიკოვი! მის მხარეზე რომ იყავით და იცავდით. ახლა ისეთ საქმეზე ჩავარდა, უკანასკნელი ქურდიც არ იკისრებს.

— ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგ საქმისა არაფერი გამეგება.

— ყალბი ანდერძი, და მერე როგორი!.. ასეთი სიყალბისათვის საჯაროდ ამათრახებენ!

— თქვენო ბრწყინვალებავ, ჩიჩიკოვის დასაცავად კი არ მოგახსენებთ, მაგრამ ეს საქმე ხომ დაუმთავრებელია: ჯერ არ გამოუძიებიათ.

— სამხილი: ქალი, რომელიც მიცვალებულის ნაცვლად წარდგენილ, დაკავებულია, სწორედ თქვენს თვალწინ დავკითხავ, — თავადმა ... ქალის მოყვანის ბრძანება გასცა.

მურაზოვი დადუმდა.

— უპატიოსნოზე უპატიოსნო საქმეა! ჩვენდა სამარცხვინოდ, ქალაქის უპირველესი მოხელეები არიან გარეული, თვით გუბერნატორიც კი. რა უნდა მაგას ქურდებსა და უსაქმურთა შორის?! — გაცხარდა თავადი.

— გუბერნატორი ხომ მემკვიდრეა; მემკვიდრეობაზე უფლების გამოცხადების ნება აქვს. სხვებმაც ყოველი მხრიდან რომ თავი წამოყვეს, ესეც, თქვენო ბრწყინვალებავ, ადამიანურია. მდიდარი ქალი გარდაიცვალა, გონიერი და სამართლიანი განკარგულება კი არ დატოვა; ყოველი მხრიდან მოაწყდნენ, იქნებ ხეირი ვნახოთო — ადამიანური ამბავია.

— მაგრამ სიხაძაგლეები რატომღა უნდა ჩაიდინონ?.. საზიზღრები! — უპასუხა აღშფოთებულმა თავადმა, — არც ერთი წესიერი მოხელე არა მყავს: ყველა გაიძვერაა!

— თქვენო ბრწყინვალებავ! აბა, მაჩვენეთ ჩვენ შორის ჭეშმარიტად პატიოსანი კაცი! ჩვენი ქალაქის მოხელენი ღირსეულნი და საქმის მცოდნენიც არიან, მაგრამ ცოდვისგან არავინ არის დაზღვეული.

— მისმინეთ, აფანასი ვასილევიჩ, მითხარით, ერთ-ერთ პატიოსან კაცად მიმაჩნიხართ, ყველა ჯურის გაიძვერას დაცვა რატომ გიყვართ?

— თქვენო ბრწყინვალებავ, — მიუგო მურაზოვმა, — რაც არ უნდა გაიძვერა იყოს, ისიც ხომ ადამიანია. როგორ არ დავიცვა ადამიანი, როცა ვიცი, ნახევარჯერ ბოროტებას სისულელითა და უვიცობით სჩადის? ჩვენც ხომ ყოველ ნაბიჯზე უსამართლობას ჩავდივართ და, ცუდი განზრახვაც რომ არ გვქონდეს, მაინც ყოველ წუთს სხვისი უბედურების მიზეზი ვხდებით. თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენც ხომ მოექეცით უსამართლოდ?

— ვის? — წამოიყვირა საქმის ასეთი შემობრუნებით გაოცებულმა თავადმა.

მურაზოვი შეჩერდა, დადუმდა, თითქოს რაღაცას იგონებსო და ბოლოს ამოთქვა:

— აი, თუნდაც ტენტეტნიკოვს.

— აფანასი ვასილევიჩ! ძირითადი სახელმწიფო კანონების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა, სამშობლოს ღალატს უდრის!..

— სულაც არ ვიცავ, მაგრამ განა სამართლიანია, რომ ახალგაზრდა, თავისი გამოუცდელობით სხვების მიერ შეცდენილი და გადაბირებული, ისევე გასამართლდეს, როგორც ამ საქმის მოთავე? განა ერთსაირი ხვედრი არ ეწიათ ტენტეტნიკოვსაც და ვინმე ვორონოვ-დრიანსაც, მათი დანაშაული კი თანაბარი სულაც არ იყო.

— ღმერთმანი.... — თქვა საკმაოდ აღელვებულმა თავადმა, — იცით რაიმე ამის შესახებ? მითხარით. ამ ცოტა ხნის წინ პირდაპირ პეტერბურგში გავგზავნე მოთხოვნა მისი ხვედრის შემსუბუქების შესახებ.

— არა, თქვენო ბრწყინვალებავ, იმიტომ კი არ გეუბნებით, თითქოს თქვენზე მეტი ვიცოდე. თუმცა ერთი ასეთი გარემოებაც არსებობს, მის სასარგებლოდ გა-

მოყენება რომ შეიძლება, მაგრამ ამაზე თვითონაც არ დათანხმდება, რადგანაც სხვა შეიძლება დაზარალდეს. მე კი ეფიქრობ, ხომ არ აჩქარდით მაშინ?!. მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ჩემი მოკლე ჭკუით ვსაზღვრავ, რამდენჯერმე მაბრძანეთ, გულახდილად მელაპარაკა. როცა უფროსი ვიყავი, ხარ-ხარი ხელქვეითი მყავდა, ცუდიც და კარგიც... თუ ადამიანის განცლილ ცხოვრებას არ გავითვალისწინებთ, თუკი ყველაფერს მშვიდად არ გადავხედავ და თავდანვე დავუყვირებთ — მხოლოდ დავაფრთხობთ და სიმართლესაც ვერ დავადგენთ, მაგრამ როგორც კი თანავრძნობით დავკითხავთ, როგორც ძმა ძმას — თითოეულ წერილმანს გადმოგვალაგებს და შებრალებასაც არ მოგვთხოვს, ბოლმაც არავისზე ექნება, იმიტომ, რომ ნათლად დაინახავს, ჩვენ კი არა — კანონი სჯის.

თავადი ჩაფიქრდა. ამ დროს ახალგაზრდა მოხელე შემოვიდა, პორტფელით ხელში, და მოწიწებით გაჩერდა. ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ნორჩ სახეზე ქვეყნის საზრუნავი და შრომისმოყვარეობა აღბეჭდვოდა. აშკარად ეტყობოდა, საგანგებო დავალებათა შემსრულებელი რომ იყო და იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, საქმეს con amore რომ აწარმოებდა. არც პატივმოყვარეობით იწვოდა, არც მოხვეჭის სურვილი აწუხებდა, არც სხვას ბაძავდა, მხოლოდ იმიტომ იღვწოდა, დარწმუნებული რომ იყო, ჩემი აქ ყოფნაა აუცილებელი, და არა სხვაგან, და ამისთვის ვცხოვრობთ. მისი საქმე იყო — თვალყური ედევნებინა, ნაწილ-ნაწილ განეხილა, საოცრად დახლართული საქმის ყველა ძაფი ეგდო ხელთ და თავიდან ბოლომდე გაეხსნა. შრომას, მცდელობას, უძილო ღამეებს სიხარული მოჰქონდა, თუკი საქმეს, ბოლოს და ბოლოს, ნათელს მოჰფენდა, ფარულ მიზეზებს აღმოაჩენდა და იგრძნობდა, ნამდვილი არსის რამდენიმე სიტყვით, მკაფიოდ და ნათლად გადმოცემა შეძიძლია, თითოეულისთვის გასაგები და მისაწვდომი რომ იყოსო. შეიძლება ითქვას, მოწაფეც არ ხარობს ისე, როცა უდიდესი მწერლის რომელიმე ძნელ ფრაზას ახსნის და მის ნამდვილ არსს ამოიცნობს, როგორც ის ხარობდა, როცა მის წინ ჩახლართული საქმე იხსნებოდა. სამაგიეროდ...[1]

[2]...პურით იმ ადგილებში, სადაც შიმშილია; ამ მხარეს მოხელეებზე უკეთ ვიცნობ. პირადად შევისწავლი, ვის რა სჭირდება, და თუკი ნებას დამრთავთ, თქვენო ბრწყინვალებავ, განხეთქილების ჩამომგდებებსაც პირადად მოველაპარაკები. ისინი ჩვენს ძმას, უბრალო კაცს, სიამოვნებით გამოესაუბრებიან. იქნებ, ღმერთმაც ჰქნას, მშვიდობიანი მორიგება მოვახერხო. ფულს კი არ გამოგართმევთ, იმიტომ რომ, ღმერთმანი, ასეთ დროს შემოსავალზე ფიქრი სირცხვილია, როცა ხალხი შიმშილით იხოცება. პურის მარაგი მაქვს, ახლაც გაეგზავნე კაცი ციმბირში და მომავალ ზაფხულისათვის ისევ შემოზიდავენ.

— ასეთი სამსახურისათვის მხოლოდ ღმერთი დაგაჯილდოებთ, აფანასი ვასილევიჩ. მე კი სიტყვასაც არ დავძრავ, იმიტომ რომ — თვითონვე გრძნობთ — აქ სიტყვა უძლურია. მაგრამ, ნება მიბოძეთ, იმ თხოვნის პასუხად გკითხოთ: მაქვს უფლება ან პატიოსანი საქციელი იქნება ჩემი მხრიდან, ეს საქმე უყურადღებოდ დავტოვო და გაიძვერებს ბოროტება შევუნდო?

— თქვენო ბრწყინვალებავ, ღმერთმანი, ასე ნუ ამკობთ ამ ადამიანებს, მით უმეტეს, რომ მათ შორის ბევრი ღირსეული პიროვნებაა. მძიმეა ადამიანის მდგომარეობა, თქვენო ბრწყინვალებავ, ერთობ მძიმე. ასეც ხდება, ერთი შეხედვით, ყოველმხრივ დამნაშავეა, როგორც კი ჩაუკვირდები — არც არის.

---

1. შემდეგ ხელნაწერი დაკარგულია.
2. ტექსტი ახალი გვერდიდან იწყება. ხელნაწერში ფრაზის დასაწყისი არ არის.

— თვითონვე რაღას იტყვიან, თავი რომ გავანებო? მათ შორის ხომ ისეთებიც არიან, ცხვირს კიდევ უფრო მაღლა რომ ასწევენ და ასეც იტყვიან, დავაშინეთო. სწორედ იმათ თვალში დავკარგავ ღირსებას...

— თქვენო ბრწყინვალებავ, ნება მიბოძეთ, ჩემი აზრი მოგახსენოთ. შეკრიბეთ ისინი, აუხსენით, რომ ყველაფერი მშვენივრად იცით, ბუნებრივ ისევე აუწერეთ თქვენი მდგომარეობა, როგორც ახლა მე ამიწერეთ. ძერე რჩევა ჰკითხეთ: თქვენს ადგილას თითოეული მათგანი როგორ მოიქცეოდა.

— და ასე ფიქრობთ, რომ მათ ოინბაზობასა და მომხვეჭელობაზე უფრო კეთილშობილი საქციელის უნარი შესწევთ? მერწმუნეთ, მასხარადაც ამიგდებენ.

— არა მგონია, თქვენო ბრწყინვალებავ. რუს კაცს, წყალწაღებულსაც კი, სამართლიანობის გრძნობა გააჩნია. ვინმე ურია ხომ არ არის, რუსია. არა, თქვენო ბრწყინვალებავ, აბა, რა გაქვთ დასამალი. როგორც მე მესაუბრეთ, ისე ესაუბრეთ იმათაც. ისინი ხომ აუგად გახსენებენ, როგორც პატივმოყვარე, ამაყ ადამიანს, რომელსაც არაფრის გაგონება არ სურს, თვითდაჯერებულია, — მოდით, სინამდვილე დაანახეთ. ასე გეძნელებათ? თქვენი საქმე ხომ სამართლიანია. ისე ელაპარაკეთ, თითქოს მათ წინაშე კი არა, ღმერთის წინაშე ამბობდეთ ალსარებას.

— აფანასი ვასილევიჩ, — მშვიდად მიუგო თავადმა — მოვიფიქრებ, მოვიფიქრებ. ახლა კი, რჩევისთვის დიდ მადლობას გიძღვნით.

— ჩიჩიკოვი კი, თქვენო ბრწყინვალებავ, გაანთავისუფლეთ.

— უთხარით მაგ ჩიჩიკოვს, რაც შეიძლება, ჩქარა გაეცალოს აქაურობას და რაც უფრო შორს გადაიხვეწება, მით უკეთესი იქნება მისთვის. მას კი ნამდვილად არ ვაპატიებდი.

მურაზოვი დაემშვიდობა და თავადისაგან პირდაპირ ჩიჩიკოვთან გასწია. ჩიჩიკოვი მშვენიერ განწყობაზე იხილა. ქაშანურის ჭურჭლით მორთმეულ რიგიან სამზარეულოში დამზადებულ კარგა გემრიელ სადილს მიირთმევდა. პირველივე ფრაზებიდან მოხუცმა შეამჩნია, რომ ჩიჩიკოვს ზოგიერთ მოხელე-კაზუისტთან უკვე მოესწრო მოლაპარაკება. იმასაც მიხვდა, რომ აქ ყოვლისშემძლე ჟერისკონსულტის უჩინარი ხელი ჩარეულიყო.

— მომისმინეთ, პაველ ივანოვიჩ, — დაიწყო მან, — თავისუფლება ერთი პირობით მოგიტანეთ, ქალაქი უნდა დატოვოთ. შეკრიბეთ თქვენი ბარგი-ბარხანა და — ჰაიდა, წუთითაც არ დააყოვნოთ, ითრემ საქმე უფრო ცუდად წავა. ვიცი, ვინც გამხედრებთ; საიდუმლოდ გეტყვით, ერთი ისეთი საქმე იხსნება, ეშმაკიც ველარ უშველის. მას, რასაკვირველია, სხვების დაღუპვა აძლევს ხელს, მაგრამ საქმე უკვე თითქმის გახსნილია. მე თქვენ უფრო კარგი განწყობით დაგტოვეთ, ვიდრე დამხვდით. არ გეხუმრებით. ო, საქმე მარტო ქონებაში არაა, რომლისთვისაც ადამიანები ერთმანეთს ყელს დადრავენ, ოღონდ ცხოვრება კეთილმოიწყონ. და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე არც ფიქრობენ. მერწმუნეთ, პაველ ივანოვიჩ, სანამ ხაზს არ გადაუსვამენ იმას, რისთვისაც ამქვეყნად ერთმანეთს ყელს ღრღნიან, და სულიერ სიმდიდრეზე არ იზრუნებენ, ამქვეყნიური სიმდიდრეც არ ეღირსებათ. შიმშილობისა და სიღატაკის დრო დადგება. როგორც მთელ ხალხში, ისე ცალცალკე... ეს სრული ჭეშმარიტებაა. რაც არ უნდა თქვათ, სხეული სულს ემორჩილება. მოქმედებას სურვილი განსაზღვრავს. მკვდარ სულებს კი არა, საკუთარ ცოცხალ სულს მიხედეთ და ღმერთმა დაგილოცოთ ახალი გზა! მეც ხვალ მიევემგზავრები. იჩქარეთ! უჩემოდ ახალი უბედურება არ დაგატყდეთ.

ეს უთხრა და მოხუცი გავიდა. ჩიჩიკოვი ჩაფიქრდა. ცხოვრების აზრი ისევ მნიშვნელოვანი მოეჩვენა.

— მურაზოვი მართალია, — თავის თავს მიმართა, — დროა გეზი შევიცვალო!

ეს თქვა და ციხიდან გამოვიდა. ერთმა გუშაგმა ზარდახშა გამოიტანა, მეორემ — თეთრეულის ჩემოდანი. სელიფანმა და პეტრუშკამ ისე გაიხარეს ბატონის განთავისუფლებით, ღმერთი რომ დაენახათ, ასე არ გაეხარდებოდა.

— აბა, ჩემო კარგებო, — თავაზიანად თქვა ჩიჩიკოვმა, — ბარგი ჩატვირთეთ და გაუდგეთ გზას.

— გავუდგეთ, პაველ ივანოვიჩ, — უპასუხა სელიფანმა, — გზა ალბათ გამოკეთდა კიდეც. ბლომად თოვლი ჩამოყარა. დროა, ქალაქს მოვცილდეთ. ისე მომბეზრდა, დანახვაც არ მინდა.

— წადი ხელოსანთან, ეტლი თავკაუებზე შედგას, — მიუგო ჩიჩიკოვმა, თვითონ კი ქალაქისაკენ გაემართა, მაგრამ არავისთან არ უნდოდა გამოსამშვიდობებლად შევლა. ამ ამბების შემდეგ უხერხულიც იყო — მით უმეტეს, რომ ქალაქში მასზე ბევრი არასასიამოვნო ჭორი გავრცელდა. შეხვედრებს გაურბოდა და მხოლოდ იმ ვაჭართან შეიარა ჩუმად, ვისგანაც ბოლშერეულალისფერი მაუდი იყიდა. ოთხი არშინი ისევ შეიძინა ფრაკისა და შარვლისათვის და იმავე მკერავთანაც თვითონვე წავიდა. ორმაგ ფასად დაითანხმა ოსტატი, გულმოდგინეობა გამოეჩინა და სანთლის შუქზე მთელი ღამე ემუშაებინა საკუთარი ოჯახი — ნემსებით, უთოებითა და კბილებით. ფრაკი მეორე დღეს მოართვეს, თუმცა ცოტა გვიან. ცხენები შეაბეს. ჩიჩიკოვმა ფრაკი მაინც მოიზომა. უწინდელივით კარგი იყო. მაგრამ, აფსუს! შეამჩნია, ერთ ადგილას თაეის ქალა უპრიალებდა და სევდიანად ჩაილაპარაკა:

— ღმერთმანი, არ ღირდა ამდენი დარდი! თმის გლეჯა ხომ, მით უმეტეს...

მკერავს საფასური გადაუხადა და, როგორც იქნა, ქალაქიდან გავიდა. რაღაც უცნაური განწყობა დაუფლებოდა. ეს ძველი ჩიჩიკოვი არ იყო — ნაშთიღა დარჩენილიყო. მისი სულიერი მდგომარეობა დანგრეულ შენობას მიაგავდა, ოღონდ იმისათვის დანგრეულს, რომ ახალი აეგოთ; ახალს კი ვერ იწყებდნენ, რადგანაც არქიტექტორისაგან განსაზღვრული გეგმა ჯერ არ მიეღოთ და მშენებლები საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი. მასზე ერთი საათით ადრე გაემგზავრა მოხუცი მურაზოვი, პოტაპიჩთან ერთად, ჭილობით გადახურული ეტლით. ჩიჩიკოვის ქალაქიდან გასვლიდან ერთი საათის შემდეგ კი გავრცელდა ბრძანება — თავადმა, პეტერბურგში წასვლასთან დაკავშირებით, ყველა მოხელის შეკრება მოითხოვა.

გენერალ-გუბერნატორის სახლის დიდ დარბაზში ქალაქის მოხელეთა მთელი წოდების წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი, გუბერნატორიდან დაწყებული, ტიტულარული მრჩევლით დამთავრებული. აქ იყვნენ კანცელარიათა და საქმეთა მმართველები, მრჩეველნი, ასესორები, კოლეგიელები, კრასნონოსოვი, სამოსეისტოვი, მექრთამეები და არამექრთამეები, სულგამრუდებულნი, ნახევრადსულგამრუდებულნი და სულგაუმრუდებელნი. ყველანი მოუსვენრად ელოდნენ გენერლის გამოსვლას. თავადი გამობრძანდა — არც მოღუშული, არც ხალისიანი: მზერაც და ნაბიჯიც მტკიცე ჰქონდა... მოხელეთა კრებული მიესალმა, ბევრნი მოიხარნენ. თავადმა ოდნავ დაუკრა თავი და დაიწყო:

— პეტერბურგში გამგზავრების წინ თავი მოვალედ შევრაცხე, შეგხვედროდით და ნაწილობრივ ამის მიზეზიც ამეხსნა. ჩვენთან საკმაოდ მაცდუნებელი საქმე გაიბა. ვფიქრობ, აქ მყოფთა უმეტესობამ იცის, რომელ საქმეზეც მოგახ-

სენებთ. მისი საშუალებით გაიხსნა სხვა, არანაკლებ უატიოსნო საქმეებიც, რომლებშიც ჩათრეული აღმოჩდნენ ის პიროვნებანიც, აქამდე პატიოსნები რომ მეგონა. ჩემთვის ცნობილია ის იდუმალი მიზანი — ჩათრეულ იქნას ყველა და ყველაფერი, რათა სრულიად შეუძლებელი შეიქნეს ფორმალური წესრიგის დამყარება. ისიც ვიცი, ვინ არის მთავარი ზამბარა და ვისი [illegible] თუმცა მან საკმაოდ ოსტატურად დაფარა თავისი როლი. მაგრამ [illegible] მაქვს, ეს გამოვიძიო არა ფორმალურად, ქაღალდებზე, არამედ სწრაფი სამხედრო სასამართლოთი, როგორც ომიანობის დროს, და იმედი მაქვს, ხელმწიფე ამის უფლებას მომცემს, როცა საქმის ნამდვილ ვითარებას მოვახსენებ. იმ შემთხვევაში, როცა არ არის საშუალება, საქმე სამოქალაქო სახით იწარმოებოდეს, როცა ქაღალდებით დატენილი კარადები იწვის, დაბოლოს, უამრავი ცრუ ჩვენებითა და დაბეზღებებით ცდილობენ ისედაც შავბნელი საქმის დაბინდვას — მე სამხედრო სასამართლო ერთადერთ საშუალებად მიმაჩნია და თქვენი აზრის მოსმენა მწადია.

თავადი შეჩერდა, თითქოს პასუხს ელოდა. ყველანი იატაკს ჩასჩერებოდნენ. ბევრი გაფითრებულიყო.

— კიდევ ერთი საქმე გამომზეურდა, თუმცა მისი მწარმოებელნი სრულიად დარწმუნებულნი არიან, რომ ამის შესახებ არავინ იცის. მისი ქაღალდებით წარმოება არ არის საჭირო, იმიტომ, რომ მოსარჩლე და მთხოვნელი თვითონვე ვიქნები და სათანადო მტკიცებებსაც წარმოგიდგენთ.

მოხელეთა კრებულში ვიღაც-ვიღაცები შეკრთნენ; ზოგი მშიშარა შეცბა.

— თავისთავად, მოთავეს წოდება და ქონება ჩამოერომევა, დანარჩენები — დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლდებიან. ამით, რასაკვირველია, ბევრი უდანაშაულოც დაზარალდება. რა ვიღონოთ? ძალიან უპატიოსნო საქმეა და სამართალმა პური უნდა ჭამოს. თუმცა ვიცი, რომ ეს სხვებისთვის გაკვეთილი მაინც არ იქნება. გაგდებულების ადგილებს სხვები დაიკავებენ და თუკი აქამდე პატიოსნები იყვნენ, უპატიოსნონი გახდებიან, და ისინი, რომლებსაც ნდობას გამოვუცხადებთ, მოგვატყუებენ და გვიღალატებენ, — მიუხედავად ამისა, მაინც მკაცრად უნდა მოვიქცე — სამართალი თაეისას მოითხოვს. ვიცი, დაუნდობელ სიმკაცრეში დამდებენ ბრალს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ... ისინივე გამამტყუნებენ...[2] ისღა დამრჩენია, მივმართო მართლმსაჯულების ერთ უგრძნობ იარაღს — ნაჯახს, ცოდვილ თავებზე რომ დაეშვება.

დარბაზს ჟრუანტელმა დაუარა.

თავადი მშვიდად იყო. სახეზე არც მრისხანება, არც აღშფოთება არ ეტყობოდა.

— ახლა ის, ვის ხელშიცაა ბევრი თქვენგანის ბედი და ვისაც ვერავითარი თხოვნით ვერ დაიყოლიებდით, სწორედ ის მუხლებში გივარდებათ და გევედრებათ. ყველაფერი დავიწყებული, წარხოცილი, შენდობილი იქნება; ყველას დამცველი თავად ვიქნები, თუკი ჩემს თხოვნას აღასრულებთ. აი, ჩემი თხოვნაც. ვიცი, რომ არავითარი საშუალებით, არავითარი შიშით, არავითარი სასჯელით უსამართლობა არ აღმოიფხვრება; ძალიან ღრმადა აქვს ფესვები გადგმული. ქრთამის აღების უპატიოსნო ჩვევა აუცილებლობა და მოთხოვნილება გახდა იმ ადამიანებისთვისაც, უპატიოსნოებად რომ არ დაბადებულან. ისიც ვიცი, საერთო

1. ხელნაწერში ფრაზა დაუმთავრებელია.

2. ხელნაწერის ფურცლის კიდე ჩამოხეულია.

დინების წინააღმდეგ წასვლა ძალიან ძნელია. მაგრამ ახლა, როგორც იმ გადაწყვეტ და წმინდა წუთს, ადამიანმა სამშობლოს გადასარჩენად თავი რომ უნდა გასწიროს, — მოვუწოდებ იმათ მაინც, ვისაც ჯერ კიდევ მკერდში რუსული გული უძგერთ და არ დავიწყნიათ სიტყვა „კეთილშობილება". არ ღირს იმის გარჩევა, ჩვენ შორის ვინ უფრო დამნაშავეა! მე იქნებ ყველაზე მეტადდანაშაულები ვარ; იქნებ თავიდანვე ზედმეტად მკაცრად მოგექეცით; იქნებ ზღვარგადასული ეჭვიანობით იმათაც ხელი ვკარი, გულწრფელად რომ სურდათ გვერდში ამომდგომოდნენ. თუმცა, ჩემი მხრიდან, მეც შემიძლია მათ ბრალი დავდო, თუკი მართლაც უყვარდათ სამართლიანობა და მშობელი ქვეყნისთვის სიკეთე სურდათ, ჩემი ქედმაღლური მიმართვით თავი შეურაცხყოფილად არ უნდა ეგრძნოთ, საკუთარი პატივმოყვარეობა უნდა ჩაეკლათ და საკუთარი პირადობა მსხვერპლად შეეწირათ. შეუძლებელია, მათი თავდადება და სიკეთისმოყვარეობა არ შემემჩნია, და ბოლოს და ბოლოს, მათი სასარგებლო, ჭკვიანური რჩევანი არ მიმეღო. ხელქვეითს უფრო ეკუთვნის უფროსის ზნე-ჩვეულებებთან შეთვისება, ვიდრე უფროსს — ხელქვეითების ზნე-ჩვეულებებთან. ეს უფრო კანონიერია, ყოველ შემთხვევაში, უფრო ადვილი, იმიტომ, რომ ხელქვეითებს ერთი უფროსი ჰყავთ, უფროსს კი ათასობით ხელქვეითი. მაგრამ ახლა თავი დავანებოთ იმის გარკვევას, ვინ უფრო დამნაშავეა, საქმე ისაა, რომ დადგა დრო, სამშობლო გადავარჩინოთ. რომ ჩვენი სამშობლო არა ოცი უცხო ტომის ენის[1] შემოსევისგან იღუპება, არამედ — ჩვენგანვე; რომ კანონიერი მმართველობის გვერდით სხვა მმართველობა წარმოიქმნა, ყოველგვარ კანონიერზე უფრო ძლიერი, და საკუთარი კანონები დაამკვიდრა. ყველაფერი შეფასებულია და ფასებიც, დიდი ხანია, ცნობილია. და ვერც ერთი გამგებელი, ყველა კანონმდებელზე და გამგებელზე ჭკვიანიც, ბოროტებას ველარ აღმოფხვრის, როგორც არ უნდა შეზღუდოს გაქნილი მოხელეების მოქმედება სხვა მოხელეების მეთვალყურედ მიჩენით. ყველაფერი ამაო იქნება, სანამ თითოეული ჩვენგანი არ იგრძნობს: ვითარცა აჯანყებების ეპოქაში ირაზმებოდა ხალხი მტრის წინააღმდეგ, ისევე ჩვენც უნდა აღვსდგეთ უსამართლობის წინააღმდეგ. როგორც რუსი, როგორც თქვენი თვისტომი, თქვენი სისხლი და ხორცი, თქვენ მოგმართავთ. მოგმართავთ, ვისაც რაიმე წარმოდგენა გაქვთ აზრთა კეთილშობილებაზე, მოგიწოდებთ, ღრმად შეიგრძნოთ თქვენი მოვალეობა. ამქვეყნიური მოვალეობა, რამეთუ ბუნდოვანი წარმოდგენალა გვაქვს და ძლივსლა...[2]

□

1. ოცი უცხო ტომის ენის შემოსევა — იგივეა, რაც ნაპოლეონ I არმია, რომელიც სხვადასხვა ევროპელი ერებისაგან შედგებოდა.

2. აქ ხელნაწერი წყდება.

ბორის პასტერნაკი

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ვახტანგ ბოგოლაშვილმა

მხატვარი

1.

მხიბლავს არტისტის მე ახირება:
თაყვანისმცემლებს გაურბის ფიცხი,
გადაეჩვია მჭევრმეტყველებას
და საკუთარი წიგნი ჰგვრის სიოცხვილს.

დღეს მას ყველა ცნობს და ყველა აქებს,
დამალობანას დრო მიდის მძიმედ,
თუნდ შეაფარო თავი სარდაფებს,
ვერ მოაბრუნებ გაფრენილ იმედს.

რა ქნას? მას ბედის არ ძალუძს ძლევა.
წინათ ყველასგან დაუნახველი,
სიცოცხლეშივე ხსოვნად იქცევა
განდიდებული მისი სახელი.

ვინ არის იგი? სახელი თვისი
სად მოიხვეჭა ბოლოს და ბოლოს?
ვის შეეჭიდა დიდების ღირსი?
მხოლოდ თავის თავს, თავის თავს მხოლოდ.

ვით დასახლება გოლფსტრიმის მწველის,
ის შექმნა მიწის სითბომ და შრომამ
და რაც გადურჩა დარტყმას ზვირთმჭრელის,
სულ მის ყურეში შედენა დრომა.

სურდა სიწყნარე, თავისუფლება.
წლები კი ისე გადაფენილან,
ვით სახელოსნოს თავზე ღრუბლებსა
გადუვლიათ და გადაფრენილან.

2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტფილისის ბინდში ერთხელ ზამთარში
შემიცდა ფეხი, თქმაც მეძნელება,
სამხრეთულ სათბურს იმ ყინვა-ქარში
შეყოლდა გრიპის ცივ-ცხელება.

ფოთლებს ჭენებით მიხვეტდა თქორი,
იმათ კვალდაკვალ, ვით სერბერნარი,
ტანშემოძარცულ ჩინარებს შორის
ყვითელი კაბით მიხტოდა ქარი.

გარემო გახდა უხეში, ნავსი,
და ჩრდილოეთმა, უქნარამ მართლა,
დაჰკიდა ლერწი იზაბელასი
ქართული მარნის შესასველელ კართან.

მოკლე დღეს სწრაფი ჰქონდა დინება,
ფიფქები კრძალვით ქროდნენ ქარებთან.
მათი სოველი მოლიტინება
კაცს უადგილოდ გახარხარებდა.

ჯობს გამხელილი ცოდვა, რომ მიყვარს:
ტუჩის სიცივე, ფიფქი მწუხარი,
შავი ზეცა და ქათქათა მიწა,
ქუდები, ქურქი, კვამლი ბუხარის.

მიყვარს, რომ უსწრებს ქარიშხალს ძლიერს
მიწყნარებული ეზოს გალობა,
ვით გაცელქებულ ბავშვების მიერ
გაჩაღებული კუკუმალობა.

როცა ღრუბლები ჭეჩოს აიშლის,
როცა ფიფქები სირმავენ ქუჩებს,
ატრიალდება ფრთები ქარიშხლის,
მაშინ იმ ფიფქებს დაახუჭუჭებს.

მაგრამ პირველად, სამხრეთულ თოვლში
როცა გავყევი გრიგალს ხალისად,
მე დავინახე ქარბუქის რგოლში
აკაშკაშება ვოლტას რკალისა.

ცხოველურ ნდომით და დაჟინებით,
თვით სტეარინის სანთლებზე მარჯვედ,
აბდღვიალებდნენ მანდარინები
მაღაზიების გაყინულ ფანჯრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით მინიონის მშობელ მხარეში,
გოეთესებრი ნათლის ბუნებით,
გიზგიზებდნენ და ღვიოდნენ ეშხით
სუბტროპიკული ელნათურები.

მაშინ წლაპების ყუთებით ხელში,
ვით მსახიობი ქალი მზეწვია,
მოულოდნელად, ჟრუმრად ხვნეშით,
ნაღდი ზამთარი წამოგვეწია.

ყრმობის ბურუსში ჩვენ გაგვაცურა
ქერა-ბულულა თმებმა გრძნეულმა,
კოპწიაობის ტურქგადაცმულმა,
რაღაც ნახევრადსიზმარეულმა.

3.

უბრალო ქოხი, თუ ყლუპად დაცლი
საკმარისია ორაყი სირჩა —
დარბაზი ჩნდება სენაკის ნაცვლად
და ვიწრო სხვენი სასახლედ გიჩანს.

ნაბიჯებისგან, შეკითხვებისგან
უბრალო კვალიც არ რჩება ორსით,
ჰაეროვანი კამარა ცისა
ავსებულია პირთამდე ქარსით.

იგი ძლიერი, მჭექარე ხმითა
ვარშემო თრგუნავს ყოველგვარ ძალას
და მოკალული მისი ხახიდან
თითქოს გადმოჩქეფს გამდნარი კალა.

მას არად ულირს, ბრძენი მოგვივით
ქება-დიდება, ხმობა კეთილი,
როდესაც სუნთქვით შენადნობივით
სიტყვა სიტყვაში აქვს ჩაჭედილი.

სინდისს, გონებას, ძმობის იარას
შეაფოლადებს ერთურთს მთებურად,
არ დაგვიცლია ჭიქა მთლიანად,
ცხოვრებაც ჯერ არ დამთავრებულა.

რითმის ზოდს სანთლის ფიჭას ვადარებ,
ფორმა რომა აქვს ათასნაირი,
მათი წყალობით მძიმარ პატარებს
ადღეგრძელებს და ლოცავს შაირით.

4.

ის დგება ფეხზე. შუქი ცას კოცნის.
საუკუნენი. გელათი. წუთი.
ო, მასთან ერთად პალატს ატყორცნილს
ვინ დაახურა წოწოლა ქუდი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დგას რიგში ბევრი კვლავ საუკუნე,
სულ სხვა, შემდგომში რომ უნდა იქნეს,
მათ სმენანაკლებ, ჯერ დაუშუალ ყურებს
ის ჩასჩურჩულებს სანუკვარ ფიქრებს:

— თქვენს შორის განა შემთხვევით დავრჩი?
ასეა, მინდა სასურველი ვთქვა.
ჩემს ნამუშაკევს დრო გადაარჩენს
მკაცრი კრიტიკის საბურველისგან.

განა ჩაკეტეს ეპოქის კარი?
ყალყზე დგებიან ჩემი ცხენები.
გინდ იყოს ციხე, გინდა ტაძარი,
მის კარიბჭესთან მივალ ჭენებით.

არც მემუსიკე, არც მებარბითე,
ყალყზე შეეგდებ მერანს ნებივრად,
რათა თქვენს ბანაკს, მეომარ ბიჭებს,
დავხედო ბედის მწვერვალებიდან.

ოდნავ მოვქაჩავ ალვირს. მოვეშვი,
რაშს ალალბედზე მივრეკავ შეშლილს,
შენს პროგნოზების სიფართოეში,
რომელთაც ძინავთ ჯერ სიბნელეში.

წამოგეწევა გზად სეტყვის კალთა,
სიკვდილ-სიცოცხლე, ვნება, მისწრება,
გონებებს, მიწებს გაივლი, რათა
შერჩე თქმულებად მარადისობას.

შენი ლაშქრობა გარემოს შეცვლის,
შენი ფოლადის ნალთა ქლეოობით
ჩაქლავ უტყვობას და წაგლეკს ცეცხლი
მეტყველ ენათა მრავალფერობის.

სახურავები ძვირფას ქალაქის,
გზა-გზა შრიალა მწვანე ალვები,
ყოველი ქოხი, ყველა ალაგი
პირადად გიცნობს და გესალმება.

●

შემოდგომაა, ალარ კრთიან ცაში ელვები.
მოდის ბრმა წვიმა. სუსხიანი წვიმა თქრიალებს
შემოდგომაა. დატვირთული მატარებლებიმოსრიალებენ
გთხოვთ გამატაროთ! —
ყველაფერი ჩავლილი არი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

საღამო იდგა ჩრდილებში ხეთა,
გავცილდით ქედის ციცაბო კედელს.
წინ გაგვეშალა სამოთხის ხედი,
სული დავითქვით და მოვიხედეთ.

უფსკრულზე ჯიქურ და ჰაიჰარად,
ონავრულ ქცევას სულ არ მალავდა,
ასდევდა ალმართს მეჩხერი ჭალა,
სიტყვებს აძველებს სხვა დრო, სხვა ხანი,

იქ ფაიფურის ბუდეებს ჩიტის
აქანავებდნენ კოჭლი ბოძები.
ცად ადიოდა ჰაერი რიდით,
რცხილებს ურხევდა მხრებს გოცებით.

იქ ხარვეზიან კაკლების ჩრდილში
მიმოგრეხილი მარყუჟის დარად,
ალაონიდან საღამოს ნისლში
მიდიოდა და ღუოდა შარა.

ალმართ-დალმართი თითქოს ღამეში
გრძნობდა ძველ ამბებს ძარცვა-ტკივილთა
და მიცურავდა ულლით კამეჩი
წვალებით, შიშველ ეშმაკივითა.

დაჩნდა ღრუბლების უსაზღვროება,
ვით დაგორგლილი შავი გველები,
თითქოს დაიძრა ჩინელთ ბრბოები,
ვით წინათ რაზმი ნოღაელების.

ხან აკლდამების ჩნდებოდა რიგი,
ფიფქების ფარდა კრთებოდა ოდნავ,
ზეცის კამარის კულისებს იქით,
სადაც პრომეთე იტანჯებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკაცრ სამსჯავროზე, ვით სულებს ურჩთა,
ვეჭვრეტდი მყინვარებს ღრუბლების კართან.
ხოლო მზე იქვე ირჩევდა ფუნჯთა
და მერე ტუშით ხატავდა მკვდართა.

მაშინ ოთხივემ ჩავხედეთ ნაპრალს,
ერთი კაცივით ვჩანდით დახრილნი,
ძირს ფუთფუთებდა ტფილისი ზღაპრად —
სევადიანი ვადა მახვილის.

ის დასცინოდა ბუნებრივ ცქერას,
მთლად უჩვეულო, უცხო, ღვთიური,
აღმოცენდა და დარჩა ქიმერად
ქალაქი არაამქვეყნიური.

საუკუნენი ერთურთს მოება,
გარინდდა ყოფა რაღაც განგებით
და გოგირდოვან აბანოებთან
მახვილს ლესავდნენ თემურლანგები.

ჩანდა ტფილისი, ბრძოლაჩავლილი,
დახსნილი ავი ამინდებიდან,
აჭრელებული ძველი ჯარავით
და ქოლოსფერი კრამიტებითა.

შინ არვინ არის მიმწუხრის გარდა,
სახლში არ ისმის ჩქამი იოტი,
შემოდის ჩუმად, გადაწევს ფარდას,
ზამთრის ცივი დღე გამჭოლ სიოთი.

სველი ფიფქების ცივი ამინდი,
უუსწრაფესი ქროლვით ნაფერი,
მხოლოდ თოვლი და მხოლოდ კრამიტი,
კრამიტი, თოელი — სხვა არაფერი.

კვლავ ძველებურად დაითრთვილება,
კვლავ ამაბრუნებს ძველი ნამქრები,
შარშანწინდელი მოწყენილობა
და საქმეები სულ სხვა ზამთრების.

და ისევ მიჩხვლეტს, ისე, ვით წინათ,
მოუნანებელ ცოდვათა თქეში
და ჯვარმიხატულ გაყინულ მინას
ყელში წაუჭერს შიმშილი შეშის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაწინ აივნის დაბალ ჯებირთან
შენ გამოჩნდები თრთოლვით მავალი,
სიჩუმის გამზომ ნაბიჯებითა
შემოხვალ ისე, ვით მომავალი.

ლია კარებში ნაბიჯით სწრაფით
შენ შემოპყვები საღამოს სოველს,
იმ ნაპრისაგან მოქსოვილ კაბით,
რომლითაც თოვლის ფანტელებს ქსოვენ.

ერთადერთი დღეები

მახსოვს მრავალი ზამთრის გოდება,
მზის მობრუნების ხანა დგებოდა
და დღე, რომელიც არ მეორდება,
ავლავ უსასრულოდ მეორდებოდა.

მათი ცვალება, ვით სამოთხეებს
თანდათანობით ქმნიდა, აჩენდა
იმ გამონაკლის ერთადერთ დღეებს,
როცა გგონია, რომ დრო გაჩერდა.

მე სათითაოდ მახსოვს ისინი:
სუსხიან ზამთრით შემორკინული,
სოველი გზები, ქარის სისინი,
სხვენზე წვეთები, მზეზე ყინული.

ვით სიზმარეულს ითვლიან წუთებს
ჩახუტებული ქალი და ვაჟი.
ოფლიანდება შოშიის ბუდე.
გამოკიდული ხის წვერზე, ცაში.

სველა ციფერბლატზე გზით შეჩვეულით
წეზარებათ ჩათვლემილ ისრებს
და დღე გრძელდება, ვით ასწლეული,
და ჩახუტებაც გრძელდება ისევ.

სიზმარი

მე დამესიზმრა — ხმაურიან სერობას უმზერს
ბრუმე სარკმლიდან შემოდგომის დღენი დევნილი
და ჩემი გული მაღლა ციდან შენს ხელისგულზე
ჩამოფრენილი სისხლის მწყურვალ შევარდენივით.

დრო მიდიოდა, ბერდებოდა მძიმედ და მძიმედ,
მოვერცხლა სარკმლის ჩარჩოები ყინვის მძივითა,
ებურებოდა განთიადი ბალიდან მინებს,
ცივი სექტემბრის სისხლიანი ცრემლებივითა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრო მიდიოდა, ბერდებოდა ყინვაში მიწა,
სკდებოდა ირგვლივ საავარძლები, ვითარც ნახმლევი.
გადიკრიალა შენმა ხმამ და უეცრად მიწყდა.
ჩემი სიზმარიც მიწყდა, როგორც ზარის ნახმევი.

გამომეღვიძა. შემოდგომის მსგავს სიბნელეში
იდგა აისი და ქარები ახევდნენ ჩადრებს,
როგორც თივიან საზიდარებს, მისდევდა თქეში
ცაში მწკრივებად გაკროლებულ ვეება ჭადრებს.

ღამის ქარი

მიწყდა სიმღერა და მიყუჩდა მთვრალების კრება.
ხვალ ალიონზე უნდა ავდგე, ფიქრში ვბრაზდები.
ქოხებში უკვე სინათლე ქრება.
სეირნობიდან ბრუნდებიან ახალგაზრდები.

აბალახებულ შარა-ბილიკს უგზო-უკვალოდ
ქარი მარტოკა მიყვება ნებით,
მისდევს ყმაწვილებს კვალდაკვალ და თავისთვის
გალობს,
ისიც ბრუნდება ნასეირნები.

არ ეხატება გულზე ღამის დავა გვიანი.
დგება კარსუკან მოკრძალებით დახრილი თავით.
უნდა როგორმე მოგვარება მშვიდობიანად
ამ ბნელ ღამესთან წამოჭრილ დავის.

შეჩერდებიან ერთი წუთით ბაღის კარებთან.
ვერ რიგდებიან, მიიწევენ ერთურთზე წყენით.
მათი კამათის გასარჩევად, მოსაგვარებლად,
შეგროვდებიან ქუჩაში ხენი.

ნაძვები

ტყის ყვავილებში ღელავს ტაშირი,
გადაფარული ნაზი ჩრდილებით
ვწევართ ბალახში ხელებგაშლილი,
ზეცისკენ თვალებაპყრობილები.

ნაძვის ნაკაფში ბალახი ცისკენ
ამოტეხილა საოცარ მადლით.
ვუცქერთ ერთმანეთს და მერე ისევ
ხელახლა ვიცვლით პოზას და ადგილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აი, დროებით უკვდავნი ვხდებით,
ჩვენ ვუერთდებით ნაძვის ბუნებას,
არ გვემუქრება სიკვდილის ფრთები,
ავადმყოფობა და სნეულება.

წინასწარგათვლილ ერთ ფერში ურჩად
დააფენს ზეცა ძირს ათინათებს
მალამოსავით მოსქო სილურჯედ,
რაიც გვითითხნის ხალათის კალთებს.

მწერთა ფუთფუთში ჩვენ მოვისურვებთ
მოთენთილ დუმილს წიწვოვან ჭალის,
ვსუნთქავთ ლიმონის, საკმევლის სურნელს
და ძილისმომგვრელ სურნელს ნაძვნარის.

გაშტერებული შევცქერით ფერებს
ამ სილურჯეთი თითქოს შეშლილთა
და დიდხანს, დიდხანს არ ვიღებთ ხელებს
აყირავებულ თავებქვეშიდან.

გაშლილი სივრცე ისე შორია,
ველობს ისეთი რიდი ედება,
ხეების მილმა, ასე მგონია,
ზღვა მობუბუნე შემეფეთება.

იქ ეშვებიან ტალღები სწრაფი
ამ ლურჯ რტოებზე უფრო მაღლიდან,
თავს ესხმიან და რეცხავენ ნაპირს
მღვრიე ფსკერიდან დაძრულ წარღვნითა.

საღამოობით დაღლილ ბორანთან
ტალღას აისი მისდევს გვიანი,
გააქვს ლაპლაპი თევზის ქონითა
და ქარვის კვამლით ბურუსიანით.

მთვარე კვალს მარხავს სხივების ძაფით, —
როდესაც ბინდი წვება ნიავში, —
თეთრ მაგიაში ქაფქაფა ქაფის
და ამღვრეულ წყლის შავ მაგიაში.

ტალღები ბდღვინავს, არ უნდათ მოცდა;
ქერქეჭელაზე დაღლილი, ხვნეშით,
ხალხი გრეოვდება აფიშის ბოძთან
გამოურკვეველ საშორეებში.

ანასტასია კლატონის ასულ ზუევას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გთხოვთ მაპატიოთ, მე ვერ ვიქნები.
ვერ მოვალ. გული წუხილით ფეთქავს.
მაგრამ მანდა ვარ მაინც ფიქრებით,
იუბილეზე, პარტერში, თქვენთან.

ვდგევარ და გიცქერ, ვხარობ და ვტირი,
შესაფერისი სიტყვების ცდაში,
რაც მომადგება ენაზე, ვყვირი
და განუწყვეტლივ ვხმაურობ ტაშით.

ყველა სიმკაცრე რბილდება ბოლოს,
სიტყვებს აძველებს სხვა დრო, სხვა ხანი
და ერთადერთი — ნიჭია მხოლოდ,
რომელიც მუდამ არის ახალი.

რეპერტუარი იცვლება ყველა,
ძველდება ყველა ცხოვრების მიჯნა.
ო, შეგუება ხერხდება ძნელად
თქვენი ნიჭივით უდიდეს ნიჭთან.

მან ყველა წესებს დაუსვა ჯვარი,
იგი მარადი ნორჩი სულია,
ზებუნებრივი შიგ რაღაც არი
და რაღაც უფრო ჯადოსნურია.

ოცნებით თქვენთვის წერდა ოსტროვსკი,
სათქვენო როლებს ქმნიდა ნებისად,
მან დაასახლა თქვენთვის მოსკოვში
მთელი სამყარო მაჭანკლებისა.

ხელის მტევნებით, მხრებით, თვალებით,
წამღერებული ამეტყველებით,
გაცოცხლდებიან წმინდა ქალები,
ცოდვილები და შინაბერები.

თქვენა ხართ ნაღდი, სინაზით სავსე,
შთაგონება ხართ მართლა მარადი.
ამის შესახებ შორიდან ასე,
დაე, მოგიყვეთ ჩემი ბარათი.

დაგლოგეგში

ლამიან ლიანებში ყვითელი ქარვა,
შავმიწა ბოლავს,

ხალხი აკოწიწებს ბადეებს, კარვებს,
ნავებს და ბორანს.
აქ ღამე გაგიყვებს, აისით ნათდება
ცა ქარიშხლიანი,
თავთხელში, მეჩეჩხე შავი ზღვა ქაფდება
სულ შხრიალ-შხრიალით.
წყალში თევზებია, ჭალაში — ნადირი,
ტყე — სავსე ბარაქით.
იქითა მხარისკენ — ყირიმის ნაპირი,
აქეთ — სხვა ქალაქი.
ფარავს ნიკოლაევს ლიმანის გავლით
ცარგვალის სისქე,
სტეპის დასავლეთით ნისლი და ჭავლი
ჩანს ოდესისკენ.
იყო კი ოდესმე ის სამოთხეები?
გამდნარან ღრუბლებად.
თუ მოვა ხელახლა წარსული დღეები?
ის თავისუფლება?
ეხ, ნაღვლობს ხარ-ურემს მეურმე სახრეთი,
და წუხან, ღმერთმანი,
ზღვა — ნაპირს, ცა — მიწას, ჩრდილოეთს —
სამხრეთი,
ყველანი ერთმანეთს.
ნანატრი წამება მოსულა აქვე,
ჰა, ვეხმაურებით,
იტყვიან თავიანთ ვაჟკაცურ სათქმელს
წელს მეზღვაურები.

ეშმაკეული ვალსი

თუ შორიდან მესმის პოლკა, მუსიკის ხმა უცვლელი,
მეჩვენება, თითქოს კლიტის საჭვრეტიდან ვუცქერი:
ბნელა. კედელს მიალაგეს სკამები და კარადა.
ლამფის შუქზე ფუტკრებივით ირევიან თამაშით,
ნიღბებით და მორთულობით ხალხი სამასკარადო,
საშობაო ნაძვს ანთებენ, მოჩანს ჭუჭრუტანაში.

რამე აღემატებოდეს, მართლა არ მეგულება,
ტუშის, თეთრის და სინგურის ფერთა დიდებულებას.
ლურჯი, მწვანე, ჭიაფერი, ოქროსფერი კანტები,
ძუ ლომი და ხვადი ლომი, მოცეკვავე ფრანტები,
მოჭრიალე კარის მღერა, პერანგების ფრიალი,
მოზრდილების კისკისი და პატარების ღრიალი,
ფინიკი და კანფეტები, წიგნი, კოცნა მალულად,
ღიჭვის წიწვი, სეფისკვერი, დოლი, რბოლა, მარულა.

ეს ტაიგა ავბედითი მაინც სანუკვარია,
ამ მიწაზე ავეჯი და კაცი თანაბარია.
აქ ხმაურში, ტკბილ-ტკბილ ლუკმაა, მოხრილია ელეტა,
ურცხვად აცლის პირიდან და გლეჯს ერთმანეთს ხელიდან.
მოყირჭდება ტკბილეული კრებულს საოცნებოსაერთიანული
და ნაძვის ხე სვამს სიბნელეს, ვით ლაქსა და წვიმიერია

ვითომ ესა, ვითომ ისა, აბორგება ლხინისა,
ქ�ლაფერი ლითონისა, ყველაფერი მინისა,
სტეარინი იწვის ეშხით და ნაპერწკალს ცალკე შლის
ვარსკვლავებად, დარბაზებში, სარკმელში და სარკეში.
იწვის, შუქი ნელდება და თანდათან ბნელდება.
სტუმრების ჯგრო დაღლილი და დაქანცული ბოლომდი.
ეცლებიან უკვე სუფრას რაღაც უთავბოლობით.

შალი, ბოტი, ყაბალახი — როცა კაცი იჩქარი —
მუდამ სადღაც გეკარგება, ალარც კია სათქმელი.
დარაბები, კაუჭები, ჩარაზული ჭიშკარი.
წინ ოთახში სულ ბოლომდე გაღებული სარკმელი.
ჩანს ზამთრისგან დაზაფრული ქუჩა გადალურჯული.
დრო დამდგარა უკვე მამლის მესამეჯერ ყივილის,
გამოღებულ შუკუმიდან ქარი მოქრის კივილით,
უბერავს და აქროლებს სანთლებს რაღაცნაირ ტკივილით,
ერთმანეთის მიყოლებით ისმის მათი ჩურჩული:
ფუკ, ფუკ, ფუკ, ფუკ.

ნობელის პრემია

განწირული ვარ მხეკივით მართლა,
სადღაც მზეა და კარგი ტაროსი.
ყურში ჩამკივის ხმები მდევართა,
უფლება არ მაქვს გარეთ გამოსვლის.

ვხედავ ტბის ნაპირს, ხეებს ჩრდილიანს,
ჩაჩეხილ ნაძვებს — მორებს ჩაფენილს,
ყოველი მხრიდან გზა მოჭრილია
და სულერთია სუყველაფერი.

რა ჩავიდინე, მე პასუხს ვეძებ,
ვარ გაიძვერა ან იქნებ მკვლელი?
ჩემი საბრალო მამულის ბედზე
ავაქვითინე მსოფლიო მთელი.

თუმცა ვარ კუბოს კარებთან მდგარი,
მწამს, რომ დადგება ხანა ზეობის,
დაიჯაბნება კეთილის ძალით
ძალა ბოროტის და უზნეობის.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

სულთა ნათესაოგა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან
თარგმნა და შენიშვნები დაურთო ლია თაკვარელიამ

ნაწილი მეორე

თავი პირველი

ეპიკოსის მხატვრულ ოსტატობას ზოგჯერ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გადავაწყდებით ხოლმე და ქება-დიდებით მოვიხსენიებთ, სახელდობრ, კი აი რას: როგორც კი ძირითადი პერსონაჟები თვალს მოეფარებიან, ჰორიზონტიდან გაქრებიან, უმოქმედობას მიეცემიან, იმათ ადგილს უმალ დაიკავებს სხვა, აქამდე ძლივს შესამჩნევი პირი, რომელიც სრულიად ავლენს თავისი შესაძლებლობის მთელ ძალას და ყურადღების, თანაგრძნობისა და ხოტბის ღირსი ხდება.

მას შემდეგ, რაც კაპიტანი და ედუარდი სასახლეს დასტოვებენ, თანდათან ყრიად მნიშვნელოვან როლს ითამაშებს არქიტექტორი, ვინც განაგებს და მეთაურობს მრავალ წამოწყებათა შესრულებას, ამავე დროს თავს გამოიჩენს, როგორც პუნქტუალური, გაგებული და საქმიანი კაცი. გარდა ამისა ამ ხნის მანძილზე იგი იმასაც შეძლებს, რომ გამოადგეს ჩვენს მანდილოსნებს, ისწავლის რარიგ შეიქციოს ისინი საუბრებით წყნარ, მოსაწყენ საათებში. თვითონ მისი გარეგნობაც კაცს რწმენას შთააგონებს, სიმპათიით განაწყობს. იგი იყო ყმაწვილკაცი ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, კარგი აღნაგობის, მოხდენილი, უფრო ტანმაღალი ეთქმოდა, მოკრძალებული და არა მშიშარა, მიმნდობი და არა აბეზარი. იგი მხნედ და ხალისით მიჰყვა ყველანაირ ჯაფასა და საფკივარს. და რაკი ადვილად ახერხებდა ყველასათვის ანგარიშის გაწევას, მალე აღარაფერი მისთვის საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა, მისი კელითისმყოფელი ზეგავლენა ყველაზე და ყველაფერზე ვრცელდებოდა. იმას, ჩვეულებრივ, ევალებოდა უცხო სტუმრების მიღება, შეეძლო ან საერთოდ უარი ეთქვა მოულოდნელ სტუმრობაზე ანდა ისეთნაირად შეემზადებინა ქალბატონები მათ მისაღებად, რომ ამას არავითარი უხერხულობა არ მოჰყოლოდა.

სხვათა შორის ერთხელ იგი დიდ დავიდარაბას გადაჰყარა ვინმე ახალგაზრდა იურისტმა, რომელიც მეზობლად მცხოვრებ მაეან წარჩინებულს გამოეგზა-

ვნა მოსალაპარაკებლად რაღაც უმნიშვნელო საქმესთან დაკავშირებით, რამაც შარლოტე მეტისმეტად აალელვა. გვინდა მოვიგონოთ ეს ამბავი, რახან სწორედ მან მისცა ბიძგი სხვადასხვა ვითარების შეცვლას, რაც იქნებ კარგა ხანს შეუცვლელი დარჩენილიყო.

ხომ გახსოვთ ის ცვლილებები, შარლოტემ რომ სასაფლაოზე მოახდინა. საფლავთა ძეგლები სათითაოდ გადააადგილეს და თვითეულს ეკლესიის გალავნიანი ცოკოლის გაყოლებაზე მიუჩინეს ადგილი. დარჩენილი ვრცელი ნიადაგი მთლიანად მოასწორეს და ზედ ნაირნაირი სამყურა დათესეს, ხელუხლებლად დატოვეს მხოლოდ ის ფართო შარაგზა, ეკლესიის მიმართულებით და მისი გვერდაკლით სასაფლაოს მოპირდაპირე მხარეზე ალაყაფის ჭიშკრისაკენ რომ მიემართებოდა. გულს ახარებდა ეს დიდებულად აყვავებული და აბიბინებული სამყურები. საჭირო გახდა გარკვეული წესისამებრ ახალი საფლავების ამოთხრა, სასაფლაოს განაპირა მხრიდან დაწყებული ადგილების მოსწორება და მთლიანად მოთესვა. ვინც კი უქმე დღეებსა თუ სხვა დღესასწაულებზე ეწვეოდა ეკლესიას, ამ ადგილს ყველა სიხარულისმომგვრელ, დიდად ღირსშესანიშნავ სანახად მიიჩნევდა. ამასვე ფიქრობდა თვითონ ხანგადასული და ძველი წესჩვეულებების მიმდევარი მღვდელიც, რომელიც თავდაპირველად არცთუ დიდად იყო კმაყოფილი ამ ცვლილებებით. ახლა კი, პირიქით, სახლის უკანა ჭიშკართან ძველი ცაცხვების ძირას მჯდარი ფილემონეს მსგავსად თავის ბავკიდესთან ერთად შეჰხაროდა კიდეც ამ ჭრელად მოხატულ უმშვენიერეს ხალიჩას, რასაც მისი მეურნეობისათვის გარკვეული სარგებლობაც კი მოჰქონდა, რადგან შარლოტემ ამ ალაგის მოვლა-პატრონობა სწორედ პასტორს მიანდო.

თუმცა მრევლის ზოგიერთი წევრი უკმაყოფილებას გამოთქვამდა, წინაპართა განსასვენებელი ადგილები რომ გააუქმეს, ამით ხომ იმათი ხსოვნაც წაიშლებაო, ამბობდნენ. მათი აზრით, კარგად შენახული საფლავის ძეგლები მარტო იმას მიანიშნებენ, თუ ვინ არის ამ მიწაზე დამარხული და არა იმას თუ სად. ხოლო ეს „სად", იყო, მავანთა შეტყობით, ყველაზე მთავარი.

ამას აცხადებდა ერთი მეზობელი ოჯახი, რომელმაც ჯერაც რამდენიმე წლის წინათ შეიძინა ამ სასაფლაოზე თავისთვის და თავისი მახლობლებისათვის დასამარხი ადგილი იმ პირობით, რომ ეკლესიის სასარგებლოდ ყოველთვიურად გადაიხდიდა გარკვეულ თანხას. და აი, აღთქმული ვალდებულებების გასაუქმებლად აქ გამოაგზავნეს ახალგაზრდა სამართალმცოდნე. ჩამოსულმა განაცხადა, რომ გადასახადის გადახდა შეწყდება, რადგან ერთ-ერთმა მხარემ ის პირობა დაარღვია, რის საფუძველზედაც მოხდა შეთანხმება და სრულიად უყურადღებოდ დატოვა ამ საქმესთან დაკავშირებული ყველანაირი საჩივარი და პროტესტი. შარლოტემ — ამ გარდაქმნების მოთავემ — თვითონ მოისურვა საუბარი ახალგაზრდა კაცთან, რომელმაც ფიცხად, მაგრამ ამავე დროს ჯეროვანი თავდაჭერილობით ჩამოაყალიბა თავისი აზრი ამ საკითხის გარშემო და მსმენელები აიძულა ამაზე კარგად დაფიქრებულიყვნენ.

„ხომ ხედავთ, —თქვა მან მოკლე შესავლის შემდეგ და თავისი დაჟინებული თხოვნის გამართლებას შეეცადა, —აი, ხომ ხედავთ, რომ ყველა ერთნაირად, საწყალი კაციცა და წარჩინებულიც საჭიროდ თვლის მოინიშნოს თავისი მახლობლების განსასვენებელი ადგილი. ყველაზე ღარიბი გლეხიც კი, რომელიც შვილს ასაფლავებს, ნუგეშს იმაში ჰპოულობს, რომ საფლავზე ხის მსუბუქ ჯვარს დგამს და გვირგვინით ამკობს, გარდაცვლილის ხსოვნისათვის, ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე მაინც, ვიდრე მწუხარება არ განქარდება, თუმცა ჟამთა სიავე

ძეგლსაც ანადგურებს და თვითონ მწუხარებასაც. მდიდრები კი ჯვრების ნაცვლად რკინას ჩამოასხამენ, ათასნაირად გაამაგრებენ და შემოარგავენ საფლავებს, წლების მანძილზე მათი გამძლეობის საწინდრად. მაგრამ ბოლოს და ბოლოს რკინის ჯვრებიც არ არიან უცვეთელნი, ისინიც ძველდებიან და ძირს ემხობიან. ამიტომაც მდიდრები თავს მოვალედ თვლიან ქვის [illegible] აღმართონ, რამდენიმე თაობას რომ უძლებს, ხოლო, ვინ იცის, [illegible] შესამთავლობამაც განაახლოს იგი. მაგრამ ჩვენ გვიზიდავს არა ქვა, არამედ ის, ვინც იმის ქვეშ მარხია და ვინც მიწას მივაბარეთ. საქმე მარტო ხსოვნა კი არა, თვითონ პიროვნებაც გახლავთ, არა წარსულის მოგონება, არამედ — დღეანდელობა. ძვირფას მიცვალებულთან სიახლოვეს მე უფრო მეტად საფლავის ბორცვი მაგრძნობინებს, ვიდრე ძეგლი, რაც თავისთავად ცოტას თუ ნიშნავს. სულ სხვაა ჭირისუფალთა მიერ მონიშნული საფლავი, აქ არაერთხელ შეიკრიბებიან მეუღლეები, ნათესავები, მეგობრები. სწორედ ცოცხლებმა უნდა უჭირისუფლონ თავიანთ მკვდრებს, მოიშორონ და განდევნონ უცხო და არაკეთილმოსურნე პირები მათი მახლობელი ადამიანების საფლავებიდან.

ამიტომაც მგონია, რომ ჩემი შეფი სავსებით უფლებამოსილია ვალდებულება უკანვე წაიღოს, თანაც ძალიან ცოტა ინდომოს, თუმცა მისი ოჯახის წევრებმა ერთგვარი დანაკლისიც კი განიცადეს, რასაც ვერაფრით აანაზღაურებ. მათ მოაკლდებათ მწუხარე და ტკბილი გრძნობა სატრფოს გვერდით ოდესმე საუკუნოდ განსვენებისა, აგრეთვე ნუგეშისმცემელი იმედი, სიკვდილის შემდეგ პატივი მიაგოს გარდაცვლილ მოყვასს".

„ეს საქმე არ არის იმზომ მნიშვნელოვანი, — მიუგო შარლოტემ, — რომ ამაზე დავის ატეხვა ღირდეს. რაც გავაკეთე, იმას არ ვნანობ, ხოლო ეკლესიას ხალისით ავუნაზღაურებ დანაკლისს. მხოლოდ მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ თქვენი საბუთი ვერ არის დამაჯერებელი. საყოველთაო თანასწორობის წმინდა გრძნობა, თუნდაც სიკვდილის შემდეგ, მე უფრო სახუგეშოდ მეჩვენება, ვიდრე ჯიუტი და უჯიათი სწრაფვა გაგრძელდეს ჩვენი პიროვნებების, მიდრეკილებებისა და ცხოვრებისეული ურთიერთობების გაყინული არსებობა. რას იტყოდით ამაზე? — მიუბრუნდა შარლოტე არქიტექტორს.

„მე არ მინდოდა ამის გამო არც დავა და არც მსაჯულის როლში გამოსვლა, — მიუგო მან,—ოღონდ ნება მიბოძეთ ჩემი აზრი წოგაჩსენოთ უბრალოდ, რაც ყველაზე მეტად ესადაგება ჩემს ხელოვნებას, აზროვნების ჩემეულ წესს. მას შემდეგ, რაც მოკლებული ვიქნებით ბედნიერებას მკვდრზე მივიკრათ ურნაში ჩაკეტილი საყვარელი არსების ნეშტი, თანაც არც იმდენად მდიდრები ვართ ანდა ჯიუტები, რომ უვნებლად შევინახოთ იგი მდიდრულად მორთულ სარკოფაგებში, როდესაც ეკლესიაშიც ვერ ვპოვებთ ადგილს ჩვენთვის და ჩვენი ახლობლებისათვის და ღია ცის ქვეშ წოლას გვარგუნებს ღმერთი, აი, მაშინ კი ყველა საფუძველი გვექნება, რომ მოვიწონოთ, მოწყალეო ქალბატონო, თქვენებური განწესრიგება ამის თაობაზე.როცა ერთნაირი წარმომავლობის ადამიანები საფლავში ერთმანეთის გვერდით წვანან, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი თავისიანებთან ერთად განისვენებენ და თუკი ოდესღაც მიწა თავის წიაღში ერთბაშად მიიბარებს ყველა ჩვენგანს, აი, მაშინ კი, ჩემი აზრით, არაფერი უფრო წმინდა და ბუნებრივი არ იქნება, ვიდრე ის, რომ დაუყოვნებლივ გათანაბრდეს შემთხვევით წარმოქმნილი და თანდათანობით ძირს დაწეული საფლავთა ბორცვები და ამნაირად მოვქსოვოთ სუდარა, ყველა გარდაცვლილს მსუბუქად რომ ზედ დაეფინება".

„ნუთუ ხსოვნის ყველანაირი ნიშანწყალი უნდა წაიშალოს და კიდევ რაღაც ძვირფას მიცვალებულს რომ მოგვაგონებს?!“ — იკითხა ოტილიემ.

„სულაც არა, — გაიგრძო არქიტექტორმა, — ხსოვნაზე კი არ უნდა თქვათ უარი, არამედ დასამარხ ადგილზე. ხუროთმოძღვარი და არქიტექტორი დიდად არიან დაინტერესებულნი თავისი ყოფის უკვდავებით, ამას მოელიან ადამიანები მაგათი ხელოვნებისაგან, მაგათი ხელით ნაკეთები ძეგლებისაგან. ამიტომაც კი-სურვებდი კარგად ჩაფიქრებულ და კარგად შესრულებულ ძეგლებს — არა ცალ-ცალკე არსებულსა და დაფანტულს, არამედ ერთ ადგილზე თავმოყრილს. ეს კი მათ ხანგრძლივ არსებობას გვპირდება. რაკი ღვთისმოსავი და წარჩინებული გვა-რის ადამიანები უარს ამბობენ ეკლესიაში განსვენების პრივილეგიაზე, მაშინ უკიდურეს შემთხვევაში ის მაინც უნდა მოხდეს, რომ მის კედლებში ანდა ლა-მაზ დარბაზებში, სასაფლაოს ირგვლივ რომ გააშენებენ, თავი მოვუყაროთ და შევკრიბოთ ძეგლები და სამახსოვრო წარწერები. ათასნაირი ფორმა შეიძლება მათ მიესადაგოს, ათასნაირი ორნამენტით შეიძლება მათი შემკობა“.

„თუკი მხატვრები ასე მდიდრები არიან, — იკითხა შარლოტემ, — მაშინ ამი-ხსენით, რად არ დააღწევენ თავს უბადრუკ ობელისკებს, ჩამოტეხილ სვეტებსა და მიცვალებულთა urnების გაცვეთილ ყალიბებს? აურაცხელი გამოგონებების ნაცვლად, თქვენ რომ ეგრერიგად აქებთ, ყოველთვის აურაცხელ განმეორებებს რატომ წავაწყდებით ხოლმე?“

„ჩვენში ეს მართლაც ასეა, — მიუგო არქიტექტორმა, — მაგრამ ყოველთვის არა, საერთოდაც უბრალო საქმე როდია რაიმე გამოიგონო და შესაფერისად მო-იმარჯვო. მეტადრე ძნელია ჩაყამებულ საგანს ხალისიანი შეფერილობა მისცე და მწუხარება არ ჩააქსოვო მწუხარის ასახვისას. ათასნაირი ძეგლის უამრავი ესკიზი შევაგროვე და თავის დროზე კიდეც გიჩვენებთ. მაგრამ ადამიანისათვ-ის ყველაზე მშვენიერი ძეგლი ყოველთვის საკუთარი ხატია, რომელიც სხვაზე უკეთ გვაცნობს, რასაც წარმოადგენს იგი. ეს არის საუკეთესო მოკლე თუ გრძელი ტექსტი მელოდიისათვის, ოღონდ იგი მისი ცხოვრების საუკეთესო ხან-აში უნდა შეიქმნას, ეს კია, ყამთა სვლას ეს ხანა უნებურად ხელში ადნება, ჰოდა, ცინცხალი ფერების შენარჩუნებას კი ვინღა დაიძებს. და თუკი ზოგჯერ ეს ხერ-ხდება, ესეც უნაკლოდ არ ხდება. სწრაფად ჩამოხსნიან ნიღაბს, ტვიფრს პორტა-მენტზე დებენ და ამას ბიუსტი ჰქვია. მაგრამ რა იშვიათად ძალუძს მხატვარს სიცოცხლე ჩაბერის მას.“

„თქვენდა უნებურად, — შენიშნა შარლოტემ, — იქნებ სრულიად გაუცნობ-იერებლად, მიზნად არც კი დაგისახავთ, ისე წარმართეთ საუბარი ჩემთვის სა-სურველი მიმართულებით. ადამიანის ხატი ხომ სრულიად თვითმყოფადი რამაა. ყველგან, სადაც არ უნდა იდგეს იგი, დგას თავისთვის და ვერც მივთხოვთ, საკუ-თარი საფლავის ადგილსამყოფელი მოინიშნოს. მაგრამ გამოგიტყდებით და რა-ღაც უცნაური გრძნობა მიპყრობს. მე რაღაცნაირ სიძულვილს განვიცდი პორ-ტრეტებისადმი, სულ მგონია, რომ ისინი ჩუმი საყვედურით გვიცქერენ, რაღაც შორეულს, უდაბურს გამოხატავენ და მიღალატურებენ, თუ რათდენ ძნელია ჭე-შმარიტი პატივი მიაგო აწმყოს. რამდენი ადამიანი შეგვხვედრია და გვცნობია სიცოცხლის მანძილზე და სულაც არ მიჭირს ვაღიარო, რათდენ ცოტას ვნიშ-ნავდით ჩვენ მათთვის და ისინი კიდევ ჩვენთვის. აბა, რა გუნებაზე შეიძლება დადგეს კაცი, როცა ამას შეიცნობ: ჩვენ შევხვედრივართ გონებამახვილ ადამიანს და არ გვიბაასნია მასთან, შევხვედრივართ მეცნიერს და მისგან არაფერი გვის-

წავლია, არც ანაზღად გზად გადაყრილი მოგზაურისაგან გაგვიგია რაიმე ან კიდევ მოსიყვარულე გულის კაცის გასახარისად გვიკეთებია სიკეთე.

და, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ იშვიათად რიდი ხდება. ასე მოუყრია ოჯახები და სოციალური ფენები თაეის ძვირფას წევრებს, ქალაქები — თავის უღირსეულეს მოქალაქეებს, ხალხები — თავიანთ საუკეთესო მოქალაქებს, ერები — ღირსშესანიშნავ პიროვნებებს.

ერთხელ ვიკითხე, — რატომ ვაძბობთ გარდაცვლილზე კარგს ასე ადვილად ხოლო ცოცხლებზე ყოველთვის რალაცნაირი თავშეკავებით და სიფრთხილით. საპასუხოდ მითხრეს: იმიტომ, რომ ძკვდრებთან არაფერი გვაქვს საფრთხილო, ხოლო ცოცხლებს ყოველთვის შეიძლება შეეეჯახოთო. აი, რა ცოტა სიწმინდე გამოსჭვივის ხეეათა ხსოვნაზე ზრუნვაში. უმეტესწილად ეს ხომ ეგოისტური ხელაბია მხოლოდ და, აქედან გამომდინარე რა საშური და წმინდა საქმეა აქტიური და ცხოველმოსილი დამოკიდებულება გვქონდეს ცოცხლებთან".

თავი მეორე

ამ საუბრებით გულშეძრულები მეორე დღესვე ეწვიენენ სამარხავ ადგილს. არქიტექტორმა რამდენიმე საინტერესო იდეა წამოაყენა, რაც მიზნად ისახავდა უფრო მიმზიდველი და მშვენიერი გაეხადა ეს არემარე. მისი მზრუნველი ხელი ეკლესიასაც გადასწვდა, იმ შენობას, თავიდანვე რომ მიიპყრო ყველას ყურადღება.

საუკუნეების მანძილზე მკაცრი სიმეტრიით ნაგები, შესანიშნავი ორნამენტებით შემკული ეს ეკლესია გერმანული სულისა და ხელოვნების გამოვლენა გახლდათ. ეგებ ისიც გვეფიქრა, ხუროთმოძღვარმა, ვინც აქვე მეზობლად მდებარე მონასტერიც ააგო, თავისი ხელოვნების შარავანდედი ამ პატარა ნაგებობის შექმნასაც მოჰყენია, იმზომ სიყვარულითა და რუდუნებით მიუპყრობია მას. იგი ძველებურად ახდენდა მნახველზე ერთსა და იმავე დროს გორთზ და თან საამო შთაბეჭდილებას, თუმცა მისი ახლებური, უყრო პროტესტანტული ღვთისმსახურების გამომხატველი შიგა მორთულობა ადრინდელ დიდებულებასა და სიმშვიდეს უკარგავდა ნაგებობას.

არქიტექტორს არ მორიდებია შარლოტესთვის მცირეოდენი თანხა მოეთხოვა, რომ მთლიანად აღედგინა ეკლესიის ძველი სტილი და სრულ ჰარმონიაში მოექცია იგი ამ შენობის წინ მდებარე ძველთშესალაგთან. არქიტექტორი თვითონ ხომ შესანიშნავი ოსტატი იყო, რამდენიმე მუშასაც მოელაპარაკა და შეთანხმდნენ, მანამ არ მოეცვალათ ფეხი აქედან, ვიდრე ამ საღვთო შენობის სრულად აღდგენა საბოლოოდ არ გასრულდებოდა.

და აი, ახლა, როცა ეკლესიის შენობა თავისი მოსაზღვრე ნაგებობებითა და ძინაშენებით ძირისძირამდე შეისწავლეს, არქიტექტორის დიდად გასაოცრად და გასახარებლად აღმოაჩინეს პატარა, აქამდე უყურადღებოდ მიტოვებული, იქვე ეკლესიის გვერდით მიშენებული ორიგინალური და მსუბუქი სიმეტრიით ნაგები ეგზეტერი, უცნაური და საგულდაგულო ორნამენტებით მოჩარხიშებული. აქვე ინახებოდა იმ გარდასული ღვთისმსახურების მოჩუქურთმებული და ფერწერული ნაშთები, თავისი სტრუქტურითა და მოწყობილობით სხვადასხვა დღესასწაუ-

ლებს რომ ახლდა და ოთთოეული მათგანი უაღრესი თვითმყოფობით გამოირჩეოდა.

არქიტექტორმა არ დააყოვნა და უმალ თავის გეგმაში ჩართო ძველი სამლოცველო—გარდასული ეპოქისა და სტილის ეს თვალსაჩინო ძეგლი, და მტკიცედ განიზრახა მისი რესტავრაცია. წარმოიდგინა კიდევაც ერთგვარ მორთავდა თავისი მოწოდებისამებრ ცარიელ სივრცეს და წინასწარ ხატავდა, რეფექტს გაწვრთნიდა ამით თავის ფერწერულ ტალანტს. ოღონდ შარლოტესა და ოტილიეს ჯერხნობით თავის ამ წადილს არ უმხელდა, გულში საიდუმლოდ ინახავდა.

შეპირების თანახმად მან პირველი შემთხვევისთანავე უჩვენა მანდილოსნებს უხსოვარდროინდელ საფლავთა ძეგლების, ჭურჭლებისა და სხვა მსგავსი საგნების ჩანახატები და ესკიზები, და როცა საუბარი ჩრდილოეთის ხალხთა უბრალო საფლავების ბორცვებზე ჩამოვარდა, თვალსაჩინოებისთვის მის მიერ შეგროვილი საჭურვლებისა და აღჭურვილობების კოლექცია გამოიყენა. ყველაფერი ეს მეტად ფაქიზად და მოხერხებულად დაეწყო და დაემაგრებინა თაროებზე და მაუდგადაფარებულ ფიცრებზე და ეს ძველი ჩაჟამებული საგნები რაღაცნაირ მოხდენილ იერს იძენდნენ. იმათი ცქერა ისევე საამო იყო, ვითარცა ახალმოდურ დუქნებში გამოფენილი ნივთებისა. განმარტოებულ ცხოვრებას რითიმე გულისგადაყოლებაც სჭირდება და არქიტექტორს ახლა, თავისი კოლექციის ჩვენება რომ დაიწყო, ყოველ საღამოს მოჰქონდა მანდილოსნებისათვის განძეულის რაღაც ნაწილი. საგნების დიდი უმრავლესობა გერმანული წარმოშობისა იყო: ბრაკტვატები, ძველი მონეტები, ბეჭდები. ამათ შორეულ წარსულში გადაჰქონდათ მნახველთა ფანტაზია, ხოლო თავისი ახსნა-განმარტებების გასაცოცხლებლად არქიტექტორი უხვად იყენებდა პირველნაბეჭდ გამოცემებს, ხისა და სპილენძის უძველეს გრავიურებს. ამავე დროს ეკლესიის ფერთა შეხამება და ორნამენტირება ძველი სულით ისეთნაირად იყო გამსჭვალული, თითქოსდა მთლად შერწყმოდა წარსულს, და შენც უნებლიეთ საკუთარ თავს ჩაჰკითხავდი: მართლა ახალ დროში ვცხოვრობ თუ ჩემს გარშემო ეს სრულიად სხვა ზნე-ადათები, ჩვეულებები, სტილი თუ თვალსაზრისები მხოლოდ სიზმარია და სხვა არაფერი.

ამნაირი აზრებით აღვსილმა, ბოლოს მანდილოსნებს ოთახში შეუტანა სურათებით სავსე უზარმაზარი პორთფელი, რამაც მათზე დიდებული შთაბეჭდილება მოახდინა. ამ სურათებში სახეების მხოლოდ კონტურები იყო მოხატული. ისინი ორიგინალურ ნამუშევრებს არ წარმოადგენდნენ, ოსტატთა სურათები კალკაზე გადაელოთ, მაგრამ მაინც ინარჩუნებდნენ პირველქმნილ ხასიათს, არადა, როგორ მოხიბლა ქალები ამ კოლექციამ! აქ ყოველ ფიგურას უწმინდესი ყოფა გამსჭვალავდა, თანაც გამოირჩეოდა, თუ სათნოებით არა, მადლიერებით მაინც. ყველას სახეზე, ყველას პოზაში იხატებოდა ნათელი ძალთა მოკრება, ღირსსაცნობის ჩვენზე ზეადმატების მშვიდი აღიარება, სიყვარულსა და ლოდინში წყნარი თავგადაგება. მელოტი ბერიკაცი, ქერათმიანი ბიჭი, ხალისიანი ჭაბუკი, დარბაისელი მამაკაცი, ნათელმოსილი წმინდანი, ცაში მოლიელავე ანგელოსი — ყველა ესენი ნეტარ იყვნენ უცოდველად გულსავსენი, ღვთისმოსავი ლოდინით აღსავსენი. ყველაზე ჩვეულებრივი მოვლენაც კი ზეციურის ნიშანს ატარებდა, თითქოსდა ყოველი არსი ღვთისმსახურებისათვის იყო გაჩენილი.

ამნაირ სამყაროს ადამიანთა უმეტესობა უცქერის, როგორც გარდასულ ოქროს საუკუნეს, როგორც დაკარგულ სამოთხეს. მხოლოდ ოტილიე გრძნობდა თავს ამ სამყაროში თავისიანთა შორის.

განა შეიძლებოდა უარი გეთქვა არქიტექტორის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე, — ამ დიდებული ნიმუშების მიხედვით მოეხატა ეგვტერის თაღები და ამით დაეტოვებინა საუკუნო ხსოვნა ადგილისა, სადაც იგი თავს ასე დიდებულად გრძნობდა? ამის შესახებ მან რაღაცნაირი სევდით წარმოთქვა, ჩემი ყოფნა ამ ჩინებულ გარემოცვაში შუდმივად არ გასტანს, საცაა ამ ნეტარებას ბოლო მოელებაო.

ეს დღეები მოვლენებით მდიდარი არ ყოფილა, სამაგიეროდ დარბაისლური საუბრებით იყო აღსავსე. ამიტომაც ვსარგებლობ შემთხვევით და მოვიტან ერთ ჩანაწერს ოტილიეს დღიურებიდან ამ საუბრების გარშემო. ალბათ შეუძლებელიცაა უფრო უკეთესი შედარების პოვნა ამ ჩანაწერებზე, ვიდრე ეს ჩვენ მოგვაფიქრდა, როცა მისი დღიურების სანუკვარი ფურცლები წავიკითხეთ. ახლავე მოგახსენებთ, რასაც ვგულისხმობ ამ შედარებაში.

ჩვენ გვსმენია, რომ ინგლისის საზღვაო უწყებაში ასეთი წესი არსებობს: სამეფო ფლოტის ყველა მოწყობილობა, უმსხვილესი მავთულით დაწყებული და უწვრილესი თოკით დამთავრებული, ისეთნაირადაა დაგრეხილი, რომ ამათ მთელს სიგრძეზე გაჰყვება წითელი ძაფი, მისი იქიდან ამოძრობა დანარჩენების დაუშლელად არ შეიძლება, იქამდე რომ თოკის ყველაზე პაწაწკინტელა ნაგლეჯითაც კი გამოიცნობა, რომ იგი სახელდობრ ინგლისის სამეფოს კუთვნილებაა.

ზუსტად ასევე ოტილიეს დღიურსაც მთლიანად წითელ ზოლად გასდევს ძაფი სიმპათიისა და სიყვარულისა, რაც ყველაფერს ერთმანეთთან აკავშირებს და მთლიანს, მონოლითურს ხდის. ქვემოდ მოყვანილი შენიშვნები, აზრები, ცალკეული გამონათქვამები და საერთოდ ყველაფერი, რაც კი ამ დღიურებში გვხვდება, ამის წყალობით უჩვეულოდ დამახასიათებელსა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამის უტყუარი დასტურია ჩვენს მიერ შერჩეული და აქ მოტანილი ადგილები.

ოტილიეს დღიურიდან

„დაიმარხო ოდესმე იმის გვერდით, ვინც გიყვარს, ყველაზე საამო განცდაა, რაც კი შეიძლება ადამიანს ჰქონდეს, თუკი ერთხელაც ფიქრი ცხოვრების საზღვრებს გადაალახვინებს. „შეელვთო მოყვასსა შენსა“, — რა სიწრფელე გამოსჭვივის ამ ნათქვამში“.

„არსებობენ ძეგლები და ნიშნები, ჩვენგან წასულ და განშორებულ ადამიანთან რომ გვაახლოვებენ, მაგრამ პორტრეტს ვერაფერი შეედრება. საყვარელი ადამიანის პორტრეტთან ბაასს, ვინდაც მსგავსება მათ შორის, სულაც არ იყოს მაინც რაღაცნაირი ხიბლი აქვს, მეგობრებთან კამათისა არ იყოს. ტკბილია იმის შეგრძნება, რომ უთანხმოებამიც განუშორებელნი ვართ“.

„ზოგჯერ ცოცხალ კაცთან ისე საუბრობ, როგორც პორტრეტთან. პორტრეტს შეუძლია არ დაგელაპარაკოს, არ შეგხედოს, საერთოდ ყურადღებაც არ მოგაქციოს. ჩვენ კი ვხედავთ მას, ვგრძნობთ მისადმი ჩვენს დამოკიდებულებას. იქნებ ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაღვივდეს, მაგრამ ამისათვის იგი ხელსაც არ ანძრევს, არც რამეს განიცდის და სწორედ პორტრეტივით უჭირავს თავი ჩვენთან“.

„ნაცნობი კაცის პორტრეტით არასოდეს კმაყოფილი არა ხარ. ამიტომაც მუდამ მეცოდებოდა პორტრეტისტები. საოცარია, რომ ადამიანებისაგან იშვიათ-

ად მოითხოვენ შეუძლებელს, პორტრეტისტისაგან — ყოველთვის. პორტრეტისტები ვალდებულნი არიან პორტრეტის მეშვეობით დაამკვიდრონ თავიანთი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, თავიანთი სიმპათიები და ანტიპათიები. პორტრეტისტი მოვალეა არა მხოლოდ გვიჩვენოს რანაირად სწვდება იგი ერთი რომელიმე ადამიანის ბუნებას, არამედ ისიც, თუ როგორ ესახება ეს ადამიანი სხვასაც. მე არ მიკვირს, როცა დროთა განმავლობაში ამნაირ მხატვრებს ჩვენ ხელოვნებისა ედებათ, გულგრილნი და ჯიუტნი ხდებიან. და ესეც არ იყოს, ჩვენც ხომ სწორედ ამიტომ ვართ მოკლებული ძვირფასი და სანუკვარი ადამიანის სწორ და შეუმცდარ ასახვას".

„არქიტექტორის მიერ მოგროვილი იარაღებისა და ძველი ჭურჭლების მთელი კოლექცია, მიცვალებულთა ნეშტთან ერთად რომ იყო ჩამალული მიწის მაღალ ბორცვებსა და კლდეთა ჩამონატეხებში, რა თქმა უნდა, იმაზე მიუთითებს, თუ რა ამაოა ადამიანის მცდელობა იზრუნოს თავის თავზე სიკვდილის შემდეგაც, რაოდენ წინააღმდეგობრივნი ვართ ადამიანები. არქიტექტორი აღიარებს, რომ საკუთარი ხელით ამოთხარა წინაპართა საფლავის ბორცვები და მაინც განაგრძობს შთამომავლობისათვის ძეგლებზე ზრუნვას".

„რატომ ვსჯით ხოლმე სხვას ასე მკაცრად, განა მარადიულობისთვისაა განსაზღვრული ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, განა დილით იმისთვის არ ვიმოსებით, რომ საღამოთი კვლავ გაიხადოთ, განა იმისთვის არ მივემგზავრებით სადმე, რომ შემდეგ კვლავ შინ დავბრუნდეთ? მაშ რატომ არ უნდა გვინდოდეს თვისტომის გვერდით განვისვენებდეთ ერთი საუკუნე მაინც!"

„როცა უცქერ დამარხულ, მლოცველების მიერ მიწაში ჩაფლულ საფლავის ქვებს, აკლდამების თავზე ჩამოქცეულ ეკლესიის შენობას, ცხოვრება თითქოს სიკვდილისშემდგომ მეორე სიცოცხლედ გვევლინება, რომელშიც შევდივართ ძეგლად ანდა წარწერად საფლავის ქვაზე და ამ მეორე წუთისოფელში უფრო დიდხანს ვმყოფობთ, ვიდრე ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებაში. მაგრამ ეს ძეგლიც, ეს მეორე ყოფიერებაც ადრე თუ გვიან ალიგვება პირისაგან მიწისა. დრო, თავის უფლებებს შეახსენებს არა ძხოლოდ ადამიანებს, არამედ ძეგლებსაც".

თავი მესამე

იმზომ საამოა შეგრძნება, კაცმა აკეთოს ის, რაც სრულყოფილად არ იცის, რომ აზრადაც არავის მოუვა, გაიცხოს დილეტანტი, რომელიც ხელოვნებას მისდევს, მაგრამ თავის დღეში ვერ დაეუფლება მას, როგორც ჯერ არს, ნურც იმ მხატვარზე იტყვი აუგს, ვინც ხელოვნების საზღვრებს იქით გადაბიჯებას და მეზობელ სფეროში ძალების მოსინჯვას მოიწადინებს.

ასე გულმართალი განწყობილებით ვათვალიერებთ არქიტექტორის შესრულებულ ეგვტერის მოსახატავად საჭირო ესკიზებს. აი, ფერებიც შეამზადეს, ზომები აიღეს, კონტურები მოხაზეს. იგი უარს იტყვის ყველაფერ გამოგონილზე, მოეჭიდება მხოლოდ საკუთრივ მისეულ მონახაზებს და მარტო ერთი საზრუნავი დარჩება: რაც შეიძლება ოსტატურად გაანაწილოს მჯდომარე და ზეცაში მოლივლივე ფიგურები, გემოვნებით შეაფერადოს სივრცე.

ხარაჩოები დადგეს. საქმე წინ მიიწევდა, რაკი სამუშაოს უმნიშვნელოვანესი

ნაწილი შესრულდა, ახლა უკვე არქიტექტორს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო შარლოტესა და ოტილიეს სტუმრობისა. და აი, თვალს ახარებს ცისფერი ცის ფონზე მიმოფანტული ანგელოსთა ცხოველმოსილი სახეები, მათი სალხინო შესამოსელი, წყნარი, ღვთისმოსავი არსი მოუწოდებს სულს ძალთა მოკრებას და უჩვეულოდ ნაზ ზემოქმედებას ახდენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალები ხარაჩოებზე ავიდნენ. ოტილიემ კიდეც მოასწრო თავისი გაოცება გამოეხატა იმის გამო, რომ მუშაობა ასე თანაბარზომიერად, მშვიდად და ადვილად მიდიოდა. მას უმალ გაელვიძა სწავლების წლებში შეძენილი ჩვევა, მოულოდნელად ხელი სტაცა ფუნჯსა და საღებავს და არქიტექტორის მითითებისამებრ მარჯვედ და ფაქიზად მოხატა მრავალნაკეციანი ერთი სამოსი.

შარლოტეს ხელი აღარ შეუშლია და წავიდა. იმას ყოველთვის უხაროდა, ოტილიე თუკი რაიმეს გააკეთებდა. ახლაც მარტო დარჩენა ერჩივნა, უნდოდა თავის გაუმხელელ დარდებს და ფიქრებს მისცემოდა.

თუკი ჩვეულებრივი ადამიანები ჩვეულებრივ სიძნელეებთან შეჯახებისას სულმოკლენი ხდებიან და შიშნეულ შფოთს განიცდიან, ეს კი უნებლიეთ ჩვენს თანამგრძნობელ ღიმილს იწვევს, სამაგიეროდ ღრმა პატივისცემით ვიმსჭვალებით იმ არსებისადმი, ვის სულშიც დიადი ბედისწერის თესლი მოხვედრილა, მაგრამ იძულებული გამხდარა მის გაღვივებას დალოდებოდა, რაკი ვერ გაუბედავს და ვერ შესძლებია აქედან წარმოსაშობი სიკეთისა და ბოროტების, უბედურებისა და ბედნიერების განვითარების დაჩქარება.

თავის განმარტოებულ ალკოვსამყოფელში ედუარდი შარლოტეს გამოგზავნილ შიკრიკს ალერსიანად და თანაგრძნობით კი დახვდა, მაგრამ უფრო მეტი თავშეკავებითა და სიდინჯით, ვიდრე მინდობით და სიყვარულით. შემდგომ ამისა იგი გაუჩინარდა და შარლოტემ ვერასდიდებით ვერ გაიგო მისი ასავალ-დასავალი, ვიდრე ერთხელ სრულიად შემთხვევით გზეთში არ გადაეწყდა მის გვარს. იგი მოხსენიებული იყო იმათ რიცხვში, რომელიღაც ბრძოლაში რომ უსახელებლოთ თავი. მხოლოდ ახლა მიხვდა შარლოტე, რა გზა აურჩევია მის ქმარს. მან შეიტყო, რომ ედუარდი უკნებელი გადარჩენია დიდ საშიშროებას, მაგრამ ისიც იცოდა, რომ არც ამაზე დიდ განსაცდელს დაერიღებოდა და არც უკიდურესი გადაწყვეტილებების მიღებას.

ამ დიდ წუხილს შარლოტე მხოლოდ საკუთარ ფიქრებს ანდობდა, გამოსავალს ვერსად ჰპოულობდა, სიმშვიდეს ვერაფერი ანიჭებდა.

ამასობაში ოტილიე მისდა უნებურად ერთობ გაიტაცა ახალმა საქმემ. შარლოტემაც ადვილად მისცა ნება ქალიშვილს, ყოველდღიურად ეყარჯიშნა ხატვაში. სამუშაომ სწრაფად წაიწია წინ და ლაქვარდოვან ცის ფონზე მალე ღირსეული მობინადრეები დასახლდნენ. ძუძმივი ვარჯიშის წყალობით ოტილიეს და არქიტექტორს მეტი სილაღე მიეცათ და ბოლო სურათების ფიგურები საგრძნობლად სრულქმნეს. საკუთრივ არქიტექტორის ნახატებში, რასაც იგი მარტო ქმნიდა, თანდათან გამოიკვეთა ერთი განსაკუთრებული ნიშანი — მისი ფერწერული სახეები ნელ-ნელა ოტილიეს ემსგავსებოდნენ. ეტყობა, ახალგაზრდა კაცის სულზე, ეისაც ჯერაც ვერ გამოერჩია ცხოვრებასა თუ სურათებში ნანახი რომელიმე სახე, ლამაზი ბავშვის სიახლოვემ იმზომ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მხატვრის შთაგონება და გაწვრთნილი ყალამი ერთმანეთს სრულად შეერწყნენ. ასე იყო თუ ისე, ბოლოხანს შექმნილი ერთი ხატება იმდენად

სრულიქმნა. გეგონებოდა, თითქოს ეს თვითონ ოტილიე დაგვყურებდა ძირს, მიწაზე მყოფთ, ზეციდან.

თაღი მომზადდა. კედლების სადად, მარტოოდენ ღია ყავისფერით შელებვა ინდომეს, ხოლო ნაზი სვეტებისა და ოსტატურად ნაძერწი ორნამენტებისა — უფრო მუქი ფერით, მაგრამ ერთი აზრი ხომ მეორეს ჰბადებს ხოლმე. ... ახლა ყვავილებისა და ხეხილთა წნულების გაკეთება მოიწადინეს, თითქოსდა დედამიწასთან ზეცის დამაკავშირებლად. აქ ოტილიე უეჭველად თავის სტიქიაში იყო. ბალები ხომ შესანიშნავ ნიმუშებს აწვდიდნენ და თუმცა გვირგვინების მოწვნას დიდი შრომა სჭირდებოდა, სამუშაოს მაინც ბევრად უფრო ადრე მორჩნენ, ვიდრე ვარაუდობდნენ.

მაგრამ გარშემო ყველაფერი მაინც მოუველელი და დაუმთავრებელი ჩანდა. ფიცარნაგები ერთმანეთზე ხროვად მიეწყოთ, ფიცრები — მიეყარ-მოეყარათ, ისედაც ოღრო-ჩოღრო იატაკი დაღვრილ საღებავს მთლად მოეოხრებია. არქიტექტორმა კი ამჯერად ქალბატონებს სთხოვა, რვა დღეს მაცალეთ და ამ ხნის მანძილზე ეგვტერში არც შემოიხედოთო. ერთ ძშვენიერ დღეს მანდილოსნებს უთხრა თოახში შემობრძანდითო, თანაც გეეედრებით ეგვტერი უწემოდ დაათვალიერეთო. ეს თქვა და უმალ გაუჩინარდა.

როგორც კი არქიტექტორი თვალს მოეფარა, შარლოტემ ოტილიეს უთხრა:

— „ახლა იქ შესვლის ხალისი არა მაქვს, რა სიურპრიზიც არ უნდა მოემზადებინა არქიტექტორს. მარტო შედი და დაათვალიერე, მერე კი ნანახი მიამბე. ეტყობა, საუცხოო რამე გამოუვიდა. ჯერ შენი ნაამბობით ვინეტარებ. მერე კი მეც ვნახავ“.

ოტილიემ კარგად იცოდა, რომ შარლოტე ბოლო ხანებში სიფრთხილეს იჩენდა, სულიერ ღელვას თავს არიდებდა, მეტადრე მოულოდნელობებს, და არც ლაუოვნებია, უმალ მარტო გაემართა ეკლესიისაკენ. მისდა უნებურად თვალით არქიტექტორს ეძებდა, მაგრამ იგი ახლომახლო არსად ჩანდა, ეტყობა სადღაც დაიმალა. ოტილიე ეკლესიაში შევიდა, კარი ღია დახვდა. ეკლესია კარგა ხანია რაც მზად იყო, გასუფთავებული, დალაგებული, კურთხეული. იგი ეგვტერში შევიდა. ალვილად გამოალო მისი მძიმე, სპილენძით ნაჭედი კარი და ამ ნაცნობ შენობაში მის წინაშე მოულოდნელი სანახაობა გადაიშალა.

ერთადერთი მაღალი ფანჯრის მეშვეობით ოთახს მკვეთრი ნაირფერი შუქი მოეფენოდა, ფანჯარაში ოსტატურად ჩასმული ფერადი შუშები რომ ასროდნენ. ეს შუქი უცხო კოლორიტს, რაღაც უსვეულო განწყობას ქმნიდა. თაღებისა და კედლების ხალამაზეს ავსებდა დადებული იატაკი, რომელიც საუცხოო მასალით ნაგები თაბაშირში განზავებულ აგურის ქვებით იყო მოგებული. არქიტექტორმა ყველა ეს და აგრეთვე ფერადი ჩარჩოები საიდუმლოდ შეუკვეთა და უმოკლეს ხანში ყველაფერი წესრიგში მოიყვანა. მან ჩამოსაჯდომ სკამებზეც იზრუნა. ეკლესიაში მოხვედრილ ძველ ნივთთა შორის ნატიფად ნაკეთები სკამებიც გამოიძებნა. მოხერხებულად რომ განალაგეს კედლების გასწვრივ.

ოტილიე გაოცდა ნაცნობმა წვრილმანებმა, უცხო მთლიანობად რომ წარსდგა მის წინაშე. იგი ხან ერთ ადგილას იდგა, ხანაც აქეთ-იქეთ დადიოდა, ყველაფერს ათვალიერებდა. ბოლოს ერთ სკამზე ჩამოჯდა და, როცა გარშემო მიმოიხედა, მოეჩვენა, თითქოს კიდეც არსებობდა და არც არსებობდა, თითქოს კიდეც გრძნობდა და არც გრძნობდა, თითქოს ახლა ყველაფერი გაქრა მის წინაშე და თვითონაც გაუჩინარდ. საკუთარ თავს. მხო-

ლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა აქამდე მზით გაჩახჩახებულ ფანჯარაში ჩამობნელდა, წამოდგა და სასახლისაკენ გაემართა.

იგი ვერ მალავდა თავის განცდებს იმაზე, თუ რა ღირსშესანიშნავ თარიღს ემოხვეოდა მისი გაოცება. ეს იყო ედუარდის დაბადების დღის წინა საღამო, როგორ სჯეროდა, რომ სულ სხვანაირად იზეიმებდა ამ დღეს, ყველაფერი ხომ ამ ზეიმისაკენ მიემართებოდა, არე-ძიდამო ბრწყინვალედ [illegible] ერთოთ. ახლა კი რა, ბაღის უთვალავი შემოდგომის ყვავილი დაუკრეფავი დარჩა. მზესუმზირები ძველებურად აღაპყრობდნენ თავებს ზეცისკენ, ასტრები კვლავ შორეთში იცქირებოდნენ წყნარად და კრძალვით. ხოლო მათგან დაწნული გვირგვინები მხოლოდღა ადგილის მოსართავად საჭირო მოდელებად ქცეულიყვნენ და, თუკი სადმე გამოიყენებდნენ, მხოლოდ ხელოვანის უბრალო ახირებად დარჩენა ემუქრებოდათ. განა შეიძლებოდა იმათ რაიმე საერთო ჰქონოდათ მიცვალებულთა აკლდამასთან?

ოტილიეს მოაგონდა, რა ზარ-ზეიმით გადაუხადა ედუარდმა დაბადების დღე. ახლად აგებული სახლიც გაახსენდა, ყველას რომ სჯეროდა, კიდევ მრავალ სასახარულო წუთებს გავატარებთ მის ჭერქვეშო. თითქოს ყურში ჩაესმა ფოიერვერკის ტკაცანი. თვალებში გაუელვა მისმა ელვარებამ, და მარტოდ მყოფს მით უფრო ცხადად აღებეჭდა წარმოსახვაში გარდასული დრო, მით უფრო ღრმად იგრძნო თავისი მარტოობა. ახლა კი ედუარდი ახლოს აღარ იყო, ველარც მის მკლავს მიეხლობოდა. აღარც ის ეიმედებოდა, ოდესმე მაინც თუ შეძლებდა დაყრდნობოდა ამ მკლავს.

ოტილიეს დღიურიდან

„მინდა ჩავიწერო ახალგაზრდა მხატვრის ერთი შენიშვნა: როგორც ოსტატხელოსნის, ასევე მხატვარ-ფერმწერის მაგალითზე ძალზე მკაფიოდ მოჩანს, ადამიანს რომ ერთობ ნაკლებ ძალუძს მიითვისოს საკუთრივ მისეული. მისი ნაწარმოებები იმ ფრინველებივით ვერ შორდებიან ბუდეს, სადაც გამოჩეკილან“.

„უფრორე საოცარი ბედისაა ამ თვალსაზრისით ხეროთმოძღვარი. რა ხშირად წარმართავს იგი მთელ თავის ჭკუას, თავის გულისთქმას იქითკენ, რომ ადამენოს ციხე-კოშკები და თვითონ კი შიგ შეღწევას გამორიცხულად მიიჩნევს. სამეფო დარბაზები მას უნდა უმადლოდნენ თავის სიმშვენიერეს. არადა, იგი თავის დღეში არ დამტკბარა მათით. ტაძრებში იგი საკუთარი ხელით აგლებს ზღვარს თავის თავსა და წმინდათაწმინდას შორის. მას ვერ გაუბედავს ავიდეს იმ კიბეზე, რომელიც სულის ასამაღლებელი დღესასწაულისათვის აღუმართავს, მსგავსად ოქრომჭედელისა, ვინც მხოლოდ შორიდან ეთაყვანება კიდობანს, რომლის მინანქარი და ძვირფასი ქვები თვითონვე ჰარმონიულად შეურწყა ერთმანეთს. მშენებელი ძლიერს ამა ქვეყნისა სასახლის გასაღებთან ერთად მიართმევს კომფორტსა და სიმყუდროვეს, თვითონ რომ არასოდეს უსარგებლია. და განა ამნაირად მხატვრისაგან შორს არ მიიდრეკება თვითონ ხელოვნება, თუკი მისი ქნილება, იმ ვაჟიშვილისა არ იყოს, კუთვნილი მამული რომ ერგო მემკვიდრეობად, კარგაეს კავშირს თავის მამასთან და როგორ უნდა გახდეს ხელოვნება სრულქმნილი, როცა იგი სოციალური საკუთრებაა და ამის კვალობაზედ ის, რაც ხელოვნების კუთვნილებაა, ყველას კუთვნილება უნდა იყოს?“

„ძველი ხალხების ერთი რწმენათაგანი საზეიმო, მკაცრი, იქნებ საშინელიც გვ-

ეჩვენოს. თავის წინაპრებს ისინი წარმოიდგენდნენ უზარმაზარ გამოქვაბულებში ტახტზე მჯდომარეთ და მდუმარე საუბრებით დაკავებულებს. ახალშემოსულს, თუ იგი ღირსეული პიროვნებაა, ისინი ფეხზე ადგომით ხვდებიან და თავს დახრით ესალმებიან. გუშინ ეგვტერში რომ ვიყავი და მოჩუქურთმებულ სკამზე ვიჯექი, ხოლო გვერდით სხვა ისეთი სკამებიც იდგა, ეს აზრი მით უფრო გასახარი და სანუგეშო მეჩვენა, რატომ არ უნდა იჯდე, შენ, ახლა აქ, ვფიქრობდი ჩემთვის, იჯდე დიდხანს, წყნარად და ფიქრებში წასული, ვიდრე მეგობრები არ მივლენ, რომლებსაც ფეხზე ადგომით შეეგებებოდი, თავაზიანად მიესალმებოდი და თაყვანიანთ ადგილებზე დასვამდი? ფერადი მინები ნათელ დღეს მკაცრ ბინდბუნდად აქცევდა და ვინმეს ხომ უნდა ეზრუნა სამარადისო ნათურაზე, კუბრ დამეს რომ გაანათებდა?"

„რა დღეშიც არ უნდა ჩავარდე, შენ მუდამ ხილვადი ხარ, მგონი, სიზმრები ადამიანს ყოველთვის იმიტომაც ესიზმრება, რომ მოხილვა არ შეწყვიტოს. ვინ იცის, ეგებ ჩვენი შინაგანი ნათელი ოდითგანვე ჩვენგანვე მოდის და თუ ეს ასეა, მაშინ სხვა რაღა უნდა გვინდოდეს ამაზე მეტი?"

„წელიწადი ილევა. ქარი ნამჯას აშრიალებს. სხვა რაღა დარჩენია წლის ამ მიწურულს! მეწამულისფერი კენკრის იმ კოპწია ბუჩქებს თითქოს უნდათ სასიხარულო გვაუწყონ რამე, როგორც საცეხველის თანაბარი დარტყმები ახსენებს მეკალოეს, რაოდენ სასიცოცხლო და სარგო აზრი იმალება მოცელილ თავთავში".

თავი მეოთხე

ამ მოვლენებისა და საერთოდ ყველაფერ იმის შემდეგ, რაც კი ოტილიეს წუთისოფლის წარმავლობისა და ამა ქვეყნიდან ნელინელ გაქრობის გრძნობას ჩაგონებდა, რა უცნაურად უნდა შეეძრა ტანჯული ქალის გული იმ ამბის შეტყობას, რისი დიდხანს დამალვაც უკვე აღარ შეიძლებოდა, რომ ედუარდი მთელი არსებით მინებდა მეომრის მუხთალ ბედს. ოტილიეს მწუხარე ფიქრები მოეძალა, რასაც, საუბედუროდ, საფუძველიც ჰქონდა. კიდევ კარგი, რომ ადამიანის გონებას მწუხარების განცდა რაღაც გარკვეულ საზღვრებში ძალუძს და თუკი ამ საზღვრებს გასცილდა, ან აღსასრულის ჟამს მოუვლენს, ანდა გულგრილს გახდის ხილმე. არსებობს ისეთი ვითარება, როცა შიში და იმედი ერთმანეთს კიდეც ერწყმის და კიდეც ანადგურებს, მერე კი ბნელ უგრძნობლობაში მოისვრის. სხვაგვარად აბა, როგორ შეიძლება შეეურიგდეთ უძვირფასესი არსების შორს ყოფნის განცდას, აშკარად ვიცოდეთ, იმას ყოველწუთს საფრთხე მოელის და მაინც მივყვეთ ცხოვრების ჩვეულ დინებას.

და აი, ისე მოხდა, თითქოს კეთილმა სულმა იზრუნა ოტილიეზე, როცა იმას, წყნარ გარემოცვაში მყოფს, ეულსა და მოცლილს, მშვიდი არსებობა დაურღვია ველური ურდოების შემოჭრამ და თუმცა აუარება საზრუნავი კი გაუჩინა, მაგრამ დაძაბული ყოფიდან როგორღაც გამოიყვანა და ამავე დროს საკუთარი ძალების შეგრძნებაც გაულვიძა.

შარლოტეს ასული ლუციანე პანსიონიდან იმთავითვე მაღალ საზოგადოებაში მოხვდა. მან ვერც კი მოასწრო თავისი დეიდის ოჯახში მრავალრიცხოვანი

ნაცნობ-მეგობრების შემოკრება, რომ წარმატებათა მოპოვების დაუოკებელმა სურვილმა მართლაც ნაყოფი გამოიღო და ერთმა ძალიან მდიდარმა ახალგაზრდა კაცმა მალე მისი ცოლად მოყვანა მოინდომა. შესაშური ქონება ყმაწვილკაცს უფლებას აძლევდა ყველაფერი საუკეთესო მოეხვეჭა, ხოლო ამჯერად მზეთუნახავი ცოლის გარდა არაფერი აკლდა, ლუციანისნაირი ცოლი კი, სხვა სიკეთეებთან ერთად, მაღალი საზოგადოების აშკარა მოშურნეობასაც გამოიწვევდა.

ამ საოჯახო ვითარებამ შარლოტეს ამჯერად ბევრი საზრუნავი გაუჩინა. მთელი აზრი და ფიქრი, აგრეთვე მიწერ-მოწერა ამ საქმეს მიუძღვნა, რამდენადაც ყველა ეს საზრუნავი იქითკენ იყო მიმართული, ედუარდის შესახებ როგორმე არავის არაფერი შეეტყო. ბოლო ხანებში ოტილიე წინანდელზე უფრო ხშირად რჩებოდა ხოლმე მარტო თავის ფიქრებთან. მან უკვე იცოდა ლუციანეს მომავალი ჩამოსვლის შესახებ. ბევრი აუცილებელი საქმე მოაგვარა ოჯახში ამასთან დაკავშირებით, თუმცა წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ სტუმრები ასე ჩქარა ეწვეოდნენ. ეგონათ, კიდევ ერთი ბარათის მიწერა, შეთანხმება, ჩამოსვლის დღის ზუსტად დათქმა იქნებოდა საჭირო და უეცრად, სასახლესა და ოტილიეს ქარიშხალივით დაატყდა თავს მათი გამოჩენა.

და აი, ჩამოეიდნენ მოახლეები და მსახური ბიჭები კოთხოებითა და ჩემოდნებით ავსებული ფურგონებით, ეტყობა, სახლში მიბინადრე ბატონთა რიცხვი ორჯერ, იქნებ სამჯერაც გაიზრდება, მერე თვითონ სტუმრებიც გამოჩნდნენ: დიდი დეიდა ლუციანესი მისი რამდენიმე და-ქალის თანხლებით, ასევე სახიმო თავისი მცირე ამალით. წინა ოთახში უამრავი სკივრი, ჩემოდანი და სხვა სამგზავრო ნივთი დახვავდა. დიდი გაჭირვებით დაალაგეს აურაცხელი ყუთი და შალითა, ხაბაკხუბაკს ბოლო არ უჩანდა. წვიმამაც რომ მაგრად დაუშვა ამანაც რალაცნაირი უხერხულობა შექმნა. მთელ ამ ორომტრიალს ოტილიე მშვიდი და საქმიანი განწყობილებით შეხვდა. მისი სილაღე და სიმარჯვე მთელი ბრწყინვალებით გამოჩნდა. უმოკლეს ხანში ყველაფერი მოაგვარეს და წესრიგში მოიყვანეს. თითოეულ სტუმარს თავისი ადგილი მიუჩინეს, თითოეული თავს საკუთარი სურვილისამებრ მყუდროდ გრძნობდა, თვითოეულს ეგონა, ბრწყინვალედ მემსახურებიანო, რასან ხელს არაფერი უშლიდათ, რომ თავიანთ თავს თვითონვე მომსახურებოდნენ.

უადრესად დამქანცველი მგზავრობის შემდეგ ყველა მოხარული იყო დასვენებისა. საქმროს უნდოდა ახლო გასცნობოდა მომავალ სიდედრს, ლუციანესაც თავისი საყვარული და კეთილი სურვილები მისი თანდასწრებით გამოეხატა. ლუციანე კი ვერ ისვენებდა. ცხენით ნავარდი მისი დიდი ხნის ნატვრა იყო და ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ახდენოდა ეს ნატვრა. და მისი სურვილისამებრ უმალ გადაწყვიტეს ცხენებით ჯირითი მოეწყოთ. ლუციანეს ქვეყანაზე ვერაფერი შეაკავებდა. არ დაგიდევდათ არც ქარსა და წვიმას, არც უამინდობასა და ქარიშხალს. მას ეგონა, კაცი წუთისოფელში იმისთვის ცხოვრობს, რომ დასველდეს და ხელახლა გაშრეს. ლუციანეს ჯავრი არ ჰქონდა, სადმე ტყე-ღრეში ფეხით გაელა მომიხდება და ამის შესაბამისად შევარჩიო სამოსიო. იგი არ კითხულობდა, გარემოს შესატყვისად ავარჩიო კაბა ანდა ფეხსაცმელიო. მისთვის მთავარი იყო დაუყოვნებლივ ენახა და გასცნობოდა პარკს, რომლის შესახებაც ამდენი რამ სმენოდა. ყველა კუთხე-კუნჭული დაათვალიერა და ყველაფერზე მოასწრო თავისი აზრის თქმა. ძნელი იყო ვინმე აჰყოლოდა მის ფიცხ მსჯელობას. ეინც კი თან ახლდა, ცალ-ცალკე ყველა ბევრ უსიამოვნებას აწყდებოდა მისი

წყალობით. ყველაზე მეტი სიმწარე მოახლეებმა იწვნიეს, ისინი ვერ აუდიოდნენ ლუციანეს ტანსაცმლის რეცხვასა და დაუოთებას, დარღვევასა და მიკერებას.

ლუციანემ სახლისა და გარე-მიდამოს დათვალიერების შემდგომ შეზობლების მონახულებაც ისურვა. ცხენით თუ ეკიპაჟით სტუმრობა უფრო ჩქარი იყო, თან სამეზობლოც საკმაოდ დიდი აღმოჩნდა. სასახლესაც მოეძალა საპასუხო ვიზიტები და სტუმრები მასპინძელთა სასახლეში არყოფნის ხანებში ისევ არ მობრძანებულიყვნენ, საჭირო გახდა განსაზღვრული დღეების დაზიმვნა მათ მისალებად.

შარლოტე ლუციანეს დიდ დეიდასა და სასიძოს ამალასთან მომავალი ქორწილის საქმეებს აგვარებდა, ოტილიე კი თავის ხელქვეითებთან ერთად იმაზე ზრუნავდა, ამნაირ ხალხმრავლობაში ვინმეს არაფერი დაშავებოდა, ამიტომ ფეხზე დააყენეს მონადირეები და მებალეები, მეთევზეები და ვაჭრები. ლუციანე კი მოელვარე კუდიან კომეტასავით აქეთ-იქით დაჰქროდა. მალე მობეზრდა სტუმართა გართობის ჩვეულებრივი წესები. მხოლოდ ყველაზე ხანდაზმულებს ტოვებდა მშვიდად ბანქოს სათამაშო მაგიდასთან, სხვებს კი, ვისაც ოდნავი განძრევის თავი ჰქონდათ, მოსვენებას არ აძლევდა, უთუოდ მონაწილეობას მიაღებინებდა თუ ცეკვებში არა, ცოცხალ ფანტსა, ჰოკეისა თუ სხვა გასართობ თამაშობებში მაინც. და აბა ვის არ მოხიბლავდა მისი დაჟინება და მიმზიდველობა. და თუმცა ყველა ვითარებაში იგი მუდმივი ყურადღების ცენტრში იყო, მაინც არავინ რჩებოდა უყურადღებოდ, მეტადრე მამაკაცები, რა სოციალური წოდებისაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. ლუციანემ შესძლო ფრიად საჩინო ბერიკაცების კეთილგანწყობაც მოეპოვებინა, შეიტყო რა ამ დღეებში შესრულებული მათი დაბადების დღეებიდა ამასთან დაკავშირებით ზეიმები მოაწყო. რაღაც უჩვეულო ხიბლი ჰქონდა, ყველას თავისი ყურადღების ცენტრში აგრძნობინებდა თავს, თვითეულს ეგონა, სწორედ მე და სხვამ არავინ მოიპოვა ლუციანეს უსაზღვრო სიმპათიაო. ამგვარ თვითცდუნებაში ყველაზე მოხუცი სტუმარიც კი ჩავარდა. თუმცა ლუციანეს მიზანი იყო დაეპყრო დიდად გამორჩეული მაღალი თანამდებობის, ერთობ პატივცემული, რაღაცით ცნობილი და უაღრესად თვალსაჩინო მდგომარეობის მქონე მამაკაცთა გულები, მოეთოკა მათი სიბრძნე და განმსჯელი გონება, კეთილად განეწყო თავისადმი და მოუთრგუნველი ჟინის მსხვერპლად ექცია ისინი, მაგრამ არც ჯეელები დარჩენია ყურადღების მიღმა. ყოველ მათგანზე მოდიოდა თავისი რიგი, დღე და საათი და იგი ასწრებდა მოეხიბლა და თავისკენ მიეზიდა ისინიც. მისი მახვილი მზერა არქიტექტორსაც გადასწვდა. გრძელკულულება შავთმიანი არქიტექტორი კი ისე მიმნდობად უცქერდა, ისე წყნარად, უშუალოდ მიმდგარიყო გვერდზე, შეკითვებზე კი მოკლედ და საქმიანად პასუხობდა, რომ, ეტყობოდა, მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ ამჟღავნებდა მისდამი, არ ეძებდა მასთან სიახლოვეს და სწორედ ამის გამო ლუციანემ ცოტათი ვერაგულად, ცოტათი გულისწყრომით ერთბაშად გადაწყვიტა ამ დღის გმირად ექცია იგი და ამით თავის ამალაში ჩაერიცხა.

ლუციანეს ტყუილად არ ჩამოუტანია ამდენი ბარგი-ბარხანა, მას ჩაფიქრებული ჰქონდა კაბების ხშირ-ხშირად გამოცვლა. დღეში სამჯერ-ოთხჯერ ტანისამოსის გამოცვლა დიდ სიამეს ჰგვრიდა, დილა-საღამოს სხვადასხვა კაბების ჩაცმა დიდად მოსაწონია მაღალ საზოგადოებაში. ზოგჯერ იგი ნაირ-ნაირ სამასკარადო კოსტიუმებით გვეცხადებოდა, ხან გლეხის გოგოს, ხან მეთევზე ქალის, ხან კიდევ ფერიისა და ხანაც ყვავილების გამყიდველის სამოსებით. არც დედაბრის ტანსაცმელს თაკილობდა ზოგჯერ, რადგან იცოდა, რომ ყმაწვილი ქალის

ნორჩი სახე კიდევ უფრო ნორჩი ჩანს ბებრულად თავზე შემოხვეული ხალაბანდში. და ნამდვილი და წარმოსახული ისეთნაირად აურ-დაურია ერთანეთში, მითების სამყაროდან გადმოსული დარბაზის ალი გეგონებოდა, იქაურობას რომ სინხლხორცეულად შეთვისებოდა.

ტანსაცმელი მას სჭირდებოდა პანტომიმური წარმოდგენებისა და ცეკვებისათვის, რომლებშიც სახასიათო როლებს ასრულებდა. [illegible] ერთ-ერთი კავალური ფორტეპიანოზე აღებული მარტივი მუსიკალური აკორდების საშუალებით ფეხს შეუწყობდა იმის მოძრაობას და საკმარისი იყო ორიოდ სიტყვით გადალაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მათ შორის უმალ იქმნებოდა სრული ჰარმონია.

ერთ დღეს, ხმაურიანი მასკარადის დროს, შესვენებისას ვითომდა ექსპრომტად, სინამდვილეში კი ყველაფერი წინასწარ მისაღებ მოფიქრებით, ლუციანეს ეხოვეს ერთი ასეთი პანტომიმის შესრულება. მან ვითომდა დარცხვენილმა და შეცბუნებულმა, მრავალჯერ გაამეორებინა ეხოვნა მსურველებს, რაც მას არ ახასიათებდა. ივი დიდხანს ყოყმანობდა, სხვამ შეასრულოსო, ამბობდა, ვიდრე ბოლოს აკომპანიატორი, ვისთანაც ალბათ ყველაფერი წინასწარ შეათანხმა, როიალს არ მიუჯდა და სამგლოვიარო მარში არ დაუკრა, ხოლო ლუციანეს არტემიზიას როლში გამოსვლა შესთავაზა, რაც მას შესანიშნავად გამოსდიოდა. ლუციანე დათანხმდა, მერე გარეთ გავიდა ცოტა ხნით და ოთახში შემობრუნდა, როგორც მეფის ქვრივი, სამგლოვიარო მარშის ნაზი და სევდიანი მუსიკის ხმაზე თანაბარი ნაბიჯებით მოდიოდა, ხელში მიცვალებულის ურნა ეჭირა. უკან, მის კვალდაკვალ მოჰქონდათ დიდი შავი დაფა და ოქროს ხაზკალმში ჩასმული კარგად წამახული ცარცის ნაჭერი.

ლუციანემ ერთ-ერთ თაყვანისმცემელს თუ ადიუტანტს ყურში რაღაც უჩურჩულა. ისიც უმალ მივიდა ახალგაზრდა არქიტექტორთან და სთხოვა თუ უბრძანა, ხომ ხარ ხუროთმოძღვარი, აბა დახატე მავზოლეუმის საფლავიო. ამით ივი მონაწილეობას მიიღებდა წარმოდგენაში არა როგორც სტატისტი, არამედ როგორც მსახიობი. რა შემკრთალიც არ უნდა ყოფილიყო გარეგნულად არქიტექტორი იმის გამო, რომ მისი ვიწრო, თანამედროვე მოქალაქის შაგვრემანი სახე საოცარ კონტრასტს ჰქმნიდა დარბაზში დახვავებულ მარმაშებიან, კრეპებიან, ფოჩებიან, მინანქრებიან დიდრონ ფუნჯებთან და გვირგვინებთან, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჩვენებოდა მას ეს სანახაობა, მაინც სწრაფად მოიკრიბა გონება, ფრიად დარბაისლური იერით დადგა დიდ დაფასთან, რომელიც რამდენიმე პაჟს ეპყრა ხელთ, და დიდი დაკვირვებითა და სიზუსტით მოხატა საფლავი, თუმცა უფრო ლანგობარდული, ვიდრე კარიელი მეფის შესაფერი, მაგრამ იმზომ დიდებული პროპორციებით, მკაცრი დეტალებითა და ორნამენტულად მახვილგონივრული მიგნებებით იყო გამორჩეული, რომ ყველა სიამით ადევნებდა თვალს ნახატის ასე ანაზდეულ გაჩენას. ხოლო როცა ივი საბოლოოდ გასრულდა, გაოცება ვერ დაფარეს.

მთელი ამ ხნის მანძილზე არქიტექტორი მთელი არსებით ჩაფლულიყო მუშაობაში და ერთხელაც არ მოუხედავს დედოფლისათვის. ხოლო ბოლოს, როცა მას წინაშე თავი დახარა ბრძანების აღსრულების ნიშნად, ლუციანემ არქიტექტორს ურნაზე მიუთითა და სურვილი გამოთქვა მავზოლეუმის მწვერვალზე ეხილა მისი გამოსახულება. არქიტექტორმა ეს ბრძანებაც შეასრულა, თუმცა არცთუ დიდი ხალისით, რადგან ურნა სულ არ შეესატყვისებოდა მთელ ამ ჩანაფიქრს. რაც შეეხება თვითონ ლუციანეს, ივი მოუთმენლად ელოდა სამუშაოს

დამთავრებას, რადგან მისთვის სულაც არ იყო მთავარი, შექმნიდა არქიტექტორი ლირსშესანიშნავ ნახატს თუ ნაუცბათევად მოხაზავდა ძეგლის მსგავს რაიმე ესკიზს, მაგრამ თუკი იგი მთელ დროს მხოლოდ ლუციანეს დაუთმობდა, ეს ბევრად უფრო აამებდა ქალის ზრახვებსა და სურვილებს. არქიტექტორის ქცევა ქალს უკიდურესად აბნევდა. რაგვარად არ ეცადა მრავალფერუნალ[illegible]თამაშა, ხან სევდა გამოეხატა, ხან მრისხანება, ზოგჯერ, მითი[illegible] ხან კიდევ ალფრთოვანება გამოეთქვა მავზოლეუმის გამო, რომელიც თანდათანობით მის თვალწინ იქმნებოდა, რამდენიც არ ეცადა, რაღაცით მაინც მიეზიდა ახალგაზრდა კაცი, ლამის გაეგლიჯა კიდეც იგი, არქიტექტორი ვერაფერმა შესძრა, იგი მტკიცედ იდგა და ქალს სხვა არაფერი დარჩენოდა ურნაში ეძებნა ხსნა, გულზე მიეკრა იგი და თვალები ცისკენ აღეპყრო. ამ მძიმე ყოფაში ჩავარდნილი იგი უფრო ეფესელ ქვრივს მიაგავდა, ვიდრე კარიის დედოფალს. წარმოდგენა გაჭიანურდა. პიანისტმა, რომელიც საერთოდ მომთმენი იყო, ახლა აღარ იცოდა, როგორი ჰანგი დაეკრა. მერე უფალს მადლობა შესწირა, რაკი ბოლოს და ბოლოს ურნა პირამიდის მწვერვალზე იხილა და სწორედ იმ დროს, როცა დედოფალი ხუროთმოძღვრისთვის სამადლობელის სათქმელად განემზადა, უნებურად მხიარულ ჰანგზე გადავიდა, პანტომიმამ დაკარგა სევდიანი ხასიათი, სამაგიეროდ ყველანი მხიარულ გუნებაზე დააყენა. ხალხი ორ ჯგუფად გაიყო: ერთნი მადლობას უხდიდნენ ლუციანეს აღმაფრთოვანებელი თამაშისათვის, მეორენი — კი არქიტექტორს — გამოთქვამდნენ რა აღტაცებას მისი ოსტატურად და მოხდენილად შესრულებული ნახატის გამო.

მეტადრე სასიძო იყო მოხიბლული, იგი გამუდმებით ებაასებოდა არქიტექტორს.

„ვწუხვარ ამ ნახატის დღემოკლეობას — თქვა მან, — ნება მომეცით, ჩემს ოთახში წავიღოთ იგი და იქ გესაუბროთ მის შესახებ".

„თუკი ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ, — მიუგო არქიტექტორმა, — შემიძლია უკეთესიც შემოგთავაზოთ — შენობებისა და მონუმენტების ასეთივე სტილის უფრო გულდასმით შესრულებული ნახატები გიჩვენოთ, ეს კი ნაუცბადევად და შემთხვევით მოხაზული ესკიზია".

ოტილიე იქვე იდგა, მერე მოსაუბრეებთან მივიდა.

„არ დაგაიწყდეთ და, — უთხრა მან არქიტექტორს, — ბატონ ბარონს რომელიმე თქვენი კოლექცია უჩვენეთ. იცით, არქიტექტორი ძველი ხელოვნების ტრფიალია და მინდოდა ახლოს გაგეცნოთ ერთმანეთი".

ამასობაში ლუციანეც მიუახლოვდა მათ და იკითხა:

„რაზე საუბრობთ?"

„ფერწერულ კოლექციებზე, — მიუგო ბარონმა, — ეგი ბატონ არქიტექტორს ჰქონია და ალბათ როგორმე დაგვათვალიერებინებს".

„ახლავე აქ მოიტანეთ ეს კოლექცია, — შესძახა ლუციანემ. — ხომ მოიტანთ? ახლავე მოიტანეთ!"—დაუმატა, მერე შემპარავად და მეგობრული განწყობილებით ხელზე ხელი მოუჭირა.

„ახლა მაგის დრო არ არის", — მიუგო არქიტექტორმა.

„ეს როგორ! — ბრაზიანად წამოიძახა ლუციანემ, — თქვენ გინდათ დედოფლის ბრძანება არ აღასრულოთ?" — მის თხოვნაში გაღიზიანებული კილო იგრძნობოდა.

„ნუ გაჯიუტდებით!" — ხმამაღლა სთხოვა არქიტექტორს ოტილიემ.

არქიტექტორი თავის დაკვრით გაშორდა იქაურობას, არც „ჰო“ უთქვამს და არც „არა“.

არქიტექტორი წავიდა, ხოლო ლუციანე ლევრეტივით დაძრწოდა დარბაზში.

მერე დედამისს შესჩივლა: „ოჰ, არაეინ იცის, რა უბედური ვარ! ჩემი მაიმუნი თან არ წამოიყვანია. არ მირჩიეს მისი წაძოყვანა, თანაგზავრებს მყუდროება დაერღვევათო, და მათი გულისთვის მოვიკელი ეს სიამოვნება. ბედნიერი ვიქნები, მაიმუნის სურათსაც თუ შევხედავ ხოლმე. აუცილებლად დავახატვინებ მის სურათს და თავიდან არ მოვიცილებ“.

„მხოლოდ იმით შემიძლია განუგეშო, — მიუგო შარლოტემ შვილს, — რომ ბიბლიოთეკიდან გამოვატანინო ძველი ტომი ველური მაიმუნების სურათებით“.

ლუციანემ სიხარულისაგან ხმამაღლა შეჰყვირა და ფილიანტიც უმალ მიართვეს. ამ ადამიანის მსგავსი და მხატვრის მიერ კიდევ უფრო გაადამიანურებული საძულველი არსებების ხილვამ ლუციანეს უდიდესი სიხარული მოჰგვარა, მაგრამ განსაკუთრებით ბედნიერად მაშინ იგრძნო თავი, როცა შესაძლებლობა მიეცა რაღაც ნიშნით ისინი თავის ნაცნობებისათვის მიემსგავსებინა.

„განა ეს მაიმუნი ბიძაჩემს არა ჰგავს? — მოურიდებლად წამოიძახა მან, ეს კი, გალანტერიის გამყიდველი მ-ი არის, ეს კიდევ პასტორი. ეს ხომ ზედგამოჭრილი ის არის, რა ჰქვია იმას? — საერთოდ კი ეს მაიმუნები ძალზე კოხტანი არიან და პირდაპირ გაუგებარია, რატომ დევნიან იმათ ყველაზე საუკეთესო საზოგადოებაში“.

და ეს თქვა სწორედ ყველაზე საუკეთესო საზოგადოებაში, მაგრამ არავის არ დაუძრახავს იგი ამის გამო. აქ მისი მშვენებით მოხიბლული ადამიანები შეჩვეული იყვნენ ყველაფერი მიეტევებინათ მისთვის, აშკარა უმსგავსოებაც კი.

ამ ხნის განმავლობაში ოტილიე ლუციანეს საქმროსთან საუბრობდა. ოტილიეს იმედი ჰქონდა, აი, საცაა დაბრუნდება არქიტექტორი თავისი მკაცრად და გემოვნებით შერჩეული კოლექციით ხელში და ის თუ დაიხსნის საზოგადოებას აშკარა გამაიმუნებისაგან. და იგი მოუთმენლად ელოდა არქიტექტორის გამოჩენას. ამ მოლოდინში ბარონთან გაბა საუბარი, უნდოდა იმის ყურადღება რაღაც-რაღაცეებზე მიექცია. არქიტექტორი კი არა და არ მოდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა, მერე ისე ჩაიმალა შეჯგუფულ სტუმრებში, რომ არც არაფერი მოუტანია და თავიც ისე ეჭირა, ექაოდა, არაფრის ბაიბურში არა ვარო.

ერთი პირობა ოტილიე ამის გამო, როგორ გითხრათ, ნაწყენი, შემკრთალი და ნაღვლიანი გახდა. მან ხომ თბილი გრძნობით სთხოვა არქიტექტორს კოლექციის მოტანა; უნდოდა საქმროსთვის სიამე მიენიჭებინა, რადგან შეამჩნია, რომ ლუციანესადმი თავისი სიყვარულის მიუხედავად, სადღაც მაინც აწუხებდა საცოლის უხიაკი ქცევები.

მაიმუნებს გზა ვახშმისათვის უნდა დაეთმოთ. ამის შემდეგ იწყებოდა თამაშობები, ცეკვები, მერე კი ერთ ადგილზე გულისგამაწვრილებელი ჯდომა, ცდები, მიმქრალი მხიარულების განსაახლებლად. ასეთი ყოფა, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, ამჯერადაც შუალამემდე გაგრძელდა, რადგან ლუციანე ამნაირ ცხოვრებას იყო შეჩვეული. დილდილობით საწოლს ვერ ააგლეჯდი, საღამოხანობით კი ძნელად თუ მიაგნებინებდი საძინებელ ოთახს.

ამ ხნის მანძილზე ოტილიეს დღიურში მოვლენები იშვიათად აღინიშნებოდა, სამაგიეროდ უფრო ხშირად შეხვდებოდით მაქსიმებსა და სენტენციებს, რომ-

ლებიც ცხოვრებას შეეხებოდნენ და მისგანვე ძიძდინარეობდნენ. რაკი ამ გამოთქვამების უმეტესობა შეუძლებელია საკუთრივ მისი ნაფიქრ-ნაგრძნობი ყოფილიყო, ამიტომ, ბუნებრივია, იფიქრებდით, ეახლემ მოუტანა რვეული, სადაც ამოკრიფა ის აზრები, რაც გულზე მოხვედრიათ. ხოვიერთი საკუთარი გამოთქვამი წითელი ძაფით ჰქონდა მოსაშხული და ამით იცნობდა მას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტილიეს დღიურიდან

„ჩვენ გვიყვარს თვალი მივადევნოთ მოძავალს, რადგან ის მკრთალი ნათელი, რაიც მასში აქა-იქ გაკრთება, ჩვენივე მშვიდი სურვილების შესაბამისად კეთილად მოვიხმაროთ“.

„ძნელია დიდძალ ხალხში მოხვედრისას არ ინატრო: რა იქნება შემთხვევამ, ამდენ ვინმეს რომ მოუყარა თავი, ჩვენი ტოლ-იწორებიც აქ მოგვგვარიანო“.

„რა განმარტოებითაც არ უნდა იცხოვრო, მოხედვას ვერ მოასწრებ და აღმოაჩენ, რომ ვინმეს მოვალე ანდა კრედიტორი ყოფილხარ“.

„შეხვდები თუ არა ადამიანს, ვისთვისაც სიკეთე გიქნია, უმალ გაგახსენდება შენი ნაქნარი მადლი, ხოლო თუ ისეთ ვინმეს შეხვდი, შენთვის სიკეთის ქნაში რომ მიუძღვის ღვაწლი, ფიქრადაც არ მოგდის ეს დაინახო“.

„აზრი გაიზიარო, ეს ბუნების მადლია, ხოლო გაზიარებულის იმად აღქმა, რასაც იგი სინამდვილეში მეტყველებს — განათლების ნიშანია“.

„ხალხში ბევრს არავინ ილაპარაკებდა, შეგნებული რომ ჰქონდეს, რა ხშირად ცუდად ესმის სხვების“.

„როცა სხვის ნათქვამს იმეორებენ და არასწორად გადმოსცემენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მცდარად გაუგიათ.“

„ათვალწუნებას იწვევს ყველა ის ადამიანი, ვინც დიდხანს ლაპარაკობს სხვების წინაშე და არ აამებს მსმენელი“.

„ყოველი გამოთქმული სიტყვა საწინააღმდეგო აზრს ბადებს. შეკამათება ან მაამებლობა ერთსა და იმავე დროს ცუდი ტონით წარმართავს საუბარს“.

„ყველაზე სასიამოვნოა ის საზოგადოება, რომლის წევრთა შორის ძალდაუტანებელი ურთიერთპატივისცემა სუფევს“.

„არაფერი ისე ცხადად არ განსაზღვრავს ადამიანის ხასიათს, ვიდრე იმის გამჟღავნება, რა მიაჩნია მას სასაცილოდ“.

„სასაცილოს ზნეობრივი კონტრასტი წარმოქმნის და იგი უწყინრად უკავშირდება გრძნობიერს“.

„მგრძნობიარე კაცი ხშირად იცინის მაშინ, როცა სასაცილო არაფერია, როგორადაც არ უნდა იყოს იგი ფრთაშესხმული, მაინც მისი შინაგანი სიამეა სამზეოზე გამოფენილი“.

„გამგები თითქმის ყველაფერში სასაცილოს ხედავს, ხოლო გონიერი თითქმის არაფერს მიიჩნევს ასეთად“.

„ერთ ხანშიშესულ კაცს უსაყვედურეს, სულ ახალგაზრდა ქალებში დაიარებიო. ეს ერთადერთი ხსნაა სიბერის წინააღმდეგ, სიბერე კი აბა ვის უნდაო, მიუგო მან“.

„ჩვენ ძალგვიძს სამდურავი ვთქვათ საკუთარ მანკიერებათა გამო, ავიტანოთ მისი გულისთვის რაღაც-რაღაცები, არც იმას დაგიდებთ არად, თუკი მისი გამო-

ისობით კარგადაც მოგვხვდება, მაგრამ მოთმინება გვღალატობს, როგორც კი მათი გადაჩვევის საჭიროება დადგება".

„ზოგიერთი ხინჯი აუცილებელიც კი არის ცალკეული პიროვნებების არსებობისთვის. ჩვენთვის უსიამოც იქნებოდა, თუკი ძველი შეგობრები უარს იტყოდნენ, რაც მათი თვითმყოფობის თავისებურებას ქმნის".

„იტყვიან ხოლმე ესა და ეს ადამიანი მალე მოკვდებიან, ოღონდ თავისი ცხოვრების ადათ-წესს გადაუხვევს".

„რანაირი ნაკლოვანებები შეიძლება შეინარჩუნო კაცმა, მეტსაც ვიტყვი, სულაც განავითარო საკუთარ თავში? ისეთები სხვებს რომ უფრო აამებს, ვიდრე გულს ატკენს".

„ვნება — ეს არის მანკიერება ანდა სათნოება, ოღონდ ამაღლებული".

„ჩვენი ვნებები ფენიქსივითაა, როგორც კი ძველი დაიწვება, უმალ ახალი აღდგება ფერფლიდან".

„ძლიერი ვნება უიმედო სენია. რასაც მისი განკურნება შეუძლია, სწორედ იგი ხდის მას სახიფათოს".

„ვნებას კიდეც აძლიერებს და კიდეც ასუსტებს განდობა. იქნებ ზომიერება არაფერში უფრო არ იყოს ისე სასურველი, ვიდრე მახლობელ ადამიანებთან საუბრისას გაჩენილ მინდობასა და დუმილში".

თავი მეხუთე

ლუციანემ კვლავაც თავის გარშემო მოაქცია წარჩინებულთა ოჯახების ხმაურიანი ცხოვრების გრიგალი. მისი ამალა დღითი დღე მატულობდა. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ის იყო, ბევრს აცოუნებდა და ხიბლავდა მისი ოინები, მეორეს მხრივ კი, იგი თავაზიანობისა და მოწყალე გულის გამო კეთილად განაწყობდა ყველას, უზომოდ ხელგაშლილი იყო. დიდი დეიდისა და საქმროს უსაზღვრო სიყვარულის წყალობით ერთბაშად აივსო აურაცხელი, მშვენიერი და ძვირად ღირებული ნივთებით და ამდენ ავლადიდებას იგი თითქოსდა თავის საკუთრებად არ თვლიდა, როგორც მოეპრიანებოდა, ისე აბნევდა, არ იცოდა რა ფასი იმ საგნებისა, მის გარშემო რომ დაეხვავებინა გახვებას. წამითაც არ შეეყოვნებულა, ისე მოიხსნა ერთხელ მხრებიდან ძვირფასი მოსასხამი და უბოძა ქალს, რომელიც სხვებთან შედარებით ხელმოკლედ ჩათვალა ღარიბული ჩაცმულობის გამო, და ეს ჟესტი ისე მკვირცხლად და ლამაზად გააკეთა, არავის აზრადაც არ მოსვლია, ხმა ამოეღო ამნაირ წყალობაზე. მისი ამალის ერთი მხლებელი მუდამ თან ატარებდა საფულეს და იგი ვალდებული იყო, სადაც არ უნდა ჩასულიყვნენ, ამ ქისიდან ყველგან გაეცა ფულადი საბოძვარი ღრმად მოხუცებულებსა თუ მძიმე ავადმყოფებზე, რომ წამიერად მაინც შეემსუბუქებინათ იმათი გაუსაძლისი ყოფა. ამ კეთილმოწყალებამ ლუციანეს დიდებული სახელი დაუგდო მთელს მხარეში. ბლახაკთა ამნაირი გამკითხაობა ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაშიაც აგდებდა. ისე რომ, ხშირად, თავი ველარ დაეღწია აბეზარი მათხოვრებისაგან.

მაგრამ არაფერს ისე არ გაუზრდია მისი სახელი და დიდება, როგორც ფრიად გამორჩეულ ყურადღებას ერთი უბედური ახალგაზრდა კაცისადმი, ვინც სახით ლამაზი და კარგი აღნაგობის კი იყო, მაგრამ ჯიუტად გაურბოდა ხალხში გამოჩე-

ნას, ვინაიდან მარჯვენა ხელი აღარ ჰქონდა, სრულიად ღირსეულად რომ დაეკარგა ბრძოლის ველზე. ეს ფიზიკური ზადი მას ძლიერ აღიზიანებდა, ბრაზი მოსდიოდა, ყოველი ახალი ნაცნობის გულისგამაწვრილებელ შეკითხვაზე პასუხი, რომ უნდა გაეცა დაკარგული ხელის თაობაზე. ყველაფერს ერჩივნა სადმე მარტო მიეუფულიყო და მხოლოდ წიგნების კითხვით თუ მსგავსი რამეებით გაერთო თავი. ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ გადაწყვიტა — არასდიდებით საქმე არ დაეჭირა ადამიანთა საკრებულოსთან.

ლუციანეს თვალს არ გამოჰპარვია ახალგაზრდა კაცის არსებობა, რომელიც სრულიად შემთხვევით გადაეყარა ჯერ ვიწრო, მერე უფრო ფართო წრეში, ბოლოს კი ყველაზე ხალხმრავალ საზოგადოებაშიც. ამ ახალგაზრდა კაცისადმი ლუციანე სხვებზე უფრო მეტ სითბოს იჩენდა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ დაქინებული მოკითხვითა და თავაზიანი მოპყრობით ამ კაცში სიამაყის გაღვიძებას მიაღწია თავისი დანაკარგის გამო და ცდილობდა ნაკლებ მტკივნეული გაეხადა მისთვის ეს დანაკარგი. სუფრაზე ყოველთვის მის გვერდით ჯდებოდა, კერძსაც თავისი ხელით ისე უჭრიდა, რომ კაცს მხოლოდ ჩანგლის ხმარებაღა დასჭირვებოდა. თუ ისე მოხდებოდა, რომ მის გვერდით ადგილს სხვა უფროსი ასაკისა თუ უფრო წარჩინებული გვარის ვინმე დაიკავებდა, ლუციანე შორიდანაც ახერხებდა მისთვის ყურადღება არ მოეკლო. ლაქიებს კი საშველს არ აძლევდა, დროზე მოემსახურეთო, რაკი თვითონ ასე შორი მანძილიდან ამის გაკეთება არ შეეძლო. ბოლოს და ბოლოს ლუციანემ ხეიბარსაც ჩააგონა მარცენა ხელით დაეწყო წერა, პირველი ცდები კი მისთვის ეჩვენებინა, უნდოდა ამ გზით მუდმივი კავშირი ჰქონოდა მასთან. ახალგაზრდა კაცს თვითონაც ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. აქედან მოყოლებული კაცის ცხოვრებაში მართლაც ახალი ხანა დაიწყო.

იქნებ გვეფიქრა, სარძლოს ამსაირი ქცევა სასიძოს ჭკუაში არ უჯდებაო. მაგრამ სულაც არა, ლუციანეს გულმოდგინება მას ძალიან მოსწონდა, პირიქით, დიდ ღირსებადაც თვლიდა და საერთოდ, სულაც არ ედარდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ კარგად იცნობდა მისი ხასიათის თავისებურებას, ყველაფერში გადაჭარბება რომ ჩვეოდა. მაგრამ სწორედ ამ თავისებურების წყალობით განირიდებდა მის ოდნავ უხერხულ ქცევასაც კი. ლუციანეს შეეძლო, როგორც მოეპრიანებოდა, ისე გაცუდლუტებოდა ყველას, ყველა შიშით მოეღოდა, საცაა დამეჯახება, თმას მომქაჩავს, დამაწიოკებს და რა მეშველებაო. მაგრამ არავინ აძლევდა თავს უფლებას სამაგიერო მიეზღო მისთვის, თვითნებურად თითსაც ვერავინ დააკარებდა, სხვებს ზნეობის უმკაცრესი საზღვრები უნდა დაეცვა, მაშინ როცა თვითონ ყოველ წუთს არღვევდა ამ საზღვრებს.

გეგონებოდა, წესად დაუდევს ქებაც და ძაგებაც, სიმპათიაც და ანტიპატიაც თანაბრად გამოიწვიოსო. როგორღაც გამოსდიოდა ადამიანების გულის მოგება, მაგრამ უმალ აფუჭებდა საქმეს თავისი დაუნდობელი და გესლიანი ენით, არავის რომ არ ინდობდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო სტუმრად ახლო სამეზობლოში, რა გულითაც არ უნდა მიეღოთ იგი თავისი ამალით ციხე-დარბაზებსა თუ სამყოფებში, ყველა მოგზაურობა იმით მთავრდებოდა, რომ დაბრუნებისას უზომო თავშეუკავებლობას იჩენდა, ყველანაირ ადამიანურ ურთიერთობას სასაცილოდ ხდიდა და მასპინძლებისადმი სხვებსაც მისებურად განაწყობდა. იგი აბუჩად იგდებდა სამ ძმას, თავაზიანად რომ უთმობდნენ გზას ერთმანეთს: არა ჯერ შენ ითხოვე ცოლი და მერე მეო, ვიდრემდე სიბერე არ შემოეპარათ. ან კიდევ, ახალგაზრდა ტანმორჩილ ქალს აქილიკებდა თავისი აყლაყუდა ბებერი ქმრის

გამო. დასცინოდა მკვირცხლ ქონდრისკაც ქმარსა და მის უსაშველოდ ბუმბერაზ ცოლს. იგი ენაკვიმატობდა ერთ მრავალშვილიან ოჯახზე, სადაც კი ფეხს გადაადგამ ყველგან ბავშვს შეეფეთებიო, ასევე ავყიალობდა ერთ ოჯახზე, ბავშვს წამლადაც ვერ ნახავო. იგი ოხუნჯობდა მოხუც ცოლ-ქმარზე, დროა მალე იმ ქვეყანას გაუდგნენ, იქნებ მალე მათ ფუძე-კარში მხიარულებამ დაბრუნდეს, მით უფრო, რომ ნაცნობი მემკვიდრეც არა ჰყავთ, არც ახლად დაქორწინებულებს აკლებდა მისებურ გესლს, სულ სამოგზაუროდ წასვლაზე უჭირავთ თვალი, რაკი საოჯახო მეურნეობას გულს ვერ უდებდნენ. ლუციანე ადამიანებს ეყურებდა როგორც ნივთებს, ხოლო შენობებს როგორც საოჯახო თუ სუფრის ჭურჭლეულობას. მეტადრე კედლის მორთულობა იწვევდა მის დამცინავ შენიშვნებს, უძველესი გობელინი იქნებოდა ეს თუ ქალალდის ახალგაკრული შპალერი, ოჯახისათვის მეტად საპატიო პორტრეტი თუ ქარაფშუტული თანამედროვე გრავიურა. ყველაფრის განქიქება ძალუძდა მის უკბილმართ ენას. საკვირველი ის იყო, ხუთი მილის მანძილზე თუ გარეშემო რაიმე შეუმჩნეველი და უოქმელი არაფერი რჩებოდა მის მკვახე და მწარე ენას.

კაცმა რომ თქვას, ლუციანეს ყველაფრის ასეთი განქიქება ბოროტებით არ მოსდიოდა. უბრალოდ თავის თავში შეყვარებული ადამიანის აცელქება თუ იყო მისი ამ ცთუნების მიზეზი, თუმცა კი ოტილიესადმი იგი აშკარა გააფთრებას იჩენდა. ლუციანე ვერ იტანდა ამ სანუკვარი გოგონას ჩუმ, განუწყვეტელ რეფლექსებს, რასაც ყველა ამჩნევდა და რის გამოც ქებით მოიხსენიებდნენ, რა სათუთად უვლის ბაღებსა და სამბურებსო. ლუციანე გაიკვირვებდა—კი მაგრამ, თუ ეს ასეა, ყვავილები სადღა არისო, თითქოსდა არც ახსოვდა, ახლა რომ შუა ზამთარი იყო, რადგან თეთრონ არაფერს ერიდებოდა, ერთხელაც ოთახებისა და მაგიდების მოსართავ-გასალამაზებლად შემორჩენილი მწვანე ნარგავები ტოტებიანად დაატეხინა და მთელი წალკოტი მთლად გაახანგა. ოტილიეს და მებაღეს დიდად ეტკინათ გული, როცა გაფერანებული ბაღი ნახეს და სულ დაკარგეს იმედი, მომავალ წელს კი არადა, კარგა ხნის შემდეგაც ველარ ველირსებით აყვავებული წალკოტის ხილვასო.

ლუციანე მოსვენებას არ აძლევდა ოტილიეს, ხელს უშლიდა მშვიდად სწეოდა საოჯახო საქმეებს, ასე მარჯვედ რომ ართმევდა თავს. ლუციანეს ახირებით ოტილიეს უსათუოდ უნდა მიეღო მონაწილეობა მხიარულ მოგზაურობებსა და ცეკვურებით სრიალში, უთუოდ უნდა სწვეოდა მეზობელ სათავადოებში მოწყობილ მასკარადებს, არ უნდა შინებოდა არც თოვლისა და არც ყინვის, არც ღამით ამოვარდნილ ქარიშხალს უნდა დაეფრთხო, თუ ამით სხვები არ კვდებიან, არც შენ მოკვდებიო — ეუბნებოდა. ნაზი გოგონა ძალზე წუხდა ამის გამო, ლუციანე კი ინუნშიაც არ ეგდებოდა მის წუხილს, თუმცა ამ შეუბრალებლობას მისთვის დიდი ხეირი არ დაუყრია. ოტილიე თავის სადა ჩაცმულობის მიუხედავად, ყველას, მით უფრო მამაკაცებს, ყველაზე ლამაზ გოგოდ მიაჩნდათ. მისი უჩუმარი ხიბლი თავის გარშემო შემოიკრებდა მამაკაცების გუნდს, სულ ერთი იყო, სხვაგან იჯდა თუ დიდ დარბაზში, ლუციანეს საქმროც ხშირად საუბრობდა მასთან, უფრო იმიტომ, რომ მისი რჩევა-დარიგება სჭირდებოდა ერთ წამოწყებაში, რომელსაც ყველა გაეტაცებინა.

ბარონი ახლოს გაეცნო არქიტექტორს, დიდხანს ესაუბრა ისტორიულ თემებზე მის მხატვრულ კოლექციასთან დაკავშრებით, ხოლო ეკლესიის მიმდებარე ეზოტერის დათვალიერებისას უფრო მეტად დარწმუნდა მის ნიჭში. ბარონი ახალგაზრდა იყო და მდიდარი. ისიც აგროვებდა კოლექციას, მასაც სურდა შენება,

ხელოვნებისადმი ბარონის სიყვარული ძლიერი იყო, თუმცა მის ცოდნაში კი ეჭვიანობდა. როგორც კი არქიტექტორი გაიცხო, უმალ მიხვდა, რომ მისი მეშვეობით დასახულ მიზანს მიაღწევდა და თავისი განზრახვა საცილეს გაანდო. ლუციანეს მოეწონა საქმრის ეადაწყვეტილება, კმაყოფილი დარჩა მისი თქვეთ, ოღონდ ოტილიე ჩამოეცილებინა გზიდან და სხვა რა უნდოდა, რაც ახალგაზრდა კაცს გოგონასადმი ლტოლვა შეატყო. ლუციანეს უნდოდა არქიტექტორის ნიჭი თავისი ზრახვების ხორცშესასხმელად მოეხმარებინა. არქიტექტორმა არაერთხელ მიიღო მონაწილეობა ლუციანეს იმპროვიზირებულ დღესასწაულში და არცთუ პატარა გამომგონებლური ნიჭი გამოავლინა. ლუციანეს მაინც ეჯიუტად სჯეროდა, მე უკეთ ვერკვევი ყველაფერშიო. არადა, ყველა მისეული გამონაგონი ტრივიალური იყო და მათ განსახორციელებლად მოხერხებული და მარჯვე კამერდინერის მცირე ნიჭიც კმარიდა, ვიდრე ყველაზე გამოჩენებული მხატვრისა. როცა ლუციანე ვინმესათვის სიამის მინიჭებასა და დაბადების დღისა თუ სხვა ღირსშესანიშნავი მოვლენების საზეიმოდ აღნიშვნას ისურვებდა, მისი ფანტაზია არ მიდიოდა სამსხვერპლოს იქით, რაზეც მსხვერპლშეწირვა სრულდებოდა, ანდა გვირგვინს იქით, რაიც თაბაშირისაგან გაკეთებულსა თუ ცოცხალ არსებას ედგა თავზე.

ოტილიეს შეეძლო ლუციანეს საქმრისათვის მიეწოდებინა ყოვლად დადებითი ცნობები არქიტექტორის შესახებ. ოტილიემ დაწვრილებით იცოდა მისი დამოკიდებულება ედუარდის ოჯახთან, იცოდა, რომ შარლოტე წინათაც ცდილა არქიტექტორისათვის სამსახურის შოვნას, რადგან ახალგაზრდა კაცი ზამთრობით თითქმის უმუშევარი რჩებოდა, რადგან ამ დროს ყველანაირი მშენებლობა წყდებოდა, და თუ სტუმრები არ იყვნენ, სამუშაოს დამთავრებისთანავე მუდამ თავის ეგზეტერში განმარტოება უწევდა. ამიტომაც ერთობ სასურველი იყო, თუ ახალი მფარველი ამ დიდოსტატ მხატვარს თავის შესაფერის საქმეს გამოუნახავდა და ამით მის ნიჭს გზას მისცემდა.

არქიტექტორისადმი ოტილიეს პირადი დამოკიდებულება საკვლებით წმინდა იყო და უზაკველი. ამ კეთილსასურველი და საქმიანი კაცის აქ ყოფნა მას კიდეც ართობდა და კიდეც ახარებდა, ვითარცა უფროსი ძმის სიახლოვე. მისი გრძნობები არქიტექტორის მიმართ სისხლით ნათესაობის წყნარ და უენებო საზღვრებს არ სცილდებოდა, რადგან გულში მას სხვისთვის უკვე ადგილი აღარ ჰქონდა. იგი მთლიანად ედუარდისადმი სიყვარულს შეეპყრო ღ მხოლოდ ყოვლისშემქმნელ ღმერთს თუ ძალუძდა მის გულს ედუარდის ბადლად დაუფლებოდა.

ამასობაში კი, რაც უფრო ძალას იკრებდა ზამთარი, რაც უფრო სუსხიანი ხდებოდა ამინდი, რაც უფრო გაუვალი იყო გზები, მით უფრო მიმზიდველი და საამო ხდებოდა ამ შესანიშნავ საკრებულოში ზამთრის მოკლე დღეების გატარება. ხანმოკლე შესვენების შემდეგ მათ კვლავ შემოეჭრათ სტუმართა აჩალი ნაკადი. სასახლისაკენ გამოემართნენ ოფიცრები შორეული გარნიზონებიდან, განათლებულები იმათ შორის ძეტად საშურნი იყვნენ, ხოლო გაუთლელები და უხეშები — არცთუ სასიამოვნო საზოგადოებისათვის. სასახლეს არც სამოქალაქო პირები აკლდნენ, ერთ მშვენიერ დღეს კი, სრულიად მოულოდნელად, გრაფი და ბარონესა ჩამოვიდნენ.

იმათმა ჩამოსვლამ ნამდვილი სასახლის გარემო შექმნა. წარჩინებული და სოლიდური წარმომავლობის მამაკაცები გრაფს შემოეხვივნენ, ხოლო ბანოვანებმა ბარონესას მიაგეს პატივი. მასპინძლები ერთხანს გაკვირვებული დარჩნენ, რომ ისინი კვლავ ერთად ჩამოვიდნენ და მხიარულ გუნებაზე იყვნენ. მაგრამ ეს

გაკვირვება დიდხანს არ გაგრძელებულა, სტუმრებმა მოსვლისთანავე აცნობეს დარბაზში თავშეყრილებს, რომ გრაფის მეუღლე გარდაიცვალა და როგორც კი მიღებული წესების თანახმად ამის შესაძლებლობა ექნებათ, ისინი უმალ იქორწინებდნენ. ოტილიეს მოაგონდა მათი პირველი ჩამოსვლა, მათი აზრები, ქორწინება-განქორწინებას, შეყვარებულთა შეყრა-გაყრას, იმედ-უიმედობას რომ შეეხებოდნენ. ეს ორი ადამიანი, რომელიც მაშინ არაფერს ბრალ-დაგოლქვდა, არაფერს უწევდა ანგარიშს, ამჟამად ისე ახლო იყო ნანატრ ბედნიერებასთან, რომ ოტილიეს უნებლიეთ მკერდიდან ოხვრა ამოხდა.

ლუციანემ, როგორც კი შეიტყო, გრაფი მუსიკის მოყვარულიაო, სასწრაფოდ კონცერტის გამართვა განიზრახა. თვითონვე უნდოდა გიტარის თანხლებით სიმღერა. ასეც მოხდა. გიტარაზე ლუციანე ცუდად არ უკრავდა, ხმაც სასიამოვნო ჰქონდა, ოღონდ ეს არის, ძნელი იყო სიმღერისას წარმოთქმული სიტყვების გარჩევა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, როცა გერმანელი ლამაზმანი გიტარაზე ლექსს ამღერებს, მაგრამ რატომღაც ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი დიდი გრძნობით ასრულებდა სიმღერას და მქუხარე ტაშითაც აჯილდოვებდნენ. გარდა ამისა ლუციანეს ერთი უცნაური მარცხი შეემთხვა. სტუმართა შორის იმყოფებოდა პოეტი, ვისი გულის მოგებაც ლუციანეს ძალიან უნდოდა იმ იმედით, რომ პოეტი მას ლექსებს მიუძღვნიდა. ამიტომაც იმ საღამოს იგი უმთავრესად მისი ლექსების ტექსტებზე დაწერილ რომანსებს მღეროდა. პოეტი სხვებივით დიდ თავაზიანობას იჩენდა მისადმი, მაგრამ ლუციანე უფრო მეტს ითხოვდა. მან არაერთხელ აგრძნობინა პოეტს თავისი სურვილი, მაგრამ ვერას გახდა, ბოლოს კი მოთმინებადაკარგულმა ერთი კარისკაცი მიუგზავნა: გამიგე, თუ მოსწონს მის საუცხოო ლექსებს ასე საუცხოოდ რომ ვასრულებო.

„ჩემი ლექსებიო?! — გაოცებით მიუგო მან კარისკაცს, — მაპატიეთ, ჩემო ბატონო, მაგრამ, — განაგრძო მან, — თანხმოვნების გარდა არაფერი გამიგონია, ამის მიუხედავად მაინც ჩემს მოვალეობად ვთვლი მადლობა მოგახსენოთ თავაზიანობისათვის.“

კარისკაცს ენა ჩაუვარდა. პოეტი კი შეეცადა ქათინაურებით დაეძვრინა თავი ამ უხერხულობისაგან. ლუციანემ არც აცივა, არც აცხელა და სრულიად არაორაზროვნად აუწყა პოეტს თქვენგან მოძღვნილი, საგანგებოდ ჩემთვის დაწერილი ლექსები მინდაო. პოეტმა მიუგო, თუ ურიგობაში არ ჩამეთვლება, მზად ვარ ანბანი გიბოძოთ და, როგორც გენებოთ, ისე შეთხზეთ, სახოტბო სიმღერა თქვენთვის სასურველ მელოდიაზეო. ლუციანე წყენასა და შეურაცხყოფას მაინც ვერ გადაურჩა, რადგან მალე შეიტყო, რომ სწორედ იმ საღამოს დაწერა პოეტმა ოტილიეს ერთ-ერთ საყვარელ მელოდიაზე შესანიშნავი ლექსი რომელიც უბრალო თავაზიანობაზე უფრო მეტს ნიშნავდა.

ლუციანესნაირი ადამიანი ვერ არჩევს და ერთმანეთში ურევს, რა ხელეწიფება და რა არა, და კვლავ ისურვა ბედი დეკლამაციაშიც ესინჯა. მეხსიერება კარგი ჰქონდა, მაგრამ, გულახდილად თუ ვიტყვი, ფიცხი და უსულგული კითხვა იცოდა, თან მის პათოსში ვნების ნატამალიც არ იგრძნობოდა. იგი კითხულობდა ბალადებს, მოთხრობებს და ყველაფერს, რაც კი ჩვეულებრივ დეკლამატორთა კრებულებში იბეჭდებოდა. ამასთანავე ერთი უკუღმართი ჩვევაც ჰქონდა, კითხვისას ხელებსაც იშველიებდა, რის გამოც საკუთრივ ეპიური და ლირიული ნაწყვეტები კი არ ერწყმოდა დრამატულ ელემენტს, არამედ უსიამოვნოდ შერეოდა ერთმანეთს.

გრაფი გაგებული კაცი იყო და სწრაფად აუღო ალღო სასახლის მიდრეკილებ-

ებს, ვნებებსა და გასარსიობებს, თანაც არ ვიცი, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ლუციანეს ის აზრი ჩააგონა, რომ მუდამ ერთფეროვან წარმოდგენებში ეთამაშა, რაც უფრო შეესატყვისებოდა მის პიროვნებას.

მან უთხრა: „მე აქ იმდენ მშვენიერ პიროვნებას ვხედავ, ვგონებ, იმათ არ გაუჭირდეთ ნაირ-ნაირი მხატვრული პოზებისა და მოძრაობების მიდევნება, ნუთუ არ გიცდიათ ცნობილი და რეალურად არსებული ნახატების წარმოდგენა ასეთი რამ, მართალია, დიდ მომზადებას მოითხოვს, სამაგიეროდ თავისი სიტურფითაა შეუდარებელი“.

ლუციანემ სწრაფად მოისაზრა, აქ მთლიანად ჩემს სტიქიაში ვიქნებიო. მისი ბრწყინვალე აღნაგობა, დიდებული გარეგნობა, სახის სწორი და მეტყველი ნაკვთები, ღია წაბლისფერი ნაწნავები, მაღალი ყელი —ეს ყველაფერი თითქოს ნახატისათვის იყო შექმნილი. მოძრაობისას მის მიხრა-მოხრაში რაღაც არაგრაციოზული გამოკრთოდა. და რომ სცოდნოდა მოძრაობაზე მეტად სტატიკურ მდგომარეობაში ყოფნა უხდებოდა, კიდევ უფრო დიდის გატაცებით მიჰყოფდა ხელს ცოცხალ პლასტიკას.

ყველა შეუდგა ცნობილი სურათების ამსახველი გრავიურების ძიებას, არჩევანი პირველ რიგში შეაჩერეს ვან-დეიკის ფერწერულ ტილოზე — „ბელიზარი“. მაღალი და ლამაზი ტანის არცთუ მთლად ახალგაზრდა მამაკაცს უნდა განესახიერებინა ბრძა მხედართმთავარი, ხოლო არქიტექტორს — მის წინაშე მდგარი, ბინდამი სევდიანი თანაგრძნობით განწყობილი მეომარი, ვისაც იგი რაღაცნაირად ჰგავდა კიდეც. ლუციანემ კი აირჩია საკმაოდ მოკრძალებული როლი ყმაწვილი ქალისა, რომელიც უკანა მხარეს დგას და უხვად გასცემს მოწყალებას ხელისგულზე დადებული საფულიდან. იქვე მდგარი მოხუცი ქალი კი ჭკუას არიგებს, რად გინდა ასე უანგარიშო ფლანგვაო. სურათში მონაწილეობს კიდევ ერთი ქალი, ვინც ბელიზარს მოწყალებას უბოძებს და რომელიც ერთობ დაუვიწყარია.

ამ სურათით და სხვა მსგავსი წარმოდგენებით სერიოზულად გაერთნენ. ხოლო მათი დადგმის თაობაზე გრაფმა რაღაც მითითებები მისცა არქიტექტორს, რომელმაც სასწრაფოდ იზრუნა სცენასა და განათების მოწყობაზე. ამასთან დაკავშირებით ბევრი რამ კი მოამზადდა, მაგრამ ისიც ცხადი გახდა, რომ ასეთი წამოწყებები უამრავ ხარჯს მოითხოვდა. თანაც სოფლად, ისიც ზამთრის პირობებში, შეუძლებელი იყო რაღაც აუცილებელი საგნების შოვნა. ლუციანე კი ვერანაირ შეფერხებებს ვერ იტანდა, ლამის მთელი თავისი გარდერობი შესწირა მსხვერპლად ნაირ-ნაირ კოსტუმებს. კოსტუმთა ესკიზები კი საკმაოდ თვითნებურად მოიაზრა მხატვარმა.

და აი, დადგა საღამოც. მრავალრიცხოვან მაყურებელთა სავსე დარბაზში შესრულდა ცოცხალი ნახატების წარმოდგენები, რამაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. შესანიშნავმა მუსიკამ მოლოდინს გადააჭარბა. სპექტაკლი გაიხსნა „ბელიზარით“. წარმოდგენილი სახეები ისე შესანიშნავი აღმოჩნდა, ფერები ისე კარგად შეირჩა, განათებაც ისე ოსტატური იყო, რომ მართლაც სხვა სამყაროში გვგონებოდა თავი და ილუზია კი არა, არამედ თითქოს ცოცხალი ხინამდვილე ბადებდა რაღაც შიშნარევ გრძნობას.

ფარდა დაეშვა, მაგრამ მაყურებელთა დაჟინებული მოთხოვნით იგი კიდევ არაერთხელ ასწიეს. მუსიკალურმა ინტერმედიამ შეიქცია მსმენელები, რომლებიც ამჯერად უფრო ამაღლებული ხანახობის სახილველად ემზადებოდნენ, ეს იყო პუსენის ცნობილი სურათი „აღასფერი და ესთერი“. ამჯერად ლუციანე კი-

დევ უფრო მეტად გაისარჯა. იგი სრული მომხიბვლელობით განასახიერებდა გულშეღონებული დედოფლის პოზას, ჭკვიანურად მოიფიქრა თავის გარშემო მშვენიერი და ტანკენარი გოგონები შემოეკრიბა, თუმცა ვერც ერთი იმათგანი შეტოქეობას ვერ გაუწევდა, ოტილიეს მონაწილეობა კი სრულიად გამოირიცხა როგორც ამ სურათში, ასევე სხვა წარმოდგენებშიც. მეფის როლში გამოდიოდა ყველაზე ტანადი და ყველაზე ლამაზი მამაკაცი მთელს [illegible] ვიესაც ზევსის დარად მოერთხა ფეხი ოქროს ტახტზე. ასე რომ ეს სურათიც შეუდარებელი სრულქმნილებით გამოირჩეოდა.

მესამე წარმოდგენა „ტერბურგის მამობრივი დარიგება" იყო, ვინ არ იცის ეს ნახატი ჩვენი ვილეს დიდებული გრავიურის მიხედვით. აი, ფეხიფეხზე გადადებული ზის წარჩინებული გვარის რაინდი მამა და, ეტყობა, რჩევა-დარიგებას აძლევს მის წინ მდგომარე ასულს. ქალწულის დიდებული გარეგნობა მრავალნაკეციან თეთრი ატლასის კაბაში მხოლოდ ზურგიდან მოჩანს, მაგრამ ყველა ამჩნევს, რომ იგი ღელავს. მამის შეგონება ნამდვილად არ არის უხეში და შეურაცხმყოფელი, რაც ნათლად აღბეჭდილა მის სახეზე და პოზაში. ხოლო რაც შეეხება დედას, იგი ცოტათი დარცხვენილი ჩანს და რაღაცნაირად ფარავს ამ სირცხვილს, როცა ღვინით სავსე ჭიქაში იცქირება და ემზადება მოსვას იგი.

ამ სურათში ლუციანე მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოჩნდა. მას საოცრად მშვენიერი ნაწნავები ჰქონდა. ასევე მშვენიერი თავი, ყელი, კინწი, ჰოდა, ამ ტანკენარი ქალის წვრილი წელი, რაც ასე იშვიათად გამოიკვეთება ხოლმე თანამედროვე ანტიკური სტილის კაბებში, ძველი კოსტიუმების წყალობით განსაკუთრებით წარმტაცი ჩანდა. გარდა ამისა არქიტექტორმაც საგანგებოდ იზრუნა იმისათვის, რომ თეთრი ატლასის ფუშფუშა ნაკეცებიან კაბას უაღრესად დახვეწილი ბუნებრიობა ჰქონოდა. ასე რომ, გაცოცხლებულმა ასლმა, ეჭვგარეშეა, ორიგინალს უოუოდ ავჯობა და საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. მაყურებელთა დარბაზი უსასრულოდ ითხოვდა სცენის განმეორებას, თან ბუნებრივი სურვილი გაუჩნდათ, სახეზე შეეხედათ ძომხიბვლელი არსებისათვის, რომლის ზურგიდან ცქერა, ეტყობა, მოიგზრდათ. ვილაც მხიარულმა და სულსწრაფმა ოხუნჯმა, ყველა სტუმრის უაღრესი კმაყოფილების გამოსახატავად, ხმამაღლა წამოიძახა სიტყვები, რასაც ხშირად წერილის ბოლო გვერდზე მიაწერენ ხოლმე: Tournez s'ic vous plait! რამაც საერთო მიწოლება დაიმსახურა. მაგრამ შემსრულებლებმა ერთიბ კარგად იცოდნენ თავიანთი უპირატესობა და ამ ფოკუსის მნიშვნელობა, ასე რომ საერთო სურვილს ყური არ ათხოვეს — ვითომ დარცხვენილი ასული კვლავ მშვიდად იდგა, არადა არ აღირსა მაყურებელთა დარბაზს პირით მობრუნება, მამა ძველებურად იჯდა დამრიგებლის პოზაში, ხოლო ღეო თვალს არ აშორებდა გამჭვირვალე ჭიქას, საიდანაც თითქოს ღვინის სვამდა, თუმცა ჭიქა მაინც სავსე რჩებოდა. ამის შემდეგ განა ღირს სიტყვა გავაგრძელო უფრო ნაკლები მნიშვნელობის სურათებზე, რისთვისაც აერჩიათ ნიდერლანდელი ოსტატების სხვადასხვა სცენები, რომლებიც ღვინის დუქნებსა და ბაზრობებს ასახავდნენ.

გრაფი და ბარონესა გაემგზავრნენ, მასპინძლებს კი დაჰპირდნენ ერთ-ორ კვირაში კვლავ გეწვევით, როგორც კი ვიქორწინებთ და ბედნიერებას ვიწვევთ უახლოეს მომავალშიო. ორი თვის დამქანცველი სტუმრიანობით ილაჯგაწყვეტილ შარლოტეს იმედი მოეცა, ბოლოს და ბოლოს დანარჩენ სტუმრებსაც მოვიცილებო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი ასული ბედნიერი იქნებოდა, როგორც კი სიყმაწვილის დამათრობელი ხანა გაივლიდა და ამჟამინდელი ჭირვეული სა-

სძლო ცოლი ვახდებოდა. სასიძო კი თავს უბედნიერეს კაცად თვლიდა ამ ქვეყანაზე. იგი დიდძალი ქონებისა და არცთუ დიდი ჭკუის კაცი იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ეტყობა, რაღაც უცნაურ სიამაყეს გრძნობდა, რომ ცოლად უნდა მოეყვანა ქალი, რომელიც ბრწყინვალე საზოგადოებას აშკარად მოსწონდა. იგი იმდენად შეეჩვია ყველაფერი ლუციანესთან დაეკავშირებინა, საკუთარ თავთან მიმართებაც კი, რომ უსიამო განცდა ეუფლებოდა, თუკი ახალგაზრდა ტუმარი მოელს გულისყურს არ მიაგებდა მის საცოლეს და მისი ღირსებების შეუცნობლადაც ეცდებოდა თვითონ დაახლოებოდა სასიძოს, როგორც ამას ხშირად სჩადიან ასაკით უფროსები, რომლებმაც იციან კარგი თვისებების ფასი. ხოლო რაც შეეხება არქიტექტორს, მისი საქმეც მალე მოგვარდა. იგი საახალწლოდ უნდა სწვეოდა მათ და კარნავალი მოეწყო, რომელშიც ლუციანე მიიღებდა მონაწილეობას. იგი წინასწარ გახიცდიდა იმ ნეტარებას, აქ ასე ბრწყინვალედ დადგმული ცოცხალი ნახატების ხელახალი წარმოდგენა რომ გამოიწვევდა. გარდა ამისა ათასი სხვა სიამეც ელოდა მას მომავალში, მით უმეტეს, რომ ბებია და საქმრო არას დაგიდევდნენ ხარჯებს, ოღონდ კი ლუციანეს ელხინა და ემხიარულა.

მოვიდა განშორების დრო, მაგრამ იგი ჩვეულებრივი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. სტუმრები ხმამაღლა ოხუნჯობდნენ—შარლოტეს ზამთრის მარაგი ხომ სწრაფად დავანელეთო. ანაზდად ბელიზარის შემსრულებელმა საკმაოდ მდიდარმა კაცმა და ლუციანეს ძველმა თაყვანისმცემელმა, მისი მშვენებით მოხიბლულმა, ცხელ გულზე წამოიძახა: მოდით პოლონური ჩვეულების თანახმად ჩემსას წამოდით და ახლა მე შემსვით და შემჭამეთ, მერე კი ქვეყანა შემოვიარეთო. ეს ითქვა და შესრულდა კიდეც. ლუციანემ თანხმობის ნიშნად ხელი ხელს შემოჰკრა. მეორე დღეს ბარგი-ბარხანა ჩაალაგეს და ფრინველების გუნდი სხვა მამულში გადაფრინდა. სივრცე იქაც საკმარისი იყო ოღონდ კეთილმოწყობა და სიმყუდროვე აკლდა იქაურობას. ამიტომაც გამოტყვრა ათასნაირი ურიგობანი, რამაც ლუციანე კი არ დაამწუხრა, არამედ გუნებაზე მოიყვანა. ცხოვრება თანდათან სულ უფრო თავაშვებული და აღვირახსნილი გახდა. ღრმად დადებულ თოვლზე ძაღლებით ნადირობა მოაწყვეს და უფრო ძნელ გასართობებსაც მიმართეს. მამაკაცები კი არა, ქალებიც არ იხევდნენ უკან და ცხენებით მონაწილეობდნენ ამ თამაშობებში. მთელი კამპანია მამულ-მამულ მომთაბარეობდა ხმაურითა და ჭრიამულით, არც ნადირობას იკლებდნენ და არც ცხენებით ჯირითსა თუ მარხილებით ცეკვობას, ვიდრე ბოლოს რეზიდენციას არ მიუახლოვდნენ და სხვა მიმართულება არ მიეცა ფანტაზიას სასახლესა და ქალაქს დალხენილი ყოფის შესახებ მონაყოლ ამბებში, ჰოდა, ლუციანემ და მისმა ამალამ სულ სხვანაირი ცხოვრება დაიწყეს.

ოტილიეს დღიურიდან

„მაღალ საზოგადოებაში მოხვედრილ ყოველ ადამიანს იმად აღიქვამენ, როგორადაც იგი საკუთარ თავს აჩვენებს, მხოლოდ ეს არის, რომ თითოეული უსათუოდ რაღაცას უნდა წარმოადგენდეს. შეუფერებელს უფრო ითმენენ, ვიდრე უმნიშვნელო ვინმეს.“

„საზოგადოებას შეიძლება ყველაფერი თავს მოახვიო, გარდა იმისა, რასაც შედეგი მოჰყვება“.

„ძნელი შესატყობია, რანი არიან ადამიანები, როცა ისინი ჩვენსას მოდიან სტუმრად, ეს რომ გავიგოთ, თვითონ უნდა ვესტუმროთ მათ“.

„ლამის ბუნებრივად მიგვაჩნია, ჩვენთან სტუმრად მოსულებს გულში რომ ვკიცხავთ ხოლმე რაიმე ცუდის გამო და, როგორც კი ისინი თვალს მიეფარებიან, უმალ მოვყვებით მათ განსჯას, თანაც არცთუ ხალისიანად, ~~ბოდვას ასე ეთქვათ~~, უფლება გვაქვს ყველაფერი ჩვენივ საზომით გავზომოთ, ~~თვით გონიერნი~~ და შემწყნარე ადამიანებიც კი ძნელად განერიდებიან ამ შემთხვევაში მძაფრ რეაქციას“.

„ხოლო როცა პირიქით ხდება და შენ თვითონ ხარ სტუმრად, როცა სხვა გარემოცვაში აკვირდები ადამიანებს, მათი ჩვეული ადათ-წესების დაცვისას, მათთვის გარდაუვალ და ბუნებრივ პირობებში, აშკარად დაინახავ, რა ზემოქმედებას ახდენენ ისინი თავის გარშემო მყოფებზე ანდა როგორ ემორჩილებიან მათ. შენ კი ხან გაუგებრად, ხანაც ბოროტი ნების კარნახით სასაცილოდ გიჩანს მათი ის თვისებები, რაც სხვებთან მიმართებაში იქნებ პატივისცემის ღირსადაც კი ჩაგვეთვალა“.

„თავის დაჭერა და კეთილი ზნე რასაც ჰქვია, ამას ეგებ მიაღწიო, ოღონდ ძალდატანებით, თანაც ყოველთვის არა“.

„მშვენიერ სქესთან ურთიერთობის ნიჭი კეთილი ზნეობის სტიქიაა“.

„რანაირად შეიძლება ადამიანის ხასიათი და თავისებურება მისსავე ცხოვრების წესს შეუთვისდეს“.

„პიროვნების თავისებურება მისივე ცხოვრების წესში უნდა გამჟღავნდეს. ყველას სურს მნიშვნელოვან ვინმეს წარმოადგენდეს, ოღონდ ეს მნიშვნელოვნება უხერხულობას არ უნდა ქმნიდეს“.

„განათლებულ ჯარისკაცს ვეებეროელა უპირატესობა აქვს როგორც ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებაშიც“.

„უხეში მეომრებიც უკიდურეს შემთხვევაში თავიანთ საქმეს აკეთებენ, რამდენადაც ძალის მიღმა გულკეთილობა იმალება, გაჭირვების დროს ამასაც შეიძლება კაცმა გაუძლოს“.

„არავინ არის უფრო აუტანელი, ვიდრე გაუთლელი სამოქალაქო პირი. მისგან შეგეძლო სიფაქიზე მოგეთხოვა, რადგან არანაირ უხეშობასთან საქმე არა აქვს“.

„როცა ერთ ჭერქვეშ ცხოვრობ ზრდილობისადმი ფაქიზი გრძნობის მქონე ადამიანთან, სულ გეშინია, ურიგო რამ არ მოხდესო. აი, მე მუდამ ვწუხვარ შარლოტეს გამო, როცა ვინმე სკამზე ფეხებს აქანავებს, რასაც იგი საშინლად ვერ იტანს“.

„ცხვირზე დადებული სათვალით თავის ღღეში არავინ შევიდოდა ინტიმური გარემოცვის ოთახში, რომ იცოდეს, რაოდენ გვიქრება ქალებს მათი შეხედვისა და მათთან საუბრის სურვილიც კი“.

„მოკრძალების ადგილზე ყამილარობის გამოჩენა მეტად სასაცილოა. მისალმებისას ქუდის ოდნავ მოხდას მოერიდებოდა კაცი, რომ იცოდეს, რაოდენ სასაცილო მდგომარეობაში აგდებს ასეთი ქცევა“.

„არ არსებობს გარეგნული ნიშანი ზრდილობისა, რომელსაც ღრმა ზნეობრივი საფუძველი არ ჰქონდეს. სწორი აღზრდა კი იმას ნიშნავს, ერთდროულად გვასწავლოს ეს ნიშანიც და მოგვცეს საფუძველიც“.

„ყოფაქცევა არის სარკე, რომელშიც თითოეული თავის თავს გვიჩვენებს“.

„არსებობს გულისხმიერი ზრდილობა, იგი სიყვარულს ენათესაება, აქედან აღმოცენდება უმშვენიერესი დახვეწილობა გარეგნული თავდაჭერისა“.

„ნებაყოფლობითი ურთიერთდამოკიდებულება დიდებული მდგომარეობაა და როგორ შეიძლება იგი უსიყვარულო იყოს“.

„არასოდეს ისე შორს არა ვართ ჩვენი სურვილისაგან, ვიდრე იმ წუთში, როცა გვგონია, თითქოს სასურველს მივაღწიეთ. არ იყო თავისუფალი და გეგონოს, თითქოს თავისუფალი ხარ, უკიდურესი მონობაა“.

„საკმარისია გამოაცხადო, თავისუფალი ვარო, უმალ სხვაზე დამოკიდებულად იგრძნობ თავს, ხოლო თუ ჩათვლი, სხვაზე დამოკიდებული ვარო, იქვე თავისუფალი გგონია თავი“.

„სხვათა უპირატესობებისაგან ერთადერთი ხსნა სიყვარულია“.

„საშინელებაა კარგ ადამიანს სულელები უმართავდნენ ხელს. აბბობენ, ლაქიასათვის გმირები არ არსებობენო. მაგრამ ეს იმიტომ, რომ მხოლოდ გმირი თუ შეიცნობს გმირს — ლაქიას კი ალბათ მხოლოდ თავისი მსგავსის ჯეროვნად დანახვა ძალუძს“.

„საშუალო ადამიანისათვის არ არსებობს იმაზე დიდი ნუგეში, ვიდრე იმის აღიარება, რომ გენიოსი უკვდავი არ არის“.

„დიდი ადამიანები ყოველთვის რაღაც სისუსტით არიან დაკავშირებული თავის საუკუნესთან“.

„ადამიანებს, ჩვეულებრივ, იმაზე საშიშად თვლიან, ვიდრე ისინი სინამდვილეში არიან“.

„სულელი და ჭკვიანი ადამიანები თანაბრად უვნებელნი არიან, მხოლოდ სანახევროდ ბრიყვი და სანახევროდ ბრძენია ძალზე საშიში“.

„მაღალი საზოგადოებისაგან თავის დაღწევის ყველაზე სანდო იარაღია ხელოვნება და სწორედ ხელოვნებაა მასთან მისასვლელი უტყუარი გზაც“.

„უსაზღვრო ბედნიერებისა და უსაზღვრო მწუხარების ჟამს ხელოვანი გვჭირდება“.

„ხელოვნება ეწევა ძნელ, მაგრამ კეთილ საქმეს“.

„როცა ვხედავთ, რა სიადვილით იქმნება ძნელი, ეს უკვე შეუძლებელის ნათელხილვას უდრის“.

„რაც უფრო ახლო ხარ მიზანთან, მით უფრო მატულობს სიძნელეები“.

„მოსაელის მოყვანა ისე ძნელი არ არის, როგორც მისი აღება“.

თავი მეექვსე

შარლოტე დიდად ააფორიაქა ასეთმა სტუმრიანობამ, მაგრამ ის სიკეთე კი მოუტანა, რომ თავისი ასული სრულიად შეაცნობინა. ამაში კი ფრიად დაეხმარა მაღალი საზოგადოების კანონ-წესების ცოდნა. იგი პირველად როდი ხვდებოდა ასეთ უცნაურ ხასიათს, თუმცა ამ სიმაღლემდე ასული იგი არასოდეს ეხილა. შარლოტემ გამოცდილებით იცოდა, რომ ლუციანესნაირი ადამიანები, ცხოვრებისეულ გარემოებათა თუ სხვა ფაქტორთა გამო, აგრეთვე მშობლების ზემოქმედებითაც შესაძლოა მოწიფულობის ასაკში მეტად მიმზიდველი და თავაზიანი გულისანი გახდნენ, მათი ეგოიზმი წლების მომატებასთან ერთად შესაძლოა შე-

ხელდეს, ხოლო ქმედებისადმი ისათი დაეოკებელი წყურვილი სულ სხვა კალაპოტით წარიმართოს. შარლოტე დედა იყო და შემწყნარებლურად უყურებდა თავისი შვილის სხვების ოვალში იქნებ უსიამო გამოხდომებს და, როგორც ეს მშობელს შეეფერება, იმედიანად იყო მაშინ, როცა გარეშე ადამიანები უკვე მიღწეულით ტკბობას ისურვებდნენ ანდა უკეთეს შემთხვევაში ... ბიბლიოთეკა

მაგრამ შარლოტეს უცნაური და მოულოდნელი წყენის ატანა მოუხდა ლუციანეს გამგზავრების შემდეგ, ამან კი ცუდი სახელი დაუმკვიდრა მის ასულს. ეს ცუდი სახელი გამოიწვია არა მისმა ჩვეულმა კადნიერმა ქცევებმა, არამედ მისი ხასიათის იმ მხარემ, რასაც ყოველთვის ქება-დიდებით მოიხსენიებდნენ. ლუციანემ კანონად გაიხადა — არა მხოლოდ მხიარულთან ყოფილიყო მხიარული, არამედ მწუხარესთანაც — მწუხარე და მისი წინააღმდეგობებით აღსავსე სული ყველანაირად ცდილობდა მხიარული დაემწუხრებინა, ხოლო მწუხარე კი გაემხიარულებინა. რომელ ოჯახსაც არ უნდა სწვეოდა იგი, ყველგან იკითხავდა ხოლმე ხალხში გამოჩენას გადაჩვეულ სნეულთა და სუსტი ჯანმრთელობის მქონეთა მდგომარეობას. იგი შინ ესტუმრებოდა ხოლმე ასეთებს, ექიმობას დაიბრალებდა, ყველას ძლიერმოქმედ წამლებს თავაზობდა იმ თავისი სამგზავრო აფთიაქიდან, კარეტით რომ დაატარებდა, ხოლო ამნაირი წესით მკურნალობის კეთილი თუ მარცხიანი შედეგი დამოკიდებული იყო სრულიად შემთხვევით ფაქტორზე, რა ძნელიც არ უნდა იყოს ჩვენთვის ამის წარმოდგენა.

ამნაირი კეთილმოქმედებისას იგი დაუნდობელი იყო, საპირისპიროს ვერაფერს გააგონებდი, ვინაიდან მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ბრწყინვალედ იქცეოდა. სწორედ ამ უხიაგმა ქცევამ გადაიდა შარლოტე დიდ დავიდარაბას, რამაც ცუდი შედეგი გამოიღო და ყველა ლუციანეზე აალაპარაკა. ეს ამბავი შარლოტემ მხოლოდ ლუციანეს გამგზავრების შემდეგ გაიგო. ოტილიემაც იცოდა ამ ამბის ირგვლივ ყველაფერი. მან დაწვრილებით მოახსენა შარლოტეს მომხდარი ფაქტის შესახებ.

ფრიად საპატიო ოჯახიდან გამოსულ ერთ გოგონას უბედურება შეემთხვა. იგი უნებლიე დამნაშავე გახდა თავისი უმცროსი ძმის სიკვდილისა და ამ დღიდან მოყოლებული ვერ იქნა და ვერ აღიდგინა სულიერი წონასწორობა, ვერაფრით გონს ვერ მოეგო. თავისი ოთახიდან გარეთ არ გამოდიოდა, მარტოობას არ ჩევდა, რადგან ამ დროს რაღაცის კეთება შეეძლო, მხოლოდ ნათესავების შემოსვლას იტანდა, თანაც იმ პირობით, თუ ცალ-ცალკე მოინახულებდნენ, თორემ ერთდროულად მოსული ეჭვში აგდებდა, — ჩემზე ხომ არ ლაპარაკობენ ერთმანეთის მორიგი. ცალ-ცალკე მოსულებთან კი თავი სავსებით გონივრულად ეჭირა, შეეძლო საათობით გაება საუბარი.

როგორც კი ლუციანემ ამ გოგონას არსებობა შეიტყო, უმალ გაიფიქრა, შინ ვეწვევი და ჩემებურ სასწაულს მოვახდენ ანუ კვლავ ჩავაბამ ყოველდღიურ ცხოვრებაშიო. ამჯერად იგი ჩვეულებრივზე უფრო წინდახედულად იქცეოდა. მარტო ეწვეოდა ხოლმე ავადმყოფს და მუსიკის მეშვეობით რწმენას უნერგავდა. მაგრამ ლუციანემ მარცხი განიცადა. მის სურვილს, რადაც უნდა დაჯდომოდა იმნაირად მოეხდინა ეფექტი და სრულიად მოულოდნელად, წინასწარ შეუმზადებლად შეეყვანა სნეული ხმაურიან ბრწყინვალე საზოგადოებაში, დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, პირიქით, ამან უსიამოვნებასაც გადაჰკიდა. გოგონა ხალხში ყოფნისათვის ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი აღმოჩნდა. იქნებ ეს მცდელობა ლუციანეს კიდევაც გამოსვლოდა, რომ სტუმრებს ზედმეტი ცნობისწადი-

ლი არ გამოემჟღავნებინათ და შეშფოთებულებს უტაქტოდ არ დაეჭირათ თავი. ჯერ იყო და ყველანი გარს შემოეხვივნენ გოგონას, მერე განცალკევდნენ და ერთმანეთს შორის ჩურჩული ატეხეს, რის გამოც თავგზააბნეული და გულშეძრული გოგონა შოკში ჩავარდა, მერე ამ აუტანელმა განსაცდელმა წონასწორობა დააკარგვინა და გიჟური ყვირილით გარეთ გავარდა, თითქოსდა საშინელ ურჩხულს უნდა თავი დააღწიოსო. დამფრთხალი სტუმრები ოთახის კუთხეებში მიაწყდნენ. ოტილიემ რამდენიმე მსახურის დახმარებით გონგაზდილი გოგონა თავის ოთახში შეიყვანა და ამით დროებითი შვება მოჰგვარა.

ლუციანემ დიდად უსაყვედურა შეკრებილებს, თვითონ კი ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა იმაზე, ყველაფერი რომ მისი ბრალი იყო. წარბი არ შეუხრია, კვლავინდებურად განაგრძო მისებური გაწამაწია. ავადმყოფის მდგომარეობა კი გაუარესდა, სნეულება იმდენხანს გაგრძელდა, რომ მშობლებმა საწყალი გოგონა საავადმყოფოში წაიყვანეს. შარლოტეს კი სხვა არა დარჩენოდა, თუ არ ის, რომ ამ ოჯახის წევრებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება და ყურადღება გამოეჩინა და ამით მცირედით მაინც შეემსუბუქებინა ტკივილი, მისმა ასულმა რომ მიაყენა მათ. ამ ამბავმა ოტილიეზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. მას ძალიან ეცოდებოდა საწყალი გოგო, თუმცა იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ხანგრძლივი და სისტემატური მკურნალობა სამუდამოდ განკურნავდა სნეულს და თავისი შეხედულება არც შარლოტესათვის დაუმალავს.

რაკი, ჩვეულებრივ, ადამიანებს სასიამოვნოზე მეტად წარსულის უსიამო შემთხვევა ამახსოვრდებათ, სიტყვამ მოიტანა და, ოტილიემ არქიტექტორს გაახსენა ის პატარა გაუგებრობა, რამაც დიდად შეაცბუნა მაშინ, რადგან იმ დღეს არქიტექტორმა არამც და არამც არ აჩვენა ლუციანეს თავისი კოლექცია, თუმცა ოტილიემ თბილი გრძნობით სთხოვა ამის გაკეთება. არქიტექტორის უარი ოტილიეს ძალიან მოხვდა მაშინ გულზე, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რატომ. მისი გრძნობები სავსებით ბუნებრივი იყო, რადგან ოტილიესნაირი გოგონას თხოვნაზე არქიტექტორისნაირ ყმაწვილკაცს უარი არ უნდა ეთქვა. როცა ოტილიემ მსუბუქად უსაყვედურა ამის გამო, არქიტექტორმა საკმაოდ დამაჯერებლად გაიმართლა თავი.

„თქვენ რომ იცოდეთ, — თქვა მან, — რა უხეშად ეპყრობიან ხელოვნების ფასდაუდებელ ნაწარმოებებს განათლებული ადამიანებიც კი, მაშინ მაპატიებდით იმას, რომ არ მიყვარს ხალხისთვის მათი ჩვენება. მედალს კიდეზე ხელს არავინ არ ჰკიდებს. უფაქიზეს ტვიფარს თუ უსუფთავეს ფონს, ყველა საჩვენებელ თითს ან ცერს უსვამს ხოლმე. იმასაც ვერ მოიფიქრებენ, რომ ორივე ხელით აიღონ დიდი ფურცელი, მაინცდამაინც ცალ ხელს კიდებენ უძვირფასეს გრავიურას, შეუდარებელ ნახატს, ვინმე პოლიტიკანივით იქცევიან, ხელს რომ დაავლებს ხოლმე გაზეთს და მოჭმუჭნის, თან წინასწარ გვაწვდის თავის მოსაზრებებს მსოფლიო მოვლენებზე. არავის არ ედარდება, რა მოუვა ნახატს ასეთი დაუდევარი მოპყრობით, ვისა აქვს იმის ჯავრი, რომ ოცი კაცი თუ ასე მოეპყრობა ხელოვნების ქმნილებას, ოცდამეერთეს აღარაფერი დარჩება სანახავი“.

„ოდესმე მეც ხომ არ მოვქცეულვარ ასე? — იკითხა ოტილიემ. — მეც ხომ არ გაწყენინეთ რაიმე? ჩემდა უნებურად ხომ არ დავაზიანე თქვენი რომელიმე საუნჯე?“

„ეგ არასოდეს მომხდარა!.. — წამოიძახა არქიტექტორმა, — ნამდვილად

არასოდეს. ან კი როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო, ისეთი უზადო ტაქტი გაქვთ მომადლებული".

„ურიგო არ იქნება, — შენიშნა ოტილიემ, — თუ საფოველთაოდ მიღებულ კეთილშობილ ზნე-ჩვეულებათა წიგნში, საზოგადოებაში სუფრაზე თავის დაჭერას რომ გვასწავლის, ამიერიდან საკმაოდ ... ...

არქიტექტორს მართლაც დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ისედაც მცირეულს სჯერდებოდა მუდამ, ხოლო ოტილიეს იქ ყოფნა მისთვის ყველა სიხარულზე უფრო დიდი სიხარული იყო ამქვეყნად. ან კი რად უნდოდა ძილი და მოსვენება, არც ჭამა-სმა ახსოვდა, თუკი ოტილიეს სიახლოვეს იქნებოდა, მისთვის გაირჯებოდა, მისთვის შეწუხდებოდა. ამიტომაც საზეიმო საღამოსათვის უკვე ყველაფერი მზად ჰქონდა. არქიტექტორმა პატარა სასულე ორკესტრის ჩამოყალიბებაც მოასწრო. ორკესტრმა ტკბილხმოვნად შეასრულა უვერტიურა და შესანიშნავად გაიარა. როცა ფარდა ასწიეს, შარლოტე მოხიბლული დარჩა. სურათი, რომელიც მან იხილა, ისე ხშირად იდგმებოდა თეატრებში, რომ ძნელი იყო მისი ახლებურად აღქმა. მაგრამ ამჯერად სურათს განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდა. განათება უფრო ღამისა იყო, ვიდრე ბინდის და მაინც მთელ დადგმაში არც ერთი გაურკვეველი დეტალი არ იგრძნობოდა. უბრწყინვალესი ჩანაფიქრი იმის თათბაზე, რომ განათება მთლიანად ყრძიდან წამოსულიყო, არქიტექტორმა განახორციელა გონივრულად მოწყობილი გამანათებელი მექანიზმის საშუალებით, რასაც მაყურებელი ვერ ხედავდა წინა პლანზე მდგარი მკრთალად გაშუქებული ფიგურების წყალობით. იმათ შემოხვეოდნენ მხიარული გოგო-ბიჭები, რომელთა ცოცხალი სახეები თვალისმომჭრელი შუქით ქვემოდან ნათდებოდნენ. აქაურობას ანგელოზებიც არ აკლდნენ, მაგრამ იმათი ნათება ეით შეედრებოდა ღვთაებისას, პირიქით, ისინი მკრთალი შუქით იყვნენ დაბურულნი, ანგელოსთა ჰაეროვანი სხეულები ღვთაებრივ-ადამიანური ერთქმნის ფონზე თითქოს უფრო მკვრივიც ჩანდნენ და მიმკრთალნიც.

საბედნიეროდ, ყრმას ფრიად მოძხიბვლელ პოზაში ჩასძინებოდა, ისე რომ ამ დიდებულ სანახაობას ხელს არაფერი უშლიდა, და აი, მაყურებლის მზერა შეჩერდა დედაზე, მანაც უსაზღვროდ გულწამტანი მოძრაობით ასწია საბურველი და დამალული საუნჯე ყველას აჩვენა. ეს წამი რადაცნაირად ზუსტად იყო დაჭერილი, ლამის ჩამოქანდაკებული, თითქოსდა ირგვლივ მყოფთ თვალთ დაუბნელდათ, სულში კი განცვიფრება დაეუფლათ. თითქოსდა ყველა საცაა ნაბიჯის გადასადგმელად ემზადებოდა, რომ დამაბრმავებელ ნათელს მზერა მოარიდოს, მერე კი მხიარული ცნობისწადილით კვლავ მიეპყრათ თვალი ჩვილისათვის, ეს იყო უფრო გაოცება და აღტაცება, ვიდრე ღვთაებრივი კრძალვა, თუმცა თითო-ოროლა მოხუცის სახეზე ეს გრძნობაც აღიბეჭდა. ოტილიემ გადაამეტა ყველაფერს, რაც კი მხატვარს შეექმნა, იმზომ შთამბეჭდავი იყო მისი გარეგნობა, მიხრა-მოხრა, სახის გამომეტყველება, გამოხედვა. ამ სანახაობის გრძნობით აღმქმელი თითქოსდა იმის შიშს შეეპყრო, ვაითუ რაიმე შეირხეს და ყველაფერი გააფუჭოს, სიცოცხლეში ხომ ვერასოდეს ვიხილავთ მსგავს მშვენებასო. სამწუხაროდ, იქ ისეთი ახლომახლო არავინ ჩანდა, ვინც სრულად შეიგრძნობდა ამ შთამბეჭდავ სურათს. ერთადერთი არქიტექტორი იყო, ტანთ მწყემსად ჩაცმული, ვინც გვერდიდან უცქერდა მუხლებზე დაჩოქილთ და სხვებზე მეტად ნეტარებდა ამ დიდებული სცენით, თუმცა მოუხერხებელი მხრიდან კი ადევნებდა თვალს სანახაობას. მაგრამ ვინ აღწერის ახლად შექმნილი ციური დედოფალი, მისი სახის იერი, უუწმინდესი მორჩილება, თაყვანისცემის უსათნოესი გრძნობა იმ დიადი შეცნობის ჟამს, როცა ჰგონია, რომ დაუმსახურებელი პატივი მიაგეს, განუზომელი ნეტარების გაუგებარი შეგრძნება — აი, რა აღბეჭდოდა ოტილიეს პირისახეზე. მისი პირისახე გამოხატავდა მისსავე ფიქრებსა და გრძნობებს, აგრეთვე იმ შეხედულებებს, ამ როლზე რომ შეექმნა.

შარლოტე ძალიან გაახარა ამ მშვენიერმა სანახაობამ, მეტადრე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ყრმამ. ცრემლები მოერია, როცა ცხადად წარმოიდგინა, რა მალე დაისვამდა მუხლებზე ამისთანა სანატრელ არსებას, საკუთარ ბიჭს.

ფარდა დაუშვეს ჯერ ერთი იმიტომ, რომ შემსრულებლებს სული მოეთქვათ და შეესვენათ, მეორეც—სცენაზე დეკორაციების შესაცვლელად. შესვენების მიზნად დაესახა ღამისა და სიბეჩავის სურათი, დასაწყისში—რომ ბედნიერებისა და დიდების სურათად ექცია და ყოველი მხრიდან გაენათებინა სცენა. ამისათვის ძოამზადა აურაცხელი ლამპა და სანთელი, ანტრაქტის დროს რომ უნდა აენთო.

ოტილიეს თავის ნახევრად თეატრალიზებულ მდგომარეობაში სიმშვიდეს ჰგვრიდა ის გარემოება, რომ შარლოტესა და ერთი-ორი შინაურის გარდა არავინ ესწრებოდა ამ ღვთისმოსავ საოჯახო მასკარადს. ამიტომ დიდად შეცბუნდა, როცა ანტრაქტის დროს შეიტყო—ვილაც სტუმარი ჩამოსულა, ვისაც შარლოტე თბილად შეხვდაო. ვინ იყო იგი, ვერ უთხრეს, თვითონაც თავი შეიკავა კარგად გამოეკითხა სტუმრის ვინაობა, რადგან ეს ხელს შეუშლიდა წარმოდგენის მსვლელობას. აანთეს ლამპები, სანთლები და მას სინათლის უსასრულო სივრცე შემოეხვია. ფარდა აიხადა. მაყურებელთა წინაშე გადაიშალა გამაოგნებელი სანახაობა. მთელი სურათი მხოლოდ სინათლედ იყო ქცეული. არქიტექტორს გამქრალი ჩრდილების ნაცვლად მხოლოდ ფერები დაეტოვებინა, რომელთა ჭკვიანურ შეხამებას საამოდ შეენელებინა თვალისმომჭრელი განათება. ოტილიემ თავის გრძელ წამწამებიდან მზერა გააპარა და მამაკაცი დაინახა, რომელიც შარლოტეს გვერდით იჯდა. მან ვერ იცნო იგი. მაგრამ ხმით კი შეიხვდა, რომ ეს პანსიონის უფროსის თანაშემწე იყო. ბედნიერი გრძნობა დაეუფლა. რამდენმა წელმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც არ გაუგონია ღირსეული მოძღვრის ხმა. ელვასავით გაუელვა სულში სიხარულისა და მწუხარების გრძელმა წყებამ, რამაც აიძულა თავის თავს შეჰკითხებოდა: „გავბედავ კი გული გადავუშალო და ყველაფერი ვუამბო? რაოდენ ღირსი ხარ საიმისოდ, რომ ამ წმინდა სამოსით წარსდგე მის წინაშე და, ვინ იცის, რა დაემართოს, ნიღბით რომ მიხილავს? ამას შეჩვეული არ არის, იგი ხომ მუდამ ჩვეულებრივ და ბუნებრივ გარემოში გხედავდა.“ ოტილიეს სულში გრძნობა და ფიქრი შეუდარებელი სისწრაფით შეეჯახა ერთმანეთს. გული შეეკუმშა, თვალები ცრემლებით აევსო, მაგრამ თავს ძალა დაატანა და არ შეტოკებულა. და როგორ გაიხარა, ყრმა რომ შეიხმრა და არქიტექტორიც იძულებული გახდა ნიშანი მიეცა, ფარდა დაუშვითო.

ოტილიეს ბოლო წუთების ათასნაირ განცდებს კიდევ ის მტანჯველი გრძნობაც დაემატა, რამაც ჩააგონა — ძვირფას მეგობარს ასე ნუ შეხვდებიო. იგი საგონებელში ჩავარდა, ამ უცხო სამოსით და მორთულობით ვეახლო მოძღვარს თუ ძველი ტანსაცმელი გადავიცვაო. სჯობს ტანსაცმელი გამოვიცვალოო, გადაწყვიტა მაინც. მანამდე კი შეეცლება ძალ-ღონე მოიკრიბოს, დამშვიდდეს, სრულად აღიდგინოს შინაგანი წონასწორობა, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ყოველდღიურ სამოსში გამოწყობილი არ მიესალმება სტუმარს.

თავი მეშვიდე

შორდებოდა რა საუკეთესო სურვილებით ამ თავის მფარველ ანგელოზებს, არქიტექტორი კმაყოფილი იყო თუნდაც იმით, რომ მანდილოსნებს დიდად პატივცემული თანაშემწის გარემოცვაში სტოვებდა. მაგრამ მოწყალე ქალბატონთა

მისადმი კეთილგანწყობის გახსენებისას რაღაცნაირ ტკივილსაც გრძნობდა იმის გამო, რომ მისი მგავრობა ამიერიდან სხვას უნდა გაეწია, მისებურად კარგი და სრულქმნილი სხვა ყოფილიყო. თანაშემწის ჩამოსვლამდე იგი რაფთმლაც წასვლას აყოვნებდა, მაგრამ ახლა უკვე რაღაც ეწეოდა აქედან წასასვლელად, რადგან არ უნდოდა ამ წასვლით მწარედ განეცადა ის ძძიმე წუხილი, [illegible] მოშორება გამოიწვევდა და რასაც საბოლოოდ უნდა შერიგებოდა.

მისი ნახელავად სევდიანი გუნება-განწყობილებისათვის დიდი ნუგეში იყო საჩუქარი, ქალბატონებმა გამოთხოვების დღეს რომ უბოძეს. ეს იყო ჟილეტი, რასაც ისინი კარგა ხნის განმავლობაში მას თვალწინ ქსოვდნენ და არქიტექტორი ამით უსუმარ შურს გახიცდიდა იმ უცნობი ბედნიერის მიმართ, ვისი კუთვნილებაც ოდესმე ეს ჟილეტი უნდა გამხდარიყო. ამნაირი საბოძვარი უთუოდ სასიამოვნო სიურპრიზი უნდა ყოფილიყო ყველასათვის საყვარელი და პატივცემული კაცისათვის, და თუკი საქსოვზე მშვენიერი თითების ეგზომ დაუღლელი ათამაშებაც გაახსენდებოდა, შეუძლებელია ის აზრიც არ მისალბუნებოდა, რომ ესოდენ დაჟინებული რულუნება გულის გარეშე ვერ იქნებოდა.

ქალბატონებს მასპინძლობა უნდა გაეწიათ ახალი სტუმრისათვის, ვისაც ისინი თაყვანს სცემდნენ და ვინც იმათთან თავს უთუოდ კარგად იგრძნობდა. ქალთა სქესს თავისი შეუცვლელი შინაგანი ინტერესები აქვს ხოლმე და ამ ინტერესის შეცვლა ამქვეყნად არავითარ ძალას არ შეუძლია. მაღალი წრის მანდილოსნები დიდი ხალისით ექცევიან იმ მამაკაცთა უცილობელი გავლენის ქვეშ, რომლებითაც ამჯერად არიან დაკავებულნი, თავისებურ მიუდგომლობას, ნიჭიერებას, სიმტკიცესა და მოთმინებას აელვებენ და ამით აღწევენ კიდეც ძალაუფლებას, რომლისგან თავის დაღწევასაც ვერც ერთი მამაკაცი ვერ ბედავს.

თუკი არქიტექტორი საკუთარი ნება-სურვილით წვრთნიდა და ავლენდა თავის ნიჭს მეგობარი ქალების საამებლად და მთელი მისი საქმიანობა და გართობა ამ მიზანს ემსახურებოდა, ამ თვალსაზრისით იყო წარმართული, თანაშემწის ჩამოსვლამ ცხოვრების სულ სხვა წესი დაამკვიდრა. მას კარგი საუბრისა და ადამიანური ურთიერთობების დამყარების დიდი ნიჭი ჰქონდა, მეტადრე აღზრდის საკითხებში. ამან კი წარმოშვა ცხოვრების ადრინდელი წესის საკმაოდ საგრძნობი კონტრასტი, მით უფრო, რომ თანაშემწეს მაინცდამაინც არ მოსწონდა ყველაფერი, რასაც წინათ მეგობარნი კომპანიაში მისდევდნენ.

თანაშემწეს სიტყვაც არ დაუძრავს იმ სანახაობაზე, ოტილიემ და მთელმა საკრებულომ რომ დაახვედრა ახლად ჩამოსულს, მაგრამ როცა გულღია კმაყოფილების გრძნობით დაათვალიერებინეს ეკლესია, ეგვტერი და სხვა ადგილები, მას არ შეეძლო ამასთან დაკავშირებით თავისი აზრი არ გამოეთქვა, თავისი განწყობილება არ გამოეხატა.

„მე კი, ჩემი მხრივ, — თქვა მან, — სულ არ მომწონს ეს სიახლე, წმიდათაწმინდის და გრძნობითის ამნაირი შერწყმა. კერძოდ კი ის, როცა საგანგებო შენობას უძღვნიან, მერე კი აკურთხებენ და კაზმავენ ამ შენობას საიმისოდ, რომ მაინცდამაინც აქ, ამ ადგილას იშვას და განმტკიცდეს ღვთისმოსავი გრძნობა და არა სადმე სხვაგან. ჩემი აზრით, არავითარ გარემოცვას, თვით ყველაზე ჩვეულებრივსაც კი არ ძალუძს ჩაკლას ჩვენში ღვთაებრივი გრძნობის არსებობა, რაიც ყველგან თან გვსდევს და რაგინდარა ადგილს ტაძრად გადააქცევს. მე მიყვარს, როცა შინაური ღვთისმსახურება სრულდება დარბაზში, სადაც ყოვე-

ლდღიურად სადილობენ, სტუმრებს ხვდებიან, ცეკვა-თამაში აქვთ გამართული. ადამიანში ყველაზე მაღალსა და ყველაზე სრულქმნილს სახე არა აქვს და თუკი მას სახე მიეცემა, მაშინ იგი სხვა რაღა უნდა იყოს, თუ არა ღმერთის ქმნა".

შარლოტე, ვინაც ზოგადად უკვე იცოდა თანაშემწის განწყობილებები, მოკლე ხანში კიდევ უფრო ახლოს გაეცნო მას და უმალ გაარკვია მისი მოღვაწეობის შესატყვისი ასპარეზი. მან თავისთან იხმო მებაღე-ბიჭები უთხრა, მწკრივებად დაეწყვეთ და დიდ დარბაზში შეგროვდითო. ბიჭებმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს თავიანთი სუფთა მუნდირებით, ზუსტი მოძრაობებითა და უშუალო, ცოცხალი ქცევებით. თანაშემწემ მისებური გამოცდა მოუწყო მათ და სხვადასხვა კითხვების წყალობით სულ მალე გამოავლინა თითოეულის უნარი, ხასიათი. საათზე ცოტა ნაკლები დროის განმავლობაში შეუჩნეველად ბევრი რამ შეასწავლა ბავშვებს და დიდი სარგებლობაც მოუტანა.

„საოცარია, ეგ როგორ შესძელით? — იკითხა შარლოტემ, როცა ბიჭები წავიდნენ, — ძალიან ყურადღებით გისმენდით. მხოლოდ ჩვეულებრივ საგნებზე საუბრობდით, მე ალბათ გამიჭირდებოდა ასე მოკლე ხანში ამდენი კითხვა-პასუხის საშუალებით თანმიმდევრულად და ყოვლისმომცველად შევხებოდი ყველაფერს".

„იქნებ სჯობდა, — მიუგო თანაშემწემ, —საიდუმლოდ შემენახა და არც გამეხილა ის უპირატესობა, რაც ჩემს საქმიანობას ახლავს, მაგრამ არ მინდა ამ უბრალო ჭეშმარიტების დამალვა, რისი წყალობითაც ბევრი რამის შეცნობა და მიღწევა შეიძლება. აიღეთ, რომელიც გნებავთ, ნივთი, საგანი, ცნება, რაც გინდათ, ის დაარქვით თითოეულს. ყოველთვის გქონდეთ საკუთარი პოზიცია, ნათლად გაიაზრეთ ყველა წვრილმანი და მხოლოდ ეს თუ გაგიადვილებთ ბავშვებთან საუბრის წარმართვას, რომ კარგად ჩასწვდეთ მათ ცოდნას, სახელდობრ, რა იციან ამა თუ იმ საკითხზე და კიდევ რა ახალი ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო მათთვის. იქნებ შეკითხვებზე შესატყვისი პასუხი ვერ მოგცენ, იქნებ თემასაც გადაუხვიონ, მაგრამ თუკი ახალი შეკითხვებით ბავშვის სულსა და გულს ამოსავალი წერტილისაკენ მოვაბრუნებთ, თუკი არჩეულ გზას არ ავცდებით, მაშინ საბოლოოდ მათი ფიქრი, აზრი და რწმენა იმგვარად წარიმართება, როგორც ეს მასწავლებელს სურს. მასწავლებლის ყველაზე დიდი შეცდომა ის იქნება, რომ ვერ შეძლოს მოწაფის ყურადღების იმ ერთ საგანზე შეჩერება, რასაც იმ წუთს განიხილავს და ამით გზას ააცდინოს იგი. აბა სცადეთ და ნახავთ, რა საინტერესოც იქნება".

„აი, ეს კი დიდებული რამაა, — თქვა შარლოტემ, — ეს იმას ნიშნავს, რომ სულ სხვაა კარგი პედაგოგიკა, და სულ სხვა — კარგი ტონი. ისინი ერთმანეთის საპირისპირო პოლუსები არიან. საზოგადოებაში ყოფნისას არაფერი გზღუდავს და არაფერი გაკავებს, ხოლო სწავლებისას უმთავრესი მოთხოვნა — ბრძოლაა ყველანაირი გონებადაფანტულობის წინააღმდეგ".

„მრავალფეროვნება გონებადაფანტულობის გარეშე — ეს არის საუკეთესო დევიზი როგორც სკოლაში, ასევე ცხოვრებაშიც, რაგინდ ძნელიც არ უნდა იყოს ამ საქებარი წონასწორობის დაცვა, — თქვა თანაშემწემ და ის იყო სიტყვა უნდა გაეგრძელებინა, რომ შარლოტემ შეაწყვეტინა დაწყებული მსჯელობა, რათა ერთხელ კიდევ თვალი შეეყლო ბიჭებისათვის, რომლებმაც სწორედ იმ წუთში მხნე ნაბიჯით გაიარეს ეზო, თანაშემწემ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ბიჭებს ფორმის ტანსაცმელი ეცვათ.

„მამაკაცები, — თქვა მან, — სიჭაბუკიდანვე მუნდირებს უნდა ატარებდნენ,

რათა მიეჩვიონ ერთობლივ ქმედებას, თანაბართა შორის საკუთარი თავის თანასწორად შეგრძნებას, შრომასა და მორჩილებას, ყველაფერი ეს კი მთლიანობას ქმნის და მთლიანობასვე ეძვემდებარება. გარდა ამისა, ყოველი ფორმა ხელს უწყობს ბიჭებში საბრძოლო სულისკვეთების განვითარებას, —მათ მტკიცე და ლაკონურ ქცევას. ყველა ბიჭი ხომ დაბადებითვე ჯარისკაცია — აბა უყურეთ, როგორ თამაშობენ ისინი ომობანას, როგორ ჩხუბობენ, რა გატაცებით ეძებენ თავდასხმასა და შეტევაზე".

„სამაგიეროდ ვერ მისაყვედურებთ, —მიუგო შარლოტემ, — ჩემს გოგონებს რომ ერთფეროვნად არ ვაცმევ. მჯერა, როცა ნახავთ, სიამეს მოგგვრით მათი ტანსაცმლის ფერთა სიჭრელე".

„ეს კი მომწონს, — შეეპასუხა თახაშემწე, — ყველა ქალი უთუოდ მრავალფეროვნად, თავისი გემოვნებისა და სტილის მიხედვით უნდა იცვამდეს, თითოეული ზუსტად უნდა გრძნობდეს, რა უფრო მეტად ჰშვენის და უხდება, ამის მიზეზი კი — მხოლოდ ის არის, რომ ისინი მთელი სიცოცხლის განმავლობაში მარტონი არიან, მარტო ცხოვრობენ, მარტო ქმედებენ".

„ეს ნათქვამი პარადოქსულად მეჩვენება, — შეეპასუხა შარლოტე, — ჩვენ ხომ მარტო არასოდეს არა ვართ".

„ჰო, ეგ ნამდვილად ასეა, — მიუგო თახაშემწემ, —ოღონდ ქალის სხვა ქალებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. აი, ნახეთ, ქალი სატრფოს, ცოლის, სასძლოს, მეოჯახეს, დედის როლში. იგი ყოველთვის განცალკევებითაა, ყოველთვის მარტოა და სურს კიდეც მარტო ყოფნა. ყველაზე პატივმოყვარე ქალებსაც ასე ემართებათ. ყველა ქალი თავის ბუნებით გამორიცხავს მეორე ქალს, რადგან თითოეული ქალისაგან მხოლოდ იმას მოითხოვენ, რაც მისი სქესის მოვალეობას შეადგენს. მამაკაცთან დაკავშირებით კი სულ სხვა ვითარებაა. მამაკაცს მამაკაცი სჭირდება. ეგი ოვითონ შექმნიდა მეორე მამაკაცს, ბუნებაში რომ არ ყოფილიყვნენ ისინი. ხოლო ქალს შეუძლია ძოელი სიცოცხლე იცხოვროს და ფიქრადაც არ მოუვიდეს თავისი მსგავსის შექმნა".

„საკმარისია სიმართლე უცნაურად თქვას, — თქვა შარლოტემ, — რომ ბოლოს და ბოლოს უცნაურობაც სიმართლედ მოგეჩვენოს. ჩვენ გვინდა თქვენეული შენიშვნები საუკეთესო მხრიდან დავინახოთ და გავიგოთ, ოღონდ ესაა, რომ ყოველთვის ქალის პოზიციას ვიცავდით, ქალთა საზოგადოებას ვუჭერდით მხარს და მასთან თანხმობაში ვქმედებდით მუდამ, რომ მამაკაცებს მეტისმეტად დიდი უპირატესობა არ ჰქონოდათ ჩვენთან შედარებით და მომავალშიც ასე ვაპირებთ, თქვენ კი ნურც აწი გაგვკიცხავთ, თუ უფრო ცხოველი ნიშნისმოგებით ვიქნებით განწყობილნი მათ მიმართ, რადგან იმასაც აშკარად ვხედავთ, რომ ვერც მამაკაცები იტანთ ერთმანეთს მაინცდამაინც".

გონიერი მასწავლებელი ერთობ გულმოდგინედ გაეცნო ოტილიეს საქმიანობას პატარა აღსაზრდელებთან და დიდად მოიწონა ეგი.

„სავსებით სწორად იქცევით, — თქვა მან, — პატარა ხელქვეითებს რომ უბრალო, არსებობისათვის საჭირო ხელსაქმეს ასწავლით. სიფაქიზე ბავშვში საკუთარი ღირსების სასიხარულო გრძნობას აღძრავს. და თუკი იმათ მხნედ და შეგნებულად ასწავლით ყველაფერს, რაც უნდა აკეთონ, ეს იმას ნიშნავს, რომ უმთავრესს მიაღწიეთ".

მან დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ აქ არაფერი ასწავლებოდა სხვისოვის თავის მოწონების, გარეგნული ბრწყინვალების გულისთვის, პირიქით, ყვე-

ლაფერს თავისი შინაგანი არსი ჰქონდა და საარსებო მოთხოვნილებებს შეესატყვისებოდა.

„რა ცოტა სიტყვაა საჭირო, — წამოიძახა მან, — აღზრდის მთავარი დედააზრის გამოსახატავად, ხალხს რომ ყურები ესხას მის გასაგონად".

„ხომ არ ისურვებდით, რომ თქვენი აზრები გამიზიაროთ? — ალერსიანად ჰკითხა ოტილიემ.

„სიამოვნებით, — მიუგო მან, ოღონდ არ გამთქვათ! ბიჭები მსახურებად უნდა აღიზარდონ, ხოლო გოგონები — დედებად, მხოლოდ მაშინ აეწყობოდა შესანიშნავად ყველაფერი ამქვეყნად".

„დედობისათვის მომზადებას რაც შეეხება, — შეეპასუხა ოტილიე, — ამაში ქალების უმეტესობა ალბათ დაგეთანხმებათ, რადგან თუ ისინი დედები არ გახდებიან, ძალაუნებურად გადიებად ყოფნა დარჩენიათ და ეს არის, ოღონდ ჩვენი ყმაწვილკაცების მსახურებად აღზრდაზე კი რა მოგახსენოთ, სააშისოდ ისინი ძეტად მაღალი აზრისა არიან თავიანთ თავზე, რადგან ყველა მათგანს ბრძანებისათვის დაბადებულად მიაჩნია თავი".

„იცით, ამაზე სჯობს არაფერი გითხრათ, — თქვა მასწავლებელმა, — ცხოვრებაში ფეხს შევდგამთ თუ არა, სულ საკუთარ თავს ვეფერებით ხოლმე, მაგრამ თვითონ ცხოვრება როდი გვეფერება, რამდენ ვინმეს გაუმხელია უჩუმრად საკუთარი თავისათვის, რა ეკისრება თითოეულ მათგანს, რა ვალდებულება აწევს კაცს მხრებზე მძიმე ტვირთად? მაგრამ, მოდი, თავი დავანებოთ ამ განსჯებს, ვიდრე ისინი უშუალოდ არ შემეხებიან".

„თქვენ იმიტომ გაგიმართლათ, რომ აღსაზრდელებთან ურთიერთობის სწორი გზები გამონახეთ. აი, როცა თქვენი პატარები თავის უფროს დებთან თოჯინებით ითამაშებენ, როცა უფროსი დებიც იზრუნებენ უმცროსებზე, როცა ოჯახში ყველა ერთმანეთს მოეხმარება და მოემსახურება, მაშინ უკვე ძნელი მისაწვდომი აღარ გახდება ცხოვრებაში პროგრესი, გამრჯე გოგონა თავის ქმართან იპოვნის იმ განძს, მშობლებთან რომ დაუტოვებია.

მაგრამ განათლებულთა ფენებში ამოცანა ბევრად უფრო რთულია. აქ ანგარიში უნდა გავუწიოთ უფრო მაღალ, ნაზ, დახვეწილ ურთიერთობებს, ამიტომაც საჭიროა აღსაზრდელებში გარეგნული თვისებებიც განვავითაროთ. კარგი იქნებოდა, თანაც აუცილებელი, თუ აღზრდაში გარკვეულ საზღვრებს დავიცავდით, რადგან ადვილია უკიდურესობებში გადავარდნა. უკიდურესობები კი იმდენადაა ცუდი, რამდენადაც ყურადღების მიღმა ტოვებს შინაგან მოთხოვნილებებს და ჩვენი ამოცანაც სწორედ ესაა, მისი გადაჭრა კი აღმზრდელებს ან შეუძლიათ ან არა.

მე შიშს მინერგავს ბევრი ისეთი რამის ცოდნა, რასაც პანსიონში მოწაფე გოგონებს ვთხოვთ, რადგან გამოცდილება გვიკარნახებს, რა ცოტა გამოადგებათ შემდგომ ცხოვრებაში იქ ნასწავლი სიბრძნიდან. საკმარისია ქალი მეოჯახე ანდა დედა გახდეს და ყველაფერი იქ ნასწავლი დავიწყებას მიეცემა.

ამასთანავე არ შეიძლება ამის მოკრძალებული სურვილიც არ გამაჩნდეს, რომ ეროგული თანაშემწე ქალის დახმარებით ჩემს აღსაზრდელებში განვავითარო ის თვისებები, დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე რომ დასჭირდებათ. აი, მაშინ კი ვეტყოდი საკუთარ თავს, ამ მიმართებით მათი აღზრდა დასრულდა-მეთქი. მართალია, ჩვეულებრივ ძველებურ აღზრდას ახლებური წესით აღზრდაც მოჰყვება ხოლმე, რის აუცილებლობაც თუ საკუთრივ ჩვენგანით არა, ჩვენივე ცხოვრებისეული გარემოებების წყალობით მაინც არის გამოწვეული".

რა მართალი ეჩვენება ოტილიეს თანაშემწის ეს შენიშვნა, რაოდენ შესცვალა იგი წლეულს ენებამ, რასაც ადრე ვერც კი წარმოიდგენდა. რა განსაცდელი არ იხილა, როცა საკუთარ ფიქრებში განსჭვრიტა ახალი, ყველაზე უახლოესი მერმისი.

ახალგაზრდა კაცს ტყუილად არ უხსენებია თანაშემწე, ცოლი, რადგან მოკრძალების მიუხედავად მაინც არ შეეძლო თავის შეკავება, ოუნდაც მეწინააღმდეგეთ არ მიენიშნებინა თავისი იდუმალი ზრახვა ოტილიესთან დაკავშირებით. თანაც საგანგებო ვითარებაც შეექმნა, რამაც ჩააგონა გამოეყენებინა თავისი სტუმრობა და სანუკვარ მიზანს როგორმე მიახლოვებოდა.

პანსიონის უფროსი უკვე ასაკში იყო შესული და თანამშრომელ ქალებსა და კაცებს შორის კარგა ხანია, რაც კომპანიონს ეძებდა. ბოლოს და ბოლოს არჩევანი თანაშემწეზე შეაჩერა, რომლის დიდი ნდობაც ჰქონდა. მან წინადადება მისცა თანაშემწეს — ჯერ ერთად ემართათ პანსიონი, ხოლო უფროსის სიკვდილის შემდეგ მისი მფლობელი და ერთადერთი მემკვიდრეც გამხდარიყო. თანაშემწისათვის ახლა ყველაზე მთავარი იყო თანამოაზრე მეუღლის პოვნა. მისი გული და თვალი იდუმლად ოტილიესაკენ იყო მიპყრობილი. თუმცა რაღაცის ეშვი კი ჰქონდა, მაგრამ ხელსაყრელი ვითარება ამჯერად უფრო მეტად უწყობდა ხელს, ვიდრე ოდესმე. ლუციანემ პანსიონატი დაამთავრა. ოტილიეს ახლა თავისუფლად შეეძლო იქ დაბრუნება. მისი და ედუარდის ურთიერთობაზე ჭორები კი დადიოდა, მაგრამ ამას, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე მსგავს შემთხვევებში, ყველა გულგრილად უყურებდა. გარდა ამისა თვით ამ მოვლენასაც შეეძლო უფრო დაეჩქარებინა ოტილიეს პანსიონში დაბრუნება. მაგრამ თანაშემწე არანაირ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, ნაბიჯსაც არ გადადგამდა იმ მიმართულებით, მოულოდნელად ჩამოსულ სტუმრებს რომ არ მიეცათ საამისოდ ბიძგი. თვალსაჩინო ადამიანების გამოჩენას არასოდეს, არც ერთ წრეში უშედეგოდ არ ჩაუვლია.

გრაფსა და ბარონესას ხშირად მიმართავდნენ ხოლმე შეკითხვებით ამა თუ იმ პანსიონის ავ-კარგიანობაზე, რაკი თითქმის ყველაა დაინტერესებული შვილების აღზრდით. ამათაც დიდი ხანია უნდოდათ — სახელდობრ — ამ სასწავლო დაწესებულების გაცნობა, რის შესახებაც ამდენ სასიკეთოს ამბობდნენ. ახალშექმნილი ვითარება კი ნებას აძლევდათ ერთად სწვეოდნენ პანსიონს და ამით დიდი ხნის განზრახვა განეხორციელებინათ. მაგრამ ბარონესას სხვა რამეც ჰქონდა გულში. ბოლო სტუმრობისას იგი დაწერილებით ესაუბრა შარლოტეს ოტილიესა და ედუარდზე, მრავალგზის ურჩევდა, ოტილიე განარიდე შენს სახლსაო. ამით სურდა ნუგეში ეცა შარლოტესათვის, რომელიც მეტისმეტად დაეფრთხო ედუარდის მუქარას, ისინი ერთად ეძებდნენ გამოსავალს და როცა პანსიონი გაიხსენეს, საუბარი ჩამოვარდა ოტილიესადმი თანაშემწის გულმიდრეკილებაზე, რამაც კიდევ უფრო გაუძლიერა სურვილი ბარონესას, უსათუოდ სწვეოდა ამ სასწავლებელს.

იგი ჩავიდა ქალაქში, სადაც პანსიონი იყო. გაეცნო სასწავლებლის უფროსის თანაშემწეს, დაათვალიერეს სასწავლებელი და ისაუბრეს ოტილიეზე. თვითონ გრაფიც ხალისიანად ლაპარაკობდა ოტილიეს შესახებ, ბოლო სტუმრობისას ხომ ახლოს გაეცნო მას. გრაფი და ოტილიე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ოტილიეს იზიდავდა გრაფი, რადგან მასთან შინაარსიან საუბარში შეიცნო და იხილა ბევრი აქამდე შეუმჩნეველი. თუკი ედუარდთან ურთიერთობაში მას სამყარო ავიწყდებოდა, სამაგიეროდ გრაფთან სიახლოვემ სამყარო მისთვის რაღა-

ცნაირად სასურველი და სანატრელი გახდა. ისე კი ყველანაირი მიზიდულობა ურთიერთსიმპათიას აღძრავს. გრაფს ოტილიე ამზომ შეუყვარდა, რომ მზად იყო საკუთარი ასული დაენახა მასში. ბარონესას კი მოეჩვენა, რომ ცხოვრებაში მეორედ გადაელობა გზაზე ვილაც და, ვგონებ, უფრო მეტადაც, ვიდრე ეს გრაფის პირველმა ცოლმა შესძლო. ვინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები, რა იცი, რა მოხდეს მომავალში, ეგებ ცხოველი ვნებაც აღიძრას ერთმანეთში, ოტილიეს გათხოვება კი ქმრიანი ქალების მდგომარეობას უვნებელს გახდიდა.

ბარონესამ შეუმჩნეველად, მაგრამ ოსტატურად და ჭკვიანურად ჩააგონა თანაშემწეს სასახლეში ხანმოკლე მოგზაურობის მოწყობა, რომ ამით ფრთა შესხმოდა მის ზრახვებსა და სურვილებს, რაიც ახალგაზრდა კაცს ბარონესასათვის არც დაუმალავს.

სასწავლებლის უფროსმა თანხმობა მისცა და ისიც გაეშურა სასახლეში სამოგზაუროდ. მისი სული იმედებით ალივსო. მას იცოდა მისადმი ოტილიეს კეთილგანწყობა, მხოლოდ წოდებათა სხვადასხვაობა თუ იქნებოდა მათ შორის წყალგამყოფი, მაგრამ ამ სხვადასხვაობის გაქარწყლებაც ადვილად შეიძლებოდა თანადროული სტილის აზროვნების მოშველიებით, თან ბარონესამაც ნათლად მიახვედრა, ოტილიე უწინდელივით საწყალი გოგოა, მდიდარ ოჯახთან ნათესაობა აბა მას რაში არგიათ? ადამიანს ხომ სიხდისი ნებას არ აძლევს მეტად მნიშვნელოვანი თანხა წაართვას იქნებ ზედმეტად მდიდრებსაც, რომელთაც ახლო ნათესაობის ძალით უფრო მეტი უფლება აქვთ მემკვიდრეობაზეო, და, რა თქმა უნდა, განსაცვიფრებელია ის ამბავიც, — განაგრძობდა ბარონესა, — რომ ადამიანი იშვიათად სარგებლობს იმ დიდი უპირატესობით, თავისი ქონება სიკვდილის შემდეგ უანდერძოს იმას, ვინც უყვარს, ტრადიციისადმი პატივისცემის გამო კი იგი უპირატესობას აძლევს სულ სხვას, ვისაც მეანდერძის ქონება მიეცემა იმ შემთხვევაშიც, თუ იგი საამისო სურვილს არ გამოთქვამსო.

გზაში თანაშემწე ოტილიეს თავის სწორფერად თვლიდა, გულითადმა შეხვედრამ იმედები გაუძლიერა. პირველი ნახვისთანავე შეამჩნია, რომ ოტილიე ნაკლებ გულგახსნილი იყო წინანდელთან შედარებით, თუმცა ეს საკვირველი არ იყო. იგი ხომ გაიზარდა, უფრო განათლებული და, თუ გნებავთ, უფრო გულმართალი გახდა, ვიდრე ადრე იყო. თანაშემწე გაეცნო ოტილიეს საქმიანობას, მაგრამ თავისი გულისთქმის გამჟღავნებას რატომღაც გაურბოდა. როგორც კი მოისურვებდა მიზან-ზრახვებთან ახლოს მისვლას, უმალ ელეთმელეთი მოსდიოდა, რაღაც შინაგანი შიში ეუფლებოდა, მაგრამ შარლოტემ თვითონ წააქეზა და ოტილიეს თანდასწრებით უთხრა:

„ხომ ყველაფერი ნახეთ, რაც კი ჩვენს მხარეში, ჩვენს გარემოცვაში ხარობს და იზრდება, ოღონდ ოტილიეზე არა გითქვამთ რა, მითხარით, როგორ უყურებთ მას, შეგიძლიათ გამოთქვათ თქვენი აზრი და იმანაც მოისმინოს იგი".

თანაშემწემ დიდად შორსმჭვრეტელურად და წყნარად აღნიშნა, რომ ოტილიეში დაინახა უკეთესობისაკენ მიქცეული არსებითი ცვლილება, რასაც მისი უშუალობა, უზომო გულგახსნილობა, შეხედულებათა თავისუფლება გამოხატავდა ცხოვრებისეულ საკითხებზე და ყველაფერი ეს მჟღავნდებოდა არა იმდენად სიტყვების, არამედ ქცევების საშუალებით. ამასთანავე თანაშემწეს მიაჩნდა, რომ ოტილიესათვის სასარგებლო იქნებოდა ერთხანს პანსიონში დაბრუნება, სადაც ერი საფუძვლიანად, მყარად, თანაც გარკვეული თანმიმდევრობით აითვისებდა ცოდნას, რასაც მაღალი საზოგადოება ნაწყვეტ-ნაწყვეტ გვაწვდის და უფრო თა-

ეგზას გვიბნევს, ვიდრე კმაყოფილებას გვანიჭებს, ზოგჯერ კი ამ ცოდნის შეძენა მეტისმეტად დაგვიანებულიც კია. ამის შესახებ სიტყვის გაგრძელება თანაშემწემ მიზანშეწონილად არ სცნო, ოტილიემ ხომ თვითონ უკეთ იცოდა, როგორ მოსწყვიტეს მაშინ ერთმანეთთან დაკავშირებულ გაკვეთილებსა და მეცადინეობებს. ოტილიეს არ შეეძლო ამის უარყოფა, მაგრამ ერთს კი გრძნობდა ნათლად და ამ თავის ნაგრძნობს ვერავის უმხელდა. იგი თვითონ [illegible] ეულიყო მასწავლებლის ნათქვამში, როცა იგი საყვარელ ადამიანზე ფიქრობდა. სამყაროში მისთვის ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდებოდა, ხოლო უამისოდ რა აზრი ჰქონდა ამ დაკავშირებას, ეს არ იცოდა.

შარლოტემ ჭკვიანური და თავაზიანი პასუხი გასცა მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას. თქვა, რომ თანახმაა ოტილიეს პანსიონში დაბრუნებაზე, მაგრამ თავად ჯერაც სჭირდება მეგობარი ქალის ხელშეწყობა, ხოლო შემდეგ კი ხელს აღარ შეუშლის, თუკი გოგონა კვლავაც მოისურვებს პანსიონში დაბრუნებასა და განათლების მიღებას.

თანაშემწე სიხარულით შეხვდა ამ სიტყვებს. ოტილიემ საპასუხოდ ხმის ამოღება ვერ გაბედა, თუმცა ამის უბრალო გაფიქრებამაც კი ერთობ შეაშინა. შარლოტე კი დროის მოგებას ცდილობდა. მას ეგონა, რომ ედუარდი შინ დაბრუნდებოდა, ძველებურ ცხოვრებას მიჰყოფდა ხელს ამჯერად ბედნიერი მამის როლში და ყველაფერი თავისთავად აეწყობოდა, ხოლო ოტილიეს ბედიც რომ ასე თუ ისე სასურველად წარიმართებოდა, შარლოტე ამაში ღრმად იყო დარწმუნებული.

ამ მნიშვნელოვანი საუბრის შემდეგ, რამაც ყველა მისი მონაწილე ჩააფიქრა, დუმილი ჩამოვარდა, რასაც ჩვეულებრივ დაბნეულობა მოჰყვება ხოლმე. შარლოტე და ოტილიე დარბაზში წრიალებდნენ. თანაშემწე კი წიგნებს ათვალიერებდა, მერე ფოლიანტთან მივიდა, ლუციანეს სახახლეში სტუმრობის დროიდან რომ იდო მაგიდაზე. როცა ნახა, ფოლიანტში მაიმუნების მეტი არაფერიაო, უმალ დახურა იგი. მაგრამ, ეტყობა, ეს გახდა იმ საუბრის მიზეზი, რომლის კვალიც ოტილიეს დღიურში აღიბეჭდა.

ოტილიეს დღიურიდან

„რა გული უნდა ჰქონოდა იმ ადამიანს, ვინც ასე თავგამოდებით ხატავს საზიზღარ მაიმუნებს. სხვა რომ არა იყოს რა, უბრალოდ მისი შეხედვაც კი ზარავს კაცს. მაგრამ აჰყვე ცდუნებას და მაიმუნის სახეში ჰპოვო მსგავსება ნაცნობ ადამიანებთან, ეს უკვე აშკარა სიმახინჯეა და უკეთური საქმე."

„რალაცნაირად უხიაკი უნდა იყოს კაცი, კარიკატურებისა და შარჟებისათვის რომ მოიცალოს. ჩვენს კეთილ თანაშემწეს დიახაც ეემადლიერები იმის გამო, რომ არასოდეს გავუტანჯივარ ბუნებისმეტყველების შესწავლით. არაფრით არ შეიძლია მატლებთან და ხოჭოებთან მეგობრობა. დღეს გამომიტყდა, თვითონაც ამასვე განვიცდიო".

„ბუნებაში, — თქვა მან, — მხოლოდ იმ ცოცხალ არსებებს უნდა ვიცნობდეთ, ჩვენ ირგვლივ რომ სუფევენ. ხეს, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჰყვავის, ეწვანილ ბიბინებს, ნაყოფს ისხამს, ყოველ ბუჩქს, რომელსაც გვერდით ჩავუვლით ხოლმე, ბალახის თითოეულ ღეროს, რაზეც დავაბიჯებთ. მხოლოდ ამათთან გვაქვს ნამდვილი ურთიერთობა, ესენი აშკარად ჩვენი თანამემამულენი არი-

ან. ფრინველები, ჩვენ წინ ტოტიდან ტოტზე რომ დაფრინავენ, ფოთლებში ნამალულან და ისე მღერიან — ესენი ხომ ჩვენი კუთვნილებანი არიან, სიჭაბუკის ხანიდან რომ გვეჭიკჭიკებიან და ჩვენც ვსწავლობთ მათი ენის გაგებას. განა უცხო და სხვა წრიდან გამოსული არსებები საშინელ შთაბეჭდილებას არ ახდენენ ჩვენზე, რასაც ზნე-ჩვეულებები თანდათან ანელებენ. რა ჭრელ და ხმაურიან ცხოვრებას უნდა ეწეოდე, რომ მაიმუნების, თუთიყუშების და ზანგების ატანა შეგეძლოს".

„ხანდახან, როცა ცნობისმოყვარეობა მომეძალება და მსგავსი უცნაურობების ნახვა მომინდება, მშურს მოგზაურის, რომელიც ამ საოცრებას სხვა საოცრებებთან ერთად ცოცხალ ყოველდღიურობასთან მიმართებაში ხედავს. მაგრამ იგი სხვა ადამიანი ხდება, პალმებს ქვეშ დაუსჯელად არავინ სეირნობს და აზრებიც უთუოდ სხვაგვარად წარიმართება იმ ქვეყნებში, სადაც სპილოები და ვეფხვები მოშინაურებული ჰყავთ".

„პატივისცემის ღირსია მხოლოდ ის ბუნებისმეტყველი, ვისაც ძალუძს ქვეყანაზე უცხო და ყველაზე უჩვეულოც კი აღწეროს და ასახოს ადგილობრივ ვითარებაში, გარემომცველობის ყოველგვარი გათვალისწინებით და მუდამ თავის სტიქიაში, რა კარგი იქნებოდა ერთხელ მაინც მომესმინა, რას იტყოდა ამის შესახებ ჰუმბოლტი".

„საბუნებისმეტყველო ექსპონატების კაბინეტი შეიძლება რაღაცით ეგვიპტურ აკლდამად მოგეჩვენოს, სადაც დაბალზამებული და გამოფენილია სხვადასხვა კერპები —ცხოველები და მცენარეები. იქნებ ქურუმთა კასტას უფრო შეეფერება იდუმალ ნახევარწყვდიადში ეწიოს ამ საქმეს, მაგრამ სწავლაში მსგავს რაიმეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მით უფრო იმიტომაც, რომ ამის გამო ადვილად შეიძლება თვალთახედვის არედან განიდევნოს ბევრად უფრო ახლობელი და საყურადღებო მოვლენა."

„მოწაფის სულზე ცხოველ კვალს უფრო ის მასწავლებელი სტოვებს, ვისაც ნათელი გრძნობის აღძვრა ძალუძს თუნდაც რაიმე კეთილი საქმისა ანდა კარგი ლექსის მიმართ, ვიდრე იმ ყაიდის კაცი, რომელსაც ბუნების ნაკლებად საგულისხმო წარმონაშობთა მხოლოდ ფორმის, სახელწოდების უსულგული გადმოცემა შეუძლია. ამით ბოლოს და ბოლოს ის ირკვევა, რაც ისედაც შეიძლება იცოდე. ადამიანი ღვთაების ჩინებული და განუმეორებელი ჯუფთია."

„დაე, ყოველმა ჩვენგანმა, როგორც ნებავს, ისე აკეთოს მისთვის სანუკვარი, გასახარელი და სასარგებლო საქმე, ოღონდ მთავარი ახსოვდეს: კაცობრიობის საგულდაგულო კვლევის საგანი რომ მხოლოდ ადამიანია".

თავი მერვე

იშვიათად თუ ვერ შევლევა ვინმე ახლო წარსულს, უფრო ძალუმად თავისკენ აწმყო გვიზიდავს ანდა უძველეს წარსულში ვიკარგებით, თანაც ვცდილობთ შესაძლებლობისამებრ გავაცოცხლოთ და აღვადგინოთ ის, რაც უკვე საგებით გამქრალა და გარდასულა. ისე გასინჯეთ, წარჩინებულ და მდიდარ ოჯახებშიც კი, წინაპრებისაგან ბევრი რამით რომ არიან დავალებულნი, ჩვეულებრივ პაპა უფრო [illegible] ახსოვთ, ვიდრე მამა.

ასეთი ფიქრები უტრიალებდა თავში თანაშემწეს ძველი ციხე-დარბაზის ბალში სეირნობისას ერთ იმ მშვენიერ დღეს მრავალ ისეთ დღეთა შორის, როცა ზამთრის მიწურული თავს გაზაფხულად მოგაჩვენებს. იგი ალაფდთოვანა — ჯერაც ედუარდის მამისდროინდელმა მაღალი ცაცხვების ხეივანმა და ხშირმა ნარგავებმა. ხეებს დიდებულად აეყარათ ტანი, მათ დამრგველ-გამშენებელს თან გაეხარდებოდა ისე, და აი, ახლა, როცა დადგა ამის შეცნობისა და მათი — მშვენიერებით ტკბობის ჟამი, უკვე კრინტსაც ალარავინ ძრავდა ამაზე. აქ თითქმის ალარავინ დადიოდა. ამჯერად სხვა უფრო გაშლილ და ვრცელ ადგილას გადაეტანათ ყველანაირი გასართობ-საზრუნავი.

სასახლეში დაბრუნებულმა თავისი აზრი შარლოტეს გაუზიარა, ვინაც კეთილგანწყობილად მოისმინა თანაშემწის ნათქვამი.

„ცხოვრება თავისკენ გვეზიდება, — თქვა შარლოტემ, — ჩვენ კი გვგონია თითქოს დამოუკიდებლად ვმოქმედებთ, თითქოსდა თვითონვე ვირჩევთ ჩვენს საქმიანობას, ჩვენს საამეო. თუ ჩავუკვირდებით, თქმა არ უნდა, აღმოჩნდება, რომ მხოლოდ იძულებული ვართ სხვებთან ერთად მივსდიოთ დროის მოთხოვნებს, აღვასრულოთ იგი, დავემორჩილოთ ეპოქის მიდრეკილებებს“.

„რა თქმა უნდა, — მიუგო თანაშემწემ, — საწინააღმდეგო დინებით წასვლა ძნელია. დრო წინ მიდის და დროსთან ერთად კანწყობილებები, შეხედულებები, წინასწარ შემუშავებული აზრები, ბიდრეკილებები. თუ ვაჟიშვილის სიჭაბუკე კარლატეხის ეპოქას დაემთხვა, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მამასთან იმას საერთო არაფერი ექნება. ხოლო თუკი მამა ცხოვრობდა იმ დროში, როცა ადამიანებს ეხალისებოდათ შეძენა, ქონების დაგროვება, ყველაფრის მჭიდრო საზღვრებში მოქცევა და გარე სამყაროსაგან მიწყვეტით თავისი მონაპოვრით ტკბობა, მაშინ ვაჟიშვილი შეეცდება, ეს ჩაკეტილი დოვლათი განავრცოს, გაანაწილოს, მზის სინათლეზე გამოიტანოს“.

„ეს ეპოქებიც ხომ იმ მამასა და შვილს მოგვაგონებს, — შენიშნა შარლოტემ, —თქვენ რომ აღწერეთ. ახლა ვერც კი წარმოვიდგენთ იმ შორეულ ხანას, როცა ყოველ ქალაქს თავისი გალავანი და მიწაყრილი ჰქონდა, როცა სათავადაზნაურო მამულებს თუ სადმე ჭაობიან ადგილას აგებდნენ, სულ მცირე ციხე-სიმაგრეში მიხვედრა მხოლოდ ამწე-ხიდის მეშვეობით შეიძლებოდა. ახლა დიდ ქალაქებში ველარც იპოვნით მიწაყრილებს, თვით თავადთა ციხე-სიმაგრეთა თხრილებიც კი ამოავსეს. დღეს ქალაქები მხოლოდ დიდ დასახლებულ ადგილებში არიან გაშენებული და როცა მოგზაურობისას ყველაფერ ამას ხედავ, შეიძლება იფიქრო, აი, დამკვიდრებულა და ეს არის საყოველთაო მშვიდობა და ჩვენც ოქროს საუკუნის წინა დღეებში მოგვიწია ცხოვრებამაო. არავის ბალი მყუდროდ არ მოეჩვენება, თუ იგი დია ცის ქვეშ არ გაშენდება. ხელოვნური, ნაძალადევი არაფერი არ უნდა იყოს. ჩვენ თავისუფალი, მთელი მკერდით სუნთქვა გვინდა. მიგაჩნიათ თუ არა დასაშვებად, ჩემო მეგობარო, რომ შესაძლებელია ამ ყოფას თავი დავაღწიოთ და უწინდელს დავუბრუნდეთ?“

„რატომაც არა, — მიუგო თანაშემწემ, —ყველანაირ ყოფას, შეზღუდული იქნება იგი თუ თავისუფალი, თავისი სიძნელეებიც ახლავს. კარგი მდგომარეობა ბარაქიანობას გულისხმობს და ფლანგვას გვაჩვევს. მოდით, თქვენს მაგალითზე შევჩერდეთ, რაც საკმაოდ თვალში საცემია ამ გაგებით. როგორც კი უქონლობა გაჩნდება, უმალ თვითშეზღუდვაც წამოყოფს თავს. ადამიანები, რომლებიც მიწით სარგებლობენ, კვლავ და კვლავ შემოლობავენ თავიანთ ბაღებს, მოსხმული ნაყოფი რომ არ დაიკარგოს და ასე თანდათანობით ჩნდებ ,ხალი შეხე-

დულებები საგნებზე. ცხოვრებისეული სარგებლობა კვლავ მოიპოვებს თავის უპირატესობას და ბოლოს და ბოლოს დიდძალი განძის პატრონიც კი საჭიროდ ჩათვლის ყველგან გამორჩენა ეძიოს. დამიჯერეთ, ძალიან ადვილად შეიძლება, რომ თქვენმა ვაჟიშვილმა ზურგი აქციოს ახლად გაშენებულ პარკს და თავის პაპისეულ მამულს დაუბრუნდეს, იმ ჩაჟამებული გალავნის უჭეშმარიტესი ცაცხვების ძირში რომ გაშლილა".

შარლოტეს გულში გაეხარდა, წინასწარ რომ ამცნობდნენ ვაჟიშვილის დაბადებას, ამიტომაც რაღაცით მიუტევა მოძღვარს უსიამო წინასწარმეტყველება იმ ხვედრისა, დროთა განმავლობაში რომ ელოდა მის საყვარელ პარკს, და აშკარა მეგობრული განწყობილებით მიუგო:

„ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდები ვართ საიმისოდ, რომ თვითონვე მრავალჯერ განვიცადოთ მსგავსი წინააღმდეგობები. მაგრამ თუკი გონების თვალით დავუბრუნდებით ადრეულ სიჭაბუკეს, გავიხსენებთ მოხუცების მდგომარეობას ამა სოფელზე, წამდაუწუმ რომ გვესმოდა მათგან, გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ მთელი ქვეყნიერებისა და ქალაქების ბედსაც, მაშინ თქვენს შენიშვნებზე საწინააღმდეგო არა მექნება-რა. მაგრამ ნუთუ არ შეიძლება შეიცვალოს საგანთა ამნაირი მიმართება. განა არ შეიძლება მამა თანხმობით ცხოვრობდეს ვაჟიშვილთან, მშობლები კი — შვილთან. აი, ამ წუთას არ იწინასწარმეტყველეთ ტკბილად — ვაჟიშვილი გაგიჩნდებათო? ნუთუ მისი ხვედრი მამასთან უთანხმოება იქნება, იმის დანგრევა, რაც მის მშობლებს უშენებიათ, და არა წინაპართა ნაღვაწის მათებურადვე ბოლომდე მიყვანა და სრულქმნა?"

„საამისოდ ერთი გონივრული საშუალება არსებობს, — მიუგო თანაშემწემ, — მაგრამ ადამიანები იშვიათად მიმართავენ მას. დაე, მამამ გახადოს ვაჟიშვილი თანამფლობელი, შესაძლებლობა მისცეს ააშენოს და გააშენოს მასთან ერთად. რაღაც-რაღაცეებზე უწყინარი თვითნებობის ნებაც დართოს, საკუთარ თავსაც ხომ მისცემდა ზოგჯერ ამის უფლებას. ერთის საქმიანობა მეორისას ქსოვილის ნაჭერივით კი არ ჩაეკერება, არამედ ჩაექსოვება. ნორჩი ტოტი ოოლად და სიამით ემყნობა ძველს ფესვს. მომწიფებულ კორძს კი უჭირს ნედლ ყლორტთან შეზრდა".

თანაშემწეს ეამა, გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე შარლოტეს რომ უნებურად რაღაც გასახარელი უთხრა და ამით კვლავ კეთილად განაწყო თავისადმი. უკვე კარგა ხანია, რაც შინისაკენ გზას უნდა გასდგომოდა, მაგრამ წასვლა ვერ გადაწყვიტა მანამდე, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ ოტილიეს პანსიონში დაბრუნების შესახებ საბოლოო პასუხს შარლოტეს მშობიარობამდე ვერ მიიღებდა. იგი შექმნილ ვითარებას დამორჩილდა, იმედი მომავალზე დაამყარა და სასწავლებლის უფროსთან დაბრუნდა.

შარლოტეს მშობიარობაც მოახლოვდა. მეტი დრო იგი თავის ოთახში იყო. გარშემო შემოკრებილი რამდენიმე ქალი შეადგენდა მის ვიწრო წრეს. ოტილიე მეუღნეობას ეწეოდა. თითქოს არც იცოდა, რას აკეთებდა. იგი ბედს დამორჩილდა. მთლად თავგადაგებული გახდა. სურდა კვლავაც გაეწია სამსახური შარლოტესათვის, მისი შვილისათვის, ედუარდისათვის. მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდა. რანაირად იცხოვრებდა. ასე ვერაფერი იხსნიდა სრული დაბნეულობისაგან, რომ არ ყოველდღიური თავზე საყრელი საზრუნავი, რასაც იგი მოვალეობის გრძნობით ეკიდებოდა.

შარლოტემ ბედნიერად იმშობიარა და ვაჟიშვილი შეეძინა. ქალები ირწმუნებოდნენ — ბიჭი ზედგამოჭრილი მამაა. მხოლოდ ოტილიე არ ფიქრობდა ასე,

მაგრამ არაფერს ამბობდა. მან მიულოცა მელოგინეს შვილის დაბადება და ბედნიერება უსურვა. შარლოტე ახლა უფრო მტკივნეულად განიცდიდა ქმრის შინ არყოფნას ვიდრე მაშინ, როცა ქალიშვილისათვის ქორწილის სამზადისი ჰქონდა. მამა ბიჭის დაბადების მერეც არ გამოჩენილა, თუმცა სწორედ მას უნდა დაერქვა სახელი ბავშვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობართაგან პირველი მიტლერი მოვიდა მოსალოცად. [illegible] მას სასწრაფოდ აცნობეს ეს ამბავი. იმანაც ჩამოსვლა არ დააყოვნა. იგი დიდად ნასიამოვნები იყო ამის გამო. ოტილიეს თანდასწრებითაც ვერ დამალა თავისი სიხარული. ხოლო შარლოტეს წინაშე ხომ მთლად თაფლად დაიღვარა, იმ კაცად იქცა, ვინც მოწადინებულია თავიდან მოიშოროს ყველა დარდი და საზრუნავი, დროებით წამოჭრილი სიძნელეები. ნათლობის გადადება არაფრით არ შეიძლებაო, თქვა. მოხუც პასტორს, ვისაც ცალი ფეხი სამარეში ედგა, თავისი ლოცვაკურთხევით უნდა დაეკავშირებინა წარსული მომავალთან. ბავშვს ოტო დაარქვეს, ან კი სხვა რა უნდა დაერქვათ, თუ არა მამისა და მეგობრის სახელი.

მიტლერის სიმტკიცე და უჯიათობა ამ უხერხულ ვითარებაში მართლაც რომ საჭირო გამოდგა. მას ათასი რაღაც უნდა მოეგვარებინა: სადავო თუ საჭოჭმანო, გასარკვევი თუ გადაუწყვეტი. მსგავს ვითარებაში რომ აუცილებლად ჩნდება. ყოველ გადალახულ სიძნელეს ჩვეულებრივ უმალ ახალი მოჰყვება და როცა გინდა ყველასთან კარგი ურთიერთობა გამოგივიდეს, სწორედ მაშინ გამოტყვრება რაღაცა და უნებურად მოგიხდება ვინმეს წყენინება.

მიტლერმა ითავა ყველანაირი შეტყობინებები და ნათესავებისადმი წერილების დაგზავნა. ყველაფერი სასწრაფოდ უნდა დაეწერა, რადგან თვითონ მიტლერი უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა ამბის შეტყობინებას ოჯახის ბედნიერებაზე, რასაც იგი ღირსსაცნობ ფაქტად თვლიდა, თანაც უნდოდა ეს ამბავი ცნობილი გამხდარიყო არაკეთილმოსურნეთა და ავმოსიტყვეთა შორისაც, რომელთა ყურადღებას, რა თქმა უნდა, არცთუ ისე დიდი ხნის წინ გათამაშებული სატრფიალო დრამაც გამორჩებოდა. მიტლერი ისედაც დარწმუნებული იყო, რაც კი ხდება, ყველაფერი მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ იგი სალაპარაკო გახდესო.

ნათლობის ზეიმის ღირსეულად, მაგრამ მოკრძალებულად, შეზღუდულად ჩატარება ინდომეს. ოტილიესა და მიტლერს ნათლიობა დააკისრეს. მოხუცი მღვდელი დარბაზში ეკლესიის მსახურის თანხლებით ნელი ნაბიჯით შემოვიდა. ძან ლოცვა წარმოთქვა, ოტილიემ კი ბავშვი ხელში აიყვანა და, როცა ნაზად შეხედა მას, დიახაც შეეშინდა მისი ღია თვალების, რადგან მოეჩვენა, რომ ყრმა თვითონ ოტილიეს თვალებით იხედებოდა, ესოდენი მსგავსება ხომ საოცრება იყო. მერე მიტლერს გადააწოდეს ბავშვი და ისიც განცვიფრებული დარჩა, რადგან თვალში მოხვდა მისი უჩვეულო მსგავსება კაპიტანთან. ასეთი მსგავსება თავის სიცოცხლეში არ ენახა.

კეთილ მოხუც პატრონს სისუსტე მიერია და ვერ შესძლო ჩვეულებრივ ლიტურგიაზე უფრო მრავალფეროვნად წარემართა ნათლობის წეს-ჩვეულებები, ამასობაში მიტლერს, ამ ვითარების წყალობით, მოაგონდა თავისი ადრინდელი ღვთისმსახურება, თუმცა ისედაც მუდამ ჩვეოდა რასაც და როგორც ფიქრობდა, ის ეთქვა, მისებურად და არა სხვაგვარად. ამჯერადაც მეგობრების ვიწრო წრეში გაუძნელდა თავის შეკავება, ამიტომაც რიტუალის დასასრულს წყნარად დაიკავა პასტორის ადგილი და ხალისით შეუდგა ქადაგებას, აღნიშნა ნათლიის მოვალეობები, თავისი იმედები გამოთქვა და კიდევ უფრო გააგრძელა საუბარი, როცა შარლოტეს სახეზე აშკარა კმაყოფილება ამოიკითხა.

დაულლელ ორატორს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ მოხუცი პასტორი ფეხზე ძლივს იდგა, მისთვის ერთი ჩამოჯდომა მადლი იყო. მიტლერს თავშიაც არ მოსდიოდა,რომ საცაა უბედურების მოწამე გახდებოდა. ჩვეული ულმოდგინებით დახატა რა თითოეული დამსწრის დამოკიდებულება ჩვილი ბავშვისადმი და ამით საკმაოდ დიდი გამოცდა მოუწყო ოტილიეს მოთმინებას, ბოლოს და ბოლოს მოხუც პასტორს მიუბრუნდა შემდეგი სიტყვებით:

„აი, თქვენ, ბატონო პასტორო, ახლა შეგიძლიათ სიმეონსავან ერთად უწყოდეთ: მეუფეო, ნება მიეც შენს მსახურს სასუფეველში წარვიდეს, რადგან ჩვენი მზერა ხედავს ამ სოფლის მაცხოვარს.“

და ის იყო უნდა დაეგვირგვინებინა თავისი სიტყვა,რომ უეცრად შეამჩნია, მოხუცი ჯერ მისკენ გადმოქანდა, მერე კი მოულოდნელად უკან გადაიხარა. ძლივს მოასწრეს მისი დაჭერა, სავარძელში ჩასვეს, გაიქცნენ ექიმის მოსაყვანად, მაგრამ ამაოდ, იგი უკვე მკვდარი იყო.

ასე უშუალოდ იხილო და შეიცნო დაბადება და სიკვდილი, კუბო და აკვანი, ეს არა მხოლოდ წარმოსახვის ძალას არ ხელეწიფების, ესოდენი უზარმაზარი კონტრასტის ხილვა, უბრალოდ, თვალებსაც არ ძალუძთ. ამიტომაც ძალზე ეძნელათ დამსწრეთ ასეთი მოულოდნელი საშინელების დანახვა და განცდა. მხოლოდ ოტილიე უცქერდა რაღაცნაირი შურით მიცვალებულს, რომელსაც ჯერაც შერჩენოდა სახეზე თბილი და ალერსიანი გამომეტყველება. მას სული ჩაუკლეს და ახლა რაღად უნდოდა მარტო სხეულით ეცოცხლა.

თუკი დღის უსიხარულო მოვლენებს ოტილიე არაერთხელ მიუყვანია წარმავლობის, დაშორების, დაკარგვის განცდებთან, სამაგიეროდ ღამეული საოცარი ხილვები რჩებოდა ნუგეშად, რომლებიც არწმუნებდნენ, რომ სატრფო ცოცხალთა შორისაა, და მისი ამქვეყნად არსებობა ძალასა და მხნეობას მატებდა. როცა საღამოობით საწოლში იწვა და, ძილ-ღვიძილს შორის ოცნებისაკენ ქროლვით მიმავალი, თავდავიწყების ტკბილ ნეტარებას ეძლეოდა, ეგონა, რომ წინ ერთიანად ნათელი, ნაზი სხივებით ავსებული სივრცე გადამეშალაო. აქ კი ცხადად ხედავდა ედუარდს, მაგრამ არა ჩვეულებრივი სამოსელით, სხვა დროს რომ ეხილა, არამედ საბრძოლო საჭურველით, სულ სხვა პოზაში, თუმცა სრულიად ბუნებრივსა და არა ფანტასტიურს — იგი ან იდგა, ან დადიოდა, ან იწყო ანდა ცხენს მიაგელვებდა. სატრფოს ხატება, მისი ყოველი ნაკვთი ცხადად იხატებოდა ოტილიეს წინ. იგი ძალდაუტანებლად მოძრაობდა, არ სჭირდებოდა არც ხების, არც ფანტაზიის დაძაბვა, ზოგჯერ ხედავდა, რაღაც მოძრავი ეჩვეოდა, ეს კი ხდებოდა ბნელ და არა ნათელ ფონზე. იგი ძლივს არჩევდა ლანდებს, რომლებიც ხან ადამიანებად ეზმანებოდნენ, ხან ცხენებად, ხან კიდევ ხეებად, ხანაც მთებად.

ამ ხილვებში ჩაეძინებოდა ხოლმე და როცა დილით, წყნარად გატარებული ღამის შემდეგ გაიღვიძებდა, თავს მხნედ და მშვიდად გრძნობდა, მტკიცე რწმენით იყო აღსავსე, სჯეროდა, ედუარდი ჯერ კიდევ ცოცხალიაო, და მათ შორის კვლავ სუფევდა კავშირი უხილავი, დაუსაბამო.

თავი მეცხრე

დადგა გაზაფხული. იგი მოგვიანებით, მაგრამ სწრაფად შემოიჭრა, თანაც ჩვეულებრივზე უფრო მეტად სიხარულის მომგვრელად. ბაღში ოტილიემ თა-

ვისი ზრუნვის ნაყოფი იხილა. ყველაფერმა დროზე იხარა, იყვავილა, იმწვანა, რაც კი კეთილმოწყობილ კვალსათბურებსა და ორანჟერიებში მომზადდა, უმალ აჰყვა ბუნების ხმასა და ძახილს, შეეწყო, შეეთვისა მას. ახლა უკვე წენანდელივით სიძნელეს აღარ წარმოადგენდა, რაც კი აქამდე საზრუნავი და საფიქრალი იყო, ახლა მომავალში უკეთესობისაკენ სრულ იმედს გვისახავდა, ამჯერად კი ყველა ამ საზრუნავს ლაღი განცხრომა მოჰქონდა.

რადგან ლუციანეს სიგიჟის წყალობით ქოთნის მცენარეებმა ზამთარ-ზაფხულ ერთ კვირტების სიმეტრია დაირღვა, ოტილიეს უნდოდა მებაღე ენუგეშებინა, მისთვის გულის გამაგრებას, რწმენის ჩანერგვას ლამობდა — რა ვუყოთ მერე, დანაკარგი მალე აღდგება და განახლდებაო, მაგრამ მებაღე ძალზე ღრმად განიცდიდა ბალის გასაჭირს, მან ძალიან კარგად იცოდა თავისი საქმე საიმისოდ, რომ ასეთ საბუთს იმედი მიეცა, ისე როგორც მებაღეს არ უნდა ჰქონდეს სხვა, თავისი საქმის გარეშე არსებული გატაცებები და მიდრეკილებები, ასევე მცენარესაც არ უნდა დაერღვეს მისი არსებობისათვის საჭირო და აუცილებელი მშვიდად განვითარების პირობები, რათა ხანგრძლივ თუ წამიერ სრულყოფას მიაღწიოს. მცენარე ჯიუტი კაცივითაა, ვისთანაც ყველაფერს მიაღწევ, თუკი იცი, როგორ მოეპყრა მას. წყნარი გულისყური, მშვიდი თანმიმდევრობა ყოველ წვრილმანში, რასაც წელიწადის ყოველ დროს, ყოველ საათს უნდა მიჰყვე, ეს ყველაფერი, მგონი, არავის ისე მკაცრად, გზებავთ უფრო მეტადაც, არ მოეთხოვება, როგორც მებაღეს.

ამ თვისებებს გულისხმიერი მოხუცი მაღალოსტატურად ფლობდა. ოტილიესაც ამიტომ ჰგვრიდა სიამეს მასთან ერთად გარჯა. მაგრამ მებაღეს თავისი ნიჭი კარგა ხანია მშვიდად ვერ გამოევლინა, თუმც სრულყოფილად იცოდა ყველაფერი, რაც კი მეხილეობასა და მებოსტნეობას შეეხებოდა, თუმცა დეკორატიული მებაღეობის ყველა მოთხოვნას ძველებური გემოვნების შესატყვისად აკმაყოფილებდა. ასეა ხოლმე, ყველაფერი ერთნაირად ვერ გამოგივა, ერთს მუდამ ერთი რამის კეთება ძალუძს, მეორეს კიდევ — მეორისა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, ორანჟერული მცენარეულის მოვლაში, ხახვის ყვავილთა, მიხაკთა და ფურისულათა გამოყვანაში თვითონ ბუნებასაც ტოლს არ უდებდა. ოღონდ ეს იყო, რამდენადმე უცხოდ მიაჩნდა დეკორატიული ხეები და მოდური ყვავილები, ხოლო მოგვიანებით მის წინ გადაშლილ უსაზღვრო თვალსაწიერზე მორიალე ბოტანიკური სახელწოდებები რაღაცნაირ შიშსა და სევდას აღუძრავდა. მცენარეების უცხოეთიდან გამოწერას, რაც მისმა ბატონებმა გასულ წელს დაიწყეს, იგი ფულის უსარგებლო ხარჯვად და ფლანგვად თვლიდა. მოხუც მებაღეს არაერთხელ უნახავს იქიდან ჩამოტანილი დამჭკნარი ძვირფასი ყვავილები და არც განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონია ვაჭარ მებაღეებთან, რომლებიც, მისი აზრით, არცთუ პატიოსნად ემსახურებოდნენ მას.

ამიტომაც მთელი რიგი საცდელი სამუშაოების შემდეგ მან შეადგინა საგანგებო გეგმა, რასაც ოტილიემ მით უფრო ხალისით დაუჭირა მხარი, რომ იგი არსებითად ედუარდის დაბრუნებას მოასწავებდა, ვისი არყოფნაც თანდათან უფრო და უფრო მტანჯველი ხდებოდა მისთვის.

რაც უფრო ღრმად გაედგათ მცენარეებს ფესვები და ლაღად გაეშალათ ამწვანებული ტოტები, მით უფრო ვერ მოშორებოდა ოტილიე ამ ადგილებს. ზუსტად ერთი წლის წინათ გამოჩნდა იგი ამ მიდამოებში, როგორც უცხო, უმნიშვნელო არსება, ვინც არაფრით გამორჩეული არ იყო. რაოდენ ბევრი სიკეთე ჰპოვა ამ ხნის განმავლობაში და რაოდენ ბევრიც დაჰკარგა. თავის დღეში არ ყოფი-

ლა იგი ერთსა და იმავე დროს ამისთანა შემძლებელიც და ამისთანა უპოვარიც. სიუხვისა და სიღატაკის ასე გვერდიგვერდზე დგომა, მათი ერთდროული შეგრძნება წამიერად ერწყმოდა ერთურთს და ამ ერთქმნას ისე ძალუმად მოეცვა მისი არსება, რომ ერთადერთ ხსნად ოჯახის საზრუნავი გაეხადა, რასაც მისებური სიმკვირცხლით და მისთვის ჩვეული მუყაითობით, დიახ, გატაცებულად ეწეოდა.

იგი ძალაუნებურად ფიქრობდა იმაზე, რომ რაკი მეშვიდეულ გულისყურს აპყრობდა ყველაფერს, რაც განსაკუთრებით უყვარდა ედუარდს, რატომ არ უნდა ჰქონოდა მისი დაბრუნების იმედი. ხოლო ის გულისხმიერება და თავდადება, რასაც ოტილიე ამჯერად აქ არმყოფი კაცისადმი იჩენდა, მაღლიერების გრძნობას აღძრავდა.

მაგრამ ოტილიე სხვაგვარად ცდილობდა მისთვის გარჯას. მან მთლიანად იკისრა ბავშვზე მზრუნველობა და ისე უშუალო და ბუნებრივი იყო მისი ეს ზრუნვა, რომ ერთხანს ძიძა არც აუყვანიათ, წყალგარეული რძით კვებავდნენ ჩვილს. წელიწადის ამ დიდებულ ჟამს არც სუფთა ჰაერზე სეირნობა უნდა მოჰკლებოდა პატარას და ოტილიე თვითონვე დაატარებდა ხელში აყვანილი მძინარეს, მწვანედ აბიბინებულ, გადაფურჩქნული ყვავილებით, ნორჩი მცენარეებითა და ბუჩქებით მოფენილ მინდორზე დაასეირნებდა. ეს არემარე ხალისიანად ეგებებოდა ძუძუმწოვარს, თითქოს და მის სინორჩეს ესალმებათ. თითქოსდა ამ ბავშვს ახლად აკვირტებულ მცენარეებსა და თითო ჩირგვებთან ერთად უნდა მოესწრო ტანის აყრა, გაზრდა-დაფრთიანება. თვალი მოავლო რა მიდამოს, ოტილიე უნებლიეთ იმაზე დაფიქრდა, რა სიმდიდრის პატრონად დაიბადა ეს ბავშეი, რადგან ყოველივე, რასაც კი მზერა მისწვდებოდა, მისი კუთვნილება უნდა გამხდარიყო. რარიგ ეწადა ოტილიეს ამ ბავშვის თავისი დედ-მამის თვალწინ წამოჩიტვა და დავაჟკაცება, შარლოტესა და ედუარდს შორის განახლებული სასიხარულო კავშირის დასტურად. ოტილიე აწმყოს ისე გამოკვეთილად ჭვრეტდა, რომ წარმოსახვით მერმისიც სინამდვილედ იქცია და საკუთარი თავი სრულიად მიავიწყა. ამ ნათელი ცის, ამ შუქმფინარე მზის სხივებქვეშ თითქოს სავსებით მკაფიოდ დაინახა, რომ მისი სიყვარული მხოლოდ უანგარობის წყალობით გახდებოდა სრულქმნილი. ხანდახან ისიც ეგონა, რომ უკვე მიაღწია ამ სიმაღლეს. იგი მხოლოდ საკეთეს უსურვებდა თავის მეგობარს, ოტილიეს შეეძლო უარი ეთქვა მასზე, იქამდე, რომ არც არასოდეს ეხილა, ოღონდ სცოდნოდა, რომ იგი ბედნიერია. მხოლოდ ერთი რამ განიზრახა მტკიცედ, — თავის დღეში სხვისი არ გამხდარიყო.

სასახლეში იზრუნეს, რომ შემოდგომაც გაზაფხულივით მშვენიერი ყოფილიყო. უხვად დათესეს ყველა ჯიშის ზაფხულის მცენარე, რომელთა ზრდა-განვითარება შემოდგომისას დასრულებას ვერ ასწრებს და უტიფრად არ ეპუება სიცივეს, მეტადრე ნაირ-ნაირი ასტრები, მიწის ზემოთ ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცის მშვენებად რომ ხარობენ.

ოტილიეს დღიურიდან

„ჩვენ დღიურებში შეგვაქვს ხოლმე თვალში საცემი მნიშვნელოვანი ამბები, სადღაც ამოკითხული ანდა რაღაც თვალსაჩინო მომენტები, რაც ჩვენი თანდასწრებით უაძბნიათ. მაგრამ თუკი არ დავიზარებთ და მეგობრების წერილებიდანაც ამოვკრებთ თავისებურ შენიშვნებს, ორიგინალურ აზრებს, წამიერად გამო-

თქმულ მახვილგონივრულ გამონათქვამებს, მარილაც რომ ყელამდე სიკეთით ავივსებოდით. წერილებს იმისათვის ინახავენ, რომ მეტად აღარასოდეს წაიკითხონ ისინი, ბოლოს და ბოლოს საფრთხილის გამო სულაც ანადგურებენ მათ და ასე აუნაზღაურებლად წყდება ყველაზე ძვნიერი, ყველაზე უშუალო ჩვენი თუ სხვისი ცხოვრების სუნთქვა. მე განვიზრახე ავიცილო ეს დაუდევრობა".

„ასე მეორდება ხოლმე კვლავ თავიდან წლის ზღაპარი. მადლობა ღმერთს, რომ ამჯერად მის ყველაზე გულგასახარ გვერდს ვკითხულობთ. იები და მაისის ვარდები ამ გვერდის ეპიგრაფები და ვინიეტები არიან. ჩვენზე საამურ შთაბეჭდილებას ახდენს ცხოვრების წიგნში მათი კვლავ გადაშლა".

„ჩვენ ვკიცხავთ გლახაკებს, მეტადრე არასრულწლოვანთ, როცა ისინი ქუჩაში მოწყალებას ითხოვენ. მაგრამ განა ვერ ვამჩნევთ, რა სწრაფად იპოვნიან ხოლმე ისინი საქმეს, როგორც კი რაიმე იმედი გამოჩნდება. ძლივს მოასწრებს ბუნება თავისი მადლიერი საუნჯის გამჟღავნებას და ბავშვებიც" უმალ გამოძებნიან საკეთებელს. ახლა უკვე აღარავინაა მთხოვარა მათ შორის, თითოეული მათგანი თავგულს მოგართმევს, შენს ძალში რომ მოკრიფა, და ისე თბილად გიყურებს, როგორც თავის ძღვენს. არავინ საცოდავი არ ჩანს, თუკი ოდნავ მაინც გრძნობს მათხოვრის უფლებას".

„რატომ გვეჩვენება ეს წელიწადი ზოგჯერ ხანმოკლე და ზოგჯერ ხანგრძლივი? რატომაა იგი სინამდვილეში ასე ხანმოკლე, ხოლო მოგონებებში ასე ხანგრძლივი? ასე იყო გასულ წელსაც და არსად ეს ასე მძაფრად არ მიგრძვნია, როგორც ბაღში, რადგან სწორედ აქ უკავშირდება მჭიდროდ ერთმანეთს წარმავალი და მარადიული. და არაფერია იმზომ წამიერი, ვიდრე კვალი, რასაც თავისი მსგავსი არ დაუტოვებია".

„ჩვენ მოგვწონს ზამთარი, რა ვრცელი გვგონია ამ დროს ყველაფერი, როცა ჩვენ წინ დგანან ხეები, ასე იდუმალნი და ასე გამჭვირვალენი, ისინი არარანი არიან, მაგრამ არც რას ფარავენ ჩვენს თვალთაგან. როგორც კი მცენარე იკვირტებს და ყვავილი აკოკრდება, მოუთმენლობა გვიპყრობს, გვინდა, გვეჩქარება, ხემ ტანი აიყაროს, მიდამო გაცოცხლდეს, გამოკვეთილი სახე მიიღოს".

„ყოველი სრულქმნილი არსება თავის თავზე უნდა ამაღლდეს. იგი სხვად უნდა იქცეს, არავის სადარი, გახდეს შეუდარებელი და ოვითმყოფი. ზოგჯერ ბულბული თავისი სტვენით კვლავ ჩვეულებრივი ფრინველი გვგონია, მაგრამ თავის თვისტომზე ამაღლებულად გალობს, აი, მაშინ კი ყველა ფრთოსანს უდასტურებს, რა არის ჭეშმარიტი სიმღერა".

„ცხოვრება უსიყვარულოდ, საყვარელი ადამიანისაგან მოშორებით ეს არის მხოლოდ Comédie à tiroir ანუ უჯრედებიანი კარადა, ე. ი. პიესა, რომლის სცენები ერთმანეთს არ უკავშირდება. გამოსწევ ერთ უჯრას, იმას მიაყოლებ მეორეს, მერე შესწევ და იჩქარი გადახვიდე შემდეგზე. რაც კი კარგია და ღირსაცნობი, ძლივსღა უკავშირდებიან ერთმანეთს. ამ დროს ყველაფრის ხელახლა დაწყება და ყველაფრის დამთავრება გინდა".

თავი მეათე

შარლოტე კი თავს მხნედ და ჯანმრთელად გრძნობს. იგი ხარობს, რომ ღონიერი ბიჭი ჰყავს, ვისი მრავლისმთქმელი გარეგნობა ყოველ წუთს იპყრობს

ყურადღებას და თვალსა და გულს ატყვევებს. მისი წყალობით შარლოტე სრულიად. ახლებურ კავშირს ამყარებს სამყაროსთან, თავის ადგილ-მამულთან, მასში კვლავ იღვიძებს ადრინდელი ქმედების ჟინი. საითაც არ გაიხედა, ამგვარად დაინახა, რა ბევრი გაკეთებულა გასულ წელს და ხარობს შექმნილით. იგი, განსაკუთრებული გრძნობით შთაგონებული, ოტილიესა და ბავშვის ფანჯლებით ხავსის ქოხში შედის, ბავშვს მაგიდაზე დასვამს, ვითარცა კერპს ალტარზეველზე, და როცა ორ ცარიელ სკამს დაინახავს, წარსული მოაგონდება, მერე კი სრული იმედი ესახება იმისა, რომ მასაც და ოტილიესაც უკეთესი ბედი მოელით.

გასათხოვარი ქალი ზოგჯერ იქნებ მოკრძალებით უცქეროდეს ამა თუ იმ ყმაწვილს, იდუმალად დაეკითხება რა თავს, ვისურვებდა თუ არა მის ცოლობასო. მაგრამ უფრო შორს იყურებიან ის ადამიანები, ვინაც ქალიშვილის თუ შვილობილის ბედზე უნდა იზრუნოს. ასე დაემართა შარლოტესაც, ვისაც ოტილიეს კაპიტანზე დაქორწინება შეუძლებლად არ ეჩვენება. ისინი ხომ ერთმანეთის გვერდიგვერდ იყვნენ ამ ქოხში. შარლოტეს არც ის დარჩენია გაუგებელი, კაპიტანისთვის ხელსაყრელი ქორწინების პერსპექტივაზე ხმები რომ მიჩუმდა.

შარლოტე ბილიკს გაჰყვა. ოტილიე კი ფეხდაფეხ უკან მიჰყვებოდა ხელში აყვანილი ბავშვით. შარლოტე თავის ფიქრებში გაერთო: ხმელეთზეც ხომ შეიძლება მოხდეს გემის დალუპვა, ამას ხომ გამოჯანმრთელება და ძალების აღდგენა მოჰყვება, აი, სწორედ ეს არის ქება-დიდების ღირსი, დიდებული რამ. ცხოვრების კრიალოსანიც ხომ კაცთლის მოსვლა-არმოსვლაზეა ასხმული. ვის არ დაუსახავს რაიმე მიზნად და ვის არ შეშლია ხელი მიზნის მიღწევაში. რა ხშირად ხდება, როცა ერთ გზას აირჩევ და მერე უარს იტყვი მასზე. ხშირად მომხდარა, წინასწარ მკაცრად მოხაზულ მიზანსაც აცდარხარ, რათა უზენაესს ეზიარო. მოგზაურს მისი უდიდესი მწუხარების ფასად გზაში ეტლის ბორბალი უტყდება და ამ უსიამო შემთხვევის წყალობით მეტად სასიამოვნო ნაცნობობას აბამს სრულიად უცნობ ადამიანებთან, და ეს ნაცნობობა შემდგომში მთელ მის ცხოვრებაზე აღბეჭდავს კვალს. ბედი ნატვრებს გვიხდენს, ოღონდ მისებურად, რათა იმაზე მეტი მოგვცეს, რაც გვინდომებია.

ამ ფიქრებში წასული შარლოტე ახალი შენობის კიბეს აუყვა და ბოლო სართულზე ასულმა სრული დადასტურება იხილა იმისა, რომ მისი მამული ბევრად უფრო ლამაზი იყო, ვიდრე ამას წარმოიდგენდა, შორიახლო თუ რამ ხელისშემშლელი წვრილმანი ნახეს, თავიდან მოიშორეს და ახლა თვალში მოგვხვდებოდა ფაქიზად წინა პლანზე წამოწეული პეიზაჟის ის მადლიანი სილამაზე, ბუნება და ყამთასვლა რომ წარმოშობს. მწვანედ მოღაღანე ნორჩი ნარგავებიც თითქოს განგებას სიცარიელის შესავსებად განუსაზღვრავს, რათა ცალკეული, შორი-შორ მდგარი ადგილები მომაჯადოებლად დაუკავშიროს ერთმანეთსო.

თვითონ სახლიც თითქმის მზად იყო და საცხოვრებლად ვარგისიც. მეტადრე განსაკუთრებული ნაირფეროვნებით გამოირჩეოდა ზედა სართულის ოთახთა ხედები. რაც უფრო დიდხანს უცქერდი ამ სანახაობას, მით უფრო მეტ სილამაზეს აღმოაჩენდი. აქაურობა დიდებულ ზემოქმედებას ახდენდა მზისა და მთვარის სხივთა ათინათით იმის მიხედვით, თუ დროის რომელი მონაკვეთი იდგა. სულ აქ ყოფნა გინდოდა. შარლოტესაც უმალ აღეძრა სურვილი კვლავაც შეექმნა და ეშენებინა, მით უმეტეს ახლა, რომ შიდა შავი სამუშაოები უკვე მოთავდა. მხოლოდ შპალერების გამკვრელის და დურგლის სამუშაოები იყო დარჩენილი, ტრაფარეტი და მსუბუქი ქანდი რომ ეჭირა ხელში, და მოკლე ხანში მშენებლობაც დამთავრდებოდა. სარდაფი და სამზარეულოც სწრაფად მოაწყვეს, რომ

სახახლიდან ასე მოშორებით მყოფებს აუცილებელი მოთხოვნილების საგნებიც იქვე ჰქონოდათ. ქალბატონები ბავშვებთან ერთად ახლა ზედა სართულზე ცხოვრობდნენ და სწორედ აქედან, ამ შუაგულ ცენტრიდან ყველას თვალწინ მოულოდნელ სანახაობად გადაშლილიყო სასეირნო გზები. კარგ ამინდებში ბალობრები ხარბად სუნთქავდნენ ჯანსაღ, სუფთა ჰაერს და სიცოცხლით ტკბებოდნენ.

ხან მარტო, ხანაც ბავშვითურო ოტილიე სასეირნო გზით დადადადადა ევებოდა და ჭადრების გავლით მისამხარ ბილიკზე გადითოდა, რომელიც იმ ადგილისაკენ მიემართებოდა, სადაც ნაპირთან ნავი ძიებათ, რითაც ტბაზე გასვლა შეიძლებოდა. ოტილიე ხანდახან წყალზე სეირნობით იხარებდა გულს, მაგრამ მარტო, უბავშვოდ სეირნობდა. რადგან პირველ ხანებში შარლოტე, რაღაცის შიშით შეპყრობილი, ბავშვს ვერ ანდობდა. ოტილიეს დღე არ გამოუტოვებია, რომ მებალესთან არ შეევლო და გულითადად არ მიშველებოდა ნარგავების მოვლაში, ამჯერად რომ გარეთ, სუფთა ჰაერზე გამოეფინათ.

წლის ამ მშვენიერ დროს შარლოტეს სულზე მოუსწრო ერთი ინგლისელი ლორდის ჩამოსვლამ. იგი ედუარდს მოგზაურობის წლებში გასცნობია, მერე რამდენჯერმე შეხვედრია და ახლა ამ შესანიშნავი პარკის მონახულება მოუსურვებია, ამდენი კარგი რომ სმენოდა მის მშვენიერებაზე. მან შარლოტეს გრაფის სარეკომენდაციო ბარათი წარუდგინა, თან იქვე გააცნო მისი თანამგზავრი, წყნარი, მაგრამ მეტად ძვირფასი ადამიანი. ლორდი ხშირად აყოლებდა გულს მამულში სეირნობას. — ხან შარლოტესა და ოტილიესთან ერთად, ხანაც მებალისა და ეგერების თანხლებით, უფრო ხშირად კი იმ თავის თანამგზავრთან, ზოგჯერ მარტოდაც. მისი საყურადღებო შენიშვნები გვაუწყებდნენ, რომ იგი მცოდნე და მოყვარული ყოფილა ამგვარი პარკების და ეტყობა, თვითონაც არაერთხელ გაუშენებია ისინი. თუმცა ასაკში შესული კი იყო, მაგრამ მაინც ცხოველ მონაწილეობას იღებდა ყველა საქმეში, რაც კი ცხოვრებას აზრსა და სილაზათეს სძენდა.

მასთან ყოფნამ მანდილოსნებს სრულად შეატკბობინა ყველაფერი, რითაც ისინი იყვნენ გარემოცულნი. მისი გამოცდილი თვალი ცისცხლად აღიქვამდა ყოველ შთაბეჭდილებას და ყველაფერი აქ ნანახი სიხარულს ანიჭებდა, ადრე ხომ არც იცნობდა ამ მხარეს და ძლივსღა არჩევდა, რა იყო კაცის ხელით გაკეთებული და რა — ბუნების შექმნილი.

შეიძლება ითქვას, რომ მისი შენიშვნების გათვალისწინებით პარკი გაიზარდა, გამდიდრდა. მან წინასწარ იცოდა, რა სიკეთის მოტანა შეეძლო ბერძისში ახლად დაზრდილ ნარგავებს. ადგილი არ დარჩენია შეუმჩნეველი, საცა კი სიტურფით სავსე ნაგებობების შენება და წარმომართვა შეიძლებოდა. ამ წყაროს თუ გაწმენდთ, შნოსა და ლაზათს მისცემს მამულს, ბუჩქნარებით დაფარულ მიწის ნაკვეთებსო, ურჩევდა მასპინძლებს, ხოლო ეს ძღვიმე დასუფთავებისა და გაფართოების შემდეგ ნანატრი განსაცხრომელი გახდებაო. ამისათვის საჭირო იყო რამდენიმე ხის მოჭრა და ლამაზად აჩხორილი კლდეთა ქანებიც გამოჩნდებოდა. მან მიულოცა სახლის პატრონებს ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ჯერაც დარჩათ ბევრი გასაკეთებელი, — ნუ აჩქარდებით, დიდხანს გამოიზოგეთ ის ნეტარება, შენებასა და შექმნას რომ მოაქვსო.

საერთოდ კი ინგლისელს მასპინძლებთან შეხვედრების გარკვეული საათები ჰქონდა. იგი არავის მძიმე ტვირთად არ აწვა, მოცალეობის ჟამს კი მანდილოსნებთან ერთად გასეირნებებსა და საუბრებს აწყობდა, ხოლო დღის დიდ ნაწ-

ილს სატარებელი ფოტო-კამერით პარკის მშვენიერი ხედების გადაღებას უთმობდა და ცდილობდა ამ თავის მოგზაურობის წყალობით ყველასათვის დიდი სარგებლობა მოეტანა: რითიმე ღირსშესანიშნავ ადგილებში იგი წლების მანძილზე აგროვებდა სასიამოვნო და საინტერესო კოლექციას. ქალბატონებს მან აჩვენა დიდი პორტფელი, რასაც მუდამ თან დაატარებდა, ... კოლექციაა იყო მოთავსებული. იგი ართობდა მანდილოსნებს ... კოლექციის ნახატებით და ამ ნახატებზე დართული საკუთარი კომენტარებით. ქალებს უხარიოდათ, განმარტოებას არ მოწყვეტოდნენ, ისე მოხერხებულად ემოგზაურათ მთელ მსოფლიოში და ეხილათ მათ თვალწინ გადაშლილი ნაპირები და სადგურები, ზღვები და მდინარეები, ქალაქები, ციხე-დარბაზები და სხვა ადგილები, რომლებიც მათთვის მხოლოდ ისტორიიდან თუ იყო ცნობილი.

ამ ორ ქალთაგან თითოეულს თავისი განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა. შარლოტეს უფრო ისტორიული ღირსშესანიშნაობები იზიდავდა, ხოლო ოტილიე უპირატესობას ანიჭებდა იმ ქალაქებს, რომელთა შესახებ მისთვის ედუარდს ეამბნა, ეს ის ქალაქები იყო, სადაც ედუარდი სიამოვნებით დაყოვნებულა, საიდანაც ხშირად დაბრუნებულა, ყველას ხომ აქვს თავისებური გატაცებები ახლო თუ შორეული ადგილებისადმი, თითეულს რომ იზიდავს და აღელვებს, თითოეულის ხასიათს რომ ეგუება. და ეს ხდება პირველი შთაბეჭდილებებისა თუ სხვა რამ მიზეზით, ანდა უბრალო ჩვეულების გამო, რაც ყველაზე მეტად შეესიტყვება მის მიდრეკილებებს.

ამიტომაც ოტილიემ ჰკითხა ლორდს: ყველაზე მეტად სად მოგწონთ ყოფნა, სად დასახლდებოდით, არჩევანს თუკი შემოგთავაზებდნენო. ლორდს არ გაძნელებია რიგი ლამაზი ადგილების ჩამოთვლა და თავისი უჩვეულო აქცენტით, რაც ასე გამოარჩევდა მის ფრანგულ მეტყველებას, კმაყოფილებით და აუჩქარებლად აუწყა მანდილოსნებს, რატომ იყო ესა თუ ის ადგილი მისთვის განსაკუთრებით ძვირფასი და მოსაგონარი. ხოლო კითხვაზე, სად იყო მისი ადგილსამყოფელი, მისთვის ყველაზე სასურველი სად იქნებოდა დაბრუნება, გრაფმა უყოყმანოდ, ქალბატონებს ასეთი მოულოდნელი პასუხი გასცა.

„მე შევეჩვიე ყველგან შინ ვიყო და, კაცმა რომ თქვას, ყველაფერს მირჩევნია, როცა სხვები ირჯებიან ჩემთვის, აშენებენ, რგავენ თუ საოჯახო მეურნეობას ეწევიან. საკუთარ მამულში დაბრუნება სულ არ მენატრება ნაწილობრივ პოლიტიკური მიზეზებისა, უფრო კი ჩემი ვაჟიშვილის გამო, ვისთვისაც ამდენი მიშრომია და მიშენებია, რაკი იმედი მქონდა, მთელ ჩემს მონაგარს მას გადავცემ და სიბერის წლებში იმასთან ერთად დავტკბებიო, რაც ამქვეყნად გამაჩნია-მეთქი, მაგრამ იგი ამას აინუნშიაც არ აგდებს და ახლა ინდოეთს გამგზავრებას აპირებს იმ განზრახვით, რომ სხვებივით ცხოვრების გემი ნახოს, ანდა სულაც გაანიავოს ჩემი ნაწვაე-ნადაგი.

რა თქმა უნდა, ჩვენ მეტისმეტად ვიხარჯებით ცხოვრების მოსაწყობად, იმის მაგივრად, რომ დასაწყისიდანვე ზომიერად ვიკმაროთ ქონება და საშუალო მდგომარეობა შევიქმნათ, სულ უფრო ვესწრაფვით ფრთების ფართო გაშლას, რითაც უზომო უხერხულობას ვქმნით, აბა, ვინ დატკბება ახლა ჩემს მიერ აგებული შენობებით, პარკებითა და ბაღებით. არც მე, არც ჩემიანები და ახლობლები, არამედ ვიღაც ჩამოსული ცნობისმოყვარენი, მოუსვენარი მოგზაურები.

დიდი მატერიალური დოვლათის მქონენიც კი თავს სანახევროდ ვგრძნობთ

შინ, მეტადრე სოფლად, სადაც ბევრი რამ გვაკლია, რასაც ქალაქში მივჩვეეთ-ვართ. აი, ვთქვათ, ხელთ არ გვაქვს საკვარელი წიგნი, რომლის წაკითხვა უცაებ საშინლად მოგვინდა, დაგვავიწყდა იმ ნივთის წამოღება, რომელიც ახლა ძალიან დაგჭირდა. ყოველთვის მაშინ მოვეწყობით და განვეწყობით ხოლმე შანაურულად, როცა კვლავ გაძგზავრების გზას ვადგავართ და თუ ამას ჩვენივე სურვილით თუ ახირებით არ ვაკეთებთ, ამის მიზეზია გარემოებები, ვალებები, შემთხვევები, აუცილებლობები და ღმერთმა უწყის კიდევ რა".

ლორდს არც უფიქრია, რაოდენ ღრმად მოხვდათ გულში მისი აზრები მეგობარ ქალებს. და განა ეს საფრთხე არ ემუქრება თითოეულს, ვინც თუნდაც ყველაზე ზოგად მოსაზრებას გამოთქვამს იმ ადამიანთა გარემოცვაში, რომელთა მდგომარეობა კარგადაა ცნობილი. შარლოტესათვის ასეთი შემთხვევითი გულისტკენები თუნდაც კეთილმოსურნე ანდა მისადმი კარგად განწყობილი ადამიანებისაგან ახალი არ იყო, თანაც მისმა თვალთახედვამ სამყარო ისე ნათლად გამოჰკვეთა, განსაკუთრებულ ტკივილს არც გახიცდიდა იმის გამო, როცა ვინმე მოუფიქრებლად და მოუფრთხილებლად აიძულებდა მზერა ამა თუ იმ უსიამოვნო მოვლენისადმი მიეპყრო. ხოლო ოტილიე კი თავისი ნაჩქარადგაუცნობიერებელი სინორჩის გამო უფრო გუმანით ხვდებოდა, ვიდრე ხედავდა, ვისაც შეეძლო ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ვისაც უნდა მოერიდებინა თვალი იმ ფაქტისათვის, რისი ხილვაც არ უნდოდა, ანდა საჭირო არ იყო. ოტილიე სასინელ განსაცდელში ჩააგდო ლორდის ამ გულწრფელმა აღიარებამ,. თითქოსდა ვიღაცამ ძლიერი ხელის მოქნევით ჩამოგლიჯა მომხიბვლელი საბურველიო, და მას მოეჩვენა, რომ ყველაფერი რაც კი სახლსა და ეზოში, ბაღსა და პარკში და საერთოდ მთელ მამულში კეთდებოდა, სრულიად ამაო იყო, რადგან ის, ვისაც ეს მამული ეკუთვნოდა, ამ სიკეთეებით არ ხარობდა, რადგან იგი, ახალჩამოსული სტუმრისა არ იყოს, ალმა-დალმა დაეხეტებოდა, თავს ხიფათში იგდებდა. მახლობელი და ძვირფასი ადამიანების მიერ შინიდან დევნილი იყო. ოტილიე შეჩვეული კი იყო მოსმენასა და დუმილს, მაგრამ ამჯერად დიდ სატანჯველში ჩავარდა, ხოლო ლორდის შემდეგი ნაუბარი კი არ უნელებდა, არამედ კიდევ უფრო უძლიერებდა ამ დარდსა და სატკივარს. ლორდი კი მისთვის ჩვეული სიღაღით და წინდახედულებით განაგრძობდა: „მე ახლა მგონია, — თქვა მან, — სწორ გზაზე ვდგავარ, რადგან სულ ვაკვირდები საკუთარ თავს, როგორც მოგზაურს, რომელიც ბევრ რამეზე ამბობს უარს, ოღონდ სიამოვნება არ მოიკლოს. მივეჩვიე ცვლილებებს, ჰო, ისინი ჩემი მოთხოვნილება გახდა, მსგავსად იმისა, ოპერაში მუდამ რომ ველით ხოლმე ახალ დეკორაციებს, სახელდობრ იმიტომ, რომ ისინი უხვად არიან. მე ვიცი როგორი შეიძლება იყოს ყველაზე საუკეთესო და ყველაზე ცუდი სასტუმრო, რაგინდ კარგიც და რაგინდ ცუდიც არ უნდა იყოს იგი, მაინც ვერსად იპოვი იმას, რასაც შეჩვეული ხარ და ბოლოს და ბოლოს იმ აზრზე დადგები, რომ ყველაფერი სულ ერთია. სულ მთლიანად დამოკიდებული არც აუცილებელ ჩვეულებაზე ხარ და არც თვითნებურ შეშთხვევაზე. აი, თუნდაც, სავსებით მშვიდად ვარ და არ ვლიზიანდები იმის გამო, რაღაც ნივთი რომ დავკარგე, ანდა თავის ადგილზე არ დადეს იგი, რომ ჩემი ოთახი საცხოვრებლად უვარგისია და საჭიროა მისი წესრიგში მოყვანა, რომ გამიტეხეს საყვარელი ფინჯანი და დიდხანს უსიამოვნო იქნება სხვა ფინჯნიდან წყლის დალევა. ყველაფრისგან სავსებით თავისუფალი ვარ და თუ ის სახლი დაიწვება, სადაც დავბინავდი, ჩემი მსახურები წყნარად ჩაალაგებენ ბარგს და უშფოთველად დავტოვებ სასახლესა თუ ქალაქს. და თუკი ზუსტად დავიანგარიშებ დანახარჯს,

აღმოჩნდება, რომ ერთ წელიწადში იმაზე მეტი არ დამიხარჯავს, რასაც შინ ყოფნისას დავხარჯავდი".

როცა ამ სიტყვებს ისმენდა, მთელი ამ ხნის მანძილზე ოტილიეს სულ ედუარდი ედგა თვალწინ. როგორ იტანდა იგი შეჭირვებასა და სიმძიმილს, როგორ დაეხეტებოდა გაუკვალავ გზებზე, როგორ აგდებდა [illegible] ცაფრთხეში, ათევდა რა ღამეებს ღია ცის ქვეშ და ამდენ უკულმართობებს [illegible] მამაცურად შერკინებაში ეჩვეოდა უსამშობლოდ და უთვისტომოდ ცხოვრებას, განაგდებდა ყველაფერს, ოღონდ არაფერი დაეკარგა. საბედნიეროდ რამდენსამე ხანში საკრებულო დაიშალა და ოტილიემ მოძებნა კუთხე, სადაც მარტოდ დარჩენილმა გამოიტირა თავისი და ედუარდის ბედი. არასოდეს იგი ამზომ არ გაუტანჯავს მძიმე, აუტანელ ტკივილს, როგორც ამ ნათელმა სინამდვილემ გატანჯა. იგი კიდევ უფრო ცხადად დაეწაფა ამ მწარე ნათელხილვას. ჩვეულებრივადაც ხომ ასე ხდება: თუ ერთხელ რამემ გაგვტანჯა, უმალ საკუთარ თავსაც ვტანჯავთ ხოლმე.

ედუარდის ყოფა მას იმზომ სავალალო და საცოდავი ეჩვენა, რომ მტკიცედ განიზრახა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა ყველაფერი გაეკეთებინა შარლოტესთან მის დასაბრუნებლად, თავისი სიყვარული და სატკივარი კი სადმე განმარტოებით, უჩუმრად დაემალა, ჩაეხშო, რაღაცის კეთებით მოეტყუებინა თავი.

ამასობაში კი ლორდის თანამგზავრმა, რომელიც მშვიდი, ჭკვიანი და უალრესად დაკვირვებული კაცი იყო, დაინახა, რა შეცდომაც მოუვიდათ, და მეგობარს ვითარებათა თანაგვარობაზე მიანიშნა. ლორდმა არაფერი იცოდა ედუარდის ოჯახში მომხდარ ამბებზე, მისი თანამგზავრი უფრო იმ ბუნებრივი თუ ხელოვნური ურთიერთობების ნიადაგზე წარმოშობილი შემთხვევებით იყო დაინტერესებული, კანონიერსა და თვითნებურს, გონსა და განსჯას, ვნებასა და ცრურწმენას შორის არსებული კონფლიქტი რომ იწვევდა. მას ადრევე მოესწრო საგანგებოდ გასცნობოდა იმ ვითარებას, რაც ამ ოჯახში მოხდა თუ ხდებოდა.

ლორდს ძალიან ეწყინა ეს ამბავი, მაგრამ არ დაბნეულა.

„სჯობს, საზოგადოებაში ესას კბილი დააჭირო, როცა მსგავს ვითარებაში მოხვდები. ეს იმიტომ რომ, რა იცი, რა მოხდება, არა მხოლოდ საყურადღებო შენიშვნები, არამედ ტრივიალური გამონათქვამებიც კი შეიძლება მძაფრად მოხვდეს გულზე აქმყოფებს და ცუდად დაემთხვეს მათ ინტერესებს".

„შეეცდები, —დაატანა მან, — ამ საღამოს გამოვასწორო შეცდომა და თავი დავანებო ზოგად თემებზე საუბარს. უამბეთ ქალბატონებს რომელიღაც გასართობი, სამოძღვრებო ანეგდოტები ან ამბავი, რითაც ერთად მოგზაურობის ხანაში გაგვიმდიდრებია ჩვენი ხსოვნა თუ პორტფელი".

მაგრამ საუკეთესო სურვილის მიუხედავად ნამოსულ სტუმრებს ამჯერადაც არ მოუვიდათ მეგობარი ქალების შექცევა უწყინარი მასლაათით, რადგან ლორდის მხლებელმა, ვინაც ქალბატონების გულისყური მიიპყრო და ცხოველი მონაწილეობა მიიღო უამრავი უჩვეულო, სამოძღვრებო, მხიარული, ამაღელვებელი და საშინელი ამბების იხრობაში, გადაწყვიტა ყველა ნაამბობი დაეგვირგვინებინა ერთი, თუმცა უცნაური, მაგრამ მშვიდობიანი დასასრულის მქონე ამბით, თვითონ კი ეჭვიც არ შეპარვია, რათქმა უნდა ეს თვალსაჩინო მისი მსმენელის მდგომარეობას.

მეზობლის უცნაური ბავშვები

ნოველა

ორი წარჩინებული ოჯახიდან გამოსული ბავშვი — გოგო და ბიჭი, ანაკით ცოლ-ქმრობისათვის შესაფერისნი, ამ სასიამოვნო პერსპექტივის გამო ერთად იზრდებოდნენ, ბავშვების მშობლებს კი დიდად ახარებდათ მათი მომავალი ქორწინება. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს ქორწინება აღარ მოხდებოდა, რადგან ბუნების ამ მშვენიერ წყვილს ერთმანეთისადმი რაღაც უცნაური სიძულვილი შეამჩნიეს. იქნებ იმიტომაც, რომ ისინი მეტისმეტად ჰგავდნენ ერთმანეთს, ორივე გულისხმიერი იყო, თითოეულმა ზუსტად იცოდა, რაც უნდოდა, განზრახვის შესრულებისას მტკიცენი იყვნენ, სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ თანატოლთა შორის, მაგრამ თავს რომ შეიყრიდნენ, მუდამ მეტოქეები ხდებოდნენ. ყოველთვის თავისთვის, მარტო ქმნიდნენ რაღაცას, მაგრამ თუკი სადმე წააწყდებოდნენ ერთიმეორეს, მუდამ ერთმანეთის განადგურებას ლამობდნენ. საერთო მიზნისათვის სწრაფვა ერთი არ ჰქონდათ და ამ მხრივ აღარც ჯიბრი გააჩნდათ ერთმანეთის, ოღონდ ეს არის, თავს იკლავდნენ ერთი და იგივე საგნის მოპოვებისათვის. ჩვეულებრივ არც ერთს აკლდა თავაზიანობა და ზნეკეთილობა, მხოლოდ ერთმანეთისადმი სიავე და მძულვარება სჭირდათ.

ეს უცნაური დამოკიდებულება ბავშვურ თამაშობებში გამოკრთა და თანდათან წლების მანძილზე გაძლიერდა კიდეც. ისინი ომობანას მოთამაშე, ორ ბანაკად გაყოფილი ბიჭებივით ბრძოლაში იწვევდნენ ერთმანეთს, გულადი გოგონა ერთერთ რაზმს ჩაუდგებოდა ხოლმე სათავეში და ბიჭის წინააღმდეგ ისეთი გააფრთებით და სიმამაცით იბრძოდა, ცოტა აკლდა, სამარცხვინოდ უკუექცია იგი, მაგრამ მეტოქეს თავი ერთობ ვაჟკაცურად ეჭირა და ბოლოს და ბოლოს ბიჭი იარაღს აყრევინებდა, გოგოს ტყვედ აქცევდა. ამ დროს კი გოგო ისე ჯიქურ იცავდა თავს, რომ ბიჭი იმის შიშით, თვალები არ ამომკორტნოსო, იძულებული ხდებოდა კისერზე შემოხვეული აბრეშუმის ყელსახვევი მოეგლეჯა და იმითი გოგოსათვის ხელები ზურგზე მიეკრა, თან რაინდულ სიფრთხილესაც იჩენდა, ჩემს ლამაზ მტერს არა დაუშავდეს რაო.

გოგო არასოდეს პატიობდა ბიჭს ამას და ბევრჯერ ცდილა ზიანი მიეყენებინა მისთვის. მშობლები კი კარგა ხანია აკვირდებოდნენ ამ მეტად უჩვეულო გააფთრებას, ისე რომ, მტრად გადაკიდებული ბავშვების ერთმანეთისაგან მოშორება განიზრახეს და ამით უარი თქვეს სანუკვარ იმედებზე.

ბიჭი ახალ გარემოში მოხვდა, სადაც სრულად გამოავლინა საუკეთესო თვისებები. მან ყველაფერში ივარგა. სამხედრო კარიერისათვის მისი მომზადება მფარველებმა იკისრეს, ამაში კი თავისი ინდივიდუალური მიდრეკილებაც დაეხმარა. ყველგან, სადაც კი მოხვდებოდა, პატივისცემასა და სიყვარულს იხვეჭდა. მისი მადლმოსილი ბუნება თითქოსდა მხოლოდ სიკეთის ქმნისა და სხვისი გახარებისათვის იყო მოვლენილი ამქვეყნად და თვითონაც ვერ გაეცნობიერებინა, ისე გაეხარდა, განგებისაგან ნაკუთვნებ ერთადერთ მოძულეს რომ ჩამოშორდა.

გოგომ კი ერთბაშად მკვეთრი ფერიცვალება განიცადა. წლების მომატებასთან ერთად თანდათან მიატოვა ბიჭებთან მძვინვარე თამაშობები და ეს მოხდა აღზრდისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, შინაგანი [illegible] წყალობით.

გოგონა უკმარისობის გრძნობამ შეიპყრო, რაღაც აკლდა, გარშემო არავინ მიაჩნდა თავისი სიძულვილის ღირსად და ვერც სიყვარულში ეპოვა გულისწორი.

ერთ ახალგაზრდა კაცს, ასაკით ყოფილ მეტოქეზე უფროსს, წარჩინებულს, მდიდარსა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონეს, ქალების განსაკუთრებული კეთილგანწყობით და სიყვარულით გამორჩეულს, გოგონასადმი დაუძლეველი ლტოლვა გაუჩნდა. გოგონას სიცოცხლეში პირველად გამოუჩნდა მეგობარი, სატრფო, თაყვანისმცემელი, რომელიც თავს ეკლებოდა. მეტადრე მონუსხა კაცის მიერ მისადმი უპირატესობის მონიჭებამ იმათთან შედარებით რომლებიც წლოვანებით უფრო დიდებიც იყვნენ, უფრო განათლებულნიც, უფრო თვალისმომჭრელი სილამაზით გამორჩეულნი და უფრო პრეტენზიულნიც.

კაცის გამუდმებული ყურადღება, რაც სულაც არ იყო აბეზარი, მისი ერთგული მხარდაჭერა უსიამოვნო ვითარებაში, სურვილი, ცოლად გაეხადა იგი, ხოლო მშობლების მორიდებული თავშეკავებულობა ამ ქორწინებასთან დაკავშირებით გოგონას მეტისმეტი სინორჩის გამო, — ყველაფერი ეს კეთილად განაწყობდა ვაჟისადმი, თავისი წილი სიკეთე მოიტანეს ჩვეულებებმაც და მაღალი წრისთვის ერთობ მისაღებმა ურთიერთობების გარეგნულმა მხარემაც. იმდენხანს ეძახდნენ საცოლეს, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონაც თავი ამად ჩათვალა და აღარც არავის ეგონა, თუ ამ ურთიერთობას კვლავ გამოცდა მოელოდა, ეს კი მანამდე, ვიდრე დაინიშნებოდა იმ კაცზე, ვინც კარგა ხანია, რაც მის საქმროდ ითვლებოდა.

მოვლენათა წყნარი მდინარება ნიშნობას არ დაუჩქარებია. ორივე მხარე გულმშვიდად მინებდა დროთა მსვლელობას. ისინი წინასწარ ხარობდნენ ამჟამინდელი ერთად ყოფნით და უნდოდათ წლის საუკეთესო ჟამს გაზაფხულზე ეგემნათ მომავალი ტკბილ-მწარე ცხოვრების დასაწყისი.

ამასობაში კი განათლების მისაღებად სხვაგან წასულმა ყმაწვილმა წარმატებით დაამთავრა სწავლა, შემდეგ ცხოვრების სარბიელზე დამსახურებულ საფეხურს მიაღწია და შვებულებით მოინახულა შინაურები. ამჯერად, თუმც ბუნებრივად, მაგრამ უცნაური ძალის წყალობით კვლავ გადაეღობა გზაზე თავის მშვენიერ მეზობლის გოგოს. ბოლო ხანებში გოგონა საცოლის შესაფერი თბილი, ოჯახური გრძნობებით ცხოვრობდა, შინაურებთან თანხმობაში იყო და თავს ბედნიერად რაცხდა. გარკვეულწილად კიდეც იყო ბედნიერი, მაგრამ გამოხდა ჟამი და გზად კვლავ რაღაც შეეხეხა. ეს „რაღაც" სიძულვილი არ იყო, მას სიძულვილი უკვე აღარ შეეძლო. თან ის ბავშვური სიძულვილი, რაც არსებითად სხვა არა იყო რა, თუ არ მეტოქის შინაგან ღირსებათა ქვეშეცნეული აღიარება, ახლა უკვე სასიხარულო გაოცებად იქცა, ლხენის მომგვრელ გრძნობად, საამო გულახდილობად, ნახევრად სასურველ თუ ნახევრად არასასურველ და მაინც აუცილებელ სიახლოვედ და ამასთანავე ყველაფერი ეს იყო გაზიარებული, ორმხრივი. ხანგრძლივი არყოფნა ხანგრძლივი საუბრისაკენ ეზიდებოდა ორივეს. ის კი არადა, იმათი ბავშვური უგუნურობა, ახლა უკვე დაჭკვიანებულთათვის, სახუმარო მოგონებების საგანი გამხდარიყო. წარსულის გამაღიზიანებელი მძულვარება თითქოსდა ამჟამინდელმა თბილმა, ყურადღებიანმა ურთიერთობებმა გააქარვეს, წინანდელი მძვინვარე ურთიერთგაუგებრობანი დღეიდან თითქოს უცილობელ ურთიერთგაგებას მოითხოვდა.

ყმაწვილს აზრად არ ჰქონდა კეთილგონიერების აუცილებელ საზღვარს გასცილებოდა. იგი იმდენად იყო გატაცებული თავისი მდგომარეობით, ურთიერთობებით, პატივმოყვარე სწრაფვებით, მომავლის პერსპექტივებით, რომ მომხ-

იბვლელი სასძლოს მისადმი გულთბილი განწყობა უბრალო კმაყოფილებითა და მადლიერებით მიიღო, მხოლოდ სიკეთის დანამატად ჩათვალა და ამაში უჩვეულოს არაფერს ხედავდა. არც იმის განზრახვა სდებია გულში, წაერთმია ეგი საქმროსათვის, ვისთანაც საუკეთესო დამოკიდებულება ჰქონდა.

გოგონას სულში კი სულ სხვა რამ ხდებოდა. იგი თითქოს სიზმრისაგან გამოფხიზლდა. ჭაბუკ მეზობელთან ბრძოლა მისი პირველი ვნებიანი [illegible] და ეს შეუპოვარი ბრძოლა სხვა არა იყო, თუ არ მძვინვარე, ჭეშმარიტი სიყვარულით ნასაზრდოები, სიძულვილის სახით გამოვლენილი თანდაყოლილი მიდრეკილება. როცა გარდასულ დროს იგონებდა, სულ ეგონა, რომ ბიჭი ყოველთვის უყვარდა. მისი ბოროტი ოინები წარსულში, როცა ხელში იარაღი ეჭირა, ახლა ღიმილს ჰგვრიდა. იგი თავს არწმუნებდა, ძალზე სასიამოვნო გრძნობას განიცდიდი, ვაჟი რომ იარაღს მაყრევინებდაო. და ყველაფერი, რასაც კი ზიანი მიუყენებია მისთვის, ახლა უწყინარ საშუალებად ეჩვენებოდა ვაჟის გულისყურის მოსაზიდად. იგი წყევლიდა იმდროინდელ მათ დაშორებას, გულისწყდომით ფიქრობდა ძილზე, რომელმაც ორივე მოიცვა, შეჩვენებას უთვლიდა დუნე, მოლანდებისმაგვარ ზნე-ხასიათს, რისი წყალობითაც ვიღაც უმნიშვნელო კაცი უნდა გამხდარიყო მისი საქმრო. იგი შეიცვალა, ორგზის შეიცვალა, შეიცვალა თავისი წარსულიან-აწმყოიანად, იმის დამოუკიდებლად, რა თვალით შეხედავდნენ მის ამ ცვლილებას.

თუკი გოგონას ფარულ, იდუმალ გრძნობებს გაითავისებდი და თანაუგრძნობდი, მას ვერ განსჯიდი, იმზომ შეუძლებელი იყო საქმროს შედარება მეზობელ ყმაწვილთან, როცა ესენი ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგნენ. თუკი პირველს მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში ენდობოდი, მეორის სრული ნდობა შეიძლებოდა. თუკი პირველს მხოლოდ თანამოსაუბრედ ისურვებდი, მეორე მზად იყავი თანამოაზრედ გაგეხადა. ხოლო რაც შეეხება მაღალი რანგის თანალმობასა ან სხვა საგანგებო ღირსებებს, ამაზე დაფიქრებაც არ ღირდა, ამ თვალსაზრისით პირველი უსათუოდ დაგაჭვებდა, მეორეს კი შეიძლებოდა სავსებით მინდობოდი. ქალებს ბუნებრივი ალღო არ ღალატობთ მსგავსი განსხვავებების შესაცნობად და უმალ ჰპოვებენ ხოლმე თავის გულში ამათ განსავითარებლად მიზეზსაც და შემთხვევასაც.

რაც უფრო საიდუმლოდ ინახავდა სულის სიღრმეში მშვენიერი საპატარძლო თავის განცდებს, რაც უფრო ნაკლები საფუძველი ჰქონდა გარეშე პირს სიტყვა დაეძრა საქმროს სასარგებლოდ, გამოეთქვა აზრი, რაზეც ეტყობა, მიანიშნებდნენ და გარემოება თუ მოვალეობაც ითხოვდა ამას ეჭვმიუტანელი აუცილებლობის გამო, მით უფრო იძორჩილებდა ლამაზმანის გულს ამ უჩვეულო ვნების ცალმხრივობა. ერთის მხრივ, მაღალი საზოგადოებისა და ოჯახის მეშვეობით ქალი მიჯაჭვული იყო საქმროსთან, ვისთვისაც სიტყვა მიეცა, მეორეს მხრივ, პატივმოყვარე ყმაწვილი სულაც არ აიდუმალებდა თავის აზრებს, გეგმებსა და ზრახვებს, თავი ერთგულ, მაგრამ არცთუ მეტისმეტად გულჩვილ ძმასავით ეჭირა და უკვე სიტყვაც კი გადაეკრა თავის მოახლოვებულ გამგზავრებაზე. ქალში მოელი დაუნდობლობით და სიმძაფრით კვლავ იფეთქა უკვე წარსულს ჩაბარებულმა ბავშვურმა სულმა და ცხოვრების ამ შედარებით მაღალ საფეხურზე მდგარი მოემზადა უფრო ძალუმად, თავის საბედისწეროდაც კი გაეთქვა თავი. გოგონამ განიზრახა სიკვდილის წილ ამ უთანაგრძნობისა და გულგრილობისათვის დაესაჯა ვაჟი, რომელიც ერთ დროს სძულდა, ხოლო ახლა სამკვდროსასიცოცხლოდ შეჰყვარებოდა. და რაკი ამიერიდან მას ველარ დაიპყრობდა, ის

მაინც გაეკვეთებინა, რომ მის ფიქრებში, მის სინანულში მაინც სამუდამოდ ექორწინა მასზე. ქალს სწადდა ვაჟს არასოდეს მოეშორებინა თავიდან მისი მკვდარი ხატება, მუდამ სამლურავი ეთქვა ვაჟისათვის, რაკი ვერ გაიგო, ვერ შეიცნო, ვერ დააფასა ქალის გრძნობები.

ეს უცნაური ბოდვა ყველგან თან სდევდა. ყველანაირ ხრიკებს მალავდა ამას და თუმცა იგი ადამიანების გაოცებას იწვევდა, მაინც [illegible] აღმოჩნდა იმზომ გულისხმიერი და ჭკვიანი, რომ გამოეცნო ამ უცნაურობის შინაგანი ნამდვილი მიზეზი.

ამ დროს კი მეგობრები, ნათესავები, მახლობლები ათასნაირი დღესასწაულების მოწყობას ეშურებოდნენ. დღე ისე არ გავიდოდა, რაიმე ახალი და მოულოდნელი არ წამოეწყოთ. მამულში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ლამაზი ადგილსამყოფელი, უთვალავი მოქეიფე სტუმრის დასახვედრად რომ კიდევ უფრო არ გაემშვენიერებინათ. ჩვენმა ყმაწვილმაც სწორედ გამგზავრების წინ განიზრახა არ ჩამორჩენოდა სხვებს და ახალგაზრდა წყვილი თავისი ახლო ნათესავებითურო მდინარეზე სასეირნოდ მოეწვია. სტუმრები აყიდნენ დიდ, მდიდრულად მორთულ იახტაზე, სადაც პატარა დარბაზი და რამდენიმე ოთახი იყო, რაც შესაძლებელს ხდიდა წყალზედაც ესარგებლათ ხმელეთის მოხერხებული პირობებით.

გემი მუსიკის ჰანგების თანხლებით მიაპობდა დიდი მდინარის წყალს. ზაფხულის ცხელ დღეს მოსეირნენი კაიუტებში შეიკრიბნენ, რომ აზარტული თამაშობებით გაერთოთ თავი. ახალგაზრდა მასპინძელი უსაქმოდ ყოფნას ჩვეული არ იყო და უმალ საჭეს მიუჯდა, მოხუც მესაჭეს მიეშველა, რომელსაც მაშინვე ჩაეძინა. მღვიძარ ჭაბუკს კი ამჟამად მთელი გულისყური უნდა დაეძაბა, რადგან იმ ადგილს უახლოვდებოდა, სადაც მდინარეში შეჭრილი ორი კუნძული მის კალაპოტს, რომელთა ბრტყელი ნაპირები ღორღს დაეფარა, აკიწროებდა, ეს ორი კუნძული მდინარეში ხან ერთი მხრიდან იჭრებოდა, ხან მეორედან და ფარვატერი საშიში ხდებოდა. ფხიზელი და წინდახედული მესაჭე კინაღამ ცთუნებამ არ აიტანა და მოხუცი მესაჭე არ გააღვიძა, მაგრამ როგორღაც სძლია თავს, საკუთარ ძალას მიენდო და გემი ვიწრო შესართავთან მიაცურა. სწორედ ამ დროს გემბანზე გამოჩნდა მისი მშვენიერი მოძულე მტერი ცმაში ჩაწნული ყვავილებით. გვირგვინი მოიძრო და მესაჭეს ესროლა.

„სამახსოვროდ გქონდეს“ — მიაძახა ვაჟს.

„ნუ მაშლი“! — უთხრა ვაჟმა, თუმცა მისკენ გადმოსროლილი გვირგვინი კი დაიჭირა,—ახლა არ მცალია, ძალებისა და ყურადღების მოკრება მჭირდება“.

„ამის მეტად ხელს აღარ შეგიშლი! — შესძახა გოგომ, — და მეტს ველარც მნახავ! — ეს თქვა, ხომალდის ცხვირისკენ გაიქცა და წყალში გადაეშვა.

გაისმა ხმები: „უშველეთ! იხრჩობა!“ ვაჟი საშინლად დაიბნა. ხმაურმა მოხუცი მესაჭე გააღვიძა, ხელი დასტაცა საჭეს, რომელიც ყმაწვილმა იმწამსვე დაუთმო: ადგილების გაცვლა ვერც კი მოასწრეს, ისე გაირიყა ხომალდი. ყმაწვილმა თვალის დახამხამებაში გაიძრო ტანისამოსი, წყალში გადაეშვა და სასწრაფოდ თავის მშვენიერ მოძულესთან გაცურა.

წყალი სტიქიაა და მეგობარი იმისი, ვინც იცნობს მას და ვინაც ჯეროვნად იცის მასთან მოქცევის წესი, ყმაწვილი წყალს გაჰყვა. იგი გაწაფული მოცურავე იყო და უმალ დაეუფლა სტიქიას, მისი მეუფე გახდა. მალე მიეახლა მშვენიერ გოგონას, რომელიც წყალმა წარსტაცა. ხელი ჩაავლო, ზემოთ ასწია და ცურვით გზა განაგრძო. ორივე ძალუმად გაიტაცა წყლის დინებამ, ვიღრე უკან

არ მოიტოვეს ჭალაკები და კუნძულები და წყალი კვლავ მშვიდად, ფართოდ არ წაედინა. ვაჟი ახლალა მოეგო გონს, გამოერკვა პირველი თავზარდაცემისაგან, მანამდე იძულებით, ანგარიშმიუცემლად მოქმედებდა. წყლიდან თავი წამოსწია, მიდამო მოათვალიერა და ვიდრე ძალა გამოელეოდა, ბრტყელ, ბუჩქებით დაფარულ ნაპირას მიცურდა, ლაღად და მოქნილად რომ შეჭრილიყო მდინარეში. ლამაზი ნადავლი მიწაზე დასვა, თუმცა იმას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ვგონებ აღარც სუნთქავდა, ყმაწვილი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, მაგრამ იქვე თვალში მოხვდა ბილიკი, რომელიც ბუჩქებში მიემართებოდა, კვლავ ხელში აიტაცა ძვირფასი ტვირთი, შეამჩნია განმარტოებთ მდგარი სახლი და მისკენ გაეშურა. შიგ შევიდა, იქ კეთილი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი შეეგება.

უბედურებასა და გასაჭირში ადამიანები სწრაფად ჰპოულობენ საჭირო სიტყვებს, ყველაფერი მალე მოგვარდა. ცოცხლად ააგიზგიზეს დიდი ცეცხლი, საწოლზე შალის გადასაფარებელი დააგეს. მერე მოიტანეს ქურქები, ბეწვები და ათასნაირი თბილი ჩასაცმელი, რაც კი ხელს მოჰყვათ. ყველაზე დიდი იმედი კი ამ წუთებში გადარჩენის დაუოკებელი სურვილი იყო. არაფერი არ დააკლეს, რასაც კი შეეძლო სიცოცხლე დაებრუნებინა ლამაზი, თითქმის გახეკებული სხეულისათვის, და თავისი გაიტანეს. გოგონამ თვალები გაახილა და როცა მეგობარი ვაჟი დაინახა მშვენიერი მკლავები ყელზე შემოხვია. დიდხანს არ უშვებდა. თვალთაგან მონახეთქმა ცრემლმა კი საბოლოოდ მოახულიერა იგი.

„ნუთუ ახლა დამტოვებ, როცა გიპოვნე?“ — წამოიძახა მან.

„ეს არ მოხდება!“ — ხმამაღლა უთხრა ვაჟმა, — არასოდეს ეს არ მოხდება! არასოდეს!“ — თუმცა: თვითონაც არ იცოდა, რას ამბობდა, რას აკეთებდა, მერე დასძინა.

„შენ ოღონდ თავს გაუფრთხილდი! თავს გაუფრთხილდი! იცოდე, ჩემზეც ფიქრე და შენზეც“.

სწორედ ახლა გაახსენდა გოგონას, რა დღეშიც იყო. თავისი საჭრელი, თავისი მხსნელისა არ შერცხვენია, მაგრამ მაინც ხალისიანად გაუშვა გარეთ, თავს უნდა მივხედო, ტანისამოსი გამოვიცვალო, თავიდან ფეხებამდე ხომ სველი ვარო.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა მოითათბირა და გოგო-ბიჭს იქვე დაკიდებული თავისი თითქმის ხელუხლებელი საქორწინო ტანისამოსი შესთავაზა, თითქოს შეყვარებულთა საქორწინო შესამოსად გამზადებული. მალე თავგადასავლების მძებნელი ორი ყმაწვილი ქალ-ვაჟი არა უბრალოდ ჩაცმულ-დახურული, არამედ სალღესასწაულოდაც მორთულ-მოკაზმული აღმოჩნდა; ერთად შეყრილი ტურფა; მიჯნურები აღტაცებით მიაჩერდნენ ერთმანეთს და მთელი ამ მასკარადით ღიმილმორეულებმა ერთმანეთი გულში ჩაიკრეს. სიჭაბუკის გზნებამ და ტრფობის აღმაფრენამ თავისი გაიტანა და ორივე სრულიად გამოაცოცხლა. მუსიკა არ იყო, თორემ ცეკვა-თამაშსაც გააჩაღებდნენ.

ასე მოულოდნელი და სწრაფი მონაცვლეობა წყლისა და მიწისა, სიკვდილისა და სიცოცხლისა, გულგრილობისა და სიყვარულისა თუ ვნების — ყველაფერ ამის უეცარი წვდომა გონების ძალას აღემატებოდა. ამის მხილველის ტვინი, ვგონებ, ლამის გამსკდარიყო ანდა სიგიჟის საზღვრამდე მისულიყო. ამნაირ მოულოდნელობათა გასაძლებად მაგარი გული უნდა ჰქონოდა კაცს.

სულიან-ხორციანად ერთქმნილნი და ერთმანეთს შერწყმულნი, რამდენსაც წამს იმაზე დაფიქრდნენ, რა შიში, რა დავიდარაბა გადაწყდებოდათ ხომალდზე დარჩენილებს და არცთუ უშიშრად და არც უდავიდარაბოდ გაჰკრათ გულში იმაზე ფიქრმა, რა მოელოდა ახლა მათ.

„ხომ არ გავიქცეთ? ხომ არ დავიმალოთ?“ — ჰკითხა ჭაბუკმა.

„ერთად უნდა ვიყოთ!“ — მიუგო გოგონამ და ყელზე მოეხვია. გლეხკაცი, ვინაც მათგან გაიგო ნაპირზე გარიყული ხომალდის ამბავი, უკანმოუხედავად გაემართა შემთხვევის ადგილისაკენ. ხომალდი უკვე მშვიდობიანად გამოეცურებინათ. მეჩეჩიდან მის ჩამოყვანას დიდი ჯაფა დასჭირდა. ხომალდზე დარჩენილებმა ალალბედზე გააგრძელეს გზა იმ იმედით, რომ დაკარგულებს ეპოვნიდნენ. ამ დროს გლეხმა ხელის ნიშნებითა და შეძახილებით მიიპყრო ხომალდზე მყოფთა ყურადღება. იგი მიუთითებდა, სად იქნებოდა მოხერხებული გამონაპირება. გლეხკაცის ყვირილსა და ხელების ქნევაში ხომალდიც მოადგა ნაპირს. მაგრამ ვინ იცოდა, რისი ნახვა ელოდათ ნაპირზე მოძდგართ. დანიშნულთა მშობლები ნაპირისაკენ მოიწევდნენ. ქალის შეყვარებულმა საქმრომ კინაღამ ჭკუა დაჰკარგა. მშობლებმა ვერც მოასწრეს იმის გაგება, მათი საყვარელი ბავშვები გადარჩნენ თუ არა, რომ ესენიც უცნაური ტანსაცმლით შემოსილნი გამოვიდნენ ბუჩქებიდან. ისინი მანამდე ვერ იცნეს, ვიდრე სულ ახლოს არ მოვიდნენ.

„ამას ვის ვხედავთ?“ — შესძახეს დედებმა.

„ამას რას ვხედავთ?“ — შესძახეს მამებმა.

გადარჩენილებმა მუხლი მოიყარეს მათ წინაშე.

„თქვენი შვილები ვართ, — ამოიძახეს მათ, — შეყვარებული წყვილი.

„მოგვიტევეთ!“ — შეჰღაღადა გოგონამ.

„მოიღეთ თქვენი ლოცვა-კურთხევა!“ — შესძახა ჭაბუკმაც.

„მოიღეთ თქვენი ლოცვა-კურთხევა“, — წამოიძახეს ორივემ ერთად საყოველთაო გაოცებასა და დუმილში.

„თქვენი ლოცვა-კურთხევა გვინდა!“ — მესამეჯერ გაისმა მათი ხმა და ვის შეეძლო მათთვის უარის თქმა.

თავი მეთერთმეტე

მთხრობელმა პაუზა გააკეთა და ის იყო ამბავს ამთავრებდა, რომ შარლოტეს აღელვება შეატყო. ქალი მდუმარედ წამოდგა, მერე მოიბოდიშა და ოთახი დასტოვა. ეს ამბავი მისთვის ცნობილი იყო. ასეთი რამ მართლაც მოხდა კაპიტანსა და მის მეზობელ გოგონას შორის, თუმცა მთლად ისე კი არა, ინგლისელმა რომ უამბო მეგობარ ქალებს, მხოლოდ ზოგადად თუ იყო იგი გადმოცემული დაუმახინჯებლად, მარტოოდენ ცალკეული წვრილმანების გადასხვაფერებით და შელამაზებით, როგორც ამნაირ ისტორიასთან დაკავშირებით ხდება ხოლმე, როცა იგი ჯერ ხალხის პირიდან წარმოითქმის, შემდეგ კი მთხრობელის გემოვნება და ფანტაზია დაემატება. ისე რომ, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი როგორც იყო ისე კიდეც არის და კიდეც არ არის.

მეგობრების თხოვნით ოტილიეც შარლოტეს გაჰყვა. როგორც კი იმათ ოთახი დასტოვეს, ლორდმა უმალ აღნიშნა — ვგონებ, ახლაც რაღაც შეგვეშალა და ეტყობა, ისეთი რამე ვთქვით, ჩვენს მასპინძელ ქალებს ძწარედ ენიშნათ და გულზე მოხვდათო.

„უნდა გავფრთხილდეთ, რომ უფრო ცუდიც არ მოხდეს“, — განაგრძო მან —

ამდენი სიკეთისა და სიამისათვის, მგონი, მახდილინებს სამაგიერო ვერ მივაგეთ, ახლა კი რაიმე მოვიმიზეზოთ და სანამ დროა, გავემგზავროთ".

„მინდა გამოვიტყდეთ — მიუგო თანმხლებმა, — რომ ამ სახლში ასე ლაღხანს ერთმა გარემოებამ დამტოვა და ვიდრემდე იმას როგორმე არ გავარკვევ და კარგად არ გავეცნობი, აქაურობას ეერაფრით დავტოვებ. გუშინ პარკისაკენ მიმავალ გზას რომ მივუყვებოდით, მილორდ, თქვენ სატრიალებელი ფოტოაპარატით ხელში იმდენად გაერთეთ ლამაზი ადგილის ძებნით, რომ ვერც შეამჩნიეთ, რა ხდებოდა თქვენს მახლობლად. ის იყო მთავარ ხეივანს გვერდი ავუხვიეთ და ერთი ნაკლებად დასახლებული მხარე უნდა გაგვეველო ტბასთან ახლოს, საიდანაც, გალმა ნაპირზე, წარმტაცი სანახაობა მოჩანდა. მოულოდნელად ოტილიემ, რომელიც სეირნობისას თან გვახლდა, გზა აღარ განაგრძო და მთხოვა მასთან ერთად ნავით მეორე ნაპირზე გადავსულიყავი. უარი ვერ ვუთხარი. საჭეს თვითონ მიუჯდა. მე კი მშვენიერი მენავის მოქნილობამ გული სიხარულით ამივსო. კიდეც ვუთხარი აღფრთოვანებულმა, შვეიცარიის შემდეგ, სადაც ხშირად მენახა მომხიბვლელი მებორნე გოგონები, არც მახსოვს ასე ნეტარებით რომ ავყოლდავყოლოდი ტალღებს-მეთქი. მერე თავი ვერ შევიკავე და ვკითხე, იმ გზით გავლა რატომ არ ისურვეთ-მეთქი, თუმცა იმთავითვე ვიგრძენი ოტილიეს ამ თავის არიდებაში რაღაცნაირი დარცხვენა და შიში.

ჩემს შეკითხვას მან თავაზიანად უპასუხა: „თუ არ დამცინებდით, ამასთან დაკავშირებით რაღაცას გეტყოდით, თუმცა საიდუმლო კია, როცა გზის ამ ასაქცევს გავუყვები, მუდამ უჩვეულო თრთოლვა ამიტანს ხოლმე, მაგრამ რატომ, ვერ ამიხსნია, სხვა ადგილას მსგავსი განცდა თავის დღეში არ მქონია. ამიტომ ვერიდები ამ არემარეში მოხვედრას, იმასაც დავამატებ, რომ ამ დროს თავის მარცხენა მხარეს ტკივილები მეწყება, რაც ზოგჯერ ვიცი ხოლმე".

ჩვენ სანაპიროს მივუახლოვდით. ოტილიე თქვენთან საუბრით გაერთო, მე კი ამასობაში ის ადგილი დავათვალიერე, რომლის შესახებაც მან მიამბო და მერე მიჩვენა კიდეც. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა სწორედ იმ მიდამოებში აღმოვაჩინე ქვანახშირის საბადოთა არსებობის აშკარა ნიშნები, რაც დამარწმუნა, რომ გათხრათა ჩატარების შემთხვევაში, ვინ იცის, იქნებ მიწის სიღრმეში მდიდარი ბუდობები აღმოჩნდეს-მეთქი.

მაპატიეთ, მილორდ, მაგრამ კარგად ვხედავ, რომ გეცინებათ და ისიც შესანიშნავად ვიცი, რა ურწმუნოდ უყურებთ ჩემს მძაფრ დაინტერესებას მსგავსი მოვლენებისადმი, თუმცა როგორც მეგობარი და ჭკვიანი კაცი სადღაც შემწყნარებლურიც ხართ ჩვეული ცდების მიმართ. უნდა გამოვიტყდეთ და გითხრათ, ვიდრე ამ მშვენიერ ბავშვზე ცდას არ ჩავატარებ ქანქარას რხევის საშუალებით, აქედან წამსვლელი არა ვარ:" არ ყოფილა შემთხვევა, ამ თემაზე ჩამოვარდნილიყო საუბარი და ლორდს თავისი საწინააღმდეგო მტკიცებები არ გამოეთქვა, რასაც თანამგზავრი კრძალვით და მოთმინებითაც კი ისმენდა, მაგრამ არასოდეს საკუთარი თვალსაზრისი არ შეუცვლია და თავისი ზრახვების შესრულების სურვილი არ განელებია. თავის მხრივ, იგი ამტკიცებდა, რომ შესაძლოა ასეთი ცდები არ გამოუვიდეს, მაგრამ თავი როდი უნდა მიანებოს საქმეს, პირიქით, უფრო სერიოზულად და საფუძვლიანად უნდა იკვლიოს მისი ბუნება, რადგან ძიება ამ მიმართულებით ცხადად დაადგენს მიმართებებს თუ ნათესაურ დამოკიდებულებებს არაორგანულ საგანთა შორის, ანდა ორგანულისა არაორგანულთან, ან კიდევ თვით ორგანულ ნივთიერებებს შორის, რაც ამჯერად სრულიად გაუცნობიერებელი მოვლენაა. მან გადმოი-

ლო ოქროს ბეჭდებით, რკინის ალმადნებითა და სხვა მეტალებით ავსებული, ლამაზ ყუთში მოთავსებული აპარატი, მუდამ თან რომ დაატარებდა, მერე ძაფზე ასხმული მეტალები საცდელად ძირს დადებულ მეტალს დაადო და თქვა:

„მილორდ, ვხედავ, რომ ნაშნის მოგებით მიყურებთ, რადგან საკუთარ თავზე ამ თვალსაზრისით ცდა არ გამომსცდია, მაგრამ ჩემ მეტ[illegible]ული ოპერაცია მხოლოდ საბაბი თუა, აი რიცა ქალბატონები დაბ[illegible]ულ[illegible]ოდ გამოიჩენენ ცნობისწადილს, რა საიცრებებს ჩადიანო“.

ქალბატონები დაბრუნდნენ. შარლოტე უმალ მახვდა, რაც ხდებოდა.

„მსგავსი რამეების შესახებ კი გამიგია, — თქვა მან, — ოღონდ თვალით არასოდეს მინახავს და არც მათი ზემოქმედება განმიცდია. რაკი ასე შესანიშნავად მომზადებულხართ, ნება მომეცით, ვსინჯო, რა გამოვა“.

მან ძაფი ხელში აიღო. ამ ცდას სრული სერიოზულობით მოეკიდა. ძაფიც მტკიცედ ეჭირა, სავსებით აუღელვებლად, მაგრამ ძაფი ოდნავადაც არ შერხეულა. მერე ჯერი ოტილიეზე მიდგა. ოტილიეს შარლოტეზე უფრო მშვიდად, უშფოთველად, გაუცნობიერებლად ეჭირა ქანქარა მაგიდაზე დადებული მეტალების ზემოთ. რაწამს ცდა დაიწყო, ქანქარა ახმაურდა, ისე დაბზრიალდა, რაც კი მაგიდაზე ელაგა, ხან ერთ მხარეზე მოისროლა, ხან მეორეზე, ხაზავდა წრეებს, ელიფსებს, ხან კიდევ სწორ ხაზებზე ქანაობდა. სტუმარმა მიზანს მიაღწია და ამას ელოდა კიდეც. ის კი არადა, მიღებულმა შედეგმა მოლოდინსაც გადააჭარბა.

თვითონ ლორდი ცოტა არ იყოს საგონებელში ჩავარდა. თანამგზავრის კმაყოფილებას, ხალისსა და ცდების ჩატარების სურვილს კი ბოლო არ უჩანდა. იგი ზედიზედ სთხოვდა ოტილიეს ცდის გამეორებას სხვადასხვა ყაიდაზე. ოტილიეც უარს არ ეუბნებოდა სტუმარს, თავაზიანად უსრულებდა სურვილს, ვიდრე ბოლოს წყნარად არ სთხოვა, მეტს ველარ გავაკეთებ, რადგან ჩვეული თავის ტკივილი დამეწყოთ. ლორდის მხლებელი თან გადაჰყვა, უეჭველად მოგარჩენ. თუკი ჩემს მკურნალობას ენდობით. მაგრამ შარლოტემ, რომელიც უმალ მიხვდა, რაზეც იყო ლაპარაკი, უარი თქვა კეთილი განზრახვით შემოთავაზებულ ამ წინადადებაზე, რადგან არ უნდოდა თავის გარემოცვაში დაეშვა ისეთი რამე, რისიც ყოველთვის იმას შიშის ფეთება ჰქონდა.

სტუმრები გაემგზავრნენ და თუმცა ასე უცნაურად ააღელვეს ოჯახის მანდილოსნები, მაინც გამოთქვეს მათი კვლავ მინახულების სურვილი.

შარლოტემ კარგი ამინდით ისარგებლა და კვლავ განაახლა ვიზიტები მეზობლებთან. ისე კი დიდად არ ეჭაშნიკებოდა სახლის დატოვება, თუნდაც მცირე ხნით, მაგრამ სტუმრიანობას ვერაფრით თავი ვერ დააღწია. მისადმი ბევრი იჩენდა ყურადღებას, აქედან ზოგი ჭეშმარიტი თანაგრძნობით იყო განწყობილი, ზოგიც უბრალო ჩვეულებისდა კვალობაზედ იქცეოდა და არავითარი ჭეშმარიტი გრძნობა არ ამოძრავებდა. შარლოტეს ხომ შინ ბავშვი ელოდებოდა—მისი სიყვარულისა და ზრუნვის ერთადერთი საგანი, ბავშვის არსებობა შთანთქავდა ყველას და ყოველს მის გარშემო. იგი რაღაც გასაოცარი არსება იყო, სასწაული ბავშვი, სიხარულის წყარო, ასეთი იყო ყველაფრით: შესახედაობა იქნებოდა ეს თუ სიმაღლე, თანაბარზომიერი აღნაგობა, ღონე თუ სიჯანსაღე. ყველაზე მეტად კი მისი ორგზისი მსგავსება გეცემოდა თვალში. და რაც უფრო ხანი გადიოდა, ეს მსგავსება მით უფრო საგრძნობი ხდებოდა: სახის ნაკვთებით და აღნაგობით ბავშვი კაპიტანს ჰგავდა, ხოლო მის თვალებს ოტილიეს თვალებისაგან ვერ გაარჩევდი.

ამ უჩვეულო ნათესაობის, უფრო კი იმ მშვენიერი გრძნობის გამო, რაც თან

დაჰყვება ხოლმე ქალს, ვისაც ფაქიზი განცდით უყვარს მისთვის ძვირფასი ადამიანის შვილი, თუნდაც იგი მისი საკუთარი შვილი არ იყოს და სხვა ქალისაგან ჰყავდეს მამაკაცს, ოტილიე დედის მაგიერობას უწევდა ბავშვს, უფრო სწორად, მისი მეორე დედა იყო. როცა შარლოტე სადმე მიდიოდა, ოტილიე მიძასთან ერთად ბავშვთან მარტო რჩებოდა. ნანი კი ეჭვიანობდა ბავშვზე, რადგან მისმა ქალბატონმა მთელი ზრუნვა და გულისყური მთლად მას მიაპყრო და ნანი თითქოს დაივიწყა. ამის გამო ნანიმ კარგა ხანია რაც დატოვა ოტილიეს ადგილსამყოფი და თავის მშობლებს დაუბრუნდა. ოტილიეს ხშირად გამოჰყავდა ბავშვი სუფთა ჰაერზე, შორ ადგილებში დაასეირნებდა, თან მიჰქონდა რძით ავსებული ბოთლი და, თუ ბავშვს მოშივდებოდა, რძეს ასმევდა ხოლმე. არც წიგნის წამოღება ავიწყდებოდა. ხელში აყვანილი ბავშვს ასეირნებდა, თან წიგნსაც კითხულობდა. ამ დროს იგი მშვენიერ პენსეროზეს ჰგავდა, თვალწარმტაც ფიქრიას.

თავი მეთორმეტე

ლაშქრობის ძირითადი მიზანი ასრულდა, ედუარდი ორდენებით მკერდდამშვენებული სახელიანი დაბრუნდა სამხედრო სამსახურიდან. მან უმალ თავის პატარა მამულს მიაშურა, სადაც ზუსტი ცნობები დახვდა თავისიანების შესახებ, რომლებზეც ფხიზელი, მათთვის შეუმჩნეველი მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული. ედუარდს თბილად შეხვდა მისი წყნარი თავშესაფარი. მის არყოფნაში აქ ბევრი რამ შეიცვალა, უკეთესი და სრულქმნილი გახდა. თუკი კარმიდამოსა და მის შემოგარენს სიგრძე-სიგანე აკლდა, სამაგიეროდ ეს ნაკლი სახლში გამეფებულმა წესრიგმა და ხელსაყრელმა პირობებმა შეავსო და აანაზღაურა.

ედუარდს ცხოვრების სწრაფმა დინებამ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა ასწავლა და ახლც არ დააყოვნა, მტკიცედ განიზრახა თავისი ნაფიქრისა და თავსატეხის განხორციელება, უწინარეს ის გააკეთა, რომ თავისთან მოიწვია მაიორი. დიდი იყო კვლავ ერთმანეთის ნახვის სიხარული. სიჭაბუკის მეგობრებსა და სისხლით ნათესავებს სხვებთან შედარებით ის საგრძნობი უპირატესობა აქვთ, რომ შეცდომები და გაუგებრობები ვერაფერს აკლებს მათ, რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს ისინი. გარკვეული დროის შემდეგ ძველი დამოკიდებულებები ხელახლა აღდგება ხოლმე.

ედუარდი ხალისიანად შეხვდა მეგობარს, მერე ჰკითხა თავისი ახლანდელი ყოფის შესახებ. შეიტყო, რა სრულქმნილად, სურვილების შესატყვისად გაუღიმნია მისთვის ბედს. ინტიმური, ხუმრობანარევი ტონით ისიც ჰკითხა, ნაზი ურთიერთობის გაბმას ხომ არ აპირებო, რაზეც მაიორმა მეტისმეტი სერიოზულობით მიუგო, არაო.

„არ შეიძლება გულჩახვეული ვიყო შენთან და არ გითხრა. კაცმა რომ თქვას, არცა მაქვს ამის უფლება, ჩემი ფიქრები და ზრახვები მინდა გაგიზიარო, — განაგრძო ედუარდმა, — შენ იცი, როგორ მიყვარს ოტილიე და ალბათ იმასაც ხვდები, რომ მხოლოდ და მხოლოდ მისი გულისათვის გადავეშვი ომის ქარცეცხლში. ვერ ვიტყვი, სიცოცხლე ძალიან მინდოდა-მეთქი, რადგან უიმისოდ ჩემთვის მას აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ ისიც იყო, რომ მოლად უიმედობაში არ ჩავვარდნილვარ იმზომ მშვენიერი და სანატრელია მასთან ყოფნის ბედნიე-

რება, რომ ძალა არ შემწევს ხელი ავიღო მასზე. რამდენი სანუგეშო წინათგრძნობა, რამდენი კეთილის მომასწავებელი ნიშანი მიმტკიცებდა იმ უგონო ოცნების რწმენას, რომ ოტილიე ოდესმე ჩემი გახდებოდა. სასმისი, რაზეც ამოკვეთილი იყო ჩვენი სახელების ინიციალები, იმ დროს ისროლეს ჰაერში, როცა სახლს საძირკველი ჩაუყარეს, მაგრამ იგი არ გამტყდარა და [illegible] დაიჭირეს, ახლა კვლავ ხელში მიპყრია.

„დაე, მე თვითონ ვიყო, ვუთხარი ერთხელ დიდ ეჭვებში ჩავარდნილმა საკუთარ თავს, როცა ამ წყნარ თავშესაფარში რამდენიმე საათი დავყავი, — დაე, მე თვითონ ვიყო-მეთქი ამ სასმისის მაგივრად იმის მანიშნებელი, შესაძლოა თუ არა ჩვენი კავშირი. წავალ და სიკვდილს ვეძიებ, მაგრამ არა ვითარცა შეშლილი, არამედ ვითარცა კაცი, ვისაც სიცოცხლისა სჯერა. ოტილიე კი ის საზღაური იყოს, რისთვისაც ვიბრძვი. მწამს, რომ მაპოვნინებს მის თავს ყოველი საბრძოლო მწყობრი, ყოველი ტრანშეა, ყოველი ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრე. სასწაულებს ჩავიდენ, რაკი უვნებელი მინდა დავრჩე,რაკი მისი მოპოვებისათვის ვიღწვი, რაკი მისი დაკარგვა არ მინდა.“ ეს გრძნობები ამოძრავებდა ჩემს არსებას, მშველოდა საფრთხის განრიდებაში, ახლა კი თავს იმ კაცად ყრაცხავ, ვინაც ყველანაირი სიძნელე გადალახა, გაიმარჯვა და სხვა რაღა უნდა გადაეღობის გზაზე. ოტილიე ჩემია და ვერავითარი ძალა ხელს ვერ შეუშლის ხორცი შეასხას იმას, რაც განმიზრახავს“.

„შენ ეგრე ხელალებით იშორებ ყველაფერს, — მიუგო მაიორმა, — რაც კი შეიძლება დაგიპირისპირდეს, არადა, აშკარად დაგიპირისპირდება და მრავალჯერაც. გაიხსენე შენი დამოკიდებულება ცოლთან, მთელი მისი სიკეთე, რისი განსჯაც შენთვის ძომინდვია, მაგრამ ყველაზე მთავარია შენი ამჟამინდელი ვალდებულება მისადმი და საკუთარი თავისადმი — აი, ეს კი არაფრით არ უნდა დაივიწყო. მარტო იმის მოგონება რად ღირს, რომ განგებამ ორივეს ვაჟიშვილი გიბოძათ. თავს მოვალედ ვთვლი გითხრა, რომ თქვენ საუკუნოდ ერთმანეთს ეკუთვნით, იმ უცოდველი არსების გულისათვის უთუოდ კვლავაც ერთად უნდა იყოთ, რომ ერთად იზრუნოთ მის აღზრდაზე, მის მომავალ კეთილსვეობაზე“.

„შეობლების მხრივ კუდაბზიკობაა და მეტი არაფერი ,— უპასუხა ედუარდმა, — როცა ჰგონიათ, თითქოს მათი არსებობა ძალზე აუცილებელია შვილებისათვის. ყველა სულდგმული მოძებნის ამ ქვეყანაზე საზრდოს და მხარდაჭერას. და თუ ვაჟიშვილს, ვისაც მამა ადრე მოუკვდა, სხვებივით დალხენილი სიჭაბუკე ვერ ექნება, ეს, მართალი გითხრათ, უკეთესიცაა. იგი სწრაფად მომწიფდება ცხოვრებაში შესასვლელად, რადგან დროზე გაიგებს, რომ სხვებისათვის ანგარიშის გაწევა, სხვებთან შეგუება აუცილებელია და ეს სიბრძნე ადრე თუ გვიან ყველამ უნდა ისწავლოს. მაგრამ რა გვჭირს სამაგისო. ჩვენ საკმაოდ მდიდრები ვართ იმისათვის, რამდენიმე ბავშვი რომ უზრუნველვყოთ, ხოლო ამდენი სიკეთე რომ მხოლოდ ერთ ადამიანს დავაბერტყოთ, ეს უფრო ღორობა გამოვა, ვიდრე ადამიანის ამქვეყნიური მოვალეობა მადლის ქმნისა“

როცა მაიორმა რამდენიმე სიტყვით მიანიშნა შარლოტეს ღირსებებსა და ედუარდის შეუცვლელ დამოკიდებულებაზე ცოლისადმი, მან ფიცხლად შეაწყვეტინა:

„ჩვენ სისულელე ჩავიდინეთ და ამას ძალიან ნათლად ვხედავთ. ვინც გარკვეულ ასაკს მიაღწევს და მაინც სურს ხორცი შეასხას სიჭაბუკისდროინდელ სურვილებს და იმედებს, ყოველთვის თავის თავს ატყუებს. ადამიანური ცხოვრების ყველა ეტაპს თავისი საკუთარი ბედნიერება, იმედი და მომავალი აქვს. და

ვაი იმ ადამიანს, ვინც გარემოებისა თუ დაბნეულობის გამო იძულებულია ჩაეჭიდოს გარდასულსა თუ მერმინდელს. ჩვენ სისულელე ჩავიდინეთ და ახლა მთელი სიცოცხლე ასე ხომ არ დავრჩებით. განა რაღაც ეჭვების გამო ერთი უნდა ვთქვათ ბედნიერებაზე, რასაც ჩვენი დროის ზნეობა არ გვიკრძალავს? რამდენჯერ მომხდარა, რომ ადამიანს ხელი აუღია თავის ზრახვებზე და საქცელზე. მაგრამ ამჯერად ასე არ უნდა მოხდეს, რადგან ამ შემთხვევაში საქმე ეხება ძოლვას და არა ცალკეულს, ცხოვრების არა ამა თუ იმ პირობას, არამედ მთელ მის ერთობლიობას."

მაიორს არ დაუკლია ძალა და ენერგია ოსტატურად და მტკიცედ შეეხსენებინა ედუარდისათვის, რამდენი ძაფით იყო იგი დაკავშირებული ცოლთან, ოჯახთან, მაღალ საზოგადოებასთან, მამულთან, მაგრამ ბეწვისოდენა თანაგრძნობაც კი ვერ აღუძრა.

„ყველაფერმა ამან, ჩემო კარგო, — მიუგო ედუარდმა, — მაშინ გამიელვა გონებაში, როცა შუაგულ ბრძოლის ქარცეცხლში ვიყავ, როცა წუთით შეწყვეტილი გვრგვინვის შემდეგ ფეხქვეშ მიწა მერყეოდა, როცა გარშემო ტყვიების ზუილი და წივილი მესმოდა, როცა იქვე შორიახლო ჩემი ამხანაგები ბრძოლის ველზე კვდებოდნენ, როცა ცხენი დამიჭრეს, ხოლო ტყვიამ ქუდი გამიხვრიტა. აი, სწორედ იმ დროს ამოტივტივდა ეს ყველაფერი ჩემ წინაშე ვარსკვლავებით *მოჭედილი ცის ქვეშ ღამით დახთებული კოცონის მკრთალ სინათლეზე.* სულში ათასნაირი ურთიერთობები მიტრიალებდა, უთვალავჯერ გავიაზრე და განვიცადე მომხდარი და ყველა ამას მრავალჯერ ვეზიარე, გადავეგე და, ეტყობა, საბოლოოდ შევეთვისტომე კიდეც.

არ დავიმალავ და, იმ საბედისწერო წუთებში შენც ოვალწინ მყავდი. შენც ხომ ჩემს ორბიტაზე ხარ და კარგა ხანიცაა, რაც ერთმანეთს დავუკავშირდით. თუკი შენ წინაშე ვალში ვარ, ახლა ორმაგად შემეძლო ამ ვალის ანაზღაურება, ხოლო თუ მე ვიქნებოდი მოვალე, ამჯერად შესაძლებლობა მოგეცემა სამაგიერო მომიზღო. ვიცი, რომ შარლოტე გიყვარს და იგი ღირსიცაა ამ სიყვარულის. ისიც ვიცი, რომ შენდამი არც ის არის გულგრილი და მიკვირს ამდენხანს რით ვერ შეიცნო შენი ფასი. დამითმია იგი შენთვის, ოღონდ კი ოტილიე ჩემი იყოს და ამით უბედნიერესი ადამიანები ვიქნებით დედამიწის ზურგზე".

„სწორედ იმიტომ, რომ ჩემი მოსყიდვა გინდა სანუკვარი წყალობით, — მიუგო მაიორმა, — მით უფრო უნდა ვიყოთ მკაცრი და წინდახედული ამ ნაბიჯის გადადგმისას. შენი წინადადება, რისადმიც წყნარი პატივისცემით ვიმსჭვალები, კი არ აიოლებს, პირიქით, უფრო აძნელებს საქმეს. ეს ამბავი მარტო შენ კი არ გეხება, არამედ მეც. იგი ორი ადამიანის მხოლოდ ბედს კი არ განსაზღვრავს, არამედ მათ სახელს და პატიოსნებას, რაც დღემდე უმწიკვლო იყო. ხოლო ამ უცნაური საქციელით, სხვა რომ არაფერია, იმის საფრთხესაც ექმნით, რომ მაღალი საზოგადოების თვალში მეტისმეტად ახირებულნი გამოვჩნდეთ".

„სწორედ იმიტომ, რომ აქამდე უმწიკვლონი ვიყავით, — მიუგო ედუარდმა, — სადღაც ეს გვაძლევს კიდეც განკიცხულად ყოფნის უფლებას. ვინც მთელი თავისი ცხოვრებით დაამტკიცა რომ სანდო კაცია და საქციელიც სანდო აქვს, სხვების თვალში მისი საქციელი იქნებ ორაზროვანი გამოჩნდეს. ხოლო მე რაც შემეხება, უკანასკნელ ხანს გარდახდენილი განსაცდლების მეოხებით, იმ მძიმე და საფრთხით აღსავსე საქმეებით, სხვებისთვის რომ მიკეთებია, თავს უფლებამოსილად ვთვლი, — ჩემთვისაც რაიმე ვიღონო, ხოლო შენ და შარლოტემ რაც გინდათ, ის ქენით, თუ გნებავთ მომავალს მივანდოთ თქვენი ბედი. მე კი ვერც

შენ და ვერც სხვა ვინმე განზრახულს ვერ შემაცვლევინებს. ვინც კი დახმარების ხელს გამომიწოდებს, მეც ყველანაირად მივაგებ სამაგიეროს. და თუ მხოლოდ საკუთარი თავის ამარა დამტოვებენ, ანდა წინ აღუდგებიან ჩემს სურვილ-ნებას, მაშინ უკიდურეს ზომებს მივმართავ და რაც არ უნდა მოხდეს, ჩემსას მაინც გავიტან".

მაიორმა თავის მოვალეობად ჩათვალა რაც შეიძლება მეტი წინააღმდეგობა გაეწია ედუარდის ზრახვებისათვის და საამისოდ საკმაოდ ცბიერი ხერხი იხმარა. იგი ფასიდად დაეთანხმა ედუარდს, მაგრამ როცა ილაპარაკა ფორმალურ თუ საქმიან წერილმანებზე, რაც ქორწინება-განქორწინებასთან იქნებოდა დაკავშირებული, აქ იმდენი უსიამოვნო, რთული და უხერხული რამეები გამოტყვრა, რომ ედუარდი ცუდ გუნებაზე დადგა.

„როგორც ვხედავ, —თქვა მან ბოლოს, — მარტო მტრებში კი არა, მეგობრებშიც კი ბრძოლით უნდა მოიპოვო ის, რაც გინდა. მე კი არასდიდებით არ დავთმობ ჩემთვის აუცილებელს და სასურველს. მე უსათუოდ მივაღწევ იმას, თანაც ძალიან მალე. ვიცი, რომ არ შეიძლება ამნაირი დამოკიდებულებების ამოძირკვა, სხვაგვარად შემობრუნება, ისევ ხოლმე, ზოგიერთ მოვლენას, რომც მოკვდე, ადგილიდან ვერ დაძრავ. ფიქრით ამ შემთხვევაში ფონს ვერ გახვალ. განსჯას რა უნდა, მისთვის სულ ერთია ყველანაირი უფლება, სასწორის აწეულ პინზე ყოველთვის შეიძლება დადო საპირწონე, საჭიროა, ჩემო კარგო, მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება. ყველაფერი უნდა აწონ-დაწონო, გაარკვიო, ახსნა და კვლავ დააკავშირო ერთმანეთთან. და ეს ყველაფერი მხოლოდ მე და შენ უნდა მოვიმოქმედოთ. ნურანაირ მოსაზრებებს ყურად ნუ იღებ. ჩვენ უკვე უამისოდაც ავალაპარაკეთ ხალხი. იგი ერთხელ კიდევ იყბედებს და მერე თავს დაგვანებებს, შეწყვეტს ჩვენზე ლაპარაკს, დაგვივიწყებს, როგორც ივიწყებენ ხოლმე ყველაფერ გარდასულს და უფლებას მოგცემს ჩვენს ჭკუაზე ვიცხოვროთ, თვითონ კი არანაირ წილს არ დაიდებს ჩვენს ყოფაში".

მაიორმა სხვა გამოსავალი ვერ ნახა, თუ არა ის, რომ თავი მოიკატუნა, ვითომ დაეთანხმა ედუარდს, რომელიც ამ საქმეს წინასწარ გადაწყვეტილად თვლიდა, დაწვრილებით აანალიზებდა მომავალში გარდასახდენს, მხიარულად, სახუმარო ტონითაც კი ლაპარაკობდა სადღეისოზე. მერე კვლავ დინჯი სახე მიიღო და ჩაფიქრებით განაგრძო:

„რა თქმა უნდა, დიდი თავის მოტყუება იქნებოდა თუ თავს იმით ვინუგეშებდით, რომ ყველაფერი თავისთავად დაეწყობა, რაღაც საგანგებო შემთხვევა ხელს მოგვიმართავს. ამნაირი ტყუილი იმედით თავს ვერ ვუშველით და ვერც სიმშვიდეს ვპოულობთ. ანდა რა ნუგეშზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩემდაუნებურად ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. განა ჩემი დაჟინებული თხოვნით არ ვაიძულე შარლოტე ჩვენსა მოგვეწვია, ოტილიეც ხომ ამის გამო მოვიდა ჩვენთან. ჩვენ აღარ ძალგვიძს უარვყოთ ის, რაც აქედან გამომდინარე მოხდა, ჩვენდა საკეთილდღეოდ მოვაბრუნოთ გარემოება. ეს თითოეული ჩვენგანის პირადი საქმეა, ზურგს ვაქცევთ თუ არა ამ მშვენიერსა და გასახარის მომავალს, რაიც ყველასაოვის აღმოვაჩინე, შეგიძლია მეცა და სხვასაც თავს მოახვიო სავალალო თვითუარყოფა, რამდენადაც ეს შესაძლებლად მიგაჩნია და რამდენადაც ეს საერთოდ არის შესაძლებელი, მაგრამ განა მაშინაც, თუკი უწინდელ ყოფას დავუბრუნდებით არც მოგვიხდება უსიამოვნო და უხერხული ვითარების ატანა, მუდმივი წუხილის განცდა, თანაც არაფერი სასიკეთო და სასიხარულო აქედან არ გამოვა. რად გინდოდა შენი ამჟამინდელი ბრწყინვალე მდგომარეობა, თუკი ერთმანეთთან

მისვლა-მოსვლით არ გავიხარებდით, თუკი ურთიერთობები არ გვექნებოდა და ყველაფერ იმის შემდეგ, რაც მოხდა, სიცოცხლე მაინც მტანჯველი იქნებოდა ჩვენთვის. მე და შარლოტე რაც არ უნდა მდიდრები ვიყოთ, მაინც სიღარიბე ყოფაში ჩავვარდებოდით. და თუ შენ სხვა მაღალი წრის ადამიანებივით ქარაფშუტულად გგონია, რომ წლები და ძანძილი ახშობს და ანელებს სულში ღრმად შემოჭრილ გრძნობებსა და შთაბეჭდილებებს, ძალიან ცდებიხარ. ეს ის წლებია, რომლებიც წუხილსა და ვარამში კი არ უნდა განვვლოთ, არამედ ლხენასა და სიამტკბილობაში. დაბოლოს, ის მინდა გითხრა, რაც ყველაზე უმთავრესია. ჩვენ კიდეც ჰო, იქნებ არ გაგვიჭირდეს და ჩვენივე გარე თუ შინა გარემოების წყალობით ასე თუ ისე ავიტანოთ ეს გასაჭირი, მაგრამ რა დაემართება ოტილიეს, ვინაც ჩვენი სახლი უნდა დასტოვოს, ვისაც უნდა წარვსტაცოთ ჩვენი მხარდაჭერა საზოგადოებაში და წყეული, ცივი მაღალი წრის ამარა უნდა დარჩეს, საცოდავ, მუდამ ცრემლიან არსებობაში. დამიხატე ისეთი ვითარება, რომელშიც ოტილიე უჩქმოდ და საერთოდ უჩვენოდ გახდებოდა ბედნიერი და ეს იქნებოდა ყველაზე ძლიერი საბუთი, რომელიც ჩემი შეხედულების თუ საბოლოო დათმობას არა, ამაზე ხელახლა დაფიქრებისა და განსჯის ხალისს აღმიძრავდა".

ეს ამოცანა ადვილი გადასაწყვეტი როდი იყო. ყოველ შემთხვევაში მეგობრის ამ კითხვებზე მაიორს დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მოეპოვებოდა, ხოლო ამჯერად სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არ კვლავ იმის ჩაგონება, რაოდენ სერიოზული, სარისკო და გარკვეულწილად სახიფათოც გამხდარიყო შექმნილი ვითარება და რომ საჭირო იქნებოდა უკიდურეს შემთხვევაში ჯეროვანი დაფიქრება და მხოლოდ ამის შემდეგ მოქმედება, ედუარდი დაეთანხმა მაიორს, ოღონდ იმ პირობით, რომ მეგობარს მანამ არ დაეტოვებინა მარტო, ვიდრე ყოველივეს ყოველმხრივ არ განსჭვრეტდნენ, პირველ ნაბიჯებს არ გადადგამდნენ.

თავი მეცამეტე

ერთმანეთისადმი გულგრილად განწყობილი სრულიად უცხო ადამიანებიც კი, თუ რამდენსამე ხანს ერთ ჭერქვეშ იცხოვრებენ, ბოლოს და ბოლოს გულს გადაუშლიან ერთმანეთს და მათ შორის უთუოდ წარმოიშობა ინტიმური დამოკიდებულება, მით უფრო არ იყო გასაკვირი ასეთი დამოკიდებულება ჩვენს ორ მეგობარს შორის, რაკი შემთხვევამ ისინი კვლავ ერთად შეჰყარა, ყოველდღე, ყოველ წუთს სულ ერთად იყვნენ, საიდუმლო არც არაფერი ჰქონდათ და ცხოველი განცდით იგონებდნენ განვლილ წლებს, მაიორს არც დაუმალავს, რომ შარლოტეს გუნებაში ედუარდი ოტილიეს საქმროდ ჰყავდა წარმოდგენილი და უნდოდა მოგზაურობიდან მისი დაბრუნების ჟამს, ეს ძვირფასი არსება ედუარდისათვის ცოლად მიეთხოვებინა. ამ აღმოჩენით ედუარდი აღტაცებული იყო და შეშფოთებულიც, ლამის სიხარულისაგან ჭკუა დაკარგა და თავის მხრივ მოურიდებლად ალაპარაკდა შარლოტესა და მაიორის ურთიერთსიმპათიაზე, რასაც ყველაზე ნათელი საღებავებით ხატავდა, უფრო კი იმიტომ, რომ ეს ურთიერთობა მას ხელსაც აძლევდა და სასურველიც იყო.

მაიორს არც „ჰო“-ს თქმა შეეძლო და არც „არა“-სი. ედუარდი კი მით უფრო მტკიცედ და ურყევად იცავდა თავის აზრს. მას ყველაფერი ეჩვენებოდა არამცთუ შესაძლებლად, არამედ უკვე მომხდარად. თითქოს ამ ამბის ყველა მონაწილის მხოლოდ თანხმობა იყო საკმარისი იმის აღსასრულებლად, რაც ყველას ეწადა. განქორწინება, რა თქმა უნდა არ გაჭირდებოდა, [illegible] ხელახალი ქორწინება მოჰყვებოდა, ხოლო ედუარდი და ოტილიე [illegible] ქორწინთ მოგზაურობაში წავიდოდნენ.

უფრო სასიხარულოს ალბათ ვერას შექმნის ჩვენი წარმოსახვის ძალა, ვიდრე ახალგაზრდა შეყვარებული ცოლ-ქმარია, რომელიც იმედოვნებს, თავისი ახლად შექმნილი ურთიერთობა მისთვის აქამდე სრულიად უცნობ, ცოცხალ სამყაროსთან დამოკიდებულებაში გამოაწრთოს და განამტკიცოს, თანაც ათასნაირ ვითარებაში გამოსცადოს ქორწინებითი კავშირის სიმტკიცე. ამასობაში კი მაიორსა და შარლოტეს, რომლებიც შეუზღუდავი უფლებამოსილებით სარგებლობდნენ, უნდა მოეწესრიგებინათ ყველაფერი, რაც კი მამულს, სამკვიდრებელს და სხვა მიწიერ სიკეთეს შეეხებოდა, ეს ისეთნაირად უნდა წარემართათ, რომ ყველა მხარე კმაყოფილი დარჩენილიყო. მაგრამ ის, რაშიც ედუარდი მეტისმეტ შორსმჭვრეტელობას იჩენდა და ამას დიდ უპირატესობად მიითვლიდა, ეს იყო ბავშვის დედასთან დარჩენა. ბიჭი მაიორს უნდა აღეზარდა თავისი შეხედულებების შესატყვისად, მისეული ნიჭი და უნარი განევითარებინა მასში. ტყუილად ხომ არ დაურქმევიათ ნათლობისას მათი საერთო სახელი —ოტო.

ეს ყველაფერი ედუარდმა ერთბაშად მოისაზრა და ახლა ერთი დღეც ვეღარ მოეთმინა, თვალის დახამხამებაში უნდოდა განზრახვის აღსრულება. კარმიდამოსაკენ მიმავალი მეგობრები ერთ პატარა ქალაქში შეჩერდნენ, აქ ედუარდს თავისი სახლი ჰქონდა. იფიქრა, მაიორის დაბრუნებას აქ დაველოდებით. მაგრამ ქალაქში გული არ დაუდგა, თავს ვერ მოერია და მცირე მანძილზე ერთხანს მეგობრის გაცილება მოუნდა. ისინი ცხენებით იყვნენ და მნიშვნელოვან საკითხზე საუბრით გართულებმა ვერც შეამჩნიეს, ისე გაელიათ კარგა დიდი მანძილი.

უცებ შორიდან თვალი მოჰკრეს ბორცვზე აღმართულ ახალ სახლს, რომლის მობრჭყვიალე წითელი კრამიტი პირველად იხილეს. ედუარდი დაუძლეველმა სურვილმა მოიცვა, როგორმე ყველაფერი დღესვე, ამ საღამოსვე მოეგვარებინა. იგი ახლო მდებარე სოფელში დაიმალება, მაიორმა კი შარლოტეს დაუყოვნებლივ უნდა მოახსენოს საქმის ვითარება, ანაზდად თავს წაადგეს და მოულოდნელად შემოთავაზებული წინადადებით აიძულოს ლაღად გამოამჟღავნოს თავისი გრძნობები. ედუარდი ვინც მისეულ სურვილებს შარლოტესაც მიაწერდა, ვერც წარმოიდგენდა, რომ შარლოტე შეიძლება არ აჰყოლოდა მის მხურვალე გულისოქმას. იმედი ჰქონდა, სწრაფად მიაღწევდა შარლოტეს თანხმობას, რადგან ამაზე მეტად არც არაფერი უნდოდა. და აი, იგი უკვე ხედავს ამბის ბედნიერ დასასრულს, ხარობს იმითი, სასურველი მოლოდინის წუთები უდგას. მაიორს წინასწარ მეუთანხმდა, ნანატრი თანხმობა უმალ რამდენიმე ხარბაზნის ერთდროული გასროლით მაცნობეო, ხოლო თუ შემოგაღამდება, მაშხალებიც გაუშვი, რომ სასტუმროში მოუთმენლად მომლოდინემ ჩქარა გავიგო სასიხარულო ცნობაო.

მაიორი ციხე-დარბაზში ცხენით მივიდა. მას იქ შარლოტე არ დახვედრია, უთხრეს, იგი ახალაგებულ შენობაში ცხოვრობს, მაგრამ ამჯერად შინ არ არის, მეზობელ ოჯახებთანაა სტუმრად წასული და საკმაოდ დააგვიანდებაო. მაიორი სასტუმროში დაბრუნდა, რომ ცხენი იქ დაეტოვებინა.

ამასობაში ედუარდი უსაზღვრო მოუთმენლობამ შეიპყრო, თავშესაფარში გული აღარ დაუდგა და უკაცრიელი ბილიკებით, ძონადირეებიც რომ ძლივს მიაკვლეულნენ, საღამოს გზას გაუყვა. ანაზდად ტბის ახლო, ბუჩქებთან ალმოჩნდა. ტბის სარკისებრ ზედაპირს პირველად ხედავდა ასე კრიალას და ფართოდ გადაშლილს.

ამ დროს, ნაშუადღევს, ტბასთან ოტილიე სეირნობდა. ხელში ბავშვი ეჭირა, ბოლთასა სცემდა, თანაც წიგნს კითხულობდა, როგორც ჩვეოდა ხოლმე. ნელ-ნელა მუხებამდე მივიდა გადასასვლელთან. ბავშვმა ჩაიძინა, ოტილიემ იგი იქვე ძირს, ბალახებზე დააწვინა, თვითონ კი წიგნის კითხვა განაგრძო. ეტყობა, ეს ერთი იმ წიგნთაგანი იყო, სულით ნაზ არსებას რომ თავისაკენ იზიდავს და ვერანაირად ვერ მოსწყდები. იგი წიგნის კითხვამ ისე გაიტაცა, სულ დაავიწყდა დრო და საათი. არც მოფიქრებია, ახალ სახლამდე კარგა გვარიანი მანძილი რომ დარჩენოდა გასავლელი. აღარაფერი აღარ ახსოვდა, არც საკუთარი თავი. იგი ისე ტურფა სანახავი იყო, გეგონებოდა მის გარშემო ხეებმა და ბუჩქებმა სული ჩაიდგეს და თვალი აახილეს, რათა მისი სიტურფით დატკბნენ და გულით იხარონო. და აი, უკანა მხრიდან ოტილიეს ჩამავალი მზის მოწითალო შუქი დაეცა და ლოყა და მხარი გაუოქროსფერდა.

ედუარდი კი მიჰყვებოდა გზას და შეუმჩნევლად ამ შორ მიდამოებამდე ჩამოაღწია. რაკი პარკი და არემარე ცარიელი და უკაცრიელი იხილა, გაბედა და გზა განაგრძო. ბოლოს ბუჩქები გამოიარა და მუხებამდე მოვიდა. და აი, მან დაინახა ოტილიე, ოტილიეც შეაცქერდა ედუარდს. ედუარდი მიიჭრა ქალთან და მის ფეხთით დაეცა. ერთხანს ორივენი მდუმარედ იყვნენ, გონზე მოსვლას ცდილობდნენ. მერე ედუარდმა ორივად სიტყვით აუხსნა, რატომ მოვიდა და როგორ მოვიდა აქ. მაიორი შარლოტესთან გავგზავნე, ახლა, ამ წუთას ჩვენი ბედი წყდებაო. შენს სიყვარულში ეჭვი არასოდეს შემპარვია და არც ჩემი შენდამი სიყვარულია საეჭვო, ოღონდ თანხმობა მაინც მითხარითო. ოტილიე ყოყმანობდა. ედუარდი ეფიცებოდა ოტილიეს. უნდოდა ძველი უფლებით ესარგებლა და გულში ჩაეკრა იგი, ოტილიემ უთხრა აი, მოდი, ჯერ ბავშვი ნახეო.

ედუარდმა შეხედა ბავშვს და გაოცებამ შეიპყრო.

„ო, ღმერთო მაღალო,—წამოიძახა მან. — მე რომ საბაბი მქონდეს ეჭვი შევიტანო ცოლსა და მეგობარში, ეს ბავშვი ხომ შემზარავი სამხილი იქნებოდა მათ წინააღმდეგ. იგი ხომ პირწავარდნილი მაიორია. ასეთი მსგავსება ჩემს დღეში არ მინახავს“.

„ო, არა, — მიუგო ოტილიემ, — მთელი ქვეყანა ამბობს, რომ იგი მე მგავს“.

„ეგ როგორ შეიძლება, — თქვა ედუარდმა, სწორედ ამ წუთს ბავშვმა თვალები გაახილა. მას დიდი შავი, გულში ჩამწვდომი თვალები ჰქონდა, ღრმა და ალერსიანი. ბიჭი მეტად აზრიანი თვალებით უყურებდა სამყაროს, თითქოს მის წინაშე მდგარ ამ ორ ადამიანსაც იცნობდა. ედუარდი ძირს დაიხარა და ოტილიეს წინაშე მუხლი მოიყარა.

„ჰო, ეს შენა ხარ, —წამოიძახა მან, —ეს შენი თვალებია. მაგრამ ნება მომეცი მხოლოდ შენს თვალებს შევხედო. ნება მომეცი, ფარდა ავხადო იმ უკულმართ წუთს, რამაც სიცოცხლე აჩუქა ამ არსებას. ნუთუ მე დავაფრთხე შენი უებრო სული ბოროტი ფიქრით და ზრახვით. განა შეიძლებოდა სრულიად გაუცხოებულ ცოლ-ქმარს გულში ჩაეკრათ ერთმანეთი და ავხორცი სურვილით წაებილწათ კანონიერი კავშირი. აბა, როგორ არ გითხრა ეს, რაკი ასეთი რამ უკვე

მოხდა, რაკი შარლოტესთან ჩემი ქორწინება უნდა დაირღვეს, რაკი შენ ჩემი უნდა გახდე. რად არ უნდა წარმოვთქვა ეს სასტიკი სიტყვები: ეს ბავშვი ორწილი სიძვა-მრუშობის შედეგად გაჩნდა. ეს ბავშვია, ცოლთან რომ გაგაშორებს, ხოლო იმას ჩემს თავს ართმევს, იმის მაგივრად რომ ერთმანეთთან დაგვაკავშიროს. მოდი იყოს, როგორც არის ისე და ეს ბავშვი დამემოწმოს, [illegible] ოვალებმა გითხრას, რომ სხვასთან მწოლარე შენ გეკუთვნოდა [illegible] შენ იგრძნო, ოტილიე, მართლა იგრძნო, რომ ის ცთუნება, ის შეცოდება მხოლოდ და მხოლოდ შენს მკლავებში ძალმიძს გამოვისყიდო. ხომ გესმის?" — იყვირა მან და ადგილიდან წამოდგა. გასროლა, რომელიც იმ დროს გაისმა, ედუარდს ის ნიშანი ეგონა, მაიორს რომ უნდა მოეცა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მონადირე ყოფილა, იქვე მთებში რომ უსვრია თოფი. ამას მეორე გასროლა არ მოჰყოლია. ედუარდი მოუთმენლობამ შეიპყრო.

ოტილიემ მხოლოდ ახლახანს შეამჩნია, რომ მზე მთებს იქით ჩაეშვა. მისი უკანასკნელი ათინათი ჯერაც ციმციმებდა ბორცვზე აღმართული სახლის ფანჯრებზე.

„წადი, ედუარდ,—უთხრა მან,—ამდენხანს ვიყავით უერთმანეთოდ და ახლა რაღა მოგვივა. გახსოვდეს შარლოტეს წინაშე ჩვენი ვალდებულება. მან უნდა გალაწყვეტოს ჩვენი ბედი და ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. მე შენი გავხდები, თუ იგი ამაზე თანახმა იქნება. თუ არადა, შენზე ხელი უნდა აიღო, რაკი გჯერა, რომ მალე ყველაფერი მოგვარდება, კეთილი, დავიცადოთ, დაბრუნდი სოფელში, იქ ხომ მაიორი გელოდება. რა იცი, რა მოხდეს, ეგებ რაიმეს განმარტება დასჭირდეს. რატომ გგონია, რომ ზარბაზნის ეს უხეში გასროლა მაინცადამაინც მოლაპარაკების წარმატებით დასრულებას ნიშნავს. იქნებ ამ წუთას იგი შენ გეძებს. მე ვიცი, რომ მან შარლოტე ვერ ნახა. იქნებ მის შესახვედრად წამოვიდა, რადგან ეტყოდნენ, სადაც არის იგი წასული. რამდენი რამ შეიძლება მოხდეს. ახლა დამტოვე. შარლოტე მალე დაბრუნდება და ზემოთ დაგველოდება მე და ბიჭს".

ოტილიე ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა. გოხებაში ღაალაგა. რაც შეიძლებოდა მომზდარიყო. ედუარდის ახლოს ბედნიერი კი იყო, მაგრამ ახლა უეჭველად უნდა განშორებოდა მას.

„გეფიცები, ჩემო ძვირფასო, გეკვედრები, — წამოიძახა მან, — დაბრუნდი და მაიორს დაელოდე".

„ვემორჩილები შენს ბრძანებას, — წარმოთქვა ედუარდმა და ვნებით შეავლო თვალი, მერე მაგრად ჩაიკრა გულში. ოტილიეც ნაჩად მიეკრა სატრფოს მკერდზე. იმედი ციდან ჩამოვარდნილი ვარსკვლავივით თითქოს თავზე დაადგა. მათ. ორივეს ეგონათ და სჯეროდათ, რომ ამიერიდან აღარ შეიძლებოდა მათი უერთმანეთოდ ცხოვრება და პირველად აკოცეს ერთმანეთს ლაღად და მტკიცედ. მერე კი ძალისძალად, ტკივილის შეგრძნებით გაშორდნენ ერთიმეორეს.

მზე ჩავიდა, ჩამობნელდა. ტბაზე ნესტიანმა ნიავმა დაჰბერა. ოტილიე შეცბუნებული და აღელვებული იდგა, ერთ ადგილას მიჯაჭვული. მერე შორით მდგარ სახლს შეავლო თვალი და მოეჩვენა, თითქოს აივანზე შარლოტეს თეთრ კაბას ხედავდა. ტბის გაყოლებით შემოსავლელი გზა შორი იყო. მან იცოდა, რა მოუთმენლად ელოდა ბავშვს შარლოტე. გალმა ნაპირზე ცხადად ხედავდა ჭადრებს, მხოლოდ წყლის სიერცე აშორებდა ბილიკს, რომელიც მოკლე გზით სახლამდე მიიყვანდა. ფიქრით უკვე იქ იყო. ამ საგანგებო წუთს გაუჭრა იმის შიში, რომ წყალს ბავშვთან ერთად არ უნდა ენდო. სწრაფად მიიჭრა ნავთან, ვერ

გრძნობდა, როგორ უცემდა გული, ფეხები უკან რჩებოდა, ლამის გრძნობა დაეკარგა.

იგი ნავში ჩახტა, ნიჩაბს ხელი სტაცა, ნავს უბიძგა, რომ ნაპირს მოშორებოდა. შემდეგ მეორედ უბიძგა და საამისოდ დიდი ძალა დასჭირდა, ნავი შეირხა და წყალზე გასრიალდა. მარცხენა ხელში ბავშვი და წიგნი ჭარჯვენათი საჭე ეპყრა. უცებ რაღაცას ფეხი წამოჰკრა და ნავში წაიქცა. საჭე მეორე მხარეს გაექცა და წამოდგომას შეეცადა, ამ დროს კი ბავშვი და წიგნი ერთმანეთის მიყოლებით წყალში ჩაცვივდნენ. მან ტანსაცმელზე წაავლო ხელი ბავშვს, მაგრამ მოუხერხებელმა მდგომარეობამ წამოდგომის საშუალება არ მისცა. თავისუფალი მარჯვენა ხელი საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ მობრუნებულიყო და ბავშვი წყლიდან ამოეყვანა. ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა ამოყვანა, მაგრამ ნახა რომ ბავშვს ოვალები დაეხუჭა და აღარ სუნთქავდა.

მან სწრაფად მოიკრიბა აზრი, მაგრამ მით უფრო დიდი იყო მისი წუხილი. ნავი თითქმის ტბის შუაგულში მიაპობდა ტალღებს, ნიჩაბი განზე მიცურავდა, ნაპირზე კაცის ჭაჭანება არ იყო და ვინ უშველიდა. ყველასაგან მოწყვეტილი უსასოოდ მიექანებოდა ვერაგი, მდუმარე, მიუკარები სტიქიის წიაღში.

იგი თვითონ ეძიებდა გადარჩენის გზებს, მაგრამ ეტყობა, საშველი არ იყო, ადრე ხშირად სმენოდა წყალში დამხრჩვალთა გადარჩენის საშუალებებზე, ისიც გაახსენდა, თუ რა იხილა იმ საღამოს საკუთარი დაბადების დღეზე. მან ტანსაცმელი გახადა ბავშვს და თავისი მარმაშის სამოსით შეუმშრალა სხეული. მერე საკინძე გაიხსნა და პირველად უჩვენა შიშველი მკერდი ზეცას. პირველად მიიკრა უმანკო შიშველ მკერდზე ცოცხალი არსება. მაგრამ ამაოდ, იგი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ბედკრული ქმნილების ცივმა სხეულმა გულის სიღრმემდე გაუყინა მკერდი — თვალთაგან განუწყვეტლივ სდიოდა ცრემლები და ეს ცრემლები ყინულად ქცეული სხეულის არარსებული სითბოსა და სიცოცხლის ტყუილ იმედს უსახავდა. იგი თავის მცდელობას არ აკლებდა ბავშვს, თავშალში გაახვია, ხელი გადაუსვა, გულში ჩაიკრა, სუნთქვა შეუმოწმა, ტირილით ჰკოცნიდა, ეგონა რომ ეს იმ საშუალებების მაგიერი იყო, ასე რომ მოჰკლებოდა მარტოდ დარჩენილს.

ყველაფერი ფუჭი გამოდგა, ბავშვი არ ინძრეოდა მის მკლავებში, არც ნავი ირხეოდა წყლის ზედაპირზე. მაგრამ მშვენიერმა სულმა არც მძიმე ყოფაში უღალატა ოტილიეს. მან ზეცას შესთხოვა შემწეობა, ნავში მდგომი მუხლებზე დაეცა და გაშეშებული ბავშვი ორივე ხელით მაღლა ასწია, თავისი უმანკო მკერდს ზემოთ, თავისი სითეთრით და ვაი, რომ სიცივითაც, მარმარილოს სადარი. ცრემლიანი მზერა ცისკენ აღაპყრო და შემწეობას შეჰვედრა მას, თითქოსდა ზეცისაგან ელოდა პასუხს. მისი ნაზი სული სასოებდა, რომ იქ მაინც უხვად ჰპოვებდა სიკეთეს, რაკი გარშემო, ხსნა არსაიდან იყო.

იგი ამაოდ არ მიმართავდა ვარსკვლავებს, რომლებიც თითქოსდა ცალ-ცალკე იწყებდნენ ციმციმს. დაჭრილა მსუბუქმა ნიავმა და ნავი ჭადრებთან მიაცურა.

თავი მეთოთხმეტე

იგი ახალი სახლისაკენ მიიჩქაროდა, მოუხმო მკურნალს და ბავშვი გადაწოდა. მკურნალმა კი, ეს ყოველმხრივ ჭკუამოკრებილმა კაცმა, თანმიყოლებით რა საშუალებას არ მიმართა, რა არ იღონა ამ ნაზი და უსიცოცხლო სხეულის საშველად. ოტილიეც მხარში ედგა მკურნალს, გაოგნებული მიდი-მოდიოდა, რა-

ლაცეები მიჰქონდა და მოჰქონდა, თითქოსდა სხვა სამყაროში დახეტიალობდა. უზომო მწუხარება ხომ ისევე, როგორც უზომო ბედნიერება სახეს უცვლის ყველაფერს და მხოლოდ მაშინ, როცა ამ დიდებულმა ადამიანმა ყველანაირი მცდელობის შემდეგ თავი გადააქნია, ოტილიეს იმედებით აღსავსე შეკითხვაზე ჯერ დუმილით, მერე კი წყნარი „არა—"-თი უპასუხა, ოტილიემ დასტოვა შარლოტეს საძინებელი ოთახი, სადაც ეს ყველაფერი ხდებოდა, ძლივს შეაღწია თავის სენაკში, დივანამდე ვერც მივიდა, ისე დაეცა პირქვე ხალიჩაზე მთლად არაქათგამოცლილი.

სწორედ ამ დროს შარლოტეს ხმაც მოისმა. ქირურგი დაჟინებით სთხოვდა შეჯგუფებულთ, ოთახში დარჩითო, თვითონ კი შარლოტეს უნდა შეხვედროდა, რომ წინასწარ შეემზადებინა მომხდარი უბედურებისათვის. მაგრამ შარლოტემ უკვე შემოასწრო ოთახში. მან დაინახა იატაკზე დაგდებული ოტილიე, ერთი მოახლე ტირილითა და ვაი-უშველებელით შემოხვდა. ამ დროს შემოვიდა ქირურგიც და შარლოტეც მიხვდა, რაც მოხდა, მაგრამ ნუთუ იმედის ყველა ნიშანწყალი ამოიწურა? გამოცდილი, ერთობ დაოსტატებული და ჭკვიანი კაცი მხოლოდ ერთს სთხოვდა შარლოტეს, ბავშვს ნუ შეხედავო,. თვითონ კი განშორდა, რათა მცდარი იმედი აღეძრა, თითქოს მის გადასარჩენად სხვა, ახალ საშუალებებს ვეძებო. შარლოტე სავარძელზე ჩამოჯდა, ოტილიე კვლავ ძირს ეგდო, მერე მშვენიერი თავი ასწია და მეგობარი ქალის მუხლებზე დადო. ოჯახის გულშემატკივარი ექიმი ოთახში ხან შემოდიოდა და ხან გადიოდა, თითქოსდა ბავშვისთვის ირჯებოდა, სინამდვილეში კი ქალების გადარჩენისათვის იღწვოდა. ამ განუზომელ წუხილში შუაღამემაც მოატანა და ღრმა სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. შარლოტე ბოლოს და ბოლოს შეურიგდა იმ აზრს, რომ შვილის სიცოცხლე განწირულია. მისი ხილვა მინდათ, მოითხოვა. შემოიტანეს კალათაში მოთავსებული, თბილ თავშალში ფაქიზად გამოხვეული ბავშვის ცხედარი და მის გვერდით, საეარძელზე დაასვენეს. მხოლოდ პაწია სახე მოუჩანდა, წყნარი და ლამაზი.

ამ უბედურმა შემთხვევამ მთელი სოფელი შეაძრწუნა. ამბავმა სასტუმროშიც ჩამოაღწია და მაიორმა უმალ შეიტყო იგი. იგი ნაცნობ ბილიკებს გაუყვა ზემოთკენ, სახლს შემოუარა. იქ ერთ მსახურს გადაეყარა, სახლის მინაშენში რაღაცის მისატანად რომ გარბოდა, შეაჩერა და მისგან დაწვრილებით გაიგო, რაც მოხდა. ქირურგი მომიყვანეო — სთხოვა მსახურს. ქირურგიც მალე ეახლა. თავისი ძველი მფარველის გამოჩენით გაოცებულმა, ამცნო მაიორს ამჟამინდელი ვითარება. გადაწყვიტა, ახლავე შედგომოდა საქმეს და შარლოტე მისი ნახვისათვის შეემზადებინა. ქირურგი შარლოტესთან შევიდა, შორიდან შემოუარა საოქმელს, ხან ერთ საგანს მიაპყრო მისი მზერა, ხან მეორეს და მანამდე ლაპარაკობდა მოიარებით, ვიდრე მეგობრის აქ ყოფნა არ შეატყობინა, უთხრა, როგორ თანაუგრძნობს მეგობარი მის უსაზღვრო წუხილს, ისიც მოაგონა, რაოდენ დიდი იყო წარსულში მათი სულიერი ნათესაობა, რა ერთნაირი აზრები და განწყობილებები ჰქონდათ. და ეს ყოვლივე ამ ვითარებისას აშკარად გამომჟღავნდა. ბოლოს და ბოლოს შარლოტემ შეიტყო, რომ მეგობარი კართან იდგა, მან ყველაფერი იცოდა, უნდოდა შარლოტესთან შესვლა.

მაიორი ოთახში შემოვიდა. შარლოტე გატანჯული ღიმილით შეხვდა მეგობარს. აი, იგი შარლოტეს წინაშე დგას. გადასწევს მწვანე აბრეშუმის გადასაფარებელს, რომელიც ცხედარს ფარავს, სახთლების მკრთალ შუქზე მაიორი არცთუ ფარული ძრწოლვის გარეშე იხილავს თავის გაქვავებულ მსგავსებას.

შარლოტემ სკამზე მიუთითა, ჩამოჯექიო, და ასე ისხდნენ მთელი ღამე ერთმანეთის პირისპირ მდუმარედ. ოტილიე კი უხმოდ იწვა შარლოტეს მუხლებზე თავჩამოდებული, ნაზად სუნთქავდა, მართლა ეძინა თუ არა, არავინ იცოდა.

ირიჟრაჟა. სანთელი ჩაქრა. მეგობრები თითქოს საშინელი სიზმრისაგან გამოფხიზლდნენ. შარლოტემ მაიორს შეხედა. მერე ჰკითხა:

„მაცხარით, ძვირფასო, აქ რა ბედმა მოგიყვანათ, რომ ამ [illegible] მონაწილეობა მიგელოთ“.

„ეს რომ გითხრათ, საამისოდ ახლა არც დროა და არც ადგილი, — მიუგო მაიორმა ისეთივე წყნარი, დაბალი ხმით, როგორადაც შეკითხვა მისცეს, თითქოსდა ოტილიეს გაღვიძება არ უნდათო, — დიახ, ეს რომ გითხრათ, ჯერ დუმილი უნდა დავიცვა, რაღაც შესავალი გავაკეთო და შემდეგ თანდათან გადავიდე საქმის არსზე, საამისოდ კი ახლა არც დროა და არც ადგილი. ეს უბედურება, რასაც აქ შევესწარი, ისე შემზარავია, რომ მოვარი მიზეზი რისთვისაც თქვენთან მოვედი, ჰკარგავს თავის მნიშვნელობას“.

მაიორი წყნარად და უბრალოდ გამოუტყდა შარლოტეს, რომ მისი ჩამოსვლის მიზეზი, რამდენადაც იგი ედუარდმა საკუთარი ინიციატივით გამოაგზავნა, ნაკარნახევია თვითონ ედუარდის სურვილით, თუმცაღა მაიორის ინტერესებსაც შეიცავს. და ეს ყველაფერი მან იმზომ ფაქიზად და წრფელად თქვა, რომ შარლოტემ მშვიდად მოისმინა მისი ნათქვამი, არც გაკვირვება გამოუხატავს და არც წყენა.

როცა მაიორმა სათქმელი დაამთავრა, შარლოტემ ისეთი დაბალი ხმით უპასუხა, მაიორს სკამის მასთან ახლო მიტანა მოუხდა, რომ მისი სიტყვები კარგად გაერჩია.

„ასეთ დღეში, ახლა რომ ვარ, ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ, მაგრამ მსგავს შემთხვევაში ალბათ ყოველთვის ვკითხავდი საკუთარ თავს ხვალ რა მოხდება-მეთქი. მე შესანიშნავად ვგრძნობ, რომ დღეს ჩემს ხელთაა რამდენიმე ადამიანის ბედი და ერთი წუთით არ იწვევს ჩემს დაეჭვებას ის ნაბიჯი, ახლა რომ უნდა გადავდგა. ამას კი ახლავე ვეტყვით. მე თანახმა ვარ განქორწინებაზე. ეს ადრეც უნდა გადამეწყვიტა. ჩემი ყოყმანით, ჩემი სიჯიუტით მე შვილი დავკარგე. არსებობს გარკვეული საგნები და მოვლენები, რასაც ბედი ჯიუტად განაგებს. ის უნდა მოხდეს, რაც მოსახდენია. ამათად ულობავს გზას მოსახდენს გონი, სათნოება, მოვალეობა და საერთოდ ყველაფერი, რაც კი წმინდაა ამქვეყნად. ის უნდა მოხდეს, რაც განგებას სამართლიანად მიაჩნია და რაც ჩვენი გაგებით უსამართლობაა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს განგების ნებას თავისი გააქვს, რა დაჟიდარაბაც არ უნდა ავტეხოთ იმისთვის, რომ იგი არ მოხდეს. თუმცა რას ვამბობ. პირიქით, ბედს კიდეც უნდა კვლავ აღასრულოს ჩემი ნატვრა, ჩემი სურვილი, რის საწინააღმდეგოდაც ესოდენ მოუფიქრებელი ნაბიჯი გადავდგი. განა მე არ მიმაჩნდა ოტილიე და ედუარდი ყველაზე შესაფერის წყვილად? განა მე არ ვცდილობდი მათ დაახლოებას? განა თქვენ, ჩემო ძვირფასო, არ იცოდით, რა განზრახვა მქონდა გულში? მაგრამ რად ვერ შევძელი ერთმანეთისაგან გამერჩია უბრალო მამაკაცური სიჯიუტე და ჭეშმარიტი სიყვარული? რად მივეც ხელი ედუარდს? მისი მხოლოდ მეგობარი რომ დავრჩენილიყავ, ხომ გავხდიდი ბედნიერს მასაც და სხვა ქალსაც. შეხედეთ ამ უმწეო არსებას, აგერ რომ ძილფხიზლობს. მე ვძრწი იმ წუთის წინაშე, როცა იგი სიკვდილის დარი ძილისაგან გაიღვიძებს. და სინამდვილეს დაუბრუნდება. როგორ უნდა იცხოვროს, როგორ ჰქონოს სიმშვიდე, თუკი იმედი არ ექნება, თავისი სიყვარულით დაუბრუნოს

ედუარდს დაკარგულის სამაგიერო საზღაური, ვითარცა უცნაური ფათერაკის მსხვერპლმა? არადა ხომ ნამდვილად ძალუძს ყველაფერი მიუზღოს სანაცვლოდ, ისეთი გზნებითა და ვნებით უყვარს იგი. თუკი სიყვარული ადამიანმოთმენის ნიჭითაა მადლცხებული, მით უფრო შეაძლებინებს უკან მიაგოს ოფელიეს. ხოლო მე საკითხავი აღარა ვარ.

წადით უჩუმრად, ძვირფასო მაიორო, უთხარით ედუარდს, რომ გაყრაზე თანახმა ვარ, რომ ამ საქმის წარმართვას სამ კაცს ვანდობ: თქვენ, ედუარდს და მიტლერს, რომ ჩემი მომავალი ერთი წუთითაც არ მაწუხებს, რომ მე მშვიდად ვარ, ყველანაირი გაგებით. მე ხელს მოვაწერ ყველა ქაღალდს, რასაც მომიტანენ, ოღონდ იმას ნუ მომთხოვენ, მეც რაიმე ვიღონო, მოვიფიქრო, ავწონ-დავწონო, განვსაჯო".

მაიორი წამოდგა. შარლოტემ ოტილიეს თავს ზემოდან გაუწოდა ხელი. მაიორმა ბაგეებთან მიიტანა ეს ძვირფასი ხელი.

„მაგრამ მე რას მიპირებთ, მე რისი იმედი უნდა მქონდეს?" — ძლივს გასაგონად წარმოთქვა მაიორმა.

„პასუხი მე მომანდეთ, — მიუგო შარლოტემ, —უბედურები რომ ვიყოთ, იმის ღირსი ნამდვილად არა ვართ, რადგან არა დაგვიშავებია რა, ოღონდ არც ერთად ყოფნის ბედნიერება დაგვიმსახურნია".

მაიორი წავიდა. იგი სულითა და გულით თანაუგრძნობდა შარლოტეს, თან ძალაც არ შესწევდა შეეცოდებინა იგი საწყალი გარდაცვლილი ბავშვის გამო. ეს მსხვერპლი მას გარდაუვალად მიაჩნდა მათი საერთო ბედნიერების მისაღწევად. და მან წარმოიდგინა ოტილიე, საკუთარი ჩვილი ბავშვით ხელში, თითქოსდა დაუბრუნა ედუარდს ის, რაც ბრმა შემთხვევამ წაართვა. მაიორს ისიც თვალწინ დაუდგა, თვითონაც როგორ დაისვამდა მუხლებზე ვაჟიშვილს, რომელიც იმ მკვდარ ბავშვზე უფრო მეტი უფლებამოსილებით მოაგონებდა საკუთარ ნაკვთებს.

ეს სიხარულის მომგვრელი და ნუგეშისმცემელი სახეები რიალებდნენ მის სულში, როცა უკან მობრუნებისას სასტუმროში ედუარდს შეხვდა, მთელი ღამე რომ ამათად ელოდა ღია ცისქვეშ. ცეცხლის ნიშანი ანუ ზარბაზნის ასროლა მამცნობს ბედნიერ დასასრულსო. მან უკვე იცოდა მომხდარი უბედურების შესახებ და მაიორისა არ იყოს, მასაც არ ეცოდებოდა უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული არსება და მისი დაღუპვა განგების ნებად მიაჩნდა, თუმცა ვერც გაებედა საკუთარი თავისთვის გაემხილა ეს ფიქრი, რომელიც უმალ აღგვიდა პირისაგან მიწისა ყველანაირ დაბრკოლებას ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე. ამიტომაც მაიორისათვის, ვინაც სასწრაფოდ ამცნო ცოლის განზრახვა, ძნელი არ ყოფილა დაეყოლიებინა იგი სოფელში, მერე კი პატარა ქალაქში დაბრუნებაზე, რომ იქ მოეფიქრებინათ, რა უნდა ეღონათ მომავალში.

მას შემდეგ, რაც მაიორმა დასტოვა, შარლოტე რამდენსამე ხანს გაუნძრევლად იჯდა, ფიქრებში წასული. ამასობაში ოტილიე გასწორდა, მეგობარ ქალს თავისი დიდი თვალები მიაპყრო, ჯერ თავი აიღო მისი მუხლებიდან, მერე წამოდგა და შარლოტეს წინ დადგა.

„ეს უკვე მეორედ დამემართა, — დაიწყო საუბარი მშვენიერმა ყმაწვილმა ქალმა, რალაც არნახულად მომხიბვლელი სიდარბაისლით, —ეს უკვე მეორედ დამემართა ასეთი რამ, ერთხელ ხომ მითხარი, ადამიანის ცხოვრებაში როგორღაც მეორდება ერთნაირი გარემოს ერთი და იგივე მოვლენა. ახლა დავრწმუნდი, რომ ეს მართლა ასეა. ერთი რამ მინდა გაგანდო. ერთხელ, სწორედ იმ ხანებში, დედა რომ გარდაიცვალა, ჯერაც სრულიად ბავშვმა სკამი შენკენ მოე-

ფიე. მაშინაც საკარძელში იჯექი, როგორც ახლა ზიხარ. თავი შენს მუხლებზე მედო, არ მეძინა, არც ვფხიზლობდი, ნახევრად მთვლემარე ვიყავი. მესმოდა ყველაფერი, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა, მაგრამ განძრევის თავი არ მქონდა, არც რაიმეს თქმისა, კიდეც რომ მწდომებოდა. შენ ვერც წარმოიდგენდა, რომ მაშინ სრულ გონზე ვიყავი. იმ დროს ერთ მეგობარ ქალს ელაპარაკებოდი. შენ გაღონებდა ჩემი ბედი, ჩემი ობლობა, ქვეყნად რომ მარტო დავრჩი. მეც ამბობდი, რომ მე უმწეოს საქმე ცუდად წამივა, თუ გზას საგანგებოდ ბედნიერი ვარსკვლავი არ გამინათებს. მტკიცედ და ზუსტად, იქნებ მეტისმეტად ზუსტადაც დავიხსომე, რაც გსურდა ჩემთვის, რას მოითხოვდი ჩემგან. ჰოდა, ჩემი იმჟამინდელი შეზღუდული ცოდნის საფუძველზე შევადგინე საკუთარი ქცევების ნორმები და კანონები, რის მიხედვითაც დიდხანს ვცხოვრობდი, ანგარიშს ვუწევდი, რასაც ვაკეთებდი. ეს ის დრო იყო, როცა გიყვარდი, ჩემზე ზრუნავდი, როცა საკუთარ სახლში ჭერი მომეცი და ასე გაგრძელდა საკმაოდ დიდხანს. მაგრამ კაძიხდა ხანი და გზას ავცდი, ჩემეული კანონები დავარღვიე და ბოლოს თავიც კი დავკარგე, და, აი, ამ საშინელი ამბების შემდეგ კვლავ ამეხილა ახლა თვალი ჩემს ახლანდელ ყოფაზე, რომელიც ბევრად უფრო სავალალოა, ვიდრე იმჟამად იყო. ვწევარ რა შენს მუხლებზე, ნახევრად ქვად ქცეული, თითქოსდა სხვა სამყაროდან კვლავ მესმის შენი წყნარი ხმა, რომელიც მეუბნება, თუ რა უბედურიც ვარ, საკუთარი თავი თვითონვე მაძრწუნებს, მაგრამ მაშინდელივით ახლაც ამ საკვდილის სადარ ძილში ჩემთვის სავალი ახალი გზა დავინახე.

მაშინდელივით ახლაც გადავწყვიტე და რაც გადავწყვიტე, ამას ახლავე გეტყვი: ედუარდისა მე არასოდეს გავხდები. ღმერთმა სასტიკად ამიხილა თვალი და საკუთარი დანაშაული შემაცნობინა. მე უნდა ცოდვები მოვინანიო და არ მიწდა ვინმემ დამიშალოს ჩემი გადაწყვეტილების აღსრულება. შენ კი, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, ამას გეტყვი: დაიბრუნე მაიორი, სასწრაფოდ შეატყობინე, რომ უარს ამბობ ადრე ნათქვამზე, უბრძანე, ხურაფერს მოიმოქმედებს, ნებიერიც არ გადადგას საამისოდ. ლამის გავთავდე, როცა მისი აქ ყოფნისას ხმა ვერ ამოიღე, უბრალოდ, ვერც გავიხმერი, როცა იგი მადლობდა, წამოდგომა, ყვირილი მინდოდა, მაგრამ არ ძალმიძდა. შენ არ უნდა გაგეშვა იგი ასე კადნიერი იმედებით აღსავსე".

შარლოტე ხელავდა, რა ღელვაშიც იყო ოტილიე, ძალზე განიცდიდა მის ასეთ ყოფას. მაგრამ იმედი ჰქონდა, დრო და შეგონება გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენდა. მაგრამ როგორც კი ორიოდ სიტყვით მიანიშნა მომავალზე, ტკივილის დამაამებელ იმედის მცირე ჩაპერწკალზე, ოტილიემ გააფთრებით წამოიყვირა:

„არა! ნუ შეეცდები, შემაფიქრანო და მაცთუნო, რაწამს გავიგებ, რომ შენ დათანხმდი განქორწინებაზე, უმალ ამ ტბაში დავიხრჩობ თავს და ამით მოვინანიებ ჩემს შეცოდებას, ჩემს ცოდვა-ბრალს".

თავი მეთხუთმეტე

თუ ნათესავები, მეგობრები, ოჯახის წევრები ერთად ცხოვრების ბედნიერ და მშვიდობიან ხანაში საჭიროზე უფრო მეტად საუბრობენ გარშემო მომხდარ ან მოსახდენ უთვალავ გარდასახლელზე, მრავალჯერ ამცნობენ ერთმანეთის

თავიანთ ზრახვებს, წამოწყებებს, საქმიანობებს და თუმც უშუალოდ ერთურთს რჩევას არ ეკითხებიან, მაინც გამუდმებული თათბირი აქვთ ხოლმე ცხოვრების ავ-კარგზე, ხოლო მნიშვნელოვან წუთებში, იმ დროს, როცა ადამიანი ალბათ ყველაზე მეტად საჭიროებს სხვათა თანადგომასა და მხარდაჭერას, თითოეული თავის თავით იფარგლება, თითოეული თავისას აკეთებს, თავისებურ ქმედებას ესწრაფვის და უმალავენ რა ერთიმეორეს იმ საშუალებებს, რასაც იყენებენ, მხოლოდ საბოლოო შედეგს, უკვე მიღწეულ მიზანს მიიჩნევენ საერთო მონაპოვრად.

ამ ორი მეგობარი ქალის ურთიერთობა აშკარა სიდარბაისლით განიმსჭვალა, ანუ მეტად უფრთხილდებოდნენ და გულისყურს არ აკლებდნენ ერთმანეთს. შარლოტემ ყველას შეუმჩნეველად ეკლესიაში გალაატანინა ბავშვის ნეშტი. აქ განისვენებდა იგი, ვითარცა ავისმომასწავებელი ბედისწერის პირველი მსხვერპლი.

შარლოტე, რამდენადაც ეს შესძლო, დაუბრუნდა თავის ცხოვრებისეულ საზრუნავთ. უპირველესად ყველაზე მეტად ოტილიეს ჭირდებოდა მისი თანადგომა. ამიტომ უმთავრესად ოტილიეთი იყო დაკავებული, თანაც ისეთნაირად, რომ გოგონასათვის მისი განუზომელი ზრუნვა შესამჩნევი არ ყოფილიყო. იცოდა, რაოდენ უყვარდა ამ ღვთაებრივი სულის ბავშვს ედუარდი. შარლოტემ თანდათანობით გამოარკვია, როგორ წარიმართა ის სცენა, უბედურ შემთხვევას რომ წინ უსწრებდა. ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა ცალკერძ თვითონ ოტილიეს, ცალკერძ კიდევ მაიორის წერილებით შეიტყო მოქმედი უბედურების ამბები.

თავის მხრივ ოტილიემაც შეუმსუბუქა შარლოტეს ყოველდღიური ცხოვრება. იგი გულღია, სიტყვამრავალიც კი გახდა, ოღონდ აწმყოსა და უახლოეს წარსულზე არ ლაპარაკობდა. ყველაფერს ამჩნევდა, ყველაფერს აკვირდებოდა, ბევრიც იცოდა და ეს ყველაფერი აშკარად იგრძნობოდა. იგი ესაუბრებოდა შარლოტეს, ამბევდა მას, რომელიც ჯერაც საზრდოობდა იმ წყნარი იმედით, რომ ძვირფას წყვილს ერთმანეთთან დააკავშირებდა.

მაგრამ ოტილიეს ამბავი სულ სხვანაირად წარიმართა. მან მეგობარ ქალს გაუმხილა, თუ რა გზას დაადგებოდა ცხოვრებაში. ამჯერად მოიშორა თავისი ადრინდელი შებოჭილობა, მისთვის ჩვეული მორჩილება. მოხანიების მტკიცე განზრახვის წყალობით თავისი შეცოდების ტვირთისა და უბედური ხვედრისაგან თავს დახსნილად გრძნობდა. უკვე აღარ უხდებოდა საკუთარ თავზე ძალდატანება. გულის სიღრმეში ყველაფერი შეუნდო თავს, ოღონდ სრული თვითაღკვეთის პირობით. ეს პირობა სამარადისოდ ურღვევი უნდა დარჩენილიყო.

გავიდა ხანი და შარლოტეს ამის შეგრძნება გაუჩნდა, რომ ორთავ მეგობარ ქალს სევდიან განცდებს აღუძრავდა ეს სახლი, ეს პარკი, ეს ტბები, კლდეთა და ხეთა ჯგუფები. ადგილის შეცვლა აშკარად აუცილებელი გახდა. მაგრამ როგორ და რანაირად, ეს იყო ძნელად გადასაწყვეტი.

ნუთუ ამ ორმა ქალმა მთელი სიცოცხლე ერთად უნდა იცხოვრონ? ედუარდის თავდაპირველი სურვილიც ხომ ეს იყო, ამას ითხოვდა იგი წერილითა და მუქარით. მაგრამ ახლა არც იმის უარყოფა შეიძლებოდა, რომ კეთილი ნების, ჭკუა-გონების, თავზე ძალდატანების მიუხედაოად ქალებს ერთად არ გაეძლებიდათ. მათი ერთად ცხოვრება მტანჯველი ხდებოდა. ზოგჯერ ნახევრად უგებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ხშირად გამონათქვამი სიტყვა თუ აზრით არა, გრძნობით მაინც გაუგებარი რჩებოდა, ორივეს ეშინოდა, ერთმანეთის ტკივილი არ მივაყენოთო, მაგრამ ეს შიში თვითონ იყო უწინარეს ყოვლისა ტკივილის მომყენე-

ბელი და კიდევაც აყენებდათ ტკივილს. მაგრამ თუკი ადგილის შეცვლას და თუნდაც მცირე ხნით ერთმანეთთან დაშორებას ინდომებდნენ, კვლავ ძველი კითხვა წამოიჭრებოდა: სად გაეგზავნათ ოტილიე? ის წარჩინებული და მდიდარი ოჯახი ამაოდ ცდილობდა თავისი მემკვიდრე ასულისათვის საინტერესო და ნიჭიერი მეგობარი ქალის შოვნას მომავლისათვის. ბარონესა თავისი ბოლო ვიზიტის დროს და აგრეთვე წერილობითაც თავაზობდა შარლოტესა, რომ ოჯახში გაეგზავნა ოტილიე. შარლოტემ ოტილიესთან კვლავ ჩამოაგდო სიტყვა ამის თაობაზე. მაგრამ ოტილიემ მტკიცე უარი განაცხადა იქ წასვლაზე, არ უნდოდა მოხვედრა იმ საზოგადოებაში, რასაც ჩვეულებრივ მაღალ საზოგადოებას ეძახდნენ.

„გონებაჩლუნგი და თავნება რომ არ გეგონოთ, —თქვა ოტილიემ, — ნება მოუცეთ, ძვირფასო დეიდა, გითხრათ ის, რაზეც სხვა გარემოში ხმასაც არ ამოვიღებდი. უზომოდ უბედური ადამიანი, რაგინდ უცოდველიც არ იყოს, შიშის ნიშნითაა აღბეჭდილი. მისი არსებობა რაღაცნაირ ძრწოლას აღძრავს ყველა სულდგმულში, ვინც კი იმას დაინახავს. ყველა სწორად და შეუმცდარად ამოიკითხავს იმის სახეზე საშინელი ხვედრის კვალს. ამ დროს ყველას ერთდროულად იპყრობს შიშიცა და ცნობისწადილიც. და ასე რჩება სახლი, ქალაქი, სადაც ეს საშინელი ამბავი მოხდარა, საშიშ ადგილად ყველასათვის, ვინც კი იქ ფეხს შედგამს. აქ დღის სინათლეც კარგავს ნათელს, ხოლო ვარსკვლავები — ბრწყინვალებას.

იქნებ მისატევებელიც არის ამ უბედურ არსებისადმი სხვა ადამიანების უტაქტობა, ბრიყვული ჩაცინება და უნიჭო გულკეთილობა, მაპატიეთ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ არც დაიჯერებთ, რარიგ განვიცადე იმ საწყალი გოგონას გამო, ლუციანემ რომ ძალისძალად ვარეთ გამოიყვანა ოთახში შეყუჟული, სადაც ყველასაგან მივიწყებული იჯდა, როგორ მიუალერსა, ლუციანეს საუკეთესო სურვილები ამოძრავებდა, როცა მისი შველა უნდოდა, სწამდა, რომ თამაშობებითა და ცეკვებით იხსნიდა საბრალოს მძიმე დეპრესიისაგან და მდგომარეობიდან გამოიყვანდა, მაგრამ ამაოდ, ასეთმა გაუფრთხილებელმა მოპყრობამ კიდევ უფრო დიდი სატანჯველი მოუტანა საცოდავ ბავშვს, რომელმაც გარეთ გავარდნა დაიპირა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან გულწასული დაეცა იატაკზე. ამ დროს გოგონას ხელი ჩავჭიდე, შიშისაგან აღელვებულმა სტუმრებმა კი ცნობისმოყვარეობა ვერ დამალეს და საცოდავ არსებას დაუწყეს ცქერა. მაშინ რას ვიფიქრებდი, მეც თუ მსგავსი ბედი მელოდა, მაგრამ ჩემი ნამდვილი და ხალასი თანაგრძნობა მისადმი ახლაც ოვალწინ მიდგას. ახლა ეს თანაგრძნობა საკუთარ თავზე გადამაქვს და უნდა გავფრთხილდე, მეც ამ დღეში არ ჩავვარდე.

„დიახ,—მიუგო ოტილიემ, — ამას ვერ უარვყოფ. ბედნიერთა ხვედრია სხვათა ვერც ვერსად დაემალები, ჩვენში კი უკვე აღარ არსებობს მონასტრები, სადაც ადრე სამკვიდრებელს ჰპოულობდნენ შენნაირი სულები".

„განმარტოება როდი ქმნის, ძვირფასო დეიდა, სამკვიდრებელს, — მიუგო ოტილიემ. — ყველაზე უკეთესი სამკვიდრებელი იქ არის, სადაც რაიმის კეთება ძალგიძს. ავი ბედისწერისაგან ვერც მონანიება გვიხსნის და ვერც განდგომა, თუ იგი ჩვენს დევნას განიზრახავს, თუკი უსაქმური ვეჩვეენები მაღალ საზოგადოებას, მაშ იგი ჩემოვის საძულველი და შიშისმომგვრელი გახდება. მაგრამ უნუმარი სიხარულის მომნიჭებელი შრომის პროცესში, როცა დაუღალავად აღვასრულებ ვალს ჩემსას, ყველა ჯურის ადამიანთა მზერას ავიტან, რაკი ღვთის მზერისა არ შემეშინდება."

„ან ძალიან ვცდები, —თქვა შარლოტემ, — ანდა ის არის, რომ პანსიონში დაბრუნება გინდა“.

„დიახ, მიუგო ოტილიემ, —ამას ვერ უარვყოფ. ბედნიერთა ხვედრია სხვათა ჩვეულებრივი გზებით აღზრდა, როცა თვითონ უცნაურად ხარ აღზრდილი, განა ისტორიულადაც ასე არ მომხდარა, როცა ადამიანები დიდ-დიდ ძვრების შედეგად უდაბნოში იხიზნებოდნენ, იმედი ჰქონდათ, მისაქცეველს თუ ვიპოვნიდნენ. მერე კვლავ გამოუხმიათ ისინი საერთო ცხოვრებისაკენ მისაბრუნებლად, რათა ცთომილნი დაემოძღვრათ ჭეშმარიტების გზაზე დასადგომად. სწორედ მათ მოუწოდეს ბედკრულთ მხარში ამოსადგომად და განა ვის ძალუძდა უკეთ ამის კეთება, ვიდრე იმათ, რომლებიც უკვე ეზიარნენ ძიწიერი ცთომილების იდუმალებას“.

„შენ უჩვეულო გზას ირჩევ, — მიუგო შარლოტემ, — არ მინდა შეგეკამათო, აღსრულდეს ნება შენი, ოღონდ მგონია, რომ ეს დიდხანს არ გასტანს“.

„დიდად გმადლობთ, —თქვა ოტილიემ, — რომ ნებას მაძლევთ შევეცადო მივყვე ამ საქმეს, აქაც გამოვცადო თავი. თუკი პირფერობაში არ ჩამეთვლება, მგონი, ეს უნდა გამომთავიდეს. მახსენდება პანსიონის ხანა და იმდროინდელი უამრავი განსაცდელი, რა ცოტა და არაფრის მთქმელია ეს განსაცდელები იმასთან შედარებით, რისი გადატანაც შემდგომში მომიხდა. რა ლაღად მივადევნებ თვალს ნორჩ აღსაზრდელთა შეცბუნებას, ღიმილს მომგვრის მათი ბავშვური გასაჭირი და დინჯი მოფერებით ვიხსნი მათ გაურკვევლობისაგან. ბედის ნებიერი რიდი გაჩენილა მისებრ ბედის ნებიერთ უწინამძღვრის. ადამიანის ბუნებაა მით უფრო მეტი მოითხოვოს საკუთარი თავისა და სხვებისაგან, რაც უფრო მეტი აქვს მიღებული განგებისაგან, მხოლოდ სულიერი ძვრებისაგან განკურნებულ უბედურ ადამიანს ძალუძს თავის თავშიც და სხვებშიც განავითაროს იმის შეგნება, რომ საჭიროა გრძნობების გამოზოგება და სიკეთით ზომიერი ტკბობა“.

„ნება მომეცი — უთხრა ბოლოს შარლოტემ ძცირე ჩაფიქრების შემდეგ, — შენს ზრახვებთან დაკავშირებით ერთი შეკითხვა მოგცე, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია. საქმე შენ კი არ გეხება, არამედ სხვა პიროვნებას. შენ იცი იმ კეთილი,ჭკვიანი და სათნო მასწავლებლის გრძნობები შენდამი. იმ გზაზე დამდგარი, შენ რომ არჩიე, ყოველდღიურად გახდები მისთვის კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასი. მისი გრძნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისთვის ახლაც ძნელია უშენოდ სიცოცხლე და რა იქნება მერე, როცა უფრო მეიჩვევა შენს თანადგომასა და შემწეობას. დრო რომ გაივლის, სულ ვერ გაძლებს უშენოდ და თავს ვერ გაართმევს საქმეს. შენ იმას იზამ, რომ ჯერ მხარში ამოუდგები, მერე კი სატანჯველი გახდები მისთვის.“

„ბედის წყალობა მე არ მელირსა. თუ ვინმემ შემიყვარა, ჩემგან არც უნდა ელოდოს სამაგიეროს. მაგრამ მეგობარი იმზომ გაგებული და კეთილი კაცია, იმედი მაქვს თვითონაც წმინდა გრძნობა გაუჩნდება ჩემდამი. იგი ჩემში იხილავს მსხვერპლშეწირულ პიროვნებას, ვისაც ძალუძს საშინელი ბოროტება ააცდინოს თავის თავსაც და სხვასაც, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ იმ წმიდათაწმიდას უნდა შეწიროს თავი, ფარულად რომ გარს შემოგვხვევია, მხოლოდ ამას ძალუძს დაგვიფაროს მრისხანე და ავი ძალებისაგან“.

შარლოტე ღრმა ფიქრებში წავიდა ძვირფასი ბავშვის გულითად ნაუბარზე. იგი ყველანაირად, თუმცა უაღრესი სიფრთხილით შეეცადა შეეტყო, შესაძლებელი იყო თუ არა ოტილიეს სიახლოვე ედუარდთან, მაგრამ ყველაზე მცირედი მოგონება, ყველაზე მკრთალი იმედი, ოდნავი ეჭვიც კი, ეტყობა, სულის სიღრ-

მემდე აღელვებდა ოტილიეს. და ერთხელაც, როცა ამის თქმა გარდაუვალი იყო, შარლოტემ სრულიად გარკვევით უთხრა:

„თუკი შენი გადაწყვეტილება — უარი თქვა ედუარდზე — მტკიცეა და შეუცვლელი, მაშინ გეტყვი, რომ მის კვლავ ხილვას უნდა ერიდო. რაცა საკვარელი ადამიანისაგან შორსა ხარ, უკეთ იმორჩილებ საკუთარ თავს და მით უფრო ღრმავდება შენი გრძნობები მისადმი. ამ დროს ვნებები, ადრე რომ გარეგანი საფრთხეზე გამოგქონდა, შენს სულშივე მიიქცევა, მაგრამ რაოდენ სწრაფად, რაოდენ თვალის დახამხამებაში განიფარტება ჩვენი სიმტკიცე, როცა ხელახლა გამოგვეცხადება ადამიანი, ვის გარეშე ცხოვრებაც შესაძლებელი გვეგონა. ახლა კი აღსრულე ის, რაც დღევანდელ ვითარებაში აუცილებლად მიგაჩნია. შეამოწმე საკუთარი თავი: უმჯობესია, ახლავე შეცვალო შენი ახლანდელი განზრახვა, ვიდრე ბოლომდე არ მიჰყვე მას. მხოლოდ საკუთარ თავს დაენდე, ისე მოიქეცი, როგორც გული გიკარნახებს, არ დაუშვა, რომ მოულოდნელმა ამბებმა კვლავ ადრინდელ ყოფაში ჩაგაგდოს. მაშინ შენს სულში გაორება დაისადგურებს და ეს აუტანელი რამაა. როგორც უკვე გითხარი, ვიდრე ნაბიჯს გადადგამდე, ვიდრე ჩემგან წახვიდოდე და იმ ცხოვრებას დაიწყებდე, რომელიც, ღმერთმა იცის, რას გიმზადებს, ერთხელ კიდევ დაფიქრდი, შეგიძლია თუ არა საბოლოოდ უარი თქვა ედუარდზე. და თუკი ამას გადაწყვეტ, მაშინ სიტყვა მომეც, რომ არანაირი ურთიერთობა არ გექნება მასთან, თუნდაც საუბარი, კიდეც რომ მოგძებნოს, კიდეც რომ შესძლოს შენთან შეხვედრა“.

ოტილიე წუთითაც არ დაფიქრებულა, ისე აღუთქვა შარლოტეს თავისი გადაწყვეტილების შესრულება, თუმცა შარლოტეს მაინც აშინებდა ედუარდის მოქარა, რომ იგი ოტილიეზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იტყოდა უარს, თუ იგი შარლოტეს არ მოსცილდებოდა. მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო, ბევრი რამ შეიცვალა, იმდენი რამ მოხდა, რომ ეს სიტყვები, იმ წუთების შთაბეჭდილებებით გამოთქმული, ახლა იქნებ სულაც ჰკარგავდა მნიშვნელობას, მაგრამ შარლოტეს მაინც არაფრით არ უნდოდა რაიმე გადაწყვეტილების მიღება, მით უფრო რაიმე ნაბიჯის გადადგმა, რაც ედუარდს შეურაცხყოფდა. მიტლერს უნდა ეზრუნა საიმისოდ, რომ ედუარდის აზრი გაეგო ამის თაობაზე.

ბავშვის დაღუპვის შემდეგ მიტლერი ხშირად დადიოდა შარლოტესთან, თუმცა ხანგრძლივად არ რჩებოდა. ამ უბედურებამ ძლიერ იმოქმედა მიტლერზე. ცოლ-ქმრის შეერთება უკვე საკლებ რეალურად მიაჩნდა, მაგრამ თავისი ხასიათის წყალობით კვლავ იმედი და რწმენა გაუჩნდა, გულში ახარებდა ოტილიეს განზრახვა. მას სჯეროდა დროის მკურნალი ძალისა და ცოლ-ქმრის კვლავ ერთად შეყრაზე ოცნებობდა, ხოლო ვნებების ამ აფეთქებას ცოლქმრული სიყვარულისა და ერთგულების გამოცდად თვლიდა.

შარლოტემ, მას შემდეგ, რაც ოტილიემ თავისი განზრახვა გაანდო, დაუყოვნებლივ მისწერა მაიორს ამის შესახებ, დაჟინებით სთხოვდა, ედუარდზე ზემოქმედება მოახდინე, რომ ახალი ნაბიჯი არ გადადგას, თავი დინჯად დაიჭიროს, დაიცადოს, ეგებ კვლავ აღდგეს ამ მშვენერი ბავშვის სულიერი წონასწორობაო. შარლოტე მაიორს ატყობინებდა აგრეთვე მოგვიანებით მოსახდენ მოვლენებსა და განწყობილებებზეც, ატყობინებდა, რაც საჭირო იყო. ეჭვი არ არის, მიტლერს ეკისრებოდა მძიმე დავალება — ედუარდი მდგომარეობის შესაცვლელად შესაბამისად მოემზადებინა. მიტლერმა კარგად იცოდა, რომ ადამიანი ადვილად ეგუება უკვე მომხდარ ცვლილებას, ვიდრე აწ მოსახდენს. მან დაარწმუნა შარლოტე, რომ ყველაფერს აჯობებდა ოტილიეს დაუყოვნებლივ, ახლავე გაემგზავრება.

ამიტომ ვიდრე მიტლერი გზაში იყო, გასამგზავრებლად სამზადისს შეუდგნენ. ოტილიემ თავისი ბარგი ჩალაგა. შარლოტემ შეამჩნია, რომ იგი არ აპირებდა თან წაელო არც ზარდახშა, არც მასში ჩაწყობილი ნივთები. ამაზე შარლოტეს არაფერი უთქვამს, სჯობს გოგონა თავის ნებაზე მიუშვა და ის გააკეთოს, რაც უნდათ. დადგა გამგზავრების დღე. შარლოტეს [illegible] ოტილიე პირველ დღეს ნაცნობ სასტუმროში უნდა მიეყვანა, მეორე დღეს კი — ზანსიონში. ნანი თან ახლდა თავის ქალბატონს მოახლედ. ფიცხი გოგონა ბავშვის სიკვდილის შემდეგ დაუბრუნდა ოტილიეს და ძველებურად სულითა და გულით შეეთვისა მას. იგი საუბრებით ირთობდა ძვირფას ქალბატონს და ცდილობდა მოამზადარი უბედურებით გამოწვეული მწუხარება შეემსუბუქებინა. გოგონა მთლად გადაეგო ოტილიეს. ბედნიერებისაგან ფრთამესხმული იყო, რომ მასთან ერთად მიემგზავრებოდა, უხაროდა ახალი ადგილების ნახვა, იგი ხომ ერთხელაც არ გასცილებია თავის მშობლიურ კუთხეს. ნანი სწრაფად გაიქცა სახახლიდან სოფელში, რომ მშობლებისა და ნათესავებისთვის გაეზიარებინა თავისი სიხარული და გამოემშვიდობებოდა მათ. მაგრამ, საუბედუროდ, იქ წითელათი დაავადებულებს შეეყარა და თავადაც ავად გახდა. გამგზავრების გადადება კი არ შეიძლებოდა. თვითონ ოტილიემ დაიჟინა ეს. იგი უკვე ნამოგზაურები იყო ამ გზაზე, იცნობდა იმ სასტუმროს პატრონებს, სადაც უნდა გაჩერებულიყო. ოტილიე სახახლის მეეტლეს უნდა მიეყვანა სასტუმროამდე და საშიშიც არაფერი ჩანდა.

შარლოტესაც არ უთქვამს უარი, გულში მასაც ეჩქარებოდა ოტილიეს ამ ადგილებიდან გაცლა, უნდოდა ედუარდისთვის მოემზადებინა სახახლის ის ოთახი, სადაც ოტილიე ცხოვრობდა, ისე მოეწყო იგი, როგორც ადრე, კაპიტნის ჩამოსვლამდე იყო. იმედი იმისა, რომ ძველი ბედნიერება კვლავ დაბრუნდება, მუდამ ანთია ადამიანის გულში და შარლოტესაც ჰქონდა ამის უფლება, რადგან თვითონ გარემოება აძლევდა ამ იმედის საბაბს.

თავი მეთექვსმეტე

როცა მიტლერი მოსალაპარაკებლად მივიდა ედუარდთან, იგი მარტო დახვდა, თავი ხელებში ჩაერგო.

„ისევ გაწუხებს თავის ტკივილი?“ — ჰკითხა მიტლერმა.

„მაწუხებს, — მიუგო მან, — ოღონდ არ მძულს ეს ტკივილი და არც შეიძლება მძულდეს, რადგან იგი ოტილიეს მაგონებს. ვინ იცის, ახლა ისიც იტანჯება, თავით მარცხენა ხელს დაჭყრდნობია და იტანჯება, ვინძლო ჩემზე მეტადაც. რატომ მასავით არ უნდა ავიტანო ეს ტკივილი, იგი ჩემთვის წამალია, უფრო მეტსაც ეიტყვი, სასურველი წამალია, რადგან სხვა უპირატესობებთან ერთად ნათლად და ცხოვლად ტრიალებს ჩემ თვალწინ მისი ყოვლის მომთმენი სული. მხოლოდ ტანჯვით შევიცნობთ, როგორც ჯერ არს, იმ დიდებულ თვისებებს, თმენას რომ აუცილებელს ხდის“.

როცა მიტლერმა მეგობარი ასე განწირული ეხილა, არ დაუყოვნებია თავისი დავალების შესრულება და თანდათან ისტორიული თანმიმდევრულობით ჩამოაყალიბა საოქმელი, დაიწყო იქიდან, როგორ გაუჩნდათ ქალებს ეს ზრახვა და როგორ იქცა იგი აზრი ნელ-ნელა მტკიცე განზრახვად. ედუარდმა თავიდან ბო-

ლომდე მოუსმინა მიტლერს, მაგრამ არა უთქვამს რა, ორიოდე სიტყვა კი წამოისროლა, მაგრამ ამან ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, თითქოს ის ყველაფრის განსჯასა და აღსრულებას მეგობრებს ანდობდა, ვითომ თავის ტკივილით ისე იყო გაბეზრებული, სხვა რამის მიმართ გულგრილი რჩებოდა.

მაგრამ როგორც კი მარტო დარჩა, უმალ ფეხზე წამოიჭრა და ოთახში ბოლთას ცემას მოჰყვა, ტკივილს უკვე აღარ გრძნობდა. სულ სხვა ფიქრებმა ფიცვა, თავისი თავი მიავიწყდა, სხვაზე გადაიტანა გულისყური. ჯერაც იმ წუთში, როცა მიტლერი უამბობდა, მის წარმოსახვაში სატრფოს ხატებამ გაიელვა. აი, იგი ხედავს ოტილიეს მარტოს, იქნებ არც მარტოს, მაგრამ ეს სულერთია, ხედავს მისთვის კარგად ნაცნობ ქუჩას, ნაცნობ სასტუმროს, რომლის ოთახებშიც ხშირად ყოფილა. იგი ფიქრობს, აზრებს აწყობს, ანდა იქნებ არც ფიქრობს და არც აზრებს აწყობს. მას სურს, სწადია მისი ხილვა, მასთან დალაპარაკება უნდა. რატომ? რისთვის? რა შეიძლება აქედან გამოვიდეს? ამაზე არც უფიქრია. წინააღმდეგობა არ გაუწევია, ისე მიჰყვა მოვლენათა მსვლელობას.

თავისი ზრახვები კამერდინერს გაანდო. ამანაც დაუყოვნებლივ გაუგო ოტილიეს გამგზავრების დღე და საათი. როგორც კი ირიჟრაჟა, ედუარდმა არ დაახანა და ვისიმე თანუხლებლად მარტო მიადგა ცხენით სასტუმროს, სადაც ოტილიეს დამე უნდა გაეთია, იგი დროზე ადრე მივიდა დანიშნულ ადგილას. სასტუმროს დიასახლისს გაუკვირდა მისი მოულოდნელი ჩამოსვლა, მაგრამ სიხარულით კი შეეგება. მის ოჯახს ედუარდმა დიდი სიხარული მოუტანა. სწორედ ედუარდმა მოუპოვა წარჩინების ნიშანი მის ჯარისკაც ვაჟიშვილს, რომელმაც ბრძოლაში დიდი სიმამაცე გამოიჩინა. ედუარდმა ცნობილი გახადა ახალგაზრდის გმირობა, რომლის ერთადერთი მოწმე თვითონ იყო და ამის შესახებ უშუალოდ აცნობა სარდალს, გადალახა რა ის წინააღმდეგობა, რომელსაც ზოგიერთი არაკეთილმოსურნე ქმნიდა. ქალმა არ იცოდა, რითი გადაეხადა სამაგიერო. მან სწრაფად, რამდენადაც ეს შეიძლებოდა, დაალაგა მისი ტუალეტის ოთახი, რომელშიც გარდერობი და საკუჭნაოც იყო მოთავსებული. ედუარმა ამცნო, რომ ჩამოვა ერთი ქალი, ვინც აქ იცხოვრებს და სთხოვა იმ ოთახთან ახლოს მოეწყო მისი სადგომიც, რომელიც დერეფანში გავიდოდა. სასტუმროს დიასახლისს ყოველივე ეს საიდუმლოდ აუწყა, ქალს კი ეს დიდად ეამა, იქნებ ჩემს მწყალობელს რაიმეში სამსახური გავუწიოო. იგი ფრიად დაინტერესდა, იქამდე, რომ თვითონვე მიიღო ცხოველი მონაწილეობა ოთახების მოწყობაში.

გულის კანკალით გაატარა ედუარდმა მთელი დღე დაღამებამდე, დრო ზლაზვნით მიდიოდა. მან დაათვალიერა ოთახი, სადაც ოტილიე უნდა ენახა. ეს ოთახი, უჩვეულო სისადავის მიუხედავად, ედემის ბაღად ესახებოდა. რა არ იფიქრა, — მოულოდნელად მიეჭრა თუ უკეთესია წინასწარ გავაფრთხილოთ, ბოლოს უკანასკნელმა აზრმა აჯობა პირველს. დაჯდა და წერილი დაწერა. ეს ბარათი ოტილიეს უნდა წაეკითხა.

ედუარდი ოტილიეს.

„ამ წერილს როცა წაიკითხავ, ძვირფასო, შენთან ახლოს ვიქნები, ნუ შეგეშინდება, ნურც შეშფოთდები, ჩემი აბა რად უნდა შეგეშინდეს, ძალით არ შემოგეჭრები. იმაზე ადრე არ გნახავ, ვიდრე შენ თვითონ ამის ნებას არ დამრთავ.

მაგრამ ჯერ კარგად დაფიქრდი ჩემსა და შენს ყოფაზე. მაღლობელი ვარ,

რომ ჯერაც არ გადაგიდგამს გადამწყვეტი ნაბიჯი. მაგრამ რაც განგიზრახავს, ესეც ბევრია და ნუ გააკეთებ ამას. აქ, ამ განსაკუთრებულ გზაჯვარედინთან ერთხელ კიდევ დაფიქრდი, გინდა თუ არა ჩემი გახდე, შეგიძლია კი ეხვ ამით ყველას დიდ სიკეთეს მიაგებ, მე კი განუზომლად დიდს. ნება მომეცი, კვლავ გიხილო. სიხარული მოგიტანოს ჩემმა კვლავ ხილვამ. ნება მომეცი [illegible] შეგეკითხო და შენც ტკბილადვე მიპასუხო. მომეკარ მკერდზე, [illegible] ხომ არაერთხელ გიპოვნია სიმშვიდე იქ და ეს მკერდი სამარადისოდ შენი სასუფეველი იქნება".

ვიდრე წერდა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ნანატრი ოცნება საცაა ხორცს შეისხამს და ეს-ესაა სინამდვილედ იქცევაო. აი, ამ კარებით შემოვა იგი და გამომეცხადება, როგორც წინათ ყოფილა. იქნება თუ არა ისეთი, აღრე რომ იყო. ხომ არ შეცვლილა მისი სახე და განწყობილებები, აი, კვლავ ხელთ უპყრია კალამი და ხაფიქრის ქაღალდზე გადატანას ლამობს. და უცებ ეზოში კარეტა შემოვიდა. მერე წერილს აჩქარებით მიაწერა: „მე გავიგონე, როგორ ჩამოხვედი. ერთი წუთით გემშვიდობები".

მან კონვერტში ჩადო წერილი, ზედ წააწერა, დალუქვა კი ვეღარ მოასწრო. იგი ოთახში შევარდა, იქიდან დერეფანში გასასვლელი იყო, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ბაგიდაზე საათი დარჩა. ასე მოულოდნელად ოტილიემ არ უნდა შემოუსწროს. იგი კვლავ ოთახში შევარდა, საათის აღება კი მოასწრო, მაგრამ წინკარიდან უკვე გაისმა სასტუმროს დიასახლისის ფეხის ხმა. იგი შემოდის, რათა ჩამოსულ სტუმარს ოთახში შეუძღვეს. ედუარდი გაეშურა წინკარისაკენ, რომელიც ჯახუნით ბიჭუნა. გასაღები ბიძგმა ძირს დააგდო, შიგნით კარს უკან, ბოქლომი ჩაიკეტა და ედუარდი ერთ ადგილზე გაშტერებული დარჩა. მან ძლიერად მიარტყა კარს ხელი, მაგრამ კარი არ გაიღო. ო, როგორ უნდოდა უხილავი სულივით კარის ღრიჭოში შეძრომა. მაგრამ ამაოდ: სახე კარის ამყოლში ჩამალა. ოთახში ოტილიე შემოვიდა. სასტუმროს დიასახლისი უმალ გაბრუნდა, როგორც კი ედუარდი დაინახა, ახლა ედუარდს აღარ შეეძლო დამალვოდა ოტილიეს. იგი მისკენ მოდიოდა. და აი, შეყვარებულები კვლავ ასე მოულოდნელად და უცნაურად აღმოჩნდნენ ერთმანეთის პირისპირ. ოტილიე მშვიდად და გულდინჯად უცქეროდა მას, არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს არც წინ, არც უკან. როცა ედუარდმა დააპირა მიახლოება, მაგიდისკენ გადადგა ორიოდ ნაბიჯი. ედუარდმა უკან დაიხია.

„ოტილიე — მაშინ კი შესძახა ედუარდმა, — ნება მომეცი დავარღვიო ეს საშინელი დუმილი! ერთმანეთის პირისპირ მდგარი ჩრდილები ვართ თუ რა? ჯერ მომისმინე. აქ შემთხვევათ მოგისწარ. შენ წინ მაგიდაზე წერილი დევს, ამ წერილს ჩემთან შესახვედრად უნდა შეეშზადებინე. გთხოვ, წაიკითხო იგი. და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტე, რაც ძალგიძს".

ოტილიემ შეხედა წერილს და მცირე ხანს დაფიქრდა, მერე აიღო იგი, გახსნა და წაიკითხა. ვიდრე კითხულობდა, სახის გამომეტყველება არ შეცვლია. მერე წყნარად დადო წერილი მაგიდაზე, ხელები აღაპყრო, იდაყვი წინ წამოსწია, მკერდთან მიიტანა, ოდნავ წინ დაიხარა და ედუარდს ისე შეხედა, რომ იმას აღარ შეეძლო უარი ეთქვა, არ შეესრულებინა მისი თხოვნა, მისი სურვილი. ამ უსაყვარლესმა ხელის მოძრაობამ ედუარდს ლამის გული გაუპო. ედუარდმა ვერ გაუძლო ოტილიეს სახის გამომეტყველებასა და პოზას. ალბათ მუხლებზეც დაეცემა, თუ ედუარდი თავის თხოვნას დაიჟინებს. სასოწარკვეთილი

ედუარდი ოთახიდან გავარდა, ოტილიესთან კი სასტუმრის დიასახლისი გამოგზავნა, მარტო რომ არ დაეტოვებინა.

იგი წინკარში ბოლთასა სცემდა. დალამდა. ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. დიასახლისმა, როგორც იქნა, ძირს დავარდნილი გასაღები იპოვნა. კეთილი ქალი შესძრა და ააღელვა ამ სურათმა, არ იცოდა, რა ელონა, წასვლისას ედუარდს გასაღები მიაწოდა, მაგრამ ედუარდმა უარი უთხრა, ქალმა სანთელი დატოვა, თონ კი იქაურობას გაეცალა.

ღრმად დამწუხრებული ედუარდი ოტილიეს ოთახის ზღურბლთან ახლოს განერთხა და ცრემლებით მორწყა იგი. არა მგონია, შეყვარებულებს ოდესმე ასეთი მწარე დამე გაეტარებინოთ ერთმანეთის სიახლოვეს.

ირიჟრაჟა. მეეტლე წასვლას ჩქარობდა. დიასახლისმა ოთახი გააღო და შეეიდა. ოტილიეს ეძინა. არ გაუღვიძებია. ქალს ჩაცმულს ჩასძინებოდა, უკან გაბრუნდა, ედუარდს თავი დაუკრა და თანაგრძნობით გაუღიმა. დიასახლისმა ვერ გაბედა მძინარე ქალიშვილის გაღვიძება. მხოლოდ წინ დაუდგა და ელოდებოდა. ბოლოს ოტილიემ გაახილა თავისი მშვენიერი თვალები და საწოლიდან წამოდგა. საუზმეზე უარი თქვა. ამ დროს მასთან შეეიდა ედუარდი. იგი შეეეფერა ერთი სიტყვა მაინც მითხარი, მამცნე შენი ნება-სურვილიო. ეფიცებოდა, ყველაფერს დაგიჯერებ და დაგემორჩილებიო. მაგრამ ოტილიე დუმდა. ედუარდი სიყვარულითა და ჩაცოებით ეკითხებოდა, ვინდა თუ არა ჩემი გახდეო. ჰოი, რა მიმზიდველად დაჩარა ოტილიემ ძირს თვალები და ისე გადააქნია თავი უარის ნიშნად. ჰკითხა პანსიონში თუ ვინდა წასვლაო, ოტილიემ გულგრილად მიანიშნა — არაო. მერე ედუარდმა ჰკითხა, შარლოტესთან ხომ არ წაგიყვანოთ. ოტილიემ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. ედუარდი ფანჯარასთან მივიდა, რომ მეეტლესთვის ბრძანება მიეცა. ოტილიე უკან მიჰყვა, მერე ელვისებური სისწრაფით ოთახიდან გავარდა, კიბეზე დაეშვა და კარეტაში ჩაჯდა. მეეტლემ სასახლისკენ წაიყვანა ოტილიე. იქვე, შორიახლო კი კარეტას ცხენით მიჰყვებოდა ედუარდი.

თავი მეჩვიდმეტე

რა ძლიერ გაოცდა შარლოტე, როცა სასახლის ეზოში კარეტით შემოსული ოტილიე და იქვე ცხენზე ამხედრებული ედუარდი დაინახა. იგი ჩქარი ნაბიჯებით გაემართა ზღურბლისაკენ. ოტილიე კარეტიდან გადმოვიდა და ედუარდთან ერთად მიუახლოვდა შარლოტეს. გზნებითა და ძალუმად ჩაავლო ხელი ორივე ცოლ-ქმარს და ერთმანეთს მიუახლოვა. მერე კი თავისი ოთახისაკენ გაიქცა. ედუარდი ყელზე შემოეხვია შარლოტეს და ცრემლები წასკდა. მას არ შეეძლო აეხსნა ეს ყველაფერი, მხოლოდ იხოვა, მომთმენი ყოფილიყო ოტილიეს მიმართ. დახმარებოდა მას, ეზრუნა მასზე. შარლოტე სასწრაფოდ ოტილიეს ოთახში შეეიდა და იქაურობამ შეაძრწუნა, ოთახიდან ყველაფერი გაეტანათ, მხოლოდ ზარდახში დაეტოვებინათ ოთახის შუაგულში, რადგან მისი ადგილი ვერ ეპოვნათ. ოტილიე იატაკზე იწვა, თავი კი ზარდახშაზე დაედო. შარლოტე თავზე დაადგა. ეკითხება, რა მოხდაო, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

შარლოტემ ოტილიესთან დასტოვა თავისი მოახლე, რომელმაც საუზმე შემოიტანა, თვითონ კი ედუარდთან გაეჩქარა, რომელიც დარბაზში დახვდა, მაგრამ ვერც ედუარდისაგან გაიგო რაიმე, ედუარდი მუხლებზე დაეცა ცოლის წინაშე,

ხელები ცრემლებით დაუსველა, მერე კი თავის ოთახში გაიქცა. შარლოტე გაეგზავნა ქმარს, გზად კამერდინერს გადააწყდა, რომელმაც აცნობა რაც იცოდა. სხვა დანარჩენს კი შარლოტე გუმანით მიხვდა და უმალ შეუდგა საქმეს, რაც კი ამ წუთში იყო საჭირო. ოტილიეს ოთახი უმოკლეს ხანში კვლავ ძველებურად მოაწყვეს, ედუარდს თავისი ადგილსამყოფელი ხელუხლებელი დახვდა, ისეთივე როგორც დატოვა, ქალაქიდან უკანასკნელი ნაგლეჯიც კი შეუნახავთ.

და აი, სამივენი კვლავ ერთ ჭერქვეშ არიან, მხოლოდ ოტილიე განაგრძობს ლუმილს, ედუარდს კი მხოლოდ ის ძალუძს, რომ ცოლს მოთმინების შენარჩუნება სთხოვოს თვითონ კი, ეტყობა, მოთმინებამ ჭელალატა. შარლოტემ შიკრიკი გაუგზავნა მიტლერს და მაიორს. მიტლერი არ ჩამოსულა. სამაგიეროდ მაიორი ეწვიათ. ედუარდმა გული გადაუშალა მეგობარს, არაფერი დაუმალავს. ასე შეიტყო შარლოტემ, რაც მოხდა. მომხდარმა უცნაურად შეცვალა მეგობრების ყოფა, ყველას სული აუფორიაქა.

შარლოტე უტკბილესი განცდით ესაუბრა ქმარს, მხოლოდ ის სთხოვა, ოტილიეს ამჟამად სიმშვიდე არ დაურღვიოთ. ედუარდი გრძნობდა, რა ღირსეული, მოყვარული და კეთილგონიერი იყო მისი ცოლი. მაგრამ ვნება მთელი არსებით დაუფლებოდა. შარლოტემ ანუგეშა, გაყრაზე თანახმა ვარო. ედუარდმა არ დაუჯერა. მას ადარც იმედი გააჩნდა, ადარც რწმენა. მან დაუჟინა შარლოტეს — მაიორს ალუთქვი, შენს ცოლობაზე თანახმა ვარო. ედუარდი გიჟს დაემსგავსა; შარლოტე მზადაა ყველაფერი შეუსრულოს, რასაც ქმარი ისურვებს, ოღონდ დამშვიდდეს, ოღონდაც ყოფა შეუმსუბუქდეს. მან უთხრა მაიორს, ცოლად გამოგყვები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ედუარდი ოტილიეზე იქორწინებს, ხოლო მანამდე კი ორივე მამაკაცი სამოგზაუროდ ერთად წახვალთო. მაიორს მიეღო კიდეც სამეფო კარზე დავალება საზღვარგარეთის ქვეყნებში. ედუარდი დაპირდა მაიორს, შენთან ერთად მეც წამოვალო. საბჭადისს შეუდგნენ და ყველა ცოტათი დამშვიდდა, რადგან რალაც მაინც კეთდებოდა.

ამასობაში კი ყველამ შეამჩნია, რომ ოტილიე არც ჭამს და არც სვამს და ძველებურად ჯიუტად დუმს. დარწმუნების გზით შეეცადნენ ზეგავლენა მოეხდინათ. მაგრამ ოტილიე ამან ისეთ სატანჯველში ჩააგდო, რომ თავი გაანებეს. მეტწილად ხომ ყველას გვახასიათებს ამნაირი სისუსტე: ადამიანის ტანჯვას იმიტომაც არ ვისურვებთ, რომ უბრალოდ სიკეთე გვინდა მისთვის. შარლოტემ რა გზას არ მიმართა და ბოლოს ისღა მოიფიქრა, რომ პანსიონიდან თანაშემწის მოწვევა განიზრახა. როცა თანაშემწემ გაიგო, ოტილიე არ ჩამოვაო, თანაგრძნობის გამომხატველი წერილი მისწერა მას, მაგრამ წერილს ოტილიემ არ უპასუხა.

თანაშემწის მოულოდნელ ჩამოსვლას ოტილიე რომ არ შეეშფოთებინა, ამის შესახებ მასთან მოურიდებლად ლაპარაკობდნენ. ოტილიეს, ეტყობა, არ უნდოდა თანაშემწის ჩამოსვლა და საგორებელში ჩავარდა. ბოლოს, როგორც ჩანს, თავში რალაც გადაწყვეტილება მოუმწიფდა. იგი გაეჩქარა თავისი ოთახისაკენ და იქიდან საღამოთი შეკრებილებს ასეთი ბარათი გამოუგზავნა:

ოტილიე მეგობრებს

„რად გინდათ, ჩემო ძვირფასებო, ხმამაღლა წარმოვთქვა, რაც ისედაც გასაგებია. მე ჩემი გზა დავკარგე და ხელახლა მის ძებნას ადარ დავიწყებ. ბორო-

ტი დემონი, ვისაც ასეთი ძალით დავუპყრივარ, თითქოსდა ჩემ გარეშე არსებობსო, საშველს არ მაძლევს, გულმაც რომ დასტური მომცეს, მაინც.

ჩემი განზრახვა, უარი მეთქვა ედუარდზე, განვშორებოდი მას, საესებით წრფელი იყო. იმედი მქონდა, აღარ შევხვდებოდი, მაგრამ სულ სხვანაირად მოხდა. იგი თავისდაუნებურად გამომეცხადა. ჩემი აღთქმა — არანაირი საუბარი არ გამება მასთან, იქნებ ზედმიწევნით ზუსტად კი გამოგიცადა. მაგრამ იმ ჯანად გრძნობისა და სინდისის წუთიერი კარნახით დუმილი ვარჩიე, და მეც დავდუმდი. უტყვი ვიყავი მეგობრის იქ ყოფნისას და ახლა არაფრით არ ძალმიძს ხმის ამოღება. მკაცრი მონაზვნური აღთქმა, ეგზომ მძიმე და გამტანჯველი იმ ადამიანისათვის, ვინც ამას წინასწარგანზრახულად იქმს, მე სრულიად შემოხვევით, გრძნობაშეძრულმა დავდე. ნება მომეცით, დავიცვა ეს დუმილი მანამდე, ვიდრე ამის უფლებას გული მომცემს. არ ვინდათ შუამავალი, ნუ დამიჟინებთ ხმა ამოვიღო, ვჭამო და ვსვა იმაზე მეტი, ვიდრე ეს აუცილებელია. მომეხმარეთ თქვენი შემწყნარებლობით, თქვენი მოთმინებით, განვლო ეს ჟამი. მე ახალგაზრდა ვარ და ახალგაზრდას განკურნება ზოგჯერ მოულოდნელად ეწვევა ხოლმე. მოითმინეთ ჩემი არსებობა თქვენ გვერდით, გამახარეთ თქვენი სიყვარულით, განმანათლეთ თქვენი საუბრებით, ხოლო სული ჩემი მე მოვიგებეთ".

მეგობარი მამაკაცების მოგზაურობა, რისთვისაც ისინი ასე დიდხანს ემზადებოდნენ, არ შედგა, რადგან მაიორის საჩქარგარეთული დავალება ხვა დროისათვის დანიშნეს, ხოლო ეს გადავადება დიდად სასურველი იყო ედუარდისათვის. იგი კვლავ აღაგზნო ოტილიეს წერილმა. კვლავ გაახარა მისმა იმედიანმა, ხუგეშის მომცემმა სიტყვებმა და მტკიცედ განიზრახა რა დალოდებოდა მას, მოულოდნელად განაცხადა, რომ იგი არ გაემგზავრება.

„რა სასულელია! ეს ხომ იმას ნიშნავს, წინასწარგანზრახულად და ნაჩქარევად განაგდო ყველაზე შეულეველი და ყველაზე სანუკვარი, რისი შენარჩუნებაც ჯერ კიდევ შეიძლება, თუმცა მისი დაკარგვის საფრთხე კი გეშუქრება. მაგრამ რად გინდა ეს? ალბათ იმიტომ, რომ ადამიანს უყვარს თავი მოგაჩვენოს, თითქოს იგი სურვილებსა და არჩევანში თავისუფალია. ბრიყვული ამპარტავნობით შეპყრობილს რა ხშირად დამიჩქარებია ჩემი გამგზავრება რამდენიმე საათით ადრე, რამდენიმე დღითაც, მეგობრებსაც ადრე გავყრილვარ, ოღონდ დამოკიდებული არ ვყოფილიყავი ბოლო ზღვარზე. მაგრამ ამჯერად მე არ წავალ! ანდა რატომ უნდა წავიდე? განა იგი ისედაც შორს არ არის ჩემგან? მე ფიქრადაც არ მომივა, ხელიო შევეხო მას, მკერდზე მივიკრა. ვერც კი გავბედავ ამას, ამის გაფიქრებაც კი მაშინებს, იგი ჩემგან არ წასულა, იგი ჩემზე ამაღლდა".

და ედუარდი დარჩა, მას ეს უნდოდა, სხვაგვარად არ შეეძლო. მართლაც არაფერი შეედრებოდა იმ ტკბილ გრძნობას, რასაც იგი ოტილიეს სიახლოვეს განიცდიდა. იგივე გრძნობა დაუფლებოდა ოტილიესაც. ისიც ვერ დახსნოდა ამ ნეტარ განცდას. ისინი ძველებურადვე ზემოქმედებდნენ ერთმანეთზე აუწერელი, ლამის მაგიურად მიმზიდველი ძალით. ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ და ხშირად, უფიქრელად, სხვა გარეშე რამეებით გარემოს მოწყვეტილნი, მუდამ ერთმანეთით სუნთქავდნენ. თუკი ერთსა და იმავე დარბაზში მოხვდებოდნენ, ჩუმად გვერდი-გვერდ ისხდნენ ან იდგნენ. მხოლოდ ერთმანეთთან უშუალო სიახლოვე ანიჭებდა მათ სრულ სიმშვიდეს და ეს სიახლოვე იყო ყველაფერი. ამაზე მეტი არა უნდოდათ რა. რა საჭიროა შეხედვა, სიტყვის თქმა, სახის გამომეტყველება, შეხება, მხოლოდ ერთი რამეა უმთავრესი — ერთად ყოფნა. აი, როცა ერთად არიან, ორ ადამიანად კი არ გრძნობენ თავს, არამედ ერთ არსებად, გაუ-

ცნობიერებელ სრულქმნილ ნეტარებას განიცდიან, გულსავსენი არიან თავისი თავით და მთელი სამყაროთი. თუკი ერთი მათგანი სახლის ერთ კუთხეში დაყოვნდება, მეორე როგორღაც თავისთავად ნელი-ნელ აღწევს მოახლოებას. ცხოვრება მათთვის იმ გამოცანად იქცა, რომლის ამოხსნას მხოლოდ ერთად ყოფნით აღწევენ.

ოტილიე სავსებით მხიარული და მშვიდი გახდა, ასე რომ მასზე ჯავრი აღარც უნდა გქონოდა. იგი იშვიათად შორდებოდა მეგობართა საკრებულოს, მხოლოდ იმას ითხოვდა, განმარტოებით ეჭამა. ნანის გარდა არც არავინ ემსახურებოდა.

ის, რაც ჩვეულებრივ ყველა ადამიანის თავსაა, იმაზე ხშირად მეორდება, ვიდრე ეს ჰგონიათ, და ამის ყველაზე სანდო განმსაზღვრელი მისი ბუნებაა. ხასიათი, ინდივიდუალობა, მიდრეკილება, მიმართულება, აღგილ-გარემო, ჩვეულებები მთლიანობას ქმნიან და ამ მთლიანობით ყველა სულდგმული თავის სტიქიაში ექცევა, ეს კი სიამესა და სიმშვიდეს ანიჭებს მას და მრავალი წლის შემდეგ ჩვენდა გასაოცრად შეუცვლელს ვხედავთ იმ ადამიანებს, რომელთა შეცვლა-გადასხვაფერების შესახებ ასე ბევრს ჩივიან და ელმოვაჩენთ, რომ ისინი შეუცვლელნი დარჩნენ გარეგანი თუ შინაგანი უსასრულო ზემოქმედების მიუხედავად. ასევე ჩვენი მეგობრების ყოველდღიურ ერთად ცხოვრებაში თითქოს ყველაფერი ადრინდელი ყალიბით წარიმართა. ოტილიეც ძველებურადვე ავლენდა თავის წინდახედულებას, თუმცა დუმილს კი იცავდა, მაგრამ ცდილობდა რაიმე საამო ეკეთებინა. ძველებურადვე იქცეოდნენ დანარჩენებიც. ისე რომ, ოჯახური წრე თითქოს ძველებური ცხოვრებით ცხოვრობდა და ეს მოჩვენებითობაც, ვითომც ყველაფერი შეუცველელი დარჩა, მისატევებელი იყო.

შემოდგომის დღეები, თავისი ხანგრძლივობით გაზაფხულისას რომ ედარებიან, მეგობრებს აიძულებდა იმავე საათებში დაბრუნებულიყვნენ შინ სეირნობიდან, როგორც გაზაფხულზე ხდებოდა ხოლმე. ხეხილი და ყვავილები, წელიწადის ამ დროს რომ ჰშვენოდა, კაცს გაფიქრებინებდა, თითქოს ეს იყო შემოდგომა იმ პირველი გაზაფხულისა, თითქოს დავიწყებას მიეცა ჟამი, რამაც დღემდე განვლო დღე გასავლელი. ხომ ის ყვავილები ხარობდნენ ახლა, მაშინ რომ დარგეს? ხომ ის ხეხილი მწიფობდა, იმ დროს რომ ჰყვაოდა?

დროდადრო მოდიოდა მაიორი. ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე მიტლერიც. მეგობრები თითქმის ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ, ედუარდი ჩვეულებისამებრ კითხულობდა. კითხულობდა უფრო მეტი გატაცებით, უფრო მეტი გრძნობით, უფრო დიდი სრულყოფით, და თუ გნებავთ, უფრო დიდი სიცხოველითაც, ვიდრე ოდესმე. თითქოსდა თავისი ნეტარი გრძნობით ლამობდა სიცოცხლე ჩაედგა ქეადქცეული ოტილიესათვის, აეხსნა მისი დუმილი. ადრინდელივით ისეთნაირად ჯდებოდა, რომ ოტილიეს წიგნში ჩაეხედა, ხოლო მოუსვენარი და მშფოთვარე ხდებოდა, თუ ოტილიე წიგნში არ იცქირებოდა, თუ დარწმუნებული არ იყო, რომ მის მიერ წაკითხულ სიტყვებს სატრფო თვალს ადევნებდა.

გარდასული დროის მძიმე და სევდიანი შეგრძნებები გაქარწყლდა. ყველა ყველას იტანდა. გაქრა ყველანაირი მწუხარება და გაღიზიანება. მაიორი აკომპანიმენტს უწევდა შარლოტეს ფორტეპიანოზე, ხოლო ედუარდის ფლეიტა ძველებურადვე ჰარმონიულად ერწყმოდა ოტილიეს სიმებიან საკრავს. ახლოვდებოდა ედუარდის დაბადების დღე, რომლის საზეიმოდ გადახდა გასულ წელს არ შედგა, ამჯერად იგი ზეიმის გარეშე უნდა გადაეხადათ, წყნარად და უბრალოდ, ვიწრო მეგობრულ გარემოცვაში. ასეთი იყო ნაწილობრივ ხმამაღლა ნათქვამი, ნაწი-

ლობრივ სიტყვის უთქმელი შეთანხმება. რაც უფრო ახლოვდებოდა ეს დღე, მით უფრო მატულობდა ოტილიეს სულში სადღესასწაულო განწყობილება. ეს უფრო იგრძნობოდა, ვიდრე შეიმჩნეოდა. ბაღში თავს დასტრიალებდა ყვავილებს, შებალეს ხელით ანიშნებდა, ამ გაზაფხულის მცენარეებს კარგად მოუარეო, მეტადრე დიდხანს ყოვნდებოდა ასტრებთან, რომლებიც წლეულს უჩვეულო სიუხვით ჰყვაოდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი ექვსმეტე

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მეგობრები მშვიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალს, ის იყო, რომ ოტილიემ პირველად გახსნა თავისი ზარდახშა, საიდანაც რაღაცეები გადაალაგა, ქსოვილს კი იმდენი ჩამოაჭრა, რამდენიც, ერთი, მაგრამ სრულყოფილი და მთლიანი ჩასაცმელის შეკერვას ეყოფოდა, ხოლო დანარჩენი ნივთების შეკვრა და კვლავ ზარდახშის შენახვა ნანის დახმარებითაც გაუჭირდა, ისე პირთამდე იყო სკივრი სავსე. თუმცა გარკვეული ნაწილი კი ამოიღო.

ხარბი გოგო ვერ გაძღა ნაირ-ნაირი ნივთების ცქერით, მით უფრო იმიტომაც, რომ ჩაცმა-გამოწყობისათვის აუცილებელი ათასი წვრილმანიც იპოვა. ფეხსაცმელები, წინდები, ლეკვერთხები, ხელთათმანები და სხვა მისთანები. რაიმეს ხომ არ მაჩუქებო, სთხოვა ოტილიეს, რომელმაც თხოვნაზე უარი უთხრა. მაგრამ წამსვე იქვე კომოდის უჯრა გამოიღო და გოგონას საჩუქრად სხვა რამეები შესთავაზა. იმანაც არ დააყოვნა, აჩქარებით და უგერგილოდ დასტაცა ხელი ნივთებს და ნადავლით უკანმოუხედავად მოპკურცხლა, უნდოდა ოჯახის წევრებისთვის ეჩვენებინა საჩუქრები და თავისი ბედნიერება მათთვისაც გაეზიარებინა.

ბოლოს და ბოლოს ოტილიემ ყველაფერი მიალაგ-მოალაგა. მერე კი ფერში გადაბალული ყუთი მოიძებნა და გახსნა. ამ ყუთში ნახა ედუარდის წერილები ნაგლეჯ ფულცლებზე, უწინდელი სეირნობების სამახსოვროდ შენახული გამხმარი ყვავილები, სატრფოს თმის კულული და სხვა მისთანები. ამას კიდევ მამის სურათიც დაუმატა და ყველაფერი ჩაკეტა, პაწია გასაღები კი ყელზე ჩამოკიდებულ ოქროს ძეწკვზე დაკიდა.

მეგობრების გულში რაღაც იმედის ნაპერწკალი გაჩნდა. შარლოტე დარწმუნებული იყო, რომ ოტილიე ედუარდის დაბადების დღეს ხმას ამოიღებდა. იმზომ იღუმალ საქმიანობდა, იმზომ გასახარელი თვითკმაყოფილება დაუფლებოდა. პირისახეზე ღიმილი დასთამაშებდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ იგი სატრფოს რაღაც კარგსა და სიხარულის მომგვრელს ჰპირდებოდა. მაგრამ არავინ იცოდა, რომ ოტილიეს საათობით სასტიკი ფიზიკური უძალობა იპყრობდა, რის გადატანასაც დიდი სულიერი ძალის შემწეობით მხოლოდ იმ წუთებში აღწევდა, როცა კი მეგობრებს შორის იყო.

მიტლერი ახლა უფრო ხშირად დადიოდა მათთან და ჩვეულებრივზე მეტი ხნითაც რჩებოდა. ამ ჯიუტმა კაცმა შესანიშნავად იცოდა, რომ სანამ თონე ცხელია, პური მანამ უნდა ჩააკრა. ოტილიეს დუმილსა და უარს იგი თავის სასარგებლოდ განმარტავდა. განქორწინებისათვის დღემდე არც ერთი ნაბიჯი გადადგმული არ იყო და მაინც იმედი ჰქონდა, რომ ამ სათნო გოგონას ბედს სულ სხვა,

უფრო გონივრული გზით წარმართავდა. იგი ყურს უგდებდა სხვების აზრს, ბევრს ითმენდა, შენიშვნებს იძლეოდა და საკმაოდ გონიერულადაც იქცეოდა.

მაგრამ ის კი არ შეეძლო, თავი შეეკავებინა საკუთარი აზრის გამოთქმისაგან იმ საგნებზე, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი უმთავრესად თავისთვის ცხოვრობდა, ხოლო სხვებთან ყოფნისას მხოლოდ ერთგვარ ჩვეოდა, რითაც გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას სხვებისადმი. ... ...

ყვარეობა, საოცარი ნახატებითა და წარმოდგენებით ააღელვო მისი ფანტაზია და ის, რაც უთუოდ უნდა მოარიდო, მთელი ძალისხმევით შემოიყვანო მის სამყაროში. ბევრად უკეთესი არ იქნებოდა, კაცის მკვლელი რომელიმე საადუმლო სამსჯავროს ოვითნებურად გადასცემოდა დასასჯელად, ვიდრე ნება ლაერთო / და მსგავსი რამეები ექადაგნა ეკლესიისა და მისი სამწყსოს წინაშე“.

სწორედ ამ წამს ოთახში ოტილიე შემოვიდა, „არ იმრუშოს“ — [illegible] და მიტლერი, — რა ტლანქად და უხეშადაა ნათქვამი, სულ სხვა ელერადობა ექნებოდა ამ სიტყვებს: „პატივი მიაგე წმინდა ქორწინებას. უნდა გიხაროდეს მოყვარული ცოლისა და ქმრის ხილვა, უნდა გაიზიარო მათი ბედნიერება, ვითარცა მზიანი დღის სიხარულს იზიარებ, თუკი მათ ურთიერთობაში ჩრდილი ჩამოწვება, შენ ყველაფერი უნდა იღონო, რათა მათ შორის კვლავ ნათელმა დაისადგუროს. შენ უნდა ცდილობდე გული მოულბო, კეთილმოწყალე გახადო, სიმშვიდე მიაგო მათ, მისცე საშუალება, ნათლად შეიცნონ ერთად ცხოვრების უპირატესობა და სანუკვარი უანგარობით მწედ ექმნე მოყვასის ბედნიერებას, უნდა აგრძნობინო მათ, რა ნეტარება მოსდევს ყველანაირ ვალდებულებას და მეტადრე იმას, რაც განუყოფლად აკავშირებს ცოლსა და ქმარს ერთმანეთთან“.

შარლოტე ეკლებზე იჯდა, მდგომარეობა მით უფრო საშიშად ეჩვენა, რომ დარწმუნებული იყო, მიტლერმა არც იცის, რას ამბობს და რა ვითარებაშია, და ვიდრე იმას ქადაგებას შეაწყვეტინებდა, დაინახა, როგორი სახეშეცვლილი გაეიდა ოტილიე ოთახიდან.

„მეშვიდე მცნებისაგან, იმედია, გაგვათავისუფლებ“, — ნაძალადევი ღიმილით უთხრა შარლოტემ.

„აგრეთვე სხვებისგანაც, — მიუგო მიტლერმა, — თუკი იმ ერთს გადავარჩენ, რასაც დანარჩენები ეფუძნებიან“.

მოულოდნელად ოთახში ყვირილით შემოვარდა ნანი.

„იგი კვდება! გოგონა კვდება! მოდით! მოდით!“

როცა ოტილიე ბარბაცით დაბრუნდა თავის ოთახში, იქ ხვალინდელი დღის მორთულობა დახვდა, რამდენიმე სკამზე გადაფენილი. ნანი ათვალიერებდა ჩასაცმელს და მისი ცქერით ტკბებოდა. უცებ მხიარულად წამოიძახა: „შეხედეთ, ძვირფასი ქალბატონი, ეს ხომ პატარძლის სამოსია, მთლად თქვენი ღირსი და საფერი“.

ოტილიემ ეს სიტყვები რომ გაიგონა, დივანზე დაეშვა. ნანიმ შეამჩნია, რომ ქალბატონს სახეზე მკვდრის ფერი დაედო. იგი შარლოტესთან გაიქცა. ხახლის მეგობარი ქირურგიც სასწრაფოდ აქეთკენ გამოემართა. მან ბრძანა, მომაღონიერებელი წვნიანი მოუტანეთო. ოტილიემ ზიზღით ანიშნა, საჭირო არ არისო და ცახცახმა აიტანა, როგორც კი ფინჯანი პირთან მიუტანეს. ექიმმა მკაცრად იკითხა:

„რა ჭამა დღეს ოტილიემ?“

მსახურმა გოგომ პასუხი დააყოვნა. ექიმმა ხელმეორედ იკითხა. გოგომ აღიარა, რომ ოტილიეს არაფერი უჭამია.

ექიმს ნანი მეტისმეტად შეცბუნებული ეჩვენა. მან მეზობელ ოთახში გაიყვანა გოგონა. მათ შარლოტეც გაჰყვა. გოგონა მუხლებზე დაეცა და კანკალით გამოტყდა, რომ ოტილიე კარგა ხანია, რაც არაფერს ჭამს. ოტილიეს დაჟინებული მოთხოვნით მის საჭმელს ნანი მიირთმევს. ამის შესახებ კი არას ამბობს თავისი მბრძანებელი ქალბატონის უხმო თხოვნისა და მუქარის შიშით. თავის

სათქმელს კი ოტილიე ხელით ანიშნებდა მოახლეს. მისებური მიამიტობით ნახმ ისიც თქვა, ოტილიესთვის განკუთვნილი ულუფა ყოველთვის საოცრად გემრიელი იყოო.

მაიორი და მიტლერიც შემოვიდნენ და ექიმთან ერთად მოფუსფუსე შარლოტე დაინახეს. ფერმიხდილი, ღვთაებრივი მშვენიერებით სავსე ტანადი კი სავაძრლის ერთ კუთხეში მისვენებულიყო. ეტყობა, გონება ჯერაც არ დაუბრუნებია. დაწოლა ურჩიეს, მაგრამ ვერ დაითანხმეს. ზარდაშხა მომიტანეთო, ანიშნა, მასზე ფეხები დააწყო და ნახევრად მწოლიარემ უფრო მყუდროდ და მოსვენებულად იგრძნო თავი. თითქოს ყველასთან გამოთხოვების წუთები ჰქონდა. მისი მიხვრა-მოხვრა გარშემომყოფთა მიმართ უნაზეს გულმიდრეკილებას, სიყვარულს, მადლიერებას, ვედრებას და გრძნობით სავსე გამოსალმებას გამოხატავდა.

ედუარდმა ცხენიდან გადმოსვლისთანავე შეიტყო მომხდარი უბედურება. ოთახში შემოვარდა და ოტილიეს წინაშე მუხლებზე დაეცა, ხელში აიღო მისი ხელი და უსიტყვო ცრემლებით განბანა. იგი დიდხანს იყო ასეთ მწუხარე ყოფაში. ბოლოს კი წამოიძახა: „ნუთუ მეტს აღარ გავიგონებ შენს ხმას? ნუთუ არ შეგიძლია ჩემი გულისთვის სიცოცხლეს დაუბრუნდე? თუნდაც ერთი სიტყვა მითხრა? კეთილი. მალე მეც შენს კვალს გამოვყვები და იმქვეყნად სხვა სიტყვებით ვილაპარაკებთ“.

ოტილიემ მაგრად მოუჭირა ხელზე ხელი. მომაკვდავი სიყვარულით აღსილი შესცქეროდა, ღრმად ამოიოხრა და ცოტა ხნის შემდეგ ტუჩების ანგელოზური მოძრაობით ამოთქვა არაამქვეყნიური სინაზის გამომხატველი სიტყვები:

„აღმითქვი, რომ იცოცხლებ!“

„აღგითქვამ“, — წარმოსთქვა ედუარდმა, მაგრამ ოტილიეს უკვე აღარ ესმოდა მისი სიტყვები. იგი ამქვეყნად აღარ იყო.

ღამე ცრემლების ღვრაში გაილია. შარლოტეს წილად ერგო ზრუნვა ძვირფასი ცხედრის დასაფლავებაზე. მაიორი და მიტლერი მხარში ედგნენ მას. ედუარდის ყოფა საკალალო გახლდათ. როგორც კი ოდნავ თავი დააღწია სასოწარკვეთას და ცოტათი გონს მოეგო, დაიჟინა, რომ ოტილიე სახლიდან არ გაეყვანათ, განეგრძოთ მასზე ზრუნვა, მოევლოთ მისთვის, ისე მოპყრობოდნენ, ვითარცა ცოცხალს, რადგან იგი არ მომკვდარა და არც შეიძლება მომკვდარიყო, — ედუარდის ნება აღასრულეს, ოღონდ უკიდურესად გაუჭირდათ გაეკეთებინათ ის, რაც მან აკრძალა. ცხედრის ხილვა კი არ დაუჟინია.

მაგრამ მეგობრებს ახალი დარდი და საზრუნავი გაუჩნდათ, სასახლიდან გაიქცა ნანი, რომელიც ექიმმა კარგა გამოლანძღა და მუქარით აიძულა ამოელერღა სიმარილე, ხოლო მერე საყვედურებით აავსო. იგი კარგა ხანს ეძებეს და ბოლოს, როგორც იქნა, იპოვეს. ეტყობა, გოგონა ჭკუაზე გადავიდა. მშობლებმა იგი თავისთან წაიყვანეს. არანაირი ალერსიანი მოპყრობა მასზე არ სჭრიდა. საჭირო გახდა ოთახში ჩაეკეტათ, რადგან იმუქრებოდა, კიდევ გავიქცევიო.

ედუარდს თანდათან განუქარდა უსაზღვრო სასოწარკვეთა, მაგრამ ეს ისევ მისდა საზიანოდ და საუბედუროდ მოხდა: მისთვის აშკარა და ნათელი გახდა, რომ ცხოვრების სიხარული და ბედნიერება სამუდამოდ წაერთვა. ბოლოს როგორღაც გაბედეს და უთხრეს, ოტილიეს ცხედრის ეკვდერში დასვენებას ვაპირებთო, რადგან გვჯერა, რომ იქ იგი მუდამ ცოცხლებს შორის იქნება და იქ ჰპოვებს მშვიდ და მყუდრო სასუფეველსო. არცთუ ისე ადვილი გამოდგა ამაზე ედუარდის თანხმობის მიღება. ბოლოს და ბოლოს იგი დათანხმდა, ოღონდ ერთი პირობით, მიცვალებული ახდილი ტახტრევანდით შეეყვანათ საგვარეულო აკლდა-

მაში და იქვე მარად მოგიზგიზე ჩირაღდანი დაენთოთ. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი საბოლოოდ დამორჩილდა ბედს, შეურიგდა თავსდატეხილ უბედურებას.

მიცვალებულის მშვენიერი სხეული იმ ტანსაცმლით შემოსეს, თვითონვე წინასწარ რომ გაიმზადა. იმაში ასტრის ყვავილთა გვირგვინი ჩააწნეს, ოღუმალად რომ ბრწყინავდა სევდიანი თანავარსკვლავედის დარად. ტახტრევანდის, ეკლესიისა და ეკვდერის მოსართავად სულ დაჰკრიფეს, რაც კი იქვე ახლომახლო ყვავილები იყო და ბალები ისე გააველანეს, გეგონებოდა, ზამთარმა გახმარცვა სიხარულისგანო. დილაადრიან გამოიყვანეს ოტილიე სასახლიდან ახდილი კუბოთი და ამომავალმა მზემ ერთხელ კიდევ ააწითლა მისი ციური პირისახე. გამცილებლები მის გარშემო შეექუჩდნენ, არავის უნდოდა წინ გაესწრო ანდა ჩამორჩენოდა ცხედარს. ყველას სწადდა მის კვალს მიჰყოლოდა, თითოეულს სურდა უკანასკნელად დამტკბარიყო მისი აქ ყოფნით. აქ იყვნენ გოგო-ბიჭები, მამაკაცები, ქალები, არავინ დარჩენილა სულშეუძვრელი. გოგონები ხომ მთლად უნუგეშონი ჩანდნენ, ყველაზე უფრო განიცდიდნენ ამ დანაკარგს.

ნანი ამ დროს იქ არ იყო. სახლში დატოვეს, ჩაკეტეს, უფრო სწორად, დაკრძალვის დღე და საათი დაუმალეს. თვალს არ აცილებდნენ თავის პატარა ოთახში მყოფს. ის ოთახი ბაღში გამოდიოდა. მაგრამ ზარების ხმა რომ გაისმა, იმწამსვე მიხვდა,რაც ხდებოდა. როცა მისი ყურისმგდებელი ქალი ცნობისმოყვარეობამ აიტანა და პროცესიის სანახავად გარეთ გავიდა, ნანი ფანჯრიდან დერეფანში გადაძვრა, ხოლო იქიდან, რაკი ყველა კარი ჩაკეტილი დაუხვდა, სხვენში გადავიდა

პროცესია კი ის იყო დაიძრა სოფლის გავლით, სუფთად მოკირწყლულ, ფოთლებით დაფენილ გზაზე. ნანიმ გარკვეეით დაინახა თავისი ქალბატონი, ყველაზე ნათელი, სრულქმნილი და მშვენიერი იმათ შორის, ვინც პროცესიას მიჰყვებოდა. არამიწიერი არსება თითქოს ღრუბლებსა და ტალღებს ზემოთ მიჰქონდათ, იგი თითქოსდა თავის მოახლეს ხელს უქნევდა, ნანის კი, შეძრწუნებულს, თავბრუ დაეხვა და ტრიალ-ტრიალით ძირს დაენარცხა.

ხალხი ყვირილით აქეთ-იქით მიაწყდა. ჯიკავსა და ორომტრიალში მეცხედრეებს კუბოს მიწაზე დადება მოუხდათ. გოგონა თითქმის იქვე, ახლოს იწვა. სხეული თითქმის მთლიანად დამსხვრეოდა. იგი აიყვანეს და, შემთხვევით თუ განგების ნებით, მიცვალებულს გვერდით მიუწვინეს, თითქოსდა უკანასკნელი ღონე იხმარა, რათა საყვარელ ქალბატონს მიახლებოდა, როგორც კი მისი მთრთოლვარე სხეული და მისუსტებული თითები ოტილიეს სამოსსა და გულზე დაკრეფილ ხელებს შეეხო, იგი უმალ წამოხტა. მკლავები ასწია და თვალები ზეცას მიაპყრო. მერე ცხედრის წინაშე მუხლებზე დაეცა და მოწიწებით და აღტაცებით შეაცქერდა თავის ქალბატონს. ბოლოს ზეშთაგონებით მოცულმა და სპეტაკი სიხარულით აღტყინებულმა წარმოსთქვა:

„დიახ, მან შემინდო, ის გააკეთა, რაც ძეხორციელმა ვერ შეძლო, თვითონაც ხომ უძლური ვიყავ შემენდო საკუთარი თავისთვის. ეს თვით ღვთაებამ შემინდო მისი თვალებით, მისი ქცევით, მისი ბაგეთი. და აი, იგი კვლავ განისვენებს წყნარი და უშფოთველი, ხომ იხილეთ, როგორ წარმოდგა, ჩემკენ გამოწვდილი ხელები მაღლა აღაპყრო, დამლოცა და მერე ტკბილად შემხედა. ხომ გაიგონეთ, ხომ მოწმენი ხართ, როგორ მითხრა, რომ შემინდო და ახლა აღარ ვარ მკვლელი. მან შემინდო,ღმერთმა შემინდო და ამიერიდან რაღა მაქვს სასაყვედურო“.

ირგვლივ ხალხის ჭედვა იყო. ყველა გაოგნდა, ყველა სმენად იქცა, არა გამომეპაროს რაო, არავინ ხმას არ იღებდა, არ იცოდნენ, რა ელონათ.

„წარიღეთ იგი სასუფეველში —თქვა გოგონამ, — მან უკვე აღასრულა თავისი წილხვედრი, ეწამა და მეტი აღარ ძალუძს ჩვენ შორის დარჩეს.“ კუბო კვლავ ასწიეს და გზა განაგრძეს. პირველი ნანი მიჰყვებოდა ცხედარს, ასე მოადგნენ ეკლესიას და სამლოცველოს.

აქ დადგეს ოტილიეს კუბო. იგი განიერ მუხის კიდობანზე მოათავსეს, — თავთით ბავშვის კუბო იდგა, ფერხთით — ზარდაშხა. მოძებნეს ქალი, ვინც დარაჯად უნდა ჰყოლოდა პირველ ხანებში მიცვალებულს, რომელიც უშფოთველად იწვა მინის სახურავიან კუბოში. მაგრამ ნანიმ ვერც კი დათმო ეს სამსახური. მარტო მას სურდა დარჩენა, არავის დახმარება არ სჭირდებოდა. იგი გულმოდგინედ დარაჯობდა კანდელის შუქს, რომელიც ის იყო დაანთეს. ნანიმ ეს ისე დაბეჯითებით და ჯიუტად მოითხოვა, რომ დაუთმეს, რადგან შეეშინდათ, უფრო მძიმე სულიერი ტრავმა არ მივაყენოთო, არადა, ასეთი რამ აშკარად მოსალოდნელი იყო.

ნანი დიდხანს არ დარჩენილა მარტო. კარგა ჩამოღამდა თუ არა და კანდელის მბჟუტავი შუქი უფრო ძლიერად აციმციმდა, კარი გაიღო და არქიტექტორი შემოვიდა სამლოცველოში, რომლის ღვთიურად მოხატული კედლები მკრთალ შუქზე საოცრად ძველი და იდუმალი ეჩვენა მის მზერას.

ნანი კუბოსთან იჯდა ერთ კუთხეში. მან უმალ იცნო არქიტექტორი და მდუმარედ მიანიშნა გარდაცვლილ ქალბატონზე. და აი, არქიტექტორი დგას კუბოს მეორე მხარეს, ჭაბუკური ძალითა და სილამაზით აღვსილი, ღრმა ფიქრებში წასული. უძრავი, მოკრებილი, ხელებდაშვებული და მწუხარე, თავი გარდაცვლილის წინაშე დაუხრია და მზერა მისკენ მიუპყრია.

ერთხელ იგი ზუსტად ამნაირად იდგა ბელიზარის წინაშე, უნებლიეთ ახლაც ისე დადგა, არადა, რა ბუნებრივი იყო ამ წუთებში ეს. აქაც ხომ ნეშტი იდო განუზომელი ღირსების, სულის უიშვიათესი სიმაღლის გამო ძირს დანარცხებული. თუ მაშინ სინანულს იწვევდა გმირის სამარადისოდ დაკარგული სიმამაცე, ჭკუა, მორჭმულობა, მაღალი მდგომარეობა, სამკვიდრებელი, —თუმცა იმჟამად არა მხოლოდ დაუნახველი, არამედ საერთოდ აღკვეთილი და დევნილი დარჩა ის თვისებები, რაც ასე აუცილებელია საგანგაშო წუთებში ერისა და ქვეყნისათვის — ამჯერად იმის მოწმენი ვიყავით, რაოდენ ხელჰყო ბუნებამ თავისი გულგრილი ქმედებით ის ჩუმი სათნოება, ასე ცოტა ხნის წინათ რომ თავისი მრავალფერი სიღრმიდან მოიხმო: იშვიათი, მშვენიერი, სანუკვარი სათნოება, რომლის ჩუმი ზემოქმედება ნეტარი კმაყოფილებით ავსებდა ყოველთვის ამ უბადრუკ წუთისოფელს, ხოლო მისი დაკარგვა კი უმიზეზო მწუხარებაში აგდებდა ყველას.

ჭაბუკი დუმდა. ერთხანს გოგონაც დუმდა. როცა ნანიმ დაინახა, უსაზღვრო მწუხარებისაგან მის ლაწვებზე ღვარად მონადენი ცრემლები, ხმა ამოიღო და ალაპარაკდა. მისი სიტყვები ესოდენი ძალითა და სიწრფელით, ესოდენი რწმენითა და კეთილმოსურნეობით იყო ალსავსე, რომ არქიტექტორი გაოცდა მისი წყაროსავით მორაკრაკე ხმითა და ნაუბარით და შეძლო ძალა მოეკრიბა და თავს დაუფლებოდა. მან თავისი მშვენიერი მეგობარი ქალი თითქოს ზესთასოფელში იხილა ცხოველი და მჩქეფარე. ცრემლები შეიმშრალა. სევდა გაუნელდა. მუხლმოდრეკით გამოეთხოვა ოტილიეს, მერე თბილი გრძნობით ჩამოართვა ხელი ნანის და სხვას არაფის ჩვენებია, იმღამესვე გაჰქუსლა ცხენით.

ის ღამე ექიმმა უჩუმრად ეკლესიაში გაატარა, ნანის კი ამის შესახებ არა გაუგია რა. დილით, სანახავად შესულმა, გოგონა მხნე და ხალისიანი იხილა. ექიმი მის სახეზე უფრო სულიერი შერყევის ნიშნებს ელოდა. ეგონა, ნანი ოტილიესთან ღამეული საუბრების შესახებ ან სხვა ასეთებს მიამბობსო, ძაგრამ მოტყუვდა. ნანის თავი სრულიად ბუნებრივად ეჭირა, წყნარად [illegible] გონებას ინარჩუნებდა. მან ზედმიწევნითი სიზუსტით გაიხსენა [illegible] საწმყოში მომხდარი ამბები. მისი ნაამბობი არ სცილდებოდა სიმართლისა და სინამდვილის საზღვრებს, გარდა დასაფლავების დღეს მომხდარი ერთი შემთხვევისა, რის შესახებაც იგი დაუღალავად დიდი ხალისით ჰყვებოდა, თუ როგორ წამოდგა ოტილიე, როგორ დალოცა იგი, მიუტევა და ამით სამარადისო სიმშვიდე მოჰგვარა.

ოტილიე კი იწვა ისეთი მშვენიერი, რომ უფრო ჩაძინებულს ჰგავდა, ვიდრე მიცვალებულს და ეს გარემოება ბევრ მნახველს იზიდავდა. ახლომახლო სოფლების ბინადარი უნდოდათ კვლავ ეხილათ იგი, ყველანი სიხარულით ისმენდნენ ნანის ბაგეთაგან თქმულ უჩვეულო ამბავს, ზოგიერთი გაქირდვის მიზნით, უმეტესობას ეჭვი ეპარებოდა, უმცირესობას კი სჯეროდა მისი. ყოველი სურვილი, რომლის შესრულებაზე აშკარა უარი გვითხრეს, რწმენას ჰბადებს. ყველას თვალწინ დამსხვრეული ნანი ხომ განკურნა წმიხდა ნეშტთან შეხებამ და რატომ არ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი, რომ მსგავსი ბედნიერება სხვასაც რგებოდა. შვილებზე გადამკვდარმა დედებმა ჯერ ფარულად, მერე აშკარად დაიწყეს ათასნაირი სნეულებით დაავადებული თავიანთი პირმშოების აქ მოყვანა, ეგონათ, მოულოდნელ საწადელს ვეწევითო, და ბავშვები გამოკეთდებიანო, ნდობა გაიზარდა, და ბოლოს არ დარჩენილა არავინ, მოხუცი იქნებოდა ეს თუ სნეული, ამ ადგილას არ ეპოვნა ხსნა და ნუგეში. მორწმუნეთა რიცხვმა იმატა, მალე კი საჭირო გახდა სამლოცველოს დახურვა, ეკლესიისაც კი, გარდა ღვთისმსახურების საათებისა.

ედუარდს ვერა და ვერ გაებედა მიცვალებულის მონახულება. სიცოცხლის ძალა ნელ-ნელა გაუქრა, ეტყობა, ცრემლიც გაუშრა, უკვე მწუხარებაც აღარ შეეძლო. დღითიდღე ეკარგებოდა საუბრის ხალისი, ჭამა-სმასაც თანდათან მიანება თავი. ნუგეშად დარჩენოდა წყლის მოსმა იმ სასმისით, რომელიც, მართალი უნდა ითქვას, არ გამოდგა კარგი წინასწარმეტყველი. ძველებურადვე უყვარდა ამ სასმისზე ამოკვეთილი მისი და ოტილიეს სახელების დასაწყისი ასოების თვალიერება, თითქოსდა იმისი ფიქრიანი და ნათელი მზერა ამბობდა: ახლაც იდუმალად ძალერა სატრფოსთან საუკუნოდ შეუღლებაო. ბედის ნებიერს თითქოსდა ფრთებს ასხამს, გუნებას უკეთებს უმნიშვნელო გარემოებაც კი, უბედურს კი სულ უმცირესი წვრილმანიც გულს უკლავს, სასოწარკვეთილებაში აგდებს და დამღუპველ ზემოქმედებას ახდენს მასზე. ერთხელაც, როცა ედუარდმა ბაგესთან მიიტანა თავისი საყვარელი სასმისი, უმალ ძრწოლვით გადააგდო იგი. ეს სასმისი თითქოს მისი კიდეეაც იყო და არც იყო. მან ვერ იპოვა წვრილი მინაწერი. მოუხმო კამერდინერს, რომელიც იძულებული გახდა ეთქვა, რომ ის სასმისი ამ ცოტა ხნის წინათ გატყდა, ამიტომ იგი მისი მსგავსით, ედუარდის სიჭაბუკისდროინდელი სასმისით შეცვალეს. ედუარდს გაბრაზებისთვისაც არ ეყო ძალა. მისი ბედი განგებამ ცხოვლად განსაზღვრა და მისი შეძვრა სიმბოლოს აღარ შეეძლო. იგი სულმთლად დართგუნა მწუხარებამ. წყლის დალევაც შესჯავრდა. თითქოს განგებ იკავებდა თავს ჭამა-სმაზე, ლაპარაკზე.

დროდადრო მოუსვენრობა იპყრობდა და კვლავ საჭმელს ითხოვდა, მერე კი საუბარს იწყებდა.

„ო, რა უბედური ვარ — უთხრა ერთხელ მაიორს, რომელიც ამხნის მანძილზე გვერდიდან თითქმის არ მოსცილებია, — რა უბედური ვარ, რომ ჩემი მცდელობა მხოლოდ მიბაძვაა, უნაყოფო ძალისხმევა, სხვა არაფერი. ... რაც მისთვის ნეტარება იყო, ჩემთვის წამებად იქცა. მაგრამ ამ ნეტარებისთვის მზად ვარ წამებაც ავიტანო. მის კვალს უნდა გავყვე, მისი გზით წავიდე, ოღონდ უკან მეზიდება ჩემი ბუნება, ჩემი ალთქმა. რა საშინელი ხვედრია შეედარო შეუდარებელს, მე ვგრძნობ, ჩემო ძვირფასო, რომ ყველაფერს გენია სჭირდება, წამებასაც კი“.

სათქმელი არაა ცოლის, მეგობრების, ექიმის მღელვარებისა და ზრუნვის ამბავი. ესენი თავს ევლებოდნენ უიმედო მწუხარებაში ჩავარდნილს. ბოლოს იგი მკვდარი ნახეს. პირველმა მიტლერმა აღმოაჩინა ეს სამწუხარო ამბავი. მან უხმო ექიმს და მისთვის ჩვეული წონასწორობა არ დაუკარგავს, მისხალ-მისხალ დაათვალიერა ყველა ნივთი, რაც კი მიცვალებულის შორიახლო იყო. ოთახში შარლოტე შემოიჭრა. მას ეჭვმა გაჰკრა, ამის მიზეზი თვითმკვლელობა ხომ არ არისო. დაიჩივლა, მეც და სხვებმაც მიუტევებელი გაუფრთხილებლობა გამოვიჩინეთო. მაგრამ ექიმმა და მიტლერმა გადაარწმუნეს იგი, პირველმა ბუნებრივი, ხოლო მეორემ ზნეობრივი მოსაზრებები მოიშველია ამის განსამარტავად. ცხადი იყო, რომ საკვდილი მოულოდნელად სწვეოდა ედუარდს, უსარგებლია რა მარტოობით და საწყენარით, ზარდაშხიდან და საქალალდიდან ამოულაგებია ყველაფერი, რასაც კი დღემდე ასე გულმოდგინედ მალავდა. აი, ნივთები, რაც ოტილიესაგან დარჩა: თმის კულული, იმ ბედნიერ წუთებში დაკრეფილი ყვავილები, მისგან მოძღვნილი ფურცლები — დაწყებული იმ პირველი ბარათით, ცოლმა რომ შემთხვევით იდუმალი წინათგრძნობით გადასცა ოდესღაც. არ უნდოდა გარეშე თვალს ენახა ეს ყველაფერი, არცთუ დიდიხნის წინ, უსაზღვრო მღელვარებით აღვსილი მისი გული ამჯერად მარადიულ სიმშვიდეს მოეცვა. და მას საუკუნოდ ჩაეძინა წმინდანზე ფიქრში, და ამიტომ ნეტარი იყო მისი ამქვეყნიდან წასვლაც. შარლოტემ მას ოტილიეს გვერდით მიუჩინა ადგილი და ყველას, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, აღუკვეთა ამიერიდან ამ აკლდამაში დასაფლავება. ეს პირობა რომ დაეცვა, შარლოტემ დიდი შესაწირავი გადასცა სკოლასა და ეკლესიას, ერსა და მღვდელს.

ასე განისვენებს ერთად ორი მიჯნური და მდუმარება დანათის თავზე მათ საძვალეს, თაღების სიმაღლიდან კი ანგელოსთა ნათელი და მშობლიური ხატებანი შესცქერიან. ჰოი, რა სიხარულის მომგვრელი იქნება ის წამი, როცა შეყვარებულები ერთდროულად გაიღვიძებენ.

შენიშვნები

II ნაწილი

1. **ეპოპეა** — ლექსად დაწერილი ეპიკური თხზულება გმირთა ცხოვრების შესახებ.

2. „ფილემონი თავის ბოუკიდესთან ერთად“ (გვ. 3) მშვიდობიანი მოხუცი ბერძენი ცოლქმარი, რომელიც დახატა რომაელმა პოეტმა ოვიდიუსმა. გოეთემ კი ვრცლად ასახა ფილემონ-ბავკიდეს მოტივი „ფაუსტის“ მეორე ნაწილის მე-5 აქტში.

3. **ბრაკტვატები** — თხელი ვერცხლის მხოლოდ ცალ მხარეზე ამოტვიფრული შუასაუკუნეების მონეტა.

4. **მსხვილი მონეტა** (Dickmünze) — ორივე მხარეზე ამოტვიფრული მონეტა, რომელიც ჩვეულებრივ მონეტის ერთი ხუთჯერ აღემატება.

5. **წითელი ძაფი** (ein roter Faden) — ძაფი, ჩაწნული სახელოო პაგირში, რომანის ეს ადგილი შემდგომში გახდება სათავე ფიგურალური თქმისა „წითელ ზოლად გასდევს". ეს გამოთქმა პირველად გოეთემ იხმარა, შემდეგ ამ ფიგურალურმა თქმამ ფართო გავრცელება ჰპოვა გერმანულ და რუსულ ლიტერატურაში.

6. **ოტილიეს დღიურები** — ამ დღიურების სტრუქტურა გოეთემ რომანის მეორე ნაწილის 3-4 თავში განმარტა. ამ რომანში დღიური როდია იმდენადის აღსარება ანდა მისი განცდების გადმოცემა, არამედ ეს არის უფრო ჩანაწერების წიგნი, რომელიც ნაწილობრივ მჭიდროდ უკავშირდება რომანის გმირთა საუბრებიდან ამომდინარე სოციალურ და ფილოსოფიურ პრობლემებს. გოეთეს „მაქსიმებისა და სენტენციების" ექვსივე ჯგუფში საკმაოდ ფიგურირებს ოტილიეს დღიურებში არსებული გამონათქვამები.

7. **„დარბაზის ალი"** (Saalnixe) — იმ ეპოქაში გავრცელებული სიმღერა. ამ სათაურით გოეთეა ცოლის ძმამ — ქრისტიან ავგუსტ ვულპიუსმა ვაიმარის თეატრისათვის გადაამუშავა კარლ ფრიდრიხ ჰოიზლერის ოპერეტა „დუნაის ქალწული" („Das Donauweibche").

8. **მავზოლეუმის საფლავი** — მეფე მავზოლეუმის საფლავი ააგო კარიის (მცირე აზიის) დედოფალმა, მავზოლეუმის ქვრივმა — არტემიზიამ და ამით პატივი მიაგო ქმრის ხსოვნას. იგი ყოველდღიურად უმატებდა თავის საამელს ქმრის ნეშტის ნამწვს და ამით აუგო დიდებული ძეგლი საფლავზე, რომელიც სამყაროს შვიდ საოცრებათა შორის მოიხსენიება. აქედან წარმოდგება სიტყვა „მავზოლეუმი".

9. **„ეფესელი ქვრივი"** — მოდალატე ქვრივის სახე. ამბავი, რომელიც მოთხრობილია ჟან დე ლაფონტენის კრებულში „ზღაპრები და მოთხრობები ლექსად" (Contes et Nouveles es Vers. 1665-67). ეფესელმა ქვრივმა ქმრის სიკვდილის შემდეგ გადაწყვიტა შიმშილით მოეკლა თავი, მაგრამ ძალიან მალე თავისი ეს განზრახვა დაივიწყა და ქმრის მოღალატე გახდა. ეს თემა მეტადაა გავრცელებული ლიტერატურაში (მაგალითად რომაელმა მწერალმა პეტრონიუსმა ამ თემაზე შექმნა მოთხრობა „სატირიკონი".

10. **პანტომიმური პოზები და ცეკვები.** გოეთე ნეაპოლში გაეცნო ე. წ. „ცოცხალი სურათების" გამოსახულებებს ცნობილ მხატვართა ნახატების მიხედვით.

11. **INCROGABLES — ფრანგ. — ურწმუნო.** ფრანგი პეწენიკის სახუმარო სახელი დირექტორიის ეპოქაში (1775 წლის ოქტომბრიდან 1799 წლის 9 ნოემბრამდე).

12. **ვან დეიკის ბელიზარი** — ფერწერული ტილო ჰოლანდიელი მხატვრის — ვან-დეიკისა (1599-1641), რომელიც ხატავს რომაელთა მეფის — იუსტინიანეს მიერ დამარცხებულ ბიზანტიელ ნიავარსარდალს ბელიზარს. ბრმა მათხოვარად შეასაუკუნეობრივი თქმულების მიხედვით. იგი იმპერატორმა ტყვედ ჩაიგდო და დაამარცხა.

13. **აჰასფერი და ესთერი** — შეადარე ძველი აღთქმის ესთერის წიგნს.

14. **ტერბურგი** — ჰერალდ ტურბორქსი (1617-1681) — მე-17 საუკუნის ჰოლანდიელი მხატვარი.

15. **ვილე-იოჰან გეორგ ვილე** (1715-1808) — მე-18 საუკუნის გერმანელი გრავიერისტი.

16. **TOURNER S'IL VOUS PLAIT** (ფრანგ) — გადმოაბრუნეთ, გეთაყვა. ეს გამოქმა იხმარებოდა კარტის თამაშისას.

17. **პუსენი** — ნიკოლა პუსენი (1596-1665) — მე-17 საუკუნის ფრანგი მხატვარი.

18. **სიტყვას „APPREHENSION"** გოეთე ხშირად ხმარობდა შიშის, დარდის, ფიქრი იმგვიანად ანტიპათიის გამოსახატავად.

19. **PRÄSEPE** — praecepe (ლათ.) Krippe ნიშნავს ბაგას, ეს არის ტექნიკური მნიშვნელობა ფერწერისა, რომელიც ქრისტეს შობას ასახავს.

20. **ჰუმბოლტი** — ალექსანდრე ჰუმბოლტი, ცნობილი ბუნებისმეტყველი, გოეთეს მეგობარი 1795 წლიდან.

21. **GLEICHNIS** — ლუთერის სამეტყველო ლექსიკონში ხშირად ხმარებული სიტყვა ნიშნავს ალტერეგოს ანუ მეორე „მე"-ს (Ebenbild).

22. **„DAS EIJENTLICHE STUDIUM DER MENSCHHEIT IST DER MENSCH"** — „კაცობრიობის საგულდაგულო კვლევის საგანი ადამიანია" (II ნაწ. მე-7 თავი, ვ. 83).

ეს არის თარგმანი იმ ხანად ხშირად ციტირებული ლექსისა „The proper study of mankind is man". ნაწყვეტი ალექსანდრე პოუპის სამოძღვრებო ლექსიდან „ადამიანზე".

23. **სიმეონი** — „ეყადარეთ ახალ აღთქმაში ლუკას სახარებას მე-2 თავი. ბიბლიის ლუთერისეული თარგმანის ციტატი ასე ჟღერს: „Herr, man lässest du deine Deiner in Frieden fuhren wie du gesagt hast, meine Augen haben deinen Heiland gesehen" (Vers. 29 f) (აწ განუტევე მოსავ შენი, მეუფეო, სიტყვასებრ შენისა, მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი რომელ განემზადე წინაშე პირსა ყოველისა ერისასა, ნათელ გამობრწყინებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა მჴნისა ისრაელის და იყვნეს იოსებ და დედა მისი დაკვირვებულ სიტყვად მათ ზედა მისთვის)".

24. **COMEDIE A TIROIR** (ფრანგ.) — სხვანაირად comedie episodique — გამოსაწევ ყუთებიანი კარადა. კომედია, რომელშიც სცენები ისე მონაცვლეობენ, რომ ისინი მოკლებული არიან ერთმანეთთან მტკიცე ორგანულ კავშირს.

25. **სატარებელი ბნელი კამერა** — სატარებელი camera obscura, რომლის კონსტრუირება მოახდინა ინგლისელმა რობერტ ჰოოსმა (Robert Hook) — 1673 წელს. მქრქალი მინის ხელსაწყო, რომელიც თან ახლავს ფოტოაპარატს ზუსტი ესკიზების ნოსამზადებლად. სხვა მნიშვნელობით camera obscura ეწოდებოდა ნიუტონის ფერთა მოძღვრების ექსპერიმენტსაც.

26. **პერსპერიზა** (იტალ.). — ფიქრია.

27. **მეოთხე და მეხუთე მცნება** — მართლმადიდებელი ბიბლიის მიხედვით მეხუთე-მიექვსე, ხოლო მეექვსე მცნება — მეშვიდეა.

ტ. მას სტერნზ ელიოტი

ქორიოლანოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1931-1932

1. ტრიუმფალური მარში

ინგლისურიდან
თარგმნა სოსო ჩოჩიამ

ლოდი, ბრინჯაო, ლოდი, ფოლადი, ლოდი, გვირგვინი დაფნის,
ჟღარუნი ნალის
ქვაფენილზე ჟღარუნი ნალის,
დროშები. ფანფარები. უთვალავი არწივი!
რამდენი? დათვალე. უმოწყალო ზედახოცვა.
ამ დღეს ჩვენ თავს ვერ ეცნობდით, ჯელარ ვცნობდით ქალაქებს.
ზღვა ხალხია ამ გზაზე, ტაძრისკენ მივყევართ ამ გზას.
რამდენი მომლოდინია! რამდენი მომლოდინე? განა სულერთი არაა
თუკი მრავლადაა?
მოდიან? ჯერ კიდევ არა. შორს არიან არწივები. ფანფარებიც.
აი, ისინიც, როგორც იქნა, აი, ისინიც.
აღქმა არის ჩვენი Ego-ს ბუნებრივი სიფხიზლე.
ჯერ შეგვიძლია ვისხდეთ სკამებზე, სოსისით ხელში.
წინ რა მოუძღვით? ჩედავ?
5 800 000 შაშხანა და კარაბინი,
102 000 ტყვიამფრქვევი,
28 000 ნაღმსატყორცნი,
53 000 საველე და მძიმე იარაღი,
ულევი ყუმბარა, ნაღმი და ასაფეთქებელი ნივთიერება,
13 000 თვითმფრინავი,
24 000 საავიაციო ძრავა,
25 000 საარტილერიო შესაბმელი,
55 000 საინტენდანტო ფურგონი,
11 000 საველე სამზარეულო,
1 150 საველე პურსაცხობი.
კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ყველაფერი, ბოლო არ უჩანს? არა,
მიჯრით მოდიან გოლფ-კლუბის კაპიტნები
აი, societe gymnastique de Poissy.[1]

---

[1] პუასის საჭანვარჯიშო საზოგადოება (ფრანგ.)

აი, ლორდ-მერიც გილდიის წევრებით,
აი, შეხედე, ეს იგია, იგი, შეხედე:
თვალებში და ცხენის ფაფარს ჩაცეებულ ხელებში
ძრწოლა-ყოყმანის ნასახიც არ ჩანს,
მაგრამ თვალებში იკითხება სამაგიეროდ ღრმა მოლოდინი,
დაძაბულობა, აღქმის უნარიდან გადაგვარებულობა.
ო, მტრედის ფრთებქვეშ შეყუჟულო, კუს მკერდში შემალულო,
შუადღეს, პალმის ქვეშ მორაკრაკე წყალში შემძვრალო,
სამყაროისა მდინარებაე გარინდულ წამში. ო, დამალულო.
აი, ისინიც ტაძრისკენ მიაბიჯებენ და მსხვერპლს წირავენ.
აი, ქალწულნი გამოდიან ურნებით ხელში, ამ ურნებში კი
ნეშტია,
ნეშტი,
ნეშტი ნეშტისა, სხვა არაფერი, კვლავ
ლოდი, ბრინჯაო, ლოდი, ფოლადი, ლოდი, გვირგვინი დაფნის,
ჟღარუნი ნალის
ქვაფენილზე, ჟღარუნი ნალის.
ჰა, ყველაფერი, რაიც ვნახეთ, რასაც ვხედავდით.
ო, რამდენი არწივია!
რამდენი ფანფარა!

(ქალაქგარეთ არ წავედით ალდგომა-დღეს
და ტაძარში წავიყვანეთ სირილა. მას მოესმა
ზარის ხმა და ხმამაღლა თქვა: მეწვრილმანე.)
და დაგდო ხოსიი,

იგი კვლავაც გამოდგება. ფხიანია. უკაცრავად,
ხომ არა გაქვთ ასანთი?
ცეცხლი
ცეცხლი
Et les soldats faisdent la haie?

Ces la Fdisaent

ვახარო? რა ვახარო!
ბალახია ყოველი ხორციელი,
ბრიტანეთის იმპერიის რაინდთა ორდენითა თუ ბანის ორდენით
დაჯილდოვებულთა ჩათვლით,
კავალერთა! ო! კავალერთა! — საპატიო ლეგიონის ორდენის,
შავი არწივის (I და II კლასის) ორდენის
თუ ამომავალ მზის ორდენის კავალერთა ჩათვლით.
ვახარო? რა ვახარო!
უპირველეს ყოვლისა უნდა შეიქმნას კომიტეტები:

[1] ჯარისკაცებმა კორდონი შექმნეს? ჰო (ფრანგ.).

საკონსულტაციო, მუდმივი, საიდუმლო საბჭოები.
კომისიები, კომიტეტები და ქვეკომიტეტები.

რა ვახარო?
არტურ ედვარდ სირილ პარკერი დანიშნულია ტელეფონისტად
ჯამაგირით ფუნტი და ათი შილინგი კვირაში, ერთი წლის სამსახურისათვის
წანამატი ხუთი შილინგი,

ეკონომიკური
ბიბლიოთეკა

ეაიდურესი ზღვარი ორი ფუნტი; ქრისტეშობისთვის ჯილდოდ
ოცდაათი შილინგი

პლუს ერთკვირიანი შვებულება წელიწადში.
შეიქმნა კომიტეტი საინჟინრო კომისიის შესაქმნელად
წყლით მომარაგების საკითხის მოსაგვარებლად
შეიქმნა საზოგადოებრივი საქმიანობის კოუიუია,
უმთავრესად საფორტიფიკაციო გარდაქმნებისათვის.
შეიქმნა კომისია ვოლსკთა ტომის კომისიასთან მოსალაპარაკებლად
მარადიული სამყაროს შესახებ: მესაჭურვლეებმა და მჭედლებმა
აირჩიეს პროტესტის გაერთიანებული კომიტეტი შეკვეთების
შემცირების საწინააღმდეგოდ.
ამასობაში კარისკაცები კამათელს აგორებენ სასახლეების კარიბჭეებთან,
ბაყაყები კი (ო, მანტუელო) მშვიდად ყიყინებენ ჭაობში
ციმციმებენ ციალის შუქზე ციცინათელები.
რა ვახარო?
დედავ, მშობელო,
აი, რიგი საოჯახო პორტრეტებისა, უსიცოცხლო ბიუსტებისა,
ყველაფერი საოცრად რომაულია,
საოცრად მსგავსი, მათ ერთიმეორის მიყოლებით,
მთქნარებ-მთქნარებით ანაცვლებს გაოფლილი მეჩირაღდნე

ო, დამალული, ო, დამალულო...
სად მტრედმა, შუადღეს, მუხლი გამართა და მოუჭირა
ფეხები სულ ერთი წამით

დასვენებისჟამს,
თაკარა შუადღის ჩრდილნასვამ ხის ტოტს,
ბუმბულქვეშ-მკერდში, რომ შეაკრთო მსუბუქმა სიომ
იქ ყოჩივარდა ისწორებს ფრთებს და ხვართქლა კარებზე
ჩამოშვებულა

დედავ, მშობელო, (ამ ბიუსტებში არ ურევია, აქ უზუსტესი
წარწერებია)

მე დაქანცული თავი ვარ ამ თავებს შორის
ძლიერ კისერთა, შეძლებულთა ატარონ იგი
ძლიერ ნესტოთა შორის მკვეთთა, მკვეთთა ჰაერის
დედავ, მშობელო,
აღარ ვიქნებით, რათა უმალ, ლამის ახლავე,
თუკი ვედრება, მიძღვნა, წირვა, ლოცვა-მუდარა,
დაცულ იქნება

აღარ ვიქნებით
ო, დამალულო,
დამალულო უძრავ შუადღეში, ჩუმად მოყიყინე ღამეში.
მოვარდებიან ფრთების დგაფუნით, ვით ღამურანი
და ციმციმ, როგორც ცეცხლათელა,
„ამაღლებითა და დაცემით ბოლოს ნეშტადქცეული“,
პატარა არსებები,
პატარა არსებები ჩუმად ფუსფუსებენ ნეშტში, ღამეში.
დედავ მშობელო,
რა ვახარო?
ჩვენ მოვითხოვთ კომისიას, წარმომადგენლობით კომისიას,
საგამომძიებლო კომისიას
გადადგომა გადადგომა გადადგომა

შენიშვნები

„კორიოლანოსის“ ორივე ნაწილი ავტორს ჩაფიქრებული ჰქონდა, როგორც დიდი პოემის ან პოემათა სერიის შესავალი, მაგრამ მათ შეადგინეს თავისებურად დამთავრებული ნაწარმოები, გარეგნულადაც და შინაგანადაც ეს წარმოსახავს XX საუკუნის დასავლეთის პოლიტიკური ცხოვრების სოციალურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს. ამავდროულად აქ ხდება ელიოტისეული შერწყმა ეპოქის ნიშან-თვისებებისა: „კორიოლანუსში“ რამდენიმე ისტორიული მიმართულებაა გამოსახული. ასე, მაგალითად, „ტრიუმფალურ მარშში“ შერწყმულია რომაელი სარდლის ზეიმი, წმინდანთა პროცესია „სალხინობელის“ XXIX საგალობელში, ჯოისისეული „ულისეს“ სალაღობო, საკარნავალო სვლა, და ბოლოს, XX საუკუნის სამხედრო აღლუმი და მახიფესტაცია. შექსპირისეული „კორიოლანოსია“ სათაური და ალუზია ქმნიან საერთო სიუჟეტურ ფონს და მიუთითებენ ბელადისა და მასების, „გმირისა“ და „ბრბოს“ ურთიერთდამოკიდებულების არსზე.

„ბუნებრივი სიფხიზლე...“ — XX საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსის ედმუნდ გუსერლის სიტყვებია. ამ სიტყვების საპასუხო ექოს წარმოადგენს ორლესულ-ირონიული ფრაზა პირველი ნაწილიდან ბოლოს: „ეს, ყველაფერი რაიც ვიხილეთ“. გუსერლი აღწერს „ბრბოს ადამიანის“ აღქმას: „ფუჭე „მე“ უაზროდ მიმოიხილავს რომელიმე ობიექტს და მას მეტად საოცარი ასოციაციით უკავშირებს საკუთარ თავს“. ელიოტისეულ კონტექსტიც ანალოგიურია: გუსერლის ფრაზა აქ წინ უძღვის დიქტატორის, სამხედრო ყერპის, ფაშისტური ტიპის სახელმწიფოებრიობის ძველი რელიგიის საზეიმო სვლის მისტიფიცირებულ სანახაობას (იტალიური ფაშიზმია და გერმანული ნაციზმის ეროვნული ეთოსის ანტიკური მასკარადი).

იარაღისა და აღჭურვილობის სია თითქმის ზუსტადაა გადმოღებული ჰიტლერის თანამოღვაწის, გეხერალ ერიკ ლიუდენდორფის წიგნიდან: „მომავალი ომი“, ლიუდენდორფს ჩამოთვლილი აქვს ვერსალის ხელშეკრულებისადმი ანტანტის მიერ წარმოებული გერმანული შეიარაღების რეკვიზიცია.

„Et les soldats...“ — ისევე როგორც საზეიმო სვლის აღწერილობის ფრანგული ფრაზა მიგვითითებს ფრანგი ლიტერატორის შ. მორასის წიგნზე „გონის მომავალი“, სადაც რომელიღაც ლიტერატურული პერსონაჟის საპატივცემულოდ მოყვანილია კომიკური ანგარიში წარმოსახვითი გრანდიოზული აღლუმისა.

„კორიოლანოსის“ მეორე ნაწილი — ბურჟუაზიული დემოკრატიის პოლიტიკური და სოციალური ფონის წარმოსახვაა, სწორედ **ამ ფონზე წარმოიშობა საუკუნის სამხედრო დიქტა-**

ტურის იდეოლოგია და ესთეტიკა. პოეტური თემა კი უშუალოდ მოცემულია პირველსავე სტრიქონში ესაიას წინასწარმეტყველებათა მითითებით (XL, 6): „ხმა ამბობს: ეხარე! კეთხულობს: რა ვახარო? ბალახია ყოველი ხორციელი და ყოველი მშვენება მისი—მინდვრის ყვავილი...“

„ვოლსკთა კომისიასთან“ — ვოლსკების ტომთან წარმოებს ომი შექსპირის „კორიოლანუსში“.

„ო, მანტუელო“ — XIII საუკუნის იტალიელი ტროუბადურისა და საზოგადო ოღვაწის სორდელლოს მიმართვაა ვერგილიუსისადმი „სალხინობელის“ სიგალობელში. ელიოტს მეფეველობაში აქვს დანტეს მსჯელობა **თანამემამულეთა იმ საბედისწერო უუნარობის შესახებ, რომ ისინი ვერ მიუზღვავენ კეისარს კეისრისას და ღმრთისას ღმერთს.** მითითება ხდება ელიოტის სტრიქონთან (ბაყაყების შესახებ) ვერგილიუსის „გეორგიკის“ სტრიქონის (I, 378) თანაფარდობის გამო: რომაელი პოეტი ვედრებით მიმართავს ოჯახის ღვთაებას—ვესტას და ითხოვდობას შესთხოვს მას.

დედისადმი მიმართვა, პოეტურ რეფრენად რომ იქცევა,— შექსპირისეული კორიოლანუსის სიტყვებია.

„ამაღლებითა და დაცემით, ბოლოს ნეშტადქცეული“ — ვერცნობამდე სახეშეცვლილი სიტყვებია კიპლინგის ცნობილი მოთხრობის „მაჰომედ-დინას ისტორიის“ ეპიგრაფიდან: „...დამტვერილ ყრმათა, მოხტუნავეთ, ეცეშიან და რომ გაჰყვირიან“ (შესაბამისობა ინგლისურ ტექსტში — ელიოტისეულ ბრჭყალებს რომ არ ამართლებენ, — უფრო ცხადია).

„გადადგომა გადადგომა გადადგომა“ — ბეთჰოვენის უვერტურის, — „კორიოლანოსის“ დასაწყისით სამ აკორდს შეესაბამება.

ХАКОМО КАЗАНОВА

ჩემი თავგადასავალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1750-51

თავი XIII

დავა პარიზელ მართლმსაჯულებასთან. — მადემუაზელ ვეზიანი

ჩემი დიასახლისის, ქალბატონი კენსონის უმცროსი ქალიშვილი ჩემს ოთახში დაუპატიჟებლად შემოსვლას დაეჩვია. ყმაწვილი ქალი გახლდათ, თხუთმეტ-თექვსმეტი წლისა. დიდი გამოცდილება და გამჭრიახი თვალი არ მჭირდებოდა, რომ შემემჩნია: აშკარად ვუყვარდი. სასაცილო იქნებოდა მრისხანე და უკარება მამაკაცის როლი მეთამაშა, როცა გოგონა ერთობ მომხიბლავად გამოიყურებოდა: შავგვრემანი, ცოცხალი, თავაზიანი იყო, თანაც მშვენივრად მღეროდა.

პირველი ოთხი-ხუთი თვე ჩვენ შორის ბავშვური ღლაბუცის მეტი არაფერი ყოფილა, მაგრამ ერთხელ, გვიან ღამით დაბრუნებულს ჩემს საწოლზე ღრმად ჩაძინებული დამხვდა. ვიცოდი, არ გაელვიძებოდა, გავიხადე და გვერდით მიეუწექი. გამთენიისას დავშორდით ერთმანეთს.

სამი საათიც არ იქნებოდა გასული, მიმიმ რომ დამტოვა, და ახლა ერთმა მკერავმა ქალმა მომაკითხა მშვენიერ გოგონასთან ერთად. საუზმეზე დავიწვიე. ისეთი კარგი გოგონა იყო, გეფიცებით, ერთი საუზმის ხარჯს ნამდვილად ამინაზღაურებდა. მშფოთვარე ღამის შემდეგ დასვენება მესაჭიროებოდა. ცოტა ხანს გავესაუბრე ქალებს და მერე ვითხოვე, დამტოვეთ-მეთქი. გავიდნენ თუ არა, ქალბატონი კენსონი და მისი ქალიშვილი ამოვიდნენ ოთახის დასალაგებლად. ხალათი შემოვიცვი და საწერად დავჯექი. ლოგინის დალაგებას რომ შეუდგა, ქალბატონმა კენსონმა წამოიყვირა:

— ოჰ, დახეთ, რა საძაგლობაა!

— რა მოხდა, ქალბატონო?

— ყველაფერი ცხადზე ცხადია. რა მოხდა, ბატონო და, მთელი ზეწარი დასვრილია.

— ძალიან ვნანობ, ძვირფასო ქალბატონო! გამოცვალეთ ზეწარი და ბოროტებაც გამოსწორდება.

ოთახიდან გაცეცხლებული გაიარდა, თან იმუქრებოდა:

— თაკი მომჭერით, თუ მაგ ჭინამუსოები სახლში შემოუშვა... კიდევ ერთხელ მოვლენ და ნახავენ თავიანთ სეირს!

დავიმარტოხელე თუ არა, მიმის ვუსაყვედურე, ასე გაუფრთხილებლად რად მოიქეცი-მეთქი. სიცილით მიპასუხა, ეს ორი ქალი თვით სიყვარულის ქალ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 1—2, 1994 წ.

ღმერთმა გამოგვიგზავნა, რათა გულუბრყვილობისა და დაუდევრობისთვის არ დავსჯილიყავით, მან დაგვიფარა და გადაგვარჩინაო.

ამ დღიდან მოყოლებული, მიმის ჩემთან მოსვლა აღარ ერიდებოდა. ხლომის წადილს აყოლილი ლოგინში ჩამიგორდებოდა და, თუ მეც გუნებაზე გახლდით და უარით არ გავისტუმრებდი, დილამდე ვსიამტკბილობდით. დილაადრიან ... ლებლად გასხლტებოდა თავის ოთახში. ოთხი თვის თავზე ... მიცხადა, ჩვენი საიდუმლო მალე საქვეყნოდ გაცხადდებაო. ძალიან გაებრაზდი და დავიბენი. არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი.

—რაღაც უნდა მოვიფიქროთ...

— ჰოდა, იფიქრე...

— რაზე უნდა ვიფიქრო? რაც მოსახდენია, მოხდეს! მე იმ აზრზე ვდგავარ, ეგებ უმჯობესია საერთოდ არ ვიფიქრო ამაზე.

მეექვსე თვეზე მუცელი ისე დაუმრგვალდა, რომ დედამისს სამარჩიელი აღარაფერი ჰქონდა. გამწარებულმა იმდენი ურტყა, ბავშვის მამის ვინაობა ათქმევინა. მიმიმ დამასახელა და დარწმუნებული ვარ, ტყუილი არ უთქვამს.

ამ აღმოჩენით აღგზნებული ქალბატონი კენსონი ალქაჯივით შემომიყარდა ოთახში. ჯერ სავარძელში ჩაესვენა სულისმოსათქმელად, შემდეგ ტყეიაწამლით სავსე კასრივით აფეთქდა და საშინელი ლანძღვა-გინება სეტყვასავით მომაყარა. ბოლოს გამომიცხადა, ჩემი ქალიშვილი ცოლად უნდა შეირთოთო. ეს განაჩენი რომ გავიგონე, მივხვდი, რა მახეშიც გავები, და საქმე უცებ რომ მომეთავებინა, ვუთხარი, იტალიაში ცოლი მყავს-მეთქი.

— ოჰ! თუ ასე იყო, ეაუბატონო, ჩემი ქალიშვილი რად დააორსულეთ?

— გარწმუნებთ, ქალბატონო, ასეთი განზრახვა არ მქონია, თანაც ვინ გითხრათ, რომ მაინცდამაინც მე დავაორსულე?

— თვითონ მითხრა, დარწმუნებული ვარო.

— ყოჩაღი გოგონა ყოფილა! მე კი, ქალბატონო, მზადა ვარ დავიფიცო, რომ დარწმუნებული არ გახლავართ.

— აბა, რა უნდა ვქნათ?

— არაფერი. თუ ორსულადაა, — შვილსაც გააჩენს ალბათ.

იგი დაბლა ჩავიდა, თან გზადაგზა გინებასა და მუქარას არ მაკლებდა. მეორე დილით უბნის კომისართან გამომიძახეს. მივედი და მოჩმახული ბრალდებებით შეიარაღებული და საომრად გამზადებული ქალბატონი კენსონიც იქ დამხვდა. მთელი რიგი შარიანი შეკითხვების შემდეგ, კომისარი დაინტერესდა, აქ დამსწრე მომჩივანი დედის ქალიშვილს შეურაცხყოფა თუ მიაყენეთო.

— ბატონო კომისარო, უმორჩილესად გთხოვთ, სიტყვასიტყვით ჩაიწეროთ ჩემი პასუხი.

— ბატონი ბრძანდებით.

— არავითარი შეურაცხყოფა მიმისთვის, ანუ მომჩივანის ქალიშვილისთვის არ მიმიყენებია. შემიძლია დავიმოწმო თვითონ ქალიშვილი. ორივე მხარეს, ე. ი. მეცა და მომჩივანის ქალიშვილს, ერთმანეთთან მეგობრული გრძნობები გვაკავშირებდა. ჩემდამი მუდამ კეთილად იყო განწყობილი და მეც ასევე ვექცეოდი.

— იგი აცხადებს, რომ თქვენგან დაფეხმძიმდა.

— შესაძლებელია, მაგრამ მოლად სარწმუნოც არ არის.

— დარწმუნებულია თავის სიმართლეში, რადგან თქვენს გარდა სხვა მამაკაცი არ უნახავს.

— თუ არა სტყუის, უბედური ყოფილა. ყველა მამაკაცს ამგვარი განცხადებები მხოლოდ კანონიერი ცოლისაგან სჯერა.

— რა დაალევინეთ, რომ შეგეცდინათ?

— არაფერი. და საერთოდ, ჩვენ ორში შეცდენილი ვინ იყო, კიდევ საკითხავია. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მსხვერპლი სწორედ რომ მე — ვახლდით. მთელი გულახდილობით ვაცხადებ, თვითონ შემაცდინა. მერე კი, ვალიარებ, წინააღმდეგობა აღარ გამიწევია... როცა ქალი ლამაზია, ჩემი შეცდენა იოლია... ისე კი, თანხმობას უცებ მივაღწიეთ.

— ქალიშვილი თუ იყო?

— არც იქამდე, არც შემდეგ ამ საკითხით არ დავინტერესებულვარ, ამიტომ, ბატონო, ჩემი პასუხი ცალსახად არ ეცი.

— დედამისი თქვენგან სატისფაქციას მოითხოვს. ამიტომ, არსებული კანონმდებლობით, დამნაშავე ბრძანდებით.

— ვერავითარ სატისფაქციას დედამისი ჩემგან ვერ მიიღებს. კანონზე კი, აი, რას მოგახსენებთ: კანონს მაშინ დავექვემდებარები, როცა დამარწმუნებთ, რომ ქალი მართლაც მე დავაორსულე.

— დანაშაული ჩადენილია და დამნაშავე რომ ბრძანდებით, ეს ცხადზე ცხადია. კაცი, რომელიც პატიოსან ქალიშვილს საკუთარ სახლში ბავშვს გაუჩენს, განა არ არღვევს საზოგადოებრივ კანონებს?

— დამნაშავე მაშინ ვიქნებოდი, აი, ეს ქალბატონი რომ შემეცდინა. ახლა კი ერთ ამბავს დაუფიქრდით: როდესაც დედა თავის ქალიშვილს ახალგაზრდა კაცთან ოთახში შეაგზავნის, განა უფრო მართებული არ არის, ასეთმა დედამ გაცილებით მშვიდად გადაიტანოს ყველაფერი, რაც ამგვარ შეხვედრებს შეიძლება მოჰყვეს?

— იგი ქალიშვილს მომსახურების მიზნით გიგზავნიდათ.

— სწორედაც როგორც მემსახურებოდა, ისე მოვემსახურე მეც, თუ ამ სალამოსაც გამომიგზავნის და მიმი თანახმა იქნება, ღონეს არ დავიშურებ და საუკეთესოდაც მოვემსახურები. მხოლოდ ნებით, ძალდაუტანებლად, ნებით და ჩემს ოთახში... ოთახის ქირას კი, ეს გაითვალისწინეთ, ყოველ თვე დროზე ვიხდი.

— რაც გინდათ, ის ილაპარაკეთ. მე კი უნდა დაგაჯარიმოთ.

— ვერ გეტყვით, რომ თქვენი გადაწყვეტილება სწორად მიმაჩნდეს და ამიტომ არაფერს გადავიხდი, რადგან სისულელეა გადაიხადო ჯარიმა მაშინ, როცა კანონს არ არღვევ. თუ დამაპატიმრებთ, სანამ სამართლიანობა აღდგება, ყველგან გიჩივლებთ. საკუთარ თავს კარგად ვიცნობ, არასოდეს ვყოფილვარ იმდენად უნიათო და ლაჩარი, არ მოეფერებოდი ლამაზ ქალს, ჩემს საკუთარ ოთახში რომ მეარშიყება. დარწმუნებული ვარ, გოგონა სულაც დედამისის მოგზავნილი იყო.

დაკითხვის ფურცელი წავიკითხე, ხელი მოვაწერე და შინ წამოვედი.

მეორე დღეს პოლიციის ლეიტენანტმა გამომიძახა. ჯერ მე დამკითხა, მერე დედა-შვილი და ბოლოს გამამართლა. ქალბატონ კენსონს სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება მიუსაჯეს. მიმიმ ტირილი დაიწყო. ვერ გაუძელი ცრემლთა ამ ნიაღვარს და დედამისს შევეწიე: ქალიშვილის მოსამშობიარებლად ფული მივეცი. ბიჭი ეყოლა. ბავშვთა თავშესაფარში გააბწესეს. ასე და ამგვარად, ჩემდა უნებლიეთ ფრანგებს კიდევ ერთი მოქალაქე შევმატე. ცოტა ხანში მიმი მშობლიური სახლიდან გაიქცა და სენ-ლორენის ბაზრობაზე კომიკური მსახიობი გახდა. აქ არავინ იცნობდა და ამიტომ არ გასჭირვებია ისეთი საყვარელი გამო-

ეძებნა, ვისაც თავს ქალწულად მიასალებდა. ერთხელ, ოპერას რომ ვესწრებოდი, გადავაწყდი და ძალიან მომეწონა.

— არ ვიცოდი, — ვუთხარი, — მუსიკოსი თუ იყავი.

— ჩემი ამხანაგებისგან არაფრით განვსხვავდები. არც დიდი მუსიკოსი ვახლავარ, მაგრამ ჩვენს გუნდში ბევრია ისეთი, ვინც ერთი ნოტიც არ იცის, პარიზის ოპერის გოგონებიც დიდად ვერ ერკვევიან სანოტო სისტემაში. მაგრამ თუ ხმა გაქვს და გემოვნებაც არ გაკლია, ისე იმღერებ, მაყურებელი კმაყოფილი დაგრჩება.

ვახშმად პატიუსთან მივიყვანე. პატიუს მოეწონა, ლამაზი გოგონაო, და ის საღამო საამოდ გავატარეთ. ჩვენი შეხვედრიდან დიდი დრო არ გასულა, მისი ბედი უკუღმა დატრიალდა; თურმე ხელიდან ხელში გადადიოდა და მერე უგზოუკვლოდ გადაიკარგა.

იმხანად იტალიელ კომიკოსებს ცნობილ ოპერებსა და ტრაგედიებზე პაროდიების დადგმის ნება დართეს. გავიცანი ცნობილი მომღერალი ქალი შანტილი, რომელიც ადრე საქსონიის მარშლის საყვარელი იყო, ახლა კი ქალბატონ ფავარად იხსენიებოდა: თურმე ვინმე პოეტ ფავარს შეყვარებოდა და ცოლადაც შეერთო. ბატონი დე ფონტენელის „თეტიდა და პელეუსის“ მიხედვით დადგმულ პაროდიაში შანტილი ტონტონას როლს ისეთი წარმატებით ასრულებდა, რომ არიის დასასრული ტაშის გრიალში აღარ ისმოდა. გამორჩეული სილამაზისა და ნიჭიერების წყალობით მან მთელ საფრანგეთში ცნობილი და უაღრესად ღირსეული ადამიანი მოხიბლა. ეს გახლდათ აბატი ვუაზენონი, რომელსაც ისევე დავუმეგობრდი, როგორც კრებიიონს. თეატრისთვის დაწერილი ყველა თხზულება, ქალბატონ ფავარს რომ მიაწერენ, სინამდვილეში აბატ ვუაზენონს ეკუთვნოდა. პარიზიდან ჩემი წასვლის შემდეგ იგი აკადემიაში აირჩიეს. ძალიან ვაფასებდი ჩვენს მეგობრობას და ისიც უაღრესად გულთბილად მექცეოდა. სწორედ ჩემი რჩევით იყო, რამდენიმე ორატორია ლექსად რომ დაწერა. ეს ორატორიები პირველად ტიუილრიში შეასრულეს, თანაც იმ სარიტუალო დღეებში, როცა სარწმუნოება თეატრალურ წარმოდგენებს კრძალავს.

ეს სათნო აბატი მრავალი კომედიის ანონიმი ავტორი გახლდათ. პირველი დანახვისთანავე იტყოდით, ნეტა სული რითი უდგას ამ სუსტსა და ჩია სხეულშიო. სამაგიეროდ, ნიჭითა და თავაზიანობით იყო გამობრწყინებული. მისი ცნობილი გამოთქმანი და ოხუნჯობანი ბასრი კი იყო, მაგრამ გულს არავის სტკენდა. მტრად არაეინ გადაუკიდებია, რადგან მისი კრიტიკის მახვილი მხოლოდ კანის ზედაპირზე დასრიალებდა და დასაჭრელად არავის იმეტებდა. ერთხელ ვერსალიდან დაბრუნებულს ვკითხე, ახალი რა არის-მეთქი.

— მეფე უკვე ამოქნარებს, — მიპასუხა, — რადგან ხვალ პარლამენტში, მართლმსაჯულების სარეცლის[1] მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს.

— რატომ ეძახიან მართლმსაჯულების სარეცელს?

— არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ მართლმსაჯულებას ზედ სძინავს.

პრაღაში გრაფ ფრანსუა ჰარდიგს ბრწყინვალე პიროვნებას რომ შევხვდი, მისი ორეული მეგონა. ახლა იგი იმპერატორის სრულუფლებიანი წარმომადგენელია საქსონიის კარზე.

აბატმა ვუაზენონმა გამაცნო ფონტენელი, რომელიც მაშინ ოთხმოცდაცამე-

[1] მართლმსაჯულების სარეცელი — სასამართლო პალატის სახელმო სხდომა. პარიზის პარლამენტში, რომელსაც მეფე ესწრებოდა.

ტი წლისა იყო. საღად და დინჯად მეტყველებდა. ამ ენამჭევრ და ენამოსწრებულ ადამიანს ჰუმანურ მეცნიერებათა გარდა ფიზიკაც ღრმად ჰქონდა შესწავლილი. ჩვეულებრივი მისალმების დროსაც გამოაჩენდა ხოლმე მახვილგონიერებას, რადგან მოვალეობის მოსახდელად არასოდეს არაფერი გაუკეთებია.

ვუთხარი, იტალიიდან თქვენს სანახავად საგანგებოდ ჩამოვედი-მეთქი.

— გული მიგრძნობდა, ბატონო, და ამიტომაც დაგელოდეთ ამდენ ხანს.

თავაზიანი და, იმავდროულად, კრიტიკული პასუხით ჩემი არაგულწრფელობა ჭკვიანურად და დელიკატურად გამოააშკარავა. თავისი წიგნები მაჩუქა და მკითხა, ფრანგული სპექტაკლები თუ მოგწონთო. ვუთხარი, ოპერაში „თეტიდა და პელევსი“ ვნახე-მეთქი. მისი პიესა იყო და როცა შევაქე, ღიმილმორეულმა მიპასუხა: „თეტიდა“ თემიდან ნუ გადაგვახვევინებსო.

— პარასკევს ფრანგულ თეატრში „ათალი“ ვნახე.

— ეს რასინის შედევრია, ჩემო ბატონო. ვოლტერი ცდებოდა, როცა ამ ოხზულების განქიქება დამაბრალა და ვილაც უცნობი ავტორის ეპიგრამაც მე მომაწერა.

ზემოხსენებული ეპიგრამა ასე თავდებოდა:

ნეტა „ესთერი“ რად არ გვაკმარე?
რად გაითხარე ორგზის სამარე?!

ხმები დადიოდა, რომ ბატონ დე ფონტენელს უნაზესი მეგობრობა აკავშირებდა ქალბატონ დე ტანსენთან. ამ სიახლოვის ნაყოფი ბატონი დ'ალამბერი გახლდათ, ხოლო ლე რონი მისი მამა კი არა, მამობილი იყო. ეს დიდი ფილოსოფოსი ერთ საიდუმლოს ფლობდა: იმ საზოგადოებაში, სადაც მეცნიერებაში ნაკლებად გათვითცნობიერებული ხალხი იკრიბებოდა, თავის წარმოჩენას არ ცდილობდა და მეცნიერულ სჯა-ბაასს ერიდებოდა. საერთოდ კი, საუბრისას ეგზომ დიდ განათლებასა და ნიჭიერებას აფრქვევდა, რომ თანამოსაუბრე მისგან ბევრს იძენდა.

1757 წლის დასაწყისში, როცა „ტყვიის ციხეებიდან“[1] გამოქცეული მეორედ დავბრუნდი პარიზში, გული სიხარულით მევსებოდა, ფონტენელს შევხვდები-მეთქი, მაგრამ ჩემი ჩამოსვლიდან ორი კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

როცა პარიზს მესამედ ჩამოვედი და გადავწყვიტე, ჩემი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს აქ გავლევ-მეთქი, იმედს ბატონი დ'ალამბერის მეგობრულ კეთილგანწყობაზე ვამყარებდი, მაგრამ ვაი ჩემს უიღბლობას: ჩემი ჩამოსვლიდან მეთხუთმეტე დღეს ისიც გარდაიცვალა. ეს იყო 1783 წლის მიწურული. დღეს ვგრძნობ, პარიზი და საფრანგეთი მაშინ უკანასკნელად ვნახე. აფუთფუთებული ხალხი მაშინებს და უკვე საკმაოდ ბებერი გახლავართ, მათ დაშოშმინებას რომ მოვესწრო.

ბატონმა გრაფმა დე ლოზმა, ვერსალის კარზე პოლონეთის მეფის ელჩმა და საქსონიის ელექტორმა, 1751 წელს შემომთავაზა იტალიურად მეთარგმნა რომელიმე ფრანგული ოპერა, რომელსაც ჩემი ჩარევა მაინცდამაინც არ გააფუჭებდა, აგრეთვე დიდი საბალეტო დადგმისთვის იმავე ოპერის სიუჟეტური მონახაზი გამეკეთებინა. ავირჩიე ბატონი დე კაიუზაკის „ზარათუშთრა“. იოლი საქმე არ გამოდგა. იტალიური სიტყვები ქოროს მუსიკისათვის უნდა მიმესადაგებინა, რასაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ამგვარად, მშვენიერი მუსიკა დარჩა, იტალიური პოეზია კი, ცოდვა გამხელილი ჯობს, ბრწყინვალებით არ გამოირ-

[1] ციხეებ ჭალაქ პიოომბინოში (იტალია)

ჩეოდა. და მაინც გულმოწყალე მოხარქმა ოქროს საბურნუთე მიბოძა და დედა-ჩემის პატიემოყვარეობაც ერთხანს დააკმაყოფილა.

სწორედ ამ დროს პარიზში თავის ძმასთან ერთად მადემუაზელ ვეზიანი ჩამოვიდა. სულ ნორჩი იყო, კარგად აღზრდილი, გამოუცდელი, ლამაზი და უაღრესად თავაზიანი. მამამისი, საფრანგეთის არმიის ოფიცერი, თავის მშობლიურ ქალაქში, პარმაში გარდაიცვალა. ობლად დარჩენილ გოგონას ვიღაცამ ურჩია, ყველაფერი გაყიდე და საფრანგეთში ეძიე ბედი. ასეც მოიქცა და თავის ძმასთან ერთად ვერსალს ჩავიდა. იმედი ჰქონდა მეფის სამართლიანობისა და სიკეთისა, ფიქრობდა, საარსებოდ შეიძლება პენსია რამე დამინიშნოსო. დილიჟანსიდან ფიაკრში გადაჯდა და თავი იტალიური თეატრის მეზობლად მდებარე სასტუმროში მიაყვანინა. ბედმა ინება ოტელ „ბურგუნდიაში" გაჩერებულიყო, იქ, სადაც მე ვცხოვრობდი.

დილით შემატყობინეს, რომ მეზობელ ოთახში ორი ახალჩამოსული ახალგაზრდა იტალიელი შესახლებულიყო. და-ძმაათ, ლამაზები არიანო, ბარგი თითქმის არა აქვთო, — ასე დამიხასიათეს. იტალიელები, ახალგაზრდები, ღარიბები, ახალჩამოსულები... განა ჩემი ცნობისმოყვარეობის გასაღიზიანებლად ეს ყველაფერი საკმარისი არ იყო? მივაკაკუნე და პერანგის ამარა ახალგაზრდა კაცმა კარი გამიღო.

— მაპატიეთ, ბატონო, — მითხრა, — ჩაუცმელი რომ შეგხვდით.

— პირიქით, ბოდიში მე უნდა მოგიხადოთ. თქვენი თანამემამულე გახლავართ, აქ კი მეზობლად ვცხოვრობ- ამ ორი მიზეზით მინდა გაგეცნოთ და ისიც მოგახსენოთ, რომ თქვენი სამსახური მსურს.

ლეები პირდაპირ იატაკზე იდო; ზედ ალბათ ახალგაზრდა კაცი იწვა, ფარდის მიღმა, საწოლი ოთახის ნიშში კი, ჩემი ვარაუდით, მის დას ეძინა. ბოდიში მოვუხადე, არ მეგონა, ფეხზე რომ არ იყავით, თორემ ასე დაუკითხავად არ შემოგეჭრებოდით-მეთქი.

ფარდის მიღმიდან ქალი გამომეხმაურა: მოგზაურობამ დამღალა და ამ დილით ჩვეულებრივზე დიდხანს მეძინაო.

— ამწუთას აედები და გამოვალ! — გამოგეძახა.

— თუ ნებას მომცემთ, მადემუაზელ, ახლა დაგტოვებთ და, თუკი დამიძახებთ, უმალ შემოებრუნდები. ამა და ამ ოთახში ვცხოვრობ-მეთქი.

თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, იმის ნაცვლად, — დაეძახა, ვხედავ, ჩემს ოთახში ნორჩი და მშვენიერი არსება შემოვიდა, მოხდენილი რევერანსი გამიკეთა და მითხრა, ჩემი ძმა ახლავე გეახლებათო.

მადლობა მოვახსენე მობრძანებისთვის, დავსვი და ცხოველი დაინტერესება გამოვხატე მათი ჩამოსვლის მიზეზის გამო. მის ხმაში და ყოველ წინადადებაში ჩემი თანაგრძნობით გამოწვეული მადლიერება იგრძნობოდა. შევატყვე, ამ გოგონას თვალში სრული ნდობა დავიმსახურე. გულუბრყვილოდ, მაგრამ საკუთარი ღირსების შეგრძნებით, თავისი ამბავი მომითხრო და დაწვრილებით აღწერა ის გასაჭირი, რომელშიც აღმოჩნდა.

— უფრო იაფფასიანი ბინა უნდა ვიშოვნოთ, რადგან დღესდღეობით ექვსი ფრანკიღა დაგვრჩა.

ვკითხე, სარეკომენდაციო წერილები თუ გაქვთ-მეთქი. ჯიბიდან რაღაც საბუთები ამოიღო. ხელად მოვნახე მამამისის შეიდი თუ რვა ატესტატი და მისივე დაბადების მოწმობა, აგრეთვე ქალიშვილისა და მისი ძმის დაბადების, მშობლე-

ბის გარდაცვალების, კეთილი ზნეობისა და სიღარიბის მოწმობები, ერთიც პასპორტი და სხვა არაფერი.

— სულ ესაა თქვენი ავლა-დიდება, ჩემო ძვირფასო თანამემამულევ?

— დიახ, მე და ჩემს ძმას სამხედრო მინისტრთან გვინდა მისვლა, ეგებ შეეებრალოთ და დაგვეხმაროს.

— აქ არავის იცნობთ?

— არავის, ბატონო. პირველი ადამიანი ხართ, ვისაც საფრანგეთში ჩემი ამბავი ვუამბე.

— უპირველეს ყოვლისა, თქვენი თანამემამულე ვარ. შექმნილი მდგომარეობა და თქვენი ასაკი უფლებას მაძლევს მფარველობა გაგიწიოთ. მინდა მრჩევლად დაგიდგეთ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ.

— ოჰ, ბატონო. რით უნდა გადაგიხადოთ ეს სიკეთე?

— არაფრით. მომეცით საბუთები. ვნახავ, რისი გაკეთება შეიძლება. ნურავის მოუყვებით თქვენს ამბავს და ნურც სიღარიბეზე ილაპარაკებთ. სასტუმროდან არ გახვიდეთ. აგერ, ამ ორ ლუიდორს გასესხებთ და, როცა წელში გასწორდებით, დამიბრუნეთ.

მადლიერების გრძნობით აღვსილმა გამომართვა ფული.

მადემუაზელ ვეზიანი თექვსმეტი წლის შავთმიანი, უჩვეულოდ მომხიბვლელი ქალიშვილი იყო, თუმცა სრულყოფილი მშვენიერების ნიმუშად არ ჩაითვლებოდა. ფრანგულად მშვენიერად ლაპარაკობდა: თავისი მწუხარე თავგადასავალი თავისუფლად და ძალდაუტანებლად მიამბო. ასეთი ბუნებრივი სილალე ადამიანში მხოლოდ მაშინ გამოვლინდება ხოლმე, როცა შიში არა აქვს, ვაითუ მსმენელმა ჩემი უბედურებით ისარგებლოსო. იგრძნობოდა, ამ აღსარებით თავს სულაც არ იმცირებდა, თანაც სითავხედესაც ვერავინ დააბრალებდა, იმედს არ კარგავდა და არც გულადობით ტრაბახობდა; თავი კეთილშობილურად ეჭირა, ეტყობოდა, საკუთარ ღირსებას არავის გააქელვინებდა, მაგრამ არც ეს მიაჩნდა დიდ გმირობად. ამ გოგონას ისეთი სიფაქიზე ეტყობოდა, არშიყი კაცი მის გვერდით უსათუოდ უხერხულად იგრძნობდა თავს. ამის დასტურად მეც გამოვდგებოდი: მისი თვალები, მოხდენილი სხეული, თეთრი კანი, დილის კაბა — ყველაფერი მიზიდავდა, მაგრამ პირველი წუთიდანვე ჩემი გრძნობები მისგან გამოსხივებულ უხილავ ძალას დაემორჩილა და არამცთუ ვაკადრე რამე უკადრისი, არამედ საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ ჩემდათავად არ ვიქნებოდი ის კაცი, ვინც პირველი უბიძგებდა მოლიპული გზისაკენ. ეს მოსაზრებები სხვა დროისთვის გადავდე, რადგან ამ საკითხის თაობაზე მის გამოცდას მაინც ვაპირებდი. ამჯერად კი ავუხსენი, რომ იმ ქალაქში ჩამოვიდა, სადაც მისი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო და ყველა მისი ღირსება, ღვთით თითქოსდა ბედნიერების მისაღწევად ნაბოძები, შეიძლება მისივე დაღუპვის მიზეზად ქცეულიყო.

— თქვენ ისეთ ქალაქში ჩამოხვედით, სადაც მდიდარი მამაკაცები არაფრად აგდებენ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს, — ინდობენ მხოლოდ იმათ, ვინც ქალწულობას ზვარაკივით შესწირავს. თუ უცოდველი ხართ და კვლავაც ნამუსის შენარჩუნება გაქვთ განზრახული, მაშინ ყოველგვარი გასაჭირისთვის მოემზადეთ, მაგრამ თუ შეგწევთ ძალა, რომ ცრურწმენა დათრგუნოთ და ულრუბლო ცხოვრების მისაღწევად თავად წარმართოთ თქვენი ბედ-იღბალი, ეცადეთ მაინც, — არ მოტყუვდეთ. ნუ ირწმუნებთ იმ მოოქრულ სიტყვებს, ჟინით შეპყრობილი და თქვენს წყალობას მ-ოჟურებული მამაკაცი საკენკივით წინ რომ დაგიბნევთ; მხო-

ლოდ მაშინ ენდეთ, როცა სიტყვებზე ადრე საქმეს იხილავთ, რადგან დაკმაყოფილებული ვნება უცებ ქრება, თქვენ კი მახეში გაბმული აღმოჩნდებით. ვითომდა უანგარო გრძნობებსაც ერიდეთ იმ ადამიანებისა, ვისაც თქვენი სილამაზე მოხიბლავს: იცოდეთ, ნამდვილი განძის საფასურად მხოლოდ ყალბი ძეხეტები შეგრჩებათ ხელში. უკარება იყავით. დარწმუნებული ვარ, თავშეკავება არაფერს გავნებთ, პირიქით, იმედი მაქვს, დაგეხმარებათ კიდეც; გულწრფელობაში ფინდა დაგარწმუნოთ და ძმასავით მოგექცევით, რადგან ჩემს ასაკში, მამად მიგულეთ-მეთქი, რომ გითხრათ, სასაცილო იქნებოდა. იმასაც მოგახსენებთ, აუტკივარ თავს არ ავიტკივებდი, ამდენი ლაპარაკით არ დაგღლიდით და არც დავიღლებოდი, მაგრამ მომეწონეთ და თქვენთვის სიკეთე მინდა.

ამ დროს მისი ძმაც შემოვიდა. სასიამოვნო გარეგნობის თვრამეტიოდე წლის ყმაწვილი იყო, თუმცა საზოგადოებაში როგორ დაეჭირა თავი, ამისი, ეტყობა, არაფერი იცოდა. ცოტას ლაპარაკობდა და სახეზე ისეთი გამომეტყველება დასთამაშებდა, თითქოს ამქვეყნად არაფერი აინტერესებდა. ვისაუზმეთ. მინდოდა თვით ყმაწვილისგან გამეგო, თუ რა ასპარეზზე აპირებდა ძალის მოსინჯვას და საერთოდ რა იტაცებდა. მიპასუხა, ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ კი პატიოსანი შრომით ვიცხოვრო.

— რამე ნიჭი ან მიდრეკილება თუ გაქვთ?

— წერა მიყვარს. ვფიქრობ, ურიგოდ არა ვწერ.

— ეს უკვე რაღაცას ნიშნავს... ქუჩაში თუ გახვალთ, თვალში ნურავის შეეჩხირებით, მოერიდეთ ყავახანებს და სეირნობისას საუბარს ნურავის გაუბამთ. შინ, დასთან ერთად ისადილეთ. ახლავე მეხუთე სართულზე პატარა სამუშაო ოთახი დაიქირავეთ, თემა შეარჩიეთ და დღესვე რამე დაწერეთ ფრანგულად, ხვალ დილით კი ნაწერი ჩამაბარეთ. თქვენ კი, ქალიშვილო, წიგნებს მოგართმევთ; აირჩიეთ რომელიმე და წაიკითხეთ. თქვენი საბუთები ჩემთანაა. თუ რა შედეგს გამოიღებს ჩემი მცდელობა, ხვალ შეგატყობინებთ, რადგან შინ გვიან ვბრუნდები.

რამდენიმე წიგნი გამომართვა და დიდი ღირსებით გამომეთხოვა. გამომშვიდობებისას მითხრა, მხოლოდ თქვენი იმედი მაქვსო.

გულით მინდოდა ამ ქალიშვილს დავხმარებოდი და მთელი დღის განმავლობაში, სადაც კი წავედი, ვეზიანების საქმეზე ვლაპარაკობდი. ყველგან, ქალებიცა და კაცებიც, ერთსა და იმავეს მეუბნებოდნენ, — თუკი კარგი გარეგნობა აქვს, ბედი უსათუოდ გაუღიმებს, ოღონდ ცდა არ უნდა დააკლოთო. ძმაზეც შემპირდნენ, თუ წერა იცის, რამეს მოვუხერხებთ, სადმე კანცელარიაში აუცილებლად გავამწესებთო. ამასობაში აზრად მომივიდა გამომენახა ვინმე გავლენიანი ქალბატონი, ვინც რეკომენდაციას გაუწევდა და ბატონ დე არჟანსონს წარუდგენდა. ჩემის ღრმა რწმენით, ეს ერთადერთი სწორი გზა იყო. სანამ ამ საქმეებს მოვაგვარებდი, და-ძმის რჩენა თავად ვიკისრე. ვთხოვე სილვიას, მოლაპარაკებოდა ქალბატონ მონკონსეის, რომელსაც სამხედრო მინისტრის გუნება-განწყობაზე დიდი გავლენა ჰქონდა. სილვია დამპირდა, გიშუამავლებო, მანამდე კი ქალიშვილის ნახვა მოისურვა.

შინ თერთმეტ საათზე დავბრუნდი და როცა ვეზიანების ოთახში სინათლე შევამჩნიე, დავაკაკუნე. კარი ქალიშვილმა გამიღო. მითხრა, თქვენი ნახვის იმედი მქონდა და დასაძინებლად იმიტომ არ დავწექიო. ჩემი საქმიანობის სრული ანგარიში ჩავაბარე. ვიგრძენი, იმდენად მადლიერი დამირჩა, რაც უნდა მეთხოვა, ყველაფერზე დამთანხმდებოდა. თავის გასაჭირზე შესაშური გულგრილობით

ლაპარაკობდა, რათა გული არ აჩვილებოდა და ტირილი არ წასკდომოდა. მაგრამ ვხედავდი, თვალზე მომდგარი ცრემლისგან გუგები როგორ უბრწყინავდა. ამ შინაგანი ტანჯვა-ჭიდილის შემხედვარემ, ისე ამოვიგმინე, თვითონვე შემრცხვა. საუბარი გაგვიგრძელდა. ორი საათი იქნებოდა, რაც პირისპირ ვისხედით. სიტყვამ მოიტანა და, კდემითა და ღირსებით აღსავსემ გამიმეორა, ერთ-არავინ მყვარებიაო. ამიტომ, მისი აზრით, ისეთი შეყვარებულის [illegible] შეწირული პატიოსნების სანაცვლოდ საკადრისად მიუზღავდა. სასაცილო იქნებოდა გვევარაუდა, რომ ეს საზღაური უთუოდ ქორწინება უნდა ყოფილიყო; ამ საუბარში ნორჩ ვეზიანს არაფერი შეშლია: არც ისე სულელი იყო, ემტკიცებინა, ვითომ მცდარ ნაბიჯს არ გადადგამდა, მსოფლიოს მთელი ოქრო მის ფერხთით რომ დაედოთ. არა! მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, ზერელე გრძნობას არ აჰყოლოდა და თავი იაფად არ გაეყიდა.

ვისმენდი ამ გულწრფელ, მისი ასაკის ყოვნისათვის საოცრად გონივრულ მსჯელობას, ვოხრავდი და ვნება მწვავდა. ნათლად ვხედავდი, იმ უმანკო კრავის გვერდით ვიმყოფებოდი, სულ მალე რომელიმე მშიერი მგლის ლუკმა რომ გახდებოდა. ოჰ, ღმერთო მაღალო, იგი სულ სხვა დანიშნულებისთვის იყო გაჩენილი! ოჯახსა და აღზრდის წყალობით შეეძლო სპეტაკი გრძნობები შეენარჩუნებინა და საძომავლო კეთილშობილება და პატიოსნება არ გაეყიდა. ვოხრავდი და ეგმინავდი, რადგან არ ხელმეწიფებოდა მისთვის ბედნიერება მომეცა, კანონიერად დავუფლებოდი, ან კიდევ ყოველგვარი სიბილწისაგან დამეცვა. უფრო მეტიც, ვხედავდი, თუკი მის მფარველად ვიქცეოდი, ბოროტებას უფრო მოვუტანდი, ვიდრე სიკეთეს, პატიოსანი გზით გამდიდრების სურვილს ჩანასახშივე მოვუშობდი და მისი დაღუპვის მიზეზი გავხდებოდი. გვერდით მივუჯექი და სიყვარულზე კი არა, ნაზ, მეგობრულ გრძნობებზე ვესაუბრებოდი... ეს კი იყო, ხშირად ეუკოცნიდი ხელებს, მკლავებსაც ვუკოცნიდი. ვერა და ვერ გადავწყვიტე, ქალი ჩემს ნებაზე დამეყოლიებინა, საქმე ჩემდა სასიკეთოდ მომეტრიალებინა და, ამგვარად, აღარავისთვის აღარ დამეთმო. ჩემთან თუ დარჩებოდა, გამდიდრების იმედი არ შეიძლება ჰქონოდა, თანაც მერე მეც გამიძნელდებოდა მისგან თავის დაღწევა. ქალები გაგიჟებით მიყვარდა, მაგრამ თავისუფლება მაინც მერჩია. ერთხელ ძალიან გამიჭირდა და თავისუფლება კინაღამ დავთმე, სრულიად შემთხვევით გადავრჩი...

ოთხი საათი გავიდა, რაც მადემუაზელ ვეზიანთან ვიჯექი. ვნება ცეცხლივით მედებოდა; მთელი ძალა მოვიკრიბე და სურვილი გადავძლიე. ქალიშვილი ამ თავშეკავებას პატიოსნებად ვერ ჩამითვლიდა და ალბათ ვერც მიმხვდარიყო, რა მიშლიდა ხელს, რომ უფრო თავისუფლად მემოქმედა; ეეჭვობ, ან ავადმყოფი ვეგონე ან უძლური მამაკაცი. წასვლისას სახეალიოდ სადილად დავპატიჟე.

მხიარულად ვისადილეთ და ნასადილევს მისი ძმა გასასეირნებლად წავიდა. ფანჯარას მიეუსხედით, საიდანაც იტალიური თეატრისკენ მიმავალი ეტლებით გაჭედილი ქუჩა ჩანდა. ვკითხე, თეატრში წასვლა ხომ არ გინდათ-მეთქი. ბედნიერი ღიმილი შემომანათა და წავედით.

ამფითეატრში დავსხეი და მარტო დავტოვე. ვუთხარი, 11 საათზე შინ დაგხვდებით-მეთქი. არ მინდოდა მასთან დარჩენა, რადგან იმ შეკითხვებს მოვერიდე, ნაცნობები რომ დამაყრიდნენ. უბრალოდ ეცვა და მისი სილამაზე მოელი ძალით ასხივებდა.

თეატრიდან გამოვედი თუ არა, ვახშმად სილვიასთან მივედი, მერე შინისკენ გავემართე. ჩვენს სასტუმროსთან მდიდრული ეტლი შეეამჩნიე. ვიკითხე, ვი-

სია-მეთქი. მიპასუხეს, ერთი ახალგაზრდა ბატონისაა, ვინც ამჟამად მადემუაზელ ვეზიანთან ერთად ვახშმობსო. ოჰო, უკვე საბედნიერო გზას დასდგომია-მეთქი, გავიფიქრე.

დილით ავდექი და, როცა ფანჯარაში გადავიხედე, სადარბაზოსთან ერთი ფიაკრი გაჩერდა. იქიდან კარგად შეკერილ დილის კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა. რამდენიმე ხანში ჩემს მეზობლად კარი გაიხუნდა. სხვა რა გზა მქონდა, უნდა მომეთმინა! გადავწყვიტე, საკუთარი თავის მოსატყუებლად გულგრილი მეთვალყურის როლი შეთამაშა. წასასვლელად გავემზადე და ქურთუკს როცა ვიცვამდი, ყმაწვილი ვეზიანი შემოვარდა და მითხრა, შინ ვერ შევდივარ, ჩემს დასთან ახალგაზრდა სენიორია, გუშინ რომ გვავახშმაო.

— ჩვეულებრივი ამბავია, — დავამშვიდე.

— მდიდარია და ძალიან ლამაზი. დაგვპირდა, ვერსალში წაგყვებით და სამსახურსაც გიშოვნითო.

— გილოცავთ. ვინ არის?

— არ ვიცი.

ამოვიღე მათი საბუთები და კონვერტში ჩავდე. ვთხოვე, დისთვის გადაეცა და წავედი. სამ საათზე მოვბრუნდი და დიასახლისმა მადემუაზელ ვეზიანის წერილი გადმომცა. თვითონ საცხოვრებლად უკვე სხვაგან გადასულიყო.

ოთახში ავედი, გავხსენი წერილი და აი, რა წავიკითხე: „გიბრუნებთ ფულს, თქვენგან რომ ვისესხე, და დიდ მადლობას გიხდით. გრაფი დე ნარბონი მომიხიბლავს და დიდად მონდომებულია, რომ მეცა და ჩემს ძმასაც სიკეთე გვიყოს. ყველაფერს შეგატყობინებთ, მისამართსაც გამოგიგზავნით. გრაფს უნდა სახლი დამიქირავოს და მპირდება, არაფერს მოგაკლებო. თქვენს მეგობრობას ძალიან ვაფასებ და გთხოვთ, ჩვენს ახლობლობას წერტილს ნუ დავუსვამთ. ჩემი ძმა მანდ რჩება, რადგან ოთახის ფული — ერთი თვით წინასწარ გადავიხადე“.

— აი, ბატონო, — ვთქვი ჩემთვის, — ასპარეზზე ახალი ლუჩია პაზეანელი გამოჩნდა, მე კი, სულელი, ბრიყვული დელიკატობის გამო, უკვე მეორედ დავრჩი ხელმოცარული. წინასწარ შემეძლო მეთქვა, — გრაფი ბედნიერებას ვერ მიანიჭებს. მადლობა ღმერთს, ამ საქმეში არ გავრეულვარ და დღეიდან ხელები დამიბანია-მეთქი, გავიფიქრე.

ფრანგულ კომედიაში წასასვლელად გავემზადე, თანაც მაინტერესებდა გამეგო, რას წარმოადგენდა ეს ნარბონი. აი, რა მომახსენა პირველმავე ნაცნობმა: მდიდარი კაცის შვილია, თავაშეებული და ყელამდე ვალებში ჩამჯდარიო. რა მშვენიერი დახასიათებაა, არა?! ერთი კვირის განმავლობაში სპექტაკლი არ გამომიტოვებია, მინდოდა შევხვედროდი და გამეცნო ეს კაცი. ვერსად რომ ვერ გადავეყარე, ეს ამბავი თანდათან გულიდან გადამივარდა. ერთხელ დილის რვის ნახევარზე ჩემთან ყმაწვილი ვეზიანი შემოვიდა და მითხრა, ჩემი და მოვიდა, თაეის ოთახშია და თქვენთან შეხვედრა სურსო. მაშინვე მივედი. დარდიანი, თვალებდაწითლებული დამხვდა. ძმა სასეირნოდ გაგზავნა და შემდეგ აი, რა მიამბო:

— ბატონი დე ნარბონი წესიერი კაცი მეგონა; ალბათ უფრო იმიტომ, რომ თავად მინდოდა წესიერი ყოფილიყო. მაშინ, თეატრში დამტოვეთ თუ არა, გვერდით მომიჯდა და მითხრა, ძალიან მომეწონეთ და, თუ შეიძლება, ნუ დამიმალავთ, ვინ ბრძანდებითო. ჩემი თაეგადასავალი, რაც თქვენ იცოდით, მოვუყევი. გახსოვთ, ერთხელ მითხარით, უნდა მოვიფიქროო, ნარბონმა კი თქვა, აქ ფიქრიც არ არის საჭიროო, და ჩვენზე ზრუნვა იკისრა. დავუჯერე და სულელივით მივენდე. მომატყუა. არამზადა გამოდგა.

ცრემლები ახრჩობდა. მეც ფანჯარასთან მივდექი, თავისუფლად რომ ეტირა. რამდენიმე წუთში მოვბრუნდი, გვერდით მიეუჯექი და ვუთხარი:

— ყველაფერი მომიყევით, ძეარფასო ვეზიან, გათავისუფლდით დარდისგან და ჩემთან თავს დამნაშაულად ნუ იგრძნობთ, რადგან ყველაფერი კარგად რომ ავწონ-დავწონოთ, თქვენი უბედურების მიზეზი მე ვარ. თქვენ ბრძანეთ ძარტი რომ არ დამეტოვებინეთ, ახლა სანაღვლო და გულის საფლეთი არაფერი გექნებოდათ.

— არა, ჩემო ბატონო, ნუ ამბობთ ასე! განა თქვენი დანაშაულია, რომ ჩემზე კარგი წარმოდგენა გქონდათ და ღონიერი გეგონეთ? თავი არ მინდა შეგაწყინოთ და ჩემი უბედურების ამბავს მოკლედ მოგიყვებით. ეს ურჩხული დამპირდა, გიპატრონებო, მაგრამ ერთი პირობით, — თუ ჩემი სინაზისა და ნდობის ნაღდ დასტურს მივცემდი. ნდობა კი აი, როგორ უნდა გამომეხატა: საცხოვრებლად ქირით გადავსულიყავი ერთი პატიოსანი ქალის სახლში. დაჟინებით მოითხოვა, ძმა აქ დატოვე, რადგან ბოროტმა ენებმა შეიძლება მოჭორონ, რომ შენი საყვარელიაო. გამოგიტყდებით, დიდი გარჯა არ დასჭირვებია, ადვილად დამარწმუნა ამ გადაწყვეტილების სისწორეში. რა უბედური ვარ! როგორ მივენდე ასე უცბად და რჩევაც არ ვიკითხე?! მითხრა, ის პატივცემული ქალი, ვის სახლშიც მიმყავხარ, ვერსალში თავად წაგიყვანსო. თვითონ კი ჩემს ძმას წამოიყვანდა და ორივეს სამხედრო მინისტრთან წარგვადგენდა. ვახშმის შემდეგ მითხრა, ხვალ დილით ეტლით გამოგივლი და წაგიყვანო, ორი ლუიდორი და ოქროს საათი მაჩუქა. მეგონა, ეს ძღვენი ვალდებულებას არ მაკისრებდა, ვიცოდი, მდიდარი კაცი იყო და როგორც თვითონ მითხრა, თქვენთვის სიკეთის მეტი არაფერი მინდა ამქვეყნადო. ქალბატონი, რომელიც გამაცნო, სულ არ მომეწონა, არ ჩანდა მაინცდამაინც პატივსაცემი. რვა დღე ისე გავატარე მათთან, ვერა და ვერ დაადგა საშველი ვერსალში ჩვენს წასვლას. გრაფი თავის ნებაზე ხან მოდიოდა, ხან მიდიოდა, ზოგჯერ სახვალიოდ შემითანხმდებოდა და, როგორც წესი, რაღაც დაბრკოლება გამოუჩნდებოდა. დღეს დილით კი დიასახლისმა გამომიცხადა, ბატონი ნარბონი იძულებულია თავის აგარაკზე გაემგზავროს, შენ კი კართან ფიაკრი გელოდება და, სადაც ცხოვრობდი, ისევ იმ სასტუმროში მიგიყვანსო. აგარაკიდან როცა ჩამოვა, გრაფი აუცილებლად მოგინახულებსო. შემდეგ ვითომ შეწუხებულმა მითხრა: თუ შეიძლება, დამიტოვეთ ოქროს საათი, რადგან გრაფს მესაათესთან მისი საფასურის გადახდა დავიწყებიათ. უსიტყვოდ ჩავაბარე საათი, თავსაფარში გამოვკარი ჩემი ბარგი და უკვე ნახევარი საათია, აქა ვარ.

— განზახული თუ გაქვთ შეხვდეთ გრაფს, აგარაკიდან რომ ჩამოვა?

— შეხვდეო? ო, ღმერთო ჩემო, რას მეკითხებით! ნეტა საერთოდ არასოდეს შემხვედროდა!

ცხარე ცრემლით ტიროდა და ვალიარებ, არც ერთი ახალგაზრდა ქალის დარდსა და მწუხარებას ჩემთვის გული ასე არ აუჩვილებია. გულწრფელად შემეცოდა და ამ რვა დღეში დაგროვილი წყენა და ბოღმა უცებ გამიქრა. ნარბონის უმსგავსო საქციელმა შემძრა, მინდოდა სადმე დამემარტოხელებინა და პასუხი მომეთხოვა... მოვერიდე და ამ საბრალო გოგონას დაწვრილებით აღარ გამოვკითხე ნაქირავებ სახლში ნარბონთან მისი ცხოვრების ამბავი. გუმანით მეტს ვხვდებოდი, ვიდრე მინდოდა, რომ მცოდნოდა. არ დავამცირე და დავინდე. კაცი ნაჩუქარ საათს რომ წაგართმევს, განა ასეთი კაცის სიმდაბლე ცხადი არ არის?! არადა, დარწმუნებული ვიყავი, ამ უბედურმა არსებამ ის საათი ნაღდად დაიმსახურა. ვეცადე დამემშვიდებინა. მადემუაზელ ვეზიანმა მთხოვა, მისთვის მამის მაგივრობა გამეწია და სიტყვა მომცა, რომ ამიერიდან აღარ ჩაიდენდა არაფერს

ისეთს, რაც ჩრდილს მიაყენებდა ჩვენს მეგობრობას, და მხოლოდ ჩემი რჩევა-დარიგებით იხელმძღვანელებდა.

— მაშ კარგი, ჩემო ძვირფასო, დღეიდან არა მარტო უღირსი გრაფი უნდა დაივიწყოთ და თქვენს მიმართ მისი დანაშაულებრივი საქციელი, არამედ საერთოდ შეცდომაც. რაც მოხდა, მოხდა... წარსულს აღარ ეშველება, დაწყნარდით და ისევ დაიბრუნეთ თქვენი ხალისიანი ოერი, ამ ერთი კვირის წინათ — რომ გამშვენებდათ, დაიბრუნეთ თქვენეული ღირსება, კეთილშობილური თავდაჭერა... გახსოვდეთ, ეს ყველაფერი მოსწონთ ადამიანებს, ვინც ამ თვისებების ფასი იცის. იცოდეთ, თუ თქვენი ნიჭი და უნარი ძველებურად არ გამოიბრწყინდება, ღირსეულ ხალხს ვერ მოიზიდავთ, როგორც არასოდეს, ახლა გესაჭიროებათ მომხიბლაობა და სილამაზე. სიმართლეს გეტყვით, ჩემი მეგობრობა დიდ სარგებელს ვერ მოგიტანთ და იმასაც არ დავმალავ, რომ უფლება ამ მეგობრობაზე მხოლოდ დღეს მოიპოვეთ და არა ერთი კვირის წინათ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არ მიგატოვებთ მანამდე, სანამ ბედს არ ეწევით. მეტს ვერაფერს შეგპირდებით გარდა იმისა, რომ დღეიადაგ თქვენზე ვიფიქრებ.

— ოჰ, ჩემო მეგობარო, ხომ არ მომესმა? ხომ ასე მითხარით, შენზე ვიფიქრებო?! მეტი რაღა მინდა? არაფერი! წარმოიდგინეთ, ისეთი უბედური ვარ, არავინა მყავს ქვეყნად, ვინც ჩემზე იფიქრებს.

ისე აღელდა, რომ უეცრად გული წაუვიდა და წაიქცა. არავისთვის დამიძახნია, თვითონ მოვუარე. გონს მოვიდა და ცოტა დაწყნარდა თუ არა, პირიზული ცხოვრების ათასი ტყუილ-მართალი ვუამბე. არ დავივიწყე თაღლითები და არამზადები, გულუბრყვილო გოგონებზე რომ ნადირობენ და მხოლოდ ამ საქმით ერთობიან. მის გასამხიარულებლად რამდენიმე ანეკდოტიც გავიხსენე და ბოლოს გამოვუცხადე, მაღლა ღმერთს უნდა უმადლოდეთ, რომ ის გაკმარათ, რაც ნარბონთან შეგემთხვაო, რადგან უბედურება ადამიანს ხშირად გამოსაცდელად მოევლინება, რათა სამომავლოდ უფრო წინდახედული გახდეს-მეთქი.

საკმაო დროს განვლო, რაც მასთან დავყავი, მოფერების სურვილიც კი არ გამჩენია. ნაზი სიბრალულით მავსებდა და ორი საათის შემდეგ, როცა დამშვიდდა და გადაწყვიტა, თავისი უბედურება გმირულად გადაეტანა, ჰოი, რა დიდი სიხარული დამეუფლა!

უცებ წამოდგა. მოკრძალებით და გულთბილად შემომაცქერდა, შემდეგ გაუბედავად მკითხა:

— სადღეისოდ რამე სასწრაფო საქმე ხომ არა გაქვთ?

— არა, ძვირფასო.

— მაშინ, პატივი დამდეთ და სადმე პარიზის გარეუბანში წამიყვანეთ: იქნებ სუფთა ჰაერზე ფერი მომიკიდეს და, თქვენი თქმისა არ იყოს, ის ოერიც დამიბრუნდეს, პატივსაცემი ადამიანების მოსანუსხად ასე რომ მესაჭიროება. ამ ღამით კარგად თუ დამეძინება, ეგებ შევძლო ისევ ბედნიერი გავხდე.

— მადლობას გიხდით ასეთი ნდობისათვის. ჩავიცვამ და წავიდეთ, თქვენი ძმაც თან წავიყვანოთ.

— რა საჭიროა?

— ძალიანაც საჭიროა. ჩემი ძვირფასი ვეზიან, ახლა იმაზე უნდა იზრუნოთ, რომ ნარბონი სირცხვილში ჩააგდოთ და აფიქრებინოთ, ასე უმსგავსოდ რად მოვიქეცი. ახლა წარმოიდგინეთ: თუკი გაიგებს, შინ მობრუნებისთანავე ჩემთან ერთად ქალაქგარეთ სასეირნოდ რომ წაბრძანდით, მის სიხარულს საზღვარი არ ექნება. მაშინვე იტყვის, რისი ღირსიც იყო, ისე მოვექეცი. მაგრამ

თუ ძმასთან და თანამემამულესთან ერთად იქნებით, ვერავინ გაგჭორავთ და ბოროტი ენები ავად ვერ მოგიხსენიებთ.

— მრცხვენია, ასე ჭკვიანურად რომ ვერ ვაზროვნებ... რასაკვირველია, აჯობებს, ძმას დაველოდოთ.

ცდა დიდხანს არ დაგვჭირვებია. ფიაკრი დავიქირავეთ და ჯერ შეგ ვსხდებოდით, ჩემ სანახავად მოსულმა ბალეტიმ რომ მოგვისწრო. გავაცანი ვეზიანები და ჩვენთან ერთად გასეირნება შეკთავაზე. უარი არ უთქვამს და გავემგზავრეთ მიზანი ერთადერთი გვქონდა: ქალიშვილი გაგვერთო და გაგვეხალისებინა, ამიტომ გადავწყვიტე „დიდლიდიანში" წავსულიყავით, სადაც გემრიელად ვისადილეთ. იმპროვიზებულმა სუფრამ ისე გაგვამხიარულა, მომსახურების ზოგიერთი ნაკლისთვის ყურადღება აღარ მიგვიქცევია.

ნასადილევს ყმაწვილი ვეზიანი შეზარხოშდა და სასეირნოდ მარტო წავიდა, მისი და კი ჩვენთან დარჩა. ჩემდა გასახარად, ბალეტი ქალის სილამაზით მოიხიბლა, ჰოდა, ვიფიქრე, ეგებ უარი არ მითხრას და ცეკვა ასწავლოს-მეთქი. მადემუაზელისგან ნებართვა არ მითხოვია, ისე ვუამბე ბალეტის ვეზიანების სეედიანი თავგადასავალი, როგორ მოუხდათ იტალიიდან წამოსვლა; ისიც კარგად გავაგებინე, რომ ამჟამად მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი იმაზე ეკიდა, დაუნიშნავდნენ მეფის კარზე მათხოვრულ პენსიას თუ არა. შემდეგ კი ასეთი მოსაზრება გამოვთქვი: საერთოდ, მშვენიერი სქესის წარმომადგენელმა, გარდა იმისა, მშვენიერ სქესს რომ განეკუთვნება, უნდა იცოდეს ისეთი ხელობა ან საქმე, რაც რაღაც შემოსავალს მოუტანს-მეთქი. ბალეტი დაფიქრდა და შემპირდა, ყველა ღონეს ვიხმარ და დაგეხმარებითო. დაკვირვებით შეათვალიერა ახალგაზრდა ქალის სხეული, აღნაგობა და განაცხადა, რომ ლანის აიძულებდა და ოპერის საბალეტო დასში ფიგურანტად ააყვანინებდა.

— ასე და ამრიგად, — დავძინე, — მეცადინეობა ხვალიდანვე უნდა დაიწყოთ. მადემუაზელის ოთახი ჩემ მეზობლადაა.

ახალშობილი გეგმა თითქმის მზად იყო, როცა უცებ ვეზიანს სიცილი წასკდა.

— მოცეკვავე გავხდები-მეთქი, აზრად არასოდეს მომსვლია. განა შეიძლება ასე სწრაფად ცეკვა ვისწავლო? განა შეიძლება პრემიერ-მინისტრივით დაინიშნოს ოპერის ბალერინა? მხოლოდ მენუეტი ვიცი და კადრილის ცეკვისას კარგი სმენა მშველის. ერთი ილეთი რა არის, ისიც არ გამომსვლია რიგიანად.

— ოპერის ფიგურანტებმა ეგენიც არ იციან, — უპასუხა ბალეტიმ.

— რა ხელფასი უნდა მოვთხოვო ბ-ნ ლანის? ვფიქრობ, ბევრის იმედი არ უნდა მქონდეს.

— არაფერიც არ უნდა მოთხოვოთ. ოპერის სტატისტებს ფულს არ უხდიან.

— მაშ, როგორ უნდა ვიარსებო?

— ეგ ნუ გალელვებთ. თქვენი გარეგნობის ქალი ათიოდე მდიდარ და დაინტერესებულ სენიორს ხელად იშოვნის. თქვენ ისღა მოგეკითხებათ, არჩევანში არ შეცდეთ. მოვა დრო და თავით ფეხამდე ბრილიანტებით მოროული გამოგვეცხადებით.

— ახლა ყველაფერი გავიგე. ოპერაში კი ამიყვანენ, მაგრამ ფულს საყვარელი გადამიხდის, არა?

— მართალი ბრძანდებით. ეს გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ოთხასფრანკიანი პენსია, რომლის მიღებას უდიდესი გარჯა დასჭირდება.

ქალიშვილმა გაკვირვებით შემომხედა, აინტერესებდა, სერიოზულად ვამბობდით ყოველივეს, თუ ვხუმრობდით. ბალეტომ ცოტა ხანით დაგვტოვა. მეც არ დავაყოვნე და უმტკივნეულოდ დავუმტკიცე, რომ უკეთესი არჩევანი არა ქონია. თუმცა შეგვიძლია რომელიმე წარჩინებულ ქალბატონთან ბოიახლის ადგილი გიშოვნოთ-მეთქი, რაზედაც გადაჭრით მიპასუხა, ასეთ სამსახურს ეჯავრებოდა. ფალთანაც კი არ ვისურვებდით.

— ოპერის სტატისტობაზე რას იტყვით?

— ისევ ეგ ჯობია.

— ხუმრობთ?

— ეს მართლაც ძალიან სასაცილოა. ვინმე დიდი ბატონის საყვარელი გაგიხდები, ის კი ბრილიანტებით ამავსებს. ყველაზე მიხარწხილი უნდა ავირჩიო.

—მშვენიერი აზრია, ძვირფასო მეგობარო, ოღონდ ძერე რქები არ დაადგათ.

— გპირდებით, სამარემდე მისი ერთგული ვიქნები. ჩემი ძმისთვისაც ვამოვნიებ სამსახურს.

— ასეც იქნება, ეჭვიც არ შეგეპაროთ.

— სანამ ოპერაში მოვხვდებოდე და ჩემი დაჩამიჩებული შეყვარებული გამოჩნდებოდეს, ეის ხარჯზე უნდა ვიცხოვრო?

ჩვენს ხარჯზე; ჩემი, ბალეტისა და ჩემი მეგობრების ხარჯზე.... არ იფიქროთ, სხვა სურვილი გვამოძრავებდეს, გარდა თქვენი მშვენიერი თვალების ხილვისა. ყველას ერთი რამ გვინდა: გონიერულად წარვმართოთ თქვენი ცხოვრება და თქვენს ბედნიერებას ხელი შევუწყოთ, დაგარწმუნეთ თუ არა?

— სავსებით. მეტსაც გეტყვით: დღეიდან მხოლოდ თქვენი რჩევის შესაბამისად მოვიქცევი, ოღონდ მეგობრობას ნუ მომაკლებთ.

პარიზში ღამით დავბრუნდით. მადემუაზელ ვეზიანი სასტუმროში დაეტოვე და ეახშმად ჩემს მეგობართან გავემართე. სუფრასთან ბალეტომ დედამისს სთხოვა, ლანის მოლაპარაკებოდა. სილვიამაც იგივე მოსაზრება გამოთქვა. — სამხედრო კანცელარიაში მათხოვრულ პენსიაზე ხლაფორთს ისევ ასეთი გადაწყვეტილების მიღება სჯობიათ. ვისაუბრეთ ერთ პროექტზე, რომელიც ამას წინათ ოპერის საბჭოზე განეხილათ, ვარაუდი ასეთი იყო: სტატისტებისა და ოპერის გუნდის მომღერლების ადგილები უნდა გაეყიდათ, თანაც დიდი ფასი დაედოთ. რაც უფრო ძვირი ეღირებოდა ადგილი, საბჭოს აზრით, ყველანი მეტი პატივისცემით მოექცეოდნენ იმ ქალიშვლებს, ვინც ამ ადგილებს იყიდდა. ეს გეგმა ჩვენი დროის უზნეობას ითვალისწინებდა და ამავე დროს გონივრულიც იყო. ახალი განაწესი, ასე თუ ისე, ღირსებას მიანიჭებდა იმ ადამიანებს, ვინც აქამდე დამცირებულად ითვლებოდა.

იმ დროს, როგორც ზემოთ შევნიშნე, ბევრი უნიჭო და მახინჯი ფიგურანტი თუ მომღერალი ძალიან კარგად ცხოვრობდა, რადგან წინასწარ იყო ცნობილი, რომ ნებისმიერი მათგანი კეთილგონიერებაზე უყოყმანოდ იტყოდა უარს და უზნეობის მორევში გადაეშვებოდა, ხოლო მათ, ვინც წესიერების გზას აირჩევდა, შიმშილით სული ამოხდებოდათ. ახალბედას თუ იმდენი ეშმაკობა ეყოფოდა, სულ რაღაც ერთი თვე თავს პატიოსნად შეინახავდა, მისი ბედი გადაწყვეტილი იყო: ამგვარი პატივსაცემი არსების ხელში ჩაგდების სურვილი ღირსეულ სენიორს აუცილებლად გაუჩნდებოდა. ნებისმიერი დიდებული აღტაცებულია ხოლმე, როცა სცენაზე რომელიმე ქალიშვილის გამოჩენისას მაყურებელი მის სახელს ახსენებს; ზოგჯერ იგი ღალატსაც პატიობს ქალს, ვინც საჩუქრებს არ ფლანგავს და მათ ურთიერთობას საიდუმლოდ ინახავს. ეშვიათად ვინმემ თქვას უარი

ფარულ სიყვარულზე, ასეთი სიყვარული ორივე მხარეს აძლევს ხელს და მაინც, დიდებული მფარველი თავის საყვარელთან სავახშმოდ წინასწარი გაფრთხილების გარეშე არასოდეს მიდის, რათა თავიდან აირიდოს ყოველგვარი მოულოდნელობა. ფრანგ დიდებულებს ერთი დაუოკებელი სურვილი კლავთ: რადაც უნდა დაუჯდეთ კმაყოფაზე აიყვანონ ოპერის ქალიშვილები. რატომ? ამბობენ ბუნებრივი კითხვა; იმიტომ, რომ ეს ასულები სამეფო აკადემიის სამსახურში არიან და, ამგვარად, მეფეს ეკუთვნიან!

შინ 11 საათზე დავბრუნდი. დავინახე, რომ მადემუაზელ ეეზიანის ოთახის კარი შეღებული იყო, და შევედი. ლოგინში იწვა.

— ახლავე ავდგები. სალაპარაკო მაქვს.

— იწექით, საუბარს ეს ხელს არ შეუშლის. ლოგინში კიდევ უფრო ლამაზი ხართ.

— მეც ასე მირჩევნია.

— რა უნდა გეთქვათ?

— დიდი არაფერი. ჩემს მომავალ საქმიანობაზე მინდა საუბარი. ვერ გამიგია, პატიოსნების გზა რატომ უნდა ავირჩიო მხოლოდ იმიტომ, რომ ისეთი ადამიანი ვიპოვო, ვისაც ჩემი პატიოსნება იმისთვის სჭირდება, რათა იგი წამართვას? ასეა?

— ზუსტად ასეა და დამიჯერეთ, ცხოვრებაში ყველაფერი კანონზომიერადაა მოწყობილი... მუდამ და ყველგან საკუთარი კეთილდღეობისთვის ვიღწვით და, შესაბამისად, ყოველი ჩვენგანი ტირანია. აი, რატომაა, რომ მოკვდავთა შორის ყველას ისა სჯობს, ვინც მიმტევებელია... თქვენ კი, ვხედავ, თანდათან ფილოსოფოსი ხდებით და ეს მომწონს.

— რა უნდა ვქნა, ნამდვილ ფილოსოფოსად რომ ვიქცე?

— უნდა იფიქროთ.

— რამდენ ხანს?

— მთელი სიცოცხლე.

— მუდამ, უწყვეტლივ?

— დიახ, მაგრამ ყველა ჩვენგანი იმდენს იძენს, რაც შეუძლია და ბედნიერების იმ ნაწილს მოიპოვებს, რაც ხელეწიფება.

— როგორ უნდა შეიგრძნო ბედნიერება?

— ბედნიერება ყოველგვარ სიამოვნებაში ვლინდება და მას ფილოსოფოსი ადამიანი თავის თავს თვითონ ანიჭებს. ბედნიერებაა აგრეთვე იმის შეგრძნება, რომ ყველაფერს საკუთარი შრომით მიაღწიე და ყველა ცრურწმენა დაძლეული გაქვს.

— სიამოვნება რაღაა და რა არის ცრურწმენა?

— სიამოვნებაა მოზღვაყებულ გრძნობა-სურვილთა დაუყოვნებლად და გადაუდებლად დაამება-დატკბობა. ესაა აღძრულ შეგრძნებათა სრული დაკმაყოფილება, ხოლო როდესაც დაშრეტილი გრძნობები დასვენებას ან ახალ ძალთა მოკრებას მოიწადინებენ, მაშინ სიამოვნება წარმოსახვაში გადაინაცვლებს. ამ შემთხვევაში გრძნობები განსჯით ტკბებიან და იმ სიმშვიდით, რასაც ამგვარი გუნებ-განწყობა ადამიანს ანიჭებს. მოკლედ, ფილოსოფოსი ის არის, ვინც არც ერთ სიამოვნებას არ იკლებს, გარდა იმისა, რაც დიდ უბედურებას უქადის, და ეისაც უნარი შესწევს — ბედნიერება თავისთვის შეიქმნას.

— თქვენ ბრძანეთ ცრურწმენისგან უნდა გათავისუფლდეო, ბარემ მითხარით, რა არის ცრურწმენა და როგორ უნდა განერიდო?

— ჩემო ძვირფასო, ახლა ისეთი რამ მკითხეთ, რაზედაც პასუხის გაცემა არც ისე იოლი საქმეა, რადგან ზნეობის ფილოსოფიაში არ არსებობს ამაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი. ესე იგი, ყველაზე ძნელად ასახსნელი შეკითხვა დამისვით. ამ თემაზე შეიძლება მთელი სიცოცხლე იფიქრო და პასუხს ვერ მიაგნო. მოკლედ გეტყვით: ცრურწმენა ისეთი ფიქტიური მოვალეობაა, რომელსაც ბუნებაში საფუძველი არ გააჩნია.

— ფილოსოფოსის მთავარი მიზანი ბუნების შესწავლაა?

— ეს მისი ერთადერთი დანიშნულებაა. ყველაზე მცოდნე ის პიროვნებაა, ვინც ნაკლებად ცდება.

— რომელი ფილოსოფოსი ცდებოდა ყველაზე ნაკლებად?

— სოკრატე.

— მაგრამ ისიც ცდებოდა?

— დიახ, მეტაფიზიკაში.

— ოჰ, ეგენი სულ არ მადარდებს... მას ხომ შეეძლო საერთოდ არ შეესწავლა ეს დარგი.

— ცდებით, რადგან თვით ზნეობა ყოველი არსებულის მეტაფიზიკაა, ყველაფერი კი, ჩემო კარგო, ბუნებაა და მე უფლებას გაძლევთ გიჟი დაუძახოთ იმ ადამიანს, ვინც მოვა და იტყვის, მეტაფიზიკაში ახალი რამ აღმოვაჩინეო. თუ ბევრს ვილაპარაკებ, ასე მგონია, უფრო დაგაბნევთ. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ წავიწიოთ წინ და ყველაფერში გაერკვევით. ნუ აჩქარდებით და იფიქრეთ, იმსჯელეთ, სწორი დასკვნები გამოიტანეთ. თუ ბედმა თქვენსკენ მოიხედა, არამც და არამც ხელიდან არ გაუშვათ და მაშინ ნამდვილად ბედნიერი იქნებით.

— თქვენი გაკვეთილი მომეწონა. დარწმუნებული ვარ, ხვალ ცეკვის მასწავლებელი ბალეტი რომ ჩამიტარებს, იმას ბევრად აჯობებს. ვიცი, მასთან მომწყინდება, ახლა კი ისე კარგად ვგრძნობ თავს...

— რატომ გგონიათ ასე? იქნებ მოწყენილი ხართ და ვერ ხვდებით?

— იმიტომ, არ მინდა წახვიდეთ.

— მართალი გითხრათ, ჩემო ძვირფასო ვეზიან, არც ერთ ფილოსოფოსს ასე კარგად არ განუსაზღვრავს მოწყენილობის არსი, როგორც თქვენ. რა სასიამოვნოა! და რატომღაც ამ სიამოვნების გამოსახატავად დიდი სურვილი გამიჩნდა თქვენი კოცნისა....

— იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი სულები მხოლოდ მაშინ ჰპოვებენ ბედნიერებას, როცა ჩვენსაკე გრძნობებთან შეგვახმატკბილებენ და გაგვაერთიანებენ....

— რაო, რა ბრძანეთ, ღვთაებრივო ვეზიან? თქვენი ნიჭიერების წინაშე მზადა ვარ ქედი მოვიდრიკო!

— თქვენ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, თქვენ გაფურჩქნეთ ჩემი ნიჭიცა და უნარიც. იმდენად მადლობელი ვარ ამ თანადგომის, მზადა ვარ თქვენს სურვილს ავყვე.

— მაშ, რაღას ვუდგევართ?! არავინ გვიშლის ხელს, ესოდენ ბუნებრივი სურვილი დავიკმაყოფილოთ! მოდით, მაგრად ჩავკოცნოთ ერთმანეთი.

ფილოსოფიის რა დიდებული გაკვეთილი ჩავატარე! ისეთი ტკბილი იყო ჩვენი შერწყმა და ბედნიერებაც ისეთი სრულყოფილი აღმოჩნდა, რომ გამთენიისას, როცა დადგა ჟამი ჩვენი განშორებისა, ჩვენ კი ერთმანეთს კვლავაც ვეხვეოდით, მხოლოდ მაშინღა შევამჩნიეთ, შემოსასვლელი კარი მთელი ღამით ღია რომ დაგვრჩენოდა.

ბალეტიმ რამდენიმე გაკვეთილი ჩაუტარა და ვეზიანი ოპერაში მიიღეს. სულ ორი თუ სამი თვე იმუშავა. ჩემს რჩევას მორჩილად მიხდიდა. მისი გამჭრიახი გონება უკვე არჩევდა კარგსა და ავს: ნარბონისნაირი კაბალერები ანკესზე ველარ წამოაგებდნენ... და ბოლოს არჩევანიც გააკეთა. მისი რჩეული სხვებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ უპირველესად თეატრს [illegible] ებინა, რადგან იმხანად წესიერ საზოგადოებაში მსახიობობა კარგ [illegible] ითვლებოდა. ეს კაცი გრაფი დე ტრენანი თუ ტრეანი გახლდათ, კარგად არ მახსოვს. ვეზიანმა მასთან მრავალი წელი ბედნიერად გაატარა და გრაფის სიკვდილამდე წუთითაც არ მოშორებია. ახლაც არაფერი უჭირს და უზრუნველად ცხოვრობს. უკვე ორმოცდათექვსმეტი წლისაა, თუმცა ამ წლოვანების ქალი პარიზში გინდ ყოფილა და გინდა არა.

ამ დროიდან, რაც სასტუმრო „ბურგუნდია" დატოვა, დიდხანს აღარ შევხვედრივარ. ერთხელ ბრილიანტებით მორთული ვნახე და ჩვენი გულები ერთმანეთს აღტაცებით მიესალმნენ. მიხაროდა, ბედნიერი რომ იყო და აღარასოდეს მიცდია. მისი სახელისთვის ჩრდილი მიმეყენებინა. ყმაწვილმა ვეზიანმაც კარგი ადგილი იშოვა და მას მერე მასზე აღარაფერი მსმენია.

1751-53

თავი XIV

მუვენიერი ო-მორფი. თაღლითი მხატვარი. ჰერცოგის მეუღლე დე შარტრთან კაბალისტიკის სეანსი. პარიზიდან წასვლა. გაჩერება დრეზდენში და ამ ქალაქიდან გამგზავრება.

ჩემს მეგობარ პატიუსთან ერთად სენ-ლორანის ბაზრობაზე ვიყავი. უცებ პატიუს აზრად მოუვიდა, ერთ ფლამანდიელ მსახიობ ქალთან, სახელად მორფისთან, ვახშმად წასულიყო. მთხოვა, მხარი ამება მისთვის და წავყოლოდი. ეს ქალი გულზე მაინცდამაინც არ მეხატებოდა, მაგრამ განა ასეთ დროს უარს ეუბნებიან მეგობარს? დავთანხმდი. როცა ვივახშმეთ, პატიუს მოესურვილა, ეს ახირება სასიამოვნო დროის ტარებით დაესრულებინა და ღამე ამ ქალთან გაეთია. არ მინდოდა მიმეტოვებინა და ვეკითხე, ეგებ სადმე ცალკე ოთახში დივანი გქონდეთ, წავთვლიმო-მეთქი.

მორფის და ჰყავდა: ცამეტიოდე წლის ზუნზლიანი გოგონა. მითხრა, თუ პატარა ეკიუს[1] მომცემთ, ჩემს საწოლს დაგითმობთო. კარგი-მეთქი, ვუთხარი. პატარა ოთახში შემიყვანა; შემიყვანა და რას ვხედავ: ოთხ ფიცარზე უპირო ლეიბი აგდია.

— შენ ამას ლოგინს ეძახი, ჩემო გოგონა?

— სხვა არ გამაჩნია, ბატონო.

— ამაზე ვერ დავწვები. შენ კიდევ პატარა ეკიუს ვერ მიიღებ.

— ოქვენ, ბატონო, ტახისამოსის გახდას აპირებდით?

— აბა როგორ?!

— რა სისულელეა, ჩვენ ზეწრები არა გვაქვს.

---

[1] პატარა ეკიუ — სამი ფრანკის ტოლფასი. ჩვეულებრივი ეკიე ექვს ფრანკს უდრიდა.

— შენ რა, ჩაცმული იძინებ?

— სრულებითაც არა.

— კარგი, მაშინ დაწექი, როგორც ჩვეულებრივ წვები ხოლმე, და პატარა ეკოუს მოგცემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ?

— მინდა ვნახო, ამას როგორ ახერხებ...

— არაფერს მიზამთ?

— არაფერს.

გაიხადა, დაგლეჯილ ლეიბზე დაწვა და ზემოდან ძველი ფარდა გადაიფარა. საოცარი გარდაქმნა მოხდა: კონკიას ნაცვლად სრულყოფილი მშვენიერება ვიხილე. დაუძლეველი სურვილი აღმეძრა, ეს გოგონა კარგად დამეთვალიერებინა. გადავწყვიტე, ეს სურვილი აღმესრულებინა. შევეხე თუ არა, კონკიამ საშინელი წინააღმდეგობა გამიწია, მაგრამ ექვსფრანკიანმა ეკიუმ მორჩილი და დამჯერე გახადა. მხოლოდ ერთი ნაკლი აღმოვუჩინე: ძალიან ჭუჭყიანი იყო და ჩემი საკუთარი ხელით თავით ფეხამდე დავბანე.

თუ ნებას დამრთავთ, ძვირფასო მკითხველო, ერთ უბრალო და ბუნებრივ დაკვირვებას გაგიზიარებთ: ხშირად მზერით ტკბობა შეუდარებლად უფრო ძლიერი საშუალებაა და უფრო მეტ სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს, ვიდრე სილამაზის სხვაგვარი ხერხებით შეფასება. ჩემდა საბედნიეროდ, შევამჩნიე, რომ უმცროსი მორფი ყველაფრის უფლებას მაძლევდა, გარდა ერთისა, რისი სურვილიც თავად არცა მქონია. გამაფრთხილა, რომ „იმაზე" არ დამთანხმდებოდა, რადგან თავის დასთან ფასზე უკვე მოთათბირებული იყო: სანუკვარი სიამოვნება ოცდახუთი ლუიდორი ღირდა. ვუთხარი, მაგ საკითხზე მერე ვივაჭროთ, ახლა კი ხელუხლებელს დაგტოვებ-მეთქი. რაკი ამგვარად მოვილაპარაკეთ, სხვა მხრივ ყოველნაირად დამემორჩილა. მასში თუმც ნაადრევი, მაგრამ აშკარად გამოკვეთილი ალერსისა და აღტყინების ნიჭი აღმოვაჩინე.

პატარა ელენმა თავის დას პატიოსნად ჩაბარა ის ექვსი ფრანკი, მე რომ მიეცი, და მოუყვა, თუ როგორ დაიმსახურა ეს ფული. წასვლისას უფროსი და კარამდე გამომყვა და მითხრა, ფული მჭირდება და, თუკი სურვილი გაგიჩნდებათ, შემიძლია რაღაც-რაღაცებზე ფასი დაგიკლოთო. სიცილით ვუპასუხე, ხვალ კიდევ მოგინახულებთ-მეთქი. პატიუს ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. უნდობლად შემომხედა და ასეთი ბრალდებაც კი წამომიყენა, — გადაჭარბება იცით. მინდოდა დამემტკიცებინა, სილამაზის ნამდვილი შემფასებელი რომ ვიყავი, და ელენთან ძალით წავიყვანე. და აჰა, აკი დარწმუნდა, რომ პრაქსიტელეს[1] საჭრეთელსაც კი უფრო სრულყოფილი ქმნილება არ გამოუკვეთია. ელენი შროშანივით თეთრი იყო და თითქოს ერთად შერწყმოდა ყველაფერი, რაც მხატვრობაში ან, საერთოდ, ხელოვნებაში შეიძლება საუკეთესო ყოფილიყო. მის სილამაზეს ისეთი სინაზე და მომხიბვლელობა ახლდა, ვისაც შეხედავდა, სულში უსაზღვრო ბედნიერების და საამური სიმშვიდის გრძნობას მოჰფენდა. ქერათმიანი იყო, მის ლურჯ თვალებს ულამაზესი შავი თვალების ბრწყინვალება ჰქონდა.

მეორე საღამოს ისევ მივაკითხე და, რაკი მის უფროს დას ფასზე ვერ შეეუთანხმდი, შევეპირდი, ყოველ მოსვლაზე თორმეტ ფრანკს გადაგიხდით-მეთქი. უფროს მორფის ჩვენთვის თავისი საწოლი უნდა დაეთმო მანამდე, სანამ მწველი ვნება მაიძულებდა ბოლოს და ბოლოს 600 ფრანკიც გადამეხადა.

---

[1] პრაქსიტელე — ბერძენი მოქანდაკე, დაიბ. ათენში დაახლ. 390 წ. ჩვ. წ-მდე, ცნობილია მისი აფროდიტეს ქანდაკებები.

მევახშის კვალობაზე თუ გადავიანგარიშებდით, დიდ პროცენტს ვიხდიდი, მაგრამ მორჩი ბერძნული წარმოშობისა იყო და ამიტომ სინდისი არ აწუხებდა დიდად. ამხელა თანხის გადახდის არანაირი სურვილი არ მქონდა, არც იმას მინდოდა დავუფლებოდი, რაც ასე ძვირი დამიჯდებოდა. მიღწეული შეთანხმება სავსებით მაკმაყოფილებდა.

უფროსი და სულელად მთვლიდა, რადგან ორ თვეში, შეიძლება იფიქვას სულ არაფერში, სამას ფრანკს ვაძლევდი. ჩემს თავშეკავებას მომჭირნეობით და სიხარბით ხსნიდა. რა მომჭირნეობა, რის სიხარბე!

მომინდა ეს უჩვეულო ნატიფი სხეული სურათზე აღბეჭდილი მქონოდა და ერთ გერმანელ მხატვარს ექეს ლუიდორად ღვთაებრივი ტილო შევაქმნევინე კიდეც. მომხიბლავი პოზა შეურჩია: მუცელზე იწვა, იდაყვებზე დაყრდნობილი, ძუძუები ბალიშზე ელაგა, თავი შემოებრუნებინა, თითქოს მხარ-თეძოზე ყოფილიყო წამოწოლილი. ნიჭიერმა მხატვარმა წელს ქვემოთ ისე ცოცხლად, ისეთი ოსტატობითა და სიმართლით წარმოსახა ქალის სხეული, უკეთესს ვერაფერს ინატრებდით. მხატვრის ნამუშევრით ერთობ კმაყოფილი დავრჩი. არ დავმალავ, — მეტყველი პორტრეტი გამოვიდა ქვეშ ასეთი წარწერა გავაკეთებინე „'O-Morphi". მართალია, ეს სიტყვა მთლად ჰომეროსისეული შეიძლება არ იყოს, მაგრამ მაინც ბერძნულია და ამ ენაზე „მშვენიერს" ნიშნავს.

აბა მითხარით, წინასწარ ვინ განსაზღვრავს ბედისწერის იდუმალ გზებს?! ჩემმა მეგობარმა პატიუმ მოისურვა, ამ პორტრეტის ასლი ჰქონოდა. მეგობარს ხომ ვერ დაუკავებ ასეთ პატარა სამსახურს?! იგივე მხატვარი დავპატიჟეთ და თავისივე სურათის ასლი გადაიღო. ისე მოხდა, ეს მხატვარი ამ დროს ვერსალში მიიწვიეს, სადაც თავისი ნამუშევრები გამოფინა და მათ შორის წარჩინებული ადგილი ელენის პორტრეტსაც მიუჩინა. ბატონ დე სენ-კენტენს ისე მოეწონა სურათი, მეფეს აჩვენა. მისი აღმატებულება, მოგეხსენებათ, ამ დარგის დიდი მცოდნე გახლდათ. მეფემ ინება საკუთარი თვალით დარწმუნებულიყო, თუ რამდენად ზუსტად ასახავდა მხატვრობა ორიგინალს და თუ იგი, ანუ ორიგინალი ასლივით მშვენიერი აღმოჩნდებოდა, მაშინ კარგად უწყოდა, რასაც დამართებდა.

ეს საქმე ბატონ დე სენ-კენტენს, მეფის გულისხმიერ მეგობარს მიანდეს, რადგან მისი სამსახური სასიყვარულო ურთიერთობათა მოგვარება გახლდათ. მხატვარი დაიბარეს, ჰკითხეს, ორიგინალის ვერსალში ჩამოყვანა თუ შეიძლებაო. მხატვარმა უპასუხა, კი ბატონო, როგორ არაო, და დაპირდა, რომ ყველაფერს დროულად გაიგებდა და მოახსენებდა.

ჩემთან მოვიდა და ყველაფერი მიამბო. მეფის წინადადება სასიკეთოდ მეგონა და უფროს დას ეს ამბავი სასწრაფოდ შევატყობინე. სიხარულისაგან ცახცახი აუვარდა. უმცროსი დაიკო კარგად დაბანა, სუფთად ჩააცვა და ორ-სამ დღეში ყველანი ერთად, მხატვრის თანხლებით, ბედის საძიებლად ვერსალის გზას გაუდგნენ.

მეფის გასართობ საქმეთა მინისტრის კამერდინერი შეხვდათ. უფროსისგან განკარგულება მიეღო, ორივე ქალი პარკის ერთ-ერთ პავილიონში ჩაკეტა, ხოლო მხატვარი ფუნდუკში მიეყვანათ, სადაც თავისი შუამავლობის შედეგს უნდა დალოდებოდა. ნახევარი საათის შემდეგ მეფე მარტო შებრძანდა პავილიონში და პატარა ო-მორფის ჰკითხა, მართლა ბერძენი ხარო? შემდეგ ჯიბიდან პორტრეტი ამოიღო, გოგონა დაკვირვებით შეათვალიერა და წამოიძახა:

— ასეთი მსგავსება არასოდეს მინახავს!

შემდეგ დაჯდა, გოგონა მუხლებზე დაისვა, მიუალერსა და, რაკი საკუთარი

მეფური ხელით დარწმუნდა, რომ უცოდველ გვრიტთან ჰქონდა საქმე, კოცნით დაასაჩუქრა.

ო-მორფი გაფაციცებით შეჰყურებდა ხელმწიფეს და თან იცინოდა.

— რა გაცინებს?

— მეცინება, რადგან ტყუპისცალივით ჰგავხართ ექვსფრანკიან ეკიუს.

ამ გულუბრყვილობამ მონარქი გულიანად გააცინა და მაშინვე ჰკითხა, ვინ-და თუ არა ვერსალში დარჩენაო.

— ეს ჩემს დაზეა დამოკიდებული, — უპასუხა პატარამ.

უფროსმა დამ არ დააყოვნა და მეფეს მოახსენა ამაზე დიდ ბედნიერებას ჩემს სიცოცხლეში ვერ ეინატრებდიო.

მეფემ დები ისევ გასალებით ჩაკეტა და წავიდა. თხუთმეტი წუთიც არ გასულიყო, თავად სენ-კენტენი მობრძანდა და კარი გააღო. პატარა გოგონა სასახლეში მიიყვანა და იქ ერთ ქალს დაუტოვა, თვითონ კი უფროს დასთან ერთად ფუნდუკისკენ გაემართა. ფუნდუკში მხატვარს პორტრეტის საფასური, 50 ლუიდორი გადასცა, ხოლო უფროსი და ხახამშრალი გაისტუმრა. მისამართი კი გამოართვა და დაამშვიდა, მალე ყველაფერს შეგატყობინებთო. მართლაც მეორე დღეს ათასი ლუიდორი გაუგზავნეს. კეთილმა გერმანელმა კაცმა ელენის პორტრეტში ოცდახუთი ლუიდორი მომცა და დამპირდა, პატიოსანზე უკეთეს ასლს დაგიხატავთ და გამოგიგზავნითო. ისიც დააყოლა, ამიერიდან, თქვენ რომ მოგეწონებათ, იმ გოგონების პორტრეტებს უფასოდ დაგიხატავთო.

კმაყოფილებით ვუმზერდი უფროსი დის, ამ ფლამანდიელი ქალის უსაზღვრო სიხარულს, როცა ათასი ლუიდორის მფლობელი გახდა! თავს უკვე მდიდარ ადამიანად თვლიდა, მე კი — მისი ბედნიერების თანსნად, და არ იცოდა, მადლიერების გრძნობა როგორ გამოეხატა.

ნორჩი და მშვენიერი ო- მორფი (მეფე თურმე გვარით მიმართავდა მხოლოდ) იშვიათ სილამაზესთან ერთად გულუბრყვილობითა და ხალისიანი გუნებითაც გამოირჩეოდა და ამის გამო მოწონებია მონარქს. ელენისნაირი სწორი და ნატიფი სახის ნაკვთები სხვაზე აღარც მინახავს. მეფემ ახალ საყვარელს ირმების პარკში ცალკე ბინა მიუჩინა. ეს პარკი მუსუსი ხელმწიფის ნამდვილი ჰარამხანა იყო, სადაც მხოლოდ მეფის კარზე წარმოდგენილ ქალებს შეეძლოთ შესვლა. წლისთავზე ვაჟი შეეძინა, რომელიც, სხვების მსგავსად, სად გააქრეს, არავინ უწყის. დედოფლის სიცოცხლეში არავინ იცოდა, რა ბედი ელოდათ ლუი XV-ის უკანონო შვილებს.

ო-მორფიმ სამი წლის თავზე მეფის გულისწყრომა დაიმსახურა და ვერსალიდან დაითხოვეს, მაგრამ მონარქმა 400 ათასი ფრანკი აჩუქა და ელენმა ეს თანხა მზითვად მოუტანა ერთ ბრეტონელ ოფიცერს. 1783 წელს ფონტენებლოში ყოფნისას ერთი ლამაზ-ლამაზი ახალგაზრდა კაცი გავიცანი. დაახლოებით ოცდახუთი წლისა. ამ ქორწინების ნაყოფი აღმოჩნდა და დედამისის მშვენიერი ასლი იყო. არაფერი იცოდა მის წარსულზე და მეც საჭიროდ არ მივიჩნიე რაიმეს თქმა. უბის წიგნაკში ჩემი გვარი ჩავაწერინე და ვთხოვე, მოკითხვა გადაეცა თავისი დედისათვის.

მადამ დე ვალენტინუას ბოროტი ხუმრობის გამო მეფემ მშვენიერ ო-მორფის არათუ წყალობა მოაკლო, შერისხა კიდეც. მონაკოს პრინცის რძალი, მადამ დე ვალენტინუა პარიზში ცნობილი ქალი გახლდათ. და აი, ერთხელაც პატარა მორფი ავ საქმეზე წააქეზა: თუ გინდა მეფე კარგ გუნებაზე დააყენო და გააცინო, ჰკითხე, თავის მოხუცებულ მეუღლეს როგორ ეალერსებაო. ვაქეაილი ქალი ად-

ვილად მიხვდებოდა, მახეს რომ უგებდნენ, გულუბრყვილო გოგონამ კი მართლაც ჰკადრა მეფეს ეს თავხედური შეკითხვა. შეურაცხყოფილმა მეფემ ძრისხანედ შეხედა და უთხრა:

— უბედურო! ვინ დაგარიგა, ასეთი რამე ჰკითხეო?

საწყალმა, ცოცხალ-მკვდარმა ო-მორფიმ დაუჩოქა და, სიმართლე აღიარა.

ის დღე იყო, მეფემ დატოვა და აღარც მობრუნებულა. ქალბატონი დე ვალენტინუა კი მეფის კარზე მხოლოდ ორი წლის შემდეგ გამოჩნდა. ლუი XV როგორც მამაკაცი, თავს დამნაშავედ თვლიდა მეულლის წინაშე და ამიტომ, როგორც მეფე, ყოველნაირად ცდილობდა შეემსუბუქებინა მისთვის ეს დანაკლისი... ვაი მისი ბრალი, ვისაც დედოფალზე უღირსი სიტყვა დასცდებოდა!

ფრანგები სულიერების ყველაზე დიდი გამომხატველი ხალხია ევროპაში და შეიძლება მთელ მსოფლიოშიც კი, მაგრამ მაინც პარიზი არის და მუდამ იქნება ის ქალაქი, სადაც თაღლითობასა და ტყუილს საუკეთესო ნიადაგი აქვს შექმნილი. როცა რაიმე სიცრუე გამოაშკარავდება, ყველანი დასცინიან მატყუარებს და ამ ამბით ერთობიან. ამასობაში კი ვინმე ახალი თაღლითი გამოჩნდება, რომელიც სხვებსა სჯობს და თავის ბნელ საქმეს მანამ აკეთებს, სანამ მისი გაქილიკების ჯერი დადგებოდეს.

ეს ყველაფერი მოდის ბატონობის უცილობელი შედეგია და ვაი რომ ამ ტყართის ზიდვა ნიჭიერ, მხიარულ და თავაზიან ხალხს უხდება. ოღონდაც გახმაურებული ამბავი ყველას უჩქეულოდ მოეჩვენოს, ხალხი კი გააოცოს, რაგინდ უგუნურიც არ უნდა იყოს, ბრბო მაინც გაითავისებს ამას, რადგან ბევრს ეშინია, სულელად არ ჩამთვალონ, თუ ვიტყვი, ეს არ შეიძლება მომხდარიყოო. საფრანგეთში მხოლოდ ფიზიკოსებმა იციან, რომ შესაძლებლობისა და რეალურ ქმედებას შორის უსასრულობა ძევს. იტალიაში კი ეს უბრალო ჭეშმარიტება საყოველთაოდაა ცნობილი, თუმცა ჩემი ნათქვამი სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ შეგნებით იტალიელები ფრანგებზე მაღლა დგანან.

ერთი უქონელი მხატვარი უცებ გამდიდრდა, რადგან თითქოსდა შეუძლებელი რამ დაიბრალა: სხეისი აღწერით, შემიძლია უცხო ადამიანის პორტრეტი დავხატოო. ერთი მოთხოვნაც ჰქონდა: პორტრეტის დამკვეთს ძალიან ზუსტად უნდა წარმოესახა მისთვის დასახატი პერსონაჟი. ამ პირობიდან უკვე გამომდინარეობდა, რომ ინფორმატორს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, ვიდრე მხატვარს, და ამიტომ ასეთი მოლაპარაკება აი, რას გულისხმობდა: დამკვეთი იძულებული იქნებოდა ეთქვა, პორტრეტი ორიგინალს ჰგავსო, რადგან სხვაგვარად მხატვარს უფლება რჩებოდა თავი ემართლებინა და ყველაფერი მისთვის დაებრალებინა. გამოდიოდა, შუამავალი ვერ ჩაწვდა დასახატი ობიექტის სულიერ თვისებებს და სწორედ მან ვერ მოახერხა ორიგინალის გარეგნობის აღწერა.

სილვიასთან ვვახშმობდი, როცა ერთ-ერთმა სტუმარმა, ყოველგვარი ირონიის გარეშე, გვაუწყა ეს უჩვეულო სიახლე. სავსებით სჯეროდა ამ ამბის ჭეშმარიტება.

— მხატვარმა, — თქვა მან, — უკვე ასზე მეტი სურათი შექმნა და ყველა პორტრეტი თავის ორიგინალს ძალიან ჰგავს.

ყველა აღფრთოვანებული დარჩა. მე ვიყავი ერთადერთი, ვინც განაცხადა, ეს შეუძლებელია და სასაცილოა-მეთქი... და გადავიხარხარე კიდეც. განაწყენებულმა მთხრობელმა შემომთავაზა, ას ლუიდორზე ნაძლევს ჩამოვიღეთო. ისევ გამეცინა და უარი ვთქვი, რადგანაც ასეთ დროს ყოველთვის გასულელებული გამოდიხარ.

— გარწმუნებთ, ყველა პორტრეტი ძალიან მიმსგავსებულია...

— არ მჯერა და მომკალით, ხოლო თუ მსგავსება მართლა არსებობს, მაშინ ნამდვილ თაღლითთან გვქონია საქმე...

მე და სილვია რომ დავეჯერებინეთ (უნდა მოგახსენოთ, ამდენ ხალხში მხოლოდ სილვია მედგა მხარში და ჩემს მოსაზრებას იზიარებდა) მეხუთეს შემოგვთავაზა იმ მხატვართან გვესადილა და ყველაფერი ჩვენ ხელში გვქონია. დავთანხმდით.

მეორე დღეს მხატვართან მივედით. ვნახეთ უამრავი გამოფენილი პორტრეტი. ყველანი ამტკიცებდნენ, რომ სურათებზე გამოხატული ადამიანები ძალიან ჰგავდნენ თავიანთ პროტოტიპებს. ვინაიდან ჩვენ არც ერთ მათგანს არ ვიცნობდით, სადავო არაფერი გვქონდა.

— ბატონო მხატვარო, — მიმართა სილვიამ, — შეგიძლიათ უნახავად ჩემი ქალიშვილის პორტრეტი დამიხატოთ?

— დიახ, ქალბატონო, იმ პირობით, თუ შეძლებთ ზუსტად აღწეროთ მისი გარეგნობა.

მე და სილვიამ ერთმანეთს თვალი ჩავუკარით და ყველაფერი, რაც შევძელით, მოვახსენეთ. მხატვარმა ბრძანა, სადილს ვახშამი მირჩევნიაო, და დასძინა, ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ვახშამად ხშირად მესტუმრებითო. სახელგატეხილი ექიმბაშივით, უამრავი წერილი და მოწმობა გვაჩვენა. ბორდოდან თუ ტულუზიდან, ლიონიდან თუ რუანიდან და კიდევ უამრავი ქალაქიდან გამოგზავნილ წერილებში ხალხი ქება-დიდებას ასხამდა მის ნიჭს, ზოგი კი დასახატი პიროვნების აღწერილობას უგზავნიდა და სთხოვდა, სურათი დაგვიხატეო. უნდა შევნიშნო, პორტრეტების საფასურს იგი წინასწარ იღებდა.

ორი თუ სამი დღის შემდეგ მხატვრის მშვენიერ ძმისწულს შევხვდი, რომელმაც საყვედურით ამავსო, ბიძაჩემთან სავახშმოდ რად არ მოდიხართო. ეს ძმისწული ერთობ გემრიელ ლუკმად მეჩვენებოდა და საყვედურით წაქეზებულმა ღავპირდი, ხვალ მოგინახულებთ-მეთქი. ერთი კვირის თავზე საქმე ისე შემოტრიალდა, რომ შეყვარებული აღმოვჩნდი. კუდრაჭა ქალიშვილი ღვთისგან გამჭრიახი ჭკუით იყო დაჯილდოებული და რადგან ჩემდამი დიდ სიყვარულს არ გრძნობდა, არც არაფერს მანებებდა და ჩემი ტანჯვით ერთობოდა კიდევაც. იმედს მაინც არ ვკარგავდი და ვფიქრობდი, ამ უიმედო ყოფაში ჩავარდნილს ისევ მიჯობს, ბედს მივენდო-მეთქი.

ერთ დღეს ოთახში მარტო ვიყავი. მასზე ვფიქრობდი და თან ყავას ვსვამდი. უცებ კარი გაიღო და დაუპატიჟებლად შემოვიდა ვიღაც ახალგაზრდა კაცი. ვერ ვიცანი და, სანამ შეკითხვისთვის პირს დავაღებდი, დამასწრო და მითხრა:

— ბატონო, პატივი მქონდა თქვენთან ერთად მხატვარ სანსონთან მევახშმა.

— ოჰ, დიახ, დიახ. მაპატიეთ, გეთაყვა, უცებ ვერ გიცანით.

— არ მიკვირს, რადგან მადემუაზელ სანსონის გარდა იმ სუფრაზე არავისკენ გაგიხედავთ.

— სავსებით შესაძლებელია... თუკი ასეთი დაკვირვებული ბრძანდებით. ბარემ ისიც აღიარეთ, ჩემო ბატონო, რომ მართლაც მშვენიერი არსებაა.

—აღიარება არ მჭირდება, რადგან, საუბედუროდ, ეს უოქვენოდაც კარგად ვიცი.

— მასზე შეყვარებული ხომ არ ბრძანდებით?

— ვაგლახ, რომ ასეა... ჩემდა საუბედუროდ, კიდევ ერთხელ უნდა დაგეთანხმოთ.

— საუბედუროდ? იმიქმედეთ იმგვარად, რომ შეგიყვარონ!

— უკვე წელიწადი იქნება, რაც მისი გულის მოგებას ვცდილობ. ის იყო, ზალაც იმედი ნაპერწკალივით გაკრთა, რომ თქვენმა გამოჩენამ სასი წარმიკვეთა.

— რას ბრძანებთ, ბატონო, ჩემმა გამოჩენამ?

— დიახ, ბატონო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ არ ვიცი, რით გიშველოთ.

— ჩემი შველა თუ გინდათ, დიდი გარჯა არ დაგჭირდებათ. ნება მომეცით გიკარნახოთ, რაც უნდა გააკეთოთ... მერე კი სამუდამოდ თქვენს მოვალედ ჩამთვალეთ...

— ყველაფერი გულახდილად მიბრძანეთ.

— მითხარით, შეძლებთ აღარასდროს მიდგათ ფეხი მის სახლში?

— უცნაური წინადადებაა, მაგრამ ვაღიარებ, ეს ერთადერთი რამეა, რაც შეიძლია გავაკეთო, თუკი, საერთოდ, თქვენი დახმარების სურვილი გამიჩნდა. და მაინც დარწმუნებული ხართ, ამის შემდეგ თავს შეაყვარებთ?

— მაშინ ყველაფერი უკვე ჩემს მოხერხებაზე იქნება დამოკიდებული. გთხოვთ, ნუ გამოჩნდებით იმ სახლში და დანარჩენზე თავად ვიზრუნებ.

— გამორიცხული არაა გითანაგრძნოთ... მაგრამ, ბატონო ჩემო, გთხოვთ, მიპასუხოთ, განა უცნაური არ არის, რომ უცნობმა კაცმა ისეთ ადამიანად ჩამოვალეთ, ვინც გაგიგებდათ და შეძლებდა ასეთი ნაბიჯის გადადგმას? რატომ იფიქრეთ, ამ წინადადებაზე დაგთანხმდებოდით?

— მართალი ბრძანებაა, ბატონო. ერთი შეხედვით ჩემი საქციელი უცნაური ჩანს, მაგრამ გონიერ და მგრძნობიარე ადამიანად ჩაგოვალეთ და ბევრი განსჯის შემდეგ ვიფიქრე, ეგებ გამიგოს და ჩემი გაუბედურება არ მოუნდეს-მეთქი. ისიც განვჭვრიტე, საქმეს ორთაბრძოლამდე არ მიიყვანდით, რადგან გეტყობათ, ქალიშვილთან მხოლოდ გაარშიყება გადაგიწყვეტიათ. მე კი, გინდ საბედნიერო იყოს, გინდა საუბედურო, ბედი მხოლოდ მას უნდა დაეუკავშირო...

— თუკი მეც ცოლად მოვინდომებდი?

— მაშინ ორივენი შესაბრალისნი ვყოფილვართ. ერთ-ერთი ჩვენგანი თუ დაეუფლება და მისი ქმარი გახდება, მეორე — უნდა მოკვდეს, რადგან ცოცხალი თავით არავის დავანებებ მადემუაზელ სანსონის ცოლად შერთვას. იგი სხვისი ცოლი ვერ იქნება!

ეს ყმაწვილი მოხდენილი აღნაგობისა იყო, ფერმკრთალი, დაფიქრებული მარმარილოსავით ცივი და გაგიჟებით შეყვარებული. ღრმა სასოწარკვეთით შეპყრობილი მოვიდა ჩემთან და საკუთარ ბინაში ასეთი უცნაური საუბარი გამიბა. ამ საქციელმა ძალიან დამაფიქრა. მართალია, ამ კაცისა არ მეშინოდა და მადემუაზელ სანსონიც მიყვარდა, მაგრამ არც ისეთი გახელებული მიჯნური გახლდით, რომ მისი მშვენიერი თვალებისთვის კაცი მომეხრჩო, ანდა ჯერ მოლად უსახური სიყვარულისთვის მოვმკვდარიყავი.

ახალგაზრდა კაცისთვის არაფერი მითქვამს. ოთახში ბოლთის ცემას მოვყეჟი და ორივე მოსაზრება კარგად ავწონ-დავწონე. მეტოქის თვალში რომელი უფრო მომგებიანი იქნებოდა და ჩემს ღირსებას არ დასცემდა?! სასიკვდილო ბრძოლაში გამომეწვია, თუ ამაყად დამეთმო ბრძოლის ველი და გავცლოდი?!

პატივმოყვარეობა მკარნახობდა, შეებრძოლე, არ დაუთმოო, გონება კი მეორეს მეუბნებოდა, აიძულე, მეტოქემ ჭკვიან კაცად გაღიაროსო.

— ბუსიე, — ვუთხარი მტკიცედ, — რას იფიქრებთ ჩემზე, თუ დაგთანხმდებით და აღარასდროს მიეალ მადემუაზელ სანსონთან?

— ვიტყვი, რომ უბედური შემიბრალეთ... თავად კი ამიერიდან მზადა ვარ სასხლის უკანასკნელი წვეთიც კი გავიღო თქვენდამი მადლიერების დასამტკიცებლად.

— ვინ ბრძანდებით?

— ჩემი გვარი გარნიეა. ღვინის ვაჭრის, გარნიეს ერთადერთი ვაჟი გახლავართ. სენის ქუჩაზე ვცხოვრობ.

— მაშ ასე, ბატონო გარნიე, პირობას გაძლევთ, აღარასოდეს შევალ მადუნაზელ სანსონთან და მეგობრობას გთავაზობთ.

— კუბოს კარამდე თქვენს მეგობრად მიგულეთ. ნახვამდის, ბატონო.

— ნახვამდის. ბედნიერებას გისურვებთ.

გარნიეს წასვლიდან ხუთი წუთიც არ იყო გასული, პატიუ რომ მესტუმრა. ყველაფერი მოვუყევი და მითხრა, გმირულად მოქცეულხარო.

— შენს ადგილას მეც ასე ვიზამდი, მაგრამ იმას, რაც გარნიემ იკისრა, ვერასოდეს გავაკეთებდი.

იმხანად ორლეანის პოლკის პოლკოვნიკმა, გრაფმა დე მელფორმა კორალინას დის, კამილას პირით მთხოვა წერილობით გამოგზავნილი ორი შეკითხვისთვის კაბალისტიკის[1] დახმარებით პასუხი გამეცა. შეკითხვებზე ერთობ ბუნდოვანი, მაგრამ ბევრის მთქმელი პასუხები შევთხზე, წერილი დავბეჭდე და გადავეცი კამილას, რომელმაც მთხოვა, მეორე დილით ერთ ადგილას წავყოლოდი. სად, — ახლა ვერ გეტყვიო, მითხრა. წავყევი. პალე-რუაიალში მიმიყვანა, სადაც ვიწრო კიბით ჰერცოგის მეუღლე დე შარტრის აპარტამენტებში ავედით. დაახლოებით თხუთმეტი წუთი ველოდი და ჰერცოგის მეუღლეც შემოვიდა. კამილას მიესიყვარულა და ჩემი მოყვანისთვის მადლობა გადაუხადა. შემდეგ მედიდური, მაგრამ ერთობ თავაზიანი კილოთი ამიხსნა, რომ ჩემ მიერ გაგზავნილი პასუხების შინაარსი ვერ გაეგო. თურმე ნუ იტყვით და შეკითხვები მისი აღმატებულებისა ყოფილა! ეუთხარი, კაბალისტიკის საიდუმლოს კი ვფლობ, მაგრამ მიღებული პასუხის ახსნა-განმარტება ჩემს ძალას აღემატება-მეთქი. შევთავაზე:

— თუ ინებებთ, ახალი შეკითხვები დასვით, აჯობებს, კონკრეტულად ჩამოაყალიბოთ ყველაფერი და უფრო ნათელ პასუხს მიიღებთ.

დაჯდა და ჩამოწერა, რაც არ ესმოდა და რისი გაგებაც სურდა.

— ქალბატონო, გთხოვთ შეკითხვები ცალ-ცალკე დაწეროთ, რადგან იდუმალი ორაკული ერთდროულად ორ პასუხს არ იძლევა.

— მაშინ — თქვა მან, — თავად დასვით შეკითხვები.

— მაპატიეთ, თქვენი აღმატებულებავ, მაგრამ ყველაფერი თქვენი საკუთარი ხელით უნდა იყოს დაწერილი. წარმოიდგინეთ, რომ უმაღლეს გონს ესაუბრებით, ვინც ყველა თქვენი საიდუმლო იცის.

წერა დაიწყო და შვიდი თუ რვა შეკითხვა ჩამოწერა. ყურადღებით გადაიკითხა და მედიდური, მაგრამ ნდობით აღსავსე კილოთი მითხრა:

— ბატონო, მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ არავის და არასოდეს ეცოდინება ის, რაც ახლა დავწერე.

— ქალბატონო, ჩემი პატიოსნების იმედი გქონდეთ.

დაკვირვებით წავიკითხე შეკითხვები და დავრწმუნდი, რომ გრაფის მეუღლეს ამ მოთხოვნის საფუძველი ჰქონდა. ის კი არადა, ეს ქალალდი ჯიბეში

[1] კაბალისტიკა — ებრაელთა მისტიკურ-რელიგიური მოძღვრება. განვითარდა VI საუკუნეში. წარმოადგენს რელიგიის, მაგიისა და ფილოსოფიის ერთგვარ შერწყმას.

რომ ჩამედო და შინ მიმეტანა, მაშინაც დიდ საფრთხეში ვიგდებდი თავს. ამიტომ გავბედე და ვუთხარი:

— თქვენი აღმატებულებავ, ამ სამუშაოს ჩასატარებლად სულ სამი საათი დამჭირდება. მსურს მშვიდად ბრძანდებოდეთ და ამიტომ, გთხოვთ, აქ დამტოვოთ. თქვენი დასწრება აუცილებელი არ არის. ნუ მოსცდებით საქმეებს. უმორჩილესად გთხოვთ უბრძანოთ, ამ ოთახში არავინ შემოვიდეს. ფანჯრები თუ არა, წერილს დავბეჭდავ, ოღონდ მითხარით, ვის უნდა გადავცე.

— ან მე მომეცით ან ქალბატონ დე პოლინიაკს. იცნობთ მას?

— დიახ, ქალბატონო. პატივი მაქვს ეიცნობდე.

ჰერცოგის მეუღლემ სახთლის ასანთებად კვესი გადმომცა და კამილასთან ერთად ოთახიდან გავიდა. მარტო დავრჩი კარჩაკეტილ ოთახში. სამი საათის შემდეგ კი, როცა სეანსი დავამთავრე, მადამ დე პოლინიაკი მოვიდა, წერილი გამომართვა და მეც შინ წამოვედი.

ჰერცოგის მეუღლე დე შარტრი პრინც კონტის ქალიშვილი გახლდათ. გონიერების იმგვარი წყობით გამოირჩეოდა, ქალურ მომხიბლაობას დიდ მიმზიდველობას რომ მატებს. ოცდაექვსი წლისა თუ იქნებოდა. ბუნებას ბევრი ღირსებით დაეჯილდოებინა. მხიარული, გონებამახვილი, აღტაცებული, მგრძნობიარე ყმაწვილი ქალი იყო. ხანგრძლივ და მოწყენილ სიცოცხლეს დროსტარება ერჩია. ხანმოკლე იყოს, მაგრამ ტკბილიო, ხშირად ამბობდა ხოლმე წუთისოფელზე. თუმცა ლამაზი ეთქმოდა, მხრებში, მუდამ მოხრილი იყო და ამიტომ თვითონვე დასცინოდა მარსელს, თავის მასწავლებელს, რომელიც თავის დაჭერას უწუნებდა. ცეკვის დროს თავს დაბლა ხრიდა, ფეხის წვერებს კი შიგნით ადგამდა და მაინც ეს ყველაფერი მის მომხიბვლელობას ხელს არ უშლიდა. საუბედუროდ, ერთი ნაკლი მართლა ჰქონდა, რაც ძალიან აწუხებდა: ლამაზ სახეს მუწუკები უფუჭებდა. მუწუკებს ღეიძლის ფუნქციის მოშლილობას აბრალებდნენ, მაგრამ ბოლოს სისხლის რაღაც დაავადება დაუდგინეს, რამაც იმსხვერპლა კიდეც. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვაჟკაცურად ებრძოდა სიკვდილს.

შეკითხვები, ამ ქალბატონმა ჩემს ორაკულს რომ დაუსვა, სატრფიალო ხასიათისა იყო. სხვათა შორის, ერთი შეკითხვა მუწუკებსაც ეხებოდა. აინტერესებდა, თუ არსებობდა მათ მოსასპობად წამალი. როცა საქმე ისეთ სფეროს შეეხებოდა, რაც არ ვიცოდი, ჩემს წინასწართქმებს ბუნდოვანების საფარველში ვახვევდი ხოლმე, მაგრამ მისი ავადმყოფობის თაობაზე პასუხები სრულად და ნათლად იყო გაცემული და ამიტომ მისთვის ძვირფასი და აუცილებელი აღმოჩნდა.

მეორე დღეს, ნასადილევს, ვარაუდი გამიმართლდა: კამილამ წერილი მომწერა. მთხოვდა, ყველა საქმე გადამედო და ხუთ საათზე პალე-რუაიალში, იმავე კაბინეტში მივსულიყავი. არ დავაყოვნე. მოხუცი მსახური მელოდა და ჩემი მისვლის ამბავი პრინცესას მყისვე შეატყობინა. ხუთი წუთიც არ გასულიყო, რომ ჩემთან გაჩნდა. მომხიბვლელი და თავაზიანი მისალმების შემდეგ ჯიბიდან ჩემი პასუხები ამოიღო და მითხრა, ალბათ საქმეები გქონდათ და მოგაცდინეთო.

— თქვენო აღმატებულებავ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემთვის ყველაზე საპატიო საქმე თქვენი სამსახურია.

— ძალიან კარგი. აქ დავრჩები და ერთად ვიმუშაოთ.

შემდეგ სხვადასხვა საკითხებზე წინასწარ გამზადებული შეკითხვების მოელი ნუსხა გადმომცა. განსაკუთრებით კი მუწუკების წამლობა აინტერესებდა. ის, რაც ჩემმა ძვირფასმა ორაკულმა გამოუწერა, ისეთი რამ აღმოჩნდა, რაც არავინ

იცოდა. მსჯელობითა და დიდი მეცადინეობით პასუხი გამოვიცანი, მაგრამ რომც არ გამომეცნო, არაფერი დაშავდებოდა, რადგან ყმაწვილობაში მუწუკები მეც მაწუხებდა და ამ მხრივ ერთობ გათვითცნობიერებული ვიყავი. ფიზიოლოგია ჩემთვის უცხო ხილი არ იყო და კარგად ვიცოდი, რომ ადგილობრივი წამლებით ინტენსიურ მკურნალობას შეეძლო ავადმყოფი სიკეთილის პირამდე მიეყვანა.

პასუხი ასეთი იყო: რვა დღეში შეიძლებოდა ნაწილობრივი შედეგის მიღება — ეგულისხმობდი სახის კანის დაწმენდას, მაგრამ საბოლო განკურნებისთვის ერთი წლის განმავლობაში მკაცრი რეჟიმის დაცვა იყო საჭირო.

სამი საათი დაგვჭირდა, დაწვრილებით რომ ჩამოგვეყალიბებინა ყველაფერი, რაც გასაკეთებელი იყო. ირწმუნა ჩემი ნათქვამი და იდუმალ ორაკულს დაემორჩილა... ერთი კვირის თავზე საშინელი მუწუკები გაუქრა.

ყოველდღე სასაქმებელს ვაძლევდი და თვალყურს ვადევნებდი მის კვებას. ავუკრძალე ფერ-უმარილის ხმარება და დილა-საღამოს პირს მხოლოდ მრავალძარღვას ნაყენით ვაბანინებდი. მოკრძალებულმა ორაკულმა მის აღმატებულებას ისიც ურჩია, მრავალძარღვას წყლით ყველა ის ადგილი მოებანა, სადაც სასურველი შედეგის მიღება სურდა.

და აი, ჰერცოგის მეუღლე ოპერაში წაბრძანდა. მეც იქ გახლდით, რადგან მაინტერესებდა, თუ რა გამოხმაურება მოჰყვებოდა მის გამოჩენას. მართლაც დიდებულად გამოიყურებოდა. გადაკრიალებული სახე ნაზად შეფაკლოდა. როცა წარმოდგენა დამთავრდა და პრინცესამ დიდგვაროვანი ქალბატონების თანხლებით პალე-რუაიალის დიდ ხეივანში გაისეირნა, მთელი ხალხი განკურნებას ულოცავდა. თვალი მომკრა თუ არა, ღიმილით დამაჯილდოვა... მართლაც ბედნიერი ვიყავი. კამილამ, ბატონმა დე მონტფორმა და მადამ დე პოლინიაკმა კარგად იცოდნენ, ვინც იყო ამ მშვენიერი ქალბატონის ორაკული! მე კი ჩემი წარმატებით დამსახურებულად ვტკბებოდი.

მეორე დღეს პრინცესას უნაზეს კანზე რამდენიმე მუწუკი ისევ გაჩნდა და პალე რუაიალში სასწრაფოდ გამომიძახეს.

მოხუცმა კამერდინერმა, რომელიც არ მიცნობდა, შემიყვანა კაბინეტის გვერდით საუცხოოდ მოწყობილ ბუდუარში, რომელსაც სააბაზანო ოთახი ემიჯნებოდა. ჰერცოგის მეუღლეც მალე გამოვიდა. მოწყენილი ჩანდა, რადგან შუბლზე და ნიკაპზე მუწუკები გამოსულოდა. ხელში ორაკულისთვის გამზადებული შეკითხვა ეჭირა და, რაკი შეკითხვა მოკლე იყო, ვიფიქრე, ვასიამოვნებ-მეთქი, და პასუხი თავად ამოვაკითხვინე. ციფრები ასოებად ვაქციეთ და გამოირკვა, თურმე მის აღმატებულებას რეჟიმი დაერღვია. ქალბატონი გამომიტყდა, მართალია, ლორი ვჭამე და ლიქიორიც დავლიეო. აღფრთოვანებული იყო, პასუხი თვითონ რომ მოიძია, თან ისიც ვერ გაეგო, ციფრების ამ გროვიდან როგორ შეძლო და საჭირო ნიშნები ამოკრიბა. ამ დროს მოახლე ეახლა და ყურში რაღაც უჩურჩულა. კარს უკან დამელოდეო, უთხრა ქალბატონმა და ჩემკენ შემობრუნდა:

— ხომ არ გეწყინებათ, მუსიე, აქ ერთი ჩვენი მეგობარი რომ შემოვიდეს? მენდეთ, შეუძლია საიდუმლოს შენახვა.

მაგიდიდან სასწრაფოდ მოხვეტა ყველა ქაღალდი, რაც მის ავადმყოფობას არ ეხებოდა, და ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ ბრძანა, დაუძახეთო.

ოთახში მხარბეჭიანი კაცი შემოვიდა, რომელიც, სხვაგან და სხვა დროს რომ შემხვედროდა, მეჯინიბე მეგონებოდა. ბატონი დე მელფორი გახლდათ.

— შეხედეთ, — მიახარა პრინცესამ. — ბატონმა კაზანოვამ კაბალისტიკა მასწავლა.

და ახლახან მიღებული პასუხი ასვენა. გრაფმა არ დაიჯერა.

— მაშ ასე, — თქვა ქალმა, — უნდა დაგარწმუნოთ, რა ვიკითხო?

— რაც თქვენს აღმატებულებას გაეხარდება.

ერთი წუთით ჩაფიქრდა, შემდეგ ჯიბიდან სპილოს ძვლის პატარა ყუთი ამოიღო, მაგიდაზე დადო და დაწერა: მითხარი, ეს მალამო რატომ აღარ მრეკავს?

შეადგინა პირამიდა, მწკრივები და გასაღები, ისე, როგორც ვასწავლე. პასუხის მისაღებად მივუთითე, რას რა უნდა მიმატებოდა და გამოკლებოდა, საიდან უნდა გამოეყვანა სათანადო რიცხვები, თუმცა ამ საქმისთვის ნებისმიერი ვარიანტი გამოდგებოდა, და ავუხსენი, როგორ უნდა ექცია ციფრები ასოებად. ოთახიდან გავედი, თითქოს რაღაც საქმე მქონდა, და მაშინღა დავბრუნდი, როცა, ჩემი ანგარიშით, სიტყვები უკვე შედგენილი უნდა ყოფილიყო. ოთახში გაოცებული პრინცესა დამხვდა.

— ოჰ, მუსიე, რომ იცოდეთ, როგორი პასუხი მივიღე!

— მცდარი ალბათ, მაპატიეთ, მადამ, ასეთი რამ შეიძლება მოხდეს.

— მცდარიო? არა, ბატონო, ღვთაებრივი! ღვთაებრივი პასუხი მივიღე! წაიკითხეთ: ამ მალამოს ძალა მხოლოდ უშვილო ქალებზე ჭრის.

— ქალბატონო, ამ პასუხში საოცარს ვერაფერს ვხედავ.

— მე კი ვხედავ. თქვენ არ იცით, მაგრამ ეს მალამო აბატმა დე ბროსმა ხუთი წლის წინათ მომცა და მაშინ ძალიან მომიხდა. ეს მოხდა ათი თვით ადრე, სანამ ჰერცოგი მონ-პანსიე დამებადებოდა. ამქვეყნად ყველაფერს მივცემ, ოღონდ კაბალისტიკა შევისწავლო.

— როგორ, — გაიოცა გრაფმა, — ეს ის მალამოა? ამ მალამოს ამბავი მეც მახსოვს.

— სწორედ ის არის.

— გასაოცარია.

— კიდევ ერთ შეკითხვას დავსვამ. ერთ ქალს ეხება, რომელიც არ მინდა დავასახელო.

— მაშინ ასე დაწერეთ: ქალი, რომელზედაც ვფიქრობ.

პრინცესა დაფიქრდა და იკითხა:

— რა ავადმყოფობა სჭირს ამ ქალს?

ჩემი დახმარებით საჭირო გამოანგარიშება ჩაატარა და ასეთი პასუხი მიიღო: ქალს ქმრის მოტყუება სურს. ამოიკითხა თუ არა ეს სიტყვები, პრინცესამ შეჰყვირა.

გვიან იყო და წასასვლელად გაემზადე. ბატონმა დე მელფორმა, რომელიც მის აღმატებულებას ელაპარაკებოდა, შემაჩერა და მითხრა, ერთად გავიდეთო. სასახლეს როცა გავშორდით, მაუწყა, რომ ორაკულის პასუხი მალამოს თაობაზე მართლაც საოცარი იყო და აი, რატომ:

— მოგეხსენებათ, მისი აღმატებულება ყოველთვის ლამაზი იყო, მაგრამ სახე იმგვარად ჰქონდა დამუწუკებული, რომ ჰერცოგის ძალას აღემატებოდა მასთან ურთიერთობა. საწყალ პრინცესას კი დედობის დაუოკებელი სურვილი ჰკლავდა, მაგრამ ამაოდ. აბატმა ბროსმა მოარჩინა იმ მალამოთი და მისმა მშვენიერებამაც მთელი ძალით გამოანათა. ჰოდა, ერთ საღამოს ფრანგულ თეატრში, დედოფლის ლოჟაში ბრძანდებოდა. ჰერცოგი დე შარტრი კი გამოსწრივ, მეფის ლოჟაში იჯდა. მას ძალიან მოეწონა პრინცესა, და იკითხა, ეს ქალბატონი ვინ არისო. უპასუხეს, ოქვენი მეუღლე გახლავთო. ჰერცოგმა არ დაიჯერა, ლოჟიდან

გავარდა და თავის ცოლთან გაჩნდა. მიესალმა, გამოელაპარაკა და იმავე ღამით ოთახში ესტუმრა. ცხრა თვის შემდეგ პრინცესამ ჰერცოგი მონ-პანსიე შვა, რომელიც ახლა ხუთი წლისაა და თავს მშვენივრად გრძნობს. ორსულობის დროს ჰერცოგის მეუღლეს დაწმენდილი სახის კანი ჰქონდა. იმშობიარა თუ არა, მუწუკები ისევ დააყარა და მალამომაც ვეღარაფერი უშველა.

თხრობა დაასრულა და ჯიბიდან სადაფის ზარდახშა ამოიღო, ხუფზე სურათი იყო გამოსახული, რომელიც მის აღმატებულებას ძალიან ჰგავდა, და ასე მითხრა:

— მისმა აღმატებულებამ თქვენთვის საჩუქარი გამომატანა. თუ პორტრეტის ჩარჩოში ჩასმა მოგინდებათ, აი, ეს გამოიყენეთ...

და ოქროს ასი ლუიდორი გადმომცა. ზარდახშა და ფული გამოვართვი და ვთხოვე, მისი აღმატებულებისათვის უღრმესი მადლობა გადაეცა. სურათი ოქროს ჩარჩოში აღარ ჩამისვამს, რადგან იმხანად ფული სულ სხვა რამეებისთვის მესაჭიროებოდა.

ჰერცოგის მეუღლეს სხვა დროსაც ბევრჯერ ვუხმივარ სასახლეში. კვების რეჟიმის დაცვა არ შეეძლო და ამიტომ ჯანმრთელობის საკითხზე აღარ შევუწუხებივარ. მუშაობაში ჩართულნი ზოგჯერ ხუთ-ექვს საათს ხან ერთ ოთახში ვატარებდით, ხან მეორეში. მოწადინებული იყო, ყველაფერი შეესწავლა, ზოგჯერ კი საათობით მარტო მტოვებდა და სადილსა თუ ვახშამს მოხუცი კამერდინერის ხელით მიგზავნიდა, რომელიც ერთი პირობა მუნჯი მეგონა, რადგან ხმას არა მცემდა.

კაბალისტიკური სეანსები იმ საიდუმლო საქმეებს ეხებოდა, რაც იმხანად პრინცესას აინტერესებდა. ხშირად, მე რომ არაფერი გამეგებოდა, ის თავისთვის რაღაც ჭეშმარიტებას აღმოაჩენდა და უხაროდა. გულით უნდოდა ამ იდუმალებას დაუფლებოდა, მაგრამ პირდაპირ არასდროს მოუთხოვია, მასწავლეთო. ერთხელაც ბატონი დე მელფორის პირით შემოიმითვალა, თუ კაბალისტიკას შეეასწავლიდი, ისეთ სამსახურს მიშოვიდა, წელიწადში ოცდახუთი ათასი ფრანკის რენტა მექნებოდა. ვაგლახ! ეს შეუძლებელი იყო. მისგან მოწყალებას ვერ მივიღებდი, რადგან სიგიჟემდე მიყვარდა. მართალია, ვერაფერს ხვდებოდა, რადგან ჩემი თავისთვის არასოდეს მიმიცია ნება პრინცესასთვის რამე ამგვარი მეგრძნობინებინა. მეგონა, მისი სიამაყე დამამცირებდა და ალბათ, სასტიკად ვცდებოდი. ერთი ნამდვილად ვიცი: ახლა ვნანობ, ჩემს სულელურ შიშს რომ ავყევი. პრინცესას კეთილგანწყობის გამო ბევრი უპირატესობით ვსარგებლობდი და რომ გაეგო, მასზე შეყვარებული ვიყავი, შეიძლება უფრო თავშეკავებულად მომქცეოდა.

ერთ დღეს ჰერცოგის მეუღლემ მოისურვა გაეგო, შეიძლებოდა თუ არა მადამ დე ლა პომპელინიერის მორჩენა, რომელსაც მკერდის კიბო ჰქონდა. გასართობად მოულოდნელი პასუხი გავამზადე, — თითქოს ამ ქალბატონს არაკითარი კიბო არ სჭირდა და სრულიად ჯანმრთელი იყო.

— როგორ? — წამოიძახა პრინცესამ, — მთელმა პარიზმა იცის ეს ამბავი. თავად პომპელინიერი ყველასგან რჩევასა და თანაგრძნობას ითხოვს! თუმცა მე მაინც კაბალისტიკისა უფრო მჯერა.

მეფის კარზე პრინცესა ჰერცოგ დე რიშელიეს შეხვდა და განუცხადა, დარწმუნებული ვარ, მადამ დე ლა პომპელინიერი სრულიად ჯანმრთელიაო. მარშალმა, რომელმაც საიდუმლო იცოდა, უპასუხა, ქალბატონო, ნამდვილად ცდებითო. მაშინ პრინცესამ შესთავაზა, ასი ათას ფრანკზე დავნაძლევდეთო. როცა ჰერცოგის მეუღლემ ეს ამბავი მიამბო, ავცახცახდი.

— რა ქნა, დაგეთანხმათ ნაძლევზე? — ვკითხე შეწუხებულმა.

— არა, და სწორედ ამან დამაეჭვა. ხომ იცით მან ყველაზე უკეთ უნდა იცოდეს ყველაფერი.

სამი თუ ოთხი დღის შემდეგ პრინცესამ გამარჯვებულმა შემატყობინა, თურმე ბატონი დე რიშელიე გამოუტყდა, რომ გამოგონილი ქალბატონი ხრიკი ყოფილა, რათა ქალს ქმრისთვის თავი შეეცოდებინა და დაკარგული საყვარული დაებრუნებინა. მარშალმა განუცხადა, ათას ლუიდორს სიამოვნებით გადავიხდი, თუ გამაგებინებთ, ეს სიმართლე ვინ დაგადგენინათო.

— თუ გნებავთ ათასი ლუიდორი იშოვოთ, შემიძლია ყველაფერი ეუამბო — შემომძახა.

— არა, ქალბატონო, არა! გემუდარებით, ნუ გამთქვამთ.

კარგად ვიცოდი, რა ჩიტიც იყო მარშალი, და მეშინოდა, რამე ხათაბალაში არ გამხვიოს-მეთქი. ეს პატივცემული სენიორი კედელში გამოღებული ხვრელით შედიოდა ქალბატონ დე ლა პოპელინიერთან და ეს ამბავი მთელმა პარიზმა იცოდა. თვითონ ქმარმა გაახმაურა ცოლის ღალატი, უარი თქვა მასზე და შინიდან წავიდა. თუმცა თორმეტი ათასი ფრანკის ყოველწლიური რენტა მაინც დაუტოვა.

ჰერცოგის მეუღლე დე შარტრმა ამ განხეთქილებაზე მშვენიერი კუპლეტები შეთხზა, მაგრამ ახლობლებისა და მეფის გარდა არავინ იცოდა მათი არსებობა. მეფეს იგი ძალიან უყვარდა, თუმცა პრინცესა ხშირად გესლიანად ეხუმრებოდა. ერთ დღეს, მაგალითად, პრინცესამ ჰკითხა, მართლა თუ ჩამოდის პრუსიის მეფე პარიზშიო. ლუი XV-ემ უპასუხა, არა, ეს მოჭორილი ზღაპარიაო.

— ძალიან მწყინს, — დანანებით წარმოთქვა პრინცესამ, — დიდი სურვილი მქონდა ნამდვილი მეფე მენახა.

ჩემმა ძმამ პარიზში ყოფნისას ბევრი ტილო შექმნა და ბოლოს გადაწყვიტა, თავისი ნახელავი ბატონი დე მარინისთვის ეჩვენებინა. ერთ მშვენიერ დღეს ერთად გავემგზავრეთ ამ სენიორთან, რომელიც ლუვრში ცხოვრობდა და ყველა მხატვარი, ვისაც მასთან საქმე ჰქონდა, იქ აკითხავდა. დიდ დარბაზში აღმოვჩნდით, რომელიც მხატვრის მოსასვენებელ ოთახს ემიჯნებოდა. პირველები მოვედით და მის გამოსვლას ველოდებოდით. ჩემი ძმის სურათზე ბურგინიონის მანერით შესრულებული ბატალური სცენა იყო გამოსახული.

უცებ დარბაზში ვიღაც კაცი შემოვიდა, ჩვენი სურათის წინ შეჩერდა, ყურადღებით დაათვალიერა, კბილებში გასცრა, — უვარგისიაო, და წავიდა. ერთი წუთის შემდეგ ორი სხვა კაცი გამოჩნდა. სურათს მიუახლოვდნენ, დაათვალიერეს, სიცილი ატეხეს და ასე ბრძანეს, ეს მოსწავლის ნათხაპნსა ჰგავსო. ლორნეტით გადავხედე ჩემ გვერდით მჯდარ ძმას: შუბლზე სიმწრის ოფლი გადასდიოდა. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ დარბაზი ხალხით აივსო. ნახატი ყველამ სასაცილოდ აიგდო. ვატყობდი, დაცინვამ ჩემი საბრალო ძმა ლამის სიკვდილის პირამდე მიიყვანა და ალბათ გუნებაში ღმერთს უმადლოდა, რომ აქ არავინ იცნობდა.

გულს მითუთქავდა ჩემი ძმის სავალალო ყოფა და ვარჩიე, მეორე დარბაზში გავსულიყავი. ძმაც გამომყვა. დასამშვიდებლად ვუთხარი: ბატონი დე მარინი თუ გამოვა და სურათი მოეწონება, მაშინ ამ უმეცარ ბრბოზე შურს ვიძიებთ-მეთქი. საბედნიეროდ, არ წამოეგო ამ ანკესს და იქაურობა სასწრაფოდ დავტოვეთ. ფიაკრი დავიქირავეთ. შინ მივედით თუ არა, სურათის წამოსაღებად მარინისთან მსახური ვაფრინეთ. სურათი თავის ოთახში რომ დაიგულა, ჩემმა ძმამ ნამდვილი ომი გამოუცხადა: ხმალი იშიშვლა და ოცჯერ დაჰკრა. მაშინვე გადა-

წყვიტა — ყველა აქაური საქმე მოეთავებინა, პარიზიდან წამოსულიყო და თავისი სათაყვანებელი მხატვრობის სწავლა სხვაგან განეგრძო. გადავწყვიტეთ, დრეზდენში გავემგზავრებულიყავით.

ორი თუ სამი დღით ადრე, სანამ ეგზომ საამური პარიზული მოგზაურობა დამთავრდებოდა, ტიუილრიში მარტოდმარტომ ვისადილე ფეიანტის მეგარეხთან. ეს კაცი გვარად გიდე იყო. სადილის შემდეგ მისმა ცოლმა, საკმაოდ ლამაზმა ქალმა, ანგარიში მომაწოდა, სადაც ყველაფერი ორჯერ ძვირად მიანგარიშა. შევეჯავრე, მაგრამ ერთი ლიარდიც არ დამიკლო. იძულებული გავხდი, ფული მთლიანად გადამეხადა. ანგარიშს ხელს ქალბატონი გიდე აწერდა. კალამი მოეთხოვე, გვარის წინ „შე“ წინსართი მივაწერე და გარეთ გამოვედი.

უნამუსო მიკიტნებზე ალარც მიფიქრია და ხეივანში წყნარად დავსეირნობდი, რომ უცებ ვიღაც დაბალ-დაბალმა კაცმა გზა თავხედურად გადამიღობა. უცნაურად გამოიყურებოდა, ქუდი ცალ ყურთან უტიფრად მოეგდო, სალილეში კარგა მოზრდილი თაიგული ჩაერჭო, თეძოზე კი უზარმაზარი ხმალი ჩამოეკიდა. და აი, ამ კაცმა ყოველად მიუკიბავ-მოუკიბავად გამომიცხადა, თავი უნდა წაგაჭრაო.

— შე, ჯუჯავ, შენა! — შევუძახე, — თავი რომ წამაჭრა, სკამზე აცოცება დაგჭირდება! მე კი ყურებს იოლად დაგაჭრი.

— ყურებზე ხახვი არ დამაჭრა, მუსიე!

— ხმა ჩაიკმინდე, მდაბიოვ! აქეთ გამომყევი! წამში მოგიღებ ბოლოს!

აწქარებული ნაბიჯით გავემართე ეტუალისკენ. დავიმარტოხელე თუ არა, ჯიქურ ვკითხე, რა გინდა ჩემგან, რას მეჩხუბები-მეთქი.

— მე კავალერი ტალვი ვარ, — თავი გამაცნო ჯუჯამ, — ერთ პატიოსან ქალბატონს, ვისაც მე ვმფარველობ, თქვენ ამ ცოტა ხნის წინათ შეურაცხყოფა მიაყენეთ. დაიცავით თავი!

ამ სიტყვებზე თავის გრძელ ხმალს დაავლო ხელი. მეც იძულებული გავხდი, ხმალი ამომელო. ჯერ თაკდასაცავად დავდექი, შემდეგ კი წინ გადავხტი და მკერდის არეში დავჭერი.

უკან გადავარდა და წამოიძახა, ვერაგულად დამჭერიო.

— სტყუი, რეგვენო, და აღიარე შენი სიცრუე, თორემ ხმალზე ერთი ბოლოდან აგაგებ და მეორეში გაგიყრი!

— დაჭრილი ვარ და ამიტომ ვერაფერს მიზამთ. მე კი უკანონო დარტყმისთვის გიჩივლებთ და სამაგიეროს გადაგიხდით!

— ლაჩარო, ნუთუ ბედნიერი არა ხარ, რომ არ დაგკალი? გაჩუმდი, თორემ ახლავე ყურებს დაგაჭრი!

იქვე, მიწაზე დაგდებული დავტოვე... დარწმუნებული ვარ, დარტყმა ყველა წესის დაცვით მიეყენე. აკი ჩემზე ადრე იშიშვლა ხმალი, და თუ დარტყმის მოგერიება ვერ მოასწრო, ეს მისი მოუქნელობის ბრალია და არა ჩემი.

აგვისტოს შუა რიცხვებში მე და ჩემმა ძმამ პარიზი დავტოვეთ. თითქმის ორი წელიწადი განცხრომითა და დიდი ნეტარებით ვიცხოვრე ამ ქალაქში. სიამოვნების მეტი არაფერი მახსენდება. ზოგჯერ ფული თუ შემომაკლდებოდა, ეს იყო და ეს...

გავიარეთ მეცი, მაინცი, ფრანკფურტი და აგვისტოს ბოლოს დრეზდენში ჩავედით. დედაჩვენმა გულთბილად მიგვიღო, ძალიან გაიხარა. ჩემმა ძმამ ოთხი წელი გაატარა ამ ქალაქში და დაუღლელად მეცადინეობდა. დრეზდენის ცნობილ

გალერეაში დიდი მხატვრების ბატალური სურათების ასლებს აკეთებდა და თავის ხელოვნებაში საგრძნობლად დაოსტატდა.

პარიზს მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა, როცა დარწმუნდა, კრიტიკოსების გამკლავებას შეეძლებო. შემდეგ მოგიყვებით, თუ როგორ აღმოჩნდით პარიზში თითქმის ერთდროულად. მანამდე კი, ჩემო მეგობარო მკითხველო, ნუ აეჩქარდებით, მოელენებს თანდათან მივყვეთ და გთხოვ, ბედის წალმა თუ უკულმა ტრიალი ჩემთან ერთად გაიზიარო.

დრეზდენში ჩემი ყოფნა 1753 წლის კარნავალის დასასრულამდე გაგრძელდა და ღირსშესანიშნავი ცვლილებებით არ გამოირჩეოდა. კომედიანტებისთვის რომ მესიამოვნებინა, ერთი ტრაგიკომიკური პიესა დავწერე, სადაც ორი არლეკინი თამაშობდა. ჩემი პიესა რასინის „ძმები — მტრების" პაროდიას წარმოადგენდა. მეფემ ბევრი იცინა იმ შეუსაბამობებზე, ასე გულუხვად რომ მიმოვფანტე ამ თხზულებაში, და დიდებულადაც დამასაჩუქრა. თავად მეფე ღირსებით ყოველად შემკული და საოცრად გულუხვი პიროვნება ბრძანდებოდა, ხოლო ამ მხრივ მის აღმატებულ ბრწყინვალებას ცნობილი გრაფი დე ბრიული უწყობდა ხელს. ოტა ხანში ეს ქალაქი უნდა დამეტოვებინა. აქ, დრეზდენში, მრჩებოდნენ ჩემი ძვირფასი დედა, ძმა და დაიკო. ეგი სამეფო კარზე კლავესინზე დაკვრის მასწავლებლის, პიერ-ოგიუსტის მეუღლე გახლდათ. უკვე ორმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ქმარი გარდაეცვალა. ამ ღირსეულმა კაცმა თავისი ქვრივი უზრუნველყოფილი, ხოლო ჯალაბი — ბედნიერი დატოვა.

დრეზდენში ყოფნისას ღირსსახსოვარი სასიყვარულო ნობათი მივიღე: მავნე სენი ამჯერადაც მკაცრი რეჟიმით ექვს კვირაში მოვირჩინე. ერთ რამეს დავკვირდი: ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი თითქოს იმის ცდაში წამივიდა, როგორმე ეს ავადმყოფობა ამკიდებოდა, და როცა მიზანს მივაღწევდი, ძალდაუშურველად ვცდილობდი, როგორმე თავი მომერჩინა. ერთიც კარგად გამომდიოდა და მეორეც. და დღეს, თუ ამ თანაფარდობას გავითვალისწინებთ, სრულიად ჯანმრთელი ვარ და ალბათ საბოლოოდაც განკურნებული, რადგან ასაკი — არანაკლებ ვერაგი და გარდუვალი სნეულება, უკვე თავისთავად განაპირობებს ჩემს სიჯანსაღეს.

სე' ', რომელიც ზემოთ მოვიხსენიე, და რომელსაც ჩვენ, იტალიელები, სულელურ „ფრანგულ სენს" ვეძახით, დროზე ადრე კაცს არ მოკლავს, თუმცა კი ორგანიზმს აუცილებლად დააჩენს ავ კვალს. თითოეული ნაჭრილობევი, ვაღიარებ, მარსის ველზე, ბრძოლაში მიღებულ იარაზე ნაკლებ ღირსეულია, მაგრამ ამის გამო სინანული არ გვმართებს, რადგან ეს ჭრილობები სიამოვნების შედეგადაა მიღებული.

დრეზდენში ხშირად ვხვდებოდი მეფე ოგიუსტს. მის აღმატებულებას ძალიან უყვარდა თავისი პირველი მინისტრი გრაფი დე ბრიული, რადგან იგი ორმაგ ხელოვნებას ფლობდა: ფულს მეფეზე უხვად ფლანგავდა და ამავე დროს, მეფისთვისაც არაფერს იშურებდა.

ეს მონარქი მომჭირნეობის ნამდვილი მტერი იყო. დასცინოდა მათ, ვინც მას ქურდაობდა. თავისი სიამოვნებისთვის ფულს გულუხვად იმეტებდა. იმდენი ჭკუა არ ყოფნიდა, სხვა მეფეთა შეცდომებსა და სისულელეებზე ეცინა ანდა ადამიანთა მოდგმის ნაკლზე ექილიკა, ამიტომ სამეფო კარზე ოთხი მასხარა ჰყავდა. გერმანიაში მათ „სულელებს" ეძახიან, თუმცა ამ გადაგვარებულ არსებებს, ჩვეულებისამებრ, მეტი ჭკუა აქვთ, ვიდრე მათ პატრონებს. მასხარების სამსახური

რა არის? — ყოველნაირი ანგლობით გააცინონ მეფე, მაგრამ ხშირად მათი ხუმრობა უგემოვნო უხამსობა და უგუნური თავხედობაა.

ზოგჯერ ეს „სულელები" თავიანთი ხელობით ისე ხიბლავდნენ ბატონებს, რომ თავის ჭკუაზედაც კი დაატარებდნენ. მეფე დიდად სწყალობდა ხოლმე იმ პირებს, ვისზედაც მასხარები სთხოვდნენ, ამიტომ მათ ღირსეულ [illegible] იწვევდნენ. დამისახელეთ ადამიანი, ვისაც გაჭირვება სიმდაბლეს [illegible]! განა ჰომეროსის თხზულებაში აგამემნონი არ ამბობს, მენელაოსთან ერთად იძულებული ვარ სიმდაბლე მოვალეობის გამო ჩავიდინოო? ეს ბატონები კი, მოგეხსენებათ, ჩვენამდე კარგა ხნით ადრე ცხოვრობდნენ! რაც მხოლოდ იმას მიწმობს, რომ ადამიანებს ყოველ დროში ერთი და იგივე ძალა ამოძრავებს: დაინტერესება.

ცდებიან ისინი, ვინც ამბობს, თითქოს საქსონიის დაღუპვა გრაფი დე ბრიულის ბრალი ყოფილიყო. არა მგონია. იგი მხოლოდ თავისი მეფის სურვილებისა და ხუშტურების ეროგული მსახური გახლდათ. მისი ხსოვნის ამსახველია ისიც, რომ სიკვდილის შემდეგ თავის შვილებს არაფერი უანდერძა და ყველა ღარიბად დატოვა.

იმხანად დრეზდენს ევროპაში ყველაზე მდიდარი და ბრწყინვალე სამეფო კარი ჰქონდა, სადაც ხელოვნების ყველა დარგი ჰყვაოდა. ერთი რამ შევამჩნიე: არშიყობა აქ არ უყვარდათ, რადგან თვით მეფე ოგიუსტი არ იყო მოარშიყე კაცი, თანაც საქსონელები მგზნებარე ტემპერამენტით არ გამოირჩეოდნენ, მით უმეტეს, რომ ხელმწიფე საამისო მაგალითს არ იძლეოდა.

პრაღაში ჩასვლისას იქ გაჩერების სურვილი არ მქონია. ოპერის ანტრეპრენიორ ლოკატელის წერილი მივუტანე და მერე ქალბატონ მორელის ვესტუმრე. იგი ჩემი ძველი ნაცნობი იყო და ძალიან მიყვარდა. ორი თუ სამი დღე მასთან ვცხოვრობდი. უკვე გამგზავრებას ვაპირებდი, როცა ქუჩაში უეცრად ჩემი მეგობარი ფაბრისი შემხვდა, პოლკოვნიკი. გადავეხვიეთ ერთმანეთს. მოხოვა, მასთან მესადილა. ამაოდ ვუმტკიცებდი, აუცილებლად უნდა გავემგზავრო-მეთქი.

— საღამოს წახვალ, — მითხრა, — ერთ მეგობარს გაგაყოლებ და დილიჟანსს დაეწევით.

ძულებული გამხადა დავთანხმებოდი და არც ვინანე. მართლაც დიდებულად გავატარეთ ის დღე. ფაბრისს ისევ სწყუროდა ომში წასვლა და ეს ნატვრა მხოლოდ ორი წლის შემდეგ აუსრულდა. სამხედრო სამსახურში დიდ წარმატებას მიაღწია.

ლოკატელიზედაც მინდა ერთი სიტყვა გითხრათ. ამ უცნაურ ადამიანთან ნაცნობობა ნამდვილად საინტერესო იყო. ყოველდღე ოცდაათი კაცისათვის გაწყობილ სუფრასთან სადილობდა. გარშემო თავისიანები, მოცეკვავეები და მეგობრები ესხდნენ. ნაირ-ნაირი საჭმლით გაძეძგილი სუფრის თავში იჯდა და თავს ბედნიერად გრძნობდა, რადგან ხალხიც უყვარდა და ჭამა-სმაც. შემდგომ კიდევ მომეცემა შესაძლებლობა მასზე საუბრისა. რამდენიმე წლის მერე, როცა რუსეთში ვმოგზაურობდი, ბატონ ლოკატელის შევხვდი. სულ ახლახან ოთხმოცდაათი წლისა გარდაიცვალა სანკტ-პეტერბურგში.

1753

თავები XVI-XXII

ეროვნული ბიბლიოთეკა

(შემოკლებით)

პადუიდან გამომგზავრება. კ. კ-ს გაცნობა. ჩემი და კ. კ-ის სიყვარული. სასიყვარულო ამგეგის გაგრძელება. გატონი დე ბრაგადინი ჩემთვის კ. კ-ს ხელს ითხოვს. კ. კ-ს მონასტერში გზავნიან: ჩემი მეგობრის წერილი. უცნობი მონაზვნის წერილი. სასიყვარულო ინტრიგა. სიყვარულის ტყვეობაში. ორი პაემანი.

პადუიდან ორი წუთით ადრე ან გვიან რომ წამოვსულიყავი, იქნებ ავცდენოდი ყველაფერს, რაც შემდგომ შემემთხვა და ბედ-იღბალს, რომელიც თურმე მრავალი შესაძლებლობიდან არჩევნის უფლებასაც გვიტოვებს, სულ სხვაგვარად დაეტრიალებინა ჩემს თავზე თავისი ბორბალი.

ჩემო მკითხველო, თავად გადაწყვიტე, მართალი ვარ თუ არა.

იმ საბედისწერო წამს, პადუიდან რომ გამოვემგზავრე, ორიაჯოში ერთი კაბრიოლეტი შემხვდა. ორი საფოსტო ცხენი ება და დიდი ჩორთით მოდიოდა. შიგ ლამაზი ქალი იჯდა. გერმანულ სამხედრო მუნდირში გამოწყობილი მამაკაცი ახლდა. ერთმანეთს სულ რამდენიმე სიტყვა გვაშორებდა, რომ უცებ კაბრიოლეტი გადაყირავდა, ქალი კაცს ზემოდან დაეცა და ის იყო იქვე მოლუდუნე მდინარე ბრენტაში უნდა ჩავარდნილიყო, რომ გაქანებული ეტლიდან ჩამოვხტი, მივვარდი ქალს და დავიჭირე, თან ყოველგვარი ცუდი ზრახვის გარეშე ხელით ჩამოვუწიე ზემოთ ახვეტილი კაბა.

მისი თანამგზავრიც წამოდგა. არაფერი დაშავებოდა. ჩვენთან მოირბინა. მშვენიერი ქალი იქვე, ხის ჩეროში დავსვით. დარცხვენილი და გაოგნებული ჩანდა, რადგან უსირცხვილოდ აფრიალებულმა კაბამ ისეთი რამ დამანახა, რასაც პატიოსანი ქალი არასოდეს უჩვენებს უცნობ მამაკაცს. სანამ ჩემი და მათი მეეტლე წაქცეულ კაბრიოლეტს წამოაყენებდნენ, მანდილოსანი გაუთავებლად მადლობას მიხდიდა, მხსნელსა და მფარველ ანგელოზს მეძახდა.

ეტლი რომ გამართეს, ქალმა პადუისკენ განაგრძო გზა, მე კი ვენეციისკენ გავწიე.

მეორე დღეს წმინდა მარკოზის მოედანზე ყავას ვსვამდი. მოხდენილი ნიღბიანი ქალი მომიახლოვდა და მხარზე მარაო დამკრა. ვერ ვიცანი და მის ანცობას ყურადღება არ მივაქციე. ყავა რომ დავლიე, ნიღაბი გავიკეთე და ნავსადგურისკენ წავედი. იქ ბატონი ბრაგადინის გondოლა მელოდა. პაის ხიდზე იმავე ნიღაბს მოვკარი თვალი. ყურადღებით ათვალიერებდა რაღაც ურჩხულს, ათ სუდ რომ აჩვენებდნენ. მივუახლოვდი და ვკითხე, რა დაგიშავეთ, რად მცემეთ-მეთქი.

— თქვენი დასჯა მსურდა იმისთვის, რომ ვერა მცობთ, თუმცა სიკვდილს კი გადამარჩინეთ.

მივხვდი, ის მშვენიერი ასული იყო, ბრენტას პირას რომ დავეხმარე. ქათინაურები არ დავაკელი და მერე ვკითხე, საკარნავალო მსვლელობას თუ გაჰყვებით-მეთქი.

— სიამოვნებით, — მითხრა, — მაგრამ გონდოლა არა გვაქვს.

ჩემი გონდოლა შევთავაზე. ქალიშვილმა რაღაც გადაულაპარაკა თავის თანმხლებს და თანხმობა განმიცხადა. სანამ ნავში ჩავსხდებოდით, ორივეს ნიღბების მოხსნა ვთხოვე, მაგრამ ვინაობის გამჟღავნება არ მოისურვეს. ვკითხე, რომელიმე უცხო საელჩოდან ხომ არა ხართ-მეთქი, რადგან მაშინ ჩემდამი [illegible] ჩემს გონდოლაში ველარ ჩავსვამდი. დამარწმუნეს, ვენეციელები [illegible]

საკარნავალო მსვლელობას გავყევით. იმ ასულის გვერდით ვიჯექი და უნებლიეთ ხელი მოვუთათუნე. სასწრაფოდ გვერდით გადაჯდა.

ვენეციაში რომ დავბრუნდით, ნიღბოსანმა მამაკაცმა შემომთავაზა ხომ არ გვესადილაო. დავეთანხმე, რადგან ქალიშვილის გაცნობა მინდოდა. ის, რაც ბრენტას ნაპირზე დავუნახე, მეხსიერებაში ჩამბეჭდოდა და, ამგვარად, ჩემი ცნობისმოყვარეობა საკმაოდ გამართლებული იყო. ოფიცერი დაწინაურდა, რათა სადილის თადარიგი დაეჭირა. მშვენიერ არსებასთან მარტო დავრჩი თუ არა, გამოვუტყდი, რომ ერთი ნახვით შემიყვარდა, შემდეგ კი ოპერაში, ჩემს ლოჟაში დავპატიჟე. დაეპირდი, სიამოვნებას არ მოგაკლებთ-მეთქი. პირობა დავუდე, თუკი იმედს მომცემდა და დროს ტყუილად არ დამაკარგვინებდა, მთელი კარნავალის განმავლობაში მხოლოდ მას მივემსახურებოდი. პირდაპირ ვკითხე:

— თუ ულმობელი განზრახვა გაქვთ, ახლავე მითხარით, არ დამიმალოთ...

— მეც გთხოვთ, მითხარით, ვინა ბგონივართ?

— გინდ მეფის ასული ბრძანდებოდეთ, გინდ მდაბიო, ერთი რამ ნათელია, საქმე უმშვენიერეს ქალთან მაქვს. ვიმედოვნებ, ამ დღიდან თქვენი კეთილგანწყობის ღირსად ჩამთვლით, თუ არადა, სადილის მერე პატივი მექნება სამუდამოდ დაგემშვიდობოთ.

— ისე მოიქეცით, როგორც გენებთ, მაგრამ იმედია, ნასადილევს სხვაგვარად ილაპარაკებთ, რადგან თქვენი კოლო არ მომწონს. მიმაჩნია, ამგვარ საუბარს წინ ერთმანეთის გაცნობა უნდა უსწრებდეს. ხუთუ არ გესმით?

— დიახ მესმის, მაგრამ მეშინია, მოტყუებული არ დავრჩე.

— ო, საოცარია პირდაპირ! განა შიში გაიძულებთ დაიწყოთ იმით, რითაც, ჩვეულებრივ, ყველაფერი მთავრდება ხოლმე?!

— საწინდრად გამაძხნევებელი სიტყვები მსურს გავიგონო. მითხარით ერთი ასეთი სიტყვა და ნახავთ, როგორი მორჩილი, მორიდებული და წესიერი ვიქნები.

— დამშვიდდით, ნუ აჩქარდებით...

ჩვენი ოფიცერი „სოვაჟის“ კართან გველოდებოდა. შევყევით. შესვლისთანავე ქალმა ნიღაბი მოიხსნა და დავრწმუნდი, უფრო ლამაზი იყო, ვიდრე წინადღეს შეჩვენა. ისღა დამრჩენოდა გამეგო, ვინ იყო ეს ოფიცერი: მისი ქმარი, შეყვარებული, ნათესავი თუ, უბრალოდ, თანამგზავრი? ამის მიხედვით უნდა განმესაზღვრა, რა ზნეობის არსებასთან მქონდა საქმე. სუფრას მივუსხედით. მათი ურთიერთობა მაიძულებდა ფრთხილად მოვქცეულიყავი. ოფიცერს ვუთხარი, ოპერაში ჩემი ლოჟა დაგითმეთ და ქალბატონი დამთანხმდა-მეთქი. სინამდვილეში ლოჟა არა მქონდა, ისე რომ ნასადილევს გავიქეცი ოპერაში, სადაც პეტრიჩი და ლასკი ბრწყინავდნენ. და ლოჟა დავიქირავე.

წარმოდგენის შემდეგ ორივე ფუნდუკში დავპატიჟე საუახშმოდ და მერე გონდოლით შინ მივიყვანე. გონდოლაში ყოფნისას ღამის საფარით ეთანგებლე და მშვენიერმა ასულმა ყველა ის სიამოვნება მომანიჭა, რაც ადამიანმა მესამე პირის თანდასწრებით შეიძლება მიიღოს. განშორებისას ოფიცერმა მითხრა, ჩვენს ამბავს ხვალ შეგატყობინებთო.

— სად და როგორ? — ვკითხე.

— მაგის დარდი ნუ გექნებათ.

მეორე დილით მსახურმა მომახსენა, ვიღაც ოფიცერი მოვიდაო. ის იყო. ჩვეული მოკითხვის მერე ვთხოვე ეთქვა, თუ ვისთან მქონდა პატივი საუბრისა.

— პ. კ-ი მქვია. მამაჩემი მდიდარი კაცია და საქმიან წრეებში ბევრ პატივს სცემენ, მაგრამ შეყვარებულის გამო წავეჩხუბე. ქალი, მე რომ მახლდა, ჩემი სატრფოა.

ოფიცერმა დაწვრილებით მიამბო თავისი შეყვარებულისა და მამასთან განხეთქილების ამბავი და მერე შინ მიმიპატიჟა. მის ქალბატონთან შეხვედრის აღარავითარი სურვილი არ მქონდა და მიპატიჟებაზე უკვე უარის თქმას ვაპირებდი, როცა მითხრა, მინდა დედაჩემი და ჩემი დაიკო გაგაცნოთო.

მეორე დღეს, ბორიტი გენით შეპყრობილი, მათ სანახავად წავედი. მეგონა, თაყვანისცემის ვიზიტი ზიანს არ მომიტანდა. მასპინძელი გახარებული შემხვდა და ორიოდე წუთის შემდეგ ორი ქალის თანხლებით შემოვიდა. დედამისი უბრალო, წესიერი ქალი იყო, მისი და კი სილამაზის ნამდვილ ქალღმერთად მეჩვენა. მისმა მშვენებამ დამაბრმავა. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ დედამ დაგვტოვა, ქალიშვილი კი ჩემთან დარჩა. მომდევნო ნახევარ საათში კი ამ გოგონას მოჯადოებული ტყვე გავხდი.

მადემუაზელ კ-ი ყველგან მხოლოდ დედამისის თანხლებით დადიოდა, რომელიც ღვთისმოსავი და დიდად გულმოწყალე ქალბატონი გახლდათ. საკითხავ წიგნებს მამამისი აძლევდა. ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ ბიბლიოთეკაში არც ერთი რომანი არა ჰქონდა და გოგონას სურვილი წვავდა — ერთი რომანი მაინც წაეკითხა. კიდევ ერთი ოცნება ჰქონდა: ვენეცია დაეთვალიერებინა. ოჯახში სტუმრები არ დაუდიოდნენ და ჯერ მისთვის არავის უთქვამს, ბუნების ნამდვილი სასწაული რომ იყო. ვსაუბრობდით, უფრო სწორად — ვპასუხობდი მრავალ შეკითხვას, სეტყვასავით რომ მაყრიდა. ზოგჯერ ეს პასუხები მის ნაფიქრალს ემთხვეოდა და, რადგან მისი სული ჯერ კიდევ ქაოსში იმყოფებოდა, ჩემი მსჯელობით გაოცებულმა იგრძნო, რომ საკუთარი თავის შემეცნება დაიწყო.

იქაურობა მტკიცე გადაწყვეტილებით დავტოვე: აღარასოდეს მიმედგა ფეხი ამ ოჯახში, რადგან ვიგრძენი — ის კაცი არ ვიყავი, ვინც თავისუფლებას გამოემშვიდობებოდა და ცოლად შეირთავდა არსებას, რომელსაც უდიდესი ბედნიერების მოტანა შეეძლო ჩემთვის.

ორი დღე იყო გასული მას შემდეგ და პ. კ-ი ქუჩაში შემხვდა. მითხრა, ჩემი და მხოლოდ თქვენზე ლაპარაკობს, თქვენს სიტყვებს იმეორებს და თქვენი ხსენებით შეგვალონაო. დედაჩემიც გახარებულია, ასეთი ახალგაზრდა რომ გაიცნოო. თქვენთვისაც, — განაგრძო მან, — ეს კავშირი ერთობ ხელსაყრელი იქნება, რადგან ჩემს დას მზითვად ათი ათას დუკატს აძლევენო და შინ, ყავაზე მიმიპატიჟა.

სიტყვა გავტეხე და ვესტუმრე. სრული სამი საათი ვესაუბრე მშვენიერ ასულს და უგონოდ გამიჯნურებული აღმოვჩნდი. წასვლისას ვუთხარი, მშურს იმ მამაკაცის ვისაც ცოლად გაყვებით-მეთქი. ცხოვრებაში პირველად მოსმენილმა ქათინაურმა ამ უმანკო არსებას ღაწვები წითლად შეუფაკლა.

შინ რომ მოვბრუნდი, შევეცადე საკუთარ გრძნობებში გავრკვეულიყავი. ძეშინოდა, როცა ვიგრძენი, რომ მისი ცოლად შერთვა სულაც არ მინდოდა, არადა, ხმლით შუაზე გავჩეხავდი ყველას, ვინც შეცდენას მირჩევდა.

გართობა მესაჭიროებოდა და სათამაშოდ წავედი.

მეორე დღეს პ. კ-ი მესტუმრა და მხიარულად მომახსენა, რომ დედამისმა ნება დართო თავისი დაიკო ოპერაში წაეყვანა.

— კ-ი აღტაცებულია, რადგან ოპერაში ჯერ არ ყოფილა. თუ ყაბულს ხართ, დამიოქვით ადგილი და იქ დაგელოდებით.

— თქვენმა დამ იცის, მეც რომ ვიქნები?

— იცის და ბედნიერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედათქვენმა?

— არა, მაგრამ როცა გაიგებს, არ ეწყინება, რადგან ძალიან მოეწონეთ.

— ვეცდები ლოჟა ვიშოვნო.

— ძალიან კარგი. შესასვლელთან დაგელოდებით.

ოპერაში ლოჟა დავიქირავე და დათქმულ ადგილზე ერთი საათით ადრე მივედი. მესიამოვნა მათი დანახვა: ჩემს ნორჩ მეგობარს ლამაზი ნიღაბი ეკეთა და მოხდენილი კაბა აშშვენებდა, მის ძმას კი სამხედრო ფორმა ეცვა.

ქალიშვილის ყოველი სიტყვა, მიამიტი და კდემით აღსავსე, ისეთი გულწრფელი იყო, ისე ჩაგწვდებოდათ გულში, რომ ბედნიერს თავი მეშვიდე ცაზე მეგონა. ვიტანჯებოდი, მინდოდა ეს მომღიმარი, მარჯნისფერი ტუჩები უნაზესი კოცნით დამეჯილდოებინა და ვერ ვბედავდი. უსაზღვრო სიხარულს ვგრძნობდი, ამ ანგელოზს რომ ვუყვარდი.

— ჩვენი გრძნობები ისე ეპასუხება ერთმანეთს, — ვუთხარი, — ჩემო ძვირფასო კ-ი, განა უფრო ბედნიერი არ ვიქნებით, თუ ჩვენს ბედს ერთმანეთს განუყრელად დავუკავშირებთ?.. თუმცა ლამის მამად გერგებით!

— თქვენ მამად მერგებით? რას ბრძანებთ?! განა არ იცით, რომ უკვე თოთხმეტისა ვავხდი?

— მე კი, უნდა მოგახსენოთ, უკვე ოცდარვისა ვახლავართ.

— მერე რა? აბა, მითხარით, თქვენი ხნის რომელ მამაკაცს ჰყავს ჩემოდენა შვილი?! არავის, არ არსებობს! მეცინება პირდაპირ, როცა ვფიქრობ, რომ შეიძლებოდა თქვენნაირი მამა მყოლოდა! ნამდვილად აღარ შემეშინდებოდა მისი და არც არაფერს დავუმალავდი.

ოპერის შემდეგ სავახშმოდ წავედით. ვერც ვჭამდი და ვერც ველაპარაკობდი, რადგან სიყვარულმა დამამუნჯა და თავის გასამართლებლად კბილის ტკივილი მოვიმიზეზე.

პ. კ-მ თავის დას გამოუცხადა, კაზანოვას უყვარხარ და ტანჯვას შეუმსუბუქებ, თუ აკოცნინებთ.

პასუხის ნაცვლად ჩემკენ შემობრუნდა და მოცინარე ტუჩები საკოცნელად გაამზადა. ცეცხლი მეკიდა, მაგრამ ამ უცოდველ და მიამიტ არსებას ისეთ პატივს ვცემდი, რომ მხოლოდ დაწვზე ეეამბორე, ისიც ისე, თითქოს მიკარებისა მეშინოდა.

— ეს რა კოცნაა? — დაიძახა პ. კ-მ, — აბა, მიდით, მიდით, შეყვარებულის კოცნა გვაჩვენეთ!

გავშეშდი. უტიფარმა წამქეზებელმა სახსლი ამიმღვრია. უცებ მისმა დამ თავი ჩემკენ შემოაბრუნა და გულშიჩამწვდომი ხმით უპასუხა:

— ნუ აძალებ, რადგან არა ვარ ისეთი ბედნიერი, — მოვწონდე.

ამ სიტყვებმა თავზარი დამცა. ჩემს მოქმედებას ანგარიშს ველარ ვუწევდი.

— რაო? — წამოვიყვირე გიჟივით — მშვენიერო კ-ი, ნუთუ ჩემს თავშეკავებას თქვენდამი პატივისცემით არა ხსნით? გგონიათ, არ მომწონხართ? თუ საბუ-

თად ერთი კოცნა კმარა, მაშინ მიიღეთ იგი მთელი იმ გრძნობების თანხლებით, პირთამდე რომ მავსებს!

მკლავები მოვხვიე და სიყვარულით გულში ჩავიკარი. ტუჩები ხანგრძლივი და მგზნებარე კოცნით დავულუქე. სწორედ ასეთ კოცნაზე რა ხანია ვოცნებობდი და ჩემმა წყნარმა მტრედმა მაშინდა იგრძნო, არწივის კლანჭებში რომ მოხვედრილიყო. სასწრაფოდ მომიშორა, გაოცდა — ერთ კოცნას ამხელა სასიყვარულო მგზნებარების გამჟღავნება შეძლებიაო, და მღელვარების დასაფარავად ნიღაბი გაიკეთა. ძმამ ტაშით დამაჯილდოვა.

კ-ს ვკითხე, ახლაც თუ გეპარებათ ეჭვი ჩემს სიყვარულში-მეთქი.

— დამარწმუნეთ, — მიპასუხა. — მაგრამ ამისთვის კი არ უნდა დამსაჯოთ.

შემდეგ თაყებში მკითხველი ნახავს, ამ სასიყვარულო თავგადასავალმა რამდენ ხიფათსა და ფათერაკს გადამკიდა.

მეორე დღეს ჩემთან გამარჯვებულის იერით შემოვარდა პ. კ-ი და მომახსენა, რომ მისმა დამ დედას ყველაფერი უამბო. ერთმანეთი გვიყვარს, ცოლად უნდა გავყვე, უმისოდ ბედნიერი არ ვიქნებიო — ასე გაჰყვიროდაო.

— ვეთაყვანები თქვენს დას, — ვუთხარი,—როგორ გგონიათ, მამათქვენი დაგეთანხმება?

— არა მგონია, მაგრამ მოხუცი კაცია. დაელოდეთ... მანამ კი გიყვარდეთ ერთმანეთი! დედამ ნება დაგვრთო, ოპერაში წავიყვანოთ.

— კარგი, ძვირფასო შეგობარო, წავიდეთ.

დათქმულ ადგილას რომ მივედი, პ. კ-მ. საქმე მაქვსო, მოიმიზეზა და მარტო დაგვტოვა. კ. კ-ს ვუთხარი, ოპერის დაწყებამდე შეგვიძლია გონდოლით ცოტა გავისეირნოთ-მეთქი. არაო, მიპასუხა, უმჯობესია ბუეკას ბაღში წავიდეთო.

გონდოლაში ჩავსხედით და სენტ-ბლეზის ბაღში მივედით. ამ ადგილს კარგად ვიცნობდი. ერთი ცეხინი გადავიხადე და მთელი დღით დავიქირავე, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აქ არავინ შემოვიდოდა. გამოირკვა, თურმე ორივეს მოგვშიებოდა. სადილი შევუკვეთე სასტუმროში შევედით, სადაც ნიღბები და საკარნავალო სამოსი დავტოვეთ, და ბაღში გავედით.

მშვენიერ კ. კ-ს ტაფტის კორსეტი და იმავე ნაჭრის მოკლე ქვედაწელი ეცვა. ასე შილიფად ჩაცმული თვალს უფრო ახარებდა. ჩემი შეყვარებული თვალები ქსოელს მიღმა იმზირებოდა, მაღალი სული კი ქალს მთლად შიშველს ხედავდა. მტანჯავდა ცალკერძ სურვილი, ცალკერძ თავშეკავება, ავხორცი ზრახვები კი გონებას მიღრღნიდა.

როგორც კი გრძელ ხეივანში მოვხვდით, ჩემმა ნორჩმა თანამგზავრმა, შველივით სწრაფმა და მკვირცხლმა, გაილაღა, წინ მწვანე მდელოსკენ გაისწრაფა და, რაკი არასოდეს დამტკბარა ამ ბედნიერებით, პატარა ნადირივით დაიწყო კუნტრუში, ხან მარჯვნივ გაიქცა, ხან მარცხნივ, იმ უშუალო სიხარულის გამოსახატავად, პირთამდე რომ ავსებდა და ვერ იოკებდა.

შემდეგ მითხრა, მოდი გავიქცეთ, აბა ვინ გაასწრებსო. თამაში მომეწონა, დავთანხმდი, მაგრამ მინდოდა მოგება მისურვებოდა და განვუცხადე, ვინც წააგებს, ვალდებულია მოგებულის სურვილი შეასრულოს-მეთქი.

— კი, ბატონო, თანახმა ვარ.

საზღვარი დავთქვით და გავიქეცით. მოგებაში დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ წაგება მინდოდა. რადგან მაინტერესებდა, თუ რას მომთხოვდა ან გამაკეთებინებდა კ. კ-ი. თავდაუზოგაოდ მირბოდა და მეც ყველაფერი ისე გავიანგარიშე, ჩემზე ადრე რომ მისულიყო. სული მოითქვა თუ არა, იფიქრა, ახლა კი დიდად

დავაჯარიმებთ, და ხის უკან დაიმალა. იქ რაღაც გააკეთა და შემდეგ მიბრძანა ჩემი ბეჭედი მოძებნეო. ბეჭედი ზედ ტანზე ჰქონდა, დაემალა, და ამგვარად მთელი მისი სხეული ჩემს ხელში აღმოჩნდა. თამაში ძალიან მომეწონა, რადგან ნათლად ამოვიცანი ეშმაკობაცა და განზრახვაც. ვიგრძენი, მისი გულწრფელი ნდობით არ უნდა მესარგებლა, რათა პატიოსან გოგონას თავდაცვა ... ბოდა. ბალახზე დავსხედით. ჯერ ჯიბეები გავუხსენიკე, კორსეტი და ... ლის ნაკეცები შემდეგ ფეხსაცმელი და წვივები გავუსინჯე, — წვივისაკრავები ძუხლის ქვემოთ ჰქონდა შეკრული. რაკი ყერაფერი ვიპოვე, ძებნა განვაგრძე, რადგან, პირობისამებრ, ბეჭედი უნდა მოვეძებნა. მკითხველი ალბათ მიხვდა: გუმანით ვგრძნობდი, სად იქნებოდა ბეჭდის მშვენიერი სამალავი. მაგრამ სანამ იქამდე მივაღწევდი, გზად უამრავი სიამოვნება მელოდა და ნეტარებით ბოლომდე ალვივსე კიდეც. ბოლოს ბეჭედი იმ ორ მშვენიერ მცველს შუა აღმოვაჩინე. ბუნებამ ასე უზადოდ რომ დაამრგვალა. გეფიცებით, ქვეყნად არსებულ ყველა სიმრგვალეს შორის მათი უპირატესობა უდაოა. სამალავიდან ბეჭედს როცა ვიღებდი, ისე ავლელდი, ხელი ამიცახცახდა.

— რატომ კანკალებთ? — მკითხა.

— სიხარულისგან... ასე საგულდაგულოდ დამალული ბეჭედი რომ ვიპოვე. ახლა სამაგიერო ჩემზეა და ამჯერად ველარ მაჯობებთ.

— ვნახოთ...

ადგილს მოვწყდით. გავიფიქრე, ცუდად დარბის და როცა მომინდება, მაშინ დავეწევი-მეთქი, მაგრამ მოუტყუედი. გზის ორი მესამედი რომ გავირბინეთ, მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და უცებ წინ გავარდა. გამასწრო და ოამაშს ვაგებდი. მაშინ ერთ უტყუარ ხერხს მივმართე: განზრახ დავეცი და საშინელი კვნესა დავიწყე. საბრალო გოგონა შეჩერდა და შეშინებული ჩემ საშველად გამობრუნდა. ძლივს წამომაყენა. ვატყობდი ძალიან შეეეცოდე. როცა ფეხზე წამოვდექი, გადავიხარხარე და წინ შურდულივით გავვარდი. რასაკვირველია, დათქმულ ადგილს გოგონაზე გაცილებით ადრე მივაღწიე.

მთლად გაოგნებულმა მშვენიერმა მორბენალმა წაილუღლუღა:

— მაშ, არაფერი დაგშავებიათ?

— არა, რადგან განზრახ დავეცი.

— განზრახ? ჩემს მოსატყუებლად? არ მეგონა, ასეთს რამეს თუ იკადრებდით. სიცრუით მოგება არ ითვლება, ამიტომ მოგებული მე ვარ.

— კი, როგორ არა! წაგებული ხართ, რადგან მიზანს ჯერ მე მივაღწიე. ეშმაკობა ეშმაკობის წილ! გამოტყდით, თქვენც ხომ ცდილობდით ჩემს მოტყუებას, როცა „სამის“ თქმა არ დამაცალეთ და ადგილს მოწყდით?

— ეს დასაშვებია, თქვენი ეშმაკობა კი, მეგობარო, სულ სხვა რიგისაა.

— მაგრამ ამ სიცრუემ გამარჯვება მომაპოვებინა, ასე რომ Vincasi per fortuna o per inganno, Il vincer Sempre fu laudabil cosa.[1]

— კარგით, თანახმა ვარ, დავმარცხდი. მიბრძანეთ, დამსაჯეთ. გემორჩილებით.

— დამიგდეთ ყური: დავსხდეთ, რადგან განაჩენი მოსაფიქრებელია. გისჯით, გამოიცვალოთ თქვენი წვივსაკრავი.

---

[1] გინდ გაიმარჯვოთ ბედის შემწეობით, გინდ ეშმაკობით, გამარჯვება ყველა შემთხვევაში საპატივსაცემოა (იტალ.).

მისთვის ნაყიდი ოქროს შესაკრავიანი წვივსაკრავი ვაჩუქე და ვთხოვე, ყოველდღე ჩაცმა-გახდისას გამიხსენეთ-მეთქი.

წმინდა სამების დღე დადგა. ოპერის დამთავრებამდე შვიდი საათი გვქონდა დარჩენილი, — ისევ ჩვენს ბაღს მივაკითხეთ, მაგრამ ვინაიდან დღესასწაული იყო, ირგვლივ ბევრი ხალხი ირეოდა, განმარტოება გვინდოდა, და ერთ სასტუმროში ოთახი დავიქირავეთ. ვახშამი შევუკვეთე და დიასახლისს ვთხოვეთ არ შეეწუხებინეთ.

კ. კ-მ საწოლზე დაყარა მთელი ტანისამოსი და ერთი წამის შემდეგ ჩემს მზერას ახალი ევა წარმოუდგა, მშვენიერი და შიშველი; გეგონებოდათ, ღვთის ხელმა ეს წუთია შექმნაო.

— განა არის ასეთი წესი, — მკითხა ქალღმერთმა, — რომ ქმარმა ტანისამოსი არ უნდა გაიხადოს?

— არა, ძვირფასო ანგელოზო, არ არის ასეთი წესი და რომც არსებობდეს, ნამდვილ ბარბაროსად ჩავთვლიდი თავს, თუ დავემორჩილებოდი.

თვალის დახამხამებაში გავშიშვლდი და ჩემს შეყვარებულს ბუნებრივი ინსტინქტებისა და ცნობისმოყვარეობის მოძალება შევატყვე: მისთვის ხომ ყველაფერი ახალი იყო! ბოლოს, თითქოს ნანახმა დააძაბუნაო, მკლავები მოშხვია, გულზე მიმიკრა და წამოიძახა:

— ოჰ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რამდენი განსხვავებაა შენსა და ჩემს ბალიშს შორის!

— რას ამბობ, ჩემო საყვარელო? მეხუმრები? ამიხსენი, რას შეუბნები!

— ბავშვობაა და მეტი არაფერი... რომ გითხრა, არ გამიწყრები?

— როგორ? განა შემიძლია გავბრაზდე ჩემი ცხოვრების ყველაზე სანეტარო წუთებში?

— კარგი, გეტყვი. უკვე რამდენიმე დღეა, ვერ ვიძინებდი, თუ გულში ბალიშს არ ჩავიხუტებდი. ვეფერებოდი, ჩემს ქმარს ვეძახდი, მეგონა, შენ გეალერსებოდი და, როცა მშვიდი სიხარული დამეუფლებოდა, მაშინღა ჩამეძინებოდა. დილით კი ისევ ჩემს დიდ ბალიშთან ჩახუტებულს მელვიძებოდა.

ძვირფასი კ. კ-ი გმირულად გახდა ჩემი ცოლი, რადგან მოჭარბებულმა სიყვარულმა საოცარი ტკივილიც მოუტანა. სამსაათიანი სიამტკბილობის შემდეგ ავდექი და შეკვეთილი ვახშამი მოვატანინე. ვახშამი უბრალო იყო, მაგრამ გემრიელი. ერთმანეთს უბრად შევცქეროდით, რადგან იმაზე მეტს ვერაფერს ვიტყოდით, რასაც ვგრძნობდით. უმალლეს ბედნიერებას განვიცდიდით და გვიხარიოდა, რომ ამ ბედნიერების გამეორება შეგვეძლო, როცა კი მოვისურვებდით.

დიასახლისმა ამოგვაკითხა, რამეს ხომ არ ინებებთო, და დაინტერესდა, ოპერაში წავიდოდით თუ არა. ამ ოპერას ყველანი აქებენო, დაამატა.

— თქვენ ხომ არ გინახავთ?

— ოპერაში არასოდეს ვყოფილვარ, — თქვა დიასახლისმა, — ჩვენნაირი ხალხისათვის ეს დიდი ფუფუნებაა. ჩემს ქალიშვილს ისე აინტერესებს ოპერის ნახვა, რომ, ღმერთო შეგცოდე და, მგონია, თავის ქალწულობასაც მსხვერპლად გაიღებს, ოღონდაც ერთხელ მაინც ნახოს.

— ძალიან ძვირად დაუფასებია, — გაიცინა ჩემმა პატარა ქალმა — ჩემო მეგობარო, ჩვენ შეგვიძლია ვაჩუქოთ ეს ბედნიერება, რომელიც ასეთ ფასად დაუჯდებოდა და თანაც ტკივილს მიაყენებდა.

— მეც ასე ვიფიქრე, ჩემო პატარავ. შენი ხელით უძღვენი ეს საჩუქარი. აგერაა გასალები.

— აიღეთ, — უთხრა მან დიასახლისს, — ეს ჩვენი ლოჟის გასაღებია. ლოჟა ორი ცეხინი ღირს. წადით და ჩვენს ადგილებზე დასხედით. თქვენს ქალიშვილს კი გადაეცით, თავისი კოკორი უკეთესი დროისთვის შემოინახოს.

— კარგად რომ ისიამოვნოთ გეთაყვა, ეს ორი ცეხინიც გამომართვით. კარგი დრო გაატარებინეთ, არაფერი დააკლოთ თქვენს ქალიშვილს.

სტუმრების ხელგაშლილობით გაოგნებული ქალი თავის ქალიშვილთან გაიქცა, ჩვენ კი ერთმანეთს მივულოცეთ, რომ იძულებულნი გავხდით ლოგინში ისევ ჩავწოლილიყავით.

დიასახლისი ქალიშვილის თანხლებით ამობრუნდა. სანდომიანი სახის, ზომაზე ჩასუქებული, ქერა გოგონა იყო. ერთი სული ჰქონდა ხელზე მთხვეოდა თავის მწყალობლებს.

— თავის შეყვარებულთან ერთად წავა, — მოგვახარა დედამისმა, — ქვევით ელოდება... მარტო კი არ გავუშვებ, მეც წავყვები. ჩემი სასიძო ყოჩაღი ბიჭია და მეშინია, რამე ხიფათს არ გადაგვყარის...

— ძალიან კარგი, ჩემო კეთილო. როცა დაბრუნდებით, გონდოლა არ გაუშვათ. ვენეციაში მაგ გონდოლით წავალთ.

— როგორ, ჩვენს დაბრუნებამდე აპირებთ აქ გაჩერებას?

— დიახ, რადგანაც დღეს შეევუღლდით.

— დღეს? ღმერთმა დაგლოცოთ!

დღესასწაულის დღეებში, სანამ ნიღბები გვეკეთა, ოპერისა და თეატრისთვის განკუთვნილ დროს ჩვენს ბალსა და სასტუმროში ვატარებდით. უსაზღვროდ შეყვარებული ვიყავი და გადავწყვიტე, აუცილებლად გადამედგა ნაბიჯი, ჩემს ბედს რომ გადაწყვეტდა. ერთხელ ნასადილევს, ბატონ დე ბრაგადინს და მის ორ მეგობარს ვთხოვე, ჩემთვის ორი საათი დათმოთ ცალკე კაბინეტში, სადაც არავინ შეგვაწუხებდა. იქ, ყოველგვარი შესავლის გარეშე, გამოვუცხადე, რომ კ. კ-ი მიყვარს და, თუ არ დამეხმარებიან და მამამისს არ დაითანხმებენ ჩვენს კანონიერ ქორწინებაზე, უნდა მოვიტაცო. თანაც, დავუმატე, უზრუნველყოფილიც გავხდები, რადგანაც ქალიშვილს მზითევად ათი ათას დუკატს აძლევენ-მეთქი. ბატონი დე ბრაგადინი დამთანხმდა და მეც შინ კმაყოფილი დავბრუნდი.

მეორე დღეს ბრაგადინმა შემატყობინა, რომ ქალის მამას წერილი გაუგზავნა და უკვე პასუხიც მიიღო. კ. კ-ის მამა ატყობინებდა, თავად გეახლებით სასახლეში, რათა თქვენი ბრძანება შევასრულოო.

ჩემი შეყვარებული მისივე ოთახში შუადამისას ვნახე და წერილად მიამბო ყველაფერი. მამამისი ფრიად დაინტერესებულა სენატორის ბარათით, ერთი სული ჰქონდა გაეგო — რა უნდოდა, რადგან სენატორთან აქამდე ურთიერთობა არ ჰქონია: გაურკვევლობამ და შიშნარევმა იმედმა გაანელა ჩვენი სიყვარულის მგზნებარება და იმ ღამეს ნაადრევად დავშორდით ერთმანეთს.

მეორე დღეს ბატონი შ. კ-ი ბატონ დე ბრაგადინთან მივიდა და მის მეგობრებთან ერთად ორი საათი ისაუბრეს. წავიდა თუ არა, სამწუხარო ამბავი მაუწყეს: კ. კ-ის მამას მტკიცედ განუცხადებია, ჩემს ქალიშვილს ოთხი წლით მონასტერში გავგზავნი და იქ იქნება, სანამ საქორწილო ასაკი დაუდგებაო. ამ განაჩენის შესამსუბუქებლად დაუმატებია, თუ ამ ხნის განმავლობაში კარგი სამსახური და მდგომარეობა მექნებოდა, ქორწინების ნებას დაგვრთავდა.

ორი დღის შემდეგ ბატონი დე ბრაგადინი და მისი ორი მეგობარი ერთი თვით პადუას გაემგზავრნენ. სასახლეში მარტო დავრჩი. მძიმე სულიერი განწყობის გამო მათ ვერ გავყევი. დარდის გასაქარწყლებლად თამაში დავიწყე და,

რადგან ყურადღებით ვერ ვოამაშობდი, სულ ვაგებდი. რაც კი რამ ფასეული გამაჩნდა, ყველაფერი გავყიდე და მაინც ბევრი მევალე დამრჩა. პადუაში წასული მეგობრების იმედი კი მქონდა, მაგრამ მრცხვენოდა და შველას ვერ ვთხოვდი. არაფერი დამრჩენოდა, თავი უნდა მომეკლა და სწორედ ამაზე ვფიქრობდი სარკის წინ წვერის პარსვისას, როცა ვიღაც ქალის თანხლებით მოსამსახურე მეახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი მომიახლოვდა და წერილი გამომიწოდა.

— ეს წერილი ხომ თქვენ გეკუთვნით?

დავხედე და ლუქი ვიცანი. ამ ლუქის ბეჭედი კ. კ-ს მივეცი. უცებ ვიგრძენი, საცაა გული გამისკდებოდა და დასამშვიდებლად დრო მჭირდებოდა. ქალს ვუთხარი, დამელოდეთ-მეთქი. ვიფიქრე, ჯერ პირს გაეპარსავ და საქმეს მერე მივხედავ-მეთქი, მაგრამ ხელი აღარ მეძორჩილებოდა. საპარსი იქვე დავაგდე, მომტანს ზურგი შეეაქცევ და წერილი გავხსენი.

„სანამ ყველაფერს დაწერილებით მოგწერდე, ეს ქალი უნდა შევამოწმო. მონასტრის პანსიონში ვიმყოფები. აქ კარგად მივლიან და, მიუხედავად უკიდურესი სულიერი ტანჯვისა, ჯანმრთელობას არ ეუჩივი. ჩემს ზედამხედველს ბრძანება აქვს მიღებული — არავის შემახვედროს და ამასთან ყოველგვარი მიწერ-მოწერაც აკრძალული მაქვს. და მაინც, ამ აკრძალვის მიუხედავად, იმედი გაკრთა შენთან დაკავშირებისა, შენი პატიოსნება ფარავით მიცავს ჩემო საყვარელო ქმარო, და დარწმუნებული ვარ, არასოდეს მიატოვებ იმ გულს, ვისი ერთადერთი მეუფე შენა ხარ, მხოლოდ შენ.

იმედი იქონიე, რასაც მიბრძანებ ყველაფერს შევასრულებ, რადგან მხოლოდ შენ გეკუთვნი და შენი მჯერა. ყველაფერი მოკლედ მომწერე, რადგან ჯერ ჩვენი შიკრიკის ერთგულებაში უნდა დავრწმუნდე

მიურანი, 12 ივნისი“.

მომტანს, რომელიც მონასტრის მსახური გამოდგა, ფული მივეცი და ვუთხარი, ჩემი მეგობრისგან წერილს როცა მომიტანთ, თქვენს გარჯას მუდამ დავაფასებ-მეთქი.

ცეხინის დანახვაზე კეთილმა ქალმა ტირილი დაიწყო და მანუგეშა ჩემთვის დაბრკოლება აღარ იარსებებს, თუკი მადემუაზელი წერილის დაწერას მოახერხებს, მაშინვე მოგარომევთო.

მიურანიდან გამოგზავნილი მეორე წერილი გაცილებით ვრცელი იყო და მისმა სრულად გადმოცემამ მკითხველი შეიძლება დაღალოს კიდეც ამიტომ მთავარს მოგახსენებთ:

ბრაგადინთან საუბრის შემდეგ შინ დაბრუნებულმა შ. კ-მ თავის ცოლსა და ქალიშვილს უხმო. გოგონასთვის ტკბილად უკითხავს, ის ყმაწვილი სად გაიცანიო. კ. კ-მ უპასუხა, ხუთჯერ თუ ექვსჯერ ძმის ოთახში შემხვდა, სადაც მკითხა, თანახმა ვარ თუ არა ცოლად გავყოლოდი, რაზეც მივუგე დედის და მამის დასტურის გარეშე ვერაფერს გიპასუხებთ-მეთქი. მაშინ მამამ უთხრა, ჯერ ძალიან პატარა ხარ და გათხოვებამდე რამდენიმე წელი უნდა დაიცადოო. ისიც განუმარტა, რომ საზოგადოებაში არავითარი მდგომარეობა არა მქონდა. ორი დღე დედასთან, ოთახში ჰყოლია ჩაკეტილი, შემდეგ კი აუწყა, რომ გადია მონასტერში წაიყვანდა, სადაც იქამდე დარჩებოდა სანამ საქმროს აურჩევდნენ და მამისა და დედის ლოცვა-კურთხევით ხელიდან ხელში ჩააბარებდნენ. გოგონამ უპასუხა, ყველაფერში თქვენს ნებას დავყვები და სიხარულით გემორჩილებითო. მამა „აყოფილი დარჩენილა, ასეთი დამჯერე და გამგონე რომ გა-

მოდგა, და შეპირდა, მე და დედაშენი შენს სანახავად ხშირად ვიელითო. თხუთმეტ წუთში გადიამ მოაკითხა, ორივენი გონდოლაში ჩასხდნენ და მიურანის მონასტერში გაემგზავრნენ. კ. კ-ი მწერდა, საკუთარი ქვეშაგები და საჭირო ნივთები თან წავიღე, ჩემი ოთახი ძალიან მომწონს და მონაზონიც მომწონს, ვისაც ჩემი თაყი ჩააბარესო. ამ მონაზონმა აუხსნა, ესა და ეს გეკრძალებაო და თუ ყველაფერს არ შეასრულებ, წმინდა მამა ეკლესიიდან განგკვეთს და სამუდამოდ შეგაჩვენებსო. თურმე სწორედ მან მოუტანა ქალალდი, მელანი და წიგნები. ამ ქალაქით კ. კ-მ მკაცრი სამონასტრო განაწესი დაარღვია და ამ წერილის წერას შეუდგა. ჩემო მეგობაროო, მწერდა იგი, ჩვენი შიკრიკი ერთგული და ღვთისნიერი ქალია და ასე მგონია, სულ ასეთი იქნება, რადგან ღარიბია და ჩვენი ფული მისთვის მთელი ქონებაა.

ჩემმა შეყვარებულმა ჩვეული იუმორით მომახსენა, რომ თურმე მთელ მონასტერში ულამაზეს მონაზონს გაგიჟებამდე შეყვარებია, დღეში ორჯერ ფრანგულს ამეცადინებს, თან კი, ვითომ ხუმრობით, დანარჩენ პანსიონერებთან მეგობრობას უკრძალავს. ეს მონაზონი ოცდაორი წლისა ყოფილა, ლამაზი, მდიდარი და გულმოწყალე. ყველანი დიდ პატივს სცემენ. როცა მარტო ვრჩებითო, მწერდა კ. კ-ი, ისე ნაზად მკოცნის, საეჭვიანო გექნებოდა, ქალი რომ არ იყოსო.

რაც შეეხება მოტაცებას, მას მიაჩნდა, რომ ამ გეგმის განხორციელება შეიძლებოდა, თუმცა სიფრთხილე გვმართებდა და აჯობებდა ცოტა ხანს დაგვეცადა, რათა უკეთ შეესწავლათ იქაურობა და შემდგომ ჩემთვის შეეტყობინებინა ოთახებისა და ეზოს განლაგება. მწერდა, რომ ჩვენი სიყვარულის საწინდარი ერთგულებაა და მთხოვდა შემეკვეთა ბეჭედი, სადაც ჩემი პორტრეტი იქნებოდა საიდუმლოდ ჩამალული, რაიც მარტო ჩვენ გვეცოდინებაო. ეს ბეჭედი შემეძლო დედამისის ხელით გადამეცა. რომელიც ყოველდღე, დილის წირვაზე ეკლესიაში მარტო დადიოდა. მარწმუნებდა, რომ მისი კეთილი დედა მოხარული იქნებოდა ჩემი ნახვით და ყველაფერს გააკეთებდა, რასაც ვთხოვდი.

პასუხის დაწერა დაეამთავრე თუ არა, ლორამ მომაკითხა, ჩვენმა შიკრიკმა.

კ. კ-ს დარიგებით, დილაადრიან ისეთ ადგილას დავდექი, სადაც ეკლესიაში მიმავალ დედამისს დავინახავდი. სალოცავში შევყევი და მის გვერდით დავიჩოქე. ეუთხარი, სალაპარაკო მაქვს-მეთქი. გავინაპირე და ვკითხე, თუ აპირებდა ამ ცოტა ხანში ქალიშვილის ნახვას.

— ჩემს საყვარელ ბავშვს კვირას ვინახულებ, გადავცემ თქვენს მოკითხვას და ვიცი, გავახარებ. ეწუხვარ, მაგრამ მის ადგილ-სამყოფელს ვერ გაგიმხელთ.

— არც გეკითხებით, ჩემო ძვირფასო დედა. ერთსა გთხოვთ მხოლოდ, გადასცეთ ჩემგან ეს ბეჭედი. ზედ მისი მფარველი წმინდანის გამოსახულებაა და ჩემ მაგიერ შეემუდარეთ — ხელზე ატაროს, მუდამდღე ილოცოს ამ ხატზე, რადგან წმინდა ეკატერინეს მფარველობის გარეშე ჩემი ცოლი ვერ გახდება.

ერთი სიამოვნება მქონდა ამქვეყნად: ყოველ ოთხშაბათს ჩემი ტყვედმყოფი შეყვარებულის წერილს ველოდი. კ. კ-ი იმედს მაძლევდა, რომ მალე ყველაფერი კარგად მოეწყობოდა და მის მოსატაცებლად ყველა პირობა შეიქმნებოდა. ლორა მიმტკიცებდა, ძალიან გალამაზდაო, და ერთი სული მქონდა მენახა. ასეთი შესაძლებლობა მალე მომეცა, მეც არ დავაყოვნე და ამით ვისარგებლე. მონაზვნად შედგომის დღე ახლოვდებოდა. ასეთ დღეს მონასტრის მკვიდრთ უამრავი მნახველი მოუდიოდათ. სავარაუდო იყო, რომ პანსიონერებსაც შეეძლებოდათ მონასტრის მისალებში თავ-თავიანთ სტუმრებთან შეხვედრა. თუ შეუმჩნევლად გავერეოდი მნახველთა ბრბოში, ჩემი ვარაუდით, საფრთხე არ მელოდა. გაუფრთხი-

ლებლად მივედი მონასტერში და კინაღამ ადგილზე ჩავიკეცე, როცა კ. კ-ი დ-ეინახე. გაზრდილი, დაქალებული და უწინდელზე ბევრად ლამაზი მეჩვენა. მონუსხულივით მივშტერებოდი და ისიც მხოლოდ მე მიყურებდა. არ მავიწყდება, თუ ვიტყვი რომ ბოლო სტუმარი, ვინც მონასტერი დატოვა, მე ვიყავი. ეს დღე ბედნიერების მწვერვალად მეჩვენა.

ისეთი ნეტარებით აღსავსე წერილი მომწერა, რომ შევკითხულ, თუკვნი მონასტრის ყველა საღღესასწაული წირვას დავესწრები-მეთქი; რაც პირნათლად შევასრულე. არ მეგონა, თუ ჩემი პიროვნება რითიმე განსაკუთრებული აღმოჩნდებოდა და სამონასტრო მრევლის ყურადღების საგნად ვიქცეოდი.

კ. კ-მ ამის თაობაზე მხიარული წერილი მომწერა. თურმე მთელი მონასტრისთვის გამოცანად ვიქეცი; თურმე მონაზვნები და პანსიონერები, გარდა ვადარძუებული ქალებისა, ჩუმ-ჩუმად ჩემზე ჭორაობდნენ; თურმე გუნდად ელოდებოდნენ ჩემს გამოჩენას და ეკლესიის კარიბჭეში ფეხს შევდგამდი თუ არა, ერთმანეთს ატყობინებდნენ, მოვიდა, მოვიდაო; თურმე ისიც შეუმჩნევიათ, ნაკურთხი წყლით განწმენდილი განდეგილივით რომ ვიდექი, არც ცხაურს მიღმა გამწკრივებულ მონაზვნებს ვუყურებდი, არც ეკლესიაში შემთსულ ქალებს ვათვალიერებდი; თურმე ხანდაზმული მონაზვნები ამტკიცებდნენ, რაღაც ისეთი ხვაშიადი აწუხებს, ნამდვილად განკურნებას ღვთისმშობლის მფარველობით აპირებსო, ახალგაზრდები კი ვარაუდობდნენ, ან მელანქოლიითაა შეპყრობილი ან კაცთმოძულეაო. შენი ძვირფასი ცოლი, ვინც სხვებზე უკეთ იცოდა საქმის ვითარება, დიდად ერთობოდა ამგვარი ლაპარაკით.

1753 წელს, ყველა წმინდანთა დღესასწაულზე, მონასტერში წირვას დავესწარი. ვენეციაში დასაბრუნებლად უკვე გონდოლაში ვჯდებოდი, რომ ერთმა, ლორას ყაიდის ქალმა შემომხედა, გვერდით ჩამიარა და ფეხთან წერილი დამიგდო.

აი, რა ეწერა ამ წერილში:

„ერთ მონაზონს, ვინც უკვე ორი თვეა საეკლესიო დღესასწაულებზე მონასტერში გხედავთ, თქვენი გაცნობა სურს. ამას წინათ რაღაც წიგნაკი დაგივარდათ და შემთხვევით მის ხელთ აღმოჩნდა. საიდანაც ვარაუდობს, რომ ფრანგული იცით. თუ გირჩევნიათ, შეგიძლიათ იტალიურადაც მისწეროთ, რადგან უნდა ყველაფერზე ნათლად და ზუსტად უპასუხოთ. მისაღებში პირისპირ შეხვედრას არ გთავაზობთ, რადგან, სანამ მასთან საუბრის აუცილებლობაზე მიდგებოდეს ჯერი, სურვილი აქეს წინდაწინ ნახოთ, ამისთვის კი მიგითითებთ ერთ ქალბატონზე, ვინც მისაღებში წამოგყვებათ. ის ქალი არ გიცნობთ და, თუ სურვილი არ დაგებადებათ, არც არის აუცილებელი თქვენი თაყი წარუდგინოთ.

თუ მიგაჩნიათ, რომ გაცნობის ამგვარი წესი მიუღებელია, ერთი მონაზონი მიურანზე მისი აგარაკის მისამართს მოგცემთ. იქ, დათქმულ დღეს, ღამის პირველ საათზე შეგიძლიათ შეხვდეთ და მასთან ერთად იეახშმოთ, ანდა წახვიდეთ, თუკი სავახშმოდ არ გეცლებათ“.

ჩვენი შუამავალი გრაფის მეუღლე აღმოჩნდა და, როცა მონასტერში მივედით, მ. მ-ი (ასე ერქვა იმ მონაზონს) მისაღებში გამოიძახა. გრაფის მეუღლე მონაზონს პირდაპირ დაუჯდა. მე კი გვერდით მოვკალათდი, უკეთ რომ დამეთვალიერებინა.

მ. მ-ი ულამაზესი ქალი გამოდგა, კაცის თვალი უკეთესს ვერ ნახავდა. ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ეს სწორედ ის ქალი იყო, ვინც კ. კ-ის ფრანგულს ასწავლიდა. მისმა სილამაზემ ისე გამაოგნა, რომ არაფერი გამიგონია, რასაც ქა-

ლები ლაპარაკობდნენ. მშვენიერმა მონაზონმა არამცოუ სიტყვა შემაწია, ერთ-ხელაც არ შემოუხედავს. მართალი რომ გითხრათ, ჩემმა მშვენიერმა მონაზონ-მა რომ არაფერი მითხრა, გამეხარდა კიდეც: რადგან ისეთი გამოშტერებული და რეტდასხმული გახლდით, სავსებით შესაძლებელი იყო მის შეკითხვებზე გა-ცემული უადგილო პასუხების მიხედვით ჩემს გონიერებაზე ეჭვი [illegible] დარჩენოდა. უკვე ვხედავდი, კ. კ-ს ღალატი მთებს მიღმა [illegible] ხე-ლავად მისდამი სიყვარულისა, ყოლიარებ, სინანულის მარწუხები არ მახრჩობდა. გავითვალისწინე, თუ ორგულობა გამოაშკარავდებოდა, კ. კ-ს გული არ უნდა გა-სტეხოდა, ვინაიდან ეს პატარა გადახრა ცოტას სულს ბომბოქმევინებდა და ჩე-მივე თავს საბომბავლოდ შეუნარჩუნებდა: მოწყენილობა მღრღნიდა, ხოლო ჩვენ-მა დაშორიშორებულმა სიყვარულმა თოლად ჩაბომბახმო.

ნაყოფიერი მიწერ-მოწერის შემდეგ დავოქვიო, ერთმანეთს მისალებში შევ-ხვედროდით.

მოუთმენლობა მკლავდა და ზუსტად დროზე მივედი. პატარა მისალებში შემიყვანეს, იქ, სადაც პირველად ვნახე და მასაც არ დაუგვიანია. ცხაურთან მდგარი რომ დავინახე, მის წინ დავიჩოქე. მთხოვა, ახლავე ადექიო, არავინ და-გინახოთო. სახე ალეწილი ჰქონდა. შზერა — ღვთიური სიკეთით სავსე. დაჯდა, მეც დავჯექი. რამდენიმე წუთი ისე გავიდა, ხმა ვერ ამოვიღეთ.

— პირველადაა, ერთმანეთს რომ დაველაპარაკეთ, — მითხრა ტკბილი და გულშიჩამწვდომი ხმით, — ეიმედოვნებ, ჩვენი კავშირი ნაზი და გულწრფელი იქნება და ერთმანეთს შეცდომებსაც შევუნდობთ.

— როდის მექნება ბედნიერება თავისუფლად გაგიმჟღავნოთ ჩემი გრძნობე-ბი? როდის შევძლებ გულის სიხარული გაგიზიაროთ?

— როცა მოისურვებთ, ჩემს აგარაკზე ვივახშმოთ, მაგრამ დრო ორი დღით ადრე უნდა შემითანხმოთ. თუ გნებავთ და არ გეჩოთირებათ, თქვენთან წამოვალ ვენეციაში.

— ამაზე დიდი ბედნიერება რა იქნებოდა?.. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ: ჩემი გული ერთ არსებას ეკუთვნის, რომელსაც დღესაც ვეთაყვანები.

— ეს გულახდილობა, ჩემი ძვირფასო მეგობარო, ძალიან მსიამოვნებს... ჩემი მხრივ უნდა მოგახსენოთ, რომ მდიდარი ვარ და სატრფოსთვის არაფერს დავიშურებ.

— თქვენც უსათუოდ გეყოლებათ...

— დიახ, მისი წყალობითა ვარ მდიდარი. ჩემი საყვარელი კი არ არის მხო-ლოდ, ჩემი მასწავლებელიცაა და პატრონიც. არაფერს ვუმალავ. ზეგ, როცა მარ-ტონი ვიქნებით, ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვებით.

— იმედი მაქვს, თქვენი სატრფო...

— არა, იქ არ იქნება, პატრონთან სიტყვას გაძლევთ, თავად თქვენ ამჟამად საყვარელი თუ გყავთ?

— მყავდა, ეაგლახ, მყავდა! ძალით წამგლიჯეს და უკვე ექვსი თვეა, ბერბი-ჭასავით ვცხოვრობ.

— კიდევ გიყვართ?

— მუდამ სიყვარულით ვიხსენებ. თქვენსავით მომხიბვლელი და მშვენიერია, მაგრამ გული მიგრძნობს, მის თავს დამავიწყებთ.

— ბედნიერი თუ იყავით, გულწრფელად მეცოდებით. წაგართვეს სატრფო და ახლა ყველას გაურბიხარო. რათა თქვენი დარდის ტყვეობაში იცხოვროთ,

ხომ მიგიხედეთ? მაგრამ იცოდეთ, ისე თუ მოხდა, თქვენს გულში მისი კუთვნილი ადგილი დავიკავე, ველარავინ წამართმევს თქვენს თავს.

— რას იტყვის თქვენი საყვარელი?

— ბედნიერი თუ ვიქნები, კმაყოფილი დარჩება. თქვენისთანა საყვარელი რომ მეყოლება, ესეც გაახარებს. სიკეთე და გულმოწყალება მისი მთავარი თვისებებია. აიღეთ ჩემი აგარაკის გასაღები. მსახურების გარდა ველარავინ დაგხვდებათ. არავინ გამოგელაპარაკებათ და თქვენც არ დაგჭირდებათ მათთან საუბარი. ნიღაბი გაიკეთეთ და ღამის პირველის ნახევარზე[1] ადრე არ მიხვიდეთ. ქუჩიდან კიბეს აუყვებით და კიბის თავზე დაკიდებული ფარნის შუქზე მწვანე კარს დაინახავთ, გააღებთ და განათებულ ოთახში შეხვალთ. მეორე ოთახში დაგხვდებით. თუ მისული არ ვიქენი, დაველოდეთ რამდენიმე წუთი. საერთოდ, დაგვიანება არ მიყვარს, ზუსტად მოვალ. შეგიძლიათ ნიღაბი მოიხსნათ და თავი თავისუფლად იგრძნოთ, გადაათვალიერეთ საინტერესო წიგნები და აგიზგიზებულ ბუხარს მიეფიცხოთ, — მითხრა მ. მ-მა გამომშვიდობებისას.

საღამოს, დათქმულ დროზე პაემანზე მივედი და ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც დამიბარა. შევედი მისაღებ ოთახში, სადაც ჩემი გულის მპყრობელი ვიხილე. დიდი გემოვნებით შეკერილი საერო კაბა ეცვა. სასტუმრო ოთახი კანდელებით იყო განათებული და მათი შუქი სარკეებში ირეკლებოდა; კიდევ ოთხი დიდი შანდალი წიგნებით სავსე მაგიდაზე ლიცლიცებდა. ახლა იგი სულ არ ჰგავდა იმ მონაზონს, მე რომ ეიცნობდი. სხვაგვარი, განსხვავებული პეწი მისცემოდა მის სილამაზეს. თმა ისე უზადოდ ჰქონდა დავარცხნილი, ეჭვი შემეპარა, პარიკი ხომ არ უკეთია-მეთქი და, რადგან მკვდარი თმა მეზიზღებოდა, ქათინაურისგან, ცოტა არ იყოს, თავი შევიკავე, მუხლებზე მოვეხვიე, რათა მადლიერების გრძნობა გამომემჟღავნებინა, გაგიჟებით ეუკოცნიდი ნატიფ მკლავებს და იმ სასიყვარულო ნეტარებას ველოდი, ხვევნა-ალერსს რომ უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ მ. მ-ი უცებ არ დამნებდა. ო, რა მომხიბვლელია წინააღმდეგობა ქალისა, რომელიც ბედნიერ წუთებს მხოლოდ იმიტომ აყოვნებს, რათა სიამოვნება გააძაფროს! ნაზი, პატივისმცემელი, გაბედული და ფხიანი შეყვარებული გახლდით. გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა და სიტკბოებას სინაზით ვაზავებდი, იმისდა მიხედვით, თუ რა სიძლიერით მდაგაედა ვნებათა ცეცხლი. როცა ულამაზეს ბაგეს უმგზნებარეს კოცნას მივაგებდი, ჩემი სული ცად ამაღლებას ლამობდა. მოსამზადებელ ოროთაბრძოლაში ორი საათი გავატარეთ. ბოლოს ორივე კმაყოფილი დავრჩით: მ. მ-ი იმით, წინ რომ აღუდგა ჩემს ვნებას, მე კი — ამ ვნების მოთოკვა რომ შევძელი.

— მოდით, ჩაცმულებმა სოფაზე დავისვენოთ, — შემომთავაზა.

— ჩაცმულებმა? კარგით. თუ გნებავთ, შეგიძლიათ დაიძინოთ, მაგრამ მე თუ ვერ დავიძინებ, უნდა მაპატიოთ; თუ მიბრძანებთ კიდეც, ჩემს გვერდით ჩაცმულმა დაიძინეთ, ეს ნიშნავს შეუძლებელი მომთხოვოთ.

— დაწყნარდით, ნუ ღელავთ....

იგი სოფასთან მივიდა, ადვილად გადახსნა საზურგე, იქიდან ბალიშები, ზეწარი და საბანი ამოიღო და აი, თვალის დახამხამებაში მშვენიერი ლოგინი მოაწყო. ფართო და მოხერხებული. აიღო დიდი თავსაფარი და თავი სასაცილოდ წამიკრა. შემდეგ მანიშნა, თავი მეც შემიკონეო. ეს წინადადება არ მესიამოვნა, რადგან პარიკი მეზიზღებოდა და არ მინდოდა შეეხებოდი. წარმოიდგინეთ ჩემი

[1]. ორი საათი მზის ჩასვლის შემდეგ (კაზანოვას შენიშვნა არშიაზე).

ლეფრთოვანება, როცა პარიკის ნაცვლად ხელი უფაფუქეს და უმშვენიერეს იქ-
როფერ თმაში ჩამეფლო. უნებლიე ბედნიერებისგან სიხარულით შეკივლე. მ.
მ-მა ჩემს გულუბრყვილობაზე ბევრი იცინა და ამიხსნა, რომ მონაზვნის უმთავ-
რესი მოვალეობა ჩვეულებრივი მოკვდავის ბილწ მზერას თავისი თმა დაუმა-
ლოს.

სათქმელი დამთავრებული არ ჰქონდა, მარჯვედ მკრა ხელი და ... მაგდო, წამოვხტი, წამში გავშიშვლდი და ყეფხვიეთი ზედ დავახტი. ძლიერი ქა-
ლი იყო და მკლავები მარწუხებივით შემომიჭირა. ვერაფერს მიეალწიე. ცეცხ-
ლის ალი მედებოდა, მაგრამ მოუთმენლობა დავთოკე. მეგონა, ჯერჯერობით
არავითარი უფლება არ მქონდა ზედმეტად მომთხოვნი ვყოფილიყავი. მისი კა-
ბის ხუთი თუ ექვსი ბიფთის გახსნას შევუდექი და იმითაც დაკმაყოფილდი,
უარი რომ არ უთქვამს. იმის უფლებაც მოვიპოვე, ნაქანდაკარი ყელი ურიცხვი
კოცნით დამეფარა, მაგრამ ჩემი ქალბატონის გულმოწყალება ამით შემოიფარგ-
ლა. ხულ მეტი და მეტი დაფარული მშვენება ახარებდა ჩემს მზერას და ცეცხლი,
ასე რომ მდგავდა, უფრო და უფრო მედებოდა. მცდელობას ვაორმაგებდი, მაგ-
რამ ამაოდ. ბოლოს ქანცი გამომეცალა და მის მკლავებში ჩამეძინა. საათის ზარ-
მა გამაღვიძა.

— რა ხდება? — წამოვიყვირე და წამოვხტი.

— ჩემო მეგობარო, ავდგეთ, დროა მონასტერში დავბრუნდე.

— ჩაიცვით და ნუ მომაკლებთ მონაზვნის სამოსელში თქვენი ხილვის სია-
მოვნებას. აქედან ხომ უცოდველი მიბრძანდებით.

— იკმარე, რაც ამჯერად იყო. ჩემგან ისწავლე, ტკბილო მეგობარო, თავშეკა-
ების ჭაპანის ზიდვა. სხვა დროს უფრო ბედნიერი ვიქნებით, როცა წავალ, თუ
არ გეჩქარება, შეგიძლია აქ მოისვენო.

ზარი დარეკა და მოახლე შემოვიდა. მ. მ-მა თმა დაივარცხნა, საერო კაბა
გაიძრო, სამკაულები სეკრეტერში ჩაალაგა, სამონაზვნო კორსეტი შეიკრა და
თავისი სავსე მკერდი, ამ ღამით ჩემი ნეტარების უმაღლესი მწვერვალი რომ
იყო, ამ კორსეტში მოამწყვდია და ჩემ თვალწინ დააპატარავა. შემდეგ სამონაზ-
ვნო კაბით შეიმოსა, მსახური გონდოლიერის მოსაყვანად გაგზავნა, ნაზად და
მგზნებარედ მაკოცა და მითხრა:

— ზეგ გელოდები. მაცნობე, ვენეციაში როდის და სად უნდა შეგხვდე. მაშინ,
ჩემო ნაზო სატრფოვ, მაშინ შენც ბედნიერი იქნები და მეც. ნახვამდის.

გახარებული კი ვიყავი, მაგრამ კმაყოფილი გახლდით-მეთქი, რომ გითხრათ,
არ ვიქნები მთლად მართალი. დავწექი და შუადღემდე გვერდშეუცველელად მეძი-
ნა.

ორი დღის შემდეგ მონასტერში მივაკითხე და მისაღებში შევხვდი.

— მითხარი, ჩემო სიყვარულო, — მკითხა, — სად დამელოდები ხვალ, მზის
ჩასვლიდან ორი საათის შემდეგ?

— ... რ შეიძლება შენს აგარაკზე შევხვდეთ?

— არა, რადგან ჩემს შეყვარებულს ვენეციაში მივყავარ.

— დაუჯერებელია...

— მაგრამ სინამდვილეა, თქვენს აგარაკზე წამიყვანეთ.

შეხვედრის ადგილი კი დავთქვით, მაგრამ დასაკარგი დრო არ მქონდა. ვე-
ნეციაში გავვარდი, რადგან, მოგეხსენებათ, არავითარი აგარაკი არ გამაჩნდა.
რის ვაი-ვაგლახით და ცეცხლის ფასად მშვენიერი სახლი დავიქირავე, თავისი
მზარეულითა და მსახურითურთ.

პაემანის ადგილას დათქმულ დროზე ერთი საათით ადრე მივედი. ცივი ღამე იდგა, მე კი ცეცხლი მეკიდა. გონდოლა ნაპირს ზუსტად დროზე მოადგა; იქიდან ვიღაც ნიღბოსანი გადმოხტა და ქანდაკებისკენ გამოეშართა. რაც უფრო მიახლოვდებოდა, მით უფრო მიძგერდა გული, მაგრამ ახალმოსული კაცი გამოდგა და თავი მოვარიდე. ეინანე, პისტოლეტი შინ რად დავტოვე-მეთქი. ნიღბოსანმა ქანდაკებას გარს შემოუარა, წინ დამიდგა და ხელი გამომიწოდა. ჩემი ანგელოზი შევიცანი. ეამა, რომ გამაკვირვა, მკლავში მკლავი გამომდო და ჩემი სახლისკენ გაეწიეთ.

იქაურობა ძალიან მოეწონა, სიმდიდრემ კი — გააოცა. კედლებში ჩასმული უზარმაზარი სარკეები მის მშვენიერ გამოსახულებას აძრავლებდნენ, ხოლო ურიცხვი სანთლის ლიცლიცი იდუმალსა და მიუწვდომელს ხდიდა ამ ორეულებს. სიახლემ განაცვიფრა და თვალს ველარ აშორებდა საკუთარ ანარეკლს. დაბალ სკამზე ჩამომჯდარი აღფრთოვანებით შეეცქეროდი ამ ელეგანტურ ქალს. ვარდისფერი ხავერდის ოქროს სირმით გაწყობილი სამოსი ეცვა, წინ გახსნილი ქურთუკი მდიდრულად იყო დაქარგული, — შავი ატლასის შარვალი, ბრილიანტის საყურეები, ნეკა თითზე წამოცმული ძვირფასი სოლიტერი,[1] მეორე ხელზე თეთრი ატლასის ფსკერზე ჩამაგრებული მთის ბროლის ბეჭედი სიმდიდრისა და დახვეწილობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისი hautte[2]-ი შავი მაქმანისა იყო და ყურადღებას იქცევდა ნაქარგისა და ფორმის სინატიფით. უკეთ რომ დამენახა, წინ დამისკუპდა. ჯიბეები მოვუჩხრიკე. ოქროს სათუთუნე, პატარა, მარგალიტებით ინკრუსტირებული საკანფეტე, ოქროს მოგრძო საკალმე, ულამაზესი ლორნეტი, ძვირფასი სუნამოთი დანამული ბატისტის სიფრიფანა ცხვირსახოცი, საუცხოოდ ნაოსტატარი ჯიბის ორი საათი, ოქროს ძეწკვები, წვრილ-წვრილი ბრილიანტებით გაწყობილი ბრელოკები და ბოლოს საუკეთესო ფოლადის ინგლისური პისტოლეტი, — აი, ყველაფერი, რაც ჯიბეებში ეწყო.

— ზოგი რამ, რაც აქ არის, ალბათ თქვენ არ გეკუთვნით და არ შემიძლია თავი შევიკავო, ქათინაური არ ვუთხრა იმ ადამიანს, ვინც ამ მშვენიერი ნივთების მფლობელია და ვისაც უნდა დაგარწმუნოთ, რომ ნამდვილად მისი საყვარელი ხართ. გამოგკითხავთ ამ ღამის ამბებს?

— ჰგონია, რომ მასიამოვნებს და მხოლოდ ამიტომ. ყველაფერს მოვუყვები, გარდა იმისა, რაც დაამცირებს.

ვახშმის შემდეგ თქვა, პუნშს გავაკეთებო, და რადგან იგრძნო, რომ მოთმინება მელეოდა, მითხრა:

— კარგი, შენებურად იყოს.

შემიყვანა ბუდუარში, სადაც საღამური ქუდი ვაჩუქე და ვთხოვე, თავსაფარი აღარ წაეკრა. სიხარულით გამომართვა და მითხრა, სასტუმრო ოთახში გამეხადა. დამპირდა, როცა ჩავწვები, დაგიძახებო.

ცდა დიდხანს არ დამჭირვებია. სიყვარულისა და ბედნიერებისგან მთვრალი ჩავუვარდი მკლავებში და შვიდი საათის განმავლობაში სიამოვნებით ვუმტკიცებდი, თუ რაოდენ ძლიერი გრძნობა მამოძრავებდა და რაოდენ მწველი ენება მდაგავდა.

---

[1] ერთვლიანი ბრილიანტის ბეჭედი. (ფრანგ.)

[2] ნიღაბი (იტალ.).

1754
ვენეცია

თავი XXIV

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს პორტრეტს მ. მ-ს ვუძღვნი. იგი მასაჩუქრებს. ოპერაში ერთად მივდივართ. მ. მ-ი განძოს თამაშობს და ნასესხებ ფულს მიბრუნებს. ფილოსოფიური საუბრები. კ. კ-ს წერილი. მეჯლისი მონასტერში. პიეროს კოსტიუმში გამოწყობილი საგმირო საქმეებს ჩავდივარ. მ. მ-ის ნაცვლად პაემანზე კ. კ-ი მოდის. გიჟმაჟი და უცნაური ღამე.

ჩემმა ძვირფასმა მ. მ-მა მითხრა, შენი პორტრეტი მაჩუქე, მედალიონით მინდა ვატაროო. ისეთივე სურდა, კ. კ-სთვის რომ დავუკეთე, ოღონდ ცოტა მოზრდილი. მედალიონში ზემოდან რომელიმე წმინდანის გამოსახულებას ჩასვამდა, ხოლო საიდუმლო ღილაკს თითს რომ დააჭერდა, წმინდანის გამოსახულება გვერდზე გადაიწევდა და პორტრეტი მაშინდა გამოჩნდებოდა. შევპირდი, გაჩუქებ-მეთქი, და ისევ იმ მხატვარს მივაკითხე, პირველი მინიატურა ვინც გამიკეთა. სამი სეანსი დასჭირდა და პორტრეტი გამიმზადა. მანვე შეასრულა მინიატურული ხარებაც. ღვთისმშობელი — ლამაზი ქერა ქალი, მკლავგაწვდილი ეგებებოდა ანგელოზ გაბრიელს, რომელიც მხატვარმა შავგვრემან ყმაწვილად წარმოსახა. ორმეტი წლის შემდეგ მადრიდში ცნობილმა ფერმწერმა მენგმა, თავის ხარებას რომ ქმნიდა, ასეთივე ხერხი გამოიყენა, მაგრამ არა მგონია ამ სიახლის დანერგვისას იგივე საბაბი ჰქონოდა, რაც ჩემს მხატვარს ჰქონდა. ეს ალეგორია ზუსტად ჩემი პორტრეტის ზომისა იყო და ოქრომჭედელმა, ვინც მედალიონი გამიკეთა, ისე ოსტატურად ჩასვა ორივე სურათი, კაცისშვილი ვერ იფიქრებდა, წმინდა სახება მხოლოდ საერო პორტრეტის დასაფარავად რომ იყო განკუთვნილი.

ახალი წლის მეორე დღეს, ე. ი. 1754 წლის 2 იანვარს, სამორინეში წასვლამდე, ლორასთან შევიარე და კ. კ-სთვის წერილი გადავეცი. პასუხი რომ მივიღე, ბევრი ვიცინე. ჩემმა მონაზონმა ეს რწმენადაკარგული ქალწული არა მარტო საფოს საიდუმლოს, არამედ მეტაფიზიკის მწვერვალებსაც აზიარა; მწერდა, რომ სულიერ მოძღვარს აღსარებას აღარ ეუბნებოდა, რაკიღა ტყუილის თქმა არ სურდა, ამიტომ საერთოდ აღარაფერს უყვებოდა. მოძღვარმა მითხრაო, მწერდა იგი, თუ აღსარების თქმა არ შეგიძლია, ესე იგი, საკუთარ სინდისს კარგად არ უკვირდებიო. მე კი ეუპასუხე, სათქმელი არაფერი მაქვს, მაგრამ თუ საჭიროდ ჩათვლით, მზადა ვარ განზრახ შევცოდო, რათა მონანიების საბაბი მომეცესმეოქი.

ეს ბოლო ფრაზა ჭეშმარიტი სოფისტის გამონათქვამს ჰგავდა და რაღა დაგიმალოთ, ამ სიტყვებზე ბევრი ეიხითხითე.

იმავე დღეს ჩემი სათაყვანებელი მ. მ-სგანაც მივიღე წერილი. აი, რას მწერდა:

„ჩემო შავტუხავ, ლოგინში ვწევარ და ამ წერილს ისე გწერ. ფეხები ჯერ კიდევ არ მემორჩილება. იმედია, ეს სისუსტე გამივლის, რადგან კარგად ვიკვებები და კარგად მძინავს. შენი წერილი გულზე მალამოსავით დამედო, რადგანაც ირწმუნები, რომ სისხლის ღვრას შენთვის არავითარი ზიანი არ მოუტანია. წინასწარ გაფრთხილებ, მსურს ამ სიტყვების სიმართლეში პირადად დავრწმუნ-

დე, როცა ვენეციაში, მოგვთა დღესასწაულზე ჩამოვალ, თუ, რასაკვირველია, საწინააღმდეგო არაფერი გექნება. მომწერე, გინდა თუ არა. თანახმა თუ ხარ, ვესურვებდი ოპერაში ერთად წავსულიყავით. სანამ ცოცხალი ხარ, ეკრძალავ კვერცხის ცილიდან დამზადებული სალათის ჭამას. მომავალში, მიურანის აკვარიუმზე როცა მიხვალ, იკითხე, არის იქ ვინმე თუ არა. თუ გეტყვიან, არისო, გამობრუნდი და წადი. ჩემი მეგობარიც ასევე მოიქცევა. ასე და ამგვარად, ერთმანეთს ვერ შეხვდებით; თუმცა ეს დიდხანს მაინც არ გასტანს, ვინაიდან ძალიან მოეწონე და მოისურვა უსათუოდ გაეცნე. არ სჯერა, ბუნებაში ასეთი ძლიერი ძამაკაცები თუ არსებობენ. ამბობს, სიყვარულით ამგვარი გატაცება სიკვდილთან თამაშს უდრისო, და ირწმუნება, რომ შენ მიერ დაღვრილი სისხლი უთუოდ ტვინით არის ნანთხეები. ნეტა რას იტყვის, როცა გაიგებს, რომ ამგვარი დასკვნები სიცილს გგვრის მხოლოდ?! ახლა კი მართლა უნდა გაგაცინო: მასაც სურს ცილიანი სალათის ჭამა და იძულებული ვარ ის შენი ძმარი გთხოვო; ამბობს, ამგვარი ძმარი ნამდვილად არსებობს, მაგრამ ვენეციაში მისი შოვნა შეუძლებელიაო. იცი, რა მითხრა? შენთან სიტკბოებით სავსე და იმავ დროს საშინელი ღამე გავატარეო: შეეშინდა, არაფერი მომსვლოდა, რადგან ჩათვალა, თითქოს ჩემი მონაცემები სუსტი სქესის შესაძლებლობას აღემატებოდა. იქნებ ასეც არის; მე კი ჯერჯერობით კმაყოფილი ვარ, ჩემო შავტუხავ, რადგან ვძლიე თავს და ასეთი წარმატებით გამოვცადე საკუთარი ძალები. უშენოდ, ჩემო ძვირფასო, ისე ვიარსებებდი, არც კი მეცოდინებოდა, ვინა ვარ და რა მინდა. ჩემს თავს ვეკითხები ხოლმე, თუ შეიძლება არსებობდეს ისეთი ქალი, შენს მკლავებში მომწყვდეული უგრძნობელი რომ დარჩება, ანდა შენს მკერდს მიყრდნობილი, ახალ, განსხვავებულ სიცოცხლეს არ დაიწყებს?! განა მომწონხარ ან მიყვარხარ? არა, — გაღმერთებ! და ჩემი ტუჩები, იმ იმედით, რომ შენს ტუჩებს დააკვდება, უკიდეგანო სივრცეში ათასობით კოცნას გიგზავნის... ერთი სული მაქვს, შენს ღვთაებრივ პორტრეტს ვეამბორო და ჩემი ვნებიანი ტუჩების მგზნებარება ამ ამბორით გავანელო: ვიმედოვნებ, ჩემი პორტრეტი ასევე სასურველი იქნება შენთვის. მგონია, ერთმანეთისთვის ვართ შექმნილი; როცა გავიფიქრებ, რომ ჩვენს კავშირს დაბრკოლება თავად შევუქმენი, თავს ვიწყევლი. გიგზავნი ჩემი სეკრეტერის გასაღებს. მიდი ჩვენსა და აიღე ის, რასაც აწერია: „ჩემს ანგელოზს". ჩემმა მეგობარმა ისურვა, შენთვის პატარა საჩუქარი მომეძღვნა, იმ საღამური ქუდის სანაცვლოდ, შენ რომ მაჩუქე. მშვიდობით".

წერილში ციცქნა გასაღები ვნახე; ბულუარის პატარა ყუთის გასაღები იყო. ერთი სული მქონდა მენახა, რა მაჩუქა თავისი მეგობრის რჩევით; მივედი, გავაღე ყუთი და კიდევ ერთი საკეტი გავხსენი. იქ წერილი დამხვდა და შაგრენის ტყავის კოლოფი. აი, რა ეწერა წერილში:

„ჩემო ნაზო მეგობარო, ვიცი, საჩუქარი შენს გულს ეამება: ეს ჩემი პორტრეტია. ჩვენს მეგობარს ასეთი ორი აქვს და ერთს სიამოვნებით გითმობს, რადგან იცის, რომ მისი მფლობელი შენ გახდები. კოლოფში ჩემს ორმაგ პორტრეტს ნახავ. აქ ორი სხვადასხვა საიდუმლოა: საბურნუთის ფსკერს სიგრძეზე თუ გამოსწევ, მონაზვნის ტანისამოსიანს მიხილავ, მაგრამ კუთხეს თითს თუ მიაჭერ, კოლოფის ხუფი გაიხსნება და ისე წარმოგიდგები ვითარცა დედა-ბუნებამ მშობა. ძვირფასო მეგობარო, იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, ვინმეს ოდესმე ისე ჰყვარებოდე, როგორც მე მიყვარხარ. ჩვენი მეგობარი დადებითად აფასებს ჩემს ვნებას. ვერ გადამიწყვეტია, ვინ უფრო გამიმართლა — მეგობარმა თუ სატრფომ; არ ძალმიძს წარმოვიდგინო ერთზე ან მეორეზე სასურველი არსება".

კოლოფში ოქროს სათუთუნე აღმოვაჩინე; ესპანური თამბაქოს ნაფშხვენები ადასტურებდა, რომ სათუთუნე ნახმარი იყო. მითითების შესაბამისად გამოვწიე ფსკერი და ქალის გამოსახულება გამოჩნდა: ნახევრად ჩემკენ იყო მობრუნებული, თავით ფეხებამდე მონაზვნის სამოსში გამოწყობილი. მეორე ფსკერი გამოვწიე და მოლად გაშიშვლებული გამომეცხადა, შავი აბრეშუმის ლენტზე იწვა კორეჯოს მადონას მსგავსად და მონაზვნის კაბაზე წამომჯდარ ბავშვს ეკურს შესცქეროდა. არ მეგონა, ამგვარი საჩუქრის ღირსი თუ გავხდებოდი. მივწერე წერილი და უდიდესი სიყვარული და მადლიერება გამოვხატე. იმავე სეკრეტერის სხვადასხვა განყოფილებაში მთელი მისი ბრილიანტები და ცეხინებით სავსე ოთხი ქისა იდო. ჩემი სატრფოს კეთილშობილებით აღფრთოვანებულმა დავკიტე კარადა, ყველაფერი ხელუხლებლად დავტოვე და ვენეციაში დავბრუნდი. აი, ბანქოს თამაშისთვის თავი რომ დამენებებინა და ბედის წყალობის იმედად არ მეცხოვრა, მართლაც ბედნიერი კაცი ვიქნებოდი.

ოქრომჭედელმა დიდი ოსტატობით ჩასვა მედალიონში ჩემი პორტრეტი. უკეთეს ნახელავს კაცი ვერ ინატრებდა. კისერზე ჩამოსაკიდებლად იყო მოწყობილი. ძეწკვის გასაყრელ რგოლს საიდუმლო კლიტე ჰქონდა: ძლიერად თუ გაძოსწევდით, ხარების მაგივრად ჩემი პორტრეტი წარმოჩნდებოდა. ესპანურად დაწნულ ექვს წყრთა ოქროს ძეწკვებზე ჩამოკიდე და საჩუქარმა უმალ კეთილშობილური იერი შეიძინა. მედალიონს როგორც კი დახურავდით, მხოლოდ ხარება ჩანდა და, ამგვარად, მონაზვნისათვის მშვენიერი სამკაული იყო.

მოგვთა დღესასწაულის დღეს, სალამოხანს, მედალიონი ჯიბეში ჩავიდე და გავემგზავრე მშვენიერი ქანდაკებისაკენ, მადლიერმა რესპუბლიკამ გმირ კოლეონის[1] რომ აუგო, — საიდუმლო საბუთებს თუ დაეუჯერებთ, მოწამვლის შემდეგ sitdivus, mado non vivus[2] — ეს ერთი, ფრიად განათლებული მონარქის გამოთქმაა და, სანამ ამქვეყნად მონარქები იქნებიან, ეს ნათქვამიც იარსებებს.

ზუსტად ორ საათზე მ. მ-ი გონდოლიდან გადმოვიდა. საერო ტანისამოსი ეცვა და სქელი ნიღაბი ეკეთა. ოპერაში გავემგზავრეთ. წმინდა სამიუელის კუნძულზე, მეორე ბალეტის დასასრულს კი სამორინეში შევედით. იქ უდიდესი სიამოვნებით ათვალიერა პატრიციო ქალები, რომელთაც წოდების გამო უნიღბოდ სიარულის უფლება ჰქონდათ. ნახევარი საათი ეასეირნეთ და ბოლოს ბანქოს მოთამაშეთა მთავარ ოთახში გავედით. ჩემი ქალბატონი სენიორ მოჩენიგოს ბანკთან შეჩერდა — იმხანად ეს ახალგაზრდა მოთამაშე პატრიციებს შორის ყველაზე ლამაზი იყო; არ თამაშობდა და უდარდელად უჯდა მაგიდას, სადაც ორი ათასი ცეხინი ელაგა. ვიღაც ნიღბიან ქალს ეჩურჩულებოდა. ეს ქალი ქალბატონი მარინა პიზანი გახლდათ, მისი სატრფო და საყვარელი.

მ. მ-მა მკითხა, თამაში თუ გინდათ. ვუპასუხე, არა-მეთქი. მან კი გამომეცხადა, რომ წილში შევყავდი. პასუხს აღარ დალოდებია, ამოიღო ქისა და ქაღალდზე ოქროს მონეტების გროვა დადო. ამის შემდგომ აი, რა ხდება: ბანქოს დამრიგებელი ხელის მტევნების მსუბუქი მოძრაობით ურევს ქაღალდს, არიგებს, მ. მ-ი იგებს და ფსონს აორმაგებს. სენიორი იხდის, მერე ბანქოს ახალ დასტას ხსნის და თავის მეზობელს ისევ ჩასჩურჩულებს რაღაცას ყურში, თითქოს ყუ-

---

[1] კოლეონი ბარტოლომეო, 1400-1476 — იტალიელი კონდოტიერი, ქველმოქმედებით ცნობილი (1470 წ. 50000 ოქროს დუკატი ბერგამოს ტაძრის მშენებლობას შესწირა, ხოლო სიკვდილის შემდეგ 100000 ოქროს დუკატი ვენეციას უანდერძა).

[2] „იყოს ღმერთი, ოღონდ ცოცხალი ნუ იქნებაო" (ლათ.) — რომაელი იმპერატორის კარაკალას სიტყვები, თქმული მას შემდეგ, თავისი ძმა რომ მოკლა.

რადღებას არ აქცევს მ. მ-ის ამ ოთხას ცეხინს, ჩემი ქალბატონი იმავე ქადალდზე რომ დებს. რაკიღა არ ეამა, ბანქოს დამრიგებელი ისევ რომ ლაყბობს, მ. მ-ი სუფთა ფრანგულით მეუბნება:

— ჩვენი თამაში არც ისე დიდ ფულზეა, ამ ბატონის ყურადღება რომ მივიპყროთ, წავიდეთ აქედან.

მ. მ-მა მოხსნა თავისი ფსონი და წავიდა. მე ოქრო აღარ ვუჭრიდ, ეჭვიანობით დავტოვე ვაჟბატონის ნათქვამი — თქვენს ნიღაბს შემწყნარებლობა აკლიაო, და ჩემს მშვენიერ, კავალრებით გარშემორტყმულ მოთამაშეს წამოვეწიე.

მალე მ. მ-ი სენიორ პიეტრო მარჩელოს ბანკთან ჩერდება. ესეც მშვენიერი ყმაწვილია. გვერდით მადამ ვენიე უზის, მომოლო მოჩენიგოს და. მ. მ-ი თამაშობს და ზედიზედ მონეტების ხუთ შეკვრას აგებს. მეტი ფული აღარა აქვს. მაშინ ერთ მუჭა ოქროს იღებს ჩემი ჯიბიდან, სადაც ოთხასი ცეხინი მედო, და ოთხ-ხუთ დარიგებაში ხსნის ბანკს. შემდეგ თამაშს თავს ანებებს და კეთილშობილი შებანქო

დამბრძოლებს და საჭირო დროით, სამკურნალოდ წყლებზე გამიშვებს. ეპისკოპოსი ამის ნებას დამრთავდა. წყლებზე მოვრჩებოდი და დავბრუნდებოდი. ერთი სახუკვარი სურვილი მაქვს: სამუდამოდ მინდა ბედი დაგიკავშირო. მითხარი, შეგიძლია ყველგან, სადაც უნდა იყო, შენი სიამოვნებისთვის იცხოვრო?

— სამწუხაროდ, არა! მაგრამ შენთან, ჩემო ძვირფასო, ყველგან ბედნიერი ვიქნები. მოდი, ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ, ახლა ლოგინში შევგორდეთ.

— წამო. ვაჟი თუ მეყოლა, ჩემი მეგობარი ამბობს, ვიშვილებო. იგი უპატრონებს ბავშვს.

— დარწმუნებული თუ იქნება, რომ მამამისია?

— ორივეს შეგიძლიათ იამაყოთ ბავშვით; რაღაც მსგავსებანი ჭეშმარიტებას მიმანიშნებენ.

— მართლაც რომ: დროთა ვითარებაში მშვენიერი ლექსების წერას თუ დაიწყებს, შეგიძლია დაასკვნა, რომ მისი მამა — შენი მეგობარია.

— ვინ გითხრა, ლექსებს წერსო?

— გამოტყდი, განა მან არ დაგიწერა ის ექვსი სტრიქონი ჩემი ლექსის საპასუხოდ?

— ტყუილად მცდი. კარგი იყო ის ლექსი, თუ ცუდი, ჩემი შეთხზულია და ამას ახლავე დაგიმტკიცებ.

— არაა საჭირო. წამო, დავწეთ, თორემ ამური პარნასის ღმერთს[1] დუელში გამოიწვევს.

— რა გაეწყობა, აიღე ფანქარი და დაწერე. ამჯერად ბოლოსი მე ვარ, შენ კი — ამური...

და ასეთი ოთხტაეპიანი ლექსი მიკარნახა:

ბრძოლა რად (გვინდა. უიმრად წავალ.
შენი სისხლი და ვენერას ძმა ვარ,
რას იზამ, თუმცა დავკარგეთ წამი:
ლექსი გიძღვენ და იხარე ამით!

მუხლი მოვიდრიკე და პატიება ვთხოვე: განა შემეძლო წარმომედგინა, რომ ოცდაორი წლის მონასტერში აღზრდილი ვენეციელი ქალი მითოლოგიაში ესოდენ განსწავლული და, საერთოდ, ასეთი ნიჭიერი იქნებოდა?!

— მუდამ დღე მინდა გიმტკიცებდე, ლირსი რომ ვარ შენი გულის მეუფე ვიყო, — მითხრა ამაყად და შემდეგ მკითხა, ბანქოს თამაშის დროს სიფრთხილეს თუ ვიჩენო.

— ისეთი ფრთხილი ხარ, ბანქოს დამრიგებელი შიშისაგან კანკალებს; გაუგონია, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო.

— დიდ ფულზე განა მუდამ ვთამაშობ; ახლა კი, წილში რომ გაგიყვანე, იღბალი ორთაბრძოლაში გამოვიწვიე. რატომ არ ითამაშე?

— იმიტომ, რომ წინა კვირის ბოლოს ოთხი ათასი ცეხინი წავაგე და მშრალზე დავრჩი. ხვალ უსათუოდ ვითამაშებ და იღბალი მომხედავს. მანამ კი ჩვენს საქმეს მივხედოთ. შენი ბუდუარიდან ერთი წიგნი ავიღე: პიერ არეტინის პოზები. დარჩენილ სამ საათში მინდა ზოგიერთი მათგანი გამოვიყენო.

— შენი საკადრისი აზრია! მაგრამ იქ ზოგი პოზა სრულიად შეუძლებელია, უაზროც კი...

---

1. იგულისხმება ამოლონი — ბერძნულ მითოლოგიაში სინათლის, ხელოვნებისა და წინასწარმეტყველების ღმერთი.

— მართალი ხარ, მაგრამ ითხი — ერთობ მომჩიბველელია.

ამ საამო შრომას სრული სამი საათი მოვანდომეთ. საათმა დარეკა და ზღვარი დაუსვა ჩვენს დღესასწაულს. მშვენიერი მონაზონი გონდოლამდე მიგაცილე და დასაძინებლად შინ მოვბრუნდი, მაგრამ ჩემს თვალს რული არ მიეკარა. ავდექი და ყველაზე სასწრაფო ვალები ჩამოვარიგე: ვალის გასტუმრება ერთ-ერთი უდიდესი სიამოვნებაა მხარჯველი კაცისათვის. მ. მ-ის [illegible] ოქროს წარმატება მომიტანა და კარნავალის ბოლომდე დღე არ ჩამიგდია — სულ ვიგებდი.

მოგვთა დღესასწაულის შემდეგ კიდევ სამი დღე გავიდა და მიურანის აგარაკზე გავემგზავრე, რათა მ. მ-ის უჯრაში თორმეტიოდე შეკვრა ოქრო ჩამედო. მეკარე ქალმა მისი წერილი გადმომცა. მატყობინებდა, რომ ჯანმრთელად იყო, და მთხოვდა მეკითხა ოქრომჭედლისთვის, ვისაც მედალიონი დავუკვეთე, შემთხვევით წმინდა ეკატერინეს გამოსახულებიანი ბეჭედი ხომ არ გაუკეთებია — ამ ბეჭედში რაღაც პორტრეტია დამალულიო — და ამ საიდუმლოს გაგება სურდა. მწერდა, ბეჭედი ერთ ჩემს საყვარელ ალსაზრდელს ეკუთვნის და საეჭვოდ სქელია, მაგრამ ალსაზრდელმა არ იცის საიდუმლო და არც ის ბეჭედი თუ იხსნებაო. ეუპასუხე, მზადა ვარ გემსახურო-მეთქი. მიურანში რომ მივდიოდი, ლორამ კ. კ-ის წერილი გადმომცა და ახლა ისიც წავიკითხე. საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთობ ამაფორიაქა. კ. კ-ს წერილი სულ ახლახან იყო დაწერილი, მ. მ-ისა კი — ორი დღით ადრე.

„ოჰ, როგორ მიხარია! ჩემი უსაყვარლესი მეგობარი გყვარებია, დედა მ. მ-ის ჩემი ბეჭდის სისქე მედალიონი აქვს. შენ გარდა სხვა ვერავინ მიარომევდა იმდაგვარს. უთუოდ შიგ შენი პორტრეტია. დარწმუნებული ვარ, მისი ხარება იმავე მხატვარს ეკუთვნის, ვინც ჩემი წმინდა ქომაგი დახატა; ოქრომჭედელიც იგივე უნდა იყოს. ეს საიდუმლო რომ ამოვიცანი, კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ არ ვაგრძნობინე, რადგან მისი წყენინება არ მინდოდა. ძვირფასი დედა ჩემზე ცნობისმოყვარე ანდა ჩემზე პატიოსანი აღმოჩნდა და სხვაგვარად მოიქცა. მითხრა, წმინდა ეკატერინე უთუოდ რაღაც პორტრეტს ფარავს, — ალბათ იმ კაცისას, ვინც გაჩუქაო. ვუპასუხე, რომ ბეჭედი მართლაც ჩემი შეყვარებულის საჩუქარია, მაგრამ აქ თუ სხვა პორტრეტიცაა, ეგ არ ვიცოდი-მეთქი. რახან ასეაო,—მითხრა,— თუ არ გეწყინება, საიდუმლო კლიტეს აღმოვაჩენ და შემდეგ ჩემსასაც გაჩვენებო. დარწმუნებული ვიყავი, საიდუმლოს ვერ ამოიცნობდა, და ბეჭედი მივეცი, თან დავძინე, ძალიან გამახარებს ამგვარი აღმოჩენა-მეთქი. სწორედ ამ დროს ჩემმა დამრიგებელმა მონაზონმა დამიძახა და ბეჭედი დავუტოვე. სადილის შემდეგ დამიბრუნა და მითხრა, ვერაფერი ვნახეო, მაგრამ უწინდებურად მჯერა პორტრეტი იქ არისო. ასე ჰგონია და იცოდე, შენს პორტრეტს თუ მიაკვლია, ყველაფერს მიხვდება, მაშინ იძულებული ვიქნები ვუთხრა, ვინა ხარ. ცუდია, სიმართლეს რომ ვეუბნები. მაგრამ თუ უყვარხარ და შენც გიყვარს, სულაც არ მწყინს, პირიქით, ისე მებრალები, სიამოვნებით დაჯუთმობდი ჩემს ადგილს — განდეგილი ქალის სიყვარული ხომ ნამდვილი წამებაა, მე კი შევძლებდი ორივესთვის ბედნიერება მომეტანა. მშვიდობით“.

რა გზა მქონდა, მიეწერე, რომ მ. მ-ის მედალიონში მართლაც ჩემი პორტრეტი იდო. ისიც ვურჩიე, კვლავაც შეენახა ჩვენი საიდუმლო და ვარწმუნებდი, შენი მეგობრისადმი კეთილგანწყობა სულაც არ ამცირებს შენდამი ჩემს ერთგულებასა და სიყვარულს-მეთქი. ასე ვიეშმაკე, თუმცა ვიცოდი — თუ მეტოქე ქა-

ლები დამეგობრდებოდნენ, ჩემს საგულდაგულოდ ჩახლართულ ინტრიგას ჩქარი დასასრული ეწერა.

ლორასგან შევიტყვე, ერთ დღეს მონასტრის მთავარ სასტუმრო ოთახში მეჯლისი ეწყობოდა, და გადავწყვიტე ისეთი ნიღაბი გამეკეთებინა, ჩემს ქალებს რომ ვერ ვეცნე. დარწმუნებული ვიყავი, ორთავეს ენახავდი, საკარნავალო ვენეციაში ქალთა მონასტრები ამგვარ უწყინარ სიამოვნებას ფანატიკოსებსაც არ აკლებენ. მისაღებში სტუმრები ცეკვავენ; ისინი კი დიდ ცხაურს მიღმა დგანან და მშვენიერი დღესასწაულით შორიდან ტკბებიან. საღამო ჟამს, დღესასწაული როცა მთავრდება, სტუმრები იშლებიან, მონაზვნები კი, კმაყოფილნი, რომ საერო ზეიმს ეზიარნენ, თავ-თავიანთ სენაკებს უბრუნდებიან. მეჯლისი ზუსტად იმ დღეს ეწყობოდა, როცა მ. მ-მა მიურანის აგარაკზე ვახშმად დამპატიჟა. — მაგრამ ეს სულაც არ იყო მიზეზი იმისა, რომ შენიღბული არ მივსულიყავი მონასტრის დარბაზში და ჩემი ძვირფასი კ. კ-ც არ მენახა.

ნაღდად რომ არ ვეცნე, გადავწყვიტე პიეროს კოსტიუმი ჩამეცვა. გარეგნობის შესაცვლელად უკეთესი სამოსი არ არსებობს, ცხადია, კუზიანი ან კოჭლი თუ არა ხარ. განიერი მოსასხამი, ფართო, გრძელი სახელოები, კოჭებამდე ჩამოშვებული ფაშფაშა შარვალი პიეროს სხეულს ფარავს და, ამგვარად, უახლოესი ნაცნობისთვისაც კი ნიღბის პატრონი გამოცანად რჩება. მის თავს, ყურებსა და კისერს მთლიანად ქუდი ფარავს. ამ ქუდქვეშ არც ომის ფერი ჩანს, არც სახის კანისა, ხოლო ქუთუთოებზე წასმული ალებავი თვალის ფერსაც ცვლის.

მაშ ასე, წვნიანს გეახლებით, ვიცვამ პიეროს კოსტიუმს და სიცოცის მიუხედავად — ტანისამოსი თეთრი ტილოსგანაა შეკერილი, — ვჯდები გონდოლაში და გადასასვლელამდე მივცურავ, აქ სხვა გონდოლაზე გადავდივარ და მიურანამდე ვაღწევ.

კოსტიუმზე ლაბადა არ მომისხამს, შარვლის ჯიბეში ერთი ცხვირსახოცი, აგარაკის გასაღები და საფულე მედო.

შევდივარ მონასტრის დარბაზში. ხალხმრავლობაა, მაგრამ უცნაური ნიღბის დანახვაზე ყველა გზას მითმობს — ვენეციაში პიეროს ნაკლებად იცნობენ. წინ ისე მივბაჯბაჯებ, როგორც ჩემი პერსონაჟის ხასიათი მოითხოვს, და საცეკვაო წრისკენ მივემართები. გარშემო უამრავი პოლიშინელი სკარამუში, პანტალონე და არლეკინოა; ცხაურთან შემოჯარულ ყველა მონაზონს ვხედავ — ზოგი ზის, ზოგი ფეხზე დგას. მზერას არავისზე ვაჩერებ და მაინც ვამჩნევ მ. მ-სა და ნორჩ კ. კ-ს. კ. კ.-ი ფეხზე დგას და სანახაობით ტკბება. წრეს მთვრალეული ბარბაცით ეუვლი და ყველას თავით ფეხამდე ვათვალიერებ. მეც გულდასმით მიყურებენ, უფრო სწორად კი, თვალს არ მაშორებენ.

მშვენიერი არლეკინას წინ ვჩერდები, ხელზე უხეშად ვებღაუჭები და მენუეტის საცეკვაოდ მივათრევ. ყველანი სიცილით გვითმობენ გზას. არლეკინა ბრწყინვალედ ცეკვავს, მე კი ჩემი ნიღბის როლს ვასახიერებ: თითქოს უნდა დავეცე და ბოლო წამში ვინარჩუნებ წონასწორობას. საერთო შიშს სიცილი ცვლის, — ყველას უდიდეს სიამოვნებას ვანიჭებ.

მენუეტის შემდეგ ოორმეტი არაჩვეულებრივად სწრაფი ფოირლანი ვიცეკვე, მერე სულის მოსათქმელად ძირს დავეცი და თავი მოვიმძინარე. ჩემი ხერხინვა რომ გაიგონეს, პატივი მომაგეს და კონტრადანსის ცეკვა წამოიწყეს, რაც ალბათ ერთი საათი გრძელდებოდა. გადავწყვიტე გამომეტოვებინა კონტრადანსი, მაგრამ უცებ ვიღაც არლეკინო გამომეცხადა და, ვითარცა მის ნიღაბს შეეფერებოდა, დამიწყო ხის ხმლით უკანალზე ცემა. ხმალი არლეკინოს იარაღია, პიერო

ვიყავი და ამიტომ იარაღი არა მქონდა; ხელს ქამარში ვაყლებ და სირბილით მთელ დარბაზში მივათრევ, ის კი ჩემს ცემას განაგრძობს. არლეკინა, ის ლამაზმანი, მე რომ ვაცემინე, მეგობრის დასახმარებლად მოდის და ისიც ხმალს მიბრაგუნებს. მაშინ არლეკინოს იატაკზე ვაგდებ, ხმალს ვართმევ, არლეკინას ზურგზე ვიკიდებ, მთელ ოთახში დავარბენინებ და თან გაეაზე ხელს ... ხალხი ხარხარებს, ჩემი ტყვე-ქალი კი შიშისგან კივის: რომ დავეცეთ, ... ბაყვებსა და ნიფხავს ყველა დაინახავს. ეს კომიკური ორთაბრძოლა ერთმა უგუნურმა პოლიშინელმა ჩამიშალა — უკნიდან ფეხი დამიდო და წონასწორობა დამაკარგვინა. ყველამ სტვენით დაგმო მისი საქციელი. უცებ წამოვხტი და შეურაცხყოფილმა ნამდვილი ჭიდაობა დავუწყე. ერთი სიმაღლისა ვიყავით, მაგრამ იგი მოუხეშავი იყო და მხოლოდ თავისი ძალის იმედი ჰქონდა; იატაკზე დავანარცხე და ისე დავაშუშავე, რომ მთელი ღილები გაეხსნა და ხელოვნური ღიპი და კუზი გადმოუვარდა. სიცილ-ხარხარში დრო ვიხელთე, ხალხში გავძვერი და გავიპარე.

ოფლი ღვარად მდიოდა. გონდოლა დავიქირავე და გონდოლიერს ვუბრძანე, სამორინეში მიმიყვანე-მეთქი. გაციებისა მეშინოდა. ღამე ახლოვდებოდა. მიურანში, ჩვენს ავარაკზე, ორ საათში უნდა მივსულიყავი. ერთი სული მქონდა — გაკვირვებული მ. მ-ი მენახა, პიეროს კოსტიუმში როცა გამოვეცხადებოდი. დრო გამყავდა და დიდ ფულზე არ ვთამაშობდი, ხან ერთ დამრიგებელთან ვიჯექი, ხან მეორესთან, ვიგებდი, ვაგებდი, ვლაზღანდარობდი და სულითა და ხორცით თავისუფალ ადამიანად ვგრძნობდი თავს. დარწმუნებული ვიყავი, ვერავინ მიცნობდა, ვტკბებოდი აწმყოთი და არაფრად ვაგდებდი მომავალს, არც იმათ, ვისაც გონება მერმისის ჭვრეტით აქვს დაკავებული.

მაგრამ აი, რეკავს საათი, რაიც მახსენებს, რომ მელოდება საყვარელი ადამიანი, გემრიელი ვახშამი და ახალი სიამოვნება. ჯიბეები ოქრო-ვერცხლითა მაქვს სავსე; გამოვდივარ სამორინედან, მივფრინავ მიურანში, კარს ვაღებ, შევდივარ ოთახში და მეჩვენება, რომ მონაზვნის ტანისამოსში გამოწყობილ მ. მ-ს ვხედავ. ბუხრისკენ ზურგმიქცეული დგას. ვუახლოვდები, მინდა მის გაკვირვებულ სახეს შევხედო და იქვე ვქვავდები: ჩემ წინ მ. მ-ი კი არა კ. კ-ია, მონაზვნის ტანსაცმელში — ჩემზე არანაკლებ გაკვირვებული და ნირწამხდარი. სავარძელში ვეშვები და ვცდილობ აზრი მოვიკრიბო.

კ. კ-ს დანახვაზე ელდა მეცა, სული შემეხუთა და სხეული გამიშეშდა. ჩიხიდან გამოსავალს ვერ ვხედავდი.

ეს ოინი მ. მ-მა მიყო-მეთქი, — ვეუბნებოდი ჩემს თავს, — მაგრამ როგორ გაიგო, რომ კ. კ-ს საყვარელი ვარ? მაშასადამე საიდუმლო კ. კ-მ გასცა. თუ ასეა, აქ მოსვლა როგორღა გაბედა? მ. მ-ს რომ ვუყვარდე, როგორ იტყოდა უარს ამ შეხვედრაზე, სიამოვნებას რატომ მოიკლებდა, ან თავის მეტოქეს რად გამოგზავნიდა? არა, ეს შემწყნარებლობა როდია, შემწყნარებლობას თავისი საზღვარი აქვს, ეს აბუჩად აგდებასა ჰგავს, უფრო მეტიც — ეს შეურაცხყოფა და დამცირებაა.

ჩემმა თავმოყვარეობამ მომგებიანი სვლები მოსინჯა, მაგრამ ამაოდ. აღშფოთების კანკალმა ამიტანა; დასკვნა ერთი იყო: გამაცურეს, მომატყუეს, ხაფანგში მომაქციეს, უარმყვეს.

ნახევარი საათი ხმა ვერ ამოვიღე. შევცქეროდი კ. კ-ს. იგი ჩემზე უფრო აფორიაქებული და გაოგნებული ჩანდა: მე ხომ ის ნიღაბი ვიყავი, ასე რომ ვიგიჟე მონასტერში გამართულ მეჯლისზე.

მ. მ-ი მოყვარდა, აქ მისმა სიყვარულმა მომიყვანა, ამიტომაც არ შემეძლო,

როგორც იტყვიან, გონიერი ადამიანიეთ მოვქცეულიყავი და იგი სხვა ქალით შემეცვალა. ვიცოდი, კ. კ-ი ღირსეული ადამიანი იყო, კეთილშობილებით მ. მ-ს არაფრით ჩამოუვარდებოდა; მიყვარდა და ვეთაყვანებოდი, მაგრამ ამ წუთებში, გვერდით სხვა უნდა მყოლოდა. ჩემი გონება სიყვარულის ამგვარ შეურაცხყოფას წინ ყრუ კედელივით აღუდგა. მიმაჩნდა, თუ კ. კ-ს მივაგებდი პატივს — ულირსად მოვექცეოდი და სინდისი ამგვარი საქციელის უფლებას არ მომცემდა. გარდა ამისა, მინდოდა მ. მ-ი დანაშაულში მემხილებინა: მან ხომ ჩვენი სიყვარული აბუჩად აიგდო, დარწმუნებული ვიყავი, ასე არ გამწირავდა, ჩემდამი გულგრილი რომ არ ყოფილიყო. ისიც გავიფიქრე, ახლა სახლის რომელიმე მყუდრო ოთახში იმ თავის მეგობართან ერთობა-მეთქი.

ბოლოს და ბოლოს რაღაც უნდა გადამეწყვიტა — ღამეს აქ ხომ არ გავატარებდი, პიერროს კოსტიუმში გამოწყობილი და ასე დამუნჯებული? ვიფიქრე, ხომ არ წავიდე-მეთქი. მით უმეტეს, რომ არც მ. მ-ი და არც კ. კ-ი არ შეიძლება ბოლომდე ყოფილიყვნენ დარწმუნებული, რომ პიერრო — მე გახლდით. ეს აზრი შეშინებულმა მაშინვე უარვყავი, როცა წარმოვიდგინე, რა მოუვიდოდა კ. კ-ს უძაღკო სულს, როცა სიმართლეს გაიგებდა. ვაითუ, — გულისტკივილით ვფიქრობდი, — უკვე ამ წუთებში ხედება-მეთქი, ვინა ზის მის წინაშე: მისი შემაცდენელი და მისი ქმარი. ეს ფიქრი გულს მიხეთქავდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ლეონარდ კოტრელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან
თარგმნა ბოჩა კვირკიშვილმა

ცივილიზაციის სამჯედლო

თავი მეშვიდე

შუმერი და ბაბილონი

იმ დროისათვის, როცა ხეოფსი თავის დიდ პირამიდას აგებდა (2720 წ. ძვ. წ.), ევფრატის პირას, ქალაქ ურში, სწორედ იქ, სადაც ამ მდინარეს შატ შარაფი ერთვის ძლევამოსილი დინასტია ბატონობდა. ნავთხაუღრები ღრმად იჭრებოდნენ სამხრეთ ქალაქ ურში, რომელსაც მისი ალიზით ნაგები სახლებით ოთხკვადრატულ მილამდე ტერიტორია ეჭირა. ისევე, როგორც ლაგაში, ეშნუნა, ქიში, ურუქი და ნ.პური, ესეც ერთ-ერთი დამოუკიდებელი, თვითმმართველი ქალაქ-სახელმწიფოთაგანი იყო. აქ ჩატარებულმა გათხრებმა ცხადყვეს, რომ ამ ქალაქებს თითქმის ერთნაირი დაგეგმარება ჰქონიათ. ყოველი მათგანის შუაგული ალიზის კედლით იყო შემოზღუდული და მასში ერთი ან რამდენიმე დიდი ტაძარი იდგა. უთუოდ თვალში საცემი იყო ტაძრის მაღალი, იარუსიანი კოშკი. შუმერთა ეს მიდრეკილება კოშკებისადმი, რამაც სრული გამოვლინება მაინც საარაკო ბაბილონის გოდოლში ჰპოვა, ალბათ, იმ მოსაწყენად ერთფეროვანი ვაკე რელიეფით უნდა აიხსნას, რომელზეც მათ უხდებოდათ ცხოვრება. ეს კოშკები ხელოვნურ მთებს ქმნიდნენ და ზოგ მათგანზე საკმაოდ დიდი ხეებიც იზრდებოდა.

დღეს არც ერთი ამ ქალაქთაგანი აღარ არის, მაგრამ ნანგრევების გულმოდგინე გამოკვლევებმა შეაძლებინეს არქეოლოგებს ზედმიწევნით აღედგინათ მათი პირველსახე.

ასეთ ქალაქს ძვ. წ. 2700 წელს რომ მიახლოებოდით, პირველად სარწყავი არხებით დაქსელილი მოშცრო ვაკე-მინდვრები მოგხვდებოდათ თვალში შემდეგ კარიბჭეებდატანებული მაღალი გალავანი. შიგნით კი უმეტესად დაბალ, ალიზით ნაგებ ბანიან სახლებს ერთმანეთისგან ვიწრო ჭუჩები ჰყოფდა. კიდევ უფრო მაღლა აღმართულიყო არასწორი ოვალით გამოყვანილი მეორე დიდი კედელი, რომელიც ტაძრის ეზოს შემოზღუდავდა. ამის შიგნით კიდევ ერთი, ამაზედაც უფრო მაღალი ოვალური კედელი იყო და თუ მასაც გაალწევდით, ტაძრის შიდა ეზოში აღმოჩნდებოდით. იქნებ, შიშველი ქურუმებიც დაგენახათ, წალიკწალიკ რომ მიიწევდნენ ღმრთის ხავანისკენ — მართკუთხა შენობისკენ, რომელიც შუახაუკუნეობრივი ციხე-სიმაგრის კოშკს წააგავდა და ბოლოში აღმართულ მაღალ კვარცხლბეკზე იდგა.

აქაც, ისევე როგორც ეგვიპტეში, მრავალღმერთიანობა იყო. მაგრამ მათში რამდენიმე ღმერთი მაინც დომინირებდა. ამათგან კიდევ სამი ღმერთი იყო გამორჩეული. ესენი ბუნების ძალთა ღვთაებები იყვნენ: ციურ ძალთა ღვთაება — ანუ, მიწის ღვთაება ენლილი (ქი), და წყლის ღვთაება ეა.

მაგრამ აქეთ გარდა კიდევ ბევრი სხვა ღვთაება არსებობდა და ყოველ მათგანს თავისი რიტუალები და დღესასწაულები განეკუთვნებოდა. მაგალითად, დუმუზი, მცენარეულის ჭაბუკი ღვთაება, ყოველწლიურად კვდებოდა და ქვესკნელს ინთქმებოდა, ვამოზაფხულს კი მას ქალღმერთი ანა აღადგენდა მკვდრეთით და იმართებოდა მათი დაქორწინების რიტუალი. ამ ცერემონიებს, ბუნების ძალთა სიმბოლიზაცია რომ უდევს საფუძვლად, სხვა ისეთ უძველეს ხალხებშიც შეიძლება მოვუნახოთ პარალელები, როგორიც არიან, მაგალითად, ეგვიპტელები (ოზირისი და იზიდა), ბერძნები (პერსეფონე)

1. დასაწყისი იხილეთ „ალაუბრ“ № 1, 1991 წ.

და ხირიელები, თამუზი, მოგვიანებით ადონისი). ყოველი მათგანი ცენარეული სამყაროს სიკვდილ-სიცოცხლის ციკლს ასიმბოლოებს.

მესოპოტამიის კვლევა იწყება მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან. უპირველეს მკვლევართა შორის უნდა მოვიხსენიოთ კლაუდიუს რიჩი, ჯეიმზ სილკ ბაკინგემი, ჰ. ქ. როლინსონი, გროტეფენდი, ოსტენ ჰენრი ლეიარდი, ჯორჯ სმითი და ორმუზდ რასამი. XX საუკუნის დამდეგს კი ასპარეზზე დიდი გერმანელი არქეოლოგი დოქტორი კოლდეგეი გამოჩნდა. მისი ნაშრომი ბაბილონზე — 1899-1914 წწ. — ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი არქეოლოგიური მონაპოვარია. ამერიკელებმა ბისმაიეში, ფრანგებმა კიშში, ხოლო ბრიტანელებმა ნიმრუდში ჩატარებული მუშაობით გერმანელი სწავლულების მიერ გამომუშავებული უშეღავათო მეთოდები რამდენადმე განავითარეს. და მაინც, როგორც სეტონ ლოიდი ამბობს: „მთელი ეს საქმიანობა მეორეული მნიშვნელობისაა იმ ძლიერ მეცნიერულ კვლევით ხასიათან შედარებით Deutsch Ouent Gesellsochaft-მა რომ განავითარა".

შეოცე საუკუნეში მეცნიერები შეეცადნენ შუმერულ-აქადური კულტურის განვითარების სტადიათა თანმიმდევრობა გამოეკვლიათ, და საბოლოოდ სამი ფაზა დადგინდა. ამ ფაზებს თიხის ჭურჭლის განსხვავებული თავისებურებების მიხედვით ადგენენ. პირველი ფაზა „ალ უბაიდის" სტილი, სერ ლეონარდ ვულის მიერ იქნა აღმოჩენილი; მეორე ფაზა, ეგრეთ წოდებული, „ურუქის პერიოდი", გერმანელებმა აღმოაჩინეს ვარკასთან; ხოლო ოქსფორდელმა ს. ლანგდონმა მესამე ფაზა აღმოაჩინა ჯამდათ ნასრში, რომლის სახელითაც ახლა ამ პერიოდისთვის დამახასიათებელ მოხატულ ლაგვინებს იხსენიებენ.

მაგრამ მესოპოტამიის არქეოლოგიურ უბანთაგან ყველაზე წარმტაცი, ალბათ, მაინც ჰასუნაა, რომლის გათხრები ნინევიიდან 20 მილზე სამხრეთ-დასავლეთით ჩაატარა ერაყის სახელმწიფოს სიძველეთა დეპარტამენტმა. ეს აღმოჩენა არცთუ დიდი ხნის წინ, 1947 წელს მოხდა. და ისევ ციტატა ბატონ სეტონ ლოიდის მომხიბვლელი წიგნიდან:

„ბორცვზე წარმოებული გათხრების რამდენიმე თვის მანძილზე პრეისტორიულმა ჰორიზონტმა კიდევ რამდენიმე ხაუკუნით უკან გადაიწია. უმარტივესი არქეოლოგიური თვალსაჩინოებით გადაიშალა ახალი ფურცელი ჩვ ქმნილების განვითარებაში, რომელსაც, მართებულად, ცივილიზებული ადამიანი შეგვიძლია ვუწოდოთ, როგორც მომთაბარემ, მან პირველმა გაბედა მთების გაწირვა და ტიგროსისპამწვანებულ ბექობებზე ჩამოსახლება, ის პირველი იყო, ვინც აქ, ორი მდინარის შესართავთან დაბანაკდა და იმდენ ხანს დარჩა, რომ ველური ქერის კარგაძალი მოსავალიც მოიმკო. ჰასუნას უდაბლეს შრეებში მისი კოცონის ნაშთები იქნა მიკვლეული, რომლის ირგვლივაც ოჯახის პირველადი საჭიროების ნივთები — კაჟის იარაღი, ძვლის ხელსაწყოები, პირველყოფილი, დაუმუშავებელი თიხის ჭურჭელი იყო მიმოფანტული. შემდგომ სტადიაზე კი მკახთან ერთად თეხვაც უსწავლია და მისი მომთაბარული ჩვეულებანიც დავიწყებას მისცესია. გაჩნდა პრიმიტიული საცხოვრისები, ხოლო გაუმჯობესებულ თიხის ჭურჭელზე — ფერადი ნაუშები. ზედა შრეში მკვიდრად ნაშენი სოფელი აღმოაჩინეს, სადაც სასოფლოსამეურნეო თემის პრაქტიკულ ეკონომიკას სრული განვითარება უპოვია. საოცდაათი საუკუნის შემდეგაც, თანამედროვე სოფელი ჰასუნა ამ მეურნეობისგან არცთუ დიდად განსხვავებულ ხაზს მიჰყვება".

სულ რაღაც ორი ათასი წლის შემდეგ კი სწორედ ამ პირველყოფილ საწყისებზე აღმოცენდა შუმერული დიდი ქალაქ-სახელმწიფოები.

ეგვიპტელი კოლეგებისგან განსხვავებით, მესოპოტამიის არქეოლოგებს ქვის გამძლე მონუმენტებს შორის კი არა, დაფშვნილი ალიზის ბორცვებზე უწევთ მუშაობა. უძველეს შენობათა ნაცარ-მტვერში ჩაჰყავთ შახტები და დაძაბულნი ეძებენ კედლების კონტურებს, რომელთა უმცირესი ნასახილა შემორჩენილა. მიუხედავად ამისა, მათ მიერ ჩატარებული მუშაობისა და ათასობით ლურსმული ფირფიტის შესწავლის წყალობით, მეცნიერებმა შესძლეს შუმერული, ბაბილონური და ასურული ცივილიზაციების ცოცხალი სურათი წარმოედგინათ ჩვენთვის. ამგვარად, ახლა ჩვენ იმდენივე ვიცით ამ ხალხების პოლიტიკური, რელიგიური და სოციალური ცხოვრების შესახებ, რამდენიც ეგვიპტელებზე.

ბრიტანელი არქეოლოგის სერ ლეონარდ ვულის 1927 წლის აღმოჩენამ არა მხოლოდ არქეოლოგების, არამედ საზოგადოდ ყველა იმის აღფრთოვანება გამოიწვია, ვის წარმოსახვასაც კი აღაგზნებდა შორეული წარსულის თილისმა. შესაძლოა ამ თილისმის რაღაც ნაწილი თვით ურის, ქალდეის ამ ქალაქის სახელწოდებაშიცაა, საიდანაც აბრაამი იყო წარმოშობით. და უთუოდ, ამ ფაქტშიც, რომ ვულიმ დიდი ხნის ჩამკვდარ ქალაქის ნაქცევთა წიაღში ხუთი ათასი წლის წინ გარდაცვლილ ფრიად მნიშვნელოვან — შესაძლოა სამეფო — პირთა ხელუხლებელ საფლავებს მიაგნო.

ეს უბრალოდ ერთი მუჭა პირველყოფილ სამკაულებშემოწყობილი შლადი ჩონჩხები კი არ იყო, არამედ მეფეთა, დედოფალთა და

ქვეშევრდომთა მდიდრულად შემოსილი გვამები; აქ იყო ოქროს ჩაჩქნები და გვირგვინები, ოქროს სასმისები, ოქროთი და ლილაქვით შემკული ქანდაკებები, ოქროს ხანჯლები, ვერცხლის სამკაულები, მოზაიკიანი ოქროს ქნარი, ინკრუსტირებული სათამაშო დაფა და სხვა საგნები. მაგრამ აქ იყო კიდევ რაღაც სხვა. ეს მყიფე საგნები, არქეოლოგთა სათუთ ხელებს ნელი-ნელ რომ გამოჰქონდათ დღის სინათლეზე, ერთდროულად დიადსა და შემაძრწუნებელ ამბავს მოგვითხრობდნენ. ის ამ უძველეს ხალხში არსებულ რწმენისა და მიწისდობლობის ხოცარ სილრმეზე მიუთითებდა. ისეთზე, ჩვენს წარმოდგენას რომ აღემატება; ისეთი დონის სიმამაცეზე მიანიშნებდა, რომლისთვისაც ჩვენს უმრავლესობას არათუ გული არ ეჩრის, მისი წარმოდგენაც კი არ ძალუძს. ახ. წ. XX ს-ისა და ძვ. წ. XVII ს-ის ადამიანებს შორის მცირე ხნით დამყარებულმა კონტაქტმა დაგვანახა, რომ ჩვენი გულუბრყვილო წარმოდგენების საწინააღმდეგოდ, ისინი სულაც არ იყვნენ „ზუსტად ჩვენნაირები".

ვულიმ მიწის სილრმეში რამდენიმე საფლავს მიაკვლია, რომელთა აკლდამის ქვებიც ოცდაათი მილის სიშორიდან უნდა ყოფილიყო მოთრეული. ეს ქვის აკლდამები ღრმა ორმოების ფსკერზე იყო განლაგებული და მისასვლელად ერთობ დაჭანებული პანდუსები ჰქონდა. ყველაფერ ამას დრო-ყამი ნელ-ნელა მიწით ფარავდა. ზოგი აკლდამა ხელუხლები დარჩენილიყო, მაგრამ გვამები და მათი მოკაზმულობა კი ჩამონაყარ მიწას დაელპო და დაეზიანებინა; სხვა აკლდამები ნაწილობრივ გაეძარცვათ. ყველა მათგანში კი დასაფლავების საერთო სისტემა და ერთნაირი სამგლოვიარო რიტუალები მეფლავნდებოდა. ყოველ ქვის აკლდამაში ოქროს, ვერცხლისა და ნახევრადძვირფასი ქვების სრული რეგალიებით აღკაზმული, ტუჩებზე ოქროსსასმურმიბჯენილი მეფისა თუ დედოფლის ცხედარი ესვენა. იქვე მათ ხელქვეითთა ორი ან სამი ჩონჩხიც იპოვებოდა. გარეთ, დიდი ღრმულის ტერიტორიაზე და თვით მასში ჩამავალ პანდუსზეც, კაცების, ქალებისა და პირუტყვის გვამები ესვენა. ერთ ასეთ ღრმულში არქეოლოგმა ორი ურმის ნაშთები იპოვა თავიანთ ხარებთან ერთად, ხოლო მეხრეთა და შინაყმათა გვამები გვერდზე ესვენა. სხვა ღრმულში მან სამოცდარვა ქალის გვამი იპოვა, როგორც ჩანდა, ყველა მათგანი წითელი შალის კაბით შემოსილი და ოქრო-ვერცხლის თავსამკაულით შებურვილი დაეკრძალათ.

კიდევ სხვა ღრმულში ცეომართა გვამები ესვენა. სპილენძის ჩაჩქნები ეხურათ და სპილენძისვე შუბები გვერდზე ეწყოთ. ზოგი ქალისთვის მუსიკალური ინსტრუმენტიც ჩაეყოლებინათ, ხისგან ნაკეთი ქნარები და ჩანგები (თუმცა დამპალიყვნენ, მაგრამ მათი ანაბეჭდი ნიადაგს შეენახა), ოქროთი, ვერცხლით, რქითა და ნიყარებით იყო შემკული. ესენი ხახალის მუტრიბნი უნდა ყოფილიყვნენ. ყველა ამ ხალხის, კაცებისა და ქალების გვამები რიგებად ჩაემწკრივებინათ, ძალადობის არავითარი კვალი, არავითარი ნიშანი არ მეტყველებდა იმაზე, რომ მათთვის ან ხანჯლებით, ან, ვთქვათ, კომბლებით მოეღოთ ბოლო. ქალის ნატიფი და მაეროვანი ოქროს თავსაბურები თავის ადგილზე იყო, თავის ქალები კი მიწის სიმძიმის ქვეშ ჩაშლილიყვნენ. ერთ ღრმულში გვამებს ზემოდან ქნარები ედოთ. ეტყობა როცა გვამებს უკვე საძრაობა ალარ ჰქონიათ, ამ სიკვდილის აკლდამაში ვიღაც შემოსულა და დაუწყვია ეს ქნარები.

ზოგ ჩონჩხს გვერდით პატარა სასმისები ელაგა. ვულიმ დაასკვნა, რომ ეს კაცები და ქალები, რომლებიც, მათი ჩაცმულობისა და სამკაულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უბრალო მონები არ უნდა ყოფილიყვნენ, აკლდამაში პანდუსებით ჩასულან, დაწოლილან, შემდეგ შხამი ან იქნებ, ოპიუმის თუ ჰაშიშისმაგვარი თრიაქი მიუღიათ და ცნობა დაჰკარგვიათ. ურმებს დაღმართზე თავის დაჭერა დასჭირდებოდათ, როცა პირუტყვს ყელი გამოსჭრეს, შინაყმამ და მეხრეებმაც საწამლავი მიიღეს. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა სახე უნდა ექონოდა ამგვარ დაკრძალვას მთელი თავისი პირქუში რიტუალებით, ლოცვა-გალობითა და შესაწირავებით. ჯერ ეს ნათელი ფერის სამოსებში გამოწყობილი, მზის შუქზე ოქროსა და ვერცხლის სამკაულებმოელვარე გვამთა რიგები მცირე ხნით ახე ღია ცის ქვეშ უნდა წოლილიყვნენ, მერე კი მათ თავზე მიწას დააშვავებდნენ და ხუთი ათასი წლით დალუქავდნენ ადამიანის თვალთახედვიდან.

ამ აღმოჩენათა ამსახველ წიგნში ვული ისეთ ადამიანურ წვრილმანებზეც მიგვითითებს, რომლებიც წარმოსახვას უფრო მეტად გვიცოცხლებენ, ვიდრე ურის მეფეთა დაკრძალვის მთელი ეს პირქუში სიდიადე. სიკვდილის ღრმულში ნაპოვნი სამოცდარვა ქალის გვამიდან ოცს ოქროს თავსამკაული ეხურა. ეს, რა თქმა უნდა, უზადო თავსამკაულებია. ნიადაგში გარკვეული უანგების არსებობამ არქეოლოგს აფიქრებინა, რომ რამდენადმე უფრო დაბალი რანგის ქალებს ვერცხლის თავსამკაულები უნდა ჰქონოდათ. მაგრამ შესაბამის დრომდე ამის დამტკიცება არ შეეძლოთ. მერე კი, ერთ დღეს, როცა ერთ გაბრწყინებულ ჩონჩხს ამოწმებდა, იგი რაღაც ჩაშავებულ ლითონის პატარა საგანს წააწყდა. გაწმინდა და ნახა, რომ ვერცხლისა იყო. ანაზდად ვულიმ იაზრა, რაც უნდა ყო-

ფილიუო ეს. ვერცხლის თავსამკაული ხალტე იუო. ჭორგალივით დახვეული. ეტყობა პატრონს საცერემონიოდ ჩაცმა-გამოწყობა დამგვანებოდა და სამკაული ჯიბეში ჩაედო, იმ განზრახვით, რომ შემდეგ, როცა მის ამბანაგებს გვერდით მიუწვებოდა, გახსნიდა მას და თავზე გაიკეთებდა. მაგრამ, ეტყობა, დავიწყნოდა. მაშინ, როცა ვერცხლის სხვა სამკაულები განადგურდა, ეს სამკაული დაუანგვას იმან გადაარჩინა რომ მჭიდროდ იყო დაგორგლილი და თანაც კაბის ქსოვილი იცავდა.

მესოპოტამიის დაბლობის სხვა ქალაქებსაც — ურუქს, ლაგაშს, ნიპურს, ქიშსა და სხვებს — ურის კულტურაზე ჰქონდათ სწორება, მაგრამ დაახლოებით ძვ. წ. 2400 წლამდე მისგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. ზოგჯერ ერთმანეთთან ომში ებმებოდნენ — ვულის მიერ აღმოჩენილ ცნობილ „ურის შტანდარტზე" კარგად შეიარაღებული ქვეითი ჯარი და საბრძოლო ეტლებია გამოსახული, — და, ეჰვსგარეშეა, ერთმანეთთან დიპლომატიურ კავშირებსაც ამყარებდნენ, მაგრამ ძვ. წ. ოცდამეოთხე საუკუნეში მათ ხალხშიც გამოჩნდა ერთი იმ მძლე წინამძღოლთაგანი, რომლებიც დროდადრო მოევლინებიან ხოლმე ისტორიას. ამ დიდმა წინამძღოლმა, სარგონმა (შარუ-კინუმ) იმასვე მიაღწია შუმერში, რასაც მენესმა რვა საუკუნით ადრე ეგვიპტეში — ქვეყანა ერთმმართველობას დაუქვემდებარა. ეს ჩრდილოელი წარმოშობით ქიშიდან იყო. მან ახალი ქალაქი, აქადი დააარსა, რომელიც შემდგომ მის მიერ ჩამოყალიბებული ახალი სახელმწიფოს, აქადის დედაქალაქი გახდა. სარგონი ერთმანეთზე მიყოლებით იმორჩილებდა შუმერის ქალაქებს, სანამ სპარსეთის ყურემდე მთელ ქვეყანას არ დაეპატრონა. ეგვიპტელი ხელმწიფეებისგან განსხვავებით, მას არ აკმაყოფილებდა საკუთარი საზღვრების ფარგლებში დარჩენა — იქნებ იმიტომ, რომ მის ქვეყანას ეგვიპტის მსგავსი ბუნებრივი საზღვრები არ გააჩნდა და მოქიშპე სახელმწიფოებით იყო გარემოცული. მათ თუ არ დაიმორჩილებდა, ბალე თვითონ შეუქმნიდნენ სერიოზულ საფრთხეს. სარგონი აღმოსავლეთით ელამს მისწვდა, ხოლო დასავლეთით სირიისა და ლიბანის მთებს გადაუარა და ზღვაზე გავიდა. ასე და ამგვარად, ორმა უძველესმა ცივილიზაციამ — ეგვიპტისა და შუმერ-აქადისამ — სამანი ახლა ზღვაზე დაიდო, რომელიც მრავალი ხალხების შეყრის ადგილი უნდა გამხდარიყო. იმის დაშვებაც შეიძლება, რომ სარგონი კვიპროსშიც შეიჭრა, მცირე აზიაში რომ შეიჭრა, ეს კი უდაოა. მისმა მემკვიდრეებმაც გაიმეორეს მისი საგმირო საქმეები, კერძოდ, ნარამ-სინმა, რომელიც თვით ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე დიარბეკირამდე და სპარსეთის ზაგროსის მთების სიღრმემდე გაიჭრა. მისი მემორიალური სტელა პარიზის ლუვრში ინახება. მაგრამ ორიოდ საუკუნის შემდეგ სარგონის მიერ შექმნილი ეს უძველესი სამყაროს პირველი იმპერია აღმოსავლეთიდან ბარბაროსების მოწოლამ [illegible]

ურ-ნამუს მეფობის დროს [illegible] ძვ. წ. 2125 წელს, ქალაქი ური, რომელიც უკვე ექვსი საუკუნე იყო, რაც ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა, უაღრესად აღზევდა. ურ-ნამუ თავი „შუმერისა და აქადის მეფედ" გამოაცხადა. მან ხელახლა გააერთიანა სახელმწიფო და შექმნა დინასტია, რომელმაც ათ წლამდე იარსება. ლარსა, უმა, ნიპური, ერიდუ და ლაგაში გიფურჩქნენ და აყვავდნენ მის მეფობაში. შუმერთა რამდენიმე უდიდესი არქიტექტურული მიღწევაც სწორედ მის მეფობის ხანას უნდა მივაკუთვნოთ. ურ-ნამუმ დაახლოებით თვრამეტ წელიწადს იმეფა. თავის მშობლიურ ქალაქ ურში მთვარის ქალღმერთს, ნანარს უზარმაზარი ტაძარ-კოშკი აუგო. იარუსიანი კოშკის სიმაღლე ოთხმოცდ ფუტს აღწევდა და ორასი ასორმოცზე ფუტის საძირკველზე იდგა, რომელიც, თავის მხრივ, საოცდაჩვიდმეტი ფუტის ხისქვეშა იყო.[1]

„როგორც ჩანს", წერს ვული, „მას სამარადისო შენობის აგება ჰქონია განზრახული და ამ მიზნისთვის მზად იყო ნებისმიერი რაოდენობის სამუშაო ძალა მოეზიდა. და არცაა გასაკვირი, რომ მისი ზეობის თვრამეტი წელი საკმარისი არ აღმოჩნდა იმის დასასრულებლად, რაც დაგეგმილი ჰქონდა".

მაგრამ ვულიმდე დიდი ხნით ადრე, ნაკლებ სწავლულმა არქეოლოგმა, ჯ. ე. ტეილორმა მთვარის ქალღმერთის ტაძრის ზიგურათის (იარუსიანი კოშკის) უსულგულო გათხრა აწარმოა. მან კოშკის თავთან ახლოს, ზიგურათის კედელში დამალულ გამომწვარი თიხის ცილინდრებს მიაგნო, რომლებზეც ტაძრის ისტორიის ამსახველი გრძელი წარწერები იყო ამოტვიფრული. თუმცა წარწერები მხოლოდ ძვ. წ. 550 წლით, ბაბილონის უკანასკნელი მეფის ხელმწიფობის ხნით თარიღდება. მათში მაინც აღნიშნულია, რომ ტაძარი ურ-ნამუმ და მისმა შვილმა, დუნგიმ ააშენეს. სწორედ ამ ოთხმოცდ წელზე მეტი ხნის წინათ ნაპოვნ თიხის ცილინდრებზე იხსენიება პირველად ეს ქალაქი „ქალდეის ურად". ეს იე აბრაამის სამშობლოა, რომლის ჩამომავლობაც ებრაელებს სამაყოდ აქვთ.

ურ-ნამუს ბევრ რასმე მიაღწია. იგი არა

---

[1]. ავტორი იძლევა ზომებს ინგლისურ ზომის ერთეულზე გადაანგარიშებით. ფუტი = 30,48 სმ.

მარტო დიდი აღმშენებელი იყო. მისი ზეობის ხანს ემოხვევა ლიტერატურის აღზევებაც, წონასა და სიგრძის საზომი ერთეულების დადგენა და სკოლებში შუმერული ენის სახელმძღვანელო წიგნების შემოღება. ინტელექტით იგი ეგვიპტის მეფე ჯოსერის არქიტექტორის, იმჰოტეპის დარი პიროვნება უნდა ყოფილიყო, რომელსაც ირგვლივ მრავალგვარი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები შემოიკრიბა. ჯერჯებობით, სამწუხაროდ, მისი მეფობის ძალზე ცოტა წერილობითი დოკუმენტია მიკვლეული. ჩვენ მას მხოლოდ გვიანდელი ნაწერებიდან და იმ დიდ შენობათა ნანგრევების წყალობით ვიცნობთ, დღევანდელობამდე რომ შემონახულა. მისი მმართველობის ხაზი 2025 წლამდე წარიმართა, სანამ შუმერს ახალი უბედურება არ დაატყდა თავს. ისევ დასპყრობთა ურდოები მოასკდნენ დასავლეთ-აღმოსავლეთით. მათ შორის ძველ აღთქმაში დასახელებული ამორეველები და ელამელებიც იყვნენ, იმის შესახებ, თუ რა ამბავი დატრიალდა იქ, აზრი იყოფა. ზოგს მიაჩნია, რომ ეს ერთობლივი თავდასხმისგან დაცემული შუმერული ცივილიზაცია, ფეხზე უკვე აღარასოდეს წამომდგარა. სხვები კი თვლიან, რომ ამორეველები მშვიდობიანი გზით მოექცნენ ძალაუფლების სათავეში და ამის შემდეგ შუმერში ყოველთვის ორი ეთნიკური კულტი ბატონობდა. მაგრამ ური რომ დაინგრა, აქაზე ორი აზრი არ არის. შემორჩენილია ერთი იმ დიდ გოდებათაგანი, რომლებიც ასე ხშირად გვხვდება სემიტურ ლიტერატურაში. ვთქვათ, ძველ აღთქმაში. ესაა ურის ნანგრევთა შორის მოხეტიალე პოეტის ელეგია.

„ჰოი, ქალაქო, მაღლობს ზღუდე შენი,
ხოლო ქვეყანა შენი შეიმუსრა!
ჰოი, ქალაქო, ვითარცა უცოდველ ცხოვარს
წარგეტაცა კრავი შენი!
ჰოი, ურ, ვითარცა უცოდველ ხახას
წარგიწყმდა თიკანი შენი!
მწარეა ველოვ: შენი, — ვიდრემდე წუბდეს
მოტირალი უფალი შენი?
ხალხი მისი ქალაქის ზღუდესთან განერთხა,
მოთქვამს ხალხი.
მაღალ ბჭეებთან, სად ადრე ვიდოდნენ,
გვამები ყრია.
მის ვრცელ უბნებში, სად ადრე
ზეიმობდნენ, დაცემულან.
ყველა ფოლოროცზე, სად ადრე ვიდოდნენ,
გვამები მიმოფანტულა.
ქალნი და მოხუცნი, სახლით ვერგასულნი,
ცეცხლმა შთანთქა.
ჩვილნი დედის კალთაში მწოლარენი,
წყალმა თევზებივით წაიღო.

სამართალი ქვეყნისა წარწყმდა,
ნოთქვამს ხალხი.

ამ დროს, როცა ეს ლექსი დაიწერა, ეგვიპტეში, ნილოსის დაბლობის ხალხები იმ ანარქიიდან იწყებდნენ თავის დაღწევას, რომელიც ძველი სამეფოს დაცემას მოჰყვა თან. XII დინასტიის ძლიერმა მეფეებმა კვლავ გააერთიანეს დაქსაქსული სახელმწიფო; შეიქმნა შუა სამეფო. ურის დარბევის შემდეგ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, როცა სენუსეტები და ამენემჰეტები გაერთიანებულ ეგვიპტეს მართავდნენ, მესოპოტამიის ხალხი ბარბაროს დამპყრობთა მსხვერპლად იქცა, თუმცა წვრილი მეფეები აქა-იქ იგდებდნენ მცირე ხნით ხელში ძალაუფლებას. მაგრამ დაახლოებით ძვ. წ. 1792 წელს ჩრდილოეთით, იმ ქალაქზე, რომელსაც მანამდე არავინ თვლიდა ყურადღების ღირსად, ახალი მზე აღმობრწყინდა. ეს ქალაქი ბაბილონი იყო.

თუმცა ძველი შუმერის მატერიალური სიმდიდრის დიდი ნაწილი განადგურდა, ძველი სუ-ღიერი კულტურის ძეგლებმა მაინც გაუძლეს დრო-ყამს, მთავარი აქედან დამწერლობის ძვირფასი ხელოვნება იყო, რომელიც ცოდნა-გამოცდილების აღნუსხვა-გადაცემას ხდიდა შესაძლებელს. ამ ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ სადღაც მეორე ათასწლეულის დასაწყისში ახალგაზრდა კაცი, სახელად ჰამურაბი, გამხდარა ბაბილონის მეფე. დიდი ენერგიისა და სამხედრო ძლიერების წყალობით მან მოახერხა მთელი ქვეყნის სადავეების ხელში ჩაგდება. შემდეგ, როგორც სარგონი მასზე დიდი ხნით ადრე, ისიც გაიჭრა დასავლეთით ხმელთაშუა ზღვამდე და აღმოსავლეთით ელამი დაიკავა. მან დაიპყრო ასურეთიც, მისგან ჩრდილოეთით მდებარე სახელმწიფო, რომელიც მოგვიანებით შუმერზე კიდევ უფრო ძლიერ იმპერიად იქცა. მაგრამ არც ერთი ჩანაწერი არ ლაპარაკობს ეგვიპტესთან ჰამურაბის დამოკიდებულებაზე.

ჰამურაბმა მთავარ წარმატებას მაინც სამართლისა და მართვა-გამგეობის საქმეში მიაღწია. მისი დროის უამრავი დოკუმენტია შემორჩენილი, სამეფო მიმოწერის ნაწილის ჩათვლით. მაგრამ მისი მეფობის მთავარი ძეგლი ის ცნობილი კანონთა კრებულია, რომელშიც მან სოციალური ცხოვრებისა და საქმიანობის ადათ-კანონები შეანივთა. ეს კანონები ჯერ კიდევ შუმერთა ხანიდან იღებდა სათავეს. ასე რომ ჰამურაბმა კი არ შექმნა კანონთა მთელი ეს ხიმრავლე, არამედ მხოლოდ სისტემად ჩამოაყალიბა ისინი.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ფრანგმა არქეოლოგებმა, სუსიანთან გათხრებს რომ აწარმოებდნენ, შავი დიორიტის სვეტი იპოვეს, რო-

მელზედაც გრძელი ლურსმული წარწერები იყო გამოყვანილი. ეს ჰაბურაბის კანონები გახლდათ, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი. აქ ჩვენ ვაწყდებით პირველ წერილობით განცხადებას შურისგების პირველყოფილი კანონის შესახებ — „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ". და მაინც ეს უალრესად წინ გადადგმული ნაბიჯია პირველყოფილ საზოგადოებათა ადათ-კანონების განვითარებაში. მაგალითად, Lex talionis[1]-ის გამოყენება მხოლოდ სასამართლოს გავლით შეიძლება; ერთ კაცს არ უნდა ეპყრას ხელში კანონის სადავეები.

ჰაბურაბის კანონები შესასწავლად ღირსსაყურადღებო მასალაა ყველასათვის, ვინც ზოგადად კანონის ევოლუციითაა დაინტერესებული. აქ ისეთი საკითხებია გადაწყვეტილი, როგორიცაა სავალდებულო საბრძოლო სამსახურში გაწვევა (და ამ ვალდებულებისგან განთავისუფლება), ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობაზე კონტროლის დაწესება; საკუთრების ხელშეუხებლობა; საბანკო და სავაჭრო საქმე; კაცის ვალდებულება ცოლისა და ბავშვების წინაშე, რომელიც შეიცავს ქმრის მიერ ცოლის ვალების გასტუმრების ვალდებულებასაც.

ერთი და იგივე დანაშაულისათვის ჰამურაბის კანონები მაღალი კლასის წარმომადგენლებისადმი მეტ სიმკაცრეს იჩენს, ვიდრე ღარიბთადმი. სიკვდილით სჯიდნენ არა მხოლოდ მკვლელობისათვის, არამედ ქურდობისა და მრუშობისთვისაც. აგრეთვე ბრალდებულის სიკვდილ-სიცოცხლის გადაწყვეტის დროს თუ ვინმე ცრუ ჩვენებას მისცემდა, ისიც სიკვდილით დაისჯებოდა. საერთოდ კი სასჯელთა ასე დახარისხება დიდი გამარჯვება იყო პირველყოფილ კანონებზე. თანაც იმ დროს საკანონო ტექსტებიდან ჩანს, რომ უმკაცრესი სასჯელის გამოტანას რამდენადმე ერიდებოდნენ კიდეც.

უზრუნველყოფილ იყო ქალთა უფლებებიც. მეუღლისგან უგულველყოფილ ცოლს შეეძლო ქმართან გაშორება მოეთხოვა, მხოლოდ „იმ პირობით, თუ თვითონ არასოდეს შეუცოდავს ქმრის წინაშე". ხანაც კი, თუკი ის დედა გახდებოდა, უფლებას აღიდგენდა იმ ნივთებზე, რომლებიც თან მიეტანა, ან, მისი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად, ფულად ანაზღაურებას ღებულობდა. ისეთი პროფესიის ხალხს, როგორიც ექიმი ან არქიტექტორია, განსაკუთრებული უურადღება მართებდათ. თუ სახლის პატრონს ჭერი თავზე ჩამოექცეოდა, ან ავადმყოფი დაშავდებოდა ექიმის მიზეზით, სახლის ამშენებლისათვის ან მკურნალისათვის, შეიძლება სიკვდილი ან დასახიჩრება გადაეწყვიტათ. უკეთეს შემთხვევაში მას მძიმე გადასახადს დააკისრებდნენ. იმ ოდგაში ბევრი რამაა ისეთი, რაც ქებას იმსახურებს.

ჰაბურაბის ხანგრძლივი მმართველობის მანძილზე ბაბილონი იყო დედაქალაქი იმპერიისა, რომელსაც მეფე და მასზე დაქვემდებარებული სხვა ოფიციალური პირები მართავდნენ. ამ ოფიციალურ პირთა დანიშვნა-გადაყენებას თვითონ მონარქი წყვეტდა. მათ ჰამურაბის მიერ შემუშავებული კანონთა კოდექსის მთელს ქვეყანაში გატარება ევალებოდათ. გაიზარდა სამხედრო ძალიერებაც, განსაკუთრებით ძველი შუმერული საბრძოლო ეტლის გაუმჯობესების ხარჯზე: მასიური ბორბლების ნაცვლად ხიდიანი ბორბლები შეეოილეს, ბოლო სახედრის ნაცვლად ახლა ცხენს იყენებდნენ. გაუმჯობესდა კომუნიკაციაც, რამაც შესაძლებელი გახადა უფრო მჭიდრო ადმინისტრაციული კონტროლი და საჭიროების ადგილზე ჯარების სწრაფი გადასროლა.

ცხენი თურქესტანის სტეპებიდან ჩანს შემოყვანილი. დაახლოებით ძვ. წ. 2000 წლამდე მთავარ ტვირთმზიდავ პირუტყვად აღმოსავლეთ აფრიკის ბინადარი სახედარი ითვლებოდა. ძვ. წ. 1600 წლამდე ეგვიპტემ არც ცხენი იცოდა რა იყო და არც ბორბლიანი ტრანსპორტი. მერე კი, მასზე უკეთ შეიარაღებული მტრები რომ შეეგერიებინა, კონსერვატიული ეგვიპტე იძულებული შეიქნა დაენერგა ეს სიახლენი.

ჰამურაბის ხანგრძლივი მეფობის შემდეგ მისმა სამეფომ მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელსღა იარსება. ის თანდათან სუსტდებოდა. ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან სულ უფრო მატულობდა გარეშეთა თავდასხმები. ისინი არბევდნენ მდიდარ ქალაქებს, წვავდნენ ნათესებს, იტაცებდნენ ტყვეებს. დაახლოებით ამ პერიოდში ახალმა ძალამ იჩინა თავი ჩრდილოეთში; მრისხანე ასურეთი, „ასურის შვილები", ხალხი, რომელსაც „ომი თამაშად უჩნდა", ირაზმებოდა. როცა დაახლოებით ძვ. წ. 1300 წელს ბაბილონი კვლავ იჩენს თავს ისტორიაში, ის იმჯერად უკვე ასურეთის იმპერიის ქვექვერდომად გვეგლინება.

მაინც როგორები იყვნენ შუმერები? როგორც წესი, არქეოლოგები პირადი სიმპათიით იმსჭვალებიან ბოლამდე იმ უძველესი ხალხებისადმი, რომელთა წარსულის აღდგენაზეც ბევრმა გაუწევიათ. ეგვიპტოლოგებს, ჩვეულებრივ, ძველეგვიპტელები ესიმპათიურებათ; ელინისტებს ანტიკური ბერძნები უყვართ, და ეს სავსებით გასაგებია; ისეთ არქეოლოგებსაც შეხვდებით, ასურელებზე რომ ჰქონდეთ გული გადაგებული — რაც თითქმის თავგანწირვამდე მისული გმირობაა. მაგრამ ბოყვარული არქე-

1. შურისგების კანონი (ლათ.).

ოლოგები ნაკლებად მიმზიდველები არიან ხოლმე და თვით ამ წიგნის ავტორისთვისაც შუმერები ყველა მათ სიყველეთა პიუჩედავად მომხიბვლელობითა და ჰუმანიურობით ეგვიპტელებზე დაბლა დგანან. ნილოსის დაბლობის ხალხებისაგან განსხვავებით, რომლებიც, თუ მათი პორტრეტების მიხედვით ვიმსჯელებთ, კარგი აღნაგობის, ელეგანტური რასა უნდა ყოფილიყო, ტიგროს-ევფრატის დაბლობის ხალხები გარეგნულ მიმზიდველობას სრულიად მოკლებულნი იყვნენ. მათი მხატვრობისა და ქანდაკების შემ:ყურეთ წარმოგვიდგებიან, როგორც დაბალი, შავტუხა, წვერიანი ადამიანები, მკვეთრად გამოხატული ნაკვთებით, საშუალო ასაკში სიმსუქნისკენ მიდრეკილებით, თხელი ტუჩებით, დიდი ცხვირითა და გადმოკარკლული თვალებით. მათი თვალებდაჭყეტილი ღმერთები, რომელთა მოდელებად თვით იმათი შემქმნელები უნდა ვიგულისხმოთ, იხეთივე უსიამო არიან თვალთათვის, როგორც მათი სახელები ყურთათვის. შეადარეთ „ამონ-რა" და „მარდუკი", ან „ოზირისი" და „დუმუზი".

თუ რომელიმე მკითხველი ამას ქარაფშუტულ შეხედულებად ჩაგვითვლის, ეწვიოს მუზეუმს, სადაც შუმერული და ეგვიპტური სკულპტურაა გამოფენილი და შედარება მას ადვილად დაარწმუნებს.

აქ კი დროა დავამუხრუჭოთ და ისევ ჩვენი თხრობის მდინარებას დავუბრუნდეთ. ჩვენ თვალი გადავავლეთ ეგვიპტის ცივილიზაციის განვითარებას გაფანტულ დამოუკიდებელ თემებიდან ერთ მთლიან სამეფომდე. ჩვენ ვნახეთ თუ როგორ მართავდნენ აყვავებულ ეგვიპტეს ერთი მეორის მიყოლებით ძლევამოსილი მეფეები — პირამიდათა პირველი მშენებლები ძვ. წ. 2800-დან 2270 წლამდე. მერე კი, 200-წლიანი უმეფობის პერიოდის შემდეგ, როგორ წამოყო თავი ახალმა დინასტიამ, კვლავ გააერთიანა სახელმწიფო და მართავდა მას შუა სამეფოს პერიოდის მანძილზე (ძვ. წ. 2100-1700 წ. წ.), თუმცა, აქვე უნდა დავსძინოთ, რამდენადმე უფრო ნაკლები ძალმოსილებით. ამ დროს კი მესოპოტამიაში ახალი ცივილიზაცია აღმოცენდა, რომელიც თავიდან დამოკიდებული ქალაქ-სახელმწიფოების სახით გაჩნდა, შემდეგ კი აქადელმა სარგონმა გააერთიანა ხულ ოთხასი წლით, სანამ იტრების თავდასხმებისგან ისევ არ დაიშალნენ. ძვ. წ. 2125 წელს ურ-ნამუმ, ურის მეფემ, ისევ გააერთიანა ისინი, რომელთაც საუკუნის მოგვიანებით ისევ დაშლა ეწერათ. ბოლოს კი (დაახლოებით ძვ. წ 1792 წელს) ვნახეთ, რომ ბაბილონის ახალგაზრდა მეფემ, ჰამურაბმა, ისევ ააღორძინა შუმერული ცივილიზაციის დიდი ტრადიციები და განავრცო მისი იმპერიის საზღვრები აღმოსავლეთით ელამის, ჩრდილოეთით ასურეთის, დასავლეთით და დასავლეთით ხმელთაშუა ზღვამდე. მაგრამ ამ იმპერიამაც მხოლოდ ერთ საუკუნეზე ნაკლები იარსება. იგი ახალი ხალხების გარდუვალი დაწოლის ქვეშ დაეცა, და იმ დროისათვის, როცა ჰაზიელი ჰიქსოსების, ანუ როგორც მათ ეძახდნენ „მეჯოგეთა მეფეების" (ძვ. წ. 1700 წ.) შემოსევამ ეგვიპტის სამეფოც დასცა, არც ეგვიპტეში და აღარც მესოპოტამიაში ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო უკვე აღარსად არსებობდა.

ახლა დროებით დავტოვებთ ჰაზიას და ეგეოსისა და სირიის უდაბნოების გავლით და ლიბანის ხშირტყიანი მთის გადალახვით დასავლეთით, ზღვისკენ გავემართებით. უკან მოვიტოვეთ ხრიოკი უდაბნოები და დახრუკული ხტეპები. ჩვენს თვალწინ, ხუთასი მილის მანძილზე, ზღვა იშლება — თანამედროვე თვალიმფრინავი ორ საათზე ნაკლებ დროში რომ გადალახავს, მაგრამ ადრეული ეგვიპტის, შუმერიისა და აქადის დროში ეს ისეთივე ოვალუწვდენი და ამოუცნობი ოკეანე გახლდათ, როგორც ჩვენი ელიზაბეთისდროინდელი წინაპრებისათვის ატლანტიკა და წყნარი ოკეანეები იყო. ჩვენ კი, მივიწევთ რა სივრცობრივად დასავლეთისაკენ, დროშიც კვლავ უკან, ძვ. წ. 2700 წლამდე დავიხიოთ, როცა ხეოფსი დიდ პირამიდას აგებს და ურის მეფის მოხელენი და ხასები საზეიმო ნაბიჯით ჩამყვებიან პანდუსებს, რათა თავიანთ მბრძანებლებთან ერთად დაიმარხონ.

ჩვენგან სამხრეთით, მარცხნივ, ეგვიპტე ძევს, ჩრდილოეთით კი, ჩვენგან მარჯვნივ, ანატოლიის მთებია, სადაც მხოლოდ მოძმთაბარე მეჯოგეები და მეცხვარეები ცხოვრობენ და ჯერ კიდევ ქვის ხანიდან არ გამოსულან. ჩვენგან ჩრდილო-დასავლეთით ევროპაა, ქვეყნები, რომელთაც დღეს ბალკანეთის ბლოკის სახელმწიფოების ქვეშ ვაერთიანებთ — ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია. კიდევ უფრო იქით იტალიის ნახევარკუნძული,. საფრანგეთი და ესპანეთია. მაგრამ ძვ. წ. 2700 წელს ამ ქვეყნებს ცივილიზაციისა არაფერი სცხიათ. ეს მხარე ტყეებით, მთებით და ველებითაა დაფარული, სადაც მხოლოდ მონადირეები დაეხეტებიან ჯგუფებად, აქა-იქ კი მდინარეთა და ტბათა ნაპირებს პატარ-პატარა დასახლებები შეფენია.

ბოლოს „ღვინისფერ ზღვაში" კუნძულის მოყვანილობა ჩნდება; გრძელი, ვიწრო კუნძული-

სა, უველაზე განიერ ალაგას მხოლოდ ოცდათხუთმეტ მილს რომ აღწევს და მთებითაა დაწიბული, რომელთაგან ზოგს თოვლის საფარველიც ჰბურავს. ეს კრეტაა. აქ არც შლამიანი ხეობებია და არც მაცოცხლებელი მდინარეები. და მაინც აქაც იღვიძებს ცივილიზაცია, ევროპის პირველი და მსოფლიოს მესამე უძველესი ცივილიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მერვე

კუნძულელი მეფეები

კრეტაზე ცივილიზაციის წარმოშობის ამბის მოსათხრობად პოეტური ხედვაა საჭირო. ეგვიპტის იეროგლიფებისა და შუმერული ლურსმული დამწერლობის შესწავლა-გამოკვლევით ფილოლოგებმა შესძლეს ამ ორი დიდი ცივილიზაციის ისტორიის აღდგენა. მაგრამ მივაღწევთ თუ არა კრეტას, სულ სხვა ატმოსფეროში ვხვდებით, — ეს არის ლეგენდებისა და მითების სამყარო. აქ არავითარი წერილობითი დოკუმენტი — გარდა ვაჭართა და მოხელეთა ქონების აღმნუსხველი რამდენიმე მოსაწყენი წარწერისა — არ მოიპოვება. მართალია, არქეოლოგები გვაჩვენებენ ბრწყინვალე მრავალ. სართულიან ქვის სასახლეებს, კეთილმოწყობილ გზებს, სახლებს, ნატიფ ფრესკებს და მოხდენილ მინიატურულ ქანდაკებებს, მაგრამ ამ ამოუცნობ მინოსელებს — ტანადსა და პირქუშ, იდუმალსახიან მამაკაცებს, კულულებად დახვეული მუქი თმა რომ ამშვენებთ, და ქალთის ბოლოზე ფურჩალამოვლებულ კაბებში გამოწყობილ ბანოვანებს, რთული თმის ვარცხნილობითა და ძვირფასი ქვებით მოოქვილი თავსაკრავებით რომ გამოირჩევიან, — არ ძალუძთ სიტყვა მოგვაწვდინონ. ჩვენში მხოლოდ გაოცებას იწვევს ფერადი ფრესკები, რომლებზეც გრძელი, ძირწაწვეტებული რიტონებით[1] და სამსხვერპლო ფიალებით ხელდამშვენებულ ყმაწვილკაცთა პროცესიები და თმაკულულა, ტანწერწეტა, მკერდშიშველა ქალებია გამოსახული, სასახლის ლამაზმანთა უდარდელობით რომ სხედან რომელიღაც მოსაწყენ ცერემონიულ კრებაზე და გაუთავებლად ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ... ნეტავი რაზე?

ამას ჩვენ ვერასოდეს შევიტყობთ, რადგან კრეტელებს ჩვენთვის არავითარი მატიანე, მოთხრობა თუ ეპიკური პოემა არ დაუტოვებიათ, განსხვავებით ეგვიპტელებისაგან (რომლებიც, სხვათა შორის, იცნობდნენ კრეტელებს და შეეძლოთ კიდეც მოეთხროთ ჩვენთვის მათზე) და ბაჯაჯგუნა, მოვაჭრე შუმერებისაგან (რომლებიც არ იცნობდნენ კრეტელებს და კიდეც რომ ცნობოდათ, ალბათ არაფრად ჩააგდებდნენ მათთან ნაცნობობას). მაგრამ თუ არქეოლოგები და ისტორიკოსები ხდუმან, სამაგიეროდ პოეტი გვიმღერის კრეტის შესახებ. ეს ბერძენი პოეტი ეას შემდეგ დიდი ხნის ზერე ცხოვრობდა, რაც კრეტის უკანასკნელი სახახლე ნანგრევებად იქცა, და თუმცა არ იცნობდა მკვიდრ კუნძულელებს, ლექსში უკვდავყო, მათ მიერ ექვსი საუკუნის მიღმიდან გადმოცემული ლეგენდები:

„კრეტა — კუნძული ღვინისფერ ზღვით
გარშემორტყმული,
არის ლამაზი, მდიდარი და ნაყოფიერი;
ოთხმოცდაათი ქალაქია ამ კვეყანაში,
დიდი ქალაქი არის კნოსო, სადაც მეფობდა
ცხრა წლით მინოსი, უკვდავ ზეესთან
მოლაპარაკე".[1]

ახლაც, თითქოს პირდაპირ ამ ლურჯი, მზით გასხივოსნებული ზღვიდან ამოემართებიან მთები და მწვერვალებით ღრუბლებში იკარგებიან, ზუსტად იხე, როგორც ჰომეროსი აღგვიწერს. ხმელთაშუა ზღვის თბილი სიოთი დაბერილი აფრები მზით გაბრწყინებულ თეთრქვიანი ნავსადგომისკენ მიგვაქანებენ მოცეკვავე ტალღებზე. ტალღები ჯებირს შხეფებად ემსხვრევა: მზით გარუჯული მენავსადგურენი ჩვენს მოხაგებებლად გამორბიან, მაღლა კი, მათ ზემოთ, ღრუბლებთან შეამხანაგებული, ღმერთების მეფის სამშობლო მთა — იდა აღმართულა.

ახლა მეფე მინოსი, — ნუთუ გულის არც ერთი სიმი არ შეგირხიათ მისმა ხსენებამ? ეს ტირანი, რომლის ბრძანებითაც ყოველწლიურად შვიდი ქალი და შვიდი ვაჟი უნდა მოეგვარათ ათენიდან და მის საამებლად სასახლის ქვეშ გამართულ ლაბირინთში შეხოვრებ ხარ-კაცასავის, ურჩხულ მინოტავრისთვის შეეწირათ. მერე ბერძენი გმირი თეზევსი, იმ მეფის ასულს რომ შეუყვარდა, ახლა სხვა ბერძენი მწერალი აპოლოდოროსი მოგვითხრობს ამბავს, თუ როგორ იღო ყურად მეფის ასულმა ცბიერი მჭედლის რჩევა-დარიგება და

[1]. რიტონი — (ბერძ. რომ.) კონესისებრი თიხის სასმისი, რომლის ქვედა ნაწილს ქალის, ცხოველის ან რაიმე მითიური არსების თავის მოყვანილობა აქვს, ძირისკენ კი ყანწივით ვიწროვდება.

[1]. ჰომეროსი, „ოდისეა", თარგმანი ძველბერძნულიდან პანტელეიმონ ბერაძისა.

„მისი რჩევით ლაბირინთში შემავალ თეზევსს ძაფი გაატანა. თეზევსმა ძაფის ერთი ბოლო კარებს მიაბა და ლაბირინთში შესულმა მეორე ბოლო თან გაიყოლა. ხოლო როცა ნახა მინოტავრი, შეებრძოლა და მუშტით მოაშთო. უკან გზა ამ ძაფითვე გამოიგნო"...

რასაკვირველია, ეს სულ ლეგენდებია. აი, აპოლოდოროსს კიდევ აქვს ჩვენთვის რაღაც მოსათხრობი. ამჯერად დედალოსზე. / მინოსი აღმოაჩენს ქალის მზაკვრობას და მჭედელზეც ეჭვი მიაქვს. დედალოსი და მისი ვაჟი კრეტიდან გაქცევას გადაწყვეტენ.

დედალოსმა თავისთვის და ვაჟისათვის ხელოვნური ფრთები გააკეთა. როცა აფრინდნენ, შვილი გააფრთხილა, არც ზღვასთან მეტად ახლოს ეფრინა, რადგან სინესტე ბუმბულის ქალმებს განწილავდა, და არც ძალიან მაღლა აჭრილიყო, რადგან მზის სხივები წებოს გააღლობდნენ და ფრთები დაიშლებოდა. მაგრამ აღფრთოვანებულმა იკაროსმა უგულვებელყო მამის გაფრთხილება და სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა, სანამ ბოლოს წებო არ გალღვა, იკაროსი ზღვაში ჩავარდა და დაიღუპა. ამ ზღვას იკაროსის სახელი დაერქვა.

გამძვინვარებული მინოსი სიცილიამდე მიჰყვებოდა დედალოსს, სადაც მჭედელი ამ ქუნძულელ მეფეს კოკალოსს შეეფარა.

„მინოსი ყველა ქვეყანაში, სადაც კი დედალოსის დეგნა ჩაიყვანდა, ერთ უცნაურად დახრახნილ ნიჟარას დაატარებდა და უზარმაზარ გასამრჯელოს აღუთქვამდა იმას, ვინც მასში ძაფის გატარებას შესძლებდა. მას სჯეროდა, რომ ამ გზით დედალოსის კვალს მიაგნებდა".

მინოსი იცნობდა ადამიანის ბუნებას. მაძიებელი გონების პატივმოყვარეობისაც იცოდა. დიდხელოსანი. „რვალის დიდოსტატი" ახლა უბრალო მუშა როდიღა იყო, თავისი ბატონისთვის აბჯრებს რომ ამზადებდა. ტექნიკოსი შეიქნა, ინჟინერი — ხელისუფლების აუცილებელი დანაშენი. მაგრამ როგორც ზოგიერთ თანამედროვე ტექნოკრატს, მასაც ჰქონდა თავისი აქილევსის ქუსლი — პატივმოყვარეობა. და მინოსმაც ჩაუშვა ანკესი.

„მინოსი ჩავიდა სიცილიაში, მივიდა კოკალოსის კარზე, კამიკოსში, სადაც დედალოსი იმალებოდა, და აჩვენა მეფეს თავისი ხრახნილი ნიჟარა. კოკალოსი (სიცილიის მმართველი) დაჰპირდა, ნიჟარაში ძაფს მე გავუყრიო ჩამოართვა ნიჟარა და დედალოსს წაუღო".

დედალოსი გამოწვევის ცდუნებას აჰყვა. მან კარგად უწყოდა, რომ კოკალოსს, მის ახალ ბატონს, არ ძალუძდა ნიჟარის დახლართული ხვეულების მათემატიკური გაანგარიშება, ისევე როგორც არიადნეს სატრფოს არ შეეძლო ლაბირინთის მიხვეულ-მოხვეულების დამახსოვრება. და —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„დედალოსმა ძაფი ჭიანჭველას მოაბა და გაბურღულ ნიჟარაში შეუშვა. ნახა თუ არა მინოსმა ძაფი ნიჟარაში გაყრილი, უმალ იგრძანა დედალოსის კოკალოსთან მყოფობა და დაუყოვნებლივ დანებება მოსთხოვა".

კრეტის პირველი მკვლევარი არქეოლოგი, მაინრიხ შლიმანი იქ სწორედ ამგვარმა ლეგენდებმა ჩაიყვანა. ჰომეროსს ზედმიწევნით დანდობილი ეს გერმანელი ბიზნესმენი უკვე დიდ აღმოჩენებამდე მისულიყო მიკენში, კონტინენტალურ ხაბერძნეთში: შლიმანი მხოლოდ ერთხელ ეწვია კრეტას, მიიღო გათხრების ნებართვა, მაგრამ მუშაობის დაწყებამდე გარდაიცვალა. ესტაფეტა ინგლისელის, სერ ართურ ევანსის ხელში გადავიდა, რომელიც ქუნძულზე სადამწერლო სისტემის ძებნამ ჩიმოიყვანა. და როგორც კი იქ დაემკვიდრა, კრეტამ სულით ხორცამდე მოიცვა.

გამოჩენილი არქეოლოგის შვილს, ევანსს, ბრიტანეთის საშუალო კლასის ზედა ფენათა შესაფერი განათლება ჰქონდა მიღებული. ბაროუსა და ოქსფორდის შემდეგ ჯერ ევროპაში იმოგზაურა საფუძვლიანად, მერე ბალკანეთში მუშაობდა სამხედრო კორესპონდენტად და ოქსფორდში — ეშმოლის მუზეუმის კურატორად. საუნივერსიტეტო ქალაქის აკადემიური ცხოვრება თანდათან მომაბეზრებელი ხდებოდა მისთვის. ეშმოლის მუზეუმის, ამ რესპექტაბელური დაწესებულების რეორგანიზაციისა და მოდერნიზაციის მიხეულმა მეთოდებმაც ფრიად შეაშფოთა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა. მათ ერჩიენათ მუზეუმი ისეთივე რესპექტაბელური (და გამოუსადეგი) დარჩენილიყო, როგორიც იყო. ამიტომ შვებითაც კი ამოისუნთქეს, როცა 1899 წელს ევანსის ყურადღება კრეტამ მიიპყრო.

შლიმანისგან განსხვავებით, ჰომეროსისეული თქმულებებით გარემოცულმა კუნძულმა რომ მიიზიდა, ევანსის მოტივები გაცილებით პრაქტიკული ხასიათისა იყო. ის სადამწერლო სისტემას ეძებდა. რამდენიმეე წლით ადრე ჯონ (მოგვიანებით, სერ ჯონ) მაიერსთან ერთად ევანსმა ათენის ანტიკვარულ მაღაზიებში უამრავი პატარა დატვიფრული ქვა იპოვა. ქვებმა, რომლებიც მისი აზრით პიქტოგრაფებით (სურათებიანი დამწერლობა) იყო დაფარული, დიდად დააინტერესა იგი. ევანსს ეთხრეს, რომ ეს ქვები კრეტადან იყო ჩამოტანილი და იქაური

ქალები მათ ყელზე იბამდნენ, როგორც თილისმას.

აქამდე მიიჩნევდნენ, რომ ეგვიპტელების, შუმერებისა და ბაბილონელებისგან განსხვავებით ევროპა უწიგნური იყო. მანამ, ვიდრე ბერძნები ფინიკიელებს ანბანს არ დაესესხნენ. ევანსი მთლად დარწმუნებული არ გახლდათ ამაში. მან გათხრები დაიწყო კნოსოსთან. ეს უძველესი დასახლება, რომელსაც ჰომეროსიც იხსენიებს, ჩრდილოეთ კრეტაზე, ქალაქ ჰერაკლიონიდან სამხრეთით რამდენიმე მილით დაშორებულ ხეობაში მდებარეობს. სულ მოკლე ხანში ევანსმა მიაგნო დიდი რაოდენობით თიხის ფირფიტებს ზედ ამოტვიფრული პიქტოგრაფებით, რომლებიც ძალიან ჰგვანდნენ იმათ, მან რომ იმ „დატვიფრულ ბურთულებზე" ამოიცნო. უფრო მეტიც, მან ქვით ნაგები უზარმაზარი სასახლისა თუ სასახლეთა რიგის ნაშთები იპოვა, რომელთა უველაზე ქვედა საძირკველი იმავე დროისა უნდა ყოფილიყო, საიდანაც ისტორიის ათვლა დაიწყო. მან თავის დღიურში ჩაწერა:

„არაჩვეულებრივი მოვლენაა — აქ არც ბერძნულია არაფერი, არც რომაული... გეომეტრიული თიხის ჰურჭლის (ძვ. წ. მეშვიდე საუკუნე) წარმოშობაც კი უცნობია — თუმცა, როგორც სამაროვნების გახსნამ ცხადყო, აყვავებულმ კნოსოსი კიდევ უფრო დაბალ შრეებში არსებობდა... არა, უფრო მეტიც, მისი ზეობის ხანა თუ უფრო ადრეულს არა, წინა-მიკენურ პერიოდს მაინც ემთხვევა".

ევანსი აქ სადამწერლო სიტემის ძებნამ მოიყვანა, მაგრამ რამდენიმე კვირაში მიხვდა, რომ დღემდე უცნობი ცივილიზაციის აღმომჩენი გახდა. ამ ცივილიზაციის გამომზეურებას (რომელსაც მან მინოსური უწოდა მეფე მინოსის პატივსაცემად), მან ჭონების დიდი ნაწილი და ხანგრძლივი ცხოვრების დარჩენილი დრო შესწირა.

ევანსს, აქ კირკიტა სწავლულს, ძლიერი, მაგრამ მოწესრიგებული წარმოსახვაც ჰქონდა. რაც უფრო თვალნათლივ იკვეთებოდა კნოსოსის სასახლე დღის შუქზე, თავის ელვარეფერებიან ფრესკებით, რომლებზედაც აქ სამი ათასი წლის წინათ მცხოვრები უძველესი ხალხი იყო გამოსახული, თავისი საკუჭნაოებითა და საწყობებით, ნატიფი, თეთრი თაბაშირის ფართო კიბეებით, ეზოებით და საზეიმო დარბაზებით, მის რომანტიკულსა და მგრძნობელ წარმოსახვას მით უფრო ეჭირვებოდა ლაგმის ამოდება, რადგან, გინდ ახე თქვი, გინდ ისე, ეს აღმოჩენები მაინც დაუჯერებელ რასმე, გვიანდელი ბერძნული ლეგენდების არსის ხინამდვილეს ადასტურებდნენ, რომლებსაც აქამდე მითებად მიიჩნევდნენ და „ბეტი" არაფერი. მან ვერ მოახერხა სურათ-წარწერებით დატვიფრული თიხის პატარა ფირფიტების გაშიფვრა. მიუხედავად იმისა, რომ ამ თავსატეხს ორმოც წელზე მეტი ხანი შეალია, არადა, აქ მართლაც იყო ხარი, სასახლის ჩრდილოეთ შემოსახვლელ დერეფანში მან დიდი ფერადი ანახეთქი ფრესკის ნაშთებს მიაკვლია, რომელზედაც მობუღრავე ხარი იყო გამოსახული. სასახლის სიცა ნაწილში მან კიდევ უფრო საოცარი რამ ნახა: ფერად ფრესკაზე ეკვმიუტანელი ხიცხადით გამოსახულია ახალგაზრდა კაცი, რომელიც მობუღრავე ხარის ზურგზე მალაყს გადადის, ხოლო „ტორეადორის" კოსტიუმში გამოწყობილი გოგონა უკან დგას შესაშველებლად. იქნებ ეს შეწირვის თავისებური რიტუალია და ესენი იმ ათენური ლეგენდის ქალ-ვაჟთაგანი არიან, ყოველწლიურად რომ უგზავნიდნენ ხარურჩხულ მინოტავრს შესაწირავად?

მაგრამ ლაბირინთი? ლაბირინთი რაღა იქნა? და ერთხელ კიდევ ევანსის არხეებაში სწავლული და პოეტი შეებრძოლნენ ერთმანეთს პირველობისათვის. მართალია, სასახლის ქვეშ ის შავბედითი ჯურღმული არ აღმოჩნდა, მაგრამ არსებობდა რთული სარწყავი სისტემა ისეთი სიგან-სიმაღლის შახტებითა და გვირაბებით, შიგ რომ კაცი ადვილად გაეტეოდა. ამგვარი ნაგებობა თავისთავად ზებუნებრივად მოეჩვენებოდათ ჯერ კიდევ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ბერძნებს, რომლებიც მხოლოდ მაშინ მივიდნენ კრეტაზე, როცა მინოსური ცივილიზაციის დიდების მზე კარგა ხნის ჩასვენებული იყო და ხალხურ გადმოცემადღა ქცეულიყო. ესეც რომ არა, სასახლის კომპლექსური დაგეგმარება მისი უთვალავი დერეფნითა და დარბაზით, თავისთავად ლაბირინთს წარმოადგენდა.

მერე რა სასახლე იყო! თლილი ნატიფი ქვით ნაგები, თავდაპირველად რამდენიმე სართულის სიმაღლეზე რომ ყოფილა ამართული. დერეფნები და კიბეები ბოლოში დავიწროებულ ხის სვეტებს ებჯინებოდნენ, რომლებისგანაც მხოლოდ დამწვარი ნაშთიღა დარჩენილიყო. იმდროინდელ სარწყავ სისტემაში გაპოვლენილი

ბიდრავლიკური ინჟინერიის ცოდნა კი მეოცე საუკუნისას დიდად არ ჩამოუვარდება. ოთახების ერთ წყებას, რომელსაც ევანსმა „დედოფლის მეგარონი" (ანუ დარბაზი) უწოდა, ჰქონდა საკუთარი საბაზანო (ჩასაჯდომი აბაზანით) და საპირფარეშოც კი ჩამრეცხი სისტემით, რომელმა არქიტექტორმა მიაღწია ამგვარ ტექნიკურ დაოსტატებას ქრისტეს დაბადებამდე ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინათ ხმელთაშუა ზღვაში მიკარგულ პატარა კუნძულზე, ასე შორს რომ იყო ეგვიპტის, შუმერისა და განგის ნაპირებიდან, იმ ქვეყნებიდან, რომელთაც მთელი დედამიწის ზურგზე ჰქონდათ უპირატესობა დაეკვებათ, ცივილიზაცია გვაქვსო? განა ჰყავდა კრეტას თავისი იმმოტეპი? და ევანსი არქეოლოგი იძულებული იყო ერთხელ კიდევ გადაესინჯა ბერძნული მითები. „დიდი ქალაქი არის კნოსო, სადაც მეფობდა ცხრა წლით მინოსი, უკვდავ ზევსთან მოლაპარაკე", და მართლაც განა მინოსს თავისთან არ ჰყავდა ერთი მეტად გონებაგამჭრიახი ოსტატი, დედალოსი რომ ერქვა სახელად?

ორმოც წელზე მეტ ხანს მუშაობდა ევანსი კრეტაზე. კნოსოსის სასახლესთან კომფორტაბელური სასტუმროც მოაწყო შესაფერი სახელწოდებით „არიადნეს ვილა". თავისი დიდძალი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი მან გათხრებს და სასახლის ნაშთთა გულმოდგინე მოვლა-პატრონობას მოახმარა, რათა მომავალ თაობებს ეხილათ არა ჩამოშვავებულ ნანგრევთა გროვები, არამედ მისი ძირითადი ნაწილების ზუსტი რეკონსტრუქცია. დიდი სამმალიანი (თავდაპარველად ოთხმალიანი) კიბე მიწისაგან გაიწმინდა, მისი პირვანდელი ხის ხვეტები კი (უკვე დიდი ხნის დამპალი) აგურისა და რკინაბეტონის ზუსტმა ასლებმა შესცვალეს. ევანსმა დამხმარედ გამობრძმედილი არქიტექტორები ეოიწვია. შვეიცარიელი მხატვარი ჟიერონი დასაქმებულ იქნა ფრაგმენტებად ქცეული ფრესკების აღდგენაში, რომელთა გარდა არაფერს შემოუნახავს იმ ხალხის ფიზიკური გარეგნობა, ვინც ოთხი ათასი წლის წინათ განაგებდა კრეტას, ეს უზარმაზარი რეტავრაცია, უამრავი ადამიანის ოცდაათ წელზე მეტი ხნის თავდადებული შრომის ნაყოფი, საბოლოოდ საბერძნეთის მთავრობას გადაეცა.

თუმცა ევანსი კრეტული არქეოლოგიის პიონერი იყო და მთელი ცხოვრების მანძილზე მისი აღიარებული მეთაური, სხვებიც მუშაობდნენ თავდადებით ამ ნაყოფიერ ასპარეზზე და 1908 წლიდან (როდესაც ფესტოსი აღმოჩენილ იქნა) ამ კუნძულის სხვა არქეოლოგიური უბნებიც გაითხარეს. ევანსის მეგობარმა, იტალიელმა სწავლულმა ფრედერიკო ჰალბჰერმა ფესტოსთან, სამხრეთ სანაპიროზე, ახალი დიდი მინოსური სასახლე გათხარა. მისგან აღმოსავლეთით კი, გურნიასთან, ორმა ამერიკელმა, მისს ბოიდმა და მისტერ რ. ბ. სიგერმა, მინოსური ქალაქი გამოაჩინეს. ფრანგმა სწავლულებმა მალიასთან კიდევ სხვა ახალი სასახლის გათხრით შეავსეს ნაცნობი საერთო სურათი, ხოლო ფესტოსიდან მოგრუნებულმა ჰალბჰერმა აგია ტრიადასთან მშვენიერი „სამეფო ვილა" გამოიწვა. ახალგაზრდა ინგლისელმა ჯონ პენდლბერიმ, რომელიც ევანსის მთავარი ასისტენტი და „კნოსოსის სასახლის კურატორი" შეიქნა, ფასეული სამუშაოები ჩაატარა კრეტული ცივილიზაციის სათავეთა საკვლევად. პენდლბერის ეს შესანიშნავ კარიერას უკადდა, მისი სიცოცხლე ტრაგიკულად რომ არ დახრულებულიყო. ის მოკლეს კრეტის წინააღმდეგობის მხარეზე ბრძოლის დროს. მისი წიგნი „კრეტის არქეოლოგია" ამ საკითხზე დაწერილ ნაშრომთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო საკითხავი და ავტორიტეტული ნაწარმოებთაგანია.

ამ და კიდევ სხვა მეცნიერთა მუშაობის წყალობით თანდათან მოდელმა იწყო გამოკვეთა. არქეოლოგებს, რომლებიც კრეტის გათხრებს ეწეოდნენ, დამხმარედ „მეფეთა ნუსხები" არ გააჩნდათ. ერთადერთი გზა, რომლითაც „ნამოსახლარის ფენის" თარიღის მიახლოებით დადგენა შეიძლებოდა, მასში რომელიმე უკვე ნაცნობი ცივილიზაციის საგნობრივი კულტურის რაიმე ნიმუშის პოვნა იყო. საბედნიეროდ, დროდადრო ეს შესაძლებელი ხდებოდა. კრეტის გათხრილ სასახლეებში ეგვიპტური თუ სხვა წარმომავლობის საგნები გამოჩნდებოდნენ ხოლმე და რამდენადაც მათი თარიღის დადგენა ზედმიწევნით შეიძლებოდა, იმავე კონტექსტში ნაპოვნი კრეტული საგნების — ვთქვათ, თიხის ჭურჭლის — დათარიღებაც შესაძლებელი ხდებოდა. მაგალითად, თუ გარკვეული ტიპის კრეტულ ვაზებს ძვ. წ. 1800 წლით დასათარიღებელ ეგვიპტურ ქანდაკებასთან ერთად იპოვიდნენ, სრულიად ნათელი იყო, რომ თიხის ჭურჭელიც იმავე ან მიახლოებით იმავე პერიოდს განეკუთვნებოდა. შემდეგ, თუ მსგავსი კრეტული ჭურჭელი სხვა უბანზეც აღმოჩნდებოდა, თუნდაც სხვა თარიღამოსაცნობი ნივთი მასთან ველარაფერი ენახათ, მაინც ცხადი იყო, რომ ეს ჭურჭელიც მეორე ათასწლეულის დასაწყისით უნდა დათარიღებულიყო. ეს, რა თქმა უნდა, საქმისადმი ზედმეტად გაიოლებული მიდგომაა, რადგან ნათელია, რომ ერთ რომელიმე მოცემულ ფენაში მოპოვებული ეგვიპტური საგანი შეიძლება ამ ფენაზე გაცილებით ძველი იყოს, მაგრამ რამდენიმე არქეოლოგიური უბნის მონაცემთა შეჯერება-შესწავლით ფართო ქრონოლოგიური სისტემის შედგენა შეიძლება.

ეს უზარმაზარი სასახლეები, ფრავალჯერადი

აღდგენის ნიშნებს რომ ატარებდნენ. შუა და გვიანი ეტაპების კრეტული ცივილიზაციის ნაყოფი იყო. მაგრამ, როცა ევანსმა და მისმა კოლეგებმა ამ შენობათა ძირში ღრმა საცდელი ორმოები გათხარეს, მინოსელთა უფრო ადრეული თაობების დანატოვარ საგნებს წააწყდნენ. ეს თაობები ამ ხასახლეთა მაცხოვრებლები ვერ იქნებოდნენ. ფსკერთან ახლოს კაქის ხელსაწყოები და იარაღები იპოვეს, რაც ამ უბანზე, ახალი ქვის პერიოდიდან მოყოლებული აღმავალი ხაზით, მოსახლეობის ლამის უწყვეტ მკვიდრობას ადასტურებდა. ეს ადრეული საგნები თითქმის ეგვიპტის პრედინასტიური ხანის თანადროული იყო — ე. ი. ძვ. წ. 3200 წლის წინანდელი, როცა მენესმა ორი ქვეყანა გააერთიანა.

ამგვარად, ოცდაათი წლის მანძილზე თიხის ჭურჭლის, ქაშანურის, ფრაგმენტებად შემორჩენილი ფრესკებისა და საკულტო საგნების პირველყოფილ გროვათა შესწავლა-კლასიფიკაციით ევანსმა შესძლო კრეტული ცივილიზაციის განვითარების საფეხურთა დადგენა დასაბამიდან დაახლოებით ძვ წ. 1400 წლამდე, როცა კნოსოსი დაეცა. თუმცა შუმერულ და ეგვიპტურ ქრონოლოგიასთან შედარებით აქ ყოველთვის უცილობელ ბუნდოვანებასთან ან წარმოსახვაზე დაყრდნობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მთავარი კონტურები მაინც შესამჩნევია.

ევანსს მიაჩნდა, რომ მინოსელთა წინაპრები კუნძულზე ძვ. წ. 4000 და 3000 წლებს შორის მოვიდნენ. ისინი განვითარების ნეოლითურ სტადიაში იმყოფებოდნენ. კარგად გათლილ ქვის იარაღებს ხმარობდნენ და არც ურიგო ზღვაოსნები უნდა ყოფილიყვნენ. თავდაპირველად გამოქვაბულებში ბინადრობდნენ, მოგვიანებით პრიმიტიული საცხოვრისების აგებაც დაიწყეს. რაც შეეხება მათ წარმოშობას, ამის შესახებ დანამდვილებით რაიმეს თქმა 'შეუძლებელია'. ევანსის ვარაუდით ისინი აზიელები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო პენდლბერი ანატოლიასთან და სირიასთან მათი მატერიალური კულტურის ტიპობრივ სიახლოვეზე მიანიშნებდა.

მაგრამ ცივილიზებულ ეპოქაში მინოსელები, როგორც დინასტიური ეგვიპტელები, ბრინჯაოს ხანის ხალხი იყო. როგორღა ისწავლეს ამ აზიური წარმოშობის ახალმოშენეებმა, ოკეანის ვრცელი ნაწილით დანაწილებულ მსოფლიოს მოშორებულებმა, ბრინჯაოს დამუშავება? ისინი ქვის თლისა და კალატოზობის უმაღლეს ტექნიკას იყენებ დაუფლებულნი. უთუოდ რომელიღაც გარეშე ხალხს უნდა ესწავლებინა მათთვის ეს ყველაფერი, მაგრამ ვის? რომელ ნიჭით, მომადლებულ ოსტატებს?

მკითხველს ალბათ ემახსოვრება, რომ მესამე თავის დასაწყისში ჩვენ შევეხეთ პროფესორ პერსი ნიუბერის მიერ აღმოჩენილ პრე-დინასტიური ეპოქის (ძვ. წ. 3200 წლამდე) ეგვიპტის დელტის ხალხთა საკულტო ნიშნებს, რომლებიც შეიცავდნენ: საისურ[1] „გადაჯვარედინებულ შუბებს", „რვიანისებურ" ფარს, „ბარჯს", „მთას", „ორლესულ ცულს" და „მტრედს" (ან მერცხალს). უცნაურიც ის არის, რომ ყველა ეს სიმბოლო, ბარჯის გამოკლებით, კრეტაზეცაა მიკვლეული. და ვინ იცის, იქნებ, გვიანი მინოსური პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლო, სამკაპიც, მოგვიანებით რომ ზღვის ღვთაების პოსეიდონის (ნეპტუნის) სიმბოლოდ იქცა, სწორედ ამ ბარჯისგან იყოს წარმომდგარი? რაც შეეხება ორლესულ ცულს, ის თავის დროზე თვით ღმერთების მეფის, ზევსის სიმბოლო გახდა; კრეტაში მას წმინდა სვეტებზე აპოტვიფრულს ნახავთ. მას მინოსურ რელიგიურ რიტუალებში იყენებდნენ. „რვიანისებრი" ფარი მეორე დამახასიათებელი კრეტული ხაგანია; მას ფრესკებზე ნახავთ. პატარა დატვიფრულ ბურთულებზე გამოხატულ მეომრებსაც ამგვარი ფარები უპყრიათ. ხოლო როცა მინოსური კულტურა კონტინენტალურ საბერძნეთზეც გავრცელდა, ისინი მიკენელი მხედართმთავრების ლაპაზ ბრინჯაოს ხანჯლებზე გამოხატულ ლომებზე ნადირობის სცენებშიც იჩენდენ ხოლმე თავს. ეს ხანჯლები შლიმანმა იპოვა მიკენში.

ისიც მართალია, რა თქმა უნდა, რომ ისტორიული დროის ეგვიპტელებს კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ მინოსელებთან, მაგრამ აქ მათ გავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია. ყოველ შემთხვევაში, ისეთ სიმბოლოებს, როგორიც ორლესული ცული, რვიანისებრი ფარი და სამკაპია და რომლებიც შუა მინოსური პერიოდის (დაახლოებით ძვ. წ. 1800-1500) მინოსურ შენობებში ფიგურირებენ, ამავე პერიოდის ეგვიპტელები ძალზე უმნიშვნელო ყურადღებას უთმობენ. მათ საერთოდ არ ვხვდებით ტაძრებსა და აკლდამებში. მაგრამ მინოსელთათვის ეს საკრალური სიმბოლოები გახლდათ და რამდენადაც ყველა ხალხში რელიგიური სიმბოლოები, ჩვეულებრივ, ყველაზე უძველესი და ხელიხელსაგოგმანებია, ძალზე შესაძლებელია, რომ ეს ნიშნები კრეტაზე ეგვიპტელ ახალმოსახლეთ მოეტანათ დელტადან — შესაძლოა ეგვიპტიდან ლტოლვილთ, როცა მენესი დელტიპყრობდა. ძვ. წ. დაახლოებით 3200 წ. თუ ეს მართლა ასეა, — ხოლო ამის დამადასტურებელი არავითარი წერილობითი საბუთი, რა თქმა უნდა, არ მოიპოვება, — მაშინ შეიძლება აიხს-

[1] საისი — უძველესი ქალაქი ქვემო ეგვიპტეში (ნილოსის დელტაში), ერთხანს ქვეყნის დედაქალაქი.

ნას, საიდან გაჩნდა პირველად ბრინჯაოს დამუშავების, ქაშანურის წარმოებისა (რომლითაც დელტაც ისევე ცნობილი გახლდათ, როგორც კრეტა) და სხვა ხელობანი ამ კუნძულზე. მეორე მხრივ, ბრინჯაოს დამუშავების ხელოვნება შესაძლოა მცირე აზიიდან შემოსულიყო.

მაგრამ მხოლოდ დელტის საკულტო ნიშნებს როდი მივყავართ ამგვარ დასკვნამდე. ჩვენ მესამე თავში ისიც აღვნიშნეთ, რომ ეგვიპტის დელტის ადრეულ ცივილიზაციაში ლიბიური ელემენტი მძლავრობდა. ლიბიელები დასავლეთის უდაბნოდან მოვიდნენ; მათ საკუთარი ენა გააჩნდათ, რომელზედაც ჰეროდოტეს დროსაც კი ლაპარაკობდნენ. ჩაცმულობაც და ვარცხნილობაც თავისებური ჰქონდათ. ჰყავდათ ქალღმერთი ნეითი, რომლის საპყოფელიც დედაქალაქი ხაისი იყო და რომლის ემბლემას (აგრეთვე ერთ-ერთ კრეტულ საკულტო ნიშანთაგანს) გადაჯვარედინებული შუბები წარმოადგენდა.

ამ შორეული პერიოდის — პრე-დინასტიური დელტის კულტურის — მამაკაცის ჩაცმულობის ერთ-ერთი თავისებურება იყო ეგრეთწოდებული „ლიბიური ვიწრო კაბა", რომელიც, ისევე როგორც შუასაუკუნეების წინსაფარი, სასქესო ორგანოებს ფარავდა. მინოსელნიც ასეთივე საპოსხს ატარებდნენ. ახალგაზრდა ლიბიელი ჭაბუკები პრიმიტიულ სტატუეტებში გრძელი თმით არიან გამოსახული და ზუჯუჯა კულულები მხრებამდე უწევთ. ასეთივე ვარცხნილობა ჰქონდათ მინოსელთაც, მაგალითად, „ხასმოსიანი კაცის" ცნობილ ფრესკას, რომელიც ევანსმა იპოვა კნოსოსში, მაგრამ მაგალითები ამით როდი ამოიწურება. პენდლბერი აღნიშნავდა, რომ მესარაში ხამხრეთ კრეტაზე გათხრილ უადრეს აკლდამებში „რაღაც კერპებსა თუ ადამიანთა სტატუეტებს მიაკვლია, რომლებიც ძირეულად განსხვავდებოდნენ ეგვიპტის ძველი ნეოლითური კლასის სტატუეტებისგან და უფრო ნაგადაში (ეგვიპტის პრე-დინასტიურ არქეოლოგიურ უბანში) ნაპოვნ სტატუეტებს წააგავდნენ".

აქედან გამომდინარე დასაშვები ხდება, რომ კრეტის მდიდარი კულტურა თავის წარმოშობას ნაწილობრივ ჩვენთვის თითქმის უცნობ, იდუმალებით მოცულ დელტის ხალხს უმადლის, რომელმაც ეგვიპტის პირველი ცივილიზაცია შექმნა.

„იმ ათასი წლის მანძილზე, რომელსაც არქეოლოგებმა მოხერხებულობისათვის ადრეული მინოსური პერიოდი უწოდეს (ძვ. წ. დაახლოებით 2800-1800 წ.წ.) ამ კუნძულის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა. სანაპიროზე მნიშვნელოვანი ქალაქები გაშენდა... ამგვარი დასახლებებით ყველზე მეტად აღმოსავლეთი ყვაოდა, თუმცა სამხრეთით მესარას ვაკეც მჭიდროდ იყო დასახლებული. ქალაქებსა და სოფლებში მოსახლეობის კონცენტრაციის ზრდამ პროფესიონალ ხელოსანთა კლასი წარმოშვა, განსაკუთრებით მეთუნეობა გაიფურჩნა. ცხოვრება გაიაფდა; კავშირურთიერთობები გაუმჯობესდა. გაადვილდა მიმოსვლა უცხოეთთან, განსაკუთრებით კი აზიასთან, ეგვიპტესთან და ლიბიასთან. მაგრამ ლითონწარმოებაში მინოსელნი ჯერ კიდევ ჩამორჩებოდნენ. ხეულპტურა დაწყებით სტადიაშია, ხოლო დატვიფრული ბურთულების დიზაინი და ხარიხხი ჯერ კიდევ მწირია (ლეონარდ კოტრელის წიგნიდან „მინოსის ხარი").

ამ პერიოდისათვის ხასახლეები უცნობია.

ეპოქა, რომელსაც ევანსმა შუა მინოსური პერიოდი უწოდა (დაახლოებით ძვ. წ. 1800-1550 წ.წ.), ემთხვეოდა ეგვიპტეში შუა სახელმწიფოს დაცემას, არეულ „ჰიქსოსების პერიოდს" (როცა აზიელებმა ჩრდილოეთ ეგვიპტე დაიპყრეს) და XVIII დინასტიის დასაწყისს (დაახლოებით ძვ. წ. 1555 წ.), რომლითაც ეგვიპტის იმპერიის ხანის დაწყება აღინიშნა. ხოლო შუმერში იგივე პერიოდი ჰამურაბის აღზევებას (ძვ. წ. 1792 წ.), ბაბილონის ცივილიზაციის დაცემასა და პირველი ასურული იმპერიის წარმოშობას ეთხვევა.

ძვ. წ. 1800-დან 1550 წლამდე (ეს თარიღები აუცილებლად მიახლოებითია), როცა ეგვიპტე გაყოფილი, ხოლო შუმერი უკვე ძირმორყეული იყო, ოკეანით იზოლირებულ და დაცულ კრეტის ხალხებს მშვიდობიანი განვითარების საშუალება ჰქონდათ. მათი იმდროინდელი წინსვლა პირდაპირ განმაცვიფრებელია. დაიწყო სამ ნაწილად დაყოფილი კუნძულების გაერთიანება. მარად მზარდმა მოსახლეობამ იდას მთის დასავლეთით იწყო გავრცობა. ჩრდილოეთით მდებარე კნოსოსი პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრი გახდა და კუნძულზე პირველობა მოიპოვა. სამხრეთით მდებარე ფესტოსმა კი, როგორც საფიქრებელია, დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. და აქაც, კრეტაზეც, ეგვიპტისა და შუმერის განვითარების იგივე თარგთან გვაქვს საქმე. ცენტრალიზებული ხელისუფლება; ერთობლივი კონტროლი; ბუნებრივი და ტექნიკური რესურსების ორგანიზებული ექსპლოატაცია. შედეგებიც იგივეა.

ადრე თუ მხოლოდ გაფანტულ დასახლებებად ცხოვრობდნენ, ახლა მინოსელებმა ხელისუფლების ცენტრებში იწყეს სახახლეების აგება. ოღონდ სიტყვა „სასახლე" შეიძლება ზუსტი არ იყოს. ეს დიდებული, მრავალსართულიანი ქვის შენობები უბრალო სამეფო სამყოფლებს როდი წარმოადგენდნენ. — ეს იყო სამეფო საცხოვრებლის, რელიგიური სალოცავის, საამქროებისა და ადმინისტრაციული ცენტრის კომბინაცია, რომელსაც თანამედროვე დასავლეთის სა-

მყაროში პარალელი არ მოეძებნება. დიდ ბრიტანეთში ამის უახლოესი მაგალითი შუახაუკუნეების ან ტიუდორთა ეპოქის მემამულეთა სახლები, ან ქალაქ ბერიში არსებული სენტ ედმუნდსის საბატოს მსგავსი მიწათმფლობელური მონასტრებია. კნოსოსში ცხოვრობდა მეფე (რომელიც იმავდროულად მთავარი ქურუმიც უნდა ყოფილიყო), მისი ოჯახი და სამეფო კარი. ხოლო უზარმაზარი მრავალსენაკიანი შენობის მეორე ნაწილში „სამოქალაქო მომსახურენი" — სარეგისტრაციო და საარქივო მოხელენი, მეანწყობეები, გადასახადის ამკრეფნი, საზღვაო და სხვა სამხედრო ოფიცრები ბინადრობდნენ. რაღა თქმა უნდა, ქურუმთაც თავიანთი დაწესებულება — საცხოვრისები ჰქონდათ გამოყოფილი — თუმცა, უფრო გამორჩეულნი, ალბათ სასახლის ფარგლებს გარეთ, კერძო სახლებში ამჯობინებდნენ ცხოვრებას. სახელოსნოებიც იყო გამართული ხელოსანთა ლეგიონების — მეთუნეების, ქვის მოდავების, თოქმაჩების, რვალის მჭედელთა და სხვათათვის.

კნოსოსიდან და, უნდა ვიფიქროთ, ფესტოსიდანაც, როგორც დედაძარღვებიდან, კარგად გამართული გზები განიტოტებოდნენ მთელ კუნძულზე და ქალაქებსა და სოფლებს ერთ მთლიან სისტემად აერთიანებდნენ. დგებოდა სურსათის, ზეთის, მონების, ტრანსპორტის, საბრძოლო და შრომის იარაღების აღმნუსხველი წერილობითი დოკუმენტები. და თუ ევანსმა ვერ და ვერ შესძლო მათი გაშიფვრა (მხოლოდ იმას მიხვდა, რომ ქონების აღწერასთან უნდა ჰქონოდა საქმე), სამაგიეროდ ახალგაზრდა ბრიტანელმა სწავლულმა მაიკლ ვენტრისმა გამოიჩინა ბრწყინვალე მეცნიერული უნარი — და ამ ხუთი წლის მანძილზე ამოიკითხა ეს დოკუმენტები.

ამ პერიოდში მინოსური კულტურა ერთ მთლიანობად იქცა. დაიხვეწა ბრინჯაოს იარაღები, რამაც შესაძლებელი გახადა ქვის ნატიფად დამუშავება: შენობებს გულდასმით გეგმავდნენ; ჰიდრავლიკურმა ტექნიკამაც განვითარების მაღალ დონეს მიაღწია — რადგან კრეტაზე, ეგვიპტისა და შუმერისგან განსხვავებით, ზამთრობით ხშირი წვიმები იცის; წყალს კი დამორჩილება სჭირდებოდა. ასე რომ, წლების მანძილზე მინოსელებმა სადრენაჟო სისტემათა დაგეგმვა-აშენება და წყლის მომარაგებაც ისწავლეს. აგრეთვე, რადგან მეტად მაღალი და დიდი სახახლეები ჰქონდათ, საჭირო შეიქნა შიდა აპარტამენტების გასანათებლად რაიმე საშუალება მოეძებნათ. პასუხი სწორედ იმგვარ „შუქ-ჭაურებში" იპოვეს, რომლის გამოყენებაც დღეს ნიუ-იორკისა თუ სხვა დიდი ქალაქების თანამედროვე ადმინისტრაციულ შენობათა ბლოკებში გვხვდება.

ყველა-ყველა და დოვლათს საიდან იღებდნენო, ალბათ მკითხველთა უმრავლესობას ეს კითხვა მოუვა თავში. კრეტა, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით პატარა, კლდოვანი კუნძულია, სადაც არც ნოყიერი ჭალები და არცთუ ვრცელი მიწდგომები სურსათის საკმაოდ მდიდარი მწარმოებელია, და ეს იმიტომ, რომ შემოსავლის სხვა წყაროები გააჩნდა. გვიანდელი ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე თითქოს იმეორებს ანტიკურ ლეგენდას მეფე მინოსზე, რომელზეც ამბობს, რომ იგი

„ჩვენთვის ცნობილი პირველი მმართველია, რომელსაც კი ოდესმე ფლოტი ჰყოლია. მინოსი საბერძნეთის ახლანდელი წყლების უმეტესობას უწევდა კონტროლს, კიკლადებს[1] განაგებდა და მათი დიდი ნაწილის პირველი კოლონიზატორი გახლდათ. მმართველებად საკუთარ ვაჟიშვილებს ნიშნავდა. ყოვლად სავარაუდოა, რომ მას, შესაძლებლობისდაგვარად, ზღვაც გაეწმინდა მეკობრეთაგან, რათა ამით **სახელმწიფო შემოსავალი დაეცვა**".

თუკიდიდე, რა თქმა უნდა, მხოლოდ გადმოცემას იმეორებდა. მაგრამ იგი მართლაც დიდი ისტორიკოსი იყო და მინოსთან 2300 წლით ჩვენზე უფრო ახლოს მდგომი, და ამიტომ ამ თქმულებასაც ისე არ გაიმეორებდა, მის სიმართლეში რომ არ ყოფილიყო დარწმუნებული. არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული საგნებიც ამის სინამდვილეს ადასტურებენ. ევანსის აღმოჩენის კვალად სხვა არქეოლოგებმაც მიაკვლიეს მინოსური მეთუნეობის დამახასიათებელ ნიმუშებს კონტინენტალურ საბერძნეთში, ეგეოსის კუნძულებზე, კვიპროსზე, — და ისეთ შორსმდებარე ქვეყნებშიც კი, როგორც ხირია და ეგვიპტეა, უფრო მეტიც. ევანსმა და სხვა არქეოლოგებმა შენიშნეს, რომ მინოსურ თიხის ჭურჭელზე კვლავ და კვლავ იჩენდა თავს ხაზღვაოსნო სიმბოლოები: დელფინი, ზღვის ზღარბი და რვაფეხა.

მაშ .აი, თურმე, რა ყოფილა კრეტის შემოსავლის წყარო, რამაც მის ცივილიზაციაზეც უეჭველად დადებითი გავლენა იქონია — ძლევამოსილი ფლოტით მხარგამაგრებული ფართო საზღვაო ვაჭრობა და რამდენადმე ფრთხილი კო-

---

[1]. ციკლადები — კუნძულთა ჯგუფი (მით შორის მთავარი კუნძულები — ანდროსი, ტენოსი, ნაქსოსი, ამორგოსი, მელოსი—ეგეოსის ზღვაში.

ლონიზაცია, საცა ეს გაუვიდოდათ, თანამედროვე კოლონიურ იმპერიებთან პარალელი იმდენად თვალსაჩინოა, რომ მეტ ხაზგასმას აღარც საჭიროებს.

ახლა კი ძლიერების მწვერვალზე ასულ კრეტას დროებით ვტოვებთ და ეგვიპტეში ვბრუნდებით, რომელიც ძალას იკრებს, სანამ თავს იმპერიად გამოაცხადებდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეცხრე

იმპერიათა შეჯახება (!)

ახლა ჩვენ კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო, დახლართულსა და ამაღელვებელ ეპოქას მივუახლოვდით. ეგვიპტის, მესოპოტამიისა და კრეტის ცივილიზაციათა განვითარების შესწავლა აქამდე თუ მხოლოდ ერთმანეთისაგან იზოლირებულად იყო შესაძლებელი, მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძვ. წ. 2000 და 1500 წლებს შორის) მათ უკვე შეხების წერტილები გაუჩნდათ. თავდაპირველად ეს კონტაქტები ორი ერთმანეთს დადარაჯებული მწერის საცეცების დელიკატურ ურთიერთშეხებას ჰგავს; ბოლოს ისინი ხელჩართულ ბრძოლაში ებმებიან. ასეთ ბრძოლებში ხან ერთი იმარჯვებს და ხან მეორე. უფრო მეტიც, ასპარეზზე სხვა კულტურებიც გამოდიან — მიკენელები საბერძნეთში, ხეთები მცირე აზიაში, მიტანი ევფრატის „დიდ ხაქცევთან" და ფინიკიელები (ან ქანაანელები), რომლებიც დიდი ხანია აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის მთაგორიან ხანაპიროზე დამკვიდრებულან. უკვე აღარ არის შესაძლებელი ამ მოცულობის წიგნში თითოეული ცივილიზაციის ცალ-ცალკე განხილვა. როგორმე უნდა ვეცადოთ „ორბის სიმაღლიდან" გადმოვხედოთ ყველაფერს, თუმცა ზოგიერთი დეტალი უეჭველად თვალთახედვიდან გამოგვრჩება. მხოლოდ ისტორიული ლანდშაფტის უფართესი კონტურები და უმკვეთრესი ნაკვთები იქნება ხილული. მკითხველს, რომელსაც წინამდებარე ცივილიზაციათა უფრო გამოწვლილვით შესწავლა განუზრახავს, ვურჩევთ მოცემული ტომის ბოლოში დართულ ბიბლიოგრაფიას მიმართოს.

დასაწყისისთვის ჩვენს ფოკუსს იმ ტერიტორიებზე დავაყენებთ, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან ჩრდილოეთით მცირე აზიისკენ, სამხრეთით არაბეთისაკენ და აღმოსავლეთით სირიის უდაბნომდეა გადაჭიმული. ეს ალაგ მთაგორიანი, ალაგ უდაბნო მიწები დღეისათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს — იზრაელს, ლიბანს, სირიას, იორდანიას და ერაყს აქვთ დანაწილებული, ქრისტიანული ერის დაწყებამდე 2000 წლის მანძილზე ამ მხარემ რამდენიმე სახელი გამოიცვალა. იმთავითვე იგი იქცა გზაშესაყარად და ბრძოლის ასპარეზად უამრავ ხალხთათვის. მათ შორის იყვნენ ფინიკიელნი და მრავალზე უმრავლესნი სემიტურ ხალხთაგან: ამორეველნი, ედომელნი, მოაბელნი და სხვანი. იყვნენ ებრაული ტომებიც, რომლებსაც ისინი ებრძოდნენ და რომლებმაც საბოლოოდ მაინც შესძლეს იზრაელისა და იუდეას სამეფოთა დაარსება.

საქმის გამარტივებისთვის ამ რეგიონს სირია-პალესტინას ვუწოდებთ.

ებრაელთა წინაპარნი ქვედა მესოპოტამიიდან, შუმერთა მიწიდან უნდა ყოფილიყვნენ აქ მოსულნი, თვითონ აბრაამიც ხომ ქალდეას ურიდან იყო. მის მიერ ევფრატისპირა დიდი შუმერული ქალაქის დატოვებისა და მისი ტომის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გაძლოლის ზუსტი თარიღი დადგენილ არაა, მაგრამ ეს ალბათ დაახლოებით ძვ. წ. 1800-იან წლებში მოხდა. ძველი აღთქმის კითხვისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მის შემდგენლებად საქმაოდ გვიანდელი ავტორები გვევლინებიან, რომლებიც გაცილებით ადრინდელი დოკუმენტებითა და ზეპირგადმოცემებით სარგებლობდნენ. ამრიგად, თუმცა თანამედროვე არქეოლოგიაში საოცარი სიცხადით დასტურდება ბიბლიური ისტორიის მეტ-ნაკლები ხიზუსტე, ანომალიებს და შეუთავსებლობებს მაინც აქვს ადგილი. ეს რედაქციის გვიანდელობით და იმით აიხსნება, რომ ავტორები მთავარ ყურადღებას მაინც დიდაქტიკაზე ამახვილებენ. ისინი რელიგიით იყვნენ გართულნი, და არა ისტორიით.

ძველი აღთქმის ამბებიდან ბევრი რამ ებრაელებს თავდაპირველი სამშობლოდან, სამხრეთ მესოპოტამიიდან უნდა ჰქონოდათ მოტანილი, მაგალითად, წარღვნის ამბავი, რაც შუმერულ ეპოსში „გილგამეშიანშია" აღწერილი. თავიდან ეს ამბები თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა, მერე კი მათ ზედ დაერთო გადმოცემები და თქმულებები პატრიარქთა ცხოვრებისა და საქმეთა შესახებ. ამას მოჰყვა ეგვიპტიდან გამოსვლა, უდაბნოში ხეტიალი და მოსეს კანონთა დადგენა. დროთა ვითარებაში ეს თქმულება-გადმოცემები ეროვნულ იკრიბებოდა და წერი-

ლობითი სახით ყალიბდებოდა, სანამ ბოლოს ქრისტეს დაბადებამდე მეექვსე საუკუნეში მისი საბოლოო რედაქცია არ შედგა იმ სახით, რა სახითაც ის დღეს გვაქვს.

დამწერლობა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ რიგით ტექნიკურ საშუალებად ითვლებოდა, მესოპოტამიის და ეგვიპტის ნიჭიერ კაცთა ხელში ნამდვილ მძლავრ იარაღად იქცა. დამწერლობის გზით ახლა არა მხოლოდ ცოდნა-გამოცდილებას გადასცემდნენ, არამედ კაცთა გონებაზეც მოქმედებდნენ, გრძნობას უღვივებდნენ და განწყობილებას უმაღლებდნენ. ლერწმის ქოხში მცხოვრები ნილოსისპირელი, რომელმაც პირველი ტლანქი ნიშნები წააჩხაპნა თიხის ნამტვრევს, და მისი მესოპოტამიელი ბიძაშვილი, პატარა სოლისებრი ნიშნები რომ გამოჰყავდა ნედლ თიხაზე, მსოფლიოს ყველა დროის დამპყრობთა ხმალზე უფრო ძლიერ იარაღს ჰკიდნენ; იარაღს, ურომლისოდაც ძველ დიდთა კაცთა სახელი და ნამოქმედარი ჩვენს ცნობაშდე მართლაცდა ვერასოდეს მოაღწევდა. ებრაელებმა კი ამ იარაღით ისეთი ლიტერატურული ძეგლი შექმნეს, რომელმაც უდიდეს ცივილიზაციათა მატერიალური კულტურები მოსჭამა. ეგვიპტოლოგთა და მათ მიმდევართა გარდა ვინღა იცნობს დღეს ეგვიპტის მეფე თუთმოს III, რომლის მიერ დარსებული იმპერიაც სუდანიდან ევფრატამდე იყო გადაჭიმული? მაგრამ ვის არ სმენია დავით მეფის, იუდეას მთებში მდებარე ჯუჯა სახელმწიფოს მეთაურის შესახებ, რომელიც ეგვიპტელმა მემატიანე ქურუმებმა თავიანთ ნაწერებში უბრალო მოხსენიების ღირსადაც არ მიიჩნიეს? ისინი ცნობდნენ ხეთებს, ბაბილონისა და ასურეთის ძლევამოსილ სახელმწიფოებს, ვისთანაც დროდადრო შეტაკებებიც უხდებოდათ, ებრაელები კი მარტოდენ ერთი უმნიშვნელო ტომი იყო, გამაგრებული მაღლობებიდან შიშით რომ ადევნებდა თვალყურს, თუ რა დიდებით მოიგრაგნებოდნენ ფარაონის საბრძოლო ეტლები და ჯართა სიმრავლე ქვემოთ დაცემულ ველზე. ეს კია, ისრაელისა და იუდეას მეფეები დროდადრო ეგვიპტის ან მის მოწინააღმდეგეთა ვასალები ხდებოდნენ და მათ ქალაქებს ხან ერთი მხარე ანადგურებდა და ხან მეორე. ამაზე შორს საქმე არ წასულა.

ებრაელები არც მხატვრობას დაგიდევდნენ და არც დიდებულ სასახლეთა და ტაძართა დაგეგმვა-აღშენებაში მოსდგამდათ ნიჭი. სოლომონს იერუსალიმში განზრახული მშენებლობისათვის ფინიკიიდან უცხოელი ოსტატების მოწვევა დასჭირვებია. ებრაელთა წინაპრები მომთაბარე ბედუინები იყვნენ, რომელთაც სამხრეთ-დასავლეთ აზიის უდაბნოებსა და სტეპებში თაობების მანძილზე ხეტიალის შემდეგ, იუდეას მთებში ჰპოვეს არცთუ მყარი ფეხმოსაკიდი და მეზობლებთან, მათსავით წვრილ სახელმწიფოებთან, გამუდმებულ ბრძოლებში ჩაებნენ.

და მაინც მათი ხსოვნა დღეს ამ ქრება, როცა თვით ეგვიპტისა და ასურეთის დიდი მონარქების, რამზესისა და აშურბანიფალის პოვნა კარგა ხნის დავიწყებასაა მიცემული. ყოველ კვირა დღეს დასავლეთის ათასობით ეკლესიაში მრევლი ღვთისმოსაობით ისმენს სისხლისმღვრელ შეტაკებათა ამბებს ნახევრადბარბაროსული ტომობრივი დაჯგუფებებისა, რომელთა საერთო ტერიტორია სიდიდით ამერიკის უველაზე პატარა შტატსაც კი ჩამოუვარდებოდა.

რითიღა აიხსნება ეს? ნაწილობრივ ალბათ ებრაული პოეზიის შთამბეჭდაობით; მაგრამ სხვა ძველი ხალხებიც — მაგალითად, შუმერებიც და ეგვიპტელებიც — ხომ დიდებული მოლექსენი იყვნენ და ესეც რომ არა, ძველი აღთქმის ბევრი ადგილი ბაბილონისა და ეგვიპტის ძველ ცივილიზაციათა ნაწერებიდანაა ებრაელი მწერლების მიერ აღებული და გადამუშავებული. მაგალითად, ერთ-ერთი ფსალმუნი სიტყვა-სიტყვით ძვ. წ. მეთხუთმეტე საუკუნის ერთი ეგვიპტური ჰიმნის პარალელურია. ბევრი იგავი ეგვიპტელებისა და შუმერებისგანაა ნასესხები. საფიქრებელია, რომ წარღვნის ამბავიც, შესაქმეში, შუმერული ეპოხიდან მოდის, რომელიც აბრაამამდე გაცილებით ადრეა შექმნილი. ედემის ბაღის ადგილსამყოფლადაც ტრადიციულად შუმერია მიჩნეული.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ებრაელებმა რელიგიური ლიტერატურა შექმნეს, რომელიც ითარგმნა რა ბერძნულად და ქრისტიანი მასიონერების მიერ მთელ ევროპაში იქნა გავრცელებული, ისეთივე ღრმა გავლენა იქონია ჩვენი ზნეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, როგორც რომაულმა კანონებმა ჩვენს აზროვნებაზე. ამ კითხვაზე პასუხი ებრაელი ერის გამძაფრებულ რელიგიურ და წინასწარმეტყველურ გენიაშიც უნდა ვეძიოთ. ძნელი დასადგენია, რამ განაპირობა მათში ამ გენიის წარმოშობა-განვითარება. სახელდახელოდ კი ეს ახე შეიძლება აიხსნას (და ამ აზრს თავისი მიმდევრებიც ჰყავს), რომ ებრაელები, არაბი ბედუინებივით, მომთაბარე ხალხი იყო, ტრიალ უდაბნოსა და ღია ცას შეჩვეული. ეს ატმოსფერო კი მათ, მკვიდრად მცხოვრები ხალხისაგან განსხვავებით, ანთროპომორფული ღმერთებისადმი რწმენას ვერ შთაუნერგავდა; აქედან აიხსნება ებრაელთა სიძულვილი „კერპთაყვანისმცემლობისადმი" და „ნაქანდაკევი ხატებისადმი" და მათ მიერ აკვიატებული „ერთარსი ღმერთის", ყოვლის შემოქმედი იაჰვეს აღიარება. მაგრამ ძვ. წ. XV ს-ის

ეგვიპტის „მწვალებელი მეფე" ეხნატონიც იგივე აზრს ადგა, თუმცა მისი ხალხი უკვე სულ ცოტა ორი ათასი წელი იყო, რაც ნილოსის დაბლობზე ცხოვრობდა. ყოველ შემთხვევაში ეგვიპტელებიც და მესოპოტამიის მდინარეთის მცხოვრებნიც უდაბნოდან იყვნენ მოსული.

ამ წიგნის ავტორის აზრით, თუკი მისი აზრიც ანგარიშში ჩასაგდებია, ებრაელთა რელიგიური აზროვნება თავდაპირველად იმ ერთი მუჭა მისტიკოსების გონებაში ჩაისახა, რომლებიც ძველ ცივილიზაციათა ჰედონიზმისა და ფუფუნების ორგანული წინააღმდეგნი იყვნენ. თავდაპირველად ალბათ წმიდაწყლის ეკონომიკური გარემოების — მოსახლეობის სიჭარბის გამო, აბრაამისნაირი ხალხი იძულებული იყო დასახლებული ველებიდან გაძღოლოდა თავის გვარ-ტომს და მრავალი წლის ხეტიალის შემდეგ, ამ მიუსაფარ უდაბნოთა მიღმა, ახალი კერა ეპოვათ.

უდაბნო კარგი საცდელი ნიადაგი იყო ამ დოგმებისათვის. ამას მათი პიროვნული სიძლიერეც ერთვოდა, რის წყალობითაც ახერხებდნენ თავიანთი რწმენა მიმდევართათვისაც გადაედოთ, რომლებიც ზოგჯერ, და საკმაოდ ბუნებრივადაც, მათ წინამძღოლთა მოთხოვნებზე დაბლა აღმოჩნდებოდნენ ხოლმე და „მცოდავნი ცრუ ღმერთებს გამოუდგებოდნენ". უდაბნოს ასკეტური ცხოვრება, განუწყვეტელი თავსდატეხილი უბედურება — შიმშილობა, გვალვა, მტრისგან ნაწვნევი დამარცხება — რა თქმა უნდა, ამგვარი ტემპერამენტის ხალხს ადვილად დაარწმუნებდა „იაჰვეს (იეღოვას) მრისხანებაში", ჩააგონებდა „იჭვნეული ღმერთის" არსებობას, რომელიც მისი სურვილის (წინასწარმეტყველთა მიერ გაცხადებულის) წინააღმდეგომთათვის მკაცრ სასჯელს მოითხოვდა. მოითხოვდა აგრეთვე სხვადასხვა ცერემონიების აღსრულებას, ამქვეყნიურ სიამეთაგან თავდაჭერას, სქესობრივ „სიწმინდეს" და სხვ. ათი მცნება და საზოგადოდ მოსეს კანონი სწორედ ის ეთიკური კოდექსია, მომთაბარე ტომს რომ სჭირდება, რადგან ამ ტომის თვით ყოფნა-არყოფნაც კი მკაცრ შინაგან წესრიგზეა დამოკიდებული. მათ საცინლად გაიხდიდნენ ეგვიპტისა და ბაბილონის კეთილმოწყობილ ქალაქებში. სამწუხაროდ (თუ საბედნიეროდ, თვალსაზრისს გააჩნია), ეს მცნებები ქრისტიანობის საშუალებით ჩვენს თანამედროვე სამყაროშიც გავრცელდა; კალვინიდან წამოსული, კრომველის ეპოქის გავლითა და დღევანდელ ფანატიკოსებამდე მოტანილი პურიტანიზმი ამა თუ იმ ფორმით განაგრძობს კაცთა ცხოვრებაზე გავლენის ქონას. ათასობით სექტანტურ სამლოცველოში, სალემიდან სტოკჰოლამდე, დღესაც ქადაგებენ უდაბნოს მომთაბარეთა ძველ, მკაცრ კოდექსს, რომელსაც მოწიწებით აღიარებენ ისინი, ვისთვისაც ხორციელი სიამენი „უწმინდურობის" თანაფარდია.

თუმცა ძვ. წ. 1550 წლისათვის ებრაელები ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულიყვნენ პალესტინაში და კიდევ ხუთას წელს უნდა გაევლო, სანამ დავით მეფე დაიწყებდა ჭეშეყნის მართვას იერუსალიმიდან. ეგვიპტე — კი ხანის იყო ერთ-ერთი მისი ანარქიული შუალედიდან იწყებდა გამოსვლას. სულ რაღაც საუკუნენახევრით ადრე შუა სამეფო დაეცა და შუალედურად ერთმანეთში მოქიშპე უფლისწულებს აზიელი დამპყრობლები შეენაცვლნენ, რომლებიც დელტაში შემოიჭრნენ და თავიანთი ახალი გამოგონება, ნილოსისათვის მანამდე უცნობი, ცხენშებმული ეტლებიც თან მოიყოლეს. ეს დამპყრობლები, მანეთონი რომ „ჰიქსოსებს" უწოდებს, სირია-პალესტინიდან მოვიდნენ და იმ სემიტურ მომთაბარეთა ჯგუფებს წარმოადგენდნენ, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე დასავლეთ აზიის უდაბნოებიდან დასავლეთის მიმართულებით მოიწევდნენ ზღვისკენ. ისარგებლეს რა ეგვიპტეში შექმნილი არეულობით, თავიანთი ჯოგნახირებით მთელ დელტას მოედვნენ (მათი სახელიც — „მეჯოგეთა მეფეები" — აქედან მოდის). თუმცა ნახევრად ბარბაროსები იყვნენ, ეტყობა ნილოსის დაბლობის კულტურასა და ენას ასე თუ ისე შეეთვისნენ და რამდენიმე ჰიქსოსი „მეფე" ტურინის პაპიროსის მეფეთ ნუსხებშიცაა მოხსენიებული. მათ შორისაა ვინმე იაკობ-ჰერიც. ამ სახელმა ზოგ ისტორიკოსს აფიქრებინა, რომ ამ აზიელ მომთაბარეთა შორის ებრაელთა წინაპრებიც უნდა ყოფილიყვნენ. ისაკის ძეს იაკობსაც შესაძლოა სწორედ ამ პერიოდში ეცხოვრა.

ამ დროისათვის პალესტინა-სირიის სანაპირო ზოლს ზღვაოსნებით და ვაჭრებით დასახლებულ ძლიერ ქალაქ-სახელმწიფოთა ჯაჭვი გასდევდა. ისინი შიდა მთიანი ტერიტორიის დიდ ნაწილზეც იყვნენ განსახლებული. ეს „ქანაანის შვილები" გახლდნენ, რომელთაც ბერძნებმა და რომაელებმა ფინიკიელები უწოდეს. სანაპირო ზოლის გახწვრივ არკადი, ტვიროსი, სიდონი, ბიბლოსი და სხვა ძლიერი ქალაქები ააგეს, რომელთაგან თვითეულს ადგილობრივი მეფე განაგებდა; ეს მონარქები, მათი კლდეში ნაკვეთი აკლდამების შიგთავსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მნიშვნელოვანწილად გაეგვიპტელებულიყვნენ. მათი იარაღი, ჩაცმულობა და ავეჯი ეგვიპტის აშკარა გავლენაზე მიუთითებს, თუმცა თავად სემიტები გახლდნენ. ძვ. წ. 1550 წლისათვის ისინი უკვე დიდი ხნის მკვიდრად მცხოვრები, ვაჭრობით გამდიდრებული ხალხი ხდა. მათ ნაყოფიერ მიწებზე უხვად მოდიოდა ზეთისხილი, ლეღვი და ხორბალი, ხოლო ლიბა-

ნის მთები იმ ცნობილი „ლიბანური კედრის“ ხშირი ტყით იყო დაფარული, რომელიც ასეთი დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა ანტიკურ სამყაროში. ზღვასა და მთებს შორის მოქცეული, აღმოსავლეთის უდაბნოებიდან მიწას მომიებული ხალხის მუდმივ დაწოლას განიცდიდნენ, ასე რომ, ადრეული პერიოდიდანვე განავითარეს საზღვაო ვაჭრობა და უფრო მოგვიანებით ხმელთაშუა ზღვაზე ძირითად „დამტარებლებად“ იქცნენ.

ამასთან ისინი დახელოვნებული მაღაროელებიც იყვნენ და მოგვიანებით იემენში, არაბეთსა და ეთიოპიის სანაპიროებზე (აღმოსავლეთ აფრიკის სომალის მხარეში) ოქროსა და ვერცხლის საბადოების დამუშავებას მიჰყვეს ხელი. ამ მიზნით ესპანეთამდეც კი გაიჭრნენ და იქ თავიანთი კოლონია, ტარშიში (ახლანდელი კადისი) დაარსეს. თუმცა ჩვენი თხრობის პერიოდისთვის კი საეჭვოა მათ ამ სიშორეზე გაელწიათ.

დაახლოებით 1550-იან წლებში ზემო ეგვიპტეში თებელ დიდებულთა ერთმა ოჯახმა მოახერხა ეგვიპტელი ხალხის გაერთიანება და დამპყრობლებზე იერიშის მიტანა. ერთი ამათგანი, სეკენრა, ფარაონი გახდა. შემდგომში ის ხახლხო თქმულების გმირადაც იქცა. ეს თქმულება ისტორიულ ფაქტს უნდა ეყრდნობოდეს. მასში სეკენრა თავისი ქვეყნის მხსნელადაა წარმოდგენილი. როცა გასული საუკუნის ოთხმოცდაან წლებში ემილ ბრუგშმა ფარაონთა (XVII დინასტიიდან XXI დინასტიის ჩათვლით) გვამებით სავსე საიდუმლო აკლდამას მიაგნო, სეკენრას გვამიც მათ შორის აღმოჩნდა. მისი სახელი მუმიის სახვევებზე წაეწერათ. როცა თავზე ეს სახვევები შემოხსნეს, არქეოლოგები ძველისძველი თქმულების სინამდვილის პირქუში დასტურის მოწმენი გახდნენ. მეფეს თავის ქალა საშინლად დასახიჩრებოდა. რომელიღაც იარაღის გამჭოლი დარტყმისგან დიდი ხვრელი აჩნდა და სახის ქვედა ნაწილიც დაზიანებოდა. თითქმის უთუოა, რომ სეკენრას ბრძოლის ველზე უწია სიკვდილმა, ჰიქსოსებთან შეტაკებისას.

კიდევ უფრო სახელოვანი მეფე იყო კამოსი, რომელმაც სირიამდე ჩასდია დამპყრობთ, ხოლო მის კვალად მეფე-მებრძოლთა — ამენხოტეპთა და თუთმოსთა მთელმა წყებამ კიდევ უფრო განამტკიცა და განავრცო ეგვიპტის საუფლობელოები. ეს იმიტომ, რომ ეგვიპტელები, რომლებიც 1500 წლის მანძილზე იყვნენ გარესამყაროსაგან იზოლირებულნი და ამის წყალობით უცხოთა თარეშისაგან დაცულნი, ამ დროისათვის უკვე მიხვდნენ, რომ მარტოოდენ საზღვრების გამაგრებით თავს ვერარ დაიცავდნენ. ახალ ხანაში სემიტი ხალხები განუწყვეტლივ სირიისკენ მიიწევდნენ, ხოლო მათ ზურგსუკან, მცირე აზიაში, ახალი და ძლევამოსილი ხეთების იმპერია წამოიმართა, რომელიც განუხრელად მოიწევდა სირიისკენ და გზად პატარ-პატარა სახელმწიფოებს თავისადმი შიშს უნერგავდა. XVIII დინასტიის (ძვ. წ. 1555-1350 წწ.) ფარაონები მიხვდნენ, რომ მათი ქვეყნის თავდაცვისა და გადარჩენის ერთადერთი გზა იმ ქვეყანაზე ძალაუფლების გავრცელება იყო, საიდანაც მათმა ძველმა მტრებმა, ჰიქსოსებმა შეპოუტიეს ერთ დროს. ისინი იძულებულნი იყვნენ საზღვრები სირიასა და მას იქით გადაეწიათ და მორჩილება მოეთხოვათ ქანაანისა და პალესტინის წვრილი სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც ამასთან ხარკსაც აკისრებდნენ. ამგვარად, თავისსა და ხეთებს შორის ბუფერი შექმნეს.

ასე დაიწყო ეგვიპტის იმპერიის ხანა, მისი ქცევა მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოდ — ოღონდ ეგვიპტური „მსოფლიო“ ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ ევფრატამდე და სამხრეთით ნილოსის სათავეებამდე ვრცელდებოდა. სამხრეთელი ნუბიელები, მათი ძველი მტრები, ნახევრად ბარბაროსები იყვნენ და მათ ადვილად გაუსწორდებოდნენ. აზიის ხალხების გამო კი მართლაც დიდ საგონებელს ეძლეოდნენ.

ხეთები („ხეთა“ როგორც მათ ეგვიპტელები უხმობდნენ) იდუმალებით მოცული ხალხია. არქეოლოგები, ვინც პირველად დღევანდელ ბოღაზქოიში (თურქეთში) მათი დიდი, გალავანშემოვლებული დედაქალაქი აღმოაჩინა, ენთუზიაზმით წერდნენ „ხეთების იმპერიაზე“ თუმცა დღემდე არავისა აქვს ზუსტი წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ სინამდვილეში სადამდე ვრცელდებოდა ეს „იმპერია“. ხეთები ძველ აღთქმაშიაც არიან მოხსენიებულნი. შესაქმეში (XXIII, 10) ნათქვამია, რომ „ძენი ქეტისნი“ ჰებრონში (პალესტინაში) ცხოვრობდნენ, სწორედ იქ, სადაც აბრაამი მივიდა, რათა თავისი ცოლის დასაკრძალავად მაქფელამის გამოქვაბული ეყიდა ეფრონ ხეთისგან. მაგრამ ამ დროისათვის, დაახლოებით ძვ. წ. 1800-იან წლებში ჯერ კიდევ ნამდვილად არ არსებობდა სამხრეთით პალესტინის საზღვრებამდე გავრცელებული ერთიანი ხეთური იმპერია, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ ამ არასემიტურ ჩრდილოელ ხალხთა დაჯგუფებებმა არმენიის მთიელებმა, სამხრეთის მიწებზე იწყეს გაღწევა და იქ თავიანთი დასახლებების შექმნა, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ჰებრონი იყო.

არქეოლოგები დიდი ხანია ცდილობენ როგორმე დაადგინონ, ვინ იყვნენ „ჰიქსოსები“, ძვ. წ. 1670 წელს ეგვიპტეს რომ შეესივნენ. ერთი რამ ცხადია, რომ აზიელები იყვნენ და ტომო-

ბრივ გაერთიანებას წარმოადგენდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც XVII დინასტიის მეფეებმა ისინი ქვეყნიდან განდევნეს, ეგვიპტელთა მთავარ საზრუნავს ახლა ხეთების ერი, ანუ როგორც თვითონ უწოდებდნენ — „საძულველი ხეთები" წარმოადგენდა. სრულიად შესაძლებელია, რომ ჰიქსოს დამპყრობთა შორის არასემიტური ხეთებიც ერივნენ. ისინი ხომ ამ დროისათვის სირია-პალესტინაში კარგად ფეხმოკიდებულნი იყვნენ. მაგრამ სარწმუნო საბუთთა ნაკლებობის გამო ეს საკითხი ჯერ კიდევ ვარაუდის სფეროში რჩება.

ხეთების საკითხში ერთ-ერთი წამყვანი ავტორიტეტის დოქტორ ო. რ. გარნის მიხედვით მათი ნამდვილი ისტორია ძვ. წ. დაახლოებით 1900-იან წლებში, შუა სამეფოს ხანაში იწყება, როცა ეგვიპტეს XII დინასტიის ფარაონები მართავდნენ. კრეტაში „შუა მინოსური პერიოდი" (ძვ. წ. 1800-1550 წწ.) იყო დაწყებული და კნოსოსსა და ფესტოსში კრეტის საარაკო სასახლეები ის-ის იყო იწყებდნენ წამომართვას.

„ხათის მიწის" აღმოჩენა მსოფლიოს ერთ-ერთი არქეოლოგიური რომანტიკაა. პალესტინასა და სირიაში ძველ აღთქმასთან მიმართებით დაწყებულმა ძიებამ მკვლევარები ჩრდილოეთით, მცირე აზიაში გადაიყვანა. აქ, მცირე აზიის ჩრდილოეთით, მათ 1907 წელს ხეთების დედაქალაქს მიაკვლიეს ბოღაზქოიში. „ეს ბოლო აღმოჩენა მნიშვნელოვანია, — წერს გარნი, —თუ იმ კონტრასტულ სხვაობას გავითვალისწინებთ, რომელიც არსებობს სირიის ველებსა და თითქმის სრულიად მაღალმთიან ხეთების სამშობლოს შორის. მცირე აზია (ანატოლია), საზოგადოდ, დასავლეთით ეგეოსის ზღვიდან აღმოსავლეთით, არმენიის მთებამდე გადაჭიმულ მაღალ ზეგას წარმოადგენს... სირიის ველებიდან თუ გავხედავთ, ეს ჩრდილოეთის მთები მძლავრ კედელს ქმნიან, რომელიც რომაელთათვის ტავრუსის სახელით იყო ცნობილი და ანტიკურ გეოგრაფებს იგი ესახებოდათ, როგორც ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით მდებარე მთელი სამყაროს გამყოფი „იმიერ" და „ამიერ" (ე. .ი ჩრდილო და სამხრეთ) ნაწილებად".

ეგვიპტისა და მესოპოტამიის ნაყოფიერი ველებისგან სრულიად განსხვავებულ მთიან რელიეფში წარმოიშვა დასავლეთ აზიის მესამე ყველაზე უძველეს ცივილიზაციათაგანი — ხეთების ცივილიზაცია. სირია-პალესტინაში მათი დასახლებები მხოლოდ ავანპოსტებს წარმოადგენდნენ. მათი ნამდვილი სამკვიდრო კი ღრმად იჭრებოდა ჩრდილოეთში და ტავრუსის მაღალი მთის ქედლით იყო შემოსაღტული.

ხეთები ეგვიპტელებისა და შუმერებისგან ძირფესვიანად განსხვავდებოდნენ. თავიანთ სკულპტურულ რელიეფებში ისინი დაბალ, მძიმედაღნაგ ხალხად, მკვეთრად არასემიტური სახის ნაკვთებით — გამოზნექილი ძვლებით, დამრეცი შუბლით, გრძელი ცხვირით და მოკლე ნიკაპით არიან წარმოდგენილი. „თუთიყუშის სახიანები", როგორც მათ ოფლიქნოდ უწოდებს სერ ჰაროლდ ნიკოლსონი, არცთუ შეფერებელი შედარება გახლავთ. მათი ჩაცმულობა მათ მთიელობაზე მიუთითებს. წმინდა ტილოს გამჭვირვალე სამოსის ნაცვლად ხეთებს ტუნიკებზე მატყლის გრძელი ტოლოშები ემოსათ, კონუსისებრი წოწოლა ქუდები ეხურათ და მაღალი, ჭვინტაპრეხილი „რუსული" წაღები ეცვათ. მათი ქალები კი, მათსავით უსანდომონი, გრძელ ჩადრებს ან შალს ატარებდნენ, რომელიც თავს მთლად უფარავდათ და ძირს კოჭებამდე უწევდათ.

სადამწერლო სისტემისა არ იყოს, ღმერთებიც ბაბილონელთაგან ნასესხები ჰყავდათ. მათ ბაბილონელთა ქალღმერთის, იშთარის კულტის (აშთორეთის) რეადაპტაცია მოახდინეს. და საფიქრებელია, რომ თავიანთ მხრივ, ლიდიაშიც (მცირე აზიაშიც) გაავრცელეს, სადაც ის „ღმერთების დიდი დედის" კაბელას სახით, გვიანდელი ბერძენი კოლონისტების სათაყვანებლად იქცა.

ამ ადრეულ პერიოდში, მეორე ათასწლეულის დასაწყისში, ხეთები ცალ-ცალკე დამოუკიდებელ ოლქებად იყვნენ დაყოფილი და ადგილობრივი მეფეები ჰყავდათ. მაგრამ, დროთა ვითარებაში, ქვეყანა ერთმმართველის ქვეშ გაერთიანდა და ეს ერთიანობა თანდათანობით ისეთ ცენტრალიზებულ ძალაუფლებად გადაიქცა, რომელსაც თავის დროზე ეგვიპტესა და შუმერში ჰქონდა ადგილი. გვიანდელი ხეთი მეფეები თავიანთ წარმოშობას ვინმე მეფე ლაბრანასს უკავშირებდნენ. ძველი ნაწერები მოგვითხრობენ, რომ:

„უწინდელ დროში ლაბრანასი დაჯდა მეფედ: კვალად მისი ვაჟიშვილები, ძმები, ქორწინებით და ხისხლით ნათესავები შეერთდნენ და იქმნენ ერთიან. და იყო პატარა ქვეყანა მათი. გარნა საცა კი მიიწია ბრძოლად, ძლევით დაიურვა მტრის ქვეყნები, დასცა და ძალი წარმგვარა, და ზღვები ჰქმნა სამძღვრად თვისად. და რა ბრძოლით შემოიქცა, დასხნა ვაჟნი თვისნი თვითეული ყოველ კერძოს მის ქვეყნისა: ჰუფსინას, ტუვუნაუვას, ნესას, ლანდას, პარსუმანდას და ლუსნას, და მისცა დიდ-ქალაქნი სამართავად".

ძვ. წ. 1555 წლისათვის, როცა ეგვიტეში XVIII დინასტიის მმართველობა დაიწყო, ხეთებმა მთის საფარიდან გამოაღწიეს და სამხრეთით,

სირიასა და მის მიღმა ქვეყნებისკენ გაიჭრნენ; გზად სირიისა და პალესტინის წვრილ სახელმწიფოთა დაშინებას და გავასალებას ეწეოდნენ. ძალიან თანაფარდობაში ამ უკანასკნელთა ხვედრით, წონა ცალკე მეტად უმნიშვნელო იყო, ერთად კი ხეთების მბრძანებლობის ქვეშ გაერთიანებულთ ეგვიპტისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის შექმნა შეეძლოთ. აქვე იყო მიტანიც, არიელთა სამეფო, რომელიც ევფრატის „დიდ საქცეევთან" დამკვიდრებულიყო. სემიტურ სახელმწიფოებზე უფრო ძლევაპოსილი და უკეთ ორგანიზებული მიტანი ეგვიპტელთათვისაც მეტ საფრთხეს წარმოადგენდა, მეტადრე, თუ ხეთებს მოკავშირედ შეეკვროდა.

ახლა კი ჩვენ ერთ-ერთი განსაცვიფრებელი, გმირული ეპიზოდი მოგვყავს კაცობრიობის ისტორიისა: ეგვიპტელები, რომლებიც ორ ათას წელზე მეტი ხნის მანძილზე მკვიდრ ცხოვრებას ეწეოდნენ კარგად დაცულ, მტრის თავდასხმისგან დაზღვეულ ნილოსის დაბლობზე, აღუდგენენ საფრთხეს და პირველად და ერთად-ერთხელ მათი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შეომარ ხალხად იქცნენ. როცა მენესმა, ჩვიდმეტი საუკუნით ადრე, პირველად გაერთიანა ორი ქვეყანა, მათ უკვე გავლილი ჰქონდათ ორი ცივილიზაციის, ძველი და შუა სამეფოს აყვავების ხანა. მათ შინა ომებით აწეწილი საკუთარი ქვეყანაც ენახათ და იმის უმწეო მოწმენიც ყოფილიყვნენ, თუ როგორ მოკალათდნენ მათ მდიდარ მიწებზე აზიელთა ხროვები და რა უგერგილოდ ცდილობდნენ ეს მათთვის საძულველი, გაუთლელი მეჯოგეები ძველი ეგვიპტის მატერიალური კულტურის ფორმების გადალებას. ეგვიპტელებმა სეკენრასა და იაჰმესის წინამძღოლობით გაიძევეს ქვეყნიდან მოსახლეურნი. მაგრამ ისინი აქ როდი შეჩერებულან. მათ დამპყრობთა ახლებური გამოგონება, ცხენიანი ეტლი გაითავისეს და სასიკვდილო იარაღად გარდაქმნეს. მათმა ჰაბუკებმა ომის ხელოვნება შეისწავლეს, საამური ნილოსის ველი უკან მოიტოვეს, სირია-პალესტინის მთებში გაიჭრნენ და იქაური მთიელები მათსავ მოგონილ თამაშში დაამარცხეს. ეს სასიქადულო წარმატება რომ სრულად გავიცხადოთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ძალზე ცოტა ეგვიპტელს თუ უნახავს ოდესმე მთა, ან წვიმა და თოვლი დახდენია თავზე. მათთვის წყალი ციდან კი არა, ნილოსიდან მოდიოდა. ასე რომ, როცა სირიაში შევიდნენ და იქაურ თავსხმებში მოჰყვნენ, მხოლოდ „ციურ ნილოსად" თუ შეეძლოთ მისი აღქმა. ფარაონ ეხნატონის ძვ. წ. 1370-იან წლებით დათარიღებულ მზისადმი მიძღვნილ ჰიმნში, ასეთ სტრიქონებს ვხვდებით:

შორეულ ქვეყნებს შენ მიუძღვნი
ცხოვრების ძალას,
ცაზედაც ნილოსს შენ უმკვიდრებ, რათა
დაეშვას იმათ მთაგორებზე და წყალი
მიმოაქციოს, მათ დაბლობში წყლებს ეორწყოს".

თუ რა ხასიათის იყო ეს ომი, ამას იმ პერიოდის ეგვიპტური ლიტერატურიდან ვგებულობთ. არსებობს, მაგალითად, სირიის ლაშქრობაში მონაწილე ერთი მოხუცის სარკაზმული ჩანაწერი, რომელშიც ის ერთ-ერთ თავის ქვეშევრდომს, „ჭარის მწერალს", ამენემოპს მკილავს. ამენემოპს დაუკვეხნია უფროსთან, რომ ის ახლა მაჰირი (გმირი) იყო. მოხუცი ვეტერანი, ცოტა არ იყოს, გაუღიზიანებია ჰაბუკის თავდაჭერებულობას და ასეთი რამ დაუწერია: „მე მწერალი ვარ, მაჰირი, — ისევ ამბობ შენ —, ჩვენ გეუბნებით, რომ სიმართლე ჟღერს შენს ხიტყვებში. მაშ წინ წარმოსდექ, რომ გამოგცადოთ. შენთვის დარაბტული ცხენი დგას, ტურასავით მარდი... ჭარის ჭროლას ჰგავს, წინ როცა გაიჭრება. სადავეები მოაბოშე და ხელთ მშვილდი იპყარ — ახლა ვნახავთ, რის შემძლეცა ხარ... მე გამცნობ შენ ბუნებას მაჰირისას და აგიწერ ყველა მის მოქმედებას.

ყოფილხარ განა ხათის ქვეყანაში (ე. ი. ხეთების ქვეყანაში) ან უბის[1] ქვეყანა თუ გინახავს? თუ გინახავს ხედვაში — მისი ბუნება ან იგვედის ბუნებას თუ აგვიწერ? სეხის ხუმურის რომელ მხარეზე ძევს ქალაქი ხერი... აგვიწერე მისი ნაკადი. ქადეშსა და ტუბიხში თუ შესულხარ ან დამხმარე ჭარის ნაწილებს თუ ხლებიხარ ბედუინთა მხარეში?

მეგერის გზას თუ დგომიხარ, სადაც დღითაც ლუსკუში ცაა, რადგან იქაობა კვიპაროსითა და მუხითაა დაფარული, ხოლო კედრები ზეცას წვდებიან,[2] ლომი იქ მეტია, ვიდრე ავაზა და აფთარი და მთელი არე ბედუინებს გარემოუცავთ.

შევის მთაზე თუ ასულხარ, თუ დაგილახავს? სადავეები თუ გჭერია და ცხენდაქანცულ ეტლისთვის დაგიქნევია?..

ახლა მოდი.. ბერეთზე გითხრობ. მასზე აღსვლას გაურბიან და ნაკადის გადაცურვას რჩეობენ. მაჰირობის გემოსაც მაშინ იგებ, შენი ეტლი ზურგზე წამოკიდებული რომ მიგაქვს.

ხალამოთი მუხლის გასამართად რომ შეჩერდები, მთელ სხეულში გამტრევს... კიდურები მოწყვეტაზე გაქვს. გვიან ღამე იღვიძებ (ე. ი. მაჰირს ღამის განგაში წამოაგდებს ზეზე.);

ცხენს მარტო კაზმავ. ძმა ძმასთან არ მიდის.

---

1. დამასკოსთან ახლოს სირიაში. ქანაანური სახელია.

2. ეგვიპტეში არ იყო ასეთი მაღალი ხეები.

ლტოლვილნი ბანაკში შემოსულან. ცხენები აუშვიათ. შენ ღამე გაუძარცვიხართ. შენი ტანისამოსი წაუღიათ. შენს მსახურს გაუღვიძნია ღამე... რაც დაგრჩა, ისიც თან წაუღია და დუშმანთა რიგს შერთვია. ბედუინთა ტომს შეერთო და აზიელად იქცა. მტერი მოპარვით მოგვიდა დასარბევად და მძინარე გნახა, ხოლო როდესაც გაიღვიძე, კვალიც აღარ იყო მისი, არც შენი ტანისამოსი და საჭურველი იყო აღარსად. თან გაეტაცნათ ესე ყოველი. ახლა კი სრულ აღჭურვილი მაჰარი ხარ და ხელს ყურზე იკერ[1].

ამის შემდეგ ბედუკულმართ ამენემოპს — „ჯარის მწერალს" (ე. ი. მომარაგების სერჟანტს) ვიწრო უღელტეხილზე უწევს გადასვლა, რომელიც, „საშიშ არს ბუჩქებში ჩამალულ ბედუინთა გამო; ზოგი მათგანი ოთხი და ხუთი წყრთაა ცხვირიდან ტერფამდის და ულაზანი არიან... შენ მარტო ხარ, მომხრე თან არავინ გყავს და ზურგსაც ჯარი არ გიმაგრებს... შენ მაინც წინსვლა გადაწყვიტე, თუმცა გზაც კი არ იცი. ერეოლა გიპყრობს და თმა ყალყზე გიდგება... შენი ბილიკი ;ვა-ღორღითაა სავსე და გაუვალი, ერთის მხრით მთაა, მეორეს მხრით უფსკრული".

ამენემოპი ეტლს ჰკარგავს, ცხენს წინ წარუძღვება და გზას ფეხით განაგრძობს.

„გაშლილ ცის ქვეშ გეჩვენება, რომ მტერი მოგდევს. ერეოლა გიტანს. ოჰ, ზღუდის აღმართვა მაინც შეგეძლოს შენს მეორე მხარეს! შენს ცხენსაც ქანცი გაუწყდა, სანამ ღამის გასათევს იპოვიდი".

შემდეგ ჰორი, მოხუცი მეომარი, წარმოიდგენს თავის ჭაბუკ თანამოსაგრეს იმ გაჭირვებაში ჩავარდნილს, რომელშიც არა ერთი მეომარი ჩავარდნილა ამენემოპის დაბადებიდან ხამი ათას წელზე მეტი ხნის მერეც.

„როცა იოპაში შედიხარ, იქ დროის შესაფერად ამწვანებულ მოლს ნახულობ (ე. ი. სეზონის ულამაზესი დროა). ლამაზ გოგოს ნახულობ. ზვრებს რომ უვლის. მას თავისთან მიჰყავხარ გულისწორად და თავისი ძუძუების ფერს გაჩვენებს. შენ გიცნეს, დაგიმოწმეს (ე. ი. მტრებმა გაგცეს, ან თვითონ მტერმა გიპოვა) და მაჰირი პასუხისგებაში მიგცეს. შენც შენს ნაქებ ეგვიპტურ ტილოს ტუნიკს უნდა შეელიო (გაქცევა რომ გაიადვილო)".

ბოლოს ამენემოპი ეგვიპტეში ბრუნდება და ახალგაზრდა ოფიცერი, რომელსაც სოციალური მდგომარეობაც ხელს უწყობს, მეგობრებში გამოსაჭირითებლად მყისვე ყიდულობს თავისთვის ახალ ეტლს.

„უღელი შეგიბეს... ხელში ჭილტებიან მათრახს გაძლევენ. შენც წინ გასწევ ბრძოლის ველისკენ, საგმირო საქმეთ ჩასადენად. (ე. ი. თებეს ტავერნებისკენ)".

ეს ნაწყვეტი რამდენადმე ვრცლად აქ განზრახ მოვიყვანეთ, რადგან ჩვენს დემოკრატიულ საუკუნეში სამხედრო კორესპონდენტის ცნობა ოფიციალურ კომუნიკეზე მეტად ფასობს. ამენემოპი ალბათ თუთმოს III-ის, იმ სამხედრო გენიის სარდლობის ქვეშ იბრძოდა, რომელსაც სამართლიანად უწოდეს „ანტიკური ეგვიპტის ნაპოლეონი". თუთმოსი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მეომარი უნდა ყოფილიყო. თავისი ხანგრძლივი და ფათერაკიანი ცხოვრების მანძილზე ჩვიდმეტჯერ წარუძღვა ჯარს სირიაზე და აღმოსავლეთის უდაბნოებში, ვახალ მეფეთა ქალაქები დაიმორჩილა, ორონტისპირა ქადეშთან ხეთების მეფეს შეხვდა და დაამარცხა. მის საომარ ეტლთაგან აყენებული მტვერი დღესაც თავს დასტრიალებს იმ მდუმარ და უკაცრიელ მთიხძირა „თელს", ხეთების ამ ქალაქის ერთადერთ ნაშთად რომ შემორჩენილა. „ოქროთი და ქარვით" შეჭედილ ეტლზე ამხედრებული მეგიდოს უღელტეხილზე გაიჭრა. ეს პატარა და ჩაფსკვნილი, სახებუნჩულა კაცი, რომლის მუმიფიცირებულ ნაკვთებზე დაკვირვება ახლაც კი შეიძლება ქაიროს მუზეუმში, ნახევარ თაობაზე მეტი ხნის მანძილზე აღანთებდა თავის მებრძოლთ, ლერწამტანა, გადამეტცივილიზებულ ეგვიპტელთ, „თუთიყუშისსახიან" ხეთებზე ორჯერ უფრო ხნიერი ცივილიზაციის მემკვიდრეთ, მტერზე მიუძღოდა მათ და უკან მოჰყავდა ხოლმე. ყველა წესის თანახმად, ეგვიპტელები ამ დროისათვის მეტად დაუძლურებული უნდა ყოფილიყვნენ ხიხტი მთიელების მოსაგერიებლად. მაგრამ ასე არ გამოდგა.

როდესაც თუთმოს III გარდაიცვალა და მისი ნეშტი თებეს გორაკების ქლდეში ნაკვეთ აკლდამაში დაასვენეს (რადგან ამ დროისათვის პირამიდებს უკვე აღარ აგებდნენ), თებე მთელ დედამიწაზე უმდიდრესი და უძლიერესი ქალაქი იყო. ტაძრის საგანძურები თებეს ღმერთი ამონისა, რომელიც ახლა მზის ღმერთ რასთან იყო გაიგივებული (ამონ-რას სახელწოდებით) აზიის ზინათით — ოქროთი, ვერცხლით, სპილენძით, ბრინჯაოთი და ნახევრად ძვირფასი ქვებით იყო გამოჭედილი. სირია-პალესტინის მეფეთა უმრავლესობა, ტვიროსის სიდონის, ბიბლოსისა და სხვა ქანაანურ ქალაქთა მეფეების ჩათვლით, ეგვიპტის მეფის ვასალები იყვნენ და ფარაონს წლიურ ხარკს უგზავნიდნენ. ოკეანეს

1. შესაძლოა მწერალების ქესტი იყოს.

ბარიერით საიმედოდ დაცული კრეტელებიც ახლო კულტურულ კავშირში იყვნენ თებესთან. თუთმოსის ვეზირის (პრემიერ-მინისტრის) რახმირის აკლდამის რელიეფებში დღესაც შეგვიძლია მოვიხილოთ მუქანიანი, ტანწერწეტა მინოსელნი, ეგვიპტელები რომ „კეფტიუს" უხმობდნენ, რომელთაც თავიანთი ქვეყნისათვის დამახასიათებელი ნაწარმი მოაქვთ შესაწირავების სახით — გრძელი ჩამოქნილი რიტონები, ლარნაკები, თასები; ხოლო სადღაც მწკრივის ბოლოში კაცს ოქროთი თუ ვერცხლით ნაქედი ხარის თავი მოაქვს ზეპყრობილი.

ეგვიპტის ცივილიზაცია, მსოფლიოში უძველესი, მესამეჯერ აღზევდა და უფრო მეტის დიდებით, ვიდრე ოდესმე. თებელ ხალხს თავიანთ ქუჩებში მოჰენავე დასავლეთაზიელ წარჩინებულ მხედართა დანახვაზე ოქროს ხანის დადგომა უნდა ნიშნებოდათ. ეს უკანასკნელნი ხომ განათლებას ეგვიპტის სამეფო კარზე ღებულობდნენ და ცოლად ეგვიპტელ ქალებს ირთავდნენ, ან თავიანთ მშვენიერ ასულებს აუღლებდნენ უწარჩინებულეს ეგვიპტელებთან. — ზოგჯერ თვით ფარაონთანაც კი. თებელთა ხიძლიერეს წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ევფრატის დაბლობზე მცხოვრებმა ბაბილონელებმა კი, რომელთაც კასიტ[1] მეფეთა სუსტი დინასტია განაგებდა, იქამდე დაიდაბლეს თავი, რომ ეგვიპტის მეფეს მუდარის წერილში ოქროსაც კი შესთხოვდნენ, „რომელიც შენს სამეფოში მტვერივით ძევს." ხოლო რაც შეეხება ეგვიპტის სატაძრო წარწერებში „საძულველად" მოხსენებულ ხეთას, თუ არ გაანადგურეს, ალიკაბი მასაც ამოსდეს. „კეფტიუ" კი არავითარ თავსატეხს არ წარმოადგენდა. ეს მომხიბლავი უცხოელები ისე შორეული ქვეყნიდან იყვნენ, რომ ძალზე ცოტა ეგვიპტელი თუ იქნებოდა ოდესმე იქ ნამყოფი, და ეგვიპტელთან თანაბარ ვაჭრობას აწარმოებდნენ; თუმცა აკლდამის ნახატებში ზოგჯერ შესაწირავებით დატვირთულ ფარაონის ვასალებადაც არიან წარმოდგენილნი. ხელმწიფის მოურავი და ვეზირი, მისი რწმუნებული, რახმირი იბარებს ამ ხარკს.

— და თავად პრემიერ-მინისტრი რახმირიც ეტყოდა, ალბათ საკუთარ თავს თავისი აკლდამის, ამ „მარადისობის სახლის" ნაჩატების ხილვისას: „მართლაცდა სიმარჯვლით დაუხატავთ".

და თვით თებეს ბრწყინვალე სახახლეში მჯდომ მეფესაც მოაგონდებოდა სირიის შორეულ კლდეებზე მისი ბრძანებით ამოკვეთილი წარწერები, რომლებიც სამი ათას წელს დაჰყოფდნენ., სანამ ჩვ. წ. მეოცე საუკუნის არქეოლოგები აღმოაჩენდნენ და წაიკითხავდნენ. ის ალბათ სიამაყით გაიხსენებდა იმ დღეს, როცა მიტანისთვის გაქვეთილის სასწავლებლად მიმავალი თავის ჯარებს ევფრატზე [illegible] ეცნაურია ეს ევფრატი. ნილოსისაგან [illegible] სამხრეთით მიედინება და ეგვიპტელებს ასე ალუწერიათ იგი: „ეს ცთომილი წყალი, რომლის აღმადინებაც დაღმა დინებაა". დაპყრობითმა ომებმა ალალი, ცოტა არ იყოს, ახირებული სამყარო გადაუშალა მათ, სადაც ზეციდან ხამუშ-ხამუშ ნილოსი მოდიოდა და მდინარეები პირუკუ მიედინებოდნენ. ეგვიპტელთათვის „აღმა ახვლა" ნილოსის დაცემული დაბლობის დატოვებას ნიშნავდა, ხოლო „დაღმა დაშვება" შინ დაბრუნებას. „უცხოელი" მისთვის „მთიელის" სინონიმი იყო.

რაც შეეება ეგვიპტის ტრადიციულ ღმერთებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ამონი პირველობდა. ის თებეს ღვთაება იყო და რადგანაც თებე ახლა უმაღლესი ხელისუფლების მპყრობელი გახლდათ, ბუნებრივია, ამონი გათანაბრებოდა რას, რომელიც შვიდასი წლის წინ პირამიდების მაშენებელთა მმართველობის დროს მემფისიდან მეუფობდა ეგვიპტეს. დარბეულ, დაცარიელებულ და ღამურების სადგურად ქცეულ პირამიდებს ახლა ყოველი მხრიდან ქვიშა უტევდა და გარემოსავდა. მათ მაშინ ხედავდნენ, როცა სირიიდან ეგვიპტეში ბრუნდებოდნენ ხოლმე. ან მაშინ დალანდავდნენ ცის ფონზე უძრავად აყუდებულთ, გაძარცულთ და უპატრონოდ მიგდებულთ. როცა საბრძოლო გალერეებით სამხრეთით, თებესკენ მოცურავდნენ. და მაინც ისინი ხომ მათი წინაპარი -ღმერთების — ჭოსერის, ხუფუსა და მენკაურას სამუდამო სამყოფლებს წარმოადგენდნენ.

მაგრამ სირიის მთიელთა და ევფრატის სანაპიროს მცხოვრებთა ღმერთებისათვის უცხო იყო ამონი, რა თუ ოზირისი. უცნაურია და... ჭურუმებს მაინც ყველაფერი ესმოდათ. ეს მათი ხელობა იყო. გაბეზრებული და მოსვენებადაკარგული თუთმოსი კი ოქროთი და ლილაქვით შეჭედილი ტანტის სახელურს უკაკუნებდა ხელს და იმ წუთზე ფიქრობდა, რაცა კვლავ ამხედრდებოდა თავის საბრძოლო ეტლზე, ბორბლებს თებეს მტვერს ჩამოაბერტყავდა და პირს სირიის მთებისკენ იზამდა — კარვის ბანაკები, თანამოსაგრობა, „მეგერის გზა, სადაც დღისითაც ლუსკუმიცაა, იქაურობა კვიპაროსით და მუხითაა დაფარული და კედრები ცის თაღს სწვდებიან".

მაგრამ იქამდე კიდევ რამდენიმე კვირა რჩებოდა; მანამ კი ამონ-რას ტაძრამდე უნდა წასძღოლოდა საზეიმო პროცესიას და, როგორც უმაღლ-

1. კასიტები — წუამდინარეთის ჩრდ. აღმ. მცხოვრები მეომარი მთიელი ხალხი, რომელმაც დაახლ. ძვ. წ. 1518 წ. დაიპყრო ბაბილონი.

ლეს ქურუმს, შესაწირავები მიერთმია ღმერთთა მეუფისათვის. ერთ-ერთმა ქურუმთაგანმა ამ შემთხვევას ლექსი მიუძღვნა, რომელსაც საბოლოოდ ტაძრის კედლებზე ღრმა იეროგლიფებად ამოკვეთა და ამრიგად სამარადისო მონუმენტად გადაქცევა ეწერა, თუთმოსი დასცქერის მუხლებზე დაფენილ პაპირუსის გრაგნილს.

„მე მოვედ და შეგეწივ ზაჰის უფლისწულთა
განადგურებაში;
მე გაგიგე ისინი ფეხქვეშ მაღალმთიან ბხარეში. მე შეგაცნობინე საკუთარი თავი ბრწყინვალების დიდებულ მეუფედ, რათა გებრწყინა იმათ თვალწინ, ვით ჩემს ხატებას. მე მოვედ და შეგეწივ აზიელთა განადგურებაში.
შენ ტყვედ ჩაიგდე რეტენუს აზიელთა მოთავენი. მე დავანახე მათ შენი დიდება, როს სამკაულებით მოირთე და ეტლზე ამხედრებელმა იარაღი აღიპყარ ზელში...“

გაბეზრებული თუთმოსი პაპირუსს ხელს უშვებს და მზერას მიაპყრობს. პაპირუსი მუხლებიდან იატაკზე ვარდება. ტახტის უკნიდან მისი სირიელი ხასა გამოდის და თმაზე უწყებს ფერებას. ის იღიმება.

უთუოდ კარგი ლექსია, კარგად დაწყობილი, მაგრამ ქურუმებს აბა ომისა რა გაეგებათ. და განა მარ[illegible]ლა ასე იყო ყველაფერი?

ამონის ტაძრის მომცრო, დაბინდულ სენაკში მწერალი ზის და წერს, თან ბებერ, კუშტ სახეზე სარკაზმული ღიმილი დასთამაშებს. მისი ნაწერი დოკუმენტი, რომელსაც თუთმოსი ფერასოდეს იხილავს, თაობების მანძილზე ეგვიპტელ მოწაფეებს სახელმძღვანელოდ ექნებათ, შემდეგ კი სამი ათასი წლის მანძილზე მიეგბარება მიწას, სანამ ახ. წ. მეცხრამეტე საუკუნის არქეოლოგები არ აღმოაჩენენ იხევ. და მაინც, მეფეს რომ ენახა ეს ნაწერი, ალბათ მასშიც მოწონების ღიმილს გამოიწვევდა.

„მახილვე, თუ ვით გადახვალ მეგიდოს, მაღლა რომ აზიდულა. შენ მაჰირი ხარ, სამამაცო საქმეებში გამოწვრთნილი. შენნაირი მაჰირი ჯარის გაძღოლაშიც გაჩვეული უნდა იყოს. მაშ გასწი, ო, მაჰირო, წინ, წინ გასწი!

ეჰა... შენ წინაშე 2000 წყრთის სიღრმის უფსკრული გადაშლილა ლოდებითა და ქვა-ღორღით ხავსე. შენ მას გზას უქცევ. მშვილდს სჭიდებ ხელს... მეუფროსეთ მათი თვალის სასაალბუნოებს უჩვენებ, ვიდრე ხელები არ დაგაწყდება. და ისინიც აღმოიტყვიან: ო, მაჰირო, ლომივითა ჰყლეტ...“



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან
თარგმნა ლაშა დადიანმა

არც ეს, არც ის

შესავალი

სანამდე ბხაგვანს მოვუსმენდი, მის თხზულებებს წავიკითხავდი, ძენი მესმოდა მხოლოდ როგორც გაურკვეველ, უცნაურ ამოცანათა, შეუძლებელ სიტუაციათა და თავშესაქცევ ამბავთა კრებული. ვფიქრობდი, მათში სადღაც, ალბათ, იმალებოდა კიდეც გარკვეული აზრი, მაგრამ მიმაჩნდა, რომ არავის შეეძლო ამ ამოცანის ამოხსნა. შენდეგ, ბედნიერი „შემთხვევითობების" წყალობით, ჩემს ცხოვრებაში რომ ჰქონდა ადგილი, მე მოვედი, რათა მომესმინა ბხაგვანისათვის.

ბხაგვანი ირაფერს ამბობს ძენზე, იგი თვითონაა ძენის ოსტატი, ასევე მცოდნე და ღრმად ჩახედული პიროვნება რელიგიის ყველა სახესხვაობისა, რომელთა შესახებ იგი გვიამბობს და რომელთა ძირფესვიან ანალიზსაც გვთავაზობს თავის თხზულებაში. ყოველივე, რასაც იგი ამბობს, დაფუძნებულია შესაბამის ფეხომენთა უშუალო განცდაზე და ამას გვიზიარებს ისეთი გასაგები, შთამბეჭდავი და სადა ენით, რომ გამოცანა წამსვე იხსნება. მაგრამ არ იოლვეა მისტერია.

ამ საუბრებში ბხაგვანი აღწერს და განიხილავს ძენის დიდოსტატის სენ-ცანის სტრეებს; მსჯელობს მათზე ჩვენი განცდებიდან გამომდინარე ამ სამყაროში ისე, რომ ისინი ახლა დიდ მნიშვნელობას იძენენ ჩვენთვის. დუმილისა და სიტყვების ოსტატი, იგი წარმოგვიდგება, გვეკლინება ხიდად სენ-ცანისეული არა-გონების[1] სიცარიელესა და ყბედ მაიმუნს შორის ჩვენს ირსებაში, ჩვენი შინაგანი სამყაროს სიღრმისეულ შრეებში.

სენ-ცანის ეს სტრეები, რომელთაც ჩინეთში „ჭეშმარიტი რწმენის წიგნი" უწოდეს, ერთადერთი სიტყვებია, სენ-ცანმა რომ წარმოთქვა და, როგორც ასეთი, უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენენ ჩვენზე. ბხაგვანი ასე ამბობს მათზე: ეს ატომური სიტყვებია, ისინი სავსეა ენერგიით, როდესაც პიროვნება, რომელმაც ნათელხილვას[2] მიაღწია, რაიმეს ამბობს, სიტყვა მარცვლად იქცევა, მილიონი წლების განმავლობაში მარცვლადვე დარჩება და მუდამ იპოვნის გულს. თუკი თქვენ მზად ხართ იქცეთ ნიადაგად, მაშინ ეს სიტყვები, ეს წარმოუდგენლად ძლევამოსილი სიტყვები სენ-ცანისა კვლავ საოცრად ცხოველმყოფელი და სიცოცხლისუნარიანი ხდებიან. ისინი — მარცვლები არიან, ისინი შემოვლენ, დაისადგურებენ გულში და ამის წყალობით თქვენ მთლიანად შეიცვლებით.

მაგრამ ჩვენი გულები დაიხურნენ უსასრულო სიტყვებისათვის — ღმერთი, ნათელხილვა, სიყვარული, ღვთაებრივი — ყოველივე ამას ისე ბორიტად ვიყენებდით, რომ ისინი უაზრო და ამაურდელი გახდნენ.

ბხაგვანი თვითონვე გვიხსნის, მთელი სულით და გულით გვისურათხატებს სენ-ცანის

---

[1] სენ-ცანი, მსგავსად სხვა ბუდისტებისა, გონების წინააღმდეგია, რომელსაც არ ძალუძს გვაზიაროს ჭეშმარიტებას, უნივერსუმის არსს.

[2] ქვემოთ მრავლად შეგვეგებება ნათელხილვის განხორციელების მაგალითები.

სიტყვებია აზრს და გვამზადებს იმისათვის, რომ ეს განცდანი დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად მივიღოთ, გავითვალისწინოთ. თავისი საუბრებით მას ჩვენი გაწაფული გონის ლაბირინთის გავლით იმ წერტილამდე მივყავართ, საიდანაც, თუკი ჩვენი თვალები დაწმენდილი იქნება, დავინახავთ რეალობის, სინამდვილის, რაციონალურიდან ჩვენ მას მივყავართ ირაციონალურისაკენ, იმ წერტილისაკენ, საიდანაც, თუკი ჩვენი სმენა იქნება „ზოზინთველი", გაიგებთ ტაშს ცალი ხელითაც კი.

მედიტაციების დახმარებით ბხაგვანი ისეთ სიტუაციებს გვიქმნის, [illegible] ენერგია და წესაძლებლობა იმისა, რომ ეცდვიგდოთ, თავიდან მოვიცილოთ [illegible], რაც ნისლავს, აბუნდოვანებს ჩვენს მხედველობას და ახდენს ჩვენი ყურების ბლოკირებას — ეს არის ჩვენი წარსული, ჩვენი გონება.

თავის ენეყანაში, ინდოეთში (პუმაში), იგი ლაპარაკობს ყველა ნათელმხილველ ოსტატზე, რომლებიც ცხოვრობდნენ ამქვეყნად, და ამას აკეთებს არა იმიტომ, რომ გვაიძულოს — დაგვარწმუნოს რომელიღაც კოდექსში, ახლა თავს მოგვახვიოს რაიმე იდეა, არამედ, რათა გვაჩვენოს, რომელიმე (და ასეთი ორერთია) სხვა გზა რეალობასთან მისაახლოებლად. მას არა აქვს საქმე თეორიებთან და ფილოსოფიებთან; ამაზე იგი ამბობს, რომ ეს არის ის, რაც ჩვენსა და რეალობას შორის დგას. იგი ყოველთვის ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ, რეალობის, ღმერთის, ხათელხილვია თუ ნირვანისაკენ (ასდა როგორც გნებავთ ისე ეწოდეთ) როცა მივსწრაფვართ, ენდა ვიპოვნოთ ჩვენი საკუთარი გზა.

სენ-ცანის, იესოს, ბუდაზე საუბრისას ბხაგვანი ფოკუსირებას ახდენს ჩვენზე, ინდივიდუალურ მაძიებლებზე და ჩვენა გაცნობიერებაზე, სრულყოფაზე, საკუთარი რეალიზაციის გზაზე. იგი ამბობს: „თქვენ ხართ გზა (ბილიკი) და თქვენ ხართ მიზანი, და არ არის მანძილი, დაშორება თქვენსა და მიზანს შორის. თქვენ ხართ მაძიებელი და თქვენ ხართ საძიებელი და არ არის მანძილი მაძიებელსა და საძიებელს შორის. თქვენ თაყვანს სცემთ და თქვენ ხართ თაყვანისცემის ობიექტი. თქვენ ხართ მგზავრი და თქვენ ხართ ოსტატი. თქვენ ხართ მეთოდი და თქვენ ხართ ფინალიც. ეს არის დიდი გზა."

მა იოგა პრატიმა

1. დიდი გზა

პირველი სუტრა

დიდი გზა არ არის იმისათვის ძნელი, ვინც არ ცნობს განსხვავებას. ვინც არავის ანიჭებს უპირატესობას. როდესაც სიყვარული და სიძულვილი „არ არიან", არ ფიგურირებენ, ყოველივე ხდება ნათელი და შეუნიღბავი. ნაგრამ გააკეთეთ პატარა განსხვავება და ზეცა და დედამიწა უსასრულოდ დაშორდება ერთმანეთს. თუ თქვენ გსურთ განიცადოთ ჭეშმარიტება, ნუ იტყვით, — „რაიმეს მომხრე ვარ, ან რაიმეს მოწინააღმდეგე". ბრძოლა იმას შორის, რაც გიყვარს და რაც არა, არის გონების. ჭკუის ავადმყოფობა. ჩვენ შევალთ. ვეზიარებით ძენის ოსტატთა (რომლებიც ჭკუის, გონების გამოვლინებებს, საერთოდ, ყოველგვარ ჩვეულებრივ თვალსაზრისს უარყოფენ) დიდებულ სამყაროში.

სენ-ცანი ძენის მესამე პატრიარქია. მასზე ცოტა რამ არის ცნობილი — ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ისტორია მხოლოდ ძალმომრეობას, ძალადობას იწერს, ისტორიაში არ იწერება დუმილი, სიჩუმე — მას არ შეუძლია ამის ჩაწერა. ყოველგვარი ჩანაწერი ეხება შფოთს. მღელვარებას. როდესაც ვინმე ჭეშმარიტად მდუმარე ხდება, იგი ყოველგვარი ჩანაწერიდან ქრება, ის აღარ წარმოადგენს ჩვენი უგუნურების ნაწილს — ამიტომ ეს ასეა, და ასეც უნდა იყოს.

მთელი ცხოვრების მანძილზე სენ-ცანი მოხეტიალე ბერი იყო. იგი არასდროს არ ჩერდებოდა, მუდამჟამს მიდიოდა, მოძრაობდა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. იგი მდინარე იყო, ის არ ყოფილა ტბორი, გუბურა, სტატიკური. იგი განუწყვეტელ მოძრაობაში იყო. აი, ბუდისტი მოხეტიალეების აზრი: ისინი არა მხოლოდ გარესამყაროში, არამედ შინაგანშიც უსახლკაროები უნდა იყვნენ, რადგან, როცა მოაწყობთ სახლს, თქვენ ვალდებული, მიჯაჭვული ხდებით მასზე. მათ არ გააჩნიათ სახლი ამ სამყაროს გარდა.

მაშინაც კი, როცა ნათელმხილველი გახდა, სენ-ცანს არ შეუწყვეტია თავისი ძველი გზით

სიცარული. მასში არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა. იგი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, დაოს ადამიანი.

მსურს ერთი რამ გითხრათ და თქვენ უნდა დაიმახსოვროთ ეს: ძენი — ეს შეჯვარებაა. და ზუსტად ისე, როგორც კიდევ უფრო ლამაზი ყვავილები ვამოდის შეჯვარებით, ანდა უფრო ლამაზი ბავშვები იბადება შეჯვარების შედეგად, ასევე მშვენიერია ძენიც. ძენი ეს არის შერწყმა ბუდასა და ლაო-ძის აზროვნებისა. ეს არის დიდი შეხვედრა, უდიდესი, რასაც კი ოდესმე ჰქონია ადგილი სამყაროში. აი, რატომაა, რომ ძენი უფრო მშვენიერია, ვიდრე ბუდას აზროვნება ანდა ლაო-ძის აზროვნება. ეს არის უმაღლეს მწვერვალთა იშვიათი ყვავილობა და ამ მწვერვალთა შეხვედრა. ძენი — ეს არც ბუდიზმია და არც ლაოიზმი (დაო), მაგრამ იგი ორივეს შეიცავს.

ინდოეთი გაცილებით უფრო სერიოზულია რელიგიასთან დამოკიდებულებაში. ხანგრძლივი წარსული, ინდური გონების, აზროვნების დიდი ბნის გაყინვის სიმძიმე და... რელიგია სერიოზული გახდა, ლაო-ძი სასაცილო გახდა. ლაო-ძი ცნობილია როგორც ბებერი მასხარა, ბებერი ჩარჩეტი. მას საერთოდ არ გააჩნია სერიოზულობა, თქვენ ვერსად შეხვდებით უფრო არასერიოზულ ადამიანს.

შემდეგ ერთმანეთს „შეხვდნენ" ბუდასა და ლაო-ძის აზროვნებანი. შეხვდნენ ინდოეთი და ჩინეთი და წარმოშვეს ძენი. სენ-ცანი უშუალოდ იმყოფებოდა ჭეშმარიტების წყაროსთან — ძენი გაჩოლიოდა მუცლიდან, იბადებოდა. იგი თავის თავში ატარებს ფუნდამენტურს.

მის ბიოგრაფიას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან, როდესაც ადამიანი ნათელმხილველი ხდება, მას არ გააჩნია ბიოგრაფია. ის ფორმა აღარ არის; ამიტომ, როდის დაიბადა ის და როდის მოკვდა, ეს არაარსებითი ფაქტებია. აი, ამიტომ არის, რომ აღმოსავლეთში ჩვენ არასდროს, არ გვიზრუნია, არასდროს არ მიგვიჩნევია მნიშვნელობა ბიოგრაფიებისათვის, ისტორიული ფაქტებისათვის. ასეთი ცდუნება აქ არასოდეს არსებულა. ასეთი რამ დასავლეთიდან შემოვიდა და ამიტომ ხალხი უფრო დაინტერესდა არაარსებითი ამბებით, მოვლენებით. რა განსხვავებაა, როდის დაიბადა სენ-ცანი, ამ წელს თუ იმ წელს? ანდა როდის გარდაიცვალა — განა ეს მნიშვნელოვანია? არა აქვს მნიშვნელობა. როდის მოვიდა ან როდის წავიდა იგი ამქვეყნიდან, ერთადერთი მნიშვნელობა გამოიხატება ყოფიერებაში, მის არსებობაში.

ეს სუტრები — ერთადერთი სიტყვებია, რომლებიც სენ-ცანმა წარმოთქვა. დაიმახსოვრეთ: ეს არ არის სიტყვები, რადგან ისინი მოსცილდნენ გონებას, რომელმაც დატოვა სიტყვის საზღვრები. ეს არ არის სპეკულაცია, ეს პირადი განცდებია. ყოველივე, რასაც ამბობს, მან თვითონ განიცადა. იგი არ არის ცოდნის კაცი, ის ბრძენთაბრძენია. მან შეაღწია საიდუმლოებაში, ჩაწვდა მას, და ყოველივე, რასაც იგი გვაწვდის, გვთავაზობს, უაღრესად დიდმნიშვნელოვანია. ამას შეუძლია შეგცვალოს მოლიანობაში. თუ თქვენ მას უსმენთ, — თვითონ მოსმენაც — შეიძლება იქცეს ტრანსფორმაციად, რადგან ყოველივე, რასაც ის ამბობს, ბაჯაღლო ოქროა.

მაგრამ ყოველივე ეს სიძნელესაც წარმოშობს. დისტანცია მასა და თქვენ შორის ხომ ძალიან დიდია: თქვენ გონების ადამიანი ხართ, ის კი არა-გონებისა. მაშინაც კი, როცა სიტყვებს ხმარობს, იგი რაღაცას ამბობს მდუმარებაში. და თქვენ, თუნდაც არ ამბობდეთ არაფერს, იცავდეთ დუმილს, მაინც აგრძელებთ ლაპარაკს შინაგანად.

ერთხელ, სასამართლოში საქმე აღძრეს მოლა ნასრედინის წინააღმდეგ. სასამართლომ ბევრი ვერაფერი დაამტკიცა. მოლას ბრალს დებდნენ პოლიგამიაში (მრავალცოლიანობა). ყველამ იცოდა ეს, მაგრამ მისი დამტკიცება ვერავინ შეძლო.

ადვოკატმა ნასრედინს უთხრა: შენ ჩუმად იყავი, მორჩა და გათავდა. ერთ სიტყვასაც თუ იტყვი, დაგატუსაღებენ. ამიტომ, უბრალოდ, დაწყნარდი, დანარჩენს მე მივხედავ.

მოლა ნასრედინი მდუმარედ იჯდა. შინაგანად აფორიაქებულმა რამდენჯერმე დააპირა ლაპარაკში ჩარევა, მაგრამ როგორღაც მაინც შეძლო თავის შეკავება. გარეგნულად ისე გამოიყურებოდა, როგორც ბუდა, შინაგანად კი ძალზე ღელავდა. სასამართლომ ვერაფერი არგუმენტი ვერ გამონახა მოლას საწინააღმდეგოდ. მომრიგებელმა მოსამართლემ იცოდა, რომ ამ კაცს მრავალი ცოლი ჰყავდა ქალაქში, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა საამისო საბუთები არა ჰქონდა? ამიტომ მოსამართლეს უნდა გაეთავისუფლებინა იგი. მან თქვა: მოლა ნასრედინო, შენ თავისუფალი ხარ. ახლა შეგიძლია სახლში წახვიდე. მოლა ნასრედინი დაფიქრდა და ჰკითხა: ე-ე... თქვენ მაღალღირსებავ, რომელ სახლში? მას ბევრი სახლი ჰქონდა, მოლას ხომ მრავალი ცოლი ჰყავდა ქალაქში.

საერთოდ, ერთადერთი სიტყვაც საცნაურს ხდის თქვენს გონებრივ ავლა-დიდებას. ერთი სიტყვა და მთელი თქვენი არსება „სახეზეა". სიტყვაც კი არ არის საჭირო: მხოლოდ ერთი პატარა ჟესტი და მთელი თქვენი გონება მასში წარმოჩნდება. თუნდაც თქვენ არაფერს ამბობდეთ, თქვენი დუმილი, მდუმარება არაფერს მალავს, გარდა მანკიერი გონებისა თქვენს არსებაში.

როდესაც სენ-ცანი რაიმეს ამბობს, ის ამას

ლაპარაკობს სრულიად სხვა დონეზე; მას არ აინტერესებს ლაპარაკი, არ ცდილობს რაიმე გავლენა მოახდინოს ვინმეზე. იგი არ ცდილობს დაგარწმუნოთ თქვენ რომელიმე თეორიაში, ფილოსოფიაში ანდა, რაიმე „იზმში". არა, როცა ის ლაპარაკობს, მისი დუმილი ჰყვავის. ის ლაპარაკობს იმას, რასაც მიაგნო, ჩაწვდა და რაც სურს, რომ თქვენ გაგიზიაროთ; არა იმისათვის, რომ თქვენს დაჯერებას ცდილობს; გახსოვდეთ: ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გაგიზიაროთ თქვენ. და, თუ შეძლებთ გაიგოთ მისი ერთადერთი სიტყვა, თქვენ შეიგრძნობთ ღრმა სიწყნარეს, სიმშვიდეს, რაც მასში (ამ სიტყვაში) განამდვილდება, რეალიზდება.

უბრალოდ უსმინეთ...

ჩვენ ვისაუბრებთ სენ-ცანზე და მის სიტყვებზე. თუ ყურადღებით მოუსმენთ, აუცილებლად შეიგრძნობთ თქვენში წარმოქმნილ სიწყნარეს, საოცარ სიმშვიდეს. ეს ატომური სიტყვებია, ისინი სავსეა ენერგიით.

როდესაც პიროვნება, რომელმაც ნათელხილვა განიცადა, რაიმეს ამბობს, სიტყვები მარცვლებად იქცევა. მილიონი წლების განმავლობაში ეს სიტყვები მარცვლებად დარჩება და მოძებნის გულს. თუკი თქვენ მზად ხართ, მზად ხართ იქცეთ ნიადაგად, მაშინ ეს სიტყვები, ეს საოცრად ძლევამოსილი სიტყვები კვლავ სასწაულებრივად ცხოველმყოფელი და სიცოცხლისუნარიანი გახდებიან. ისინი მარცვლები არიან, ეს სიტყვები შემოიჭრებიან, დაისადგურებენ გულში და ამის წყალობით თქვენ სრულიად შეიცვლებით. სენ-ცანი ბევრ ისეთ რამეს ამბობს, რისი გაგოთქმაც შეიძლება. მაგალითად, რას აკეთებთ, როცა ჩანჩქერთან ზიხართ? თქვენ დუმდებით და მშვიდდებით, თქვენ შეიწოვთ. ჩანჩქერი სულ უფრო და უფრო ღრმად შემოდის თქვენში. და მაშინ თქვენს არსებაში ყველაფერი მშვიდდება და წყნარდება. თქვენ ხდებით ტაძარი. უცხო, შეუცნობელი შემოდის ჩანჩქერით

რას აკეთებთ, როდესაც უსმენთ ჩიტების ჭიკჭიკს, ხეთა ტოტებში მოზუზუნე ქარს, ანდა გამხმარი ფოთლების შარიშურს, ქარი რომ მიაშრიალებს? რას აკეთებთ ამ დროს? თქვენ უბრალოდ უსმენთ.

სენ-ცანი არ არის ფილოსოფოსი, თეოლოგი თუ მღვდელი. მას არ სურს „მოგყიდოთ" თქვენ იდეა. მას არ აინტერესებს იდეები, იგი არ ცდილობს თქვენს დარწმუნებას, დაჯერებას. იგი — ჩანჩქერია, ანდა ქარი, ხეებში რომ დათამაშობს. ანდა უბრალოდ ჩიტების ილურტული — არ არის აზრები, მაგრამ არის მრავალი მნიშვნელობა. თქვენ უნდა შეიწოვოთ ეს მნიშვნელობა, მხოლოდ მაშინ შეძლებთ გაგებას, წვდომას.

ამიტომ ისმინეთ, მაგრამ არ იფიქროთ. მაშინ იქმნება შესაძლებლობა, რომ ბევრი რამ მოხდეს თქვენში; ეს ადამიანი, ოსტატი სენ-ცანი, რომელზეც ბევრი არაფერია ცნობილი, ძლევამოსილი ოსტატი, ბრძენთაბრძენი კაცია. და როდესაც რაიმეს ამბობს, მას შეაქვს რაღაც უცხო, უცნობი ცნობილ სამყაროში, მასთან ერთად შემოდის ღვთაებრივი სიხათლის სხივი თქვენს ჯერაც გაუცნობიერებელ, წყვდიადით მოცულ გონებაში.

სახამდე მის სიტყვებს შევეხებოდეთ, დაიმახსოვრეთ. დაიმახსოვრეთ სიტყვების მნიშვნელობა და არა აზრები; მათში მუსიკაა, მელოდიაა,— არა აზრები, მათში მისი გულია, არა აზროვნება. ყური მიუგდეთ მის არსებას, ჩანჩქერს, წინაგან ხმას.

როგორ ვუსმინოთ? უბრალოდ დადუმდით. არ დაიწყოთ ფიქრი, აზროვნება: „რას ამბობს იგი?" „რისი თქმა სურს?" უბრალოდ უსმინეთ ყოველგვარი ფიქრის გარეშე. ნუ დავიწყებთ ლაპარაკს, მართალია ის თუ არა, გარწმუნებთ იგი რამეში თუ არა. იგი არ ცდილობს დარწმუნებას და თქვენც ნუ იფიქრებთ ამაზე. უბრალოდ უსმინეთ და დატკბით. ისეთი ადამიანები, როგორიცაა სენ-ცანი, იმისათვის არსებობენ, რომ მათით დავტკბეთ. ისინი — ბუნებრივი მოვლენებია.

რას აკეთებთ თქვენ, როცა კოხტა გორაზე ხართ? თქვენ აღტაცება გეუფლებათ, გარს უვლით, გრძნობთ მას, ხელებით ეხებით იქ ამოსულ ხავსს. რას აკეთებთ, როცა ღრუბლებს უყურებთ, მაღლა, ცაზე რომ მიცურავენ? თქვენ ცეკვავთ მიწაზე, თვალს ადევნებთ ღრუბელთა რონინს. ანდა, უბრალოდ, დუმხართ. წევხართ მიწაზე და გასცქერით მათ, დაე, იცურონ. ისინი გავსებენ თქვენ — და არა მხოლოდ **გარეგანი ცა. მაგრამ თანდათანობით, რაც უფრო** წყნარად და მდუმარე ხართ, მით უფრო მეტად ავსებენ ისინი თქვენს შინაგან ცასაც. ანაზდად თქვენ იქ აღარ „ხართ", მხოლოდ ღრუბლები მიირწევიან შიგნიდან და გარედან. დაყოფა გაქრა, ყოველივე გამთლიანდა — თქვენ იქცევით ცად და ცა იქცევა თქვენად. მოეპყარით მას, როგორც ბუნებრივ მოვლენას. ის არ არის ადამიანი. ის ღმერთია. იგ, დაოა, ის ბუდაა.

ვიდრე შევეცდებოდეთ მისი სიტყვების არსში ჩაწვდომას, ზოგი რამ უნდა გაიცნობიეროთ. ეს ბიძგს მოგვცემს.

გონება, აზროვნება — ეს ავადმყოფობაა.

ეს არის მთავარი ჰეშმარიტება, რომელიც აღმოჩინა აღმოსავლეთმა. დასავლეთი ამბობს, რომ გონება შეიძლება დაავადდეს, ანდა შეიძლება იყოს ჯანსაღი. დასავლეთის ფსიქოლოგია ამაზეა დამოკიდებული: გონება შეიძლება იყოს ჯანსაღი, შეიძლება იყოს დაავადებული.

მაგრამ აღმოსავლეთი ამბობს, რომ გონება, როგორც ასეთი, ავადმყოფობაა, იგი არ შეიძლება იყოს ჯანმრთელი, მას ვერავითარი ფსიქიატრია ვერ უშველის. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება გააკეთოთ, არის ის, რომ იგი ნორმალურად ავადმყოფი გახადოთ.

ამიტომ არსებობს გონების (ჭკუის, ტვინის) ორგვარი დაავადება: ნორმალურად ავადმყოფი — ეს ნიშნავს, რომ თქვენ იგივე ავადმყოფობა გაქვთ, როგორც ყველა სხვას გარშემო; და არანორმალურად ავადმყოფი — ეს ნიშნავს, რომ თქვენ რაღაც უნიკალური ხართ, რომ თქვენი ავადმყოფობა არაჩვეულებრივია — გამონაკლისია, ეს ავადმყოფობა ინდივიდუალურია, არა ისეთი, როგორიც სხვა ხალხისაა, — ამაშია ერთადერთი განსხვავება.

მაშასადამე, ნორმალურად ავადმყოფი თუ ანომალურად ავადმყოფი — მაგრამ გონება არ შეიძლება იყოს ჯანსაღი. რატომ? აღმოსავლეთი ამტკიცებს, თვითონ ბუნება გონებისა, აზროვნებისა, როგორც ასეთი, იმაში მდგომარეობს რომ ის ავადმყოფი იყო და დარჩება მომავალშიც. სიტყვა „ჯანმრთელობა, სიჯანსაღე" შესანიშნავია. იგი წარმოიქმნა იმავე ფესვისაგან, რომლისგანაც წარმოიშვა სიტყვა „მთლიანი, მთელი, სამკურნალო, წმინდა". ესენი ყველა ერთი ძირისაგანაა წარმოშობილი.

გონებას არ შეუძლია იყოს ჯანმრთელი, რადგან ის არასოდეს არ შეიძლება იყოს მთლიანი, ერთიანი. გონება ყოველთვის ჰყოფს, გაყოფა, დაყოფა — ეს მისი საფუძველია. და თუ ის არ შეიძლება იყოს მთელი, მაშინ როგორ შეიძლება იყოს ჯანსაღი? თუ მას არ შეუძლია იყოს ჯანსაღი, როგორღა შეუძლია იყოს წმინდა? ყველა გონებანი ჰყოფენ, ანაწილებენ, ხოლო წმინდა კაცი ცხოვრობს გონების გარეშე, რადგან ის ცხოვრობს გაყოფის, განაწილების გარეშე.

გონება, აზროვნება ავადმყოფობაა. მაგრამ რა ეწოდება ამ ავადმყოფობას? მისი სახელი არისტოტელეა. ანდა თუ თქვენ ნამდვილად გსურთ დაამგვანოთ იგი ავადმყოფობას, მაშინ შეგიძლიათ იხმაროთ სიტყვა „არისტოტელია" — ახლა უკვე ეს მართლაც ავადმყოფობის სახელს ჰგავს. რატომაა არისტოტელე ავადმყოფობა? იმიტომ, რომ არისტოტელე ამბობს: ან ეს, ან ის, აირჩიეთ. არჩევა — ეს გონების ფუნქციაა; გონებას არ შეუძლია იარსებოს არჩევის, განსხვავების გარეშე. აირჩიეთ — და თქვენ უკვე „დასავლეთში ხართ", რადგან, როცა არ უნდა აირჩიოთ, თქვენ ირჩევთ რაიმეს სასარგებლოდ და რაიმეს სხვის საწინააღმდეგოდ. თუკი რაიმეს სასარგებლოდ, მაშინ თქვენ არ შეგიძლიათ იყოთ მხოლოდ „მის მხარეზე" და არ შეგიძლიათ იყოთ მხოლოდ სხვის „საწინააღმდეგოდ". როცა თქვენ არჩევანს აკეთებთ რაიმეს „სასარგებლოდ", მას წამსვე ჩრდილივით მოჰყვება „საწინააღმდეგოდ". როცა არის „საწინააღმდეგოდ", არის აგრეთვე „სასარგებლოდ" — ფარული თუ არაფარული. როდესაც თქვენ არჩევანს აკეთებთ, თქვენ ჰყოფთ, აცალკევებთ. მაშინ თქვენ ამბობთ: „ეს კარგია, ის ცუდია".

ცხოვრება კი ერთიანია, მთლიანია. იგი მთლიანობაა. თუ თქვენ ამბობთ: ეს მშვენიერია, ის კი გონჯი, ე. ი. „საქმეში ერევა" გონება. რადგან ცხოვრება ეს და ის ერთად აღებული რამ არის. მშვენიერი ხდება გონჯი, გონჯი კი მშვენიერი. აქ საზღვრები არ არის — ცხოვრება აგრძელებს მდინარებას — ამისაგან იმისკენ.

გონებას ახასიათებს ფიქსირებული გამიჯვნა. ფიქსირება — ეს გონების ბუნებაა, ხოლო დენადობა, მდინარება ცხოვრების არსს შეადგენს. აი, რატომ არის, რომ გონება — აკვიატებულობაა. იგი ყოველთვის დაფიქსირებულია, მას მიდრეკილება აქვს აქეთკენ —გამყარება, გამკვრივება. ცხოვრება კი მყარი არ არის. ის მიმდინარეა, მოქნილია — აგრძელებს მოძრაობას საპირისპიროსაკენ. ვიღაც ცოცხალია ამ მომენტში, შემდეგ მომენტში კი იგი მკვდარია. ვიღაც ახალგაზრდა იყო ამ მომენტში, შემდეგ მომენტში იგი დაბერდა. თვალები მშვენიერი ჰქონდა ერთ მომენტში, ახლა კი... სახე ვარდივით ულოდა ოდესღაც, ახლა კი წარსულის ჩრდილიც არ დარჩენილა. მშვენიერი ხდება გონჯი, სიცოცხლე სიკვდილად გადაიქცევა. სიკვდილი კი ახალ სიცოცხლეს წარმოშობს. რა უნდა „უყოთ" სიცოცხლეს? თქვენ არ შეგიძლიათ არჩევანის გაკეთება, თუ გინდა იყოთ სიცოცხლესთან, მთლიანობასთან, მაშინ არჩევანს ვერ გააკეთებთ.

გონება — ეს არჩევანია. არისტოტელემ იგი თავისი ლოგიკისა და ფილოსოფიის საფუძვლად აქცია. ვერ მონახავთ ადამიანს, რომელიც უფრო დაშორებული იქნებოდა სენ-ცანისაგან, ვიდრე არისტოტელე, რადგან სენ-ცანი ამბობს: „არც ეს, არც ის" არ ამოირჩიოთ. სენ-ცანი ამბობს: „არ გააკეთოთ არჩევანი, თავი ანებეთ განსხვავებას ამასა და იმას შორის". მაშინ როდესაც თქვენ აკეთებთ განსხვავებას, როცა აკეთებთ არჩევანს — თქვენ უკვე დაყოფილი ხართ (არა მთელი), ფრაგმენტული: თქვენ ხდებით ავადმყოფი, აღარა ხართ მთლიანობა.

ქრისტიანი არ მიეკუთვნება სინამდვილეში იესოს, ძირითადად იგი მიეკუთვნება არისტოტელეს: ქრისტიანობა უფრო არისტოტელეზეა დაფუძნებული ვიდრე ქრისტეზე. იესო არ მგავდა არისტოტელეს. ქრისტე ამბობდა: „ნუ

სჯით, ნუ მსჯელობთ!" ნუ აკეთებთ ნურავითარ არჩევანს, ნუ ამბობთ ასე: ეს კარგია, ის კი ცუდია! ეს თქვენი საქმე არ არის. დაე, ეს მთლიანობამ გადაწყვიტოს. „ნუ იქნებით მსაჯულნი". სინამდვილეში ქრისტიანობა არ არის ორიენტირებული იესოზე. ქრისტიანობის დამაარსებლები უფრო არსტოტელელები იყვნენ, ვიდრე ქრისტეს ნამდვილი მიმდევრები.

თქვენ ვერ შექმნით ეკლესიას სენ-ცანისაგან ანდა იესოსაგან. როგორ შეგიძლიათ შექმნათ ეკლესია, თუკი თქვენ არჩევანის გარეშე რჩებით? ეკლესია უნდა იყოს რაიმეს მხარეზე და რაიმეს წინააღმდეგ: იგი უნდა იყოს ღმერთის მხარეზე და ეშმაკის წინააღმდეგ. ცხოვრებაში კი ღმერთი და ეშმაკი არ არიან ორნი — ისინი ერთი არიან, ეშმაკი ეს ერთი სახეა, ხოლო ღმერთი — ეს სხვა სახეა ერთი და იმავე ენერგიისა და ისინი არ არიან ორნი. ზოგჯერ იგი გვევლინება როგორც ეშმაკი, ზოგჯერ კი როგორც ღმერთი. და თუ თქვენ უფრო შორს წახვალთ და დააკვირდებით, გამოავლენთ, რომ ისინი ერთი და იგივეა. ზოგჯერ იგი გვევლინება როგორც ქურდი, ზოგჯერ კი როგორც ხათნო, ზნეობრივი ადამიანი. ზოგჯერ თქვენ მას აღმოაჩენთ რესპექტაბელურ ბინებში, ზოგჯერ კი იმათ შორის, რომელთაც პატივს არ სცემენ, წყევლიან. იგი მოძრაობს, ის მოძრაობაა, ის მოძრაობს ყველაში. იესო არ ახდენს განსხვავებას, ქრისტიანობა კი ახდენს, რელიგიამ ხომ უნდა გააკეთოს ეს — რელიგია უნდა გახდეს, უნდა იქცეს მორალად. და რაკი რელიგია იქცევა მორალად, იგი უკვე აღარ არის რელიგია. რელიგია — ეს არის უდიდესი შესაძლო გაბედულება: მას აქვს უდიდესი მამაცობა, გულადობა, — იყოს არჩევანის გარეშე. ეს იმიტომ, რომ გონება ამბობს: „ამოირჩიე". გონება ამბობს: „თქვი რამე: ეს კარგია, ის ცუდია; ეს მშვენიერია, ის გონჯია; მე მიყვარს ეს, შძაგს ის"; გონება ამბობს: „აირჩიე, განასხვავე". გონება ეს საცდუნებელია იმისა, რომ დაჰყოს. და როდესაც და რაკი თქვენ ჰყოფთ — გონება შვებას განიცდის. თუ არ ჰყოფთ, თუ არ ამბობთ მე არ ვაპირებ რაიმეს თქმას; მე არ ვაპირებ განვსაჯო— მაშინ გონება ისე გრძნობს „თავს", თითქოს ხანიკვდილო ხარეცელზეა.

არისტოტელე ამბობს: ა არის ა და არ შეიძლება იყოს არა—ა—დაპირისპირებანი არ შეიძლება შეხვდნენ ერთმანეთს. სენ-ცანი კი ამბობს: არ არსებობს დაპირისპირებანი, ისინი უკვე ხვდებიან ერთმანეთს, ისინი მუდამ ხვდებოდნენ ერთმანეთს. აი, ერთ-ერთი ფუნდამენტური ჭეშმარიტებათაგანი, რომელსაც უნდა ჩავწვდეთ: დაპირისპირებანი — ეს არ არიან დაპირისპირებანი. დააკვირდით კარგად — და თქვენ შეიგრძნობთ მათ, როგორც ერთსა და იმავე ენერგიას.

თქვენ გიყვართ ეს ადამიანი... ერთი ქალი მოვიდა ჩემთან და მითხრა: ათი წელია გათხოვილი ვარ და არასოდეს მიჩხუბია ქმართან, და ახლა კი რა მოხდა? მან მიმატოვა. ქალი ფიქრობს, რადგან არასოდეს გვიჩხუბია, ეს ნიშნავს, ჩვენ ძლიერ გვიყვარს ერთმანეთი. ეს სისულელეა — მაგრამ ეს არისტოტელურია. ქალი აბსოლუტურად ლოგიკურია. მან თქვა: ათი წელი ცოლ-ქმარი ვიყავით. არასოდეს გვიჩხუბია, არასოდეს გავწყრომივართ ერთმანეთს. იგი ამბობს: ჩვენ ისე ძლიერ გვიყვარდა ერთმანეთი, რომ არასოდეს არაფერზე გვიკამათია. არასოდეს დამდგარა ჩვენ შორის კონფლიქტის მომენტი. ახლა კი რა მოხდა? მოულოდნელად მიმატოვა და წავიდა, იქნებ, ჭკუაზე შეირყა? ჩვენი სიყვარული ხომ ძალიან ღრმა იყო. ქალი არ არის მართალი, თუ სიყვარული ღრმაა, მაშინ აუცილებლად უნდა იყოს ესა თუ ის ჩხუბი, ზოგჯერ კონფლიქტიც გექნებათ; ხოლო კონფლიქტი კი არ მოსპობს სიყვარულს, პირიქით გაამრავალფეროვნებს მას. თუ არის სიყვარული, იგი გამრავალფეროვნდება კონფლიქტით, თუ არადა, მაშინ ერთმანეთს გაშორდებით, გაიყრებით. ათი წელიწადი — ეს დიდი დროა — ის კი არა, ოცდათხი საათიც კი ძალიან დიდი დროა იმისათვის, რომ მუდმივად გონების ერთ მდგომარეობაში ვიმყოფებოდეთ, რადგან გონება მოძრაობს, ესწრაფვის დაპირისპირებულობას, წინააღმდეგობას. თქვენ გიყვართ ადამიანი, მაგრამ ზოგჯერ გრძნობთ გულისწყრომას. სინამდვილეში კი მხოლოდ სიყვარულისაგან გრძნობთ გულისწყრომას. ზოგჯერ თქვენ სიძულვილს გრძნობთ. ხანდახან გსურთ თავი გაწიროთ საყვარელი ადამიანისათვის, ხან კი მისი მოკვლა გსურთ. და ორივე ის გრძნობა თქვენ გაქვთ. ხან ასეა, ხან კი პირიქით. ცხოვრება რიტმულია. მასში არის დაპირისპირებულობა, არის რიტმი. თქვენ მიდიხართ, თქვენ ბრუნდებით; მიემგზავრებით. შემდეგ მოიმგზავრებით: თქვენ ვისმის ჟგონიბთ, იმორჩილებით, შემდეგ კვლავ არ ემორჩილებით; თქვენ გიყვართ და არ გიყვართ — ეს ცხოვრებაა, მაგრამ არა ლოგიკა. ლოგიკა „ამბობს:" თუ თქვენ გიყვართ, მაშინ არ შეიძლება გეჯავრებოდეთ, გძაგდეთ; თუკი გიყვართ, როგორ შეიძლება ბრაზი მოგდიოდეთ? თუკი თქვენ ასეთნაირად გიყვართ, მაშინ გიყვართ მონოტონურად, ერთი და იმავე დონეზე. ლოგიკას სწამს ხაზოვანი, ხაზური მოვლენისა: თქვენ მოძრაობთ ერთ ხაზზე, ცხოვრებას სწამს

წრეხაზისა: ერთი და იგივე ხაზი ზეაიწევა, ეშვება და იქცევა წრედ.

თქვენ, შესაძლოა, გინახავთ ჩინური წრე ინი და იანი. აი, ასეთია ცხოვრება — დაპირისპირებულობანი ხვდებიან. ეს წრე —ინი და იანი ნახევრად თეთრია, ნახევრად კი შავი; თეთრში არის შავი წერტილი, შავში კი თეთრი თეთრი გადადის შავში, შავი კი თეთრში — ეს წრეა.

ქალი გადადის კაცში, კაცი გადადის ქალში — ასეთია ცხოვრება. თუ ყურადღებით დააკვირდებით, ამას დაინახავთ თქვენს არსებაში. კაცი არ არის კაცი მთელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში, ეს მას არ შეუძლია. დროდადრო ის --- ქალია. ქალი არ არის ქალი ოცდაოთხი საათის განმავლობაში, ხანდახან ისიც ასევე კაცია. ისინი გადადიან დაპირისპირებულობაში. როდესაც ქალს გული მოსდის, ის ქალი აღარ არის: იგი უფრო აგრესული ხდება, ვიდრე მამაკაცი და უფრო საშიშია, ვიდრე ნებისმიერი მამაკაცი: ეს იმ ნიადაგს ჰგავს, რომელიც არ გამოუყენებიათ მრავალი წლის განმავლობაში: როცა ჩააგდებთ მარცვალს —რეკორდული მოსავალია!

ქალი ზოგჯერ კაცი „ხდება", მაგრამ როცა იგი კაცი „ხდება", მაშინ ვერც ერთი კაცი ვერ შეედრება მას: იგი ძალიან საშიში ხდება და მაშინ ჯობს კაცი დაემორჩილოს. და ამას აკეთებს ყველა კაცი — ისინი ემორჩილებიან მას, ნებდებიან. იმიტომ, რომ კაცი დაუყოვნებლივ უნდა „გახდეს" ქალი, თუ არა და დიდი პრობლემა იქმნება. ორი ხმალი ერთ ქარქაშში — და პრობლემაც თავს წამოყოფს. თუ ქალი „გახდა" კაცი, თუ მან როლი შეიცვალა, კაცი წამსვე ხდება ქალი, ახლა ყველაფერი აღდგენილია — წრე კვლავ დაბოლოვდა. ხოლო, როცა კაცი მორჩილდება და ნებდება, ეს დანებება, დამორჩილება ისეთი ფაქიზია, რომ ამას ვერ შეძლებს ვერც ერთი ქალი, რადგან ჩვეულებრივ კაცი არასდროს არ იმყოფება ასეთ მდგომარეობაში, ასეთ თამაშში. ჩვეულებრივ იგი შეუპოვრობას იჩენს და იბრძვის, ჩვეულებრივ იგი ნებისყოფაა და არა მორჩილება. მაგრამ, როცა იგი მორჩილებას იჩენს, ის ისეთი მიამიტობით, უბრალოებით, უშუალობით ხდება, რომ ვერც ერთი ქალი ამას ვერ შეძლებს. დააკვირდით მამაკაცს სიყვარულში. იგი პატარა ბავშვივით იქცევა.

მაგრამ ცხოვრებაც ასე მიდის. თუ ის გესმით, მაშინ საერთოდ არ ღელავთ. მაშინ თქვენ იცით, რომ თუკი მიჯნური წავიდა, ის დაბრუნდება; თუ იგი ბრაზობს, ის შეიყვარებს. მაშინ თქვენ გაქვთ მოთმინება. არისტოტელესებურად კი თქვენ არ შეგიძლიათ გქონდეთ მოთმინება, რადგან, თუ მიჯნური, საყვარელი ადამიანი წავიდა, იგი წავიდა სწორხაზოვანი გზით, დაბრუნების გარეშე — ეს არ არის წრე. მაგრამ აღმოსავლეთში ჩვენ გვწამს, გვჯერა წრისა. დასავლეთში ხაზის, ხაზობრივი სვლის სჯერათ. დასავლური გონი ხაზობრივია, აღმოსავლური კი დასრულებული, შეკრულია, ამიტომ აღმოსავლეთში მიჯნურს შეუძლია მოცდა. მამაკაცმა იცის, რომ ქალი, რომელმაც იგი ახლა დატოვა, დაბრუნდება. იგი უკვე გზაზეა, უკვე ნანობს კიდეც, უკვე მოინანია, შეიძლება უკვე ბრუნდება. ადრე თუ გვიან იგი დააკაკუნებს კარებზე. მხოლოდ მოიცადე — ხომ ყოველთვის არის საპირისპირო, მეორე მხარე. და როდესაც ბრუნდებიან სიბრაზის შემდეგ, მაშინ სიყვარული კვლავ ახლდება. ახლა ეს გამეორება აღარ არის. სიბრაზის პერიოდი წარსულმა მოშალა. ახლა ქალი კვლავ ახალგაზრდა ქალიშვილი. უდანაშაულო ქალიშვილია. იგი კვლავ სიყვარულით იმსჭვალება, ყოველივე ახლდება და არ მეორდება.

თუ თქვენ ეს გესმით, მაშინ იცით, რომ თვით სიბრაზეც კი ჭეშმარიტია, შესანიშნავია, ესა თუ ის ჩხუბიც სტიმულის მომნიჭებელია. ეს ყოველივე გამამრავალფეროვნებელია. მაშინ თქვენ იღებთ (არ უარყოფთ, არ ახხვევებთ, არ ირჩევთ), მაშინ მომთმენი ხართ, მაშინ ადგილი აღარ აქვს მოუთმენლობას, სიჩქარეს, ფაციფუცს, მაშინ თქვენ უნარი გაქვთ მოიცადოთ, წაიოცნებოთ.

და თუ ცხოვრება ხაზობრივია — როგორც მიიჩნევს არისტოტელე და რადგან დასავლური აზროვნება არისტოტელედან გადავიდა ბერტრან რასელზე, როგორც თვლის ბერტრან რასელი, — ცხოვრებაში ბევრი მოუთმენლობაა. არავინ აპირებს სახლში დაბრუნებას და ამიტომ თქვენ მუდამ მერყეობთ, კანკალებთ, იშიშვით, გულდამძიმებული ხართ. თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ, იყოთ ქალთან ათი წელი, ანდა ათი სიცოცხლე, მაგრამ ეს ყოფნაა უცნობთან, უცხოსთან. თქვენ კონტროლს უწევთ თავს, ქალი კონტროლს უწევს თავს — და არ არის შეხვედრა. მაგრამ ცხოვრება — არ არწს ლოგიკა. ლოგიკა — ის მხოლოდ ნაწილია, ზუსტად ასახული, კატეგორიზებული, დაყოფილი. მაგრამ ცხოვრება არიული-დარიულია, ლახლართულია. რას იზამ. — ეს ასეა. ცხოვრება არ არის ზუსტად განსაზღვრული, კატეგორიზებული — იგი ქაოსია. მაგრამ ლოგიკა მკვდარია, ცხოვრება ცოცხალია, მოძრაგია. ამიტომ საქმე იმაშია, თანამიმდევრობა ავირჩიოთ თუ ცხოვრება.

თუკი ძალიან შეუპოვრად ებღაუჭებით, ეჭიდებით თანამიმდევრობას, თქვენ უფრო და

უფრო კვდებით, ჭვემოთ ეშვებით, რადგან თანამიმდევრობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მთლიანად უკუაგდებთ დაპირისპირებულობას. მაშინ თქვენ გიყვართ — და მხოლოდ გიყვართ, მხოლოდ გიყვართ და არასდროს არ ბრაზდებით, არასდროს არ გძაგთ, არასოდეს მოგდით კონფლიქტი. მაშინ თქვენ უჭერებთ და მხოლოდ უჭერებთ, არავითარი ურჩობა, არავითარი რევოლუცია, არასოდეს არ მიდიხართ სადმე. მაგრამ მაშინ ყველაფერი ხმება. ორთა კავშირი იშხამება და იგი კვდება.

ხენ-ცანს არა სწამს ლოგიკის, იგი ცხოვრებისკენაა. ახლა შეეცადეთ ჩაწვდეთ მისი სიტყვების აზრს:

დიდი გზა აღვილია მათთვის, რომლებიც არ ცნობენ არავითარ უპირატესობას (ერთი რამისას მეორეზე), როდესაც სიყვარული და სიძულვილი „არ არიან", არ ფიგურირებენ, ყოველივე ნათელი და აშკარა ხდება.

მაგრამ განასხვავეთ ოდნავ ერთი რამ მეორისაგან და ცა და დედამიწა უსასრულოდ დაცილდება ერთმანეთს.

თუ გსურთ იხილოთ ჭეშმარიტება,

მაშინ ნუ იტყვით: „ამას ვემხრობი, ამას ვეწინააღმდეგები".

ბრძოლა იმას შორის, რაც გიყვარს და რაც არა, — ეს გონების ავადმყოფობაა.

დიდი გზა არ არის ძნელი. თუ ის ძნელი გგონიათ, მაშასადამე, სწორედ თქვენ თვითონვე აძნელებთ მას. დიდი გზა ძნელი არ არის. როგორ შეიძლება ის იყოს ძნელი? თვითონ ხეებიც კი მიპყვებიან, მისდევენ მას, მდინარეები, მთები. როგორ შეიძლება ის იყოს ძნელი? ფრინველებიც კი მის თანახმად ფრენენ და თევზებიც მის თანახმად ცურავენ. როგორ შეიძლება ის იყოს ძნელი?

ადამიანი აძნელებს ამ გზას, გონება აძნელებს მას. და ის, რაც აძნელებს ნებისმიერ რაიმეს, არის არჩევანის გაკეთება, განსხვავების მოხდენა. სიყვარული იოლია, სიძულვილი იოლია — ოღონდ ნუ გააკეთებთ არჩევანს. ნუ ამოირჩევთ. თქვენ ამბობთ: მე მხოლოდ შევისუნთქავ, და არ ამოვისუნთქავ (აი, უკვე არჩევანს აკეთებთ). — ახლა უკვე ყველაფერი გაძნელდა. გონებას შეუძლია „თქვას": რა საჭიროა ამოსუნთქვა? სუნთქვა — ეს სიცოცხლეა. უბრალო არითმეტიკაა: განაგრძეთ შესუნთქვა. არ ამოისუნთქოთ — და თქვენ უფრო და უფრო სიცოცხლისუნარიანი იქნებით, უფრო და უფრო მეტი სიცოცხლე დაგროვდება თქვენში. თქვენ იქნებით, გახდებით ცხოვრების დიდი საუნჯე, განძეული. მხოლოდ შეისუნთქეთ, არ ამოისუნთქოთ — ამოსუნთქვა ხომ სიკვდილია.

გაიხსენეთ, პირველი, რაც უნდა გააკეთოს ბავშვმა, როცა იბადება, ეს არის შესუნთქვა; და უკანასკნელი, რაც უნდა გააკეთოს კაცმა, როცა კვდება, ეს არის ამოსუნთქვა. სიცოცხლე იწყება შესუნთქვით, სიკვდილი კი იწყება ამოსუნთქვით, ყოველ მომენტში, როცა შეისუნთქავთ, თქვენ თავიდან იბადებით, ყოველ მომენტში, როცა ამოსუნთქვას ახდენთ, — თქვენ მკვდარი ხართ, რადგან სუნთქვა — ეს სიცოცხლეა. აი, რატომ უწოდეს ინდოელებმა მას პრანა: პრანა ნიშნავს სიცოცხლეს; სუნთქვა ეს სიცოცხლეა.

ეს უბრალო ლოგიკაა, უბრალო არითმეტიკაა. არ არის საჭირო ნაშრომები იმის ასახსნელად და ნათელსაყოფად, რომ, თუ უფრო და უფრო მეტს შეისუნთქავთ და არ ამოისუნთქავთ, მაშინ თქვენ არასოდეს არ მოკვდებით. თუ თქვენ ამოსუნთქვას ახდენთ, მაშინ სიკვდილი მოგიწევთ. თუ ამას ძალიან ხშირად აკეთებთ, მაშინ მალე მოკვდებით. არითმეტიკა მარტივია და უბრალოა... ჰოდა. რის გაკეთებას აპირებს ლოგიკოსი? ლოგიკოსი მხოლოდ შეისუნთქავს და არასდროს არ ამოისუნთქავს. სიყვარული ეს შესუნთქვაა — სიძულვილი ამოსუნთქვა. მაშ რა ვქნათ?

სიცოცხლე იოლია, როცა თქვენ გადაწყვეტილებას არ იღებთ, რადგან მაშინ იცით, რომ შესუნთქვა და ამოსუნთქვა — ეს ორი დაპირისპირებულობა არ არის: ეს ერთი პროცესის ორი ნაწილია და ეს ორი ნაწილი ორგანული ნაწილებია, თქვენ არ შეგიძლიათ მათი გაყოფა, ერთმანეთისაგან დაცილება. და თუ ამოსუნთქვას არ ახდენთ,... ლოგიკა არ არის ზუსტი, უტყუარი — თქვენ ვერ იცოცხლებთ: უბრალოდ იმწამსვე სულს განუტევებთ. სცადეთ მხოლოდ შეისუნთქეთ და არ ამოისუნთქოთ. თქვენ იგრძნობთ — უფრო და უფრო დაიძაბებით, მთელ თქვენს არსებას ამოსუნთქვა სურს, რადგან ახლოვდება სიკვდილი. თუ თქვენ ირჩევთ, არჩევანს ახდენთ, მაშინ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებით. თუ არჩევანს არ აკეთებთ, ყოველვე იოლდება, იოლი — უტყუარი, ზუსტია.

თუ თქვენ სიძნელეებს განიცდით, ეს მეტისმეტად ბევრი მახწავლებლის გამოა, რომლებმაც მოწამლეს თქვენი გონება, რომლებიც გასწავლიდნენ: „ამოირჩიეთ ეს! არ გააკეთოთ ეს, გააკეთეთ ის!" მათმა „გააკეთეთ" და „არ გააკეთოთ" თქვენ დაგლუპეს, არადა, ის ლოგიკურად გამოიყურება. თუ თქვენ მათთან კამათს დაიწყებთ, ისინი მტკიცებებით შოგიგებენ: ლოგიკა დაეხმარება მათ. შეხედეთ —ეს სრულიად უბრალოა: რატომ ამოვისუნთქოთ, თუკი ეს სიკვდილს მოასწავებს? არის ოდესმ

სკოლები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თქვენი სიცოცხლე გამოიანგარიშება (ამო)სუნთქვით; სიცოცხლე გამოითვლება სუნთქვებით: თქვენი სიცოცხლე გამოითვლება არა წლებით, არამედ (ამო)სუნთქვების რაოდენობით. ამიტომ ისუნთქეთ ნელა — თუკი თქვენ თორმეტ ამოსუნთქვას ახდენთ წუთში, მაშინ მალე მოკვდებით; გააკეთეთ ექვსი ან სამი — მაშინ გაცილებით მეტს იცოცხლებთ.

არავის მოუპოვებია წარმატება, მაგრამ ხალხი აგრძელებს მცდელობას ისუნთქოს ნელა. რატომ? იმიტომ რომ, თუკი თქვენ სუნთქავთ ნელა, სუნთქვა უფრო ნაკლები და ნაკლები გამოვა სხეულიდან, რის მეოხებითაც ნაკლებად მოგიახლოვდებათ სიკვდილი.

ერთადერთი, რაც მოხდება, იქნება ის, რომ თქვენ ინტერესს დაკარგავთ ცხოვრებისადმი. თქვენი ცხოვრება არ გახანგრძლივდება, მაგრამ იგი ხანგრძლივად მოგეჩვენებათ.

ამბობენ, რომ ცოლიანი ხალხი მეტხანს ცოცხლობს, ვიდრე უცოლოები; სწორედ ამიტომ მოლა ნასრედინს ჰკითხეს, — ეს მართალია, ნასრედინ? ნასრედინმა უპასუხა: ეს მხოლოდ ასე მგონია კაცს. ცოლიანი კაცი არ ცოცხლობს მეტს, უბრალოდ ასეა მიჩნეული, რომ ის მეტხანს ცოცხლობს. ეს იმიტომ, რომ, როცა კაცს ბევრი საზრუნავი აქვს, მას ეჩვენება, რომ დიდი დრო სჭირდება ამისათვის, ხოლო, როცა საზრუნავი არა აქვს, დრო უფრო მოკლედ ეჩვენება.

ასე იყო სექსის თვალსაზრისითაც, რადგან ხალხი ფიქრობს, რომ სიკვდილი დგება, წარმოიქმნება სექსთან ერთად, და ისინი მართლები არიან, რადგან სექსუალური ენერგია იძლევა სიცოცხლის დაბალებას, — ამიტომ, რაც უფრო მეტი სექსუალური ენერგია გამოდის, მით უფრო მეტი სიცოცხლე იხარჯება. ლოგიკურია, აბსოლუტურად არისტოტელურია — მაგრამ სულელურია. თქვენ ვერ იპოვით უფრო დიდ მიამიტებს და ჰეშმარიტ არსში გაურკვეველ, ჩაუხედავ ხალხს, ვიდრე ლოგიკოსებს... ეს ლოგიკურია, რომ სასიცოცხლო ენერგია წარმოიშვება სექსისაგან; ბავშვი იბადება სექსით; სექსი — ეს ცხოვრების წყაროა; ამიტომ შეინარჩუნეთ იგი სხეულში, არ მისცეთ გამოსვლის საშუალება, თორემ მოკვდებით. ამიტომაც არის, რომ მთელი მსოფლიო შიშმა დაიპყრო.

მაგრამ ეს ხომ იგივეა — მართლაც როგორ შეეკავოთ სუნთქვა შიგნით, როცა მთელი არსება ისწრაფვის მის გარეთ „გამოგდებას". ამიტომ ე. წ. „ბრახმაჩარინები", ცელიბატები ცდილობენ შეიკავონ, შეინარჩუნონ სექსუალური ენერგია შიგნით, თესლი შიგნით, მაშინ როცა მთელ მათ სხეულს სურს მისი გარეთ გამოდენა. მთელი მათი ცხოვრება ხდება სექსუალური, მათი გონება, ტვინი სექსუალური ხდება: ისინი ოცნებობენ სექსზე, ფიქრობენ სექსზე. სექსი ხდება მათი საცდური; და ისინი არ ცოცხლობენ დიდხანს, მალე კვდებიან.

აი, ახალი აღმოჩენა, ახალი თეორია: ადამიანი მით უფრო მეტხანს ცოცხლობს, რაც უფრო ახანგრძლივებს თავის სატრფიალო, სამეჯნურო ცხოვრებას. თუკი ადამიანს შეუძლია მიხდევდეს სამეჯნურო ცხოვრებას ოთხმოცი წლის ასაკში — იგი უფრო მეტხანს იცოცხლებს. რატომ? იმიტომ რომ, რაც უფრო მეტ ამოსუნთქვას ახდენთ, მით უფრო მეტს შეისუნთქავთ. ამიტომ, თუ გსურთ მეტხანს იცოცხლოთ, — მეტი ამოიხუნთქეთ: ასე თქვენ შექმნით ვაკუუმს შიგნით და იქ მეტი ჰაერი შევა. ნუ იფიქრებთ შესუნთქვაზე. უბრალოდ ამოიხუნთქეთ რაც შეიძლება მაგრად და მთელი თქვენი არსება შესუნთქვას დაიწყებს. გიყვარდეთ მეტი — ეს ამოსუნთქვაა — და თქვენი სხეული შეიწოვს ენერგიას მთელი კოსმოსიდან. შექმენით ვაკუუმი და ენერგია მოვა.

ზუსტად ასეა ნებისმიერ ცხოვრებისეულ პროცესში...

დიდი გზა არ არის ძნელი...

თქვენ აძნელებთ მას — თქვენ ხართ ძნელი. დიდი გზა ადვილია — ...მათთვის, ვინც არ ფიქრობს უპირატესობაზე.

ნუ ფიქრობთ უპირატესობაზე, რაიმე მჯობინებაზე — უბრალოდ, დაე, იდინოს ცხოვრების ნაკადმა თავისით. ნუ ეუბნებით ცხოვრებას: „წადი ამ გზით, წადი ჩრდილოეთით, წადი სამხრეთით". ნუ ეტყვით — უბრალოდ წადით მასთან ერთად, მიჰყევით მას. ნუ შეებრძოლებით, ნუ წახვალთ დინების საწინააღმდეგოდ — პირიქით, შეუერთდით დინებას.

დიდი გზა ადვილია იმათთვის, ვინც არ ფიქრობს უპირატესობაზე. — თქვენ კი ფიქრობთ უპირატესობაზე ყველაფრის მიმართ. თქვენ ყველაფერში შეგაქვთ, ყველაფერში რთავთ გონებას. თქვენ ამბობთ: მე მიყვარს, მე არ მიყვარს. მე ვამჯობინებ ამას, მე არ ვამჯობინებ იმას.

როდესაც სიყვარული და სიძულვილი არ ფიგურირებენ...

როდესაც არ ფიქრობთ უპირატესობაზე — მაშინ, როცა ყოველგვარი დამოკიდებულება ჰოს და არას მიმართ არ არსებობს: როცა სიყვარული და სიძულვილი არ ფიგურირებენ — მაშინ თქვენ უბრალოდ ყოველივეს საშუალებას აძლევთ მოხდეს თავისთავად —

...ყოველივე ხდება ნათელი და შეუფარავი. მაგრამ გააკეთეთ სულ პატარა განსხვავება და ცა და დედამიწა უსასრულოდ დაიყოფა.

მაგრამ თქვენი გონება, ტვინი გეტყვით: შენ ცხოველად იქცევი, თუ არ იფიქრებ უპირატესობაზე, არ ამჯობინებ ერთს მეორეს. თუ შენ არ გააკეთებ არჩევანს, მაშინ რა განსხვავება იქნება შენსა და ხეს შორის? იქნება განსხვავება, დიდი განსხვავება. არა ის განსხვავება, რომელსაც ახდენს გონება — არამედ განსხვავება, რომელიც წარმოიქმნება შეგნების საფუძველზე. ხე არ აკეთებს არჩევანს და იგი ამას არაცნობიერად „აკეთებს", თქვენ იქნებით არჩევანის გარეშე და ცნობიერი. აი, რას ნიშნავს ცნობიერი არჩევანი და ეს დიდი განსხვავებაა: თქვენ გაიცნობიერებთ, რომ არჩევანს არ აკეთებთ. და ამის შეგნება განიჭებთ ისეთ ღრმა სიმშვიდეს, რომ თქვენ ხდებით ბუდა, თქვენ ხდებით სენ-ცანი, ჩუუან-ცზი.

...როცა სიყვარული და სიძულვილი არ ფიგურირებენ...

და სიყვარული და სიძულვილი მბერავენ, შეფერილობას აძლევენ თვალებს და თქვენ ნათლად ველარ ხედავთ. თუ თქვენ გიყვართ ადამიანი, იწყებთ ისეთი საგნების დანახვას, რომლებიც არ არსებობს. არც ერთი ქალი არ არის ისეთი ლამაზი, როგორც თქვენ ფიქრობთ, მაშინ როცა გიყვართ, იმიტომ რომ თქვენ პროეცირებას ახდენთ. თქვენ გყავთ ქალიშვილი, ოცნებობთ რა გონებაში, ხდება ამ ქალიშვილის პროეცირება. ნამდვილი ქალიშვილი ფუნქციონირებს მხოლოდ როგორც ეკრანი. აი, რატომ არის, რომ ყოველ სიყვარულს ადრე თუ გვიან მივყავართ გულის გატეხვამდე — რადგან, როგორ შეუძლია ქალიშვილს გააგრძელოს „ეკრანის გათამაშება"? იგი — რეალური ადამიანია; იგი განაცხადებს, იტყვის: „მე არა ვარ ეკრანი". რამდენ ხანს შეუძლია მას შეესატყვისოს თქვენს პროექციებს? — ადრე თუ გვიან თქვენ იგრძნობთ, რომ ისინი არ შეესატყვისებიან, არ შეესაბამებიან ერთმანეთს. თავიდან იგი გითმობთ, თავიდან თქვენც უთმობთ — თქვენ იყავით საპროექციო ეკრანი მისთვის, და ის იყო საპროექციო ეკრანი თქვენთვის.

ცოლი ეუბნებოდა მოლა ნასრედინს: შენ არ გიყვარვარ ისე ძლიერად, როგორც გიყვარდი ადრე, აი, მაშინ, როდესაც ცდილობდი ჩემთან დაახლოებას. მოლა ნასრედინმა უპასუხა: ნუ აქცევ ყურადღებას ამას — ყოველივე ეს უბრალოდ პროპაგანდის კამპანია იყო. მე დამავიწყდა, რას ამბობდი შენ, შენც დაგავიწყდა, თუ რას გეუბნებოდი მე. ახლა კი, მოდი, ვიყოთ რეალურნი.

არავის შეუძლია იყოს თქვენთვის ეკრანი მუდმივად, რადგან ეს მოუხერხებელია. როგორ შეუძლია ვინმეს „ხმა შეუწყოს" თქვენს ოცნებებს? მას თავისი რეალობა აქვს და რეალობა კი თავისას შვრება. თუ ადამიანი გიყვართ, თქვენ ახდენთ იმის პროექციას, რაც არ არსებობს. თუკი არ გიყვართ ადამიანი, თქვენ კვლავ ახდენთ იმის პროექციას, რაც არ არსებობს. სიყვარულში ადამიანი ხდება ღმერთი, სიძულვილში კი ეშმაკეული — ადამიანი კი არც ღმერთია და არც ეშმაკეული, იგი უბრალოდ თვითონ არის კაცი ან ქალი. ეს ღმერთები და ეშმაკეულნი პროექციებია. როდესაც გიყვართ, არ შეგიძლიათ ნათლად, გარკვევით დანახვა; როდესაც გძულთ, მაშინაც არ ძალგიძთ ნათლად დანახვა.

როდესაც არ არის სიყვარული და არც სიძულვილი, თქვენი თვალები წმინდაა, — თქვენ ფლობთ სიწმინდეს. მაშინ თქვენ ისე ხედავთ სხვას, როგორც ის სინამდვილეშია. როდესაც გაქვთ ცნობიერების, აღქმის სიწმინდე, ყოველივე არსებული „გთავაზობთ", გიაშკარავებთ თქვენ თავის რეალობას. ეს რეალობა არის ღმერთი, ეს რეალობა არის ჭეშმარიტება. რას ნიშნავს ეს? ადამიანს ისეთს, როგორიც სენ-ცანია, არ ეყვარება ისე, როგორც თქვენ გიყვართ, მის სიყვარულს სრულიად სხვა თვისება ექნება, სრულიად განსხვავებული. მას ეყვარება, მაგრამ მისი სიყვარული არ იქნება არჩევანი. მისი სიყვარული არ იქნება პროექცია. მისი სიყვარული არ იქნება სიყვარული საკუთარი ოცნებისადმი. მას ეყვარება რეალური. ეს სიყვარული რეალურისადმი არის თანალმობა, თანაგრძნობა.

ის არ მოახდენს პროექციას ამგვარად თუ იმგვარად — იგი არ დაინახავს თქვენში ღმერთს ანდა ეშმაკეულს. ის უბრალოდ დაგინახავთ თქვენ და იგი გაგიზიარებთ, გაგინაწილებთ, რადგან საკმარისად აქვს. და რაც უფრო მეტს გაუნაწილებთ სხვებს, რაც უფრო მეტს გასცემთ, ეს მით უფრო გაიზრდება, გამრავლდება. იგი თქვენ გაგიზიარებთ, გაგინაწილებთ თავის ექსტაზს.

როდესაც გიყვართ, თქვენ გიყვართ არა იმიტომ, რომ მისცეთ. — არამედ გიყვართ იმიტომ, რომ აიღოთ, ექსპლუატაცია გაუწიოთ. როდესაც თქვენ გიყვართ ადამიანი — ცდილობთ გააკეთოთ ეს საკუთარი ფიქსაციების, საკუთარი იდეების მიხედვით — ყოველი ქმარი ასე იქცევა, ყოველი ცოლი ასე აკეთებს, ასევეა ყოველი მეგობარიც. თქვენ აგრძელებთ მცდელობას შეცვალოთ სხვა, მისი რეალური — მაგრამ რეალურის შეცვლა შეუძლებელია და თქვენ ბოლოს მხოლოდ გული გაგიტყდებათ, გული აგიცრუვდებათ. რეალურის, ნამდვილის შეცვლა შეუძლებელია — მხოლოდ თქვენი ოცნება დაიმსხვრევა და ტკივილს იგრძნობთ. აქ არავინაა ისეთი, დააკმაყოფილოს თავისი საკუთარი ბედ-იღბალი, თავისი რეალობა. ადამიანს ისეთს, როგორც ხენ-ცანია, უყვარს, მაგ

გრამ მისი სიყვარული ექსპლუატაციად არ არის, მას უყვარს იმიტომ, რომ ძალიან ბევრი აქვს, იღვრება სიუხვით. იგი არ ქმნის ოცნებას ვინმეს გარშემო, იგი ყველაფერს გასცემს, ყოველივეს გაუნაწილებს, რაც კი ხელთ ჩაუვარდება გზაში (იგი მუდამ მოძრაობაშია, მუდამ გზაზეა). ეს გაცემა, გაღება გაპირობებული არ არის, ის არ მოელის თქვენგან რაიმეს. **თუკი სიყვარული მოელის, მაშინ ადგილი ექნება გულის გატეხას. თუ სიყვარული მოელის, მაშინ არ იქნება დაკმაყოფილება.** თუ სიყვარული მოელის, მაშინ ახლოვდება უბედურება და **უგუნურება.**

— არა, — ამბობს სენ-ცანი, არც სიყვარული, არც სიძულვილი. **უბრალოდ, შეხედეთ სხვის რეალობას".** ეს არის ბუდას სიყვარული: სხვისი რეალობის დანახვა, სხვისი დანახვა ისე, როგორც ის სინამდვილეშია. **უბრალოდ, რეალობის დანახვა — არც პროექცია, არც ოცნება, არც რაიმე სახეობის, რაგვარობის შექმნა, არც მცდელობა იმისა, რომ დავაფიქსიროთ ვინმე საკუთარი ნიმუშის მიხედვით.**

როდესაც სიყვარული და სიძულვილი არ ფიგურირებენ, ყველაფერი ხდება წათელი და გამჭვანებული.

გონებას უნდა უყვარდეს და სძულდეს, იგი განუწყვეტლივ უნდა იმყოფებოდეს ბრძოლაში სიყვარულსა და სიძულვილს შორის. თუ არ გიყვართ და არ გძულთ, — თქვენ გონების ფარგლებს გარეთ გადიხართ. სად არის მაშინ გონება? იგი ქრება თქვენში, თქვენს არსებაში. არჩევანით — თუნდაც ამბობდეთ: მინდა ვიყო წყნარი, უთქმელი — თქვენ მაინც ვერახოდეს გახდებით სიტყვაძვირი, მშვიდი, რადგან უპირატესობას ანიჭებთ რაღაცას, ეს არის პრობლემა.

ხალხი მოდის ჩემთან და მეუბნება: მინდა ვიყო მშვიდი, აუღელვებელი. **აღარ შემიძლია ეს დაძაბულობა. მე სიბრალულს ვგრძნობ მათდამი, სიბრალულს, რადგან რასაც ისინი ამბობენ, სისულელეა. თუ თქვენ აღარ გსურთ დაძაბულობა, — მაშინ შექმნით ახალს, რადგან ეს არნდომა შექმნის ახალ დაძაბულობას, აგზნებულობას. და თუ თქვენ ძალიან ელტვით, ძალზე ეხწრაფვით სიმშვიდეს, მყუდროებას, თუკი ამის ძალიან ძლიერი სურვილი გაქვთ, — თქვენი სიმშვიდე თავისთავად იქცევა დაძაბვად, მისგან უფრო მეტ შეშფოთებას იგრძნობთ.**

რა არის სიმშვიდე? ხიწყნარე?

ეს არის ღრმა გაგება, წვდომა — ფენომენის გაგება იმმხრივ, **რომ თუკი თქვენ რაიმეს (ერთს — მეორესთან შედარებით) უპირატესობას ანიჭებთ, მაშინ დაიძაბებით** და **მშფოთვარებას** იგრძნობთ, **თუნდაც უპირატესობას ანიჭებდეთ, იმჯობინებდეთ სიმშვიდეს, თქვენ დაძაბული იქნებით. გაიგეთ, შეიგრძენით ეს: როცა ამჯობინებთ — თქვენ იძაბებით; როდესაც არ ამჯობინებთ, უპირატესობას არ ანიჭებთ, ადგილი აქვს დაძაბულობა-მშფოთვარებას. თქვენ „ჯიშვეგული", დამშვიდებული ხართ, ხოლო როდესაც** დამშვიდებული ხართ, **თქვენი თვალები ხუფთა და კრიალაა, აღარ არიან მოღრუბლული** და **დანისლული ზმანებებისაგან** და **ფუჭი ოცნებებისაგან. გონებაში, ტვინში აზრები აღარ ირევა. თქვენ ხედავთ გამჭოლად, სიღრმისეულად, იხედებით მოვლენის არსში, ხოლო როდესაც ძალგიძთ დაინახოთ ჭეშმარიტება, — იგი გაგათავისუფლებთ. ჭეშმარიტება ათავისუფლებს.**

მაგრამ გააქეთეთ თუნდაც სულ მცირე განსხვავება, და ცა და მიწა უსასრულოდ დაიყოფა, უსასრულოდ დაცილდება ერთმანეთს.

პატარა განსხვავება, სულ მცირე არჩევანი, და თქვენ დაყოფილი, დარღვეული ხართ, აღარ არის მთლიანობა. მაშინ თქვენ გაქვთ სამოთხე და ჯოჯოხეთი და გაიჭყლიტებით მათ შორის.

თუ გსურთ იხილოთ ჭეშმარიტება, არ იქონიოთ აზრი რაიმეს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

იარეთ აზრის გარეშე. წადით შიშველი, უსამოსოდ, აზრის გარეშე ჭეშმარიტების შესახებ, რადგან ჭეშმარიტებას სძაგს ყოველგვარი აზრები. ხელი აიღეთ ყველა თქვენს ფილოსოფიაზე, თეორიაზე, დოქტრინაზე! გადააგდეთ მთელი ეს ნაგავი! წადით მშვიდად, არჩევანის გარეშე — თქვენი თვალები ხომ მზად არიან დაინახონ ისიც კი, რისი იმედიც არაფრით არ შეიძლება ჰქონდეს კაცს, დაინახონ ზოგიერთი სურვილის დაკმაყოფილება. ამბობენ, რომ გზა ჯოჯოხეთისაკენ მოკირწყლულია განზრახვებით, კარგი ზრახვებით, ზმანებებით, იდეალებით, ცისარტყელებით. სამოთხის გზა აბსოლუტურად ცარიელია, თავისუფალია.

მოიპოლეთ ეს ტვირთი!

რაც უფრო მაღლა გსურთ მოხვდეთ, მით უფრო ნაკლები უნდა იყოთ დატვირთული. თუ მიმალაიზე მიდიხართ, თქვენ მთლიანად უნდა განიტვირთოთ. ბოლოს, როდესაც მიაღწევთ გურიმანკარას, ევერესტს, ყველაფერი უნდა გადაყაროთ, — რადგან, რაც უფრო მაღლა მიდიხართ, მით უფრო ნაკლები წონა უნდა გქონდეთ. აზრები — ეს ტვირთია თქვენზე; ეს ფრთები არაა — ეს პრეს-პაპიეა. მოიშორეთ აზრები, თავი ანებეთ ყოველგვარ მჯობინებას, ერთთან შედარებით მეორისათვის უპირატესობის მინიჭებას:

თუკი გსურთ იხილოთ ჭეშმარიტება, არ იქო-

ხიოთ აზრები რაიმეს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

ნუ იქნებით ნურც თეისტი და ნურც ათეისტი, თუკი მართლა გსურთ იცოდეთ, რა არის ჭეშმარიტება. ნუ იტყვით „ღმერთი არსებობს", ნუ იტყვით: ის არ არსებობს, რადგან, რაც არ უნდა თქვათ თქვენ, ის იქცევა ღრმა სურვილად, და თქვენ მოახდენთ ყოველივეს პროეცირებას, რაც ამ სურვილშია დაფარული.

თუ თქვენ გსურთ იხილოთ ღმერთი, მსგავსად როგორც კრიშნისა ფლეიტით ტუჩებზე— ერთ მშვენიერ დღეს იხილავთ კიდეც მას. არა იმიტომ, რომ კრიშნა არსებობს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ გაქვთ სურვილის მარცვალი, რომლის პროეცირებასაც ახდენთ სამყაროს ეკრანზე. თუ გსურთ იხილოთ ქრისტე ჯვარზე, თქვენ მას იხილავთ. რაც არ უნდა მოისურვოთ, პროეცირებული იქნება — მაგრამ ეს მხოლოდ ზმანებათა სამყაროა; თქვენ არ უახლოვდებით ჭეშმარიტებას. **ძენი ამბობს, რომ ნათელხილვა შეიძლება მოხდეს ერთ მომენტში — რადგან საძმე ის კი არ არის, როგორ მივალწიოთ გზას, არამედ ის, როგორ მივცეთ საშუალება.** ეს ზუსტად ისეთია, როგორც სიზმარი, იგი იბრძვის თქვენს გულში, რათა გამოვიდეს, თქვენ არ აძლევთ საშუალებას, რადგან თქვენში ძალზე ბევრი აქტიურობაა ზედაპირზე.

როდისმე აღგინიშნავთ ის ფაქტი, რომ ბავშვების თითქმის 90% ღამით იბადება და არა დღისით? რატომ? პრინციპში ორმოცდაათი ორმოცდაათზე არ უნდა იყოს? რატომ „ირჩევენ" ისინი გაცილებით უფრო ხშირად ღამეს? და ეს თითქმის 90 პროცენტია! იმიტომ, რომ დედა არაცნობიერ მდგომარეობაშია, — იმ მდგომარეობაში, როცა ბუნებრივად, ძალდაუტანებლად აძლევს საშუალებას სიტუაციას განვითარდეს თავისთავად, თავისი გზით. ქალს სძინავს და ბავშვს ადვილად შეუძლია გამოვიდეს, ადვილად დაიბადოს. თუ მას ღვიძავს, თუკი ფხიზლობს მაშინ იგი თავის თავს ძალას დაატანს და ადგილი ექნება უკუმოქმედებას, საპირისპირო მოქმედებას. როდესაც დედა ფხიზლობს, იგი ყოველ ღონეს იხმარს იმისთვის, რომ დაძლიოს ტკივილი, ბოლო მოუღოს ამ მდგომარეობას და დაბადოს ბავშვი. და ყოველი ძალდატანება ბარიერია: იგი დაბრკოლებას ქმნის. რაც უფრო მეტს ცდილობს ქალი, მით უფრო ვიწროვდება გასასვლელი და ბავშვს არ შეუძლია გამოხვლა.

პრიმიტიულ საზოგადოებებში ქალები არ განიცდიან ტკივილს მშობიარობისას — საერთოდ არ გრძნობენ ტკივილს. და ეს საკვირველია. როდესაც დასავლურმა მედიცინამ პირველად გაიგო ეს — რომ არსებობს პრიმიტიული საზოგადოებანი, სადაც დედები საერთოდ არ განიცდიან ტკივილს, — მან ვერ დაიჯერა ეს. როგორ არისო შესაძლებელი ასეთი რამ! და შეამოწმეს. ჩატარებული იქნა მრავალი ექსპერიმენტი, მრავალი გამოკვლევა და დაადგინეს, რომ ეს დაკავშირებულია მათ არაცნობიერ მდგომარეობასთან — გაუცნობიერებლობასთან. ისინი გარეული ცხოველებივით არიან — არ არის ბრძოლა, იძულება, ძალდატანება; მათ არაფერი არ სურთ, უბრალოდ ემორჩილებიან, მიჰყვებიან დინებას. ისინი პრიმიტიულები არიან, არა აქვთ ძალიან ცნობიერი გონება.

რაც უფრო ცივილიზებულია ადამიანი, მით უფრო გაცნობიერებული, გავარჯიშებული ბუნება აქვს მას. რაც უფრო ცივილიზებულია, მით უფრო გავარჯიშებული აქვს ნებისყოფა. მისი არაცნობიერი უფრო და უფრო შორს და ღრმად მიდის და იქმნება შუალედი, მანძილი ცნობიერსა და არაცნობიერს შორის. თუ რაიმეს გაკეთებაა საჭირო, რაც არ უნდა ძნელი იყოს ეს, თქვენ გამოძებნით **საშუალებას, ცოდნას, როგორ** გააკეთოთ ეს. თქვენ შეგიძლიათ დაეუფლოთ **საშუალებას, ცოდნას, როგორ** გააკეთოთ ეს. თქვენ შეგიძლიათ დაეუფლოთ ტექნიკას. არიან სპეციალისტები, შეიძლება თქვენი გაწვალება, გაწვრთნა. მაგრამ ძენში არავის გაწვრთნა არ შეიძლება. ღმერთში არ არსებობენ სპეციალისტები და ავტორიტეტები. ისინი არ შეიძლება იქ იყვნენ, რადგან არსებითი ცოდნა, გაწვალება კი არ არის, არამედ თქვენი არსების მოდუნება, გათავისუფლება.

სენ-ცანი ამბობს:

ბრძოლა იმათ შორის, რაც გიყვარს და რაც არ გიყვარს,

ეს გონების, ტვინის ავადმყოფობაა.

როგორ დავძლიოთ გონების ავადმყოფობა?

არის თუ არა რაიმე ხერხი, საშუალება მისი დაძლევისა? არა, არ არის. საჭიროა უბრალოდ მასში ჩაწვდომა, მისი გაგება, საჭიროა განვჭვრიტოთ მისი „ფაქტობრივობა". საჭიროა უბრალოდ დავხუჭოთ თვალები და დავაკვირდეთ, ჩავუკვირდეთ ჩვენს ცხოვრებას, თვალი მივადევნოთ მას — და თქვენ შეიგრძნობთ სენ-ცანის ჭეშმარიტებას. — როდესაც შეიცნობთ ჭეშმარიტებას, ავადმყოფობა გაქრება. მისთვის არ არსებობს წამალი, რადგან თუ გეძლევათ წამალი — თქვენ იწყებთ წამლის შეყვარებას, მიჩვევას. მაშინ ავადმყოფობა გავიწყდებათ, მაგრამ წამლის მოთხოვნილება გექნებათ — და მედიტაცია იქცევა ავადმყოფობად. არა, სენ-ცანი არ აპირებს თქვენთვის რაიმე წამლის მოცემას, რაიმე მეთოდის მოწოდებას. ის არ აპირებს გირჩიოთ. იგი უბრალოდ, დაჟინებით მოითხოვს კვლავ და კვლავ, ათასჯერ და ათასმეერთედ იმის გაგებას, თუ როგორ შექმენით მთელი ეს არეულობა. მთელი ეს დოუხალი

თქვენ ირგვლივ. როგორ აღმოჩნდით ასეთ უბედურებაში, ასეთ გასაჭირში, არავის სხვას არ შეუქმნია ეს — ეს რაიმეს რაიმეზე მჯობინების, რაიმესადმი უპირატესობის მინიჭების (სხვებთან შედარებით), არჩევანისაგან გამოწვეული გონებრივი ავადმყოფობაა.

ნუ აირჩევთ — მიიღეთ ცხოვრება ისე, როგორც ის არის თავის ტოტალურობაში, თქვენ უნდა შეხედოთ მთლიანობას: სიცოცხლეს და სიკვდილს ერთად, სიყვარულს და სიძულვილს ერთად, ბედნიერებას და უბედურებას ერთად, აგონიას და ექსტაზს ერთად თავიანთ ერთიანობაში, მთლიანობაში და არა დაყოფილად, ერთმანეთისაგან გამოცალკევებულად. თუ თქვენ მათ თავიანთ ერთობლიობაში, მთლიანობაში ხედავთ, მაშინ სადღაა არჩევანი? თუკი ხედავთ, რომ ისინი ერთია, მაშინ საიდანღა იქნება არჩევა, არჩევანი? თუკი თქვენ ხედავთ, რომ აგონია სხვა არაფერია, თუ არა ექსტაზი, ექსტაზი სხვა არაფერია, თუ არა აგონია; რომ ბედნიერება — უბედურებაა, სიყვარული, — სიძულვილია, ხოლო სიძულვილი — სიყვარული — მაშინ სად არის არჩევანი, როგორღა შეძლებთ არჩევას? მაშინ არჩევანი, მჯობინება აღარ არსებობს.

ნუ უკუაგდებთ არჩევანს; თუ უკუაგდებთ მას, ეს უკვე არჩევანად იქცევა ამაშია პარადოქსი; ეს ნიშნავს, რომ თქვენ გააკეთეთ არჩევანი ან რაიმეს სახარგებლოდ, ან რაიმეს საწინააღმდეგოდ; ახლა თქვენი არჩევანი ტოტალურობისკენაა. თქვენ ახლა ტოტალურობას ემხრობით, დაყოფის, დაცალკევების საწინააღმდეგოდ — მაგრამ ავადმყოფობამ კვლავ იჩინა თავი. იგი ვერაგი რამაა. უბრალოდ ჩაწვდით, გაერკვიეთ — მაშინ თვითონ ჩაწვდომა, გაგება იქცევა უკუგდებად. ნურახდროს ნუ უკუაგდებთ. უბრალოდ, ჩაიცინეთ და ითხოვეთ ფინჯანი ჩაი.

სუტრა გზა სრულყოფილია

როდესაც არ არის გაგებული საგანთა
ღრმა აზრი,
გონება შფოთავს ამაოდ, ამაოდაა დამშვრალი.
გზა სრულყოფილია, როგორც უზარმაზარი
სივრცე,
სადაც არაფერია ნაკლები და არაფერია
ზედმეტი
სინამდვილეში კი, სწორედ ჩვენივე არჩევანია
გამო —
მივიღოთ თუ უარვყოთ, —
ჩვენ ველარ ეწვდებით საგანთა ჭეშმარიტ
ბუნებას.
ნუ ცხოვრობთ ნურც გარეშე ალაგების
დომხალში
და ნურც სიცარიელის შინაგან გაცდაში.
იყავით მშვიდად, აქტიურობა გაძლიერების
გარეშე
საგანთა ერთიანობაში, დაუყოფლობაში,
და ყოველგვარი მცდარი აზრი თავისით
გაქრება.
როდესაც თქვენ ცდილობთ შეაჩეროთ
აქტიურობა,
რათა მიაღწიოთ პასიურობას,
თვითონ თქვენი მცდელობა აღგაფსებთ
აქტიურობით.
ვიდრემდის რჩებით ერთ უკიდურესობაში
ან მეორეში,
თქვენ ვერასოდეს შეიცნობთ ერთიანობას,
მთლიანობას.
ისინი, ვინც არ იმყოფებიან ხოლოდ ერთ
გზაზე,
წააგებენ როგორც აქტიურობით, ასევე
პასიურობით,
მტკიცებითაც და უარყოფითაც.

ვიდრე ამ სუტრის განხილვას შევუდგებოდეთ, მცირე განმარტებას გავაკეთებთ.

ხულ რაღაც რამდენიმე წლის წინათ დასავლეთში ფრანგმა ჰიპნოტიზიორმა ემილ კოემ ხელახლა აღმოაჩინა ადამიანური გონების ერთ-ერთი უმთავრესი კანონი. მას უწოდა „საპირისპირო ეფექტის კანონი". დაოსა და ძენის მოძღვრების ამ ერთ-ერთ უძველეს სუტრაში სენცანი ლაპარაკობს ამ კანონის შესახებ. შეეცადეთ ჩაწვდეთ ამ კანონს და მაშინ გაგიადვილდებათ მისი გამონათქვამების გაგება.

მაგალითად, როდესაც არ გეძინებათ, რას აკეთებთ? ცდილობთ დაიძინოთ — თქვენ ძალას დაატანთ თავს, გააკეთებთ ამას და იმას; მაგრამ, რაც არ უნდა გააკეთოთ, ამას საპირისპირო ეფექტი ექნება; სწორედ ის, რაც გჭირდებათ, არ მოვა. მოხდება სწორედ საპირისპირო, რადგან ნებისმიერი აქტიურობა, ნებისმიერი ძალდატანება — ძილის საწინააღმდეგოა.

ძილი — მოდუნებაა. თქვენ არ შეგიძლიათ მისი გამოწვევა, არ შეგიძლიათ გააკეთოთ რაიმე იმისათვის, რომ ეს მოდუნება წარმოიქმნას. თქვენ არ შეგიძლიათ აიძულოთ, უბრძანოთ — ეს არ არის თქვენი ნებელობის, ნების ნაწილი. ძილი — არის მოძრაობა არაცნობიერში, ხოლო თქვენი ნებისყოფა სწორედ ცნობიერების ფრაგმენტია. როდესაც „მიეშურებით" არაცნობიერისაკენ, სიღრმეში, ის ნაწილი, რომელიც არის ცნობიერი, და ის, რომელიც ნებისყოფაა, რჩებიან ზედაპირზე. თქვენ არ შეგიძლიათ „თან წაიღოთ" თქვენი ზედაპირი სიღრმეში...

ამიტომ, როდესაც ძალას ატანთ თავს, რომ დაიძინოთ, ეს თვითგამანადგურებელია. თქვენ ისეთ რამეს აკეთებთ, რასაც სწორედ საწინააღ-

მდეგო ეფექტი ექნება, — ამ დროს უფრო ფხიზელი ხდებით. ერთადერთი გზა დაძინებისა არის ის, რომ არაფერი არ გააკეთოთ. თუ ძილი არ მოდის, ე. ი. ის არ მოდის, მოიცადეთ, არაფერი არ გააკეთოთ, თორემ უფრო განდევნით მას და წარმოიქმნება დისტანცია. უბრალოდ უცადეთ ბალიშზე: გამორთეთ სინათლე, დახუჭეთ თვალები, მოდუნდით და დაუცადეთ, როცა ის მოვა, ის მოვა. თქვენ არ შეგიძლიათ მიხი გამოწვევა ნებისყოფის რაიმე აქტით — ნებისყოფა — არაცნობიერის საწინააღმდეგოა.

ასეთი რამ მრავალგვარ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ხდება: სწორედ საწინააღმდეგო იქცევა თქვენი ძალვის, ნებისყოფის დაძაბვის რეზულტატად.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ, როდესაც გსურთ იყოთ წყნარი, მდუმარე? მდუმარება ხომ ზუსტად ძილივითაა. თქვენ არ შეგიძლიათ აიძულოთ იგი, თქვენ შეგიძლიათ, უბრალოდ, მისცეთ მას საშუალება, რომ... ის მოხდეს, განხორციელდეს, რა შეგიძლიათ ქნათ, როდესაც არ გსურთ იყოთ მდუმარე? თუკი რაიმეს მოიმოქმედებთ, თქვენ უფრო მდუმარე გახდებით, ვიდრე მანამდე იყავით.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ, როცა გსურთ იყოთ წყნარი, მშვიდი? ხიწყნარე, სიმშვიდე ხომ არაკეთებას ნიშნავს; თქვენ უბრალოდ მიცურავთ დინების მიმართულებით, უბრალოდ დუნდებით, მოეშვებით; და როდესაც მე ვამბობ „უბრალოდ მოეშვებით" — ეს ნიშნავს „უბრალოდ" — არავითარი მეთოდი არ არსებობს, რომ გამოიყენოთ ის მოდუნებისთვის, დაწყნარებისათვის, რადგან მეთოდი ნიშნავს, რომ თქვენ ისევ რაღაცას აკეთებთ

არსებობს წიგნი — თქვენ უნდა დაწყნარდეთ, დამშვიდდეთ! და ეს „უნდა" — დამშვიდების საწინააღმდეგოა. ეს „უნდა" არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ უფრო დაძაბული შეიქნებით. ასეთია საპირისპირო ეფექტის კანონი, ხელახლა რომ აღმოაჩინა ემილ კოემ. მან თქვა: „დაე, მოვლენები ხდებოდეს, მიმდინარეობდეს, ძალას ნუ დაატანთ, ნუ აიძულებთ მათ".

არის ისეთი მოვლენები, რომელთაც შეიძლება ძალა დავატანოთ — შეიძლება ძალდატანება მოვახდინოთ ყოველივე იმაზე, რაც მიეკუთვნება შეგნებულ, ცნობიერ გონებას. მაგრამ არის მოვლენები, ამბები, რომელთა ძალდატანება, იძულება შეუძლებელია. **ყოველივე იმაზე, რაც მიეკუთვნება არაცნობიერს, თქვენს შინაგან სიღრმეს, შეუძლებელია ძალდატანება.**

ეს ხშირად ხდება: თქვენ ცდილობთ გაიხსენოთ სახელი ანდა სახე, მაგრამ არ გახსენდებათ. თქვენ მაინც გრძნობთ, რომ იგი ენის წვერზე გადგათ. ეს გრძნობა ისეთი მძაფრია, რომ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ახლა გაგახსენდებათ — სახე ან სახელი, — და ცდილობთ გააკეთოთ ეს, მაგრამ, რაც უფრო მეტს ცდილობთ, მით უფრო ... გამოგდით. ის კი არადა, თქვენ იწყებთ [illegible] შეგრძნების არარეალურობაში, მაგრამ მთელი თქვენი არსება ამბობს", რომ ეს სახე თუ სახელი ენის წვერზე გადგათ. მაშ, რატომღა არ გახსენდებათ, თუკი იგი ენის წვერზე გადგათ? არ გახსენდებათ. გააკეთეთ, რაც გნებავთ, მაგრამ არ გაგახსენდებათ.

თქვენ გრძნობთ იმედის გაცრუებას, გეუფლებათ უიმედობა და თავს ანებებთ ყოველივე ამას. მიდიხართ ბაღში და იწყებთ მუშაობას. ანდა კითხულობთ გაზეთს და რთავთ რადიოს, უსმენთ მუსიკას — და უეცრად ის საძებნი, დავიწყებული ამოტივტივდება. რა მოხდა? იგი მიეკუთვნებოდა არაცნობიერს, იმყოფებოდა ღრმად თქვენს არსებაში და რაც უფრო მეტად ცდილობდით მის „გამოყვანას", მით უფრო ვიწროვდებოდა, მით უფრო „შფოთავდა" არაცნობიერი. იგი ქაოსად იქცა და ყოველივე მოუსვენრობამ მოიცვა. იგი — სახე თუ სახელი — ენის წვერზე გადგათ, მაგრამ თქვენ ძალიან აქტიურად ცდილობდით მის „გამოყვანას": — იყენებდით ნებისყოფას, ნებისყოფას კი არაფრის გამოყვანა არ ძალუძს თქვენი არსების სიღრმიდან. **ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ საშუალებას აძლევთ, თავს ძალას არ ატანთ.** და როდესაც თქვენ წახვედით პარკში ანდა ბაღში, შეუდექით კითხვას ანდა მუსიკის მოსმენას, როდესაც თავი ანებეთ ყოველივე მცდელობას და მეხსიერების წვალებას, — მეუსეულად ისიც გამოჩნდა!

ეს არის უკუეფექტის, საპირისპირო ეფექტის კანონი. არაცნობიერთან, დაიმახსოვრეთ, ნებელობა უსარგებლოა, უშედეგოა, და არათუ უსარგებლოა, არამედ აგრეთვე სახიფათო და მავნეა.

ლაო-ცზი, ჩუუან-ცზი, ბოდხიდხარმა, ხენცანი — საპირისპირო, უკუეფექტის კანონის ოსტატები არიან. სწორედ ამაშია განსხვავება იოგასა და ძენს შორის: იოგა ახდენს ყოველგვარ მცდელობას, ნებისყოფის დაძაბვას, ძენი კი ნებისყოფას არ ძაბავს. და ძენი უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე ყოველგვარი იოგა, თუმცა იოგა გვიზიდავს, რადგან — რამდენადაც ეს თქვენ გეხებათ — კეთება უფრო იოლია. რა ძნელი არ უნდა ჩანდეს, კეთება უფრო ადვილია, არ-კეთება — ძნელი. თუკი ვინმე ამბობს: არ გააკეთო არაფერი, — თქვენ დაბნეუ-

ლობა გიპყრობთ, „არაფერი არ გააკეთო", — ეს ყველაზე ძნელი რამეა. ასე არ იქნებოდა, რომ გესმოდეთ, რომ წვდებოდეთ. უდიდესი ამბავი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა თქვენ „არა ხართ". თუკი აკეთებთ რამეს, მაშინ თქვენ უნდა „იყოთ". სიზმარი მაშინ მოდის, როცა თქვენ არა „ხართ". ნათელხილვაც ამ წესით ხდება — იგი მოდის მაშინ, როცა თქვენ არა ხართ. მაგრამ თუკი რამეს აკეთებთ, — როგორ შეგიძლიათ არ იყოთ დამსწრე იმავე დროს? თუ რაიმეს აკეთებთ, თქვენ ესწრებით, თქვენ ხართ, მოქმედება „საზრდოობს" თქვენი თანდასწრებით, ყოფნით. როდესაც თქვენ არაფერს არ აკეთებთ, მოქმედებას აღარ გააჩნია მასაზრდოებელი — იგი უბრალოდ ქრება, კვდება, მას საერთოდ აღარ აქვს ადგილი და როცა იგი არ არის, მოდის სინათლე, ამიტომ ყოველივე ის, რასაც განზრახ აკეთებთ, ბარიერად იქცევა,

აი, ჩემი მედიტაციები. — შეასრულეთ ისინი! მაგრამ არა გამიზნულად, ნუ მოახდენთ მათ ფორსირებას, — დაე, თვითონ მოხდეს ეს, მიეცით მას საშუალება. ნუ შეეცდებით მათ მართვას, რადგან როდესაც მართავთ, თქვენ გაყოფილი ხართ: თქვენ ხდებით ორი — იყოფით ორად — მმართველი და მართული — სამართი. „იცურეთ" მედიტაციებში, ჩაიკარგეთ მათში, დაე, შეგიწოვონ მათ — მაგრამ განზრახვის გარეშე, რადგან, როდესაც ორად იყოფით, იმწამსვე იქმნება ჯოჯოხეთი და სამოთხე და მაშინ უზარმაზარი დისტანციაა თქვენსა და ჭეშმარიტებას შორის. ნუ მართავთ, მიეცით საშუალება მოვლენებს — „მოხდნენ" თავისით.

თუ თქვენ აკეთებთ კუნდალინის მედიტაციას — მაშინ დაუშვით რყევა, რხევა, მაგრამ თვითონ ნუ გააკეთებთ მას. იდექით წყნარად, განიცადეთ მისი „მოსვლა" და როდესაც თქვენი სხეული ცოტაოდენ ვიბრირებას დაიწყებს, ხელი შეუწყვეთ მას — მაგრამ არ გააკეთოთ ის! დატკბით ამით, შეიგრძენით მისგან მოგვრილი ნეტარება. ხელი შეუწყვეთ, საშუალება მიეცით, მიიღეთ, მაგრამ ნუ ინდომებთ მას, თუ თქვენ ფორსირებას ახდენთ — იგი იქცევა სავარჯიშოდ, სხეულებრივ, ფიზიკურ სავარჯიშოდ. მაშინ ადგილი ექნება რხევას, რყევას, მაგრამ მხოლოდ ზედაპირზე, იგი არ შეაღწევს თქვენში, თქვენს არსებაში, შინაგანად დარჩებით ქვასავით მყარი, სალი კლდისებური. თქვენ დარჩებით მმართავი, მკეთებელი და ვიბრირებული იქნება მხოლოდ თქვენგან მართული სხეული. საქმე სხეულში არ არის, საქმე თქვენშია.

დატკბით ამით, — მაგრამ ნუ იხურვებთ მას, ნუ გექნებათ მისი წადილი. გახსოვდეთ, როდესაც ძალას ატანთ, აიძულებთ რამეს, თქვენ არ შეგიძლიათ დატკბეთ. იძულება, ძალადატანება და ტკბობა ურთიერთგამომრიცხავია, ურთიერთხაწინააღმდეგოა, ისინი არასოდეს „თავსდებიან" ერთად, არასდროს ხვდებიან ერთმანეთს. თუ ძალადატანებას ახდენთ რამეზე, თქვენ არ შეგიძლიათ იმით ტკბობა.

მე შემოგთავაზებთ ორ რჩევას, რომლებიც სარგებლობას მოგიტანთ. ერთ-ერთი არის — ძილი: შეეცადეთ გაერკვეთ, როგორ წარმოიშობა ძილი, როგორ იძინებთ. თქვენ შეიძლება გქონდეთ რიტუალი, მაგრამ ეს რიტუალი არ წარმოშობს ძილს — იგი ვეხმარებათ. ყველას თავისი რიტუალი აქვს, პატარა ბავშვებს თავისი რიტუალი აქვთ, განსაკუთრებით კი პოზა, ყოველ ბავშვს თავისი პოზა აქვს — მაგალითად, მას შეუძლია პირში ჩაიდოს დიდი თითი. ის არ იწვევს ძილს, მაგრამ ეს ეხმარება ბავშვს — მან მოძებნა, იპოვა თავისი საკუთარი რიტუალი. მაგრამ თუკი მიჰყვებით ამ რიტუალს, თქვენ ვერ დაიძინებთ.

იგივე ითქმის მედიტაციის სხვა ტექნიკების შესახებაც — თითოეული პოულობს თავის რიტუალს. იგი გეხმარებათ; იმიტომ, რომ იგი გიქმნით კლიმატს: თქვენ რთავთ სინათლეს, ტკბებით სხვადასხვა სურნელებით, იცვამთ გარკვეული სიგრძისა და სიფაფუკის საგანგებო ტანსაცმელს; გაქვთ ასეთი თუ ისეთი ტიპის ხალიჩა, საგანგებო პოზა. ყოველივე ეს გეხმარებათ, მაგრამ ეს არ იწვევს მედიტაციას. თუკი ვინმე სხვა გააკეთებს იგივეს, ეს შეიძლება დაბრკოლებად იქცეს. ყველამ თავისი საკუთარი რიტუალი უნდა იპოვოს.

რიტუალი არსებობს იმიტომ, რომ დაგეხმაროთ, რათა თქვენ იყოთ მშვიდად და დაელოდოთ. როდესაც წყნარი და მშვიდი ხართ და ელით, — ეს ხდება. ღმერთი მოდის თქვენთან ზუსტად ისევე, როგორც ძილი; როგორც სიყვარული, თქვენ არ შეგიძლიათ უბრძანოთ, აიძულოთ, ძალა დაატანოთ მათ.

თქვენი ცხოვრება იქცა პრობლემად, რადგან ერთობ ბევრს გასწავლიდნენ, როგორ გეკეთებინათ ესა თუ ის საქმე. თქვენ გახდით ძალზე ეფექტური მექანიკურ საქმეებში, რადგან შესაძლებელია მათი გაკეთება; მაგრამ ამასთან გახდით აბსოლუტურად არაეფექტური ადამიანურ ამბებში, რადგან შეუძლებელია მათი მექანიკური დასწავლა, ტექნიკური შესრულება, თქვენ ვერ იქნებით მათი ეფექტური სპეციალისტი. თქვენ მიდიხართ გურუსთან, ამასთან, და იმასთან, რათა მიაგნოთ რაიმე ტექნიკას, რაიმე მანტრას, ისეთს, რათა, მიაღწიოთ ნათელხილვას. მაგრამ არ არსე-

ბობს მანტრა, რომელიც თქვენ ნათელმხილველად გაქცევთ.

აი მანტრა: სენ-ცანი ამბობს, რომ თქვენ უფრო ღრმად უნდა ჩაწვდეთ: უნდა იყოთ ნაკლებად მბრძანებელი, ნაკლებად ძალდამტანებელი და უფრო მიმშვები (მიუშვათ მოვლენები თავისი სვლით); ნაკლები ძალვა, ძალდატანება, მეტი ძალდაუტანლობა; მეტი მიყოლა, მიდევნება დინებისა.

ახლა შეეცადოთ ჩაწვდეთ სუტრას:

როდესაც ვერ ეწვდებით საგანთა ღრმა აზრს, გონება ამაოდაა დამშვრალი.

თუ თქვენ წვდებით, ერკვევით, მაშინ გეუფლებათ სიმშვიდე, თუ არ გესმით, ვერ ერკვევით, მაშინ გეუფლებათ შეცბუნება-უბერხულობის გრძნობა, დაძაბულობა და ტანჯვა-წვალება: როდესაც ვინმე წვალობს, ეს ნიშნავს, რომ მან ვერ გაიგო საგანთა არსი — საგანთა ღრმა აზრი. თქვენ კი განაგრძობთ გარშემომყოფთა დადანაშაულებას იმაში, რომ იმათ გამო იმყოფებით მტანჯველ მდგომარეობაში. აქ არავინ იტანჯება სხვათა გამო:

ერთხელ ჩემთან მოვიდა კაცი, ხუთი შვილის მამა, და მითხრა: ძალიან აღელვებული ვარ იმის გამო, რომ ჩემი ცოლი ილანძღება და ცდილობს უპირატესობა მოიპოვოს, იუფროსოს ოჯახში. ბავშვები არ მიჯერებენ. დედა დიდ ზეგავლენას ახდენს მათზე და ბავშვები მას უჯერებენ, მე კი არ მიგონებენ. მე არაფერს არ წარმოვადგენ და ვიტანჯები. დამეხმარეთ, გამოიჩინეთ გულმოწყალება და უფრო მეტი გაგება და გულისხმიერება შთაუნერგეთ ჩემს ცოლს.

მე ვუპასუხე: ეს შეუძლებელია. ჩემი ანდა სხვა ნებისმიერი ადამიანის გულმოწყალებითაც შეუძლებელია ვინმე უფრო გაგებული გავხადოთ. როდესაც თქვენ ითხოვთ სხვისგან გაგებას, ეს კარგავს ყოველგვარ აზრს. რატომ აქვს თქვენს ცოლს უპირატესობა? იმიტომ, რომ თქვენც უპირატესობის მოპოვებისთვის იბრძვით. თუ თქვენ არ იბრძოლებთ უპირატესობისათვის, მაშინ მასაც არ ექნება უპირატესობა. ეს ბრძოლაა იმიტომ, რომ თქვენ ესწრაფვით ერთი და იმავე მიზანს. რა არის ცუდი იმაში, რომ ბავშვები დედას უჯერებენ? მაგრამ გინდათ, რომ ბავშვები თქვენ გიჯერებდნენ — ბრძოლაც სწორედ ამიტომაა თქვენ შორის.

შეეცადეთ გაიგოთ, ჩაწვდეთ ამას!

ყოველი ადამიანი ცდილობს აჯობოს სხვას. ასეთია ეგოს ბუნება: გააკეთოს ყველაფერი, რომ სხვებს აჯობოს, სხვებზე წინ დადგეს —არის ეს სხვა ქმარი, ცოლი, ბავშვი თუ სხვა, ამას არა აქვს მნიშვნელობა. აჯობოს: მოძებნოს საამისო გზები და საშუალებები. და თუ ყოველი ცდილობს აჯობოს სხვას, და თქვენც ამის გაკეთებას ცდილობთ, მაშინ წარმოიქმნება ბრძოლა. ბრძოლა არსებობს არა იმის გამო, რომ სხვები ცდილობენ უპირატესობის მიღწევას — არამედ იმიტომ, რომ თქვენ არ ცდილობთ გაიგოთ, როგორ მოქმედებს ეგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაანებეთ ამას თავი!

სხვების შეცვლა შეუძლებელია. თქვენ ტყუილად გაბარჯავთ თქვენს ცხოვრებას, თუკი ეცდებით სხვათა შეცვლას. ეს მათი პრობლემაა: ისინი დაიტანჯებიან, თუკი არ ესმით. თქვენ რატომ იტანჯებით? — უბრალოდ გახსოვდეთ, რომ ყოველი ადამიანი ცდილობს მოიპოვოს უპირატესობა სხვაზე. თქვით თავს ვანებებ ამას. მე არ ვეცდები უპირატესობის მოპოვებას. — ამით ბრძოლა წყდება და წარმოიქმნება მშვენიერი რამ.

თუ თქვენ არ ცდილობთ ჯობნას, ცოლი სულელად გრძნობს თავს: ნელ-ნელა ატყობს, რომ სასაცილო მდგომარეობაში ვარდება: აღარ არსებობს ის, ვისაც უნდა ებრძოლოს. როდესაც იბრძვით, თქვენ აძლიერებთ სხვის ეგოს — ეს მანკიერი წრეა. თუ არ იბრძვით, მაშინ სხვა გრძნობს, რომ ის მარტო იბრძვის, ვაკუუმში, ებრძვის ქარს ანდა აჩრდილს. მაგრამ არა ვინმეს. და მაშინ თქვენ სხვასაც აძლევთ საშუალებას, დაინახოს, გაიგოს. მაშინ ცოლი ველარ შეძლებს თქვენზე გადმოიტანოს პასუხისმგებლობა — ისიც პასუხისმგებელი იქნება თავის მხრივ. პრობლემა ყველას ერთი და იგივე აქვს, რადგან ადამიანური ბუნება მოქმედებს ზოგადად, განსხვავება მხოლოდ ხარისხშია.

თუ თქვენ ცდილობთ ჩაწვდეთ, მაშინ მოცილდებით ამას, თავს დააღწევთ პრობლემას. ეს არ ნიშნავს იმას რომ სცილდებით ხაზოგადოებას, ხდებით ჰიპი, ანდა აპირებთ კომუნის შექმნას. საქმე ამაში როდია. ფსიქოლოგიურად თქვენ აღარ მონაწილეობთ ეგოს ამ თვისებების გამოვლინებებში, როგორიცაა ზეგავლენის მოხდენის, უპირატესობის სურვილი, აგრესია, ძალდატანება, გულისწყრომა. თქვენ უკვე აღარ ხართ ამის ნაწილი. წარმოქმნილია დისტანცია, დაშორება. თქვენ ახლა უკვე შეძელით ჩაწვდომა, ახლა უკვე გაგეცინებათ იმაზე, თუ რა სულელი და უგუნურია ადამიანი, თუ რა სასაცილო იყავით მუდამ.

რინძაიზე ჰყვებიან რომ დილით, როცა იღვიძებდა, იგი მუდერი ხმით იცინოდა — ისე ხმამაღლა, რომ მთელ მონასტერს, ხუთასი სანიასინისაგან რომ შედგებოდა, ესმოდა ეს. საღამოს, როდესაც დასაძინებლად მიდიოდა, იგი კვლავ ხმამაღლა იცინოდა. ბევრი ეკითხებოდა: რატომ? — მაგრამ იგი უბრალოდ იცინოდა და არ პასუხობდა. როცა კვდებოდა, ვიღაცამ ჰკითხა: ერთი შეკითხვა: გვითხარი, რატომ იცინოდი ყოველდღე, დილას და საღამოს, მთელი შენი ცხოვრებაა? არავინ იცის, რატომ, და როცა არ უნდა გვე-

კითხა, შენ ისევ იცინოდი. ეს ერთადერთი საიდუმლოა. გთხოვ, აგვიხსენი, ვიდრე შენი სული დატოვებს სხეულს.

რინძაინ თქვა: მე ვიცინოდი ამქვეყნის სისულელეზე. დილით ვიცინოდი, რადგან მაშინ მე კვლავ ვებმებოდი ცხოვრების ორომტრიალში, გარშემო კი ყველანი სულელები იყვნენ. საღამ. ოხ-კი იმიტომ ვიცინოდი, რომ დღე ასე კარგად გავიდა! ასე კარგად დამთავრდა!

თუ იცინებთ — თქვენ აღარ დაიტანჯებით! ყოველივე გარშემო, ყველაფერი მთლიანად ძალზე სასაცილოა, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ ამის შემჩნევა, რადგან ამის ნაწილი ხართ; ისე ხართ ჩათრეული ამაში, რომ არ შეგიძლიათ ამის დანახვა. ამას ვერ ჩაწვდებით, ვერ შეიცნობთ, თუკი ვერ მიაღწიეთ დისტანციას.

სენ-ცანი ამბობს. როდესაც ვერ ვწვდებით საგანთა ღრმა აზრს, გონება ამაოდაა დამაშვრალი.

თქვენ ვერაფერს აღწევთ, არაფერი გამოდის— უბრალოდ შეწუხებული და შეშფოთებული ხართ. რა გამოვიდა? რას მიაღწიეთ შფოთვით, დაძაბულობით, აღელვებით? ვინა ხართ თქვენ? ხაით მიდიხართ? არაფერია მიღწეული... ყოველივე ამაოა.

თუნდაც რაღაცა იყოს მიღწეული — შეიძლება გეგონოთ, რომ მღელვარებით, შფოთვით რაღაცას აღწევთ, — სინამდვილეში კი ვერაფერს აღწევთ. პირიქით, — კარგავთ ძვირფას დროს, მომენტებს, რომლებიც შეიძლება იყვნენ სანეტარო, მშვენიერებით აღსავსე. კარგავთ ძვირფას დროს, ენერგიას, ცხოვრებას, რომელსაც შეეძლო ბედნიერება მოეტანა თქვენთვის, სრულად განვითარებინა თქვენი უნარ-შესაძლებლობანი. მაგრამ ეს არ შეგიძლიათ. თქვენ მუდამ ფიქრობთ: ეს უმართებულო თვალსაზრისია; მთელი სამყარო არასარწმუნოა, მცდარია, და მე რომ შემეძლოს ყველა ადამიანის შეცვლა — ბედნიერი ვიქნებოდი.

თქვენ ვერასდროს ვერ იქნებით ბედნიერი, — არ შეგიძლიათ იყოთ ბედნიერი და ეს არის უბედურების საფუძველი. მაგრამ თუ თქვენ ერთხელ მიხვდით ამას — მაშინ იგრძნობთ, რომ მთელი სამყაროს შეცვლა უაზრობაა, ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, — ეს საკუთარი თავის შეცვლაა.

ბაიაზიდი, სუფიელი მისტიკოსი, თავის ავტობიოგრაფიაში წერს: როცა ახალგაზრდა ვიყავი, ღმერთს თხოვნას აღვუვლენდი ხოლმე. ჩემი მთავარი ლოცვა ასეთი იყო. მომანიჭე, შთამბერე ასეთი ენერგია, რომ შევძლო მთელი სამყაროს შეცვლა. ყოველივე არასწორად, მცდარად მეჩვენებოდა. მე რევოლუციონერი ვიყავი და მსურდა შემეცვალა სამყაროს სახე.

როდესაც უფრო ასაკოვანი გავხდი, ასე დავიწყე-ლოცვა: ეს, მგონი, ზედმეტია. ცხოვრება თვალხა და ხელს შუა მიქრება — თითქმის ნახევარი ცხოვრება გავლილ, მე კი არც ერთი ადამიანი არ შემიცვლია. მთელი მსოფლიო — ეს ძალიან ბევრია, ეს მეტისმეტია. ამიტომ მე შევთხოვე ღმერთს: ჩემი ოჯახიც საკმარისია. ნება მომეცი, შევცვალო ჩემი ოჯახი.

როდესაც მოვხუცდი, შევიცანი, რომ ოჯახიც კი ძალიან ბევრია — ვინ ვარ მე, რომ შევცვალო ისინი? მაშინ მივხვდი, რომ თუ მე შევძლებდი ჩემი თავის შეცვლას, ეს საკმარისი იქნებოდა, საკმარისზე მეტიც. ღმერთს შევევედრე: ახლა სწორ გადაწყვეტილებას მივაგენი. ნება მომეცი, ეს მაინც გავაკეთო. მინდა შევცვალო ჩემი თავი. ღმერთმა მომიგო: ახლა უკვე დრო აღარ დარჩა. შენ ეს თავიდან უნდა გეთხოვა. მაშინ იყო შესაძლებლობა.

ყოველი ადამიანი ბოლოს ითხოვს ამას. ის, ვინც ამას თავიდან ითხოვს, ჩაწვდა საგანთა ბუნებას. მას ესმის, რომ საკუთარი თავის შეცვლა არ არის მთლად უბრალო საქმე — თქვენ მთელი სამყარო ხართ, თქვენ შინაგანად ატარებთ მთელ სამყაროს. ყველაფერი, რაც არსებობს, არსებობს თქვენში, თქვენს შიგნით. თქვენ მთელი სამყარო ხართ, პატარა რამე არა ხართ. და თუ თქვენში შეიძლება მოხდეს ცვლილება, — ე. ი. მიაღწიეთ. თუ არა და —

როდესაც არ გეესმის საგანთა ღრმა აზრი,
გონება ამაოდაა დამაშვრალი.
გზა სრულია, როგორც უზარმაზარი სივრცე,
სადაც არაფრის ნაკლებობა არ არის, არც
არაფერია ზედმეტი.
სინამდვილეში სწორედ ჩვენივე არჩევანის
გამო— მივიღოთ თუ უარვყოთ,
ჩვენ ვეღარ ვწვდებით საგანთა ჭეშმარიტ
ბუნებას.
გზა სრულია, როგორც უზარმაზარი სივრცე,
სადაც არაფრის ნაკლებობა არ არის,
არაფერია ზედმეტი.

ყოველივე ისეა, როგორც უნდა იყოს. უბრალოდ, თქვენ უნდა მოეწყოთ, მიესადაგოთ ამ სამყაროს — ეს კი ასე არ არის. ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს: ამქვეყნად არაფერია ნაკლები და არაფერია მეტი.

შეგიძლიათ ჭარმოიდგინოთ უკეთესი სამყარო, ვიდრე ესაა? თუ თქვენ ბრძენი ხართ, მაშინ არ შეგიძლიათ ეს. თუ უგუნური ხართ, მაშინ შეგიძლიათ. არაფერი შეიძლება იყოს უკეთესი, ვიდრე სამყაროა სინამდვილეში. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ თქვენ ვერ მოეწყვეთ მასში, ვერ მოერგეთ ამ სამყაროს. მოერგეთ მას და გზა სრულყოფილი გახდება, როგორც უზარმაზარი სამყარო, ყოველივე მოწესრიგდება, არაფერი იქნება ნაკლები და არაფერი მეტი — ყველაფერი გაწონასწორდება. თქვენ ხართ ერთადერთი პრობლემა — სამყარო საერთოდ არ არის პრო-

ბლემა.

ამაშია განსხვავება პოლიტიკურ ჭკუასა და რელიგიურ ჭკუას შორის. — თქვენ კი ყველას პოლიტიკურრ ჭკუა გაქვთ.

პოლიტიკური ჭკუა ფიქრობს: მე სრულ წესრიგში ვარ, ჩემთან ყველაფერი რიგზეა; უსწორია, უწესრიგოა ყველაფერი სხვა, დანარჩენი სხვა. ამიტომ ის იწყებს სამყაროს, ქვეყნიერების შეცვლას — ლენინი, განდი, ჰიტლერი, მაო. პოლიტიკური ჭკუა ფიქრობს: ყოველივე მცდარია, ყოველივე არასწორია.

საუცხოო იქნებოდა, რომ ყოველივე სხვანაირად ყოფილიყო მოწყობილი. რელიგიური ჭკუა ფიქრობს: მხოლოდ მე ვარ მოუწყობელი. მხოლოდ მე არა ვარ წესრიგში. გარშემო ყოველივე სრულყოფილია, ისე, როგორც ეს შესაძლებელია რომ იყოს.

სრულყოფილია გზა,—როგორც უზარმაზარი სივრცე: არაფერია ნაკლები, არაფერია ზედმეტი. ყოველივე ისეა, როგორც საჭიროა — ყველაფერი გაწონასწორებულია. ღელავთ, შფოთავთ მხოლოდ თქვენ, მხოლოდ თქვენ არ იცით, საით წახვიდეთ, მხოლოდ თქვენ ხართ დაყოფილი, არამთლიანი. უბრალოდ ჩაუფიქრდით: თუკი ადამიანი გაქრება ამქვეყნიდან; სამყარო აბსოლუტურად სრულყოფილი იქნება — არ იქნება პრობლემები. პრობლემა ადამიანთან იჩენს თავს, რადგან ადამიანის წეს-ჩვეა — საგნებისა და მოვლენების ჭვრეტისა მცდარია, რამეთუ მას აქვს გონება. მისი გონება წარმოშობს სიძნელეებს. იმის გამო,რომ გონების ხმას აჰყოლიხართ, — თქვენ შეგიძლიათ დაყოთ ნივთები; თქვენ ამბობთ: ეს სწორია, ეს არასწორია, ეს მახინჯია, ეს კი ლამაზია. მაგრამ ეს გონება არ არის საკმარისი. თუ ეგო იხვეწება, მთლიანდება იგი, აღარ არის დანაწევრებული, მაშინ ყველაფერი კვლავ ეწყობა, წესრიგდება, ჰარმონიულდება.

ნიცშემ თქვა — მას კი ბევრი გამოკვლევა, მრავალი ზეშთაგონებითი აღმოჩენა ჰქონდა, — რომ ადამიანი ხიდია, იგი არ არის არსება. ის ხიდია: თქვენ არ შეგიძლიათ ააშენოთ სახლი ხიდზე. ეს არის ის, რასაც იესო ამბობს: „გაიარეთ იგი. ნუ აშენებთ მასზე სახლს — ეს მხოლოდ და მხოლოდ ხიდია". ნიცშეს გამონათქვამი ასეთია: „ადამიანი — ეს მხოლოდ ხიდია ორ უსასრულობას შორის: ბუნების უსასრულობასა და ღმერთის უსასრულობას შორის".

ყველაფერი წესრიგშია ბუნებაში, ყველაფერი წესრიგშია ღმერთში. ადამიანი კი ხიდია — იგი სწორედ შუაშია: ნახევრად ბუნება, ნახევრად ღმერთი. ამაშია სიძნელე: იგი გაყოფილია. წარსული ეკუთვნის ბუნებას, მომავალი კი ღმერთს. ახლანდელი დრო, აწმყო ბაგირია, ორ უსასრულობას შორის რომ არის გადაჭიმული. ხანდახან მოძრაობს ბუნებისკენ, ხანდახან კი ღმერთისკენ — ზოგჯერ ამგვარად, ზოგჯერ იმგვარად, ადგილი აქვს განუწყვეტელ მერყეობას და მღელვარებას, მუდმივ შფოთვას.

დაწყნარდით — და ერთ-ერთი გზა გამოჩნდება.

ჩუანგ-ცზი გვირჩევს: „მოვეწყოთ" კვლავ ბუნებაში— ამ შემთხვევაში, — ამბობს იგი,—თქვენ იქნებით ღმერთების დარად. თქვენ გახდებით ღმერთები, ბუდა არჩევს წინსვლას, რათა გახდეს ღმერთი — და მაშინ დაბრუნდება.

ან დაბრუნდით, ან წადით წინ ბოლომდე — მაგრამ ნუ გაჩერდებით ადგილზე. ეს ისეთი რამაა, რაც უნდა გავიცნობიეროთ — ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი: წინ მიდიხართ თუ უკან ბრუნდებით, თქვენ ერთსა და იმავე მიზანს აღწევთ. საქმე წინსვლაში ან უკან დაბრუნებაში როდია — საქმე იმაშია, რომ არ შეჩერდეთ ადგილზე, აქ ვიყოთ ხიდზე.

ლაო-ცზი, ჩუანგ-ცზი — ისინი გვირჩევენ დავბრუნდეთ ბუნებაში, ხოლო დაო, შანკარა, ბუდა, იესო — გვირჩევენ წინსვლას, ხიდის გავლას, ღვთაებრივის მიღწევას. ეს პარადოქსულად მოგვეჩვენება, მაგრამ ასე არ არის, რადგან ორივე ნაპირი — ეს ერთი და იგივეა, რადგან ხიდი, — ეს ნრეა. წინ მიდიხართ თუ უკან, ამას ირჩევთ თუ იმას, — თქვენ აღწევთ ერთსა და იმავე მიზანს, შემსუბუქების, შვების ერთსა და იმავე პუნქტს. ყური უგდეთ პატანჯალის სიტყვებს: მოქმედება — მცდელობა, გულმოდგინება, ნებისყოფა — და თქვენ იწყებთ წინსვლას. თუ გრძნობთ, რომ შეგიძლიათ ჩაწვდეთ შებრუნებული, უკუეფექტის კანონს, — და არა მხოლოდ ჩაწვდეთ, არამედ მისცეთ მას საშუალება განხორციელდეს, მოხდეს თქვენში, თქვენს შინაგან „მეში", მაშინ მიმყევით ხენ-ცანის შეგონებას, მოწოდებას: დაბრუნდით, მაგრამ არ გაჩერდეთ იმ ადგილზე, სადაც ხართ, რადგან თქვენ „გაიყოფით" ხიდზე. ველარ მიაღწევთ მთლიანობას. თქვენ არ შეგიძლიათ იგრძნოთ იქ შვება, არ შეგიძლიათ მოიწყოთ იქ სახლი. ხიდი—ეს არ არის საცხოვრებლის მოწყობის ადგილი. ხიდი არ არის მიზანი — ის ისეთი რაღაცაა, რომელსაც უნდა გავცდეთ.

ნიცშე ამბობს: ადამიანი არ არის არსება. ცხოველებს აქვთ ყოფიერება, ღმერთს აქვს ყოფიერება, ადამიანს კი ჯერ კიდევ არ გააჩნია იგი. იგი მხოლოდ და მხოლოდ „გადასასვლელია", „გადასასვლელი მდგომარეობაა", „გავლაა", „გადასვლაა" ერთი სრულყოფილებიდან მეორეში — იგი „გაყოფილია მათ შორის".

ხენ-ცანი დაბრუნებას გვთავაზობს. და თუ თქვენ შემეკითხებით, რომლის რჩევა უფრო ად-

ვილად შესასრულებელია — სენ-ცანისა თუ პატანჯალისა. მე ასე გიპასუხებთ: საბოლოოდ ერთი და იგივე ხდება. ბევრი ძალვა, დაძაბვა მიგიყვანთ დაუძაბველობამდე, გაძაბვამდე; ნებისყოფის დაძაბვის არქონაც დაუძაბველობამდე, განძაბვამდე მიგიყვანთ, რადგან ძალვა, ნებისყოფის დაძაბვა არასოდეს არ შეიძლება იყოს მიზანი, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ საშუალება. თქვენ არ შეგიძლიათ აგრძელოთ ნებისყოფის მუდმივი დაძაბვა — ძალ-ღონის დაძაბვას ახდენთ დაუძაბველობის მისაღწევად. პატანჯალისათვის ძალვა, ნებისყოფის დაძაბვა არის გზა, დაუძაბველობა კი მიზანი, დაძაბვა — საშუალებაა, დაუძაბველობა შედეგი. სენ-ცანისათვის დაუძაბველობა საშუალებაა და დაუძაბველობა არის მიზანი; პირველი ნაბიჯი — ბოლო ნაბიჯია; არ არის განსხვავება მიზანსა და საშუალებას შორის. მაგრამ პატანჯალისათვის განსხვავებაა — თქვენ მრავალი ნაბიჯი უნდა გააკეთოთ, ამიტომ პატანჯალისათვის ნათელხილვა თანდათანობითი იქნება. სენ-ცანისათვის ნათელხილვა დაუყოვნებლივია. სწორედ ამ მომენტშია, მეუსეულია. თუკი თქვენ შეგიძლიათ გაუგოთ, ჩაწვდეთ სენ-ცანს, მაშინ არაფერი იქნება მასზე უფრო საუცხოო. თუ ვერ გაუგებთ, მაშინ პატანჯალი— ერთადერთი გზაა.

გზა სრულია, როგორც უზარმაზარი სივრცე,
სადაც არაფრის ნაკლებობა არ არის და არც არაფერია ზედმეტი.
სინამდვილეში ჩვენი არჩევანის გამო —
მივიღოთ თუ უარვყოთ,
ჩვენ ველარ ვწვდებით საგანთა ჭეშმარიტ ბუნებას.

აი, რატომ არ შეგვიძლია ჩავწვდეთ საგანთა ჭეშმარიტ არსს — ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიღებთ ან უარვყოფთ. თქვენ შემოგაქვთ თქვენი იდეები, შეხედულებები, რაღაც წინასწარშექმნილი აზრები — და მაშინ ყველაფრის შეფერვას, შელამაზებას ახდენთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ყოველივე სრულყოფილია. უბრალოდ, წმინდად, კრისტალურად უნდა შეხედოთ — მზერა უნდა იყოს ყოველგვარი იდეის გარეშე, ნებისმიერი უარყოფის ანდა მიღების გარეშე. წმინდა მზერა, ყოველგვარი იდეური დატვირთვის, ჭკუის დატანების გარეშე ისე, თითქოს თქვენი თვალები — მხოლოდ სარკეა: ისინი არ ამბობენ, ეს „ლამაზია“, ის „სიმახინჯეა“. სარკე უბრალოდ უკუაფენს, ასახავს ყოველივეს, რაც მის წინ აღმოჩნდება — მას არა აქვს მსჯელობის, განსჯის უნარი. თუ თქვენს თვალებს უკან „არ მოჰყვება“ ჭკუა, თუ ისინი უბრალოდ სარკეებია, თუკი ისინი უბრალოდ იმზირებიან და არ „ამბობენ“: ეს კარგია, ის კი ცუდი; თუკი ისინი არ გმობენ და პატივს არ დებენ, მაშინ ყოველივე ისეთი სპეტაკი, წმიწდა და ფაქიზია, რომ შეტი არ შეიძლება და არაფრის გაკეთება არ არის საჭირო. ეს სისპეტაკეა, ეს მზერაა შეხედულებისა და წინასწარშექმნილი აზრის გარეშე და თქვენ გახდით ნათელმხილველი. მაშინ აღარ არსებობს პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას, ცხოვრება აღარ ჩანს გამოცანად. ეს მისტერიაა, რომელიც უნდა განვლო, იცხოვრო, რომლითაც უნდა დატკბე; ეს ცეკვაა, რომელიც უნდა შეასრულო, იცეკვო. ასეთ შემთხვევაში თქვენ არ იმყოფებით რაიმე კონფლიქტში ცხოვრებასთან— ამ დროს თქვენ უბრალოდ ტკბებით, ნეტარებთ. ეს არის ის, რასაც ჰქვია სამოთხე. თქვენგან არ ხდება საჭირო რაიმე მოქმედების განხორციელება და თქვენ არ ცდილობთ, „დაიმსახუროთ“, „მოიპოვოთ“ ნეტარება — აქ ნეტარება ბუნებრივია, თავისთავადია. ეს შეიძლება მოხდეს აქ და ახლა. ეს განიცადა სენ-ცანმა, ეს განვიცადე მე. ეს შეიძლება განიცადოთ თქვენ. თუკი ეს შეიძლება განიცადოს ერთმა — მაშინ ეს შესაძლოა განიცადოს ყველა სხვამაც.

ნუ ცხოვრობთ ნურც გარეშე საგანთა არეულობაში, და ნურც სიცარიელის შინაგან შეგრძნებებში, იყავით მშვიდად, აქტიურობის გაძლიერების გარეშე, საგნებთან და მოვლენებთან ერთიანობაში. და ასეთი მცდარი აზრები თავისთავად გაქრებიან.

ნუ დაჰყოფთ გარეგნულსა და შინაგანს. სენ-ცანი ამბობს: ნუ ინტერესდებით გარეგნულით.

არსებობს ადამიანთა ორი კატეგორია და ორივე კატეგორია უბედურია. ქ. გ. იუნგი კაცობრიობას ექსტრავერტებად და ინტრავერტებად ჰყოფს. ექსტრავერტები დაინტერესებული არიან გარეგნულით: ესენი ერისკაცები არიან, აქტიური ხალხია. ისინი მნიშვნელობას ანიჭებენ პრესტიჟს, საზოგადოებრივ მდგომარეობას, ხელისუფლებას, ძალაუფლებას, ისინი ხდებიან პოლიტიკოსები, სოციალური რეფორმატორები, დიდი ლიდერები, დიდი მრეწველნი. მათ აინტერესებთ გარეგნული, გარე სამყარო — მათ არ აინტერესებთ თავისი თავი, შინაგანი მე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობენ აგრეთვე ინტრავერტები. ესენი არცთუ ძალიან აქტიური ხალხია, თუ მათ სჭირდებათ რაიმეს გაკეთება — ისინი აკეთებენ ამას, მაგრამ არა აქვთ მიდრეკილება რაიმეს კეთებისა. ისინი ამჯობინებენ დარჩენას „დახუჭული თვალებით“, ხდებიან პოეტები, მისტიკოსები, ახდენენ მედიტაციას. მათ არ აინტერესებთ ეს ქვეყანა. აინტერესებთ მხოლოდ თავიანთი თავი. ისინი ხუჭავენ თვალებს და თავიანთ ენერგიას მიმართავენ შიგნით, სიღრმეში.

მაგრამ სენ-ცანი ამბობს, რომ არც ერთი და

არც მეორე მართალი არ არის, რადგან ისინი დაყოფას ახდენენ. ექსტრავერტი მუდამ იგრძნობს, რომ შინაგანად რაღაც გამორჩა. იგი შეიძლება გახდეს ძალიან ძლიერი, ძლევამოსილი ადამიანი, მაგრამ სულის სიღრმეში, შინაგანად მუდამ ექნება განცდა, რომ უმწეოა, უძლურია, უილაჯოა. მან შეიძლება დაგროვოს სიმდიდრე, შექმნას კეთილდღეობა, მაგრამ შინაგან სიღარიბეს გრძნობს. შეიძლება მან დიდ წარმატებას მიაღწიოს ამ ცხოვრებაში, მაგრამ ღრმად შინაგანად, თუკი ჰკითხავთ, იცის, რომ იგი დამარცხდა. ის არ არის გაწონასწორებული — მან ძალიან ბევრი ყურადღება დაუთმო გარეგნულს. ის ჩავარდა ერთ უკიდურესობაში, ხოლო როცა არის უკიდურესობა, არის დისბალანსიც.

ადამიანი, რომელიც იყო მოაზროვნე, პოეტი, მისტიკოსი, რომელიც მედიტაციებს ახდენდა, მუდამ იგრძნობს, რომ რაღაცა გამორჩა, რადგან ის არ არის მდიდარი გარე სამყაროში. და გარე სამყაროც საუცხოოა, მშვენიერია. მასში არის ყვავილები და ვარსკვლავები, მზის ამოსვლა, მიედინებიან მდინარეები და ჩუხჩუხებენ ჩანჩქერები. ასეთი ადამიანი ღარიბია, უბადრუკია, რადგან მან უარყო მთელი სამყარო. ხულ ტყუილად ცხოვრობდა ის თავის გამოქვაბულში, მაშინ როცა შეეძლო ჩაწვდომოდა მრავალ საიდუმლოს, მილიონ საიდუმლოებას გარშემო. ის ჩაკეტილში დარჩა, თავის თავში ჩაკეტილი, ტუსაღი, პატიმარი.

ეს ორი უკიდურესობაა. მოერიდეთ უკიდურესობებს — ნუ განასხვავებთ გარეგნულსა და შინაგანს. ნუ გახდებით ერთ-ერთი იუნგისეული ტიპი — ექსტრავერტული, ანდა ინტრავერტული.

სენ-ცანი ამბობს: „იყავით „დენადი", გაწონასწორებული". გარეგანი და შინაგანი — ზუსტად ისევეა, როგორც მარჯვენა და მარცხენა ფეხი, რატომ უნდა ამოვირჩიოთ ერთი? თუ თქვენ ირჩევთ ერთ-ერთს — მთელი მოძრაობა ჩერდება. ისინი ისე არიან, როგორც ორი თვალი: თუ ირჩევთ ერთს, მაშინ შეძლებთ ხილვას. მაგრამ თქვენი მხედველობა ხამგანზომილებიანი აღარ არის, დაკარგულია სიღრმე. თქვენ ორი ყური გაქვთ: თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ერთით, მაგრამ მაინც ყოველთვის აგებთ, რადგან აქაც საქმე გვაქვს დისბალანსთან, ნახევარი სამყარო თქვენთვის დახურულია. შინაგანი და გარეგანი ზუსტად ისევეა, როგორც ორი თვალი, ორი ყური, ორი ფეხი. რა საჭიროა არჩევა? რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ისინი, არჩევანის გარეშე? რად უნდა დავყოთ და ვაცალკევოთ? თქვენც ხომ მთლიანი, ერთიანი ხართ? მარჯვენა და მარცხენა ფეხი მხოლოდ ვლინდება, წარმოჩნდება როგორც ორი — თქვენ არსებობთ „მიედინებით" ორივეს შიგნით, ორივეში: იგივე ენერგია, იგივე ყოფა. თქვენ იყურებით ორივე თვალით, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ გარეგნული და შინაგანი? რატომ არ უნდა გავაწონასწოროთ ისინი? — რატომ ჩავვარდეთ უკიდურესობაში? დაიმახსოვრეთ, მხოლოდ ხალხი კი არ ჩავარდა უკიდურესობაში, არამედ საზოგადოებაც. აღმოსავლეთი ინტრავერტული დარჩა — ამის შედეგია მისი სიღარიბე.

მილიონობით ადამიანი კვდება ყოველდღიურად, ხოლო ისინი, ვინც ცოცხალია, დაუძლურებული და დაძაბუნებულია. ვინ არის პასუხისმგებელი ამაზე? ინტრავერტები — მისტიკოსები, პოეტები: ისინი ძალიან ბევრს ლაპარაკობენ შინაგანზე და უარყოფენ გარეგნულს. ზოგიერთი ამბობს: გარეგნული — ეს საჩვენო საქმე არ არის. ზოგიც ასე: „გარეგნული მცდარია", ანდა „გარე სამყარო — ეს არის ის, რაც უნდა გავიცხოთ, იცხოვრეთ შინაგანით". ისინი ხოტბას ახხამენ შინაგანს, უფრო მაღლა აყენებენ მას და ბალანსიც იკარგება.

აღმოსავლეთმა შექმნა ინტრავერტობა — მაგრამ დაიკარგა გარეგნული ხილამაზე. თქვენ ხედავთ აღმოსავლეთში ყველგან ჭუჭყსა და სიბინძურეს, მე ვიცი, თუ რა ძნელია დასავლელი ადამიანისათვის — ჩამოვიდეს და იცხოვროს ინდოეთის ჭუჭყსა და ნაგავში. რატომ არის აქ ამდენი სიბინძურე, ამდენი ავადმყოფობა, ავადმყოფური მოვლენები, უძლურება და სიბინძურე? — იმიტომ, რომ უგულებელყვეს გარეგნული, გარე სამყარო. ჩვენ დაინტერესებული ვართ შინაგანის განწმენდით — რაღაზე ვინერვიულოთ გარეგანი ჭუჭყის გამო? იყოს ეს მატერიალური, არაა საჭირო ნერვიულობა. ჩვენ დაინტერესებული ვართ „შინაგანი სისუფთავით, სულიერი სიხეტაკით"— რაღატომ ვიზრუნოთ სხეულზე? რაღაზე ვიზრუნოთ სხვებზე?

რეზულტატი ასეთია: აღმოსავლეთი გაწონასწორებლობის ერთი სახეა, დასავლეთი — მეორე სახეა, იგი ექსტრავერტულია. დასავლეთმა შექმნა ისეთი კეთილდღეობა როგორიც ადრე არასოდეს ყოფილა; მრავალი გარეგნული სისუფთავე, სამოსი, რომლისაც იმპერატორებსაც კი შეშურდებოდათ; საუკეთესო საჭმელ-სასმელი, საუკეთესო ჰიგიენური პირობები, საუცხოო გარემო — მაგრამ ყოველივე ექსტრავერტულია. შინაგანი ყოფა კი უბადრუკია, შინაგანი სამყარო ცარიელია. სწორედ ამიტომ აღმოსავლეთი აგრძელებს დასავლეთის სწავლებას შინაგანი სამყაროს ასპექტში. აღ-

მოსავლელი გურუები განაგრძობენ დასავლეთის სწავლებას, როგორ მოახდინონ მედიტაცია, ხოლო დასავლელი გურუები ასწავლიან აღმოსავლეთს, როგორ გახდეს საუკეთესო ინჟინრები, ელექტრიკოსები, როგორ დაგეგმონ უკეთ ქალაქები, როგორ გაუმჯობესონ პირობები, როგორ განავითარონ ტექნოლოგია, როგორ აიმაღლონ ცხოვრების დონე. სწორედ ამიტომ, თუ თქვენ გსურთ შეისწავლოთ მედიცინა — უნდა გაემგზავროთ დასავლეთში; თუკი გსურთ შეისწავლოთ, როგორ ხდება მედიტაცია, უნდა გაემგზავროთ აღმოსავლეთს.

მაგრამ ესეც და ისიც უკიდურესობებია — და ორივე სახიფათოა. უკიდურესობები მუდამ სახიფათოა. ხიფათი იმაშია, რომ ჩარხი შეიძლება შეტრიალდეს — აღმოსავლეთი შეიძლება გახდეს მატერიალისტური, ხოლო დასავლეთი სპირიტუალისტური. ეს ალბათ მოხდება კიდეც, რადგან აღმოსავლეთი ხდება კომუნისტური, — ეს მატერიალიზმის უკიდურესობაა, ხოლო დასავლეთი კი ძალზე სპირიტუალისტური. აქ საშიშროება იმალება: შეიძლება ჩარხი შეტრიალდეს იმის გამო, რომ თქვენ მოგბეზრდათ გარე სამყარო, გსურთ „შესვლა" შინაგან სამყაროში, გესაჭიროებათ შინაგანი, შიგა მოგზაურობა.

თქვენ შეგიძლიათ შეუდგეთ შიგა მოგზაურობას... შეხედეთ ჰიპებს — ეს დასავლეთის მომავალია. ისინი ტექნოლოგიის მოწინააღმდეგენი არიან, — ისინი — ინტრავერტულები არიან, იმავე ტიპი, რომელმაც გაავხო მთელი აღმოსავლეთი, კატასტროფული რომ აღმოჩნდა აღმოსავლეთისათვის. ჰიპი ტექნოლოგიის მოწინააღმდეგეა, გარეგნული სისუფთავის წინააღმდეგი — შეუძლებელია იპოვნოთ მათზე უფრო ჭუჭყიანი ხალხი; ისინი არ იღებენ აბაზანას, არ იცვლიან ტანსაცმელს. ისინი ამბობენ, რომ ეს გარეგნული საგნებია, თვითონ კი შინაგან მოგზაურობაში არიან; მათ აინტერესებთ მედიტაცია, მაგრამ არ აინტერესებთ სანიტარია.

არა! — იგივე სიხულელე, იგივე უკიდურესობა, იგივე დაპირისპირებულობა. ეს მიმზიდველია. როდესაც თქვენ იცხოვრეთ ერთ უკიდურესობაში, ჭკუა ამბობს: წადი მეორე უკიდურესობაში, რადგან ეს არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი; ეს უკიდურესობა ამაო აღმოჩნდა — სწორედ ამიტომ წადი საპირისპიროში. მაგრამ გახსოვდეთ: ერთი უკიდურესობიდან მეორეში წასვლა ადვილია, მაგრამ უკიდურესობანი არასდროს არ აკმაყოფილებენ ადამიანს. შეხედეთ აღმოსავლეთს — შინაგანი უკიდურესობაც ვერ იქნა დაკმაყოფილებული, ისიც ამაო აღმოჩნდა. ეს არ არის გარეგნულისა და შინაგანის საქმე — ეს ბალანსის საქმეა. ბალანსი იგებს, დისბალანსი აგებს.

გარეგნული და შინაგანი ორგვარი, ორი არ არიან. სად თავდება გარეგნული და სად იწყება შინაგანი, შეგიძლიათ განსაზღვროთ, გამიჯნოთ, ზღვარი გაავლოთ მათ შორის? შეგიძლიათ თქვათ: აქ თავდება გარეგნული და იწყება შინაგანი? სად? ანინი განუყოფლები, ერთნაირი არიან — გაყოფა გონებისგან, ჭკუისგან ხდება. შინაგანი და გარეგნული ერთიანია. გარეგნული — მხოლოდ გაფართოებული შინაგანია; შინაგანი — მხოლოდ შეღწევადი გარეგნულია. ისინი ერთიანია, მთლიანია, — ორი ხელი, ორი ფეხი, ორი თვალი ერთი არსებისა.

არის თუ არა გარეგნული უღმერთოდ? ე. ი. ღმერთის გარეშე? ეს შეუძლებელია, რადგან არაფერი შეიძლება იყოს გარეგნული ღმერთისათვის, არაფერი შეიძლება იყოს მის გარეშე. მთლიანი უნდა შეიცავდეს გარეგნულსა და შინაგანს. სენ-ცანიც ამას ამბობს, იგი ამბობს:

ნუ ცხოვრობთ გარეგან საგანთა არეულობაში.

ნურც სიცარიელის შინაგან შეგრძნებებში,

იყავით მშვიდად, აქტიურობის გაძლიერების გარეშე.

საგნებთან ერთიანობაში,

და ასეთი მცდარი აზრები თავისთავად გაქრებიან.

ხალხი მოდის ჩემთან — ჭკუა კი ასე „ეშმაკია" — მოდიან და მეუბნებიან: „ჩვენ მივიღებდით სანიასს — მაგრამ ჩვენ გვსურს შინაგანი სანიასი, არა გარეგნული. და ასე ამბობენ: რა საჭიროა გარეგნული? დაე, ეს იყოს მხოლოდ შინაგანი! მათ არ იციან, რას ამბობენ. სად იწყება შინაგანი?

როდესაც მიირთმევთ საჭმელს, თქვენ არასდროს ამბობთ: „დაე, ის იყოს შინაგანი". როდესაც თქვენ გწყურიათ და სვამთ წყალს, არასოდეს ამბობთ: „დაე, ეს იყოს შინაგანი". წყურვილი შინაგანია, — მაშ, რაღაზე დავლიოთ გარეგანი წყალი? მაგრამ სად თავდება წყალი და სად იწყება წყურვილი? რადგან, როდესაც წყალს სვამთ, წყურვილი ქრება, ეს კი ნიშნავს, რომ არის შეხვედრა — გარეგნული წყალი სადღაც ხვდება შინაგან წყურვილს, სხვანაირად ის (წყურვილი) როგორღა გაქრებოდა? თქვენ ამბობთ შიმშილს და მიირთმევთ საჭმელს. საჭმელი — გარეგნულია, შიმშილი კი შინაგანი; რა საჭიროა შინაგანი შიმშილისათვის გარეგნული საჭმლის მიღება? რა საჭიროა ასეთი სიხულელე? —მიიღეთ რაიმე შინაგანი. მაგრამ არ არსებობს შინაგანი საჭ-

მელი. შიმშილი —შინაგანია, საჭმელი —გარეგნული, მაგრამ სადღაც საჭმელი შედის შიგნით, ის ცვლის ტერიტორიას, ის ხდება თქვენი სისხლი, თქვენი ძვლები, ხდება ზუსტად ის ნივთიერება, რომლისგანაც შედგება თქვენი ჭკუა — ის ხდება თქვენი აზროვნება. საჭმელი ხდება თქვენი აზრი. და თუ საჭმელი ხდება თქვენი აზრი, დაიმახსოვრეთ, იგი ასევე გახდება თქვენი არ-აზრი. საჭმელი ხდება თქვენი ჭკუა, მედიტაცია. შეგიძლიათ მედიტაცია მოახდინოთ ჭკუის, გონების გარეშე? ჭკუის გარეშე — როგორ გახდებით არ-ჭკუა? ფიქრის გარეშე როგორ მოიშორებთ ფიქრს? ჭკუა — ეს ძალიან ფაქიზი, ნატიფი საჭმელია; არა-ჭკუა, არა-ფიქრი — ეს უფაქიზესი, უნატიფესი საჭმელია. მაგრამ ისინი განუყოფლები არიან.

სწორედ ამიტომ, როდესაც თქვენ გსურთ მიიღოთ სანიახი, თვითონ ფერიც კი ცვლის ტერიტორიას — ის იწყება გარეგანიდან და ნელ-ნელა აღწევს სილრმეში. ის ახდენს მთელი თქვენი არსების შეფერვას. თვითონ ტანსაცმელიც ახდენს თქვენი სულის შეფერადებას. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან გარეგნული და შინაგანი ერთიანია, მოლიანია. უბრალო უესტიც კი — ის გარეგნული ჩანს — თვითონ არსებიდან მოდის — ის იქიდან მოდის! დაიმახსოვრეთ არ ითამაშოთ ეს თამაში: ნუ ჰყოფთ არსებობას, მისი გაყოფა არ შეიძლება.

როდესაც გიყვართ ადამიანი, თქვენ გსურთ მოეხვიოთ მას; თქვენ არ ეტყვით: „მე მიყვარხარ შენ, მაგრამ მე შენ მიყვარხარ შინაგანად". აქ იყო ერთი მსუქანი გოგონა — ძალიან, ძალიან მსუქანი. მან მიამბო, რომ მას მხოლოდ ერთი მეგობარი ვაჟი ჰყავს, რომელიც ასე ეუბნებოდა: „მე მხოლოდ შენი სული მიყვარს და არა სხეული". ქალი ძალიან შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს: რადგან, როდესაც ეუბნებით ადამიანს, თქვენი სული მიყვარსო, რას ნიშნავს ეს? როდესაც გიყვართ ადამიანი, — გიყვართ ტოტალურად, თქვენ არ შეგიძლიათ გაყოფა, დაყოფა, თუ არადა, მაშინ ეს ეშმაკობაა, ეშმაკური ხერხია. ხინამდვილეში იმ ვაჟს არ უყვარს გოგონა, — ის თამაშობს: მას სურს უთხრას: „მე შენ არ მიყვარხარ", — მაგრამ ამის თქმა არ შეუძლია.

თუკი თქვენ არ გსურთ მიიღოთ სანიახი, ნუ გააკეთებთ ამას — ოღონდ ნუ ითამაშებთ, ნუ ეშმაკობთ, თავს ნუ იტყუებთ და ნუ ამბობთ ასე: „ეს გარეგნულია, მე კი მსურს რაიმე შინაგანი".

არსებობისას გარეგნული ხვდება შინაგანს, შინაგანი კი გარეგნულს. ეს ერთი არსების ორი მხარეა. და ... ერთ ჩიტს არ ძალუძს იფრინოს ერთი ფრთით — არც ერთ არსებას არ ძალუძს გაიზარდოს ერთი ფრთით — ორივე აუცილებელია. ეს ... საჭიროებს ღმერთს ... რამდენადაც ღმერთი საჭიროებს ... ამ სამყაროს არ ძალუძს ... ღმერთის გარეშე, — ამასთან არც ღმერთს ძალუძს არსებობა ამ სამყაროს გარეშე.

მე მიყვარს ერთი რაბინი, მისი სახელია ბაალ შემი — ებრაელი მისტიკოსი, ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ნათელმხილველი ებრაელი. იგი ჩვეულებრივ ასე ამბობდა ხოლმე ყოველი მორიგი ლოცვისას: გახსოვდეს, ისევე როგორც შენ მჭირდები მე, ასევე შენ გჭირდები მე. აბა რა იქნები ბაალ შემის გარეშე? იგი ჩვეულებრივ ასე ეუბნებოდა ღმერთსა, შენ მჭირდები მე და მეც გჭირდები შენ, აბა რას იზამ ბაალ შემის გარეშე? ვილა ილოცებს? მიუხვდით მას, მას გაეგება რაღაც, ის მართალია. გარეგნულისთვის აუცილებელია შინაგანი, რადგან შინაგანი სხვა არაფერია, თუ არა პერიფერიის ცენტრი.

შეიძლება თუ არა არსებობდეს ცენტრი პერიფერიის გარეშე? შეიძლება იყოს პერიფერია ცენტრის გარეშე? როგორ შეიძლება იყოს ცენტრი მიდამოს, გარემოს გარეშე? თუ თქვენ გაქვთ ცენტრი, — თუ თქვენ მას ცენტრს უწოდებთ, სწორედ იმავე მომენტში წარმოჩინდება მიდამო. ანდა როგორ შეიძლება არსებობდეს მიდამო, თუკი არ არის ცენტრი? — ცენტრი შესაძლოა უხილავი იყოს, მაგრამ ის არსებობს, თუ არადა, მიდამოც, გარემოც არ იქნებოდა. შემდეგ, თუ თქვენ შეხედავთ, დაინახავთ, სწორად და ღრმად, მიდამო — სხვა არაფერია, თუ არა გაფართოებული ცენტრი; ცენტრი კი სხვა არაფერია, თუ არა კონდენსირებული მიდამო, მიდამო ჩანასახში, როგორც მარცვალი.

ნუ ცხოვრობთ გარეგან არეულობაში,
ნურც სიცარიელის შინაგან შეგრძნებებში.
იყავით მშვიდად, აქტიურობის გაძლიერების გარეშე,
საგნებთან ერთიანობაში,
და ასეთი წცდარი აზრები თავისთავად გაქრებიან.
როდესაც ცდილობთ შეაჩეროთ აქტიურობა,
რითა მიაღწიოთ პასიურობას,
თვითონ თქვენი მცდელობა, მონდომება გაუსებთ თქვენ აქტიურობით.
ეს — უკუეფექტის კანონია.
ვიდრემდის რჩებით ერთ უკიდურესობაში ანდა მეორეში,

თქვენ ვერასდროს ჩასწვდებით საგანთა ერთიანობას და მთლიანობას.

ისინი, ვინც არ დაადგებიან ერთადერთ, მარტოოდენ ერთ ჭეშმარიტ გზას,

წაგებენ როგორც აქტიურობაში, ასევე პასიურობაში, დადასტურებაშიც და უარყოფაშიც.

ნუ ეცდებით იყოთ პასიური, რადგან დაძაბვა, ძალვა განეკუთვნება აქტიურობას. არავის შეუძლია მცდელობა იყოს პასიური. მაშ რალა ვქნათ? იყავით აქტიური — ტოტალურად და მაშინ „მოვა" პასიურობა —აჩრდილი, ის უნდა „მოვიდეს". იფიქრეთ სრულიად— და მაშინ იქნება არ-ფიქრი. თქვენ არ შეგიძლიათ უკუაგდოთ ფიქრი, ფიქრის დინება, არ შეიძლება იქნას უკუგდებული რაიმე დაუსრულებული. სინამდვილეში დასრულებული ავტომატურად იხსნება, თავისთავად უკუიგდება.

იყავით აქტიურები — აქტიურობა თავისთავად წარმოშობს სიტუაციას, რომელშიც ხდება პასიურობა. თუ თქვენ მთელი დღე აქტიური ხართ. ტოტალურად აქტიური ხართ ყველაფერში, რასაც აკეთებთ: იქნება ეს ორმოს თხრა ბაღში, თუ მუშაობა ქარხანაში, ან მაღაზიაში, თუ სწავლება სკოლაში — რასაც არ უნდა აკეთებდეთ, გააკეთეთ ტოტალურად. და მაშინ, შებინდებისას, როდესაც ჩადის მზე, თქვენ დაგეუფლებათ პასიურობა, ეს პასიურობა საუცხოოა, ისეთივე მშვენიერი, როგორც აქტიურობა. არჩევანი საჭირო არ არის — ერთიც და მეორეც შესანიშნავია — ორივე აუცილებელია.

ნუ ცდილობთ იყოთ პასიური — როგორ უნდა ეცადოთ იყოთ პასიური? თქვენ შეიძლება იჯდეთ, როგორც ბუდა, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ ზედაპირული პასიურობა, სულის სიღრმეში კი თქვენ შეშფოთებული იქნებით და ძლიერ აგზნებული. ამ დროს თქვენ ვულკანივით ხართ. შეიძლება ამოიფრქვეთ, იფეთქოთ ნებისმიერ მომენტში. შესაძლოა აიძულოთ სხეული და იქნეთ წყნარად, მაგრამ როგორ შეგიძლიათ აიძულოთ არსება? — იგი თავისას შვრება და აგრძელებს. აი, რატომ არ ძალგიძთ, რომ შეაჩეროთ ფიქრის დინება. ხალხი ზის ძაძენში (ძენის მედიტაცია) ოცი-ოცდახუთი წელიწადის განმავლობაში; სხედან შეუწყვეტლად ექვს-ექვსი საათი, ცდილობენ აიძულონ გონება უმოქმედოდ იყოს — ის კი აგრძელებს მუშაობას, მუშაობას და მუშაობას.

აქედან გამომდინარობს ჩემი აქცენტი აქტიურ მედიტაციებზე — ეს ბალანსია.

თავიდან იაქტიურეთ იმდენად სრულად, მთლიანად, რომ პასიურობა თავისთავად მოჰყვეს ამას. როდესაც მთელი ენერგია მოქმედებაშია, თქვენ დასვენება გსურთ; თუ თქვენ ენერგიას არ ხარჯავდით, როგორღა დადგება დასვენების ქამი? ლოგიკა გიკარნახებთ რაიმე აბსოლუტურად საპირისპიროს. ლოგიკა შემოგთავაზებთ დაისვენოთ მთელი დღე, რათა ღამით კარგად მოსვენება შეძლოთ.

ერთხელ მოლა ნასრედინი თავის უქიმთან მივიდა. ოთახში ხველებით შევიდა. ექიმმა ჰკითხა: კიდევ ახველებ? მაგრამ მგონი, ახლა უკეთ ხარ. ნასრედინმა უპასუხა: ასეც უნდა იყოს, მე ხომ ანას მთელი დღე ვაკეთებდი, ვვარჯიშობდი.

თუ თქვენ ცდილობთ დაისვენოთ მთელი დღე — ნუ მოელოდებით ნურავითარ ძილს ღამით. დასვენების პრაქტიკა აღარ მოგიტანთ დასვენებას, ის გამოიწვევს აქტიურობას და მაშინ, იწვებით რა ლოგინში, თქვენ მოჰყვებით ფიქრს და საწოლში ტრიალს, რასაც მთელი ღამე მოანდომებთ; ბოლო თუკი მაინც აიძულებთ სხეულს, მაშინ მას გონება შესცვლის — თქვენს ტვინს დატანჯავს კოშმარები.

არა! ბრძენი კაცი ბალანსირებას ახდენს. მან იცის, რომ თვითონ ცხოვრება ახდენს ბალანსირებას. თუ თქვენ რაიმეს აკეთებთ, მაგრამ ისე ტოტალურად, რომ აღარაფერი არ რჩება— მთელი ენერგია ტკბება აქტიურობით და მაშინ დასვენება ავტომატურია, მაშინ ამას დასვენება მოჰყვება. როდესაც თქვენ ტკბებით დასვენებით, ნეტარებით ისვენებთ, მაშინ ამას მოჰყვება აქტიურობა, რადგან, როდესაც ისვენებთ, გაგროვდებათ ენერგია, თქვენ განახლდებით. აქტიურობისას ახდენთ მის რეალიზებას, თქვენ კვლავ ხავსე ხართ ენერგიით. ეს ზუსტად ისეა, როგორც ღრუბელი: ის უნდა დაიცალოს წვიმისაგან, რომ კვლავ გაივსოს. რომ გაივსოს, ამისათვის არსებობს ოკეანე. მათ უნდა გადმოღვარონ წვიმის წყალი და კვლავ გაივსებიან. მდინარე უნდა შეუერთდეს ოკეანეს — და იგი კვლავ გაივსება;. რაც უფრო მეტად შეერთვის, მეტ წყალს მიაწვდის ოკეანეს, მით უფრო მეტად გაივსება. სენ-ცანი ამბობს: იყავით ტოტალურად აქტიური — მაშინ თქვენ შეგეძლებათ იყოთ ტოტალურად პასიური.

როდესაც ორივე უკიდურესობა ერთმანეთს ხვდება — მიღწეულია ზუსტი ბალანსი. ეს ბალანსი არის სამიპატჰა, სრული სიწყნარე. ეს არის წონასწორობა — უმაღლესი რამ ყოველ შესაძლებელს შორის — ეს მწვერვალია. როდესაც ორი რამ ბალანსირებულია — გარეგანი და შინაგანი, აქტიური და პასიური — თქვენ უეცრად ორივეს ფარგლებს სცილდებით; უკვე აღარც ესა ხართ, აღარც ის. ანაზდად თქვენ ხდებით მესამე ძალა — დამკვირვებელი, მოწმე. მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ ამის მიღწევა:

როდესაც თქვენ ცდილობთ შეაჩეროთ
აქტიურობა,
რათა მიაღწიოთ პასიურობას,
თვით თქვენი მცდელობა და ძალვა განიჭებთ
აქტიურობას.
ვიდრემდის რჩებით ერთ უკიდურესობაში
ანდა მეორეში,
ვერ ჩაწვდებით საგანთა ერთიანობას და
მთლიანობას.
დაძლიეთ უკიდურესობანი!

ნუ იქნებით ნურც ერისკაცი და ნურც ე. წ. სასულიერო პირი. ნუ იქნებით ათეისტი და ჭკუას ნუ დაკარგავთ გარეგნულ კეთილდღეობაზე — და ძალიან ნუ გაგიტაცებთ აგრეთვე შინაგანი სიმშვიდე. ბალანსი — წონასწორობა, ეს არის მთავარი.

და აი შედეგიც: ისინი, ვინც ირჩევენ უკიდურესობებს, აგებენ ორივეში, რადგან, თუკი თქვენ, მაგალითად, განაგრძობთ აქტიურად ყოფნას, მხოლოდ აქტიურად და აქტიურად, და არ უშვებთ არავითარ პასიურობას, მაშინ საიდანღა შეძლებთ განახლებას, გადახალისებას? თქვენ ხდებით ცარიელი გარსი: უღონო, უმწეო, საბრალო. ასე ემართება ე. წ. ბედის ნებიერ ხალხს ამქვეყნად: პოლიტიკოსებს, პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებს. იმ მომენტში, როდესაც მიაღწიეს, — მათ ყოველივე დაკარგეს, ისინი აღარ არიან; წარმატება არის, მაგრამ მათ თავი გაუიდეს გარიგებაში: ისინი აღარ არსებობენ, ასევე ემართება იმათ, რომლებიც ირჩევენ შინაგანს, ინტროვერტებს. როგორც კი მიაღწევენ შინაგანს, — მათ გარშემო მხოლოდ შფოთვა და ძრწოლაა.

თუ თქვენ ირჩევთ ერთ უკიდურესობას, მაშინ აგებთ ორივეში. თუ თქვენ არ ირჩევთ, წარმატებას აღწევთ ორივეში. ბალანსი იმარჯვებს, უკიდურესობანი მარცხდებიან. ამ ბალანსს ბუდამ შუა გზა უწოდა. — მაიხიმ ნიკაია! კონფუციმ კი ოქროს შუაგული უწოდა.

იყავით მხოლოდ შუაში, შუაგულში. ეს არის უდიდესი უნარი და ხელოვნება. — იყოთ მხოლოდ შუაში, არჩევანის მოხდენის გარეშე, მარცხნივ ან მარჯვნივ გადაუხრელად. ნუ იქნებით ნურც მემარცხენე და ნურც მემარჯვენე, იყავით ზუსტად შუაგულში. თუ ზუსტად შუაგულში ხართ — თქვენ დაძლევთ ყოველივეს. მაშინ თქვენ მამაკაცი აღარა ხართ, ქალი აღარა ხართ. ეს არის ის, რაზეც ამბობს იესო: მაშინ თქვენ ცოცხალიც აღარ ხართ და აღარც მოკვდებით. მაშინ აღარც მატერიალისტი ხართ და აღარც სპირიტუალისტი. არც ეს, არც ის — ხიდი გავლილია, თქვენ მიზანს მიაღწიეთ: მიზანი კი სადღაც მომავალში როდია, ის აქ არის — ორ უკიდურესობას შორის: არც სიძულვილი, არც სიყვარული...

ბუდამ გახსოვდეთ: სადაც არ უნდა აღმოაჩინოთ, ნახოთ ორი უკიდურესობა, ნუ გააკეთებთ არჩევანს, უბრალოდ, შეეცადეთ მონახოთ მათ შორის ბალანსი. თავიდან ეს იქნება ძნელი, უბრალოდ ძველი ჩვეულების გამო.

ერთხელ მოლა ნასრედინი ავად გახდა და ბოსპიტალში მოათავსეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ვიღაცამ კარებზე დააკაკუნა და შემოვიდა მომცრო ტანის ქალი; მან თქვა: გაიხადეთ, მე თქვენი ექიმი ვარ, უნდა გაგსინჯოთ. მოლამ ჰკითხა: თქვენ გაქვთ მხედველობაში, რომ გავიხადო მთლიანად? ექიმმა უთხრა: დიახ, დიახ, მთლიანად. მან გაიხადა. ქალმა მოლა გასინჯა, შემდეგ უთხრა: ახლა ლოგინში ჩაწექით. რაიმე შეკითხვა ხომ არა გაქვთ? მოლა ნასრედინმა უთხრა: მხოლოდ ერთი: რატომ შეწუხდით დაკაკუნებაზე? ქალმა უპასუხა: ეს უბრალოდ ძველი ჩვევაა.

თქვენ ფესტებშიც კი გივლინდებათ ძველი ჩვევები. ადვილია მიბაძვე ჩვევებს, რადგან ამ დროს საჭირო არ არის გაცნობიერება — ისინი (ჩვევები) თავისთავად იჩენს თავს. გაცნობიერება, ინტუიციური წვდომა ძნელია, რადგან ის არასდროს ყოფილა თქვენი ჩვევა.

თქვენ ადვილად ირჩევთ: ადვილად სჯით, ადვილად ახდენთ სიმპათიზირებას; ადვილად უარყოფთ ან პირიქით. თქვენ ადვილად ამბობთ: „ეს კარგია", „ეს ცუდია". ეს მილიონების ცხოვრებაში ფესვგადგმული ჩვევა იყო — თქვენ ყოველთვის არჩევანს აკეთებდით: ეს უბრალოდ რობოტისმაგვარი ფენომენია. იმ მომენტში, როდესაც რამეს ხედავთ — თქვენ უკვე გადაწყვიტეთ და განსაჯეთ: მაგალითად, დაინახეთ ყვავილი — თქვენ უყურებთ მას და ამბობთ: „ის ლამაზია", ანდა „ულამაზოა". ადგილი აქვს დაუყოვნებლივ მსჯელობას; აღქმას თან სდევს მსჯელობა. ასე თქვენ ვერასოდეს დარჩებით შუაგულში, ბუდამ უკიდურესობაში გადავარდებით.

ერთხელ ჩუუან-ძისთან ვიღაც მივიდა და ერთ ქალაქელ კაცზე ასე უთხრა: ის ცოდვილია, ძალიან ცუდი კაცია, ქურდია, მოკლედ, ხელიდან წასული ადამიანია. ჩუუან-ძიმ მოუსმინა და უთხრა: მაგრამ იგი ხომ შესანიშნავად უკრავს ფლეიტაზე!

შემდეგ სხვა კაცი მოვიდა (პირველი ისევ იქ იჯდა) და თქვა: ეს ქალაქელი კაცი მართლაც საუცხოო ფლეიტისტია. ჩუუან-ძიმ უთხრა: მაგრამ ის ხომ ქურდია. ორივე იქ მყოფმა იკითხა: რას გულისხმობ, რა გაქვს მხედველობაში?

ჩუუან-ძიმ უპასუხა: უბრალოდ ბალანსი — ვინ ვარ მე, რომ განვსაჯო? იგი ქურდია, იგი

შესანიშნავი ფლეიტისტია. მე არც უარვყოფ და არც ვადასტურებ. ჩემთვის არ არსებობს არჩევანი. ის არის ის, რაც არის. რად უნდა განვსაჯო მე და ვთქვა ან ეს, ან ის? რად უნდა გადავვარდე ან ერთ უკიდურესობაში, ან მეორეში? ჩემთვის ის არც კარგია და არც ცუდი. ის არის ის და ეს მისი საქმეა. მე რად უნდა ვთქვა აქ რამე? მე უნდა ვთქვა რაიმე მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი ბალანსირება მოვახდინო.

ეს ძნელია — არ გააკეთოთ არჩევანი, მაგრამ შეეცადეთ — და თანაც ყველაფერში. როდესაც სიძულვილს გრძნობთ, შეეცადეთ „იმოძრაოთ" შუაგულისაკენ, როდესაც გრძნობთ სიყვარულს, მაშინაც ეცადეთ იმოძრაოთ, წახვიდეთ შუაგულისაკენ, რასაც არ უნდა გრძნობდეთ, მუდამ ეცადეთ მიუახლოვდეთ შუაგულს. ჰოდა, თქვენ გოცება შეგიპყრობთ, რომ არის წერტილი ორ უკიდურესობას შორის, სადაც ორივე მათგანი წყვეტს არსებობას, სადაც თქვენ არ გრძნობთ არც სიძულვილს და არც სიყვარულს. ეს არის ის, რასაც ბუდა უწოდებს „უპეკშას", განურჩევლობას, გულგრილობას, ალუშფოთველობას. თუმცა „უპეკშა" არცთუ ძალიან შესაბამისი სიტყვაა. „უპეკშა" ნიშნავს ისეთ შუა წერტილს, რომელშიც თქვენ არც ეს ხართ და არც ის. თქვენ არ შეგიძლიათ თქვათ „მე მიყვარს", არ შეგიძლიათ თქვათ „მე მძულს", — უბრალოდ, არაფრის თქმა არ შეგიძლიათ, თქვენ, უბრალოდ, შუაგულში ხართ, სადაც უკიდურესობანი გამორიცხულია. თქვენ არ იგივდებით. ხდება გასვლა განსხვავების ჟარგლებს გარეთ და ეს გასვლა არის ყვავილობა. ამ სიმწიფეს, მოწიფულობას უნდა მივაღწიოთ — ეს არის მიზანი.

1974, 21 ოქტომბერი.

სიუზენ ლეიტონი

ინგლისურიდან
თარგმნა ზურაბ გემაზავილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული ლიტერატურა საქართველოს შესახებ

ეროსი და იმპერია რუსულ ლიტერატურაში საქართველოს შესახებ

ამ უკანასკნელ წლებში მზარდმა კვლევაძიებამ გააანალიზა თანმიმდევრული პრაქტიკა, რომელსაც ევროპელი მკვლევარნი იმის დასადგენად იყენებენ, რომ აზიელები, აფრიკელები და ამერიკელი ინდიელები სხვა ეროვნებებზე ნაკლებ ცივილიზებულნი არიან. ამ საკითხის შესწავლაში საკრძნობი ზეგავლენა მოახდინა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ედუარდ სეიდის წიგნმა „ორიენტალიზმი". თუმცა ე. სეიდი არსებითად ეთანხმება დასავლეთის აზრს ისლამური აღმოსავლეთის შესახებ, მისი შრომები შეიცავს XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის მრავალ შესაბამის გაგებას, რომელიც სტიმულირებულია ცარიზმის ექსპანსიით კავკასიაში. ეს რუსული მოდელია წარმოდგენილი განსახილველად სეიდის ვარიაციებში. რუსეთი თვითონ იყო სანახევროდ ევროპიზებული, ამდენად მისთვის უფრო პრობლემური იყო აზიური ნაირსახოვანი კონსტრუქციის აგება. იმის შეგნებამ, რომ „ჩვენსა" და „აზიურს" შორის არ იყო აბსოლუტური სხვაობა, აბსოლუტური ზღვარი, წარმოქმნა არაჩვეულებრივად საწინააღმდეგო სახე კავკასიელ მუსულმანთა ტომის წარწარმოდგენილისა რუსულ ლიტერატურაში. მაგალითად, „ამალატ-ბეგში" ალექსანდრ მარლინსკი იცავდა ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკის მიერ მთიელი ტომების გამაევროპელიზებელ, გამაცივილიზებელ მისიას და დღემდეც გამოხატავს ველური კავკასიელის თავისუფლების თვითგაიგივებას მახიზმთან.

თუ ლიტერატურულ შრომებში კავკასიურ ტომთა შესახებ ზღვარი ნახევრად ევროპიზებულსა და პირველყოფილ აზიურს შორის ძირითადად გაურკვეველია, რუსული მწერლობა საქართველოს შესახებ გამოირჩევა მტკიცე თანმიმდევრულობით მთელის ორად გაყოფის თვალსაზრისით. 1820-1850-იანი წლები ერთობ ნაყოფიერი გამოდგა ამ სახის ლიტერატურის შექმნისათვის. ამ პერიოდის ლიტერატურას სამი საოცარი ნიშან-თვისება გააჩნია. პირველის ავტორები ჯიუტად ამტკიცებენ საქართველოს აღმოსავლურ, თითქმის მუსულმანურ ხასიათს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა დიდი ხანია ქრისტიანულ სამყაროს განეკუთვნება. მეორე ნიშანი რუსული მწერლობისა კავკასიის შესახებ უარყოფს ადგილობრივ გმირებს. კავკასიის ლიტერატურული გალერეის დასამახსოვრებელი ტიპაჟისაგან (ამალატ-ბეგი, კაზბიჩი, ჰაჯი მურატი, შამილი) განსხვავებით ქართველი მამრობითი სქესის მთავარი გმირები რუსულ ტექსტებში იშვიათად გვხვდებიან. უფრო მეტიც, როცა კი გამოჩნდებიან, როგორც წესი, არიან უარყოფითნი, პირშავნი და სახელგატეხილნი. მესამე და მთავარი ნიშანი კი ამ ლიტერატურისა ის არის, რომ მაღალ დონეზე, რელიეფურად წარმოადგენს სქესთა ურთიერთობას. მრავალ ევროპულ ნაშრომში აღმოსავლეთისა თუ მსოფლიოს სხვა ეგზოტიკური რეგიონის შესახებ, მწერლები და მკვლევარები იმეორებენ რუსული ტექსტების ჩვეულ აზრს ქართველი ქალის ორგვაროვანი, ცვალებადი ბუნების, მისი ეროვნული და სქესობრივი ხასიათის უმტკიცობის შესახებ.

რუსული ლიტერატურა საქართველოს შესახებ იმითაცაა გამორჩეული, რომ მასში თანმიმდევრულად ვითარდება მეტაფორული აზრი ქალთან გაიგივებული დედამიწის შესახებ, რომლის მფარველობა და დომინირება უნდა იკისრონ უფრო ძლიერმა მამაკაცებმა, ვიდრე ამ ქვეყნის კაცები არიან. ასეთი ვარაუდი ეყრდნობა ქალის გაორებულ ბუნებას, როგორც კეთილი არსებისას (უმწიკვლო ქალწული და თავდადებული დედა), რომელსაც ძალუძს ბოროტების სიკეთედ ქცევა, და როგორც ავი სულისას, დემონისას

(მკვლელი, გრძნეული, მაცდური) და კატეგორიულად მოითხოვს ასეთი მუხანათი არსების კონტროლის ქვეშ ყოფნის აუცილებლობას. ქალის ამგვარი ბუნების გამო მამაკაცთა ზეაღმატებულება დედაკაცზე თავისთავად იგულისხმება. ამგვარად, „ორიენტის" კონტექსტში, სადაც ქართველი გმირი არ არსებობს, რუსმა მწერლებმა შექმნეს ეროტიულად დამუხტული კულტურული მითოლოგია, რომელშიც თავისი თავი წარმოადგინეს ძლიერი და გონიერი „ევროპულობის" აგენტებად და თითქოს მხოლოდ მათ ძალუძთ საქართველოს დაცვა და მისი მანკიერებების განუწყვეტელი კონტროლის ქვეშ მოქცევა.

ეს ლიტერატურა, სადაც ერთმანეთშია გადახლართული სექსუალური და იმპერიული დომინანტობა, დამყარებულია ხემიაზიური რუსეთის გლობალური იდენტურობის ფუნდამენტური მკაფიოობის უკმარისობაზე და საბოლოოდ ევროპულობისაგან საჭიროებს გამაგრებას და განმტკიცებას. ცარიზმმა დააკანონა თავისი იმპერიული მოდელი კავკასიაში როგორც ცივილიზაციის მისია. სპეციფიურად რუსეთის მიერ საქართველოს ექსპანსია იყო ვითომდა ქრისტიანობისა და ევროპული კულტურის დაცვა ისლამის ბარბაროსობისაგან, რასაც ახორციელებდნენ თურქეთ-ირანისა და კავკასიის სხვა მუსულმანური ტომები. ნათელია, რომ ამ იდეოლოგიურმა წამოწყებამ მოითხოვა რუსეთის ამ დამყოფ-დამნაწილებელი პოლიტიკის ჩახშობა, რასაც ისტორიული ფესვები გააჩნდა აზიაში. დაძაბულობათა და წინააღმდეგობათა არენა აშკარადაა წარმოდგენილი რუსულ ტექსტებში საქართველოს შესახებ და ამით იპყრობს ჩვენს ყურადღებას.

ამ კრიტერიუმის მწერლებს (ალექსანდრ პუშკინი, ალექსანდრ გრიბოედოვი, მიხაილ ლერმონტოვი, ალექსანდრ მარლინსკი, იაკოვ პოლონსკი, ალექსანდრ ოდოევსკი) საქართველო წარმოუდგენიათ თავისი პირადი ცხოვრებისა და ნათესაური ურთიერთობის კავშირად ცარიზმთან. ისინი ამავე დროს დევნილნი არიან რუსეთის იმპერიის მიერ. გრიბოედოვი, მაგალითად, იყო დიპლომატიური მოღვაწე და მისი პროექტი რუსეთ-ტრანსკავკასიის სავაჭრო ურთიერთობის კომპანიისა იყო ნიმუში იმპერიალიზმის კეთილმოსურნეობისა. ლერმონტოვი, პირიქით, იყო სამხედრო გადასახლებული კავკასიაში და თავის ნაწერებში ომის შესახებ კავკასიის ტომების წინააღმდეგ აღწერდა უფრო შიდა კონფლიქტებს. უბიწო ბუნების შებღალვას, მის ხელყოფას ომის დროს, ბუნებისა, რომელსაც იგი ეთაყვანებოდა როგორც პარნასს. ამ ორი მაგალითიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ მწერლები არ ქმნიდნენ მოქმედებისა თუ კავკასიის დაპყრობისადმი განსხვავებული დამოკიდებულების ეროვნულ პოლიტიკურ ბანაკს. არც ერთს არ შეუქმნია ისეთი ნაწარმოები, გარდა პოლონსკის პროპაგანდისტული პოემის — „იმერელისა", რომელშიც არაერთხელ აშკარადაა ნათქვამი, რომ კავკასიაში ცარიზმის სახელმწიფოებრივი ფორმულირება ცივილიზაციის მისია.

მიუხედავად ამისა, ყველა განსანილიზებელ ტექსტს აქვს იდეოლოგიური მნიშვნელობის მატარებელი თავისებურება, რომელიც მხარს უჭერს რუსეთის სუზერენობის გავრცობას საქართველოში. რუსმა მწერლებმა შექმნეს ისეთი ტერმინი, როგორიცაა „აზიატი", რაც გამოხატავს პრიმიტულ, ცივილიზაციის დაბალ დონეზე მდგომ კაცს მათ ევროპიზებულ პერსონასთან შედარებით. იდეოლოგიური იმპორტი, ასე თუ ისე, დამკვიდრებულია ქართველი მდედრისა თუ მამრის ტიპოლოგიურ ხასიათებში, სადაც რიტორიკა ქალწულებრივი ბუნებისა და მიწის სისაფლის შესახებ თამაშობს გარკვეულ როლს. რუსი მწერლები აგებენ ფაბულას ბარბაროსობის ან „აღმოსავლური" სიზანტის წინააღმდეგ. ამ სიუჟეტებში წამოჩენილია ამბავი ქართველი ქალის ძლიერი ეროტიული სიყვარულისა რუსების მიმართ. მოთხრობათა ნაირსახეობა, ეფექტური რიტორიკული და ორფეროვანი ხასიათები (მამრის თუ მდედრის, რუსულად — „აზიური") მოიცავს ლიტერატურულ მსჯელობას, რაც ამართლებს ცარიზმის მტკიცებას თავისი ავტორიტეტულობის შესახებ საქართველოზე.

როდესაც ლაპარაკია საქართველოს მდებარეობაზე, მის ქარტეხილიან რელიგიურ და კულტურულ ისტორიაზე, მისი ორიენტალიზაცია რუსულ ლიტერატურაში არ შეიძლება მივიჩნიოთ თავიდან ბოლომდე დაუსაბუთებლად. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის რუსი გეოგრაფები კავკასიონის მთაგრეხილს ევროპისა და აზიის საზღვრად მიიჩნევდნენ. ამ კარტოგრაფიული ტრადიციით საქართველო რუსთა თვალში მტკიცედ გამოიყურებოდა არაევროპულ ქვეყნად: მთის გადალმა მისი მჭიდროდ დასახლებული მიწები გადაჭიმულია თურქეთის საზღვრებამდე, ახლოსაა სპარსეთთან, ჰავა — რბილი და სუბტროპიკულია.

რა თქმა უნდა, აზიის საზღვრის გავლებას კულტურული განშტოებაც ჰქონდა. ბაირონის პოეზიისა და ადრეული რომანტიზმის პერიოდის რუს ავტორთა მიხედვით „ორიენტი" — „აღმოსავლეთი" ისლამთან იყო გაიგივებული. თუმცა ამ თვალსაზრისით საქართველო აშკარად არ მიეკუთვნება ისლამურ სამყაროს, რადგან მას მსოფლიოში უძველესი ქრისტიანული საეკლესიო კულტურა გააჩნია. ქრისტიანულ რჯულზე მომქცევი სირიელი მისიონერები ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში ერთობ აქტიურად მოღვაწე-

ობდნენ საქართველოში. იმის შედეგი იყო, რომ მირიან მეფემ ქართლსა და იბერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა დაახლოებით 330 წელს (მაშინ, როდესაც კიევის რუსეთი გაქრისტიანდა მხოლოდ 988 წელს). თუმცა საქართველოზე, შემდგომ წლებში, ისლამს არაერთხელ მიუტანია იერიში. 640 წლიდან შოუოლებული, არაბები კავკასიაში ბატონობდნენ დაახლოებით ორი საუკუნე. ამ ბატონობამ გარკვეული კვალი დატოვა და დაღი დაასვა ქართულ კულტურას, თუმცა ძირფესვიანად ვერ აღმოფხვრა ქრისტიანობა. შემდგომი ძლიერი თავდასხმა ისლამმა საქართველოზე მოახდინა მეთექვსმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, როდესაც თურქეთი და სპარსეთი (უკვე მერამდენედ) შეიჭრნენ საქართველოში გავლენის სფეროს გასაფართოებლად. საქართველოს ბევრმა დიდებულმა ამ პერიოდში დიდი ტანჯვა-წამება განიცადა რჯულის დაუტევლობის გამო, მაგრამ თავად-აზნაურთა დიდი ნაწილი ისლამს ეზიარა. სპარსეთთან ურთიერთობა განსაკუთრებით ექსტენსიური იყო თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებამდე ზომიერი ქრისტიანული და მუსულმანური ელემენტები დამკვიდრდნენ როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, უამრავი მოგზაური რომ ეწვია საქართველოს, აქ დახვდათ თვალწარმტაცი და ეგზოტიკური ნაზავი ევროპულისა და აზიურისა, რომელიც განსაკუთრებით ჰარმონიული ხასიათისა იყო დედაქალაქში.

მიუხედავად კულტურის ნაირსახეობისა, რუსულმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ, ბუნებრივია, თავისი კვალი დააჩნია ქართულ ქრისტიანობას. მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლების თურქულმა და სპარსულმა ექსპანსიამ კავკასიაში რუსეთის მეფე აიძულა ყურადღება არ მოეკლო და პატივისცემით გამსჭვალულიყო ლტოლვილი ქართველი მეფეებისადმი, რომელთაც თავისი სამშობლო აღწერეს როგორც ბარბაროს მუსულმანთა წინააღმდეგ აღმართული ქრისტიანობის ბასტიონი. 1783 წელს ეკატერინე დიდმა გამოაცხადა რუსეთის პროტექტორატი საქართველოზე და რელიგიურ-მორალური უფლება მის ტერიტორიაზე როგორც მუდმივი ფაქტორი რუსული პოლიტიკისა მთელ კავკასიაზე: ეს იყო იდეოლოგიური არჩევანი სახელმწიფოს ინტერესებისა, რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკური ხიმძლავრის დამკვიდრება.

ქართლისა და კახეთის სამეფოების ანექსია 1801 წელს რუსეთის მიერ მოტივირებულ იქნა როგორც დასუსტებული ქრისტიანული სახელმწიფოს დახმარება და სპარსეთის აგრესიის საშიშროებისა და დაღესტნის ტომების გაუთავებელი თარეშის წინააღმდეგ მიღებული ზომები. მართლაც ქვეყანა შესაძლოა ვერ გადარჩენოდა განადგურებას, რუსეთის იმპერიას რომ არ შეერთებოდა. თუმცა ასეთი გადარჩენა საქართველოს ძვირად დაუჯდა.

აღმოსავლეთი და დასავლეთ საქართველოს დაპყრობამ პირველ წლებში [illegible] შეფოთი და უსიამოვნება ჩამოაგდო ხალხსა და ახალ მმართველებს შორის. რუსეთის ჯარის დარიალის ხეობაში შესვლიდან დაიწყო პერიოდული აჯანყებები, რომელშიც ქართული საზოგადოებისა და კლასის ყველა წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. კორუფცია ძლიერ გავრცელდა მეფის მოხელეებს შორის, არავითარი პატივისცემა არ იგრძნობოდა ადგილობრივი კანონებისა და ტრადიციების მიმართ. ქართველ ქალებს ძალადობითა და სიკვდილის მუქარით აუპატიურებდნენ რუსი თანამდებობის პირები და ჯარისკაცები. 1820 წელს კაზაკებმა მოკლეს ქართველი არქიეპისკოპოსი, რომელიც ცდილობდა აღეორძინებინა ქართული ეკლესია და გაელვივებინა ეროვნული გრძნობა.

საქართველოს დასახვა აღმოსავლურ ქვეყნად რუსულ ლიტერატურაში საინტერესოდ ააშკარავებს დიდ უთანხმოებას უმაღლესი აზროვნების რელიგიურ წარმომადგენლებსა და იმპერიის უხეშ მსახურთა შორის. ცარისტული რუსეთი უარს აცხადებდა საქართველოსთან ქრისტიანულ მსგავსება-მონათესაობაზე მაშინაც კი, როდესაც ქვეყანა დამორჩილებული ჰყავდა. მაგრამ რუსი მწერლები ამას უფრო სხვაგვარად აღიქვამდნენ და ფაქტიურად გამოარჩევდნენ ქრისტიანობას. ისინი უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ ისლამს და ნაკლებს კერპთაყვანისმცემლობას. საქართველოს „აღმოსავლეთისათვის" მიკუთვნება იყო ამ ავტორების აშკარა ლტოლვა ეგზოტიკისადმი. თუმცა, ეჭვს გარეშეა, ისინი ნაკლებად ავლენდნენ რწმენას საქართველოს „აზიურობის" შესახებ, განსხვავებით სახელმწიფოს სასტიკი ხელისუფლებისაგან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში.

რომანტიზმმა დიდად შეუწყო ხელი საქართველოში სტუმრობის მანიას. ის პირნი, რომლებიც ეგზოტიკას ეტრფოდნენ, სრულიად კმაყოფილნი რჩებოდნენ „აღმოსავლური" ქვეყნით, საქართველოსა და რუსეთის მსგავსების ძიებით და ისლამთან ანტაგონიზმით თავს არ იწუხებდნენ. ეს ვითარება გამოიყენა მეორეხარისხოვანმა რომანტიკოსმა პოეტმა ვ. ნ. გრიგორიევმა, რომელიც სტატისტიკური სამსახურის დავალებით 1820 წლის დამლევს მოვლინებულ იქნა თბილისში. ამ მივლინებით იგი ფრიად ნასიამოვნები დარჩა, — სანკტ-პეტერბურგის მოსაწყენი რუტინის შემდეგ შესაძლებლობა მიეცა აღესრულებინა „ბავშვობიდან აკვიატებული მოგზაუ-

რობის სურვილია. ერთობ საინტერესოა შეხედულება საქართველოზე, რომელიც ისტორიულ ასპექტში სპარსეთსა და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებსაც გამოადგებოდა: „მოღვაწეობის ასპარეზად ახალი სამყარო, ახალი ქვეყანა გადაშალა ჩემ წინ. აღმოსავლეთი საოცრებათა მხარეა, სადაც მე ხშირად მიფრენია ოცნებით; ქვეყანა, რომელსაც მე ახლა ვხედავ, მთელი თავისი პოეტური მომხიბვლელობით და მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებებით". გასაკვირი არაა, რომ გრიგორიევის გული პირველი ჩამოსვლისთანავე მოიხიბლა რეალურის ორიენალისტურმა შეგრძნებამ. ლამაზფერებიან კაბებში გამოწყობილი ქალების ხილვამ, რომლებიც ვარსკვლავებით მოჭედილი მთვარიანი ღამის თბილისურ სახლის ბანებზე შუშპარს როკავდნენ, თვალწინ დაუყენა „ათას ერთი ღამის ხილვანი". შთაგონებით აღფრთოვანებულმა კაცმა ლექსი შეთხზა მომხიბლავ ქალწულზე, რომელიც თავდავიწყებით ცეკვავს, მაგრამ იმთავითვე განწირულია და ცხოვრებაში ჭმრის მონა-მორჩილი, უბედური ქალი იქნება. საქართველო როგორც ქრისტიანული ქვეყანა, ცხადია, ყურადღების მიღმა დარჩა ოცნებებით თვალდაბინდულ გრიგორიევს, რომლისთვისაც აქვიატებული, მაცდუნებელი აზრის წყალობით, „აღმოსავლეთი" რუსული მოწყენილობისაგან თავშესაფარი ალაგია.

გრიგორიევის შეხედულება ტიპიურია რუსული ტენდენციისა, საქართველო შეცნობილი ყოფილიყო როგორც მუსულმანური მხარე და არა ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული კულტურის ქვეყანა. ამდაგვარი ვიზიტიორების ნაწერებში გაუთავებლად მეორდება საუბარი ჩადრის „მომხიბვლელობაზე", თბილისელი ქალების გრძელი პირბადეების „იდუმალებაზე", რომელთა ილუსტრატორები, ისევე, როგორც რუსი მწერლები, თავბრუდამხვევი ეგზოტიკით ქსელავდნენ ქართულ გარემოს, რათა ყოველგვარი დისპუტის გარეშე აღქმულიყო მათი ისლამურობა.

ორიენტალიზაციის ასეთმა გაგებამ გადაანაცვლებინა ქართველ ქალს მისი თანამედროვე სოციალური გარემოდან და მოათავსა იგი ისლამურ წარსულში, თუ ისლამური ქვეყნების ჰარამხანებში. ყველაზე შესანიშნავი პერსონაჟია ზარემა, ყირიმის ხანის გირეის მიჯნური, პუშკინის „ბახჩისარაის შადრევნიდან".

ერთ პატარა ლექსში, „ქართული ხიმღერა" ლერმონტოვმაც აღწერა ნაყიდი სიყვარულის მონა ქართველი ქალი, რომელიც ეჭვიან მოხუცი ხომეხს თავის ჰარამხანაში ჩაუკეტია. ბოლოს ეჭვით გაცოფებული კლავს ტურფა ასულს და მის გვამს მდინარის ტალღებს გაატანს. ქართველი ქალი გამოიყვანა მოხუცი აფხაზის მარამხანაში გათამაშებული დრამის გმირად პეტრე კამენსკიმაც თავის „კალაშ-ბეიშიც".

ჰაარამხანების შესახებ თხრობისადმი იმპულსი იგრძნობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც ოტომანთა თურქეთში მონათა ბაზარზე დაუსრულებლად იყიდება ქალ-ვაჟი, რომელთა შორის საქართველოდან გატაცებული ქალწულნიც იყვნენ, შემდგომში თურქთა სერალებში რომ ხვდებოდნენ. კამენსკის საშინელი კალაშ-ბეი ერთობ შეწუხებული და შეფიქრიანებულია ასეთ ქალთა ბედით. მოთხრობაში გამოყვანილი ქართველი ხასა იმის მხხვერპლია, რომ მის გამო ვერვინ იძია შური. ლერმონტოვის „ქართულ სიმღერაში" პატრონი სიკვდილითა სჯის თავის ტუვე ქალს, როდესაც შეიტყობს, რომ მას საყვარელი გაუჩენია.

სიუჟეტები უკიდურესად სუსტი, დაჩაგრული გმირი ქალებით რუსული ლიტერატურისათვის უფრო საინტერესოა, რადგან აქ ქართველი ქალი გაორებული ბუნებითაა წარმოჩენილი. იგი ისეთი მსხვერპლია, რომელსაც მკვლელობის დაფარული უნარი გააჩნია. პუშკინის ზარემასაც გააჩნია ორმაგი ბუნება. „ბახჩისარაის შადრევანში" ზარემას გული ეჭვიანობით იმსჭვალება, რაც გამოწვეულია გირეის ახალი ტუვე-ქალისადმი, პოლონელი თავადის ასულის მარიასადმი სიყვარულით. პუშკინის ორი გმირი ქალიდან ერთი გამოხატავს გარყვნილ, თავაშვებულ სიყვარულს, მეორე — ეროტიკულად თავშეკავებულ, ევროპული ქრისტიანობისადმი თავდადების გრძნობას. ბნელი და მგრძნობიარე, მუსულმანურ რჯულზე მოქცეული ზარემა გვევლინება განებივრებულ, ნალოლიავებ ხასად, რომელიც მტკიცედ იცავს თავის უპირატესობას ჰარამხანაში. მისი სრული კონტრასტია გაუბედავი, ქერა ქალწული მარია, რომელიც ქედმაღლური გულგრილობის გარდა არაფერსა გრძნობს გირეის მიმართ და აიძულებს მას ნება დართოს დაიძინოს თავის ოთახში საწოლზე დადებული ჯვრით.

მიუხედავად იმისა, რომ პუშკინი წინააღმდეგობის ქსელს აბამს ქართველ ხასასა და ევროპელ ქალწულს შორის, იგი იმ ფაქტსაც ხდის თვალსაჩინოს, რომ ზარემა, ჰარამხანის ცეცხლოვანი დედოფალი, მონათვაჭრობის მსხვერპლია. ზარემა მარიასთან საუბარში იხსენებს თავის ბავშვობას. იგი მოიტაცეს, როდესაც ჯერ კიდევ გოგონა იყო, როცა დედა ქრისტიანულ რჯულზე ზრდიდა, და ფიქრობს, ეს აკავშირებს მას და მარიას. მართლაც ამ ორ ქალს ბევრი რამა აქვს საერთო. აზიურ ჰარამხანებში ჩაკეტვა-დატუსაღება წააგავს მარიას შეზღუდულ ცხოვრებას მამის ოჯახში პატრიარქალურ პოლონეთში. ასე რომ, ევროპელი თავადის ასულის

თანამედროვე თავზარდამცემი სიტუაცია „უბიწო ქალწულისათვის“ იმეორებს ზარემას ბავშვობისდროინდელ ამბავს. ქართველი ქალის ბედი ემთხვევა მარიასას, როგორც უდანაშაულო ქრისტიანისას, რომელსაც მსხვერპლად იწირავს მარამხანის სამყარო.

თუმცა ერთ დროს უმწეო, მოტაცებულ ზარემას ახლა უჩნდება დაუნდობელი მკვლელობის სურვილი. იგი მსჯავრს გამოუტანს მარიას და კლავს მას. შემდეგ არც თავის თავს ინდობს და ზღვაში გადავარდება. ამ ორ გმირს შორის დამაინტრიგებელი მსგავსების ქსელის გაბმის შემდეგ „ბახჩისარაის შადრევანი“ მკითხველს სთავაზობს მოსაზრებას, რომ სასტიკი და ულმობელი ეჭვიანობა, რომელსაც ადამიანი მკვლელობამდე მიჰყავს, განსაკუთრებით აზიურობისთვისაა დამახასიათებელი. როდესაც ზარემა პირველად დაემუქრა მარიას, რომ მოკლავდა, ეუბნება: „მე დანასაცა ვფლობ, მე კავკასიონის მახლობლადა ვარ დაბადებული“, აქ ის გულისხმობს დაგრეხილი ქედებით შემოსაზღვრულ საქართველოს. ზარემას მიდრეკილება ძალადობისაკენ აიხსნება მისი შინაგანი ბუნებით — იგი დაბადებულია არაევროპულ ქვეყანაში, რომელიც უფრო ველური, ვიდრე კათოლიკური პოლონეთი. ორი გმირი ძალდატანებითი სიკვდილის მსხვერპლია, მაგრამ მათი შეჯახება არ გამორიცხავს უაღრესად საჭირო ურთიერთპატივისცემას. მთელ ნაწარმოებში ევროპელი ქალწული პასიური უმანკოების განსახიერებაა: მას თვალყურს ადევნებენ და ერთთავად დაძაბულ მდგომარეობაში ჰყავთ მამას, ყირიმელ გამტაცებლებსა და გირეის. ბოლოს კი მას კლავს გაცოფებული ზარემა. ქართველი ქალი ორი უდიდესი კონტრასტის მატარებელია, — იგი მსხვერპლიცაა და მკვლელიც.

ასეთივე გაორებული სულისა და ბუნების გმირი ქალი ჰყავს გამოყვანილი ა. ს. გრიბოედოვს „საქართველოს ღამეებში“, ტრაგედიაში ლექსად, რომლის ხელნაწერი ცნობილი იყო ავტორის თანამედროვეთათვის 1820 წელს, მაგრამ დღეს შემორჩენილია მისი ფრაგმენტი. ნამუსახდილი ქალწულის ნაცვლად გრიბოედოვს გამოყვანილი ჰყავს თავდადებული დედა. ნაწარმოების ლაიტმოტივი წარმართობაა ისლამურის ნაცვლად. მკგრამ „საქართველოს ღამეებისა“ და „ბახჩისარაის შადრევნის“ ასეთი სხვაობის მიუხედავად, ორივე ნაწარმოები ქართველ ქალს წარმოაჩენს როგორც მსხვერპლს, რომელიც შემდგომში მკვლელად იქცევა.

გრიბოედოვის ტრაგედია აგებულია ქართველი თავადისა და მოხუცი მსახურის ურთიერთკონფლიქტზე. მოხუცი მსახური თავადის ალმზრდელია, შემდგომში კი მისი ქალიშვილის ძიძა. იმისათვის, რომ გამოიხსიდოს თავისი ხაყვარელი ცხენი, რომელიც მეზობელმა მოპარა, თავადი მოხუცი მსახურის ვაჟიშვილს გაყიდის. ჭაბუკის დედა ემუდარება თავადს, უკანვე დაუბრუნოს შვილი. თავადი მას ბოროტ დედაკაცს უწოდებს და აღუთქვამს შვილის დაბრუნებას, თუმცა დაპირება ჩქარა ავიწყდება. უგულისყურო თავადს ისიც ავიწყდება, რა ნათესაური ურთიერთობა აკავშირებს მოხუც მსახურთან, იგი არც დედობრივ სიყვარულს აგდებს რაიმედ. ტრაგედიის ბოლოს შვილის დამკარგავი, იმედგადაწურული დედა ალის დახმარებით შურს იძიებს (ალი — ქართული წარმოშობის ავი მდედრის სულია). ალისგან მოჯადოებულ თავადის ასულს რუსი ოფიცერი შეუყვარდება და მასთან ერთად გაიქცევა. გაშმაგებული თავადი დაედევნება გაქცეულებს, დაეწევა კავკასიონის მწვერვალებთან და შეეცდება ტყვეით განგმიროს რუსი, მაგრამ ბოროტი სული საკუთარ ქალიშვილს მოაკვლევინებს, შემდეგ მოხუცი მსახური კლავს თავის ვაჟიშვილს (რომლის იქ ყოფნა არ არის მოტივირებული არსებულ მასალებში); თავად შეძრწუნებულია იმ ტრაგედიით, რომელიც მშობელს და შვილს შორის არსებული წმინდა კავშირის უგულებელყოფამ გამოიწვია. გრიბოედოვის ამ ნაწარმოებში ქართველი ქალის შურისმაძიებლობა უკიდურესად სასტიკია. არ ინდობს იგი საკუთარ შვილსაც კი და ანადგურებს ყველაზე ძვირფასს ამქვეყნად.

ამგვარად, როგორც „ბახჩისარაის შადრევანში“ ზარემას მზადყოფნა მკვლელობისათვის დაფუძნებულია მის ეროვნულ წარმომავლობაზე, „ქართული ღამეებშიც“ მოხუცი მსახურის შურისძიების დაუოკებელი წყურვილი ისევ სპეციფიურ აზიატურ ბუნებას განეკუთვნება. საქართველოს ქრისტიანობის უგულებელყოფით გრიბოედოვის ნაწარმოებს უძველესი, ადგილობრივი წარმართული მრწამსიხაკენა აქვს მიმართულება. მსხვერპლად განწირული დედა ღვთისმოსავი ქრისტიანი იყო, რომელიც სულის შვებას ლოცვაში ჰპოვებდა. ნაცვლად ამისა, იგი გამოყვანილია როგორც კერპთაყვანისმცემელთა მოგვი, რომელიც ჯადოთი და თილისმით გესლავს ყველაფერს და უხვად აფრქვევს ირგვლივ ბოროტებას.

ამრიგად, ქალები გრიბოედოვის ტრაგედიაში ასახიერებენ „აზიურ“ საშიშროებას და ველურ მძვინვარებას, რომელიც მედეას ლეგენდის თემის შემკვიდრეა. „კოლხეთი“ დასავლეთ საქართველოს უძველესი სახელია და XVIII საუკუნის რუსულმა პოეზიამ შეთხზა მიმზიდველობა, მომხიბვლელობა ამ ლეგენდად ქცეული ქვეყნისა, სადაც ცხოვრობდნენ მედეა, იასონი და სადაც არსებობდა ოქროს საწმისი. ყოველივე ამის ტრადიციული გაგრძელებაა გრიბოედოვის მოხუცი მსახურიც, ბერძნული მითოლოგიის სა-

ზარელი შურისმგებლობით, აზიური გრძნეულებითა და ბავშვთა მკვლელობით რომ არის გამსჭვალული. მედეას მსგავსად „ქართული ღამეების" გმირიც ნაზიარებია შავ მაგიას და კლავს თავის ნაზიერს იმიტომ, რომ შური იძიოს კაცზე, რომელმაც დაუნდობლად გასწირა იგი. რა თქმა უნდა, მედეასა და იაზონის ამბებთან პარალელი ხელოვნურია. გრიბოედოვის მოხუცი მსაჯური თავადის ძიძაა, ხოლო მედეა ცოლია, „ქართულ ღამეებში" ერთობ საინტერესოა ის, რომ მთავარ გმირებს შორის არ არსებობს ეროტიული ურთიერთობა და ეს კომპენსირებულია „ალის" შემოყვანით. წარმართული საქართველოს ბოროტ დემონთა სამყაროში ავი სული წარმოდგენილია როგორც მზეთუნახავი, მომხიბლავი ქალი, მზაკვარი და დაუნდობელი. ერთი ტრადიციის თანახმად, „ალი" შიშველი გამოეცხადება ხოლმე ადამიანებს, რათა აცდუნოს ისინი, სასიკვდილოდ გასწიროს და მათი დაღუპვის ამბავი მიახაროს საშინლად მახინჯ, ბრძენ, გრძელეშვებიან დედაბერს ყოველწლიური ბაკმანალიის დროს მთის მწვერვალზე. მოხუცის განზრახვა, კავშირი დაამყაროს მუხანათ და მომხიბლავ ალთან, გამიზნულია საიმისოდ, რომ დაღუპოს ქართველი თავადი, ეს არის აზიური ქალური შურისძიების მთელი ღვარცოფი, რომელიც თავს ატყდება თავადს ისევე, როგორც იაზონს მედეას რისხვა.

იმ რუს მწერალთა შორის, რომელთაც რაიმე დაუწერიათ საქართველოს შესახებ, ალბათ გრიბოედოვი იყო ყველაზე უკეთ გათვითცნობიერებული ქართულ კულტურასა და ისტორიაში. მას ჰქონდა ყველაზე მჭიდრო კავშირი ამ ქვეყანასთან, რადგან დაქორწინებული იყო ქართველ ქალზე, ნინო ჭავჭავაძეზე. თუმცა ყველაზე ბევრი ნაშრომი კავკასიის ქვეყნების შესახებ დაწერილი აქვს ლერმონტოვს, რომელიც აქ ჩამოვიდა 1837 წელს. იგი აერთიანებს პუშკინსა და გრიბოედოვს, ხელს აშველებს მათ ქართველი ქალის დუალისტური ბუნების დადგენაში. ამავე დროს ლერმონტოვმა ახალი თვალით დაინახა მომხიბლავი ქართველი ქალწულის ხისპეტაკე და შემოიტანა პასტორალური თემა, რომელიც პუშკინისა და გრიბოედოვის ნაწარმოებებში არა ჩანს.

ლერმონტოვის ორივე ცნობილ გმირ ქალს ჰქვია „თამარი". ერთი განსახიერებულია თავისი ქვეყნის პასტორალური მომხიბვლელობით, ხოლო მეორე პერსონიფიცირებულია „აზიური" მუქარითა და გარყვნილებით. ამ ორი გმირიდან ერთი თვალწარმტაცი, გრძნეული დედოფალია პოემა „თამარში". იგი ცხოვრობს დარიალის ხეობის პირქუშსა და კლდოვან მთებში, სტუმართმოყვარე გარემოში. „მოდალატესა და უპატიოსნოს, როგორც დემონს", თამარს სირინოზის ძალა აქვს: ტკბილი, მომაჯადოებელი ხმით იტყუებს კაცებს, შეაცდენს და მერე კლავს. ამ აღვირახსნილ, სისხლიან ქმედებას ლერმონტოვი წარმოადგენს როგორც აღმოსავლურ ჩვევას. თამარს უწოდებენ „პერს" (მომხიბლავი, გრძნეული ქალის სული, რომელიც ისლამურ ზეცაში ბინადრობს); მისი კალატები, მარაქებიანი მსგავსად, ფუფუნებითაა გაწყობილი, — „რბილბეწვიანი ფაფუკი საწოლით" და მდიდრული, ბრწყინვალე ავეჯით. ეს ერთობ წააგავს პუშკინის „ეგვიპტური ღამეების" კლეოპატრას, რომელიც ნებასა რთავს კაცს დაწვეს მასთან საკუთარი სიცოცხლის საფასურად. ლერმონტოვის თამარიც ღამით აწყობს ხმაურიან ორგიებს, დილით კი თერგს ატანს საყვარლების თავმოკვეთილ გვამებს. მომხიბლავი ქართველი დედოფალი ლერმონტოვის წარმოდგენით მრუშობასა და მკვლელობასთანაა წილნაყარი. მასშია თავმოყრილი ეროველგვარი გარყვნილება და მოძალეობა, რასაც ევროპიზებული რუსები მრავალ ევროპელთა მსგავსად აზიას მიაკუთვნებდნენ.

ლერმონტოვის „თამარი" არის უცხოელის მიერ შეთხზული ამბავი, ქართული ლეგენდის სულის მცდარი გაგება. საქართველოს თავის ოქროს ხანაში მეთორმეტე საუკუნეში, მართავდა თამარ დედოფალი, პოეტის ორი, დიამეტრულად საწინააღმდეგო ტიპი ამ პოემებში ასოციაციითაა დაკავშირებული მის სახელთან. ძლიერმა ტრადიციამ, რომელიც განეკუთვნება წარმართულ კულტს და რომელმაც ლამის XIX საუკუნემდე მოაღწია, მიიღო თამარი, როგორც სასწაულმოქმედი მკურნალი, ექიმი-დედოფალი, რომლის მსგავსი ნიშან-თვისება ხანდახან გააჩნია ქრისტიან ქალწულს. მეორეს მხრივ, თამარი ტრადიციულ მოთხრობებში გახდა სახელწოდება გარყვნილი და კაცისმკვლელი პერსონაჟისა, რომელიც თერგის პირას ცხოვრობს.

თბილისში, საფრანგეთის კონსულის ეკაფრანსუა გამბას წიგნით „R'ecit de voyage" ლერმონტოვი გაეცნო მაშინდელ საქართველოს და, ალბათ ამიტომაც მისი ერთ-ერთი მოთხრობის გმირ ქალს „დარია" ჰქვია. თუმცა შესაძლოა პოეტმა მანამდეც იცოდა იმ ტრადიციის შესახებ, რომ ბოროტ, მაცდუნებელ ქალებს „თამარს" უწოდებდნენ.

ამგვარად (როგორც არ უნდა იყოს), საქართველოში დამკვიდრებული ლეგენდით ლერმონტოვმა გვიჩვენა პერსონალური მრწამსი ქალის მუხანათური დუალიზმისა, შემოიყვანა რა თავის ნაწარმოებში „მეორე" თამარი — „დემონის" მიერ დაცემული ქალწული. ეს თამარი კეთილი Alter ego-ა ბოროტი მაცდურისა, დარიალის ხეობაში რომ ბინადრობს. პოეტი ალბათ ისევ რალაც შთაგონებას პოულობს ქართულ ლეგენდებში. მაგრამ არ[illegible] ორთ მართებულ ლეგენდას

მთების ქალღმერთის სიყვარულის შესახებ მშვენიერი მოკვდავის მიმართ არ შეეძლო შთაეგონებინა ლერმონტოვი დაეწერა სექსუალურად მოხიბლული უმწეო ქალწულის ამბავი. ყოვლის განმკვრეტი, ზებუნებრივი გმირი „დემონიდან" საზარელი ძალაა, რომლის თვალწინაა გადაშლილი მთელი მსოფლიო. იგი აქტიურებს სიუჟეტს და თხრობის მანერას; იგი დაუმორჩილებს თამარს თავის ხურვილს და აცდუნებს ბრწყინვალე მჭევრმეტყველებით. მეორე მხრივ, გმირი ქალი სუსტი, უღონო არსებაა პატრიარქალურ მსოფლიოში, — „სევდიანი მონაა", რომლის მამა განიზრახავს მიათხოვოს იგი მდიდარ კაცს. რაკი დემონი დაიწყებს მის მოჯადოებას, თამარი ხდება უფრო უმწეო და უსიტყვო, ვიდრე ოდესმე ყოფილა. პოეტი მთლად დაამუნჯებს და დაიმორჩილებს მას, რითაც აფრთხილებს მკითხველს, რომ ეს ათრთოლებული არსება დაკარგავს თავის ხისპეტაკეს, ქალწულობას. როდესაც ბოლოს ეს წუთიც დგება, ლერმონტოვის ენა გამარჯვებულის ელერადობას იძენს და აღარ არის გასაკვირველი მისი ყიჟინა, რომ ბოროტმა სულმა იზეიმა! დემონთან ასეთი ურთიერთობის დამყარების შემდეგ მალე თამარი კვდება, რადგან უძლურია გადაურჩეს „ხაბედისწერო, შხამიან კოცნას".

თამარის გაღვიძებული სექსუალურობა ჩირქს სცხებს მას, მაგრამ იგი არასოდეს კარგავს მორალურ სიწმინდეს. ვიდრე უბიწობას დაკარგავდეს, თამარი „ცოდვილი" ხდება იმითაც, რომ იგი ყურს უგდებს დემონის ხმას და გამოხატავს ეროტიულ ხურვილს. ამგვარად, ლერმონტოვი ორჯერ მიაკუთვნებს გარდაცვლილ ქალს „ცოდვის სულს". შესაძლოა ეს ჩრდილს აყენებს მორალურ მხარეს, მაგრამ გადაჭარბებული იქნებოდა იმის თქმა, თითქოს სექსუალურად გამოღვიძებული გმირი ლერმონტოვის ტექსტში „ვნებით შეშლილი მეძავის" იერს იძენდეს. დასასრულს მფარველი ანგელოზი იზეიმებს დემონზე და თამარის ცოდვამიტევებულ სულთან ერთად მიფრინავს კურთხეულ სამარადისო სავანეში. ღვთის წარმოგზავნილი იცავს და ამტკიცებს, რომ გმირი ქალი არ არის ცოდვებით დამძიმებული: მას უყვარდა, ამბობს იგი, ხოლო „ზეცის კარი ღიაა სიყვარულისათვის!"

„დემონში" თამარის სიკეთისა და დიდსულოვნების მეუფება ბუნების დაუძლეველ მომხიბვლელობას შეესაბამება. თუ გრიბოედოვმა ალაზნის ველი აღწერა მხოლოდ თავისი „მეწამული ფერის ყურძნის ძღვენით", მეცხრამეტე საუკუნის რუსმა ლირიკოსმა პოეტებმა საქართველო წარმოიდგინეს როგორც თბილი, ნაყოფიერი ქვეყანა ბალახით დაფარული გორაკებითა და ველ-მინდვრებით. შემდგომ სტრიქონებში ლერმონტოვმა შემოიტანა პასტორალური ტრადიცია, რომელიც აიყვანა კულმინაციამდე. მაგრამ მერე მას ახალი სიმბოლური მიმართულება მისცა, როდესაც საქორწინოდ შეღერებული ქალი ქვეყნის, მიწის ემბლემად წარმოადგინა. დედამიწა „ღვთის საუფლოა", — ამბობს იგი „დემონში" — და თამარი დაგვირგვინებული დიდებაა. იგი შერწყმულია მწვანე ველებთან, მჩქეფარე ნაკადულებთან, ხეროს, ყვავილებსა და ნუშის ხეებთან. ამგვარად, „მწირში" (რაც ქართულად „მორჩილს" ნიშნავს) ჩადრჩამოფარებული ახალგაზრდა ქალი მარტოდმარტო მოჩანს ხეობაში როგორც ამ პეიზაჟის ერთადერთი ეული სულიერი. ტექსტში არაგვი და მტკვარი „დები" არიან ეს მეტაფორა ზუსტი ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად იღებს მიწა დედრობით სახეს ლერმონტოვის წარმოდგენაში: ქართველი ქალწულები და მათი საცხოვრებლები მის პოეზიაში ურთიერთის სარკეა, ანარეკლია.

ლერმონტოვის მიერ დახატული ქართველი ქალიშვილის სახე, როგორც ამ მიწა-წყლის ემბლემა, გაგრძელებას პოულობს მეცხრამეტე საუკუნის რუსულ ტენდენციაშიც. — კავკასიის ხელუხლებელი ქალწულებრივი მიწა, დაფარული ნაყოფიერი ველებითა და პირველყოფილი ტყეებით, მჩქეფარე მდინარეებითა და შეურყვნელი მინერალური წყაროებით. 1829 წლის ბოლოს რუსულმა ელიტამ იმაზე დაიწყო „დარდი", რომ ხასხასა, მწვანე, გაფურჩქნული საქართველო პრაქტიკულად უდიდესი ეკონომიკური პოტენციალის მხარე, ასეთნაირად ვერ წარმოუდგენიათ მის ზარმაც მკვიდრთ. რუსეთ-ტრანსკავკასიის სავაჭრო კამპანიის შექმნის თაობაზე რომ საუბრობდა, გრიბოედოვი წერდა: „...ბუნებას აქ ყველაფერი შეუქმნია ადამიანისათვის, მაგრამ აქაური ხალხს ჯერ ვერ გამოუყენებია იგი".

1980 წელს R'ecit de voyage"-ს რუსი ანონიმური ავტორი საჯაროდ აცხადებდა, რომ საქმეში ჩახედული მეწარმე საქართველოს სიუხვითა და ბუნებრივი სიმდიდრით ერთობ დაკმაყოფილდებოდა. რუსებისათვის საქართველოს ველ-მინდორი ედემს მიედარებოდა, ასეთი შედარება არაერთხელაა მოხმობილი მარლინსკის კავკასიურ R'ecit de voyage-ში.

ცნობებს, რომ საქართველო ვრცელი, უხვი და ნაყოფიერი ბაღნარია, თან სდევდა გარკვეული ეროტიკული ელერადობა დამატებითი მნიშვნელობის ფრაზაში — „ქალწულებრივი" მიწა (virgin lent) მწვანე სამოთხის პასტორალური იდეა ადამიანს იოლ ცხოვრებასა და ხულ მცირე შრომის საფასურად უზარმაზარ სიამოვნებასა და კმაყოფილებას პირდებოდა. ამგვარად, პასტორალიზმი იწვევს ხურვილს, წარმოადგინოს დედამიწა როგორც მასაზრდოებელი მდედრი, რომელიც სთავაზობს პიროვნე-

ბას კომფორტულ გარემოცვას, კმაყოფილებასა და მყუდრო ცხოვრებას. რუსეთისათვის, რომელიც მკაცრი ჩრდილოეთის კლიმატსაა მიჩვეული, პასტორალური იმპულსი იმის ცდაა, რომ მიწა წარმოდგენილ იქნას როგორც ქალის ფიგურა. ეს შეიმჩნევა ამერიკულ მწერლობაშიც ახალი ქვეყნის აღწერის დროს დიდი დედის შესაფერისი მეტაფორები გვხვდება ამერიკულ ტექსტებშიც, სადაც მდიდარი ბარაქიანი კონტინენტის სიტურფე და მომხიბვლელობა შედარებულია საყვარელ ქალწულთან, თავისი ნაყოფიერების გამოყენებას რომ ითხოვს. საქართველოზე რუსულმა წარმოდგენამ, პასტორალურმა ლტოლვამ წარმოშვა ეროტულობით გამსჭვალული იდეა ქალწულის პასიური მზადყოფნისა მამრის სურვილის დასაკმაყოფილებლად; კაცის ჭეშმარიტი ლოდინი, რათა შეხაფერის დროს გამოიყენოს იგი.

რუსული კულტურის მიერ საქართველოს გაბატონებული აღქმა როგორც „ქალწულებრივი" ტერიტორიისა, თავისებური გზით აისახა რუსულ ლიტერატურაშიც. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, თვალწარმტაცი ქართველი ახულების პასტორალური მომხიბვლელობის ღვთით ბოძებული ნიჭი შეურყვნელ გარემოში. მაგრამ გარდა ამისა, თუ ლერმონტოვის პოემის მიხედვით შესაძლოა მდინარეების „დებად" წარმოდგენა, მიწაც თავისთავად სიმბოლიზებულია მაცდუნებელი მდედრთან. მარლინსკის R'ecit de voyage-ში ალაზნის ველი წარმოდგენილია როგორც უბიწო „მომხიბვლელობა" ან „belle" („სიტურფე"). მეორეხარისხოვანი პოეტის დიმიტრი ოზნობიშინის ლექსებში მდედრობით გაფურჩქნულ კვირტებს მამრობითი სქესის ნიავი უალერსებს, ან იგივე მამრი მზე (რომელიც საქართველოს სიმბოლოა) ძალუმად შემოაჭდობს მათ მკლავებს — სხივებს. მსგავსი მეტაფორაა ალექსეი მეისნერის მინორულ Litterateur-ში სადაც ქალბატონ იალბუზს მისი საყვარელი მზე კოცნის. ქართულ ლანდშაფტში ალაზანი და მისი ნაპირები ახევე ეროტიულადაა დაწყვილებული — მგზნებარე პატარძალი-მდინარე, ვაჟკაცი ნაპირების მკლავებშია მოქცეული.

საქართველოს ფემინიზებისა და ეროტიულ სცენებში წარმოდგენის პასტორალური იმპულსი გულმოდგინედაა დაშუშავებული იმ პერიოდის ლიტერატურის მდარე მხატვრულ ნაწარმოებში „ქეთევანი". ეს დაუმთავრებელი რომანი ალექსანდრ შიშკოვის კალამს ეკუთვნის და შთაგონებულია კახეთის 1812 წლის აჯანყებით, რომელიც გამოიწვია რუსი ჯარისკაცების მიერ ადგილობრივი გლეხობის დახოცვამ. საერთო რუსული ლიტერატურის შესაბამისად შიშკოვმა ყურადღების ცენტრში მოაქცია ქართველი ქალიშვილი, ულამაზესი და უჭკვიანესი ქეთევანი, რომელსაც ერთის ნახვით შეუყვარდება რუსი ოფიცერი, კეთილშობილური ბუნებით დაჯილდოებული ლონსკოი. რომანის ორი მთავარი გმირი, სულელურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ორი მამაკაცი, მაღალი კლასის წარმომადგენელნი არიან. ისინი აწყობენ შეთქმულებას და უნდათ აღშფოთებული გლეხობა საკუთარი ეგოისტური მიზნებისათვის გამოიყენონ. თან იმის იმედიცა აქვთ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ სპარსეთი დაუჭერს მხარს.

ამ რომანში არის ავტობიოგრაფიული გადახვევებიც, შიშკოვი იხსენებს თავის პირველ მოგზაურობას საქართველოში, როცა პირველად იხილა მზიანი, აყვავებული ქვეყანა, რომელიც მის შემეცნებაში აისახა „ფერადოვან, მდიდრულ ხალიჩაზე წამოწოლილ მომხიბლავ ქალად, ფერხთით გილანის ხურნელოვანი ვარდები რომ უფენია, თავით კი კავკასიონის დათოხლილ მწვერვალთა ქათქათა ბალიშზე მისვენებულა". ეს მეტაფორა დედამიწას ანიჭებს ქალის ელფერს, მდიდრულად მოხატული ჰარამხანის მხევლის სახეს, რომელიც ნებიერად წამოწოლილა უცხოელი მამაკაცის აღტაცებულ თვალთა წინაშე. დედამიწა ეროტიულ მდედრობით სქესად წარმოუდგენია შიშკოვის რომანის გმირს ლონსკოისაც. იგი პირველად ჩადის საქართველოში ციცაბო გზებით, ძნელი მოგზაურობით მოქანცული და მთის ჯანსაღ ჰაერს „თავისი საცოლის ტკბილ კოცნას" ადარებს. ჰარამხანის მოთენთილ მხევალთან და სასურველ საცოლესთან დედამიწის ასეთი შედარებების პარალელურადაა წარმოდგენილი მკერდაფუებული, ვნებიანი ქეთევანი, ნაკლებადაა წარმოჩენილი ეს შედარებები ნინას მეორად ქართულ ხასიათში, სადაც ჩვენ ვხედავთ, მოხუც თავადს როგორ ემორჩილება მასზედ გათხოვილი ახალგაზრდა ქალი. დახვეწილი და განვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლის ლონსკოის მიერ მოხიბლული ქეთევანი უარს ამბობს ცოლად გაჰყვეს მამის შერჩეულ ქართველ საქმროს. ცივგონებიანი რუსი გმირი ფრთხილობს, რაიმე ექსცესი არ შეემთხვეს „აზიელი" ქალისაგან: „მისი შავი თვალები ძლიერ ცეცხლოვანია, ალი ბრიალებს მათში, მაგრამ ვერ ათბობს გულს".

შიშკოვის რომანი სწორხაზოვნად წარმოადგენს საქართველოს ორ სახეს. ერთი სიძულვილით აალებული, აღმოსავლელი ქალია. ხოლო მეორე ვნებითა და დარდით ჩამომჭკნარი არსება. ამგვარად განსახიერებული მდედრი (ქეთევანი, ნინო, თვით ქვეყანა) მუდმივად ელის, როდის წაიყვანს მას რუსეთი, რომელიც წარმოდგენილია მხოლოდ მამრობითი სქესით (ლონსკოი, ძალით რომ იტაცებს ნინოს; ავტორი, მთელი ცარისტული რუსეთი). ასეთი ეროტი-

ული მეტაფორა იმის მცდელობაა, ხელი შეუწყოს იმპერიულ დომინირებას მთელ ამ ტერიტორიაზე. ამ რომანში, რომელიც ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებას ასახავს, რეალურად მამოძრავებელი ძალაა მოჩვენებითი წინააღმდეგობა გაეწიოს რუსეთის დიდმპყრობელურ პოლიტიკას, რომლის მიზანია დაიმორჩილოს მთელი საქართველო. აქვეა შიშკოვის რიტორიკაც, რომ ეს ქვეყანა დიდსულოვნადაა უზრუნველყოფილი რუსეთის მიერ, რომ მომხიბვლელობისა და აღტაცების გარდა, ამ „Vergin Caucasus" („ქალწულებრივ კავკასიას") ეკონომიკური მიზნებიცა აქვს რუსეთის იმპერიალიზმთან.

ხუსტი, ღონემიხდილი გმირი ქალი, რომელიც თავისი ქვეყნის კაცს იწუნებს რუსი ოფიცრის სიყვარულით, „ქეთევანი", ერთ-ერთი ილუსტრაციაა რუსული ლიტერატურის ტენდენციისა — შექმნას ქართველი ქალის სახე, რომელსაც არ შესწევს უნარი იბრძოლოს ეროტიკული უფლებისათვის. რუს კაცს დიდი წარმატება აქვს ქართველ ქალებში („ქართული ღამე") ლერმონტოვის „Rendezous), თუმცა შემთხვევით სომხის (კამენსკის „ეაიკო") თუ თათრის („თათარი") მეტოქეობაც არაა გამორიცხული. მსგავსი რიტორიკული განცხადებაა პოლონსკის „ნინა გრიბოედოვაში", სადაც ახალგაზრდა ქართველი ქვრივი ქალი ერთგულების ჭეშმარიტი ხატია თავისი რუსი ქმრისა. ეროტიული ძალის ერთგვარი პატივისცემითაა გამსჭვალული „დემონი", რა თქმა უნდა, თავისებური მნიშვნელობით, ვიდრე იგი ურთიერთობას დაამყარებდეს მასთან, ვინც მის სამყაროს არ განეკუთვნება. თუმცა ფრიად მართებულია, რომ ლერმონტოვი არ ცდილობს დაანგნიოს თავისი თანამედროვე, როდესაც ძლიერ ავსულს after ego-დ აცხადებს. რუსულ ლიტერატურაში ქართველი კაცი არასოდეს „იზიდავს ქალიშვილს", ლერმონტოვის პოემის მთავარი გმირიც, ამ კანონის შესაბამისად, მოხიბლავს თამარს მას შემდეგ, როდესაც ოლად დაამარცხებს მის საქმროს ფრიალო კლდეზე გამართულ დუელში.

კროს-კულტურული ეროტიული ალიანსი ეპოქეოზს აღწევს ალექსანდრ ოდოევსკის ნაწარმოებში „ქართველი მარგარიტა და რუსეთის სამეფო". ამ ალეგორიაში საქართველო წარმოდგენილია ცეცხლოვან, შავგვრემან ქალიშვილად, რუსეთი კი გულად, ქერათმიან ეროვნად, რომელიც რკინის ხელით იცავს მსოფლიოს ღერძს. ქალიშვილი ხავსია მწველი გრძნობით თავისი საქმროსადმი და უარს ეუბნება სხვა „ხელის მთხოვნელებს". ქართველი სახეუგულებელყოფა მეტყველი ფაქტია იმისა, რომ ქართველ კაცს არ განეკუთვნება ადგილი რუსულ ლიტერატურაში. რუსი მწერლების არც ერთ ნაწარმოებში არ მოიპოვება ქართველი მთავარი გმირი. ასეთი პატივი მხოლოდ კავკასიის ისლამური ტომების წარმომადგენლებს აქვთ, როგორიცაა მარლინსკის — ამალატ-ბეგი, ლერმონტოვის — იზმაილ-ბეი, ლევ ტოლსტოის — ჰაჯი მურატი. მთავარი გმირის ნაცვლად ქართველი კაცები, როგორც წესი, ფრიად უმნიშვნელო ადგილს იკავებენ, ლოთი, მხდალი, წინდაუხედავი, სულელი, ბოროტი, ყაჩაღი, კაცობადაკარგული სულიერი. აი, ის როლები, რითაც ქართველი კაცები გაიელვებენ ხოლმე ნაწარმოებში.

რუსული სტანდარტული აზრი საქართველოს შესახებ ასეთია, — ვენახებით სავსე ალაგი, რომელიც ბუნებრივად ბადებს ხელმოთავებულ ლოთებს, რაც თავისთავად აისახება ლიტერატურაშიც. ლერმონტოვის სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში, რომელიც თან ერთვის პოემა „არგუმენტს", ქართველი კაცები დახასიათებულნი არიან როგორც ტკბილი ღვინის მწრუპავი ზარმაცი, უქნარა და დიდი ხის ჩრდილში გაშხლართული არსებები. ყურძნითა და ღვინით შეზარხოშებული ენთუზიაზმი, ოლ-ცხოვრება — აი, ეს არის მაღალი კლასის დამახასიათებელი ნიშან-თვისება, ამბობს პოლონსკი ლექსში „ქახელებს". უფრო სენსაციურადაა წარმოდგენილი გორის მახლობლად გამართული ქეიფი კამენსკის „მაიკოში", — „ქართულ გაბმულ სმასთან შედარებით უძველესი, ანტიკური ორგიები და, თუ გნებავთ, თანამედროვე მსოფლიოს დროსტარებანიც ბავშვურ თამაშად გამოიყურება". ამის მსგავსადვე ერთ-ერთ ლიტერატურულ ნაწარმოებში, რომლის სათაურია „წვეულება საქართველოში", ქართველი კაცი ქეიფის დროს დაკარგავს წონასწორობას და „აზიური" თავშეუკავებლობით უგონოდ დათვრება, მაშინ როდესაც რუსი მთხრობელი „ევროპული" მანერებითაა წარმოდგენილი და შესაბამისი სიდინჯით, ხიდარბაისლით უჭირავს თავი წვეულებაზე. ასეთი მსმელებისა და ლოთების წყალობითა აქვს ჩამოყალიბებული ლერმონტოვს ქართველი ტიპი, როგორც წინდაუხედავი, მხდალი და უუნარო კაცი. პოემა „დემონში" თამარის საქმრო დანახულია როგორც წინდაუხედავი კაცი, როდესაც დემონი ღამით დაიწყებს არამიწიერ სხივთა ციმციმს მთის კლდოვან და საშიშ გზაზე, თამარის „წინდაუხედავი" საქმრო იშიშვლებს ხმალს და ვერ ხედავს, რომ ეს მისატყუარია, რათა ხაზარელ უფსკრულში გადაიჩეხოს. ამ დრამატულ სცენაში ლერმონტოვი საქმროს მხლებლებს „მხდალ ქართველებს" უწოდებს, რადგან ისინი ამ საშინელებას გაქცევით დააღწევენ თავს. მარტო სიმხდალეს არ ჭერდება ლერმონტოვი და „დემონის" რაღდენიმე სტრიქონში დამცინავად

მოიხსენიებს თამარის ერთ-ერთ წინაპარს ყაჩაღად, მგზავრებს რომ ძარცვავდა შარაგზაზე, რომელსაც თურმე, ხანდაზმულობის მიუხედავად, მთებში აქვს საშლოცველო აგებული ცოდვათა მოსანანიებლად. დასასრულ, თამარის ჭალარა მამა გუდალი, რომელიც უძლურების განსახიერებაა, ცდილობს დაიცვას თავისი ქალიშვილი სექსუალური აგრესიისა და სიკვდილისაგან.

გუდალს მცირე ყურადღება მაინც ეთმობა „დემონში". საკუთარი ქალიშვილის უშედეგო დაცვა მას აქცევს ლიტერატურულ პროვინციელად, რაც ქართველი კაცისათვის ესოდენ დაშახასიათებელია. ამდაგვარადვე გამოჰყავს ქართველი კაცი პოლინსკისაც პოემაში „იმერლები". ეს ნაწარმოები არის ქართველი ხალხის მადლიერების გამოჰფლავნება რუსეთისადმი მათ სამშობლოზე ბატონობისათვის. პოლონსკი აღწერს კონტრასტს ანექსიის „წინ" და „შემდეგ". ანექსიამდე ხალხს ჰქონდა „ერთნაირი ბედი" და მიწაც არ იყო მჭიდროდ დახახლებული. ისტორიაზე თვალის გადავლებით ქართველი კაცი მსჯავრსა სდებს საკუთარ თავს თავისი ქვეყნის ტურფა ქალების დაუცველობის გამო, დეგრადაციისა და ოტომანთა მონების ბაზარზე გაწირვის გამო. ადგილობრივი მოსახლეობა იტანჯება უუნარობით, რომელიც მყლავნდება სამხედრო პოლიტიკურ და ეროტიულ ცხოვრებაში, ყველაფერი კი ერთად გამოიხატება ქართველი ქალის ბარბაროს მუსულმანთათვის დათმობაში. სხვათა შორის ძლიერი რუსეთის დახმარება მხოლოდ მონა-ქალებით სავსე, სამარცხვინო დალის დამამჩნეველი ტრანსპორტის განთავისუფლება არ არის, ეს ეკონომიკური განვითარების ინიციატივაცაა საქართველოში.

რუსეთის ლიტერატურა საქართველოს ცხოვრებაში საინტერესო რეპრესიებითა და დამახინჯებებით ჩაერია. რატომაა, რომ მტკიცე უარი უთხრეს ქართველ კაცს საკუთარ გმირულ თვისებებზე? რატომ მოახდინეს რუსმა მწერლებმა ქართველი კაცის იდენტიფიკაცია ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფესთან, გიორგი XII-თან, რომელიც ნამდვილად სუსტი და უუნარო იყო? იყო ერთი განმარტოებული, ქონმოჭარბებული გურმანი, რომელსაც ჭამა-სმის მეტი არა აინტერესებდა რა და არცა ნებავდა სამხედრო ღონისძიებებში ჩარეულიყო. თავისი ზიცოცხლის დასასრულს კი, ლოგინად ჩავარდნილი და ნიკრისის ქარებით გათანგული, „ცარს" ევედრებოდა დაეცვა მისი ქვეყანა. ყოველივე ამის შემდეგ მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რამდენ ხანს დარჩებოდა ეს ავადმყოფი მონარქი ბუნდოვნად რუსეთის მეხსიერებაში".

რუს მწერლებს შეიძლება მიეღოთ შთაგონება შუა საუკუნეების ქართული რაინდული ტრადიციებიდან, აეღოთ მაგალითები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან". რუსები მართლა გაოცდნენ ასეთი მაგალითებით, მაგრამ მათ ეს გადაიტანეს კავკასიის ტომობრივი გმირის, მაგალითად ამალატ-ბეკის სახეზე, ეს საარაკო ჭიდილი გარეულ მხეცებთან, და ტაეგის გაძრობა თანამედროვე რეალობაცაა, და აშკარად შეიმჩნევა ქართველთა გულადობა და ომში ვაჟკაცობა. ანექსიის შემდეგ მრავალი ქართველი ვაჟკაცი მსახურობდა ოფიცრად მეფის რუსეთის არმიაში. ისინი მონაწილეობას იღებდნენ ნაპოლეონის წინააღმდეგ ომშიც და რუს ჯარისკაცთა გვერდიგვერდ იბრძოდნენ თურქეთის, სპარსეთისა და კავკასიელი ტომების წინააღმდეგ ბრძოლებში. ბოლოს და ბოლოს, ომების გარდა, რუსულ ლიტერატურას ის მრავალმხრივი ურთიერთობა მაინც უნდა წარმოეჩინა, რომელიც ქართველ და რუს მამაკაცებს შორის განსაკუთრებით განვითარდა 1820 წლიდან. გარდა იმ კონტაქტებისა, რომელიც დაეყარდა არმიაში თუ იმპერიული ადმინისტრაციის იერარქიულ კიბეზე, თავად გრიგოლ ორბელიანისა და თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახებმა ბევრ რუს სტუმარს დაამახსოვრა გულთბილი მასპინძლობა და საინტერესო საღამოები, სადაც ამაღლებული საუბრები ძირითადად ლიტერატურის საკითხებზე იმართებოდა. თუ არ ჩავთვლით მცირე გამონაკლისს, როცა პუშკინი „კავკასიის ტყვის" ეპილოგში გარუსებულ პ. დ. ციციანოვს იხსენებს როგორც ნიჭიერ ოფიცერს, რუსულ ლიტერატურას არ აუსახავს ქართველების დადებითი სახე არსად, არც ბრძოლის ველზე, არც დაწესებულებებსა თუ მრავალფეროვან სალონებში.

ქართველი კაცის ძალის, ვაჟკაცობის, მხნეობის, ინტელექტისა და ეროტიული მიხწრაფებების მუდმივმა უარყოფამ გამოიწვია ბევრი რუსი მწერლის აქტიური რეპრესია ამ თემაზე. ეს ის ფაქტია, რომელიც განხილვის გარეშე დარჩა მეცხრამეტე საუკუნეში. პოემა „დემონში" საპატარძლოს გარეშოს აღწერის გამო ლერმონტოვის შორეულმა ნათესავმა გულისწყრომა გამოთქვა, პოეტის სამსახური კავკასიის არმიაში ნამდვილად აჩვენებს, რომ „ქართველები არ არიან შოკრძალებულნიო". მემუარების მწერალი იკითხავს, რატომ მისცა ლერმონტოვმა ამის საბაბი და რატომ გამოჩრა ყველა ერთ თარგზე? შეიძლება საერთოდ განზოგადდეს რუსულ ლიტერატურაში ქართველი კაცის ლირსების აღწერის საკითხი. ქართული ვაჟკაცობის ასეთი დაშცირება რუს კაცს გარკვეულ წარმოდგენას უქმნიდა თავის თავზე, უაღრეს სიამოვნებას ანიჭებდა, რომ იგი დიდი იმპერიის ნაციის წარმომადგენელია, მიეკუთვნება „ევროპულ" ძალას და „წოდებულია იბა-

ტონოს „აზიაში" ამ პატარა, მთვლემარე ერზე. მიუხედავად იმისა, რომ ლერმონტოვმა თავის მრავალრიცხოვან ნაწერებში ეპვის ქვეშ დააყენა ცარიზმის მიერ კავკასიის ველურ ტომებში ცივილიზაციის შეტანის მისია და სამართლიანობა, რაც კარგადაა გაშუქებული „მწირის" შესავალ ნაწილში, იგი რუსეთის საქართველოზე გაბატონებას უწოდებს „ლვთის წყალობას", რამაც მშვიდობა ჩამოაგდო და აყვავა „მეგობრების ხიშტებს ამოფარებული" პატარა ქვეყანა.

ქართველი კაცის აღწერისა თუ დახასიათების დროს, როდესაც იგონებდა არსობრივად უუნარო, ზარმაც აზიატს, რუსული ლიტერატურა ხელს უწყობდა ცარიზმის იმპერიალისტურ ზრახვებს, ქართველები არასოდეს ფიგურირებდნენ ლიტერატურაში როგორც მეგობრები და მამაცი „თანამებრძოლები" ქრისტიანული ცივილიზაციისათვის კავკასიაში მუსულმანთა წინააღმდეგ.

გამოგონილი სუსტი ქართველი მამაკაცი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რუსულ კულტურულ მითოლოგიაში, ხოლო ქალებს ცენტრალური ადგილი უკავიათ სასიყვარულო ისტორიებში. ისინი რუს მამაკაცებს ძლიერი გრძნობით გატაცებულნი ემორჩილებიან (ან დაუნდობლად ძალდატანებულნი არიან „არა-აზიელი" დემონის მიერ). ამას მოსდევს ბედნიერი ქორწინება, რაც მეტაფორაა იმპერიული ბატონობისა. ასე „ბედნიერად" ხდება ყველა ისტორიული კონფლიქტისა და აჯანყების ჩახშობა. ფემინიზებულმა საქართველომ შესანიშნავი საშუალება მისცა რუს მწერლებს, პოლიტიკური დომინირების რეალური ფაქტი საერთო ცმაყოფილებითა და ცოლქმრული კავშირით წარმოედგინათ. ასე თუ ისე, სახეზეა ნაწარმოებთა აკურატულობა, რადგან რუსმა მწერლებმა შესანიშნავად იცოდნენ, ანექსია რომ გამოიწვევდა საპასუხო აგრესიას, ბრძოლას. ამიტომ სჭირდებოდათ დაესახათ საქართველო ალმოსავლეთის ერთ ველურ და სუსტ მხარედ, ხოლო ქართველი ქალები პასიურ არსებებად, რომელთაც ამავე დროს შეუძლიათ მკაცრი, დაუნდობელი განაჩენი გამოუტანონ იმპერიის მსახურთაც კი.

ქართულმა ეპოსმა უხვად მოგვაწოდა ვერაგი და მაცდური ქართველი ქალის პროტოტიპები, ასეთებია „ალი" და „სირინოზი", ეროვნული ტრადიციების მქონე არაორდინალური ბოროტი ძალები განსახიერებულნი არიან ქალის სხეულში. იმპერიულმა და „სექსუალურმა" ბატონობამ შემოიყვანა ლიტერატურაში ევროპოცენტრული, მიზანხწრაფული და გაევროპულებული რუსი არისტოკრატი, უფრო მეტიც, ნაწარმოებები, სადაც არ არიან რუსი მთავარი გმირები („ქართული ლამეები") ან მხოლოდ ერთი არა-აზიელია წარმოდგენილი („დემონი"), გვარწმუნებს, რომ ალმოსავლეთის ქალებს ესაჭიროებათ დაუოკებელი და წინააღმდეგობრივი მამრობითი მბრძანებელი, რომელიც საქართველოს არ გააჩნია. რუსები წუხდნენ, რომ მათი კულტურა საკმაოდ ევროპული არ იყო და ამ პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდნენ ძალადობით ჭარბი Libido-სა და მკაცრი, გაშმაგებული დამოკიდებულებით კავკასიის ხალხებისადმი (ხშირად გამოხატავდნენ საწინააღმდეგო დამოკიდებულებას ამგვარი „ველურობის" მიმართ კავკასიის ხალხზე დაწერილ ლიტერატურაში). ამ სინდრომის თანახმად, საქართველო, როგორც ალმოსავლელი ქალის განსახიერება, გაორებულია: მას ახასიათებს გრძნობით გამსჭვალული მიმზიდველობა, გამომწვევლობა და პასტორალური დაპირება უდიდესი ინსტიქტის დაკმაყოფილებისა, აგრეთვე გამოავლენს ირაციონალიზმს მომაკვდინებელი შურისძიებისა და აშკარა შეუბრალებლობისა.[1]

ყოველი სუსტი ქართველის მიღმა ამ კულტურულ მითოლოგიაში დგას მაღალი დონის, ცივილიზებული რუსი გიგანტი რკინის ხელით და ისეთი პოზით, რომ ეპვი არავინ შეეტანოს მის უმაღლეს ხელისუფლებაში.

---

[1] საქართველოს სინამდვილეში მოხდა ასეთი მკვლელობის ფაქტი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა რუს მწერლებს, მაგრამ რომელზედაც ტაბუ იყო დადებული ლიტერატურაში. 1803 წელს, ტიფლისში, ტახტიდან გადაყენებულ და შეურაცხყოფილ საქართველოს დედოფალ მარიამთან გამოცხადდა გენერალი ლ. პ. ლაზარევი, რათა ორდერით გამოესახლებინა სასახლიდან. დედოფალი იმდენად გაბრაზდა გენერლის უტაქტო ქცევით, რომ ამოიღო ხანჯალი და მოკლა იგი. ამ მკვლელობამ, რასაკვირველია, გარკვეული რეაქცია გამოიწვია იმ დროს, რაც ჩანს კიდეც რუსული დოკუმენტებიდან, სადაც ეს აქტი მოხსენიებულია როგორც „ბესტიალური" და „ბარბაროსული" ქმედება, როგორც „შურისგებით და სისასტიკით სავსე ნოულოდნელი საქციელი ქალთა სქესისათვის".

ლაზარევის მკვლელობის სუსტი ეჭო გაისმა პუშკინის „კავკასიის ტყვის" ეპილოგშიც. სახელის მოუხსენებლად ავტორი მიმართავს „რუსთა დესტრუქციას" შურისმაძიებელი ქართველი ქალების მიერ" (მრავლობით რიცხვის მოხსენიება საკმაოდ საინტერესოა, თითქოს ასეთი შემთხვევები ენდემური და ჩვეულებრივია საქართველოში).

ПУТРОАЦИЈЕ
ЗАБЕМПАЛРЕ